

Scanned by CamScanner

ნაწილი პირველი

თავი პირველი

პიზის[1] სასულიერო სემინარიის ბიბლიოთეკაში არტური ხელნაწერ ქადაგებათა გროვას ათვალიერებდა. ივნისის ცხელი დღე იყო. ფანჯრები დაეღოთ და ფარდები ჩამოეშვათ. სემინარიის რექტორმა, კანონიკმა[2] მონტანელიმ, წერას თავი დაანება და სიყვარულით შეხედა ყმაწვილის ხუჭუჭა შავთმიან თავს, რომელიც ხელნაწერების ფურცლებზე დახრილიყო.

— ვერ იპოვე, ჩემო კარგო? დაეთხოვე. ხელახლა დავწერ იმ ადგილს. ალბათ სადმე დაიკარგა ფურცელი და ამდენი დრო ტყუილად გააცდინე მის ძებნაში.

მონტანელის ჰქონდა დაბალი, ბოხი, ძლიერი, ვერცხლისებრი სუფთა ხმა, რაც თითოეულ მის სიტყვას განსაკუთრებულად მიმზიდველს ხდიდა. გრძნობდით, რომ მოქნილი და ბგერებით მდიდარი ხმა ბუნებისაგან ორატორის ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს ეკუთვნოდა და როდესაც რექტორი არტურს მიმართავდა, ხმა მუდამ ალერსიანი ჰქონდა ხოლმე.

— არა, პადრე[3], ვიპოვი. დარწმუნებული ვარ, აქაა. ხელახლა დაწერა კი რომ განიზრახოთ, ვერასოდეს ვერ შეძლებთ იმგვარადვე აღადგინოთ ის ადგილი.

მონტანელი ისევ თავის საქმეს მიუბრუნდა. სადღაც გარედან, ფანჯარასთან გაბმით ზუზუნებდა მაისის ჭრიჭინა და ქუჩის სიჩუმე-

Scanned by CamScanner

ში იკრებოდა გაგრძელებული, სევდიანი ძახილი ხილით მოვაჭრისა: „Fragola!*"

— „კეთროვანის გახკურნების შესახებ"[4]. აი, ვიპოვე!

არტურ ჩუმი, შემპარავი ნაბიჯით მიუახლოვდა მონტანელის. ამ კაცწვილმა ისეთი ჩუმი სიარული იცოდა, შინაურებს ნერვები ეშლებოდათ. პატარა ტანის, გამხდარი და ნაზი, ის მეთექვსმეტე საუკუნის იტალიელს უფრო მიაგავდა, ვიდრე ინგლისური საშუალო ოჯახიდან გამოსულ ოცდაათიანი წლების ყმაწვილს. ყველაფერი ნატიფი და სილამაზით სავსე ჰქონდა. გრძელი წარბები, მოძრავი და ნერვიული ტუჩები, ხელები, ფეხები. როცა დამშვიდებით იჯდა, ადვილად შეიძლებოდა მიეღო ვინმეს ბიჭის ტანსაცმელში გადაცმულ ლამაზ გოგონად; ხოლო თავისი მოქნილი მოძრაობით ის მოგაგონებდათ მოშინაურებულ ფოცხვერს, რომელიც არ აჩენს ბრჭყალებს.

— ნუთუ იპოვე? რა მეშველებოდა უშენოდ, არტურ?! ალბათ ყველაფერი დაკარგული და დაფანტული მექნებოდა. მაშ კმარა... ამით დავასრულებ და ჯერჯერობით მეტს აღარ დაგწვრ, წავიდეთ ბაღში, მე დაგეხმარები და გაგარკვევ შენს სამუშაოში. რა იყო ის, რომ ვერ გაიგე?

ისინი გავიდნენ მონასტრის მშვიდ, დაჩრდილულ ბაღში. სემინარიას ეკავა ძველებური დომინიკური[5] მონასტრის შენობა. ორასი წლის წინათ მისი კვადრატული ეზო ძალიან კარგად იყო მოვლილი, გამოცდილი ხელით შეკრეჭილ ბუჩქებზე როზმარინი და ლავანდი იზრდებოდა. ახლა კი ასე აღარ გახლდათ... თეთრად ჩაცმული ბერები, რომლებიც ოდესღაც უვლიდნენ ამ მცენარეებს, დიდი ხანია, დაიხოცნენ და მათი ხსოვნაც წაიშალა. მართალია, აბიბინებული ბალახი ჯერ ისევ აკმევდა აურნელს ზაფხულის თბილი საღამოობით, მაგრამ მათ სამკურნალო თესლებს აღარავინ აგროვებდა. ველური ბალახი კონა-კონად ამოსულიყო დახვთქილ ფილაქვებში, ხოლო ეზოს შუაში ჭა გვიმრით იყო დაფარული, ვარდის ბუჩქები გაველურებულიყო და მათი გრძელი, ერთმანეთში გადაგრეხილი ღეროები ბილიკებზე გართხმულიყო, კვლებზე წითლად

* მარწყვი (იტალ.).

Scanned by CamScanner

ღვიოდა დიდი ყაყაჩოები. ფუტკარას მაღალი ყვავილები დახრილიყო აბურდულ ბალახზე და უძველესი ვაზი, გატყიურებული და უნაყოფო, ჩამოკიდებულიყო გაევრანებულ ზღმარტლის ხიდან, რომელიც ნელა და ნაღვლიანად არხევდა ფოთლებით შემოსილ კენწეროს. ბაღის ერთ კუთხეში ჰყვაოდა მაგნოლია, რომლის ფართო მწვანე ფოთლებში თითქოს ვინმეს საღებავი მოუსვრია, მოჩანდა რძისფერი ქათქათა ყვავილები, ხის ძირში მიდგმული იყო უბრალო სოფლური სკამი. მონტანელი ჩამოჯდა მასზე.

არტური უნივერსიტეტში ფილოსოფიას სწავლობდა. წიგნში რომელიმე გაუგებარი ადგილი რომ შეხვდებოდა, განმარტებისათვის ყოველთვის პადრეს მიმართავდა. მართალია, სემინარიაში არა სწავლობდა, მაგრამ მონტანელი ავტორიტეტი იყო მისთვის მეცნიერების ყველა დარგში.

— ახლა მე წავალ, — თქვა არტურმა, როდესაც მონტანელიმ გაუგებარი ადგილი განუმარტა. — ხომ აღარაფერში გჭირდებით?

— არა, სანამ მუშაობა არ განმიახლებია. მაგრამ მინდა ცოტა ხანით მაინც დარჩე ჩემთან ისე, ტყუილად. ხომ თავისუფალი ხარ?

— ო, რა თქმა უნდა!

არტური ხეს მიეყრდნო და თვალები მიაპყრო მოწმენდილი ცის სიღრმეში მკრთალად მოკიაფე პირველ ვარსკვლავებს, რომლებიც ფოთლებით დაფარული ხშირი ტოტებიდან მოჩანდნენ. დედისაგან, კორნუელის[6] მკვიდრი ქალისაგან, არტურს გამოჰყვა შავი წამწამებიდან ოცნებით გამომზირალი საიდუმლოებით სავსე ზღვისფერი თვალები. მონტანელიმ სახე იბრუნა — მას არ შეეძლო ემზირა ამ თვალებისათვის.

— რა მოქანცული სახე გაქვს, ჩემო კარგო! — ჩაილაპარაკა მან.

— რას იზამ...

არტურის ხმაში დაღლილობა იგრძნობოდა და მონტანელიმ უმალვე შეამჩნია ეს.

— არ გირჩევ, იჩქარო და მალე განაახლო მეცადინეობა. დედის ავადმყოფობა, უძილო ღამეები — ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ძალიან დაგღლიდა. შენ ხანგრძლივი დასვენება გჭიროდა, სანამ ლივორნოდან[7] გამოემგზავრებოდი.

— ეჰ, პადრე, არ იყო საჭირო, სულ ერთია, დედის სიკვდილის

Scanned by CamScanner

შემდეგ აღარ შემეძლო იმ სახლში დარჩენა. ჯულია პირდაპირ მაგიჟებდა.

ჯულია იყო მისი უფროსი გერი ძმის ცოლი, რომელიც ყოველნაირი შემთხვევით სარგებლობდა, რომ სიცოცხლე მოეშხამა არტურისათვის.

— არცაა საჭირო ნათესავებთან შენი დარჩენა, — რბილად უპასუხა მონტანელიმ. —ეჭვი არაა, ეს ყველაზე უარესია შენთვის. მაგრამ შეგეძლო მიგეღო მიწვევა და შენს მეგობარ ინგლისელ ექიმთან წასულიყავი. იქ გაატარებ ერთ თვეს და შემდეგ ისევ დაუბრუნდები შენს საქმეს.

— არა, პადრე, არ შემიძლია! უორენები, მართალია, კარგი და გულკეთილი ადამიანები არიან, მაგრამ იმათ არაფერი ესმით ჩემი. ისინი თანაუგრძნობენ ჩემს მწუხარებას, ამას ვხედავ. მაგრამ ვიცი. — დამიწყებენ ნუგეშისცემას და დედაჩემზე ლაპარაკს... ჯემა, რა თქმა უნდა, ასეთი არაა... ჯერ კიდევ ბავშვობაში ყოველთვის გრძნობდა, რაზე არ უნდა ელაპარაკა. სხვები არ არიან ასე მგრძნობიარენი. გარდა ამისა...

— რაო კიდევ, ჩემო შვილო?

არტურმა მოგლიჯა რამდენიმე ყვავილი ფუტკარას დახრილი ტოტიდან და ნერვიულად დაუწყო წიწკნა.

— არ შემიძლია იმ ქალაქში ცხოვრება — განაგრძო წუთიერი დუმილის შემდეგ. — ქალაქში არის მაღაზიები, სადაც დედა სათამაშოებს ყიდულობდა ჩემთვის; სანაპირო, სადაც მასთან ერთად დავსეირნობდი, ვიდრე ავად გახდებოდა. საითაც არ უნდა წავიდე, ყველგან მოგონებებით სავსე ადგილია. ბაზარში ყვავილების გამყიდველი ქალები წინანდებურად მოდიან ჩემთან და ყვავილებს მთავაზობენ... ნეტა რაღაში მჭირდება ახლა ისინი, მერე კიდევ, ეს სასაფლაო... არა, არ შემიძლია იქ ყოფნა, მიმძიმს ყველაფერი ამის ყურება.

არტური გაჩუმდა. ის აბნეული იყო და ნაკუწ-ნაკუწ გლეჯდა ფუტკარას ღეროზე ამოსულ ყვავილს. სიჩუმე დიდხანს გაგრძელდა. ისე გახანგრძლივდა, რომ ბოლოს არტური შეფიქრიანდა — რატომ არ ლაპარაკობსო მონტანელი. მაგნოლიის ხის ქვეშ ბინდი ჩამოწვა. ყველაფერი მოიცვა ბინდმა და გარემომ უცნაური, თითქოს

Scanned by CamScanner

ჭირვეული გამოსახულება მიიღო; მაგრამ ჯერ კიდევ არ ბნელოდა იმდენად, რომ შეუძლებელი ყოფილიყო გარჩევა მონტანელის სახისა, რომელსაც მკვდრისფერი დასდებოდა. მას თავი დაბლა დაეხარა და მარჯვენა ხელით მერხის ნაპირს ჩასჭიდებოდა. არტური გააოცა ამ ადამიანის სულიერმა სიდიადემ და მოწიწებით აარიდა თვალი.

„ო, ღმერთო, — გაიფიქრა არტურმა, — რა პატარა და ეგოისტი არსება ვარ! ისე ღრმად განიცადა მან ჩემი მწუხარება, თითქოს მისი საკუთარი მწუხარება ყოფილიყო“.

მონტანელიმ თავი ასწია და მიმოიხედა.

— კეთილი, აღარ დაგაძალებ იქ წასვლას. ყოველ შემთხვევაში ახლა, — ალერსიანი ხმით უთხრა პადრემ. — მაგრამ მომეცი სიტყვა, რომ კარგა მოისვენებ და ზაფხულის არდადეგების დროს იზრუნებ საკუთარ ჯანმრთელობაზე. შენთვის მართლაც უკეთესი იქნება სადმე ლივორნოდან მოშორებით მოეწყო. არ მინდა, რომ დასნეულდე.

— პადრე, სემინარია რომ დაიხურება, სად წახვალთ?

— შეგირდები უნდა წავიყვანო მთებში, როგორც ყოველთვის, და იქ მოვაწყო ისინი. აგვისტოს შუა რიცხვებში შვებულებიდან დაბრუნდება რექტორის თანაშემწე. მაშინ მე გავთავისუფლდები და გულის გადასაყოლებლად ალპებზე გავივლ-გამოვივლი. იქნებ შენც წამოსულიყავი ჩემთან? ერთად წავიდოდით ხანგრძლივ სამთო ექსკურსიაში და შენც ხელსაყრელი შემთხვევა გექნება ალპიური ხავსის ნიმუშების შესაგროვებლად. ოღონდ მეშინია არ მოგეწყინოს ჩემთან.

— პადრე! — აღფრთოვანებით შემოჰკრა ტაში არტურმა „უცხოელივით“, როგორც ამბობდა ჯულია. — არაფერს დავიშურებდი ამ ქვეყნად, ოღონდ თქვენთან ერთად გავმგზავრებულიყავი, მაგრამ... დარწმუნებული არა ვარ, რომ...

ის შეჩერდა.

— გინდა თქვა, რომ მისტერ ბერტონი ნებას არ მოგცემს?

— რა თქმა უნდა, წინააღმდეგი იქნება, მაგრამ ეს არ შემაჩერებს. უკვე თვრამეტი წლისა ვარ და შემიძლია მოვიქცე ისე,

Scanned by CamScanner

როგორც მსურს. გარდა ამისა, ის ხომ ჩემი მკვიდრი ძმა არაა. ვითომ რად უნდა გავუწიო ანგარიში მის სურვილებს?

— მაგრამ თუ მან სერიოზული წინააღმდეგობა გაგიწია, მგონი უკეთესი იქნება დაუთმო. შენი მდგომარეობა ამ ოჯახში გაუარესდება, თუ...

— გაუარესდება? სულაც არა! — გულმხურვალედ შესძახა არტურმა და სიტყვა შეაწყვეტინა. — მე მათ არასოდეს არ ვუყვარდი და არც შემიყვარებენ, რაც არ უნდა გავაკეთო. როგორ შეუძლია ჯემსს წინააღმდეგობა გამიწიოს, როცა თქვენთან ერთად, ჩემს "ულიერ მამასთან ერთად მივემგზავრები?

— გახსოვდეს, ის პროტესტანტია.[8] ყოველ შემთხვევაში, აჯობებს მისწერო მას. დავიცადოთ და ვნახოთ, რას გვიპასუხებს. მეტი მოთმინებაა საჭირო, ჩემო შვილო. ჩვენ არასოდეს არ უნდა ვიხელმძღვანელოთ იმისდა მიხედვით, ვუყვარვართ თუ ვეზიზღებით სხვებს.

ამ რბილმა დარიგებამ გავლენა იქონია არტურზე. ის ოდნავ გაწითლდა.

— დიახ, ვიცი, — თქვა და ამოიოხრა. — მაგრამ ეს ისე ძნელი მოსათმენია...

მონტანელიმ სხვაზე გადაიტანა საუბარი.

— იცი, — თქვა მან. — ძალიან ვინანე, რომ სამშაბათს ვერ შეძელი ჩემთან მოსვლა. აქ ეპისკოპოსი იყო არეცოდან[9] და მინდოდა გენახა.

— იმ დღეს ერთ სტუდენტს სიტყვა მივეცი მივსულიყავი. მის ბინაზე კრება იყო და მელოდნენ.

— რა კრება?

ეს კითხვა მოულოდნელი იყო არტურისათვის და, ცოტა არ იყოს, შეკრთა.

— ეს... ეს კრება კი არა, არამედ... — არტურს ნერვიულობა დაეტყო, ენა დაება და საქმის გამოსწორება მოინდომა, — გენუიდან ჩამოვიდა სტუდენტი და წარმოთქვა სიტყვა... უფრო სწორად რომ ვთქვა, ეს იყო ლექცია...

— რის შესახებ?

არტურმა ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა.

Scanned by CamScanner

— პადრე, თქვენ ხომ არ მკითხავთ იმ სტუდენტის გვარს? მე პირობა მივეცი...

— არაფერს არ გკითხავ. რაკი პირობა მიგიცია, საიდუმლოდ შეინახო ყველაფერი, არც უნდა თქვა. მაგრამ, ვფიქრობ, შეგიძლია დამენდო...

— რა თქმა უნდა, პადრე... მან ილაპარაკა ჩვენს მოვალეობაზე ხალხის წინაშე, ჩვენს... მოვალეობაზე საკუთარი თავის წინაშე. ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რით შეეძლია დაეხმაროთ...

— დაეხმაროთ? ვის?

— ხალხს... და...

— და?

— იტალიას.

ორივე დიდხანს დუმდა.

— მითხარი, არტურ, რამდენი ხანია, რაც ამაზე ფიქრი დაიწყე? — მიუბრუნდა მას მონტანელი სერიოზული სახით.

— გასული ზამთრიდან.

— ჯერ კიდევ დედის სიკვდილამდე? და მან არ იცოდა?

— არა, მაშინ კიდევ არ ვიყავი ამით გატაცებული.

— ახლა?

არტურმა ხელი გადაუსვა ფუტკარას შტოს და ყვავილები გააცალა.

— აი, როგორ მოხდა ეს, პადრე, — დაიწყო და თვალები დახარა. — შარშან შემოდგომაზე გამოცდებისათვის რომ ვემზადებოდი, გავეცანი სტუდენტებს, ზოგიერთი მათი წრიდან მიამბობდა ხოლმე ყველაფერს ამას... მაძლევდნენ საკითხავ წიგნებს, მაგრამ მაშინ ძლიერ არ გავუტაცივარ მათ. ყოველთვის დედასთან მიმეჩქარებოდა. მარტო იყო ლივორნოში! ეს სახლი კი არა, შინაური ციხეა. სხვა რომ არაფერი, დედას ჯულია მოკლავდა თავისი გესლიანი ენით! შემდეგ ზამთარი დადგა... დედა ავად შეიქნა. მე დამავიწყდა სტუდენტები, წიგნები და მალე, — გახსოვთ? — სრულიად აღარ დავდიოდი პიზაში, მაშინ რომ გატაცებული ვყოფილიყავი ამ საკითხებით, აუცილებლად გავუზიარებდი დედასაც. მაგრამ ისინი როგორღაც გაქრნენ ხსოვნიდან. მალე ცხადი გახდა, რომ დადგა მისი სიცოცხლის უკანასკნელი დღეები... მე არ მოვშორებივარ სიკვდილამდე.

Scanned by CamScanner

ხშირად ღამეებს თეთრად ვათენებდი დედის საწოლთან. დღისით კი ჯემა უორენი მოვიდოდა და მე დასაძინებლად მივეშურებოდი... აი, ამ გრძელ ღამეებში დავიწყე ფიქრი იმ წიგნებზე და იმის შესახებ, რაზედაც მეუბნებოდნენ ამხანაგები. ვცდილობდი გამერკვია, მართალი იყვნენ ისინი თუ არა, ხშირად დავფიქრებულვარ: რას იტყოდა ყველაფერ ამაზე ქრისტე?

— შენ მიგიმართავს მისთვის? — მონტანელის ოდნავ უკანკალებდა ხმა.

— ხშირად, პადრე. რამდენიმეჯერ კიდევაც ვთხოვე, ეთქვა ჩემთვის, როგორ მოექცეულიყავი, ანდა დედასთან ერთად მეც მოვეკალი, მაგრამ პასუხი არ მიმიღია.

— და შენ, არტურ, არასოდეს არც ერთი სიტყვა არ გითქვამს ჩემთვის. მე კი ყოველთვის მეგონა, რომ მენდობოდი.

— პადრე, განა თქვენ არ იცით, რომ გენდობით? მაგრამ არის ისეთი რამეებიც, რომლის შესახებ არავის არაფერი არ უნდა უთხრა. მეც მეგონა, რომ ამ საქმეში არავის არ შეეძლო დამხმარებოდა — არც თქვენ, არც დედას. მინდოდა პირდაპირ ღმერთისაგან მიმეღო პასუხი. თქვენთვის ხომ გასაგებია: იმ წუთებში წყდებოდა ჩემი სიცოცხლის, ჩემი სულის საკითხი.

მონტანელიმ სახე იბრუნა და თვალები მიაშტერა ბინდს, რომელსაც მაგნოლიის ტოტები დაებურა.

— შემდეგ? — ნელა იკითხა მან

— შემდეგ... დედა მიიცვალა. უკანასკნელი სამი ღამე არ მოვშორებივარ მას.

არტური დადუმდა, მაგრამ მონტანელი არ იძვროდა.

— ორი დღის განმავლობაში გასვენების წინ არაფერზე ფიქრი არ შემეძლო, — განაგრძობდა არტური ჩუმი ხმით. — დაკრძალვის შემდეგ კი ლოგინად ჩავვარდი. გახსოვთ, აღსარებაზე მოსვლა რომ ვერ შევძელი?

— მახსოვს.

— აი, იმ ღამეს ავდექი და დედის ოთახში შევედი. ოთახი ცარიელი იყო. მხოლოდ საწოლის თავში იდგა დიდი ჯვარცმა. მეჩვენებოდა, რომ ღმერთი დამეხმარებოდა... მუხლებზე დავემხე და ვევლოდი მთელი ღამის განმავლობაში. დილით კი, როცა გამოვერ-

Scanned by CamScanner

კვიე... არა, პადრე! ვერ შეეძლებ აგიხსნათ, თუ რა ვნახე. თვითონაც ბუნდოვნად მახსოვს. ვიცი მხოლოდ ის, რომ ღმერთმა მიპასუხა და ვერ გავბედავ წინ აღვუდგე მის ნება-სურვილს.

ისინი ერთხანს ხმაამოუღებლად ისხდნენ სიბნელეში. შემდეგ მონტანელიმ მხარზე ხელი დაადო არტურს.

— შვილო ჩემო, — წარმოთქვა მან ბოლოს.—ღმერთმა დამიფაროს გითხრა, უფალი არ ესაუბრა-მეთქი შენს სულს. მაგრამ გახსოვდეს, რა პირობებში მოხდა ეგ ყველაფერი, და სევდით გამოწვეული ეგ ფიქრი არ მიიღო, როგორც ღვთის მოწოდება. თუ მართლაც ინება მან პასუხი გაეცა შენთვის, როცა სიკვდილმა მოინახულა შენი სახლი. იცოდე, დაუკვირდი და ისე ახსენი მისი სიტყვები, რომ შეცდომა არ მოგივიდეს. რას მოგიწოდებს შენი გულისთქმა?

არტური წამოდგა და ისეთი საზეიმო კილოთი უპასუხა, თითქოს კატეხიზმის[10] სიტყვებს იმეორებდა:

— სიცოცხლე გავწირო იტალიისათვის[11], გავათავისუფლო ის მონობისაგან, სიღარიბისაგან, გავრეკო ავსტრიელნი და შევქმნა თავისუფალი რესპუბლიკა, რომელსაც ეყოლება მხოლოდ ერთი ბატონი — ქრისტე!

— არტურ, დაფიქრდი, რას ლაპარაკობ: შენ ხომ იტალიელიც არა ხარ!

— ეგ სულ ერთია. მე ის ვარ, რაც ვარ. ასეთი იყო ზეციური განგება და მე მას ვასრულებ.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— შენ ამბობ, რომ ქრისტე... — ნელა წამოიწყო მონტანელიმ, მაგრამ არტურმა აღარ დაამთავრებინა:

— ქრისტემ თქვა: „ვინც თავს გასწირავს ჩემი გულისათვის, ამით სულს გადაარჩენსო“.

მონტანელი მაგნოლიის ტოტს დაეყრდნო და თვალებზე ხელი მიიფარა.

— ერთი წუთით დაჯექი, შვილო ჩემო, — წარმოთქვა მან ბოლოს.

არტური დაეშვა მერხზე, მონტანელიმ ორივე მისი ხელი ხელებში დაიკავა და ღონივრად, დიდხანს უყურდა მათ.

Scanned by CamScanner

— ამ წუთში არ შემიძლია, რაიმეზე შეგედავო... ყველაფერი ეგ ისე უეცრად მოხდა... არ მიფიქრია ამაზე... სანამ გავერკვეოდე, დრო მჭირდება... უფრო დაწვრილებით როგორმე შემდეგ მოვილაპარაკებთ... ახლა კი გთხოვ, ერთი რამ გახსოვდეს: შენ თუ რამე უბედურება შეგემთხვა და დაიღუპე, ჩემი გული ვერ გაუძლებს ამას...

— პადრე!

— ნუ შემაწყვეტინებ, მომეცი საშუალება, ვთქვა ბოლომდე. ერთხელ, უკვე გითხარი, რომ ამ ქვეყანაზე შენს გარდა, არავინ გამაჩნია. მე მგონია, სავსებით არ გესმის ამ სიტყვების მნიშვნელობა. ძნელია შენთვის ამის გაგება, — ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხარ. შენს ასაკში, არტურ, ალბათ ვერც მე გავიგებდი. შენ ჩემთვის იგივე ხარ, რაც... რაც საკუთარი შვილი. გესმის, რას ვამბობ? შენ ჩემი თვალის სინათლე ხარ, ჩემი სიხარული! მზად ვარ, თავი გავწირო, ოღონდ კი მცდარ ნაბიჯს აგაშორო და სიცოცხლე შეგინარჩუნო! მაგრამ ახლა უღონო ვარ... არ მოვითხოვ შენგან პირობა მომცე... მხოლოდ გთხოვ, გახსოვდეს, რაც გითხარი და ფრთხილად იყავი. კარგად დაფიქრდი, სანამ გადაწყვეტდე... გააკეთე ეს ჩემთვის, შენი გარდაცვლილი დედის და... ჩემი ხათრით.

— კეთილი, პადრე. თქვენ კი... ილოცეთ ჩემთვის და იტალიისათვის.

არტურმა მუხლებზე დაიჩოქა, მონტანელიმ კი ხელი დაადო დახრილ თავზე. რამდენიმე წუთმა სიჩუმეში გაიარა. არტური წამოდგა, პადრეს ხელზე ემთხვია და ნელა გაჰყვა დაცვარულ, სველი ბალახით დაფარულ ბილიკს. მონტანელი მარტო დარჩა მაგნოლიის ქვეშ და თვალი გაუშტერა სიბნელეს.

„შურისძიება უფლისა არ ამცდება მე, როგორადაც მეფე დავითს, — ფიქრობდა მონტანელი. — მე წავბილწე საკურთხეველი მისი და ქრისტეს სხეულს უწმინდური ხელით შევეხე. მოთმინება უფლისა დიდი იყო, მაგრამ, აი, მისი დასასრულიც დადგა. „რამეთუ შენ ჰქმენ ესე იდუმალ, მე კი ვიქმ წინაშე მთელი ისრაელის ხალხისა და წინაშე მზისა: ძე, შობილი შენგან, მოკვდება“.

Scanned by CamScanner

თავი მეოთხე

მისტერ ჯემს ბერტონს არ მოსწონდა თავისი გერი ძმის განზრახვა—„შვეიცარიაში ყიალი დაეწყო“ მონტანელისთან ერთად. ამავე დროს, უხერხულად მიაჩნდა აეკრძალა მისთვის ეს უბრალო გასეირნება ღვთისმეტყველების პროფესორთან ერთად და, ამასთანავე, იმ კეთილი მიზნით, რომ ბოტანიკაში მეტი ცოდნა შეეძინა. არტური მეტისმეტ დესპოტობად ჩათვლიდა, ვერაფრით ვერ გაიგებდა, რატომ აუკრძალეს და ამგვარ მოქმედებას მხოლოდ რასიულ და რელიგიურ ცრუმორწმუნეობას მიაწერდა. ბერტონები კი დიდად ამაყობდნენ თავისი რჯულშემწყნარებლობით. მათი ოჯახის ყველა წევრი თავგამოდებული კონსერვატორი და პროტესტანტი იყო დიდი ხნიდან, ჯერ კიდევ მაშინ, როცა დაარსდა გემების მეპატრონეთა კომპანია „ბერტონი და მისი ვაჟიშვილები, ლონდონი — ლივორნო“. ეს კომპანია კი, აგერ, ას წელზე მეტი იყო, რაც უკვე მოღვაწეობდა.

ბერტონები იმ აზრს ადგნენ, რომ ინგლისელი ჯენტლმენი კათოლიკეებთან ბრძოლაშიც პატიოსანი უნდა იყოს; ამიტომ, როცა ოჯახის უფროსი დაქვრივების შემდეგ ვერ შეეგუა თავის მდგომარეობას და ცოლად შეირთო მისი უმცროსი შვილების ლამაზი აღმზრდელი კათოლიკე ქალი, ორი უფროსი ვაჟი, ჯემსი და ტომასი გულჩათუთქული შეურიგდნენ იმ აზრს, რომ შინ დედინაცვალი ჰყავდათ, და ისიც თითქმის მათი ხნის.

მამის სიკვდილის შემდეგ ოჯახური უთანხმოება უფრო გაამწვავა უფროსი ვაჟის დაქორწინებამ; მაგრამ სანამ გლედისი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ორივე ძმა მუდამ ცდილობდა დაეცვათ იგი ჯულიას გესლიანი, დაუნდობელი ენისაგან, არტურის მიმართ კი ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას ისე, როგორც ესმოდათ. მათ არ უყვარდათ არტური და არ ცდილობდნენ ამის დამალვას. მათი ძმური გრძნობა გამოიხატებოდა იმაში, რომ არ ენანებოდათ მისთვის მოწყალება და სრულ თავისუფლებას აძლევდნენ ბავშვს.

თავისი წერილის საპასუხოდ არტურმა მიიღო ჩეკი, რომელსაც უნდა დაეფარა მისი საგზაო ხარჯები და, ამას გარდა გულცივი ნე-

Scanned by CamScanner

ბართვა, ესარგებლა საზაფხულო არდადეგებით ისე, როგორც სურდა.

ფულის ნაწილი არტურმა დახარჯა ბოტანიკის წიგნებსა და მცენარეთა გასახმობად საჭირო საქაღალდეებზე, და მალე გასწია თავის სულიერ მამასთან ერთად ალპების მთებში სამოგზაუროდ.

მონტანელი ახლა უკეთეს გუნებაზე იყო. არტურს დიდი ხანია არ ენახა ასეთი. იმ პირველი შეშფოთების შემდეგ, რომელიც მონტანელიმ ბაღში გამართული საუბრის დროს განიცადა, თანდათან დაუბრუნდა სულიერი წონასწორობა და ახლა უფრო დამშვიდებულად უყურებდა ყველაფერს. „არტური ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა და გამოუცდელია, — ფიქრობდა ის. — შეუძლებელია, მისი გადაწყვეტილება საბოლოო იყოს. ჯერ კიდევ არის დრო, ჩაგონების და, დარიგების საშუალებით ააცდინო იმ საშიშ გზას, რომელსაც ეს-ეს არის წინდაუხედავად დაადგა“.

რამდენიმე დღე ჟენევაში უნდა გაეტარებინათ, მაგრამ არტურს მოწყენილობა დაეტყო, როგორც კი დაინახა მზისგან თვალისმომჭრელად გაკაშკაშებული ქუჩები და მტვრიანი სანაპიროები, სადაც შეუწყვეტლივ მიდი-მოდიოდნენ ტურისტები. მონტანელი მშვიდი ღიმილით ადევნებდა მას თვალყურს.

— რა იყო, ჩემო კარგო? არ მოგწონს აქაურობა?

— თვითონაც არ ვიცი, რა გითხრათ. ყოველ შემთხვევაში, ის არ არის, რასაც ველოდი. ტბა მართლაც მშვენიერია. გორაკებიც ლამაზია. — ორივენი რუსოს კუნძულზე[12] მიდგნენ და არტური ხელით აჩვენებდა მონტანელის სავოის ალპების განშტოების გრძელ და კარგად გამოსახულ კონტურებს. — მაგრამ ქალაქი... ისეთი გალოკილი და გახამებულია... როგორც ნამდვილი გულზვიადი პროტესტანტი. არა, არ მომწონს. მას რომ ვუცქერი, ჯულია მაგონდება.

მონტანელის გაეცინა.

— საბრალოვ, პირდაპირ ბედი არ გწყალობს! რა გაეწყობა, ჩვენ საკუთარი სიამოვნებისათვის ვმოგზაურობთ და უმიზეზოდ რად უნდა გავჩერდეთ აქ. დღეს აფრიანი ნავით გავისეირნოთ ტბაზე, ხვალ დილით კი მთებს მივაშუროთ.

— პადრე, იქნებ თქვენ მეტი ხნით გინდოდათ აქ გაჩერება?

Scanned by CamScanner

— ჩემო კარგო, აქაურობა მე მრავალჯერ მინახავს და ჩემთვის ნამდვილ მოსვენებას ახლა შენი სიამოვნების ცქერა წარმოადგენს. საითა გსურს გამგზავრება?

— რახან თქვენთვის სულ ერთია, მინდა ზევით ავყვეთ მდინარეს, მისი სათავე ვნახოთ.

— ზევით ავყვეთ რონას?

— არა, არვას. ის ისე სწრაფად მოჩქეფს.

— მაშ, შამონში წავიდეთ.

მთელი დღე იალქნიანი ნავით ისეირნეს. თვალწარმტაცმა ტბამ არტურზე ნაკლები შთაბეჭდილება მოახდინა, ვიდრე ნაცრისფერმა და მღვრიე არვამ. არტური ხმელთაშუა ზღვის ახლოს იყო გაზრდილი და მისი თვალები მიჩვეული იყო ცისფერ ტალღებს. მაგრამ გატაცებით უყვარდა ჩქარი მდინარეები და მყვინვარებიდან დაქანებული სწრაფი ნაკადების სრბოლას აღტაცებაში მოჰყავდა.

— ამ ნაკადში იმდენი სიცოცხლეა, იმდენი ცეცხლია!.. — ამბობდა ხოლმე ის.

მეორე დღეს დილაადრიან შამონში გაემგზავრნენ. ვიდრე ნაყოფიერ ველზე მიდიოდნენ, არტური ძალიან კარგ გუნებაზე იყო, მაგრამ აი, გზის მოსახვევს მიუახლოვდნენ. მაღალი, წვეტიანი მთები სალტედ შემოერტყა მათ. არტური დადუმდა და დასერიოზულდა. სენ მარტენიდან ისინი ნელა შეუდგნენ აღმართს, ღამეს ათევდნენ შალეში[13] — მგზავრებისათვის საგანგებოდ აშენებულ ქოხებში ან მთის პატარა სოფლებში და შემდეგ ისევ გზას განაგრძობდნენ. არტური მოხიბლა ალპების სილამაზემ, პირველმა ჩანჩქერმა, რომელიც მათ გაიარეს, აღტაცებაში მოიყვანა. სახე ისე უბრწყინავდა, რომ შეგეხედათ, გესიამოვნებოდათ. მაგრამ რაც უფრო უახლოვდებოდნენ თოვლიან მწვერვალებს, ბავშვური სიხარული ეცვლებოდა და მთელ მის არსებას აღფრთოვანებული ოცნება იპყრობდა. მონტანელი გაკვირვებით შეჰყურებდა ჭაბუკს. ეჩვენებოდა, თითქოს ყმაწვილსა და ამ ზვიად მთებს შორის ნათესაური კავშირი ყოფილიყო. არტური მზად იყო, მთელი საათობით ჩუმად მჯდარიყო ბნელ, საიდუმლოებით სავსე ფიჭვის ტყეში და ეცქირა, როგორ კაშკაშებდნენ მზის სხივებში გახვეული

Scanned by CamScanner

მწვერვალები და მოტიტვლებული კლდეები. შოხტანელი სევდითა და შურით ადევნებდა თვალს არტურს.

— ნეტავ ვიცოდე, ჩემო კარგო, მანდ რას ხედავ, — უთხრა მან ერთხელ.

მონტანელიმ წიგნს თვალი მოსწყვიტა და მიაჩერდა არტურს, რომელიც აგერ საათზე მეტი იქნებოდა, რაც ხავსით დაფარულ მიწაზე გაშოტილიყო და ფართოდ გახელილ თვალებს არ აშორებდა მაღლა აზიდულ მთებს და მათ ზემოთ გადაშლილ ცისფერ სივრცეს.

მონტანელიმ და არტურმა გადაწყვიტეს, ღამე გაეტარებინათ პატარა სოფელში, დიოზის ჩანჩქერის მახლობლად. საღამოპირას გზიდან გადაუხვიეს და ფიჭვებით დაფარულ გორაკზე ავიდნენ, რომ იქიდან დამტკბარიყვნენ მონბლანის მწვერვალისა და პიკების თავზე მზის ჩასვლის ცქერით. არტურმა თავი ასწია და მოჯადოებულივით შეხედა მონტანელის.

— რას ვხედავ, პადრე? თითქოსდა მუქი კრისტალის იქით, უსასრულო ცისფერ უდაბნოში მე ვხედავ თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილ დიდებულ არსებას. ის საუკუნეების განმავლობაში ელოდება, რომ ღმერთმა სული ჩაბეროს.

მონტანელიმ ამოიოხრა:

— ოდესღაც მეც მელანდებოდა ხოლმე ასეთი მოჩვენებები.

— ახლა?

— ახლა აღარ. ახლა ეგეთი რამ აღარ მოხდება. ვიცი, ისინი არ გამქრალან, მაგრამ ჩემი თვალები ვეღარ დაინახავენ. მე სულ სხვა რაიმეს ვხედავ.

— მაინც რას ხედავთ?

— რას ვხედავ, ჩემო კარგო? მტრედისფერ ცას და თოვლიან მწვერვალს, ხოლო იქ ჩემი თვალები სხვა რაიმესაც ჭვრეტენ. — მონტანელიმ ქვემოთ, ხეობისკენ მიუთითა.

არტურმა მუხლებზე დაიჩოქა და უფსკრულის პირას დაიხარა. საღამოს ბინდით შემობურული უზარმაზარი ფიჭვები დარაჯებივით იდგნენ მდინარის ვიწრო ნაპირების გასწვრივ. გავიდა ერთი წუთი — გავარვარებული ნახშირივით წითელი მზე მიეფარა დაკბილულ კლდეს და ირგვლივ ყველაფერი ჩაქრა. რაღაც ბნელი და

Scanned by CamScanner

მრისხანე ჩამოაწვა მთელ ხეობას. დასავლეთით საშინელი ურჩხულის ეშვებივით ამართულიყო ცისკენ ფრიალო კლდეები, გეგონებოდათ, ეს ურჩხული ეს-ეს არის ეცემა თავის მსხვერპლს და გააქროლებს ქვევით, უფსკრულის დაფჩენილ ხახაში, სადაც ქარი ქრის და ყრუდ გმინავს ტყე. მაღალი ფიჭვები წვეტიანი დანებივით ამოზიდულიყვნენ და თითქოს უხმოდ ჩურჩულებდნენ: „დაგვეცი ზედ!“ მთის ნაკადული შფოთავდა და ბობოქრობდა სიბნელეში და დაუსრულებელი სასოწარკვეთილებით ეხეთქებოდა თავისი საპყრობილის ქვის კედლებს.

— პადრე! — არტური შეკრთა. წამოდგა და მოშორდა უფსკრულის ნაპირს. — ეს ადგილი ჯოჯოხეთსა ჰგავს!

— არა, ჩემო შვილო! — ჩუმად ჩაილაპარაკა მონტანელიმ. — ის ადამიანის სულს უფრო ჰგავს.

— იმათ სულებს, ვინც ბნელში დაბორიალობს და ვისაც სიკვდილი თავისი ფრთით შეხებია?

— არა, იმათ სულებს, ვისაც შენ ქუჩაში ყოველდღიურად ხვდები.

არტური აბუზული იცქირებოდა ქვემოთ, სიბნელისკენ. მღვრიე მოთეთრო ნისლი ისე დაცურავდა ფიჭვებს შუა და ისე ზანტად მოიწევდა აბობოქრებული ნაკადის თავზე, თითქოს ნაღვლიანი მოჩვენება ყოფილიყოს, რომელსაც ძალა არ შესწევს რაიმე სანუგეშო სიტყვა თქვას.

— შეხედეთ! — უეცრად წამოიძახა არტურმა. — ხალხმა, რომელიც სიბნელეში დაბორიალობდა, სინათლე იხილა!

დაისმა აღმოსავლეთით მთის დათოვლილი მწვერვალები აალაპლაპა. მაგრამ როგორც კი ჩაქრა მისი ანაბზინი, მონტანელი მიუბრუნდა არტურს და მხარზე ხელი დაადო:

— წავიდეთ, ძვირფასო. უკვე დაბნელდა და ვაითუ მერე გზა დაგვებნეს.

— ეს მთა მიცვალებულს მაგონებს, — თქვა ჭაბუკმა და თვალი მოაშორა შორს მოელვარე თოვლიან მწვერვალს.

ისინი ფრთხილად ჩამოდიოდნენ დაღმართზე ჩაბნელებულ ხეებს შუა და მიემართებოდნენ შალესკენ, სადაც ღამე უნდა გაეთიათ.

როცა მონტანელი ოთახში შევიდა, დაწინაურებული არტური

Scanned by CamScanner

უკვე სუფრას უჯდა და უცდიდა, რომ ერთად ევახშმათ. მონტანელი დარწმუნდა, რომ ყმაწვილს უკვე დავიწყებოდა თავისი პირქუში მოჩვენებანი და ხალისი მისცემოდა.

— პადრე, მოდით აქ, ჩქარა მოდით და ერთი შეხედეთ იმ სასაცილო პატარა ძაღლს! უკანა ფეხებზე დამდგარა და ცეკვავს!

არტური ახლა იმგვარადვე იყო გატაცებული ძაღლით და მისი ოინებით, როგორც ერთი საათის წინათ ალპიური ციალის ცქერით.

შალეს დიასახლისი, თეთრწინსაფრიანი და ლოყაწითელი დედაკაცი, დოინჯებშემოყრილი იდგა და ღიმილით შესცქეროდა, როგორ ეთამაშებოდა ბიჭი ძაღლს.

— როგორც ჩანს, ამ ყმაწვილს არავითარი დარდი არ უნდა აწუხებდეს, — უთხრა მან თავის ქალიშვილს ადილობრივ კილოკავზე. — ხედავ, როგორი გატაცებით ეთამაშება! მერე რა ლამაზი ბიჭუნაა!

არტური მოწაფესავით გაწითლდა. დედაკაცი მიხვდა, რომ ჭაბუკმა გაიგო მისი სიტყვები და დაცინვით გაშორდა.

ვახშმის დროს არტური სულ იმაზე ლაპარაკობდა, თუ როგორ იმგზავრებდნენ ხვალ, როგორ ავიდოდნენ მთებზე და რა მცენარეებს შეაგროვებდნენ. მოჩვენებებს, რომლებიც ცოტა ხნის წინ წარმოუდგნენ, ეტყობა, ვერავითარი გავლენა ვერ მოეხდინა მის გუნებასა და მადაზე.

დილით, როცა მონტანელის გაეღვიძა, არტური ოთახში აღარ იყო. ჯერ კიდევ ცისკარზე წასულიყო ზემო საძოვრებზე, რომ „თხების მწყემს გასპარას“ დახმარებოდა.

მაგრამ დიდხანს არ დასჭირდა ცდა მონტანელის. ჯერ საუზმეც არ შემოეტანათ, რომ არტური მინდვრის ყვავილების თაიგულით ოთახში უქუდოდ შემოვარდა. მხარზე ჩიტივით შემოესკუპებინა გლეხის პატარა, სამი წლის გოგონა.

ღიმილით შეხედა მას მონტანელიმ. რა საოცარი განსხვავება იყო იმ მდუმარე არტურთან, რომელსაც პიზაში ან ლივორნოში ხედავდა!

— სად იყავი, შე გიჟო? ალბათ მშიერი დაეხეტებოდი მთებში, ხარ?

Scanned by CamScanner

— რომ იცოდეთ, პადრე, რა კარგია იქ! მთები საოცრად დიადია მზის ამოსვლისას, მიწაზე კი ისეთი ცვარია!.. შეხედეთ!

ფეხი ასწია და დაახედა თავის სველ, გატალახიანებულ ფეხსაცმელზე.

— ჩვენ ცოტაოდენი პური და ყველი გვქონდა, საძოვრებზე კი თხის რძეც ვიშოვეთ... საშინლად უგემური ყოფილა! ძალიან მოშშივდა და ამ პატარა ქალბატონსაც უნდა ვაჭამოთ რაიმე. ანეტ გიყვარს თაფლი?

დაჯდა, მუხლებზე დაისვა გოგონა და ყვავილების შეკვრაში დაეხმარა.

— არა, არა! — ჩაერია მონტანელი. — წადი ახლავე და ტანსაცმელი გამოიცვალე, თორემ გაცივდები... აქ მოდი, ანეტ... საღ ნახე ეს გოგო, არტურ?

— სოფლის ბოლოში. ეს გოგონა შვილია იმ გლეხისა, თუ გახსოვთ, გუშინ საღამოს რომ შევხვდით. ფეხსაცმლის მკერავია ამ სოფელში. შეხედეთ, რა ლამაზი თვალები აქვს ანეტს! იცით ჯიბეში ცოცხალი კუ ჰყავს, კაროლინას ეძახის.

არტურმა გამოიცვალა სველი წინდები და სასაუზმოდ ძირს ჩავიდა. ანეტი მუხლებზე უჯდა პადრეს და შეუჩერებლად ეტიტინებოდა კუზე, რომელიც ფუნჩულა ხელებში გადატრიალებული ეჭირა, რომ monsieur-ს დაენახა, როგორ ამოძრავებდა ის თათებს.

— შეხედეთ, monsieur!* — სერიოზულად, ოდნავ გასაგებ ადგილობრივ კილოზე ეუბნებოდა გოგონა. — შეხედეთ, როგორი ფეხსაცმელები აქვს კაროლინას!

მონტანელი ართობდა ბავშვს, თმაზე ხელს უსვამდა, ალერსიანად დაჰყურებდა კუს და გოგონას საუცხოო ზღაპრებს უამბობდა.

დიასახლისი სუფრის ასალაგებლად შემოვიდა და გაკვირვებით შებედა ანეტს, რომელიც ჯიბეებში ხელებს უფათურებდა სასულიერო ტანსაცმელში გამოწყობილ ბატონს.

— პატარებს ღმერთი ეხმარება კარგი ადამიანების ცნობაში, — თქვა დედაკაცმა. — ანეტს ყოველთვის ეშინია უცხოელების, ახლა კი, ვხედავ, სრულიად არ უფრთხის თქვენთან ყოფნას. საკვირველი

* ბატონი (ფრანგ.).

Scanned by CamScanner

ამბავია! ანეტ! ახლავე დაიჩოქე და კურთხევა სთხოვე ამ კეთილ ბატონს, სანამ არ წასულა. ამით შენ ბედნიერებას მოიპოვებ...

— ვერც კი წარმოვიდგენდი, პადრე, რომ თქვენ ასე კარგად იცოდით ბავშვების გართობა, — უთხრა არტურმა ერთი საათის შემდეგ, როცა ისინი მზით განათებულ საძოვრებზე მიაბიჯებდნენ. — ის ბავშვი ერთი წუთითაც არ გაშორებდათ თვალს. იცით, რას ვფიქრობ?

— რას?

— მე მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, რომ... ჩემი აზრით, ძალზე საწყენია, რომ ეკლესია უკრძალავს მღვდლებს ცოლის შერთვას: სრულიად არ მესმის, რატომ. ბავშვების აღზრდა სერიოზული საქმეა და მათთვის ძალიან საჭიროა, რომ დაბადებიდანვე კარგ გავლენას განიცდიდნენ. მე მგონია, რაც უფრო მაღალი მოწოდება აქვს ადამიანს და რაც უფრო წმინდა ცხოვრებას ატარებს, მით უფრო გამოდგება მამად. დარწმუნებული ვარ, თქვენ რომ ალთქმა არ მიგეცათ და ცოლი გყოლოდათ, თქვენი შვილები იქნებოდნენ ძალიან...

— გაჩუმდი!

ეს იყო თქმული აჩქარებული, მღელვარებით სავსე ჩურჩულით და მან უფრო გააღრმავა ჩამოვარდნილი ხანგრძლივი სიჩუმე.

— პადრე, — წამოიწყო ისევ არტურმა დაღონებულმა იმით, რომ მონტანელის მოღუშულს ხედავდა, — განა მე რამეს ურიგოს ვამბობ? რა თქმა უნდა, შესაძლოა ვცდებოდე, მაგრამ ვთქვი ის, რასაც ვფიქრობდი.

— იქნებ შენთვის სავსებით ნათელი არ არის მაგ შენი სიტყვების აზრი, — ლმობიერად უპასუხა მონტანელიმ. — გაივლის წლები და ბევრს ახალს გაიგებ ქვეყანაზე. იცი რა, მოდი ახლა სხვა რამეზე ვილაპარაკოთ.

ეს იყო პირველი დისონანსი იმ სრულ ჰარმონიაში, რომელიც დამყარდა მათ შორის არდადეგების დროს.

შამონიდან ისინი ტეტ-ნუარზე ავიდნენ და მერე მარტინიაში შეისვენეს, რადგან ძალიან ცხელი დღეები იდგა.

ნასადილევს სასტუმროს დაჩრდილულ აივანზე გამოვიდნენ. აქედან მშვენიერი ხედი იყო გადაშლილი. არტურმა მოიტანა ყუთი,

Scanned by CamScanner

რომელშიაც მცენარეები ჰქონდა ჩაყრილი და მონტანელისთან სერიოზული საუბარი გაბა ბოტანიკაზე. ისინი იტალიურად ლაპარაკობდნენ.

აივანზე ორი ინგლისელი მხატვარი იჯდა. ერთი ბუნებას ხატავდა, მეორე კი ზანტად ლაპარაკობდა თავის ენაზე. მას ვერც კი წარმოედგინა, რომ უცხოელებს გაეგებოდათ ინგლისური.

— ნუ თითხნი, თავი დაანებე, ვილი, — თქვა მან. — უმჯობესია, დახატო აგერ ის ლამაზი იტალიელი ბიჭუნა, რომელიც აღტაცებულია გვიმრათი. ერთი შეხედე, როგორი წარბები აქვს! ჯვარცმით შეუცვალე ის გამადიდებელი შუშა, რომელიც ხელში უჭირავს, ჩააცვი რომაული ტოგა მოკლე შარვლისა და ქურთუკის მაგივრად და შენს წინაშე წარმოდგება პირველი საუკუნეების ქრისტიანის დასრულებული ტიპი.

— ქრისტიანი კი არა! სადილის დროს მე მის ვვეოდით ვიჯექი. ის ისეთივე აღტაცებით უყურებდა შემწვარ ქათამს, როგორც ახლა იმ სარეველა ბალახს. რა თქმა უნდა, ძალიან მომხიბლავია: საუცხოო სახის ფერი აქვს, ზეთისხილისმაგვარი; მაგრამ მამამისი გაცილებით უფრო მომხიბლავია.

— ვინა?

— მამამისი, რომელიც თქვენს პირდაპირ ზის. ნუთუ არ დაინტერესდით?

— ეჰ, შე მიამიტო მათოდისტო![14] ნუთუ ვერ გიცვნია კათოლიკების მღვდელი, რომელიც ცხვირწინ გიზის?

— მღვდელიო... ჰო, თურმე მართლა! სრულიად დამავიწყდა: აღთქმა უბიწოების შესახებ[15] და სხვა ამგვარი... მეტი რა ძალაა, ამ შემთხვევაში გამოვიჩინოთ ლმობიერება და ისე წარმოვიდგინოთ, რომ ყმაწვილი მისი ძმისწულია...

— რა იდიოტები არიან! — ჩურჩულით თქვა არტურმა და მხიარულად შეხედა მონტანელის. — მიუხედავად ამისა, მაინც კმაყოფილი ვარ, რომ ჩემსა და თქვენს შორის მსგავსებას პოულობენ, ძალიან მოხარული ვიქნებოდი, რომ მართლაც თქვენი ძმისწული ვყოფილიყავი... რა მოგვიდათ, პადრე? როგორ გაფითრდით!

მონტანელი ადგა და შუბლზე ხელი მიიდო.

Scanned by CamScanner

— თავბრუ დამესხა, — წარმოთქვა მან გასაოცარი ჩუმი ხმით. — ალბათ დღეს დიდხანს ვიყავი მზეზე. წავალ და დავწვები, ძვირფასო, გაიცალეს... სიცხის ბრალია.

* * * * * *

არტურმა და მონტანელიმ ორი კვირა გაატარეს ლუკერნის[16] ტბასთან და ახლა იტალიაში ბრუნდებოდნენ სენგოტარდის[17] უღელტეხილით. მთელი ეს დრო საუცხოო ამინდი იდგა. არა ერთი საინტერესო ექსკურსია მოაწყვეს და ძალიან კმაყოფილიც იყვნენ მაგრამ ბოლოს რატომღაც დაუცხრათ ბუნების მშვენიერებით გამოწვეული აღტაცება.

მონტანელის არ შორდებოდა ეჭვი იმაზე, რომ აუცილებელი იყო უფრო გულდასმით მოელაპარაკა არტურთან. არდადეგები სელსაყრელ დროს წარმოადგენდა ამისათვის. არვას ხეობაში მოგზაურობისას მონტანელი განზრახ თავს არიდებდა განეახლებინა იმ თემაზე საუბარი, რომელიც ბალში მაგნოლიის ქვეშ ჰქონდათ. მონტანელის არ უნდოდა გულქვაობა გამოეჩინა და წაემწარებინა სიხარული, რომელსაც არტური ალპიურ ბუნებაში ყოფნისას განიცდიდა, რაც აუცილებლად მოხდებოდა, თუ იმ საუბარს განაახლებდა. იმ დღიდან კი, როცა ისინი მარტინიაში იყვნენ, მონტანელი ყოველ დილით ეუბნებოდა თავის თავს: „დღეს კი უეჭველად მოველაპარაკები“, მაგრამ დადგებოდა საღამო, ისევ გადადებდა საუბარს და ისევ იმით ინუგეშებდა თავს, „ხვალ ვისაუბრებთო“. არდადეგები თავდებოდა, მონტანელი კი სულ იმეორებდა: „ხვალ, ხვალ“. მას აჩერებდა გულისმომწყვლელი, ძნელად ასახსნელი და ბუნდოვანი ფიქრი იმის შესახებ, რომ მათ შორის თითქოს რაღაც ფარდა ჩამოეშვა და ერთმანეთისაგან დაშორების წუთი თანდათან ახლოვდებოდა. დადგა არადადეგების უკანასკნელი საღამო. მონტანელი მიხვდა, რომ მოვიდა არტურთან მოლაპარაკების დრო.

ღამის გასათევად ისინი ლუკანოში გაჩერდნენ, მეორე დილით კი პიზაში უნდა გამგზავრებულიყვნენ. მონტანელის უნდოდა ის მაინც გამოერკვია, თუ რამდენად გაიტაცა მისი ძვირფასი ბიჭუნა იტალიის საბედისწერო ბუნდოვანმა პოლიტიკამ.

Scanned by CamScanner

— წვიმამ გადაიღო, — თქვა მან. — ახლა სწორედ კარგი დროა ტბის დასათვალიერებლად. წავიდეთ, შენთან მოლაპარაკება მინდა.

გაჰყვნენ ტბის ნაპირს, მოძებნეს მყუდრო ადგილი და დაბალ ქვის ყორეზე ჩამოსხდნენ. იქვე გვერდით ჩანდა წითელი ასკილით დაფარული ბუჩქი. წვიმის წვეთებით დამძიმებული რამდენიმე დაგვიანებული ფერმკრთალი კუკური ჩამოკიდებულიყო ყველაზე მაღალი ტოტიდან. ტბის მწვანე ზედაპირზე დასრიალებდა პატარა ნავი, რომლის თეთრ აფრას ნელი ქარი არხევდა. ნავი მსუბუქი ჩანდა და წყალში გადასროლილ ვერცხლისფერ ბაბუაწვერას ჰგავდა. მონტე-სალვატორეს გორაკზე განმარტოებული მწყემსის ქოხის ფანჯარამ ოქროსფერი თვალი გაახილა. ვარდებს თავი დაეხარათ და თვლემდნენ სექტემბრის ნისლიანი ცის ქვეშ; მოვარდნილი ტალღა ნელი ჩქრიალით გადაირბენდა კენჭებით დაფარულ ნაპირზე.

— მხოლოდ ახლა შემიძლია გულდასმით და ვრცლად მოგელაპარაკო, — დაიწყო მონტანელიმ. — შენ დაუბრუნდები უნივერსიტეტის მუშაობას, შენს ექსპერიმენტებს, მე კი ამ ზამთარში დრო არ მექნება. ახლა მინდა გაძოვარკვიო, რა დამოკიდებულება არსებობს ჩვენს შორის და თუ შენ...

წუთით შეჩერდა და შემდეგ უფრო ნელა დაილაპარაკა:

— ...თუკი შენ გრძნობ, რომ ძველებურად შეგიძლია დამენდო, მითხარი უფრო გასაგებად, ვიდრე იმ საღამოს სემინარიის ბაღში, რამდენად ძლიერია შენი გატაცება...

არტური უყურებდა წყლის რხევას, დამშვიდებით უსმენდა პადრეს და არაფერი არ უპასუხა.

— მინდა ვიცოდე, თუკი მოისურვებ მიპასუხო, — განაგრძო მონტანელიმ, — ფიცი გაქვს თუ არა მიცემული, ან იქნებ...

— არ ვიცი, რა გითხრათ, ძვირფასო პადრე. ფიცი არ მიმიცია, მაგრამ მე დაკავშირებული ვარ...

— არ მესმის...

— რა მნიშვნელობა აქვს შეფიცვას? ის კი არ ბორკავს ადამიანს. თუ თქვენ გრძნობთ, ღრმად გრძნობთ, რომ გაგიტაცათ იდეამ, ეს ყველაფერია. ამის გარდა, ვერაფერი დაგაკავშირებთ.

Scanned by CamScanner

— მაშინ მითხარი, გგონია თუ არა... რომ შენი გრძნობა მტკიცეა და ვერაფერი შეცვლის? არტურ, სანამ მიპასუხებდე, დაფიქრდი!

არტური მოტრიალდა და თვალები მიაპყრო მონტანელის:

— პადრე, თქვენ მკითხეთ, გენდობით თუ არა. ახლა მიპასუხეთ, მენდობით თუ არა მე? მე თქვენ გეტყოდით, ყველაფერს გეტყოდით, რომ იყოს რამე სათქმელი; მაგრამ, გაიგეთ არაფერია ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, აზრი არა აქვს ამის შესახებ ლაპარაკს. მე არ დამვიწყებია თქვენი სიტყვები და არც ოდესმე დამავიწყდება. მაგრამ მე მაინც ჩემი გზით უნდა წავიდე და გავწიო იმ სინათლისაკენ, რომელსაც წინ ვხედავ.

მონტანელიმ მოწყვიტა ბუჩქზე ვარდი, დააგლიჯა ფურცლები და წყალში გადაისროლა.

— შენ მართალი ხარ, ძვირფასო. გვეყოფა... ნულარ ვილაპარაკებთ ამის შესახებ. სულ ერთია, აქ სიტყვებით ვერაფერს უშველი. რას იზამ! ეგრე იყოს... წავიდეთ.

თავი მესამე

ისე გავიდა შემოდგომა და შემდეგ ზამთარი, რომ მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. არტური მუყაითად მეცადინეობდა. მას ცოტა თავისუფალი დრო რჩებოდა, მაგრამ კვირაში ერთხელ მაინც ახერხებდა რამდენიმე წუთით შეერბინა მონტანელისთან. ხანდახან წიგნს მიიტანდა მასთან, სთხოვდა, განემარტა რომელიმე ძნელად გასაგები ადგილი, ამ დროს მხოლოდ წიგნის შესახებ საუბრობდნენ. მათ შორის აღმართულიყო ოდნავ შესამჩნევი ზღუდე. მონტანელი გაურბოდა ყველაფერს, რაც შეიძლებოდა ჩვენებოდათ მიზეზად, ვითომ ცდილობდა თავის მხრივ აღედგინა ადრინდელი სიახლოვე. არტურის ნახვას მისთვის უსიამოვნება უფრო მოჰქონდა, ვიდრე სიხარული. სამძიმო იყო მონტანელისათვის დაძაბული წუთები,

Scanned by CamScanner

როცა თავის თავს აიძულებდა ისეთი სახე მიეღო, თითქოს დამშვიდებულია და არაფერი არ შეცვლილაო. არტურმაც იგრძნო, როგორ შეიცვალა პადრეს დამოკიდებულება მისადმი. და რადგან შორეულად გრძნობდა, რომ პადრე შეაშფოთა მისმა „ახალმა იდეებმა", თავს არიდებდა ამ თემაზე ლაპარაკს, მაგრამ თვითონ სულ მათზე ფიქრობდა.

და მაინც, მიუხედავად ამისა, არასოდეს ისე მხურვალედ არ ჰყვარებია მონტანელი, როგორც ახლა. წინათ არტური გულგატეხილი იყო ცხოვრებაზე და ცდილობდა თეოლოგიის შესწავლით და კათოლიკური ეკლესიის წესების დაცვით მაინც შეევსო სულიერი სიცარიელე. შემდეგ, რაც „ახალგაზრდა იტალიასთან"[18] კავშირი გააბა, სრულიად გაუქრა ის ძველი, გულისგამაწყალებელი გრძნობა. გაქრა ავადმყოფი ფანტაზიით და მარტოობით გამოწვეული ფიქრები მომაკვდავი დედის შესახებ, აღარ ჰქონდა ის დამტანჯველი ეჭვები, რომლისგან თავის დაღწევას ლოცვით ცდილობდა ხოლმე. სტუდენტების მოძრაობა, მას უფრო რელიგიურ მოძრაობად ჰქონდა წარმოდგენილი, ვიდრე პოლიტიკურად. ახალმა იდეალმა, ბევრად უფრო მაღალმა და წმინდამ, გამოაცოცხლა ის, აღაფრთოვანა, დაადინჯა მისი ბუნება. დაამშვიდა და მოყვასისადმი კეთილმოსურნეობის გრძნობა გაუღვიძა. ახლა არტურმა ახალი, სიყვარულის ღირსი თვისებები დაინახა იმ ადამიანებში, ვინც წინათ ეზიზღებოდა. ხუთი წლის განმავლობაში მონტანელი მისთვის იდეალს წარმოადგენდა, ახლა კი ის ეჩვენებოდა ახალი რწმენის წინასწარმეტყველად, ვისი შუბლიც ახალი ნათელით იყო გაბრწყინებული. ჭაბუკი გატაცებით უგდებდა ყურს პადრეს ქადაგებებს და ცდილობდა ეპოვა მის სიტყვებში შინაგანი ნათესაური კავშირი რესპუბლიკურ იდეებთან; არტური გულმოდგინედ სწავლობდა სახარებას და ტკბებოდა ქრისტიანობის დემოკრატიული აზრებით მისი წარმოშობის პირველ ხანებში.

იანვრის ერთ დღეს არტური შევიდა სემინარიაში, რომ წამოღებული წიგნი დაებრუნებინა. როცა გაიგო, რომ რექტორი იქ არ იყო, შევიდა მონტანელის კაბინეტში, წიგნი თაროზე დადო და უკან წასვლას აპირებდა, მაგრამ ამ დროს მისი ყურადღება მიიპყრო მაგიდაზე დადებული ერთი წიგნის სათაურმა. ეს იყო დანტეს „De Monarchia"[19]. არტურმა დაიწყო კითხვა და მალე ისე გაიტაცა, რომ

Scanned by CamScanner

ვერ გაიგო, როგორ გაიღო კარი. წამოდგა მხოლოდ მაშინ, როცა სურგს უკან გაისმა ნაცნობი ხმა.

— დღეს არ გელოდი, — უთხრა მონტანელიმ და თვალი შეავლო წიგნის სათაურს. — ეს-ეს იყო მინდოდა კაცი გამომეგზავნა გასაგებად, მოხვიდოდი თუ არა ამ საღამოს.

— საყურადღებო რამე მოხდა? ამ საღამოს მიპატიჟებული ვარ, მაგრამ დავრჩები, თუკი...

— არა, ხვალაც შეიძლება. შენი ნახვა მინდოდა. მე სამშაბათს მივდივარ, რომში დამიბარეს.

— რომში? დიდი ხნით?

— წერილში ნათქვამია, აღდგომის ბოლომდეო. წერილი ვატიკანიდან[20] არის. აქამდისაც ვაცნობებდი, მაგრამ სულ მოუცლელი ვიყავი, ხან სემინარიის საქმეებისა და ხან ახალი რექტორის ჩამოსვლისათვის მზადების გამო.

— პადრე, იმედი მაქვს, თავს არ დაანებებთ სემინარიას.

— რას იზამ, იძულებული ვიქნები. მაგრამ ალბათ კიდევ ჩამოვალ პიზაში, ყოველ შემთხვევაში დროებით.

— რად არ გინდათ აქ დარჩენა?

— გამიგონე... ეს ჯერ კიდევ არ განუცხადებიათ ოფიციალურად, მაგრამ მე ეპისკოპოსობას მაძლევენ.

— პადრე! სად?

— აი, სწორედ მაგისათვის მივდივარ რომში. ჯერ გადაწყვეტილი არაა, სად მომცემენ მრევლს, აპენინებში, თუ აქ დავრჩები.

— ახალი რექტორი უკვე დანიშნეს?

— ჰო, მამა კარდი. ხვალ ჩამოვა.

— რა მოულოდნელი ამბავია!

— მართალია, მაგრამ... ხანდახან ვატიკანის დადგენილებას არ აქვეყნებენ უკანასკნელ წუთამდე.

— თქვენ იცნობთ ახალ რექტორს?

— პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ძალიან აქებენ. მონსინიორ ბელონი მწერს, დიდი მცოდნე, სწავლული კაციაო.

— სემინარია ბევრს დაკარგავს თქვენი წასვლით...

— არ ვიცი, რას იზამს სემინარია, შენ კი, კარინო, იგრძნობ ჩემ-

Scanned by CamScanner

გან შორს ყოფნას, ამაში ლარწმუნებული ვარ. შეიძლება არც ნაკლებად, ვიდრე ეე შენსას.

— დიახ, ეგ მართალია, პადრე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც მიხარია ეგ ამბავი.

— გიხარია? მე კი არ ვიცი, გასახარელი მაქვს თუ არა.

მონტანელი მაგიდას მიუჯდა. სახე ისეთი მოქანცული ჰქონდა, ითქოს მართლაც არ უხაროდა მაღალი დანიშნულება.

— ნასადილევს გცალია? — დაიწყო მან ერთი წუთის შემდეგ. — თუ საქმე არაფერი გაქვს, დარჩი ჩემთან, რაკი საღამოს ვეღარ მოიცლი მოსასვლელად. რაღაც ვერ ვგრძნობ თავს კარგად. დარჩი! მინდა, რაც შეიძლება, მეტ ხანს ვიყო შენთან გამგზავრებამდე.

— დავრჩები, მაგრამ დიდი ხნით ვერა. ექვს საათზე უნდა ვიყო...

— კრებაზე?

არტურმა თავი დააქნია. მონტანელიმ უცბად შეცვალა ლაპარაკის საგანი.

— მე მინდოდა, შენს საქმეებზე მომელაპარაკა, — დაიწყო მან. — ჩემს აქ არყოფნაში სხვა სულიერი მამა უნდა გყავდეს.

— მაგრამ როცა დაბრუნდებით, ხომ მომცემთ ნებას აღსარებაზე თქვენთან მოვიდე?

— აბა, ეგ რა საკითხავია, ჩემო კარგო. რასაკვირველია! მე მხოლოდ სამი ან ოთხი თვე არ ვიქნები აქ. თანახმა ხარ თუ არა სულიერ მამად მიიღო სანტა-კატარინას[21] რომელიმე მღვდელი?

— თანახმა ვარ, პადრე.

ცოტა სხვა რამეებზედაც ისაუბრეს. ბოლოს არტური ადგა.

— დროა წავიდე, პადრე. ამხანაგები მელოდებიან.

მონტანელის სახეს ისევ გადაურბინა პირქუშმა ჩრდილმა.

— უკვე? მე კი გავხალისდი შენთან ყოფნით. რას იზამ, მშვიდობით!

— მშვიდობით, პადრე, ხვალ ისევ შემოვივლი.

— ადრე მოდი, რომ პირისპირ მოვასწრო შენი ნახვა. ხვალ ჩამოდის მამა კარდი. არტურ, ჩემო ძვირფასო, გთხოვ, უჩემოდ ოურთხილად იყავი, მოუფიქრებელს ნურაფერს ჩაიდენ... ჩემს ჩა-

Scanned by CamScanner

მოსვლამდე მაინც შეიკავე თავი. წარმოდგენაც კი არ შეგიძლია, როგორ მეშინია შენი მარტო დატოვება.

— ეგ შიში ზედმეტია, პადრე. ახლა არაფერია მოსალოდნელი და კიდევ კარგა ხანს იქნება ასე.

— მაშ, მშვიდობით!—აღმოხდა მონტანელის და თავი დახარა.

* * * * * *

პირველი, ვინც დაინახა არტურმა, როცა შევიდა ოთახში, სადაც სტუდენტების კრება იმართებოდა, იყო ექიმ უორენის ასული, მისი ბავშვობის მეგობარი. ის იჯდა კუთხეში ფანჯარასთან და დიდი ყურადღებით უსმენდა გაცვეთილ ტანსაცმელში გამოწყობილ ახალგაზრდა, მაღალ ლომბარდიელს. ეს ლომბარდიელი მოძრაობის ერთი ინიციატორთაგანი იყო.

უკანასკნელი თვეების განმავლობაში ექიმის ასული ძლიერ გამოიცვალა, დაქალდა და ახლა უკვე მოწიფულ ქალიშვილს ჰგავდა. მხოლოდ ორი, მხრებზე ჩამოშვებული შავი თმის სქელი ნაწნავი მოწმობდა, რომ ცოტა ხანი იყო, რაც ის სკოლას მოშორებოდა. ეცვა შავები და შავი მოსასხამი მოეხვია თავზე, რადგან ოთახში ორპირი ქარი ქროდა. გულზე მიბნეული ჰქონდა კვიპაროსის შტო — „ახალგაზრდა იტალიის“ ემბლემა. ლომბარდიელი გატაცებით ჰყვებოდა კალაბრიის[22] გლეხების სიღარიბეზე, უორენის ასული კი ჩუმად იჯდა და თავდახრილი უსმენდა. არტურს ეჩვენებოდა, თითქოს მის წინაშე იდგა აჩრდილი: თავისუფლება, რომელიც დასტირის დაკარგულ რესპუბლიკას. ჯულია ამ ქალიშვილის დანახვაზე ალბათ მხოლოდ იმას იტყოდა, რომ ტანი მეტისმეტად აეყარა, ფერმკრთალი იყო, არასწორი ცხვირი ჰქონდა და ეცვა ძველი და მოკლე კაბა.

— თქვენ აქ ხართ, ჯიმ? — წაილაპარაკა არტურმა და მივიდა ქალიშვილთან, როცა ლომბარდიელს ოთახის ბოლოში დაუძახეს.

„ჯიმი“ იყო ქალიშვილის ბავშვობის სახელი, გადაკეთებული „ჯინიფერიდან“, ამ გასაკვირველი სახელიდან, რომელიც ნათლო-

Scanned by CamScanner

ბაზე უწოდეს. იტალიელი ქალიშვილები, სკოლის მეგობრები, მას ჯემას ეძახდნენ.

თითქმის შეშინებულმა ქალმა თავი ასწია.

— არტურ! ეს თქვენა ხართ? მე კი არ ვიცოდი, რომ თქვენც ორგანიზაციის წევრი იყავით.

— ჩემთვისაც მოულოდნელია თქვენი აქ შეხვედრა, ჯიმ! რა ხანია, რაც...

— არა, არა, — საჩქაროდ მოუჭრა ქალმა, — მე ჯერ კიდევ წევრი არა ვარ! ჯერჯერობით მხოლოდ ორი-სამი უმნიშვნელო დავალების შესრულება შევძელი. მე გავიცანი ბინიც... იცნობთ კარლო ბინის?

— რა თქმა უნდა.

ბინი ლივორნოს ორგანიზაციის ხელმძღვანელი იყო და მას მთელი „ახალგაზრდა იტალია" იცნობდა.

— ჰოდა, ბინიმ დამიწყო ლაპარაკი ამ ორგანიზაციის შესახებ. მე ვთხოვე, წავეყვანე ერთ რომელიმე სტუდენტთა კრებაზე. შემდეგ მომწერა ფლორენციაში...[23] თქვენ არ იცოდით, რომ შობის დღესასწაულებზე ფლორენციაში ვიყავი?

— არა. ახლა მე იშვიათად მომდის ბარათი შინიდან.

— ჰო, მართლა! მაგრამ ეგ სულ ერთია. მე სტუმრად ვიყავი რაიტებთან (რაიტები მისი სკოლის მეგობრები იყვნენ). მაშინ ბინიმ მომწერა, რომ შინ დაბრუნებისას პიზაში გამომევლო და, აი, როგორც ხედავთ, დღეს აქ მოვედი. აგერ, იწყება კიდეც!

მოხსენებაში ლაპარაკი იყო იდეალური რესპუბლიკის შესახებ და კიდევ იმაზე, რომ ახალგაზრდობა ვალდებულია ემზადოს მისთვის. თემა არ იყო სავსებით ნათლად დამუშავებული, მაგრამ არტური მაინც მოწიწებით და აღფრთოვანებით უსმენდა. თავისი ცხოვრების ამ ხანაში ხარბად ეწაფებოდა ახალ ზნეობრივ იდეალებს და არც ცდილა დაფიქრებულიყო, შესაძლებელი იყო თუ არა მათი განხორციელება.

ლექცია დამთავრდა. შეწყდა ხანგრძლივი კამათიც. სტუდენტებმა დაშლა იწყეს. არტური მივიდა ჯემასთან, რომელიც ჯერ ისევ კუთხეში იჯდა.

— მე გაგაცილებთ, ჯიმ! სად ცხოვრობთ?

Scanned by CamScanner

— მარიეტასთან.

— თქვენი მამის ძველ ეკონომთან?

— დიახ. ის საკმაოდ შორს ცხოვრობს.

ერთხანს ისინი ჩუმად მიდიოდნენ. მერე კი არტურმა უცბად ჰკითხა:

— თქვენ ალბათ ჩვიდმეტი წლისა იქნებით, არა?

— ოქტომბერში გამითავდა ჩვიდმეტი.

— მე მუდამ ვამბობდი, რომ თქვენგან არ გამოვა ის ქალიშვილი, რომლის ერთადერთი სურვილია მდიდრულად ჩაცმა და გასართობ ადგილებში სიარული. ჯიმ, რომ იცოდეთ, რა ხშირად ვეკითხებოდი ჩემს თავს, იქნებოდით თუ არა ჩვენს რიგებში!

— მეც ასევე ვფიქრობდი თქვენზე.

— თქვენ თქვით, ცოტა რაღაც გავუკეთეო ბინის. მე კი ისიც არ ვიცოდი, თუ იცნობდით.

— რაც გავაკეთე, ბინისათვის კი არ გამიკეთებია, არამედ სხვისთვის.

— ვისთვის?

— აი, იმისათვის, დღეს რომ მელაპარაკებოდა, ბოლასათვის.

— თქვენ კარგად იცნობთ მას?

არტურის ხმა ეჭვმა გაბზარა. მისთვის საერთოდ სასიამოვნო არ იყო ბოლაზე ლაპარაკი. ისინი მოქიშპეები იყვნენ ერთ საქმეში. რომლის გაკეთება „ახალგაზრდა იტალიის“ კომიტეტმა საბოლოოდ მიანდო ბოლას, ვინაიდან არტური ახალგაზრდად და გამოუცდელად ჩათვალა.

— ძალიან ახლოს ვიცნობ. მომწონს კიდეც. ის დიდხანს ცხოვრობდა ლივორნოში.

— ვიცი... ნოემბერში ჩავიდა იქ.

— ჰო, ამ დროისათვის იქ ელოდნენ გემის ჩამოსვლას[24] არტურ, ხომ არ გგონიათ, რომ აქ მუშაობისათვის თქვენი სახლი უფრო საიმედო იქნებოდა, ვიდრე ჩვენი? გემების მფლობელ მდიდარ მეპატრონეზე ეჭვს არავინ მიიტანს. ამას გარდა, თქვენ ყველას იცნობთ გემების მშენებელ ქარხანაში.

— ჩუმად! ეგრე ხმამაღლა ნუ ლაპარაკობთ, ჩემო ძვირფასო!

Scanned by CamScanner

მაშ თქვენთან ინახებოდა მარსელიდან გამოგზავნილი ლიტერატურა?

— მხოლოდ ერთი დღე. იქნებ არც მეთქვა თქვენთვის ამის შესახებ?

— რატომ თქვენ ხომ იცით, რომ მე პარტიის წევრი ვარ. ძვირფასო ჯემა, არაფერი გამაბედნიერებდა ისე, როგორც იმის გაგება, რომ ჩვენ შემოგვიერთდით, თქვენ და... პადრეც.

— თქვენი პადრე! განა ის...

— არა, ის სრულიად არ იზიარებს ჩვენს შეხედულებებს... მაგრამ ხანდახან ისე მეგონა... იმედი მქონდა, რომ...

— არტურ, ის ხომ მღვდელია!

— მერე რა? ჩვენს პარტიაში მღვდლებიც არიან, ორი მათგანი ჩვენს გაზეთშიც* თანამშრომლობს. სამღვდელოების დანიშნულება ხომ ისაა, რომ ქვეყანა მაღალ იდეალებს აზიაროს, ჩვენი მიზანიც განა ეს არაა? ეს ხომ უფრო რელიგიისა და მორალის საკითხია, ვიდრე პოლიტიკის. როცა ადამიანები მოინდომებენ თავისუფალი გახდნენ, განა მაშინ შესაძლებელია ვინმემ დაიმონოს ისინი?

ჯემას შუბლი მოეჭმუხნა:

— მე მგონია, აქ თქვენი ლოგიკა მოიკოჭლებს... მღვდელი რელიგიურ დოქტრინებს გვიქადაგებს. ვერ წარმომიდგენია, რა საერთო აქვს ამას ჩვენს სურვილთან — გავრეკოთ ავსტრიელები.

— მღვდელი ქრისტიანობის მქადაგებელია, ქრისტე კი უდიდესი რეფორმატორი იყო.

— იცით რა, მღვდლების შესახებ მე საუბარი მქონდა მამაჩემთან და მან...

— ჯემა, მამათქვენი პროტესტანტია.

წუთიერი დუმილის შემდეგ ჯემამ თავი ასწია და მეგობრულად შეხედა არტურს:

— გამიგონეთ, უმჯობესია, თავი დავანებოთ ამაზე ლაპარაკს. თქვენ ყოველთვის შეუწყნარებელი იყავით, როცა პროტესტანტებზე ჩამოვარდებოდა სიტყვა.

---

* იუგლისხმება გაზეთი „ახალგაზრდა იტალია".

Scanned by CamScanner

— ეგ ტყუილია. პირიქით, შეუწყნარებელი არიან სწორედ პროტესტანტები, როცა კათოლიკებზე დაიწყება ლაპარაკი.

— მე ეგრე არ ვფიქრობ, მაგრამ ჩვენ ბევრჯერ გვიკამათნია წინათ ამის შესახებ და აღარ ღირს ისევ განვაახლოთ დავა... რა აზრისა ხართ დღევანდელ ლექციაზე?

— ძალზე მომეწონა, განსაკუთრებით ბოლო ნაწილი. სიამოვნებით ვუსმენდი, როცა მომხსენებელი გულმხურვალედ ამბობდა, რომ თვითეული ჩვენგანი მოვალეა, ახლავე ფრთა შეასხას თავის გრძნობებს და არა მხოლოდ იოცნებოს მათ შესახებ. სწორედ ასე არ არის ქრისტეს მოძღვრებაში? „სასუფეველი ღვთისა ჩვენს სულშია“.

— მე კი სწორედ ეს ნაწილი არ მომეწონა. მან ბევრი ილაპარაკა იდეალურ აზრებზე და გრძნობებზე, მაგრამ არ დაგვისახა პრაქტიკული გზები, არ გვითხრა, რა უნდა გავაკეთოთ.

— როცა დრო დადგება, ჩვენ უამრავი საქმე გვექნება; მაგრამ მოთმინება გვმართებს. დიდი ცვლილებები ერთ დღეში არ მოხდება.

— რაც უფრო რთულია საქმე, მით უფრო საჭიროა ახლავე შეგუდგეთ მას. თქვენ ამბობთ, უნდა მოვემზადოთ თავისუფლებისათვისო და განა იყო ვინმე ისე მომზადებული ამ საქმისათვის, როგორც თქვენი დედა? განა ის არ იყო ყველაზე უფრო სრულყოფილი და ანგელოსის სულით დაჯილდოებული ადამიანი? რა მდგომარეობამდე მიიყვანა თავისმა გულკეთილობამ? უკანასკნელ დღემდე მონა იყო. რამდენი წამება, რამდენი შეურაცხყოფა მიაყენეს მას თქვენმა ძმამ ჯემსმა, მისმა ცოლმა! დიახ, თქვენი დედა რომ ასეთი გულკეთილი და მომთმენი არ ყოფილიყო, უფრო ბედნიერი იქნებოდა. მაშინ ვერასოდეს გაუბედავდნენ დაჩაგვრას. იგივე შეიძლება ითქვას იტალიაზე: მოთმინება კი არ სჭირდება მას, ვინც აღსდგა, რომ დაიცვას თავისი ინტერესები.

— ძვირფასო ჯიმ, იტალია უკვე თავისუფალი იქნებოდა, გულისწყრომას და გაშმაგებას რომ შეძლებოდა მისი შველა. მას სიძულვილი კი არ სჭირდება, არამედ სიყვარული.

არტური აინთო და შემდეგ გაფითრდა. ბოლო სიტყვების წარმოთქმის დროს, ჯემას არ შეუნიშნავს ეს — სივრცეს გაჰყურებდა, წარბები შეკრული ჰქონდა, ტუჩები მოკუმული.

Scanned by CamScanner

— თქვენ ფიქრობთ, არტურ, რომ მე მართალი არა ვარ, — თქვა ჯემამ მცირე პაუზის შემდეგ. — არა, სიმართლე ჩემს მხარეზეა. ერთ მშვენიერ დღეს თქვენ დარწმუნდებით ამაში... აი, ჩემი სახლიც; ხომ არ შემოხვალთ?

— არა, უკვე გვიანაა. ღამე მშვიდობისა, ძვირფასო!

ის იდგა კართან და ქალის ხელები თავის ხელებში ეჭირა.

„სახელითა ღვთისა და ხალხისაჲთა"[25]...

ჯემამ ნელა და მტკიცედ დაასრულა არტურის მიერ დაუმთავრებელი დევიზი:

„აწ და მარადის".

შემდეგ გამოსხლიტა ხელები და შევარდა სახლში. კარი რომ დაიხურა, არტური დაიხარა და აიღო ქალის მკერდიდან ჩამოვარდნილი კვიპაროსის შტო.

თავი მეოთხე

არტური შინ აღტაცებული დაბრუნდა. უსაზღვრო ბედნიერებას გრძნობდა. ყველაფერი კარგად მიმდინარეობდა. კრებებზე გაკვრით ლაპარაკობდნენ შეიარაღებული აჯანყების შესახებ. ჯემა უყვარდა და ახლა ამხანაგიც გაუხდა მუშაობაში. არტურს წარმოდგენილი ჰქონდა, როგორ იმუშავებდნენ ერთად და, შესაძლოა ერთადაც დახოცილიყვნენ მომავალი თავისუფლებისათვის ბრძოლაში. დადგა მათი იმედების გაზაფხული! პადრე დაინახავს და ირწმუნებს ამას.

მეორე დილით უფრო დამშვიდებულ ხასიათზე ადგა. მოაგონდა, რომ ჯემა ლივორნოში წასვლას აპირებდა, პადრე კი — რომში. იანვარი, თებერვალი, მარტი — სამი დაუსრულებელი თვე აღდგომამდე! ვინ იცის, იქნება თავისიანებთან დაბრუნებული ჯემა ისევ პროტესტანტების გავლენის ქვეშ მოექცეს (არტურისათვის სიტყვები „პროტესტანტი" და „ფილისტერი"[26] ერთსა და იმავე ცნებას წარმოადგენდა). არა, მისი ჯიმი არასოდეს არ დაიწყებს არ-

Scanned by CamScanner

შიყობას, პრანჭიობას და ტურისტებისა და თმაქაღარა გემის პატრონების დევნას სხვა ლივორნოელი ინგლისელი გოგონებივით. ჯემა სულ სხვაა. მაგრამ შესაძლოა უბედური იქნეს. ჯიმი ძალიან ახალგაზრდაა, ძალიან ცოტა მეგობარი ჰყავს და ალბათ მარტოობას განიცდის იმ გახევებულ ადამიანთა შორის... ეჰ, ნეტავ დედა ცოცხალი ყოფილიყო!

საღამოს არტურმა სემინარიაში შეიარა და შეხვდა მონტანელის, რომელიც ახალ რექტორს ესაუბრებოდა. ძალზე დაღლილი შესახედაობა ჰქონდა პადრეს; სახე კი არ გაუბრწყინდა, არტური რომ დაინახა, პირიქით, უფრო მოიღუშა.

— აი, თვითონ ის სტუდენტი, რომლის შესახებ თქვენ გელაპარაკებოდით, — ცივად თქვა მან და ახალ რექტორს არტური წარუდგინა. — ძალიან მადლობელი ვიქნები, თუ ნებას მისცემთ, მომაგალშიაც ისარგებლოს ბიბლიოთეკით.

მამა კარდიმ — კეთილი სახის ხნიერმა მღვდელმა — იმავე წუთში უნივერსიტეტის ცხოვრებაზე დაუწყო ლაპარაკი არტურს. მისი თავისუფალი, ძალდაუტანებელი ტონი მოწმობდა, რომ კარგად იცნობდა კოლეჯის ცხოვრებას. მან სიტყვა ჩამოაგდო უნივერსიტეტში მკაცრი წესების შემოღების შესახებ, რაც იმ დროში საჭირბოროტო საკითხს წარმოადგენდა.

ახალმა რექტორმა უცბად მოიგო არტურის გული იმით, რომ სასტიკად გააკრიტიკა პოლიტიკა, რომელიც შემოიღეს უნივერსიტეტის უფროსებმა და ის უაზრო შეზღუდვა, რომელიც აბრაზებდა სტუდენტებს.

— მე დიდად გამოცდილი ვარ მოზარდთა აღზრდაში, — ამბობდა იგი, — თუ საკმაო საბუთი არაა, არაფერში ხელი არ უნდა შეუშალო ახალგაზრდობას. აი, კანონი, რომლითაც მე ვხელმძღვანელობ. არა მგონია, ქვეყანაზე ბევრი მოზარდი იყოს ბუნებით უწესრიგობის მომხრე და დარწმუნებული ვარ, თუ ახალგაზრდებს პატივისცემით მოვეპყრობით, ისინიც აღარ მიაყენებენ უფროსებს ზედმეტ დავიდარაბას. მშვიდი ცხენიც დაიწყებს წიხლების სროლას, თუ ყოველ წუთში მოქაჩეს ლაგამი.

არტურმა გაკვირვებით შეხედა მას. არ ელოდა, რომ ახალი რექტორი სტუდენტების ინტერესების ასეთი დამცველი იქნებოდა.

Scanned by CamScanner

მონტანელის მონაწილეობა არ მიუღია ლაპარაკში. ისეთი დალილილი, სევდიანი სახე ჰქონდა, მამა კარდიმ მოულოდნელად უთხრა:

— მამაო კანონიკო, მგონი, დაგღალეთ, მაპატიეთ. მე ძალიან მაღელვებს ეს საკითხი და ხანდახან მავიწყდება, რომ იქნებ სხვას მობეზრებული ჰქონდეს ამაზე საუბარი.

— პირიქით, მე ეს ძალიან მაინტერესებს.

მონტანელის არასოდეს არ ეხერხებოდა უსულგულო თავაზიანობა და არტურს არ მოეწონა მისი ტონი.

როდესაც ძამა კარდი თავის ოთახში გავიდა, მონტანელი მიუბრუნდა არტურს და შეხედა იმ ჩაფიქრებული გამომეტყველებით, რომელიც მთელი საღამოს განმავლობაში არ მოშორებია მის სახეს.

— არტურ, ჩემო ძვირფასო, — ჩუმად დაიწყო მან, — მინდა გითხრა ცოტა რამ.

„ალბათ რაღაც ცუდი ამბავი გაიგო", — გაუელვა თავში არტურს, მონტანელის აღელვებულ სახეს რომ შეხედა.

კარგა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

— როგორ მოგწონს ახალი რექტორი? — უეცრად ჰკითხა მონტანელიმ.

ეს კითხვა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ არტური რამდენიმე წუთით დუმდა და არ იცოდა, რა ეპასუხა.

— მე... მე ძალიან მომწონს... თუმცა ჯერ თვითონაც არაფერი ვიცი კარგად, ძალიან ძნელია ერთის ნახვით ადამიანის გაცნობა.

მონტანელი იჯდა და თითებს ოდნავ ათამაშებდა სავარძელზე. ასე იცოდა ყოველთვის, როდესაც რაიმე აწუხებდა ან აღელვებდა.

— რაც შეეხება ჩემს წასვლას, — განაგრძო მან ლაპარაკი, — შემიძლია შემდეგი გითხრა: თუ შენ რაიმე გაქვს ამის საწინააღმდეგო... თუ გინდა, არტურ, მივწერ რომში, ვერ ჩამოვალ-მეთქი.

— პადრე, მერე ვატიკანი?

— ვატიკანი სხვა ვინმეს მოძებნის... ბოდიშს მოვიხდი მათთან.

— რა საჭიროა? არაფერი მესმის!

მონტანელიმ შუბლზე ხელი გადაისვა.

— შენი ბედი მაწუხებს. ვერ მოვიშორე ფიქრი, რომ... ამას გარდა, აუცილებელი არც არის ჩემი წასვლა.

Scanned by CamScanner

— ეპისკოპოსობას რას უზამთ?

— ეჰ, არტურ! რად მინდა ეპისკოპოსობა, თუკი შენ დაგკარგავ!.. — ის შეჩერდა. არტურმა არ იცოდა, რა ეფიქრა. მას არასოდეს ენახა პადრე ასეთ მდგომარეობაში.

— არაფერი მესმის, — თქვა მან, — პადრე, თუ შეგიძლიათ, უფრო გარკვევით მითხარით, რა გაღელვებთ!

— არაფერი. ისე, რაღაც გაურკვეველმა შიშმა შემიპყრო. მითხარი მართალი, რაიმე საშიშროება ხომ არ მოგელის?

„ალბათ რაღაცას მოჰკრა ყური“, — გაიფიქრა არტურმა და გაახსენდა შეიარაღებული აჯანყების შესახებ გავრცელებული ხმები. მაგრამ ეს საიდუმლოება მისი არ იყო და უფლება არ ჰქონდა გაემეჟღავნებინა. ამიტომ უპასუხა:

— რა საშიშროება უნდა მელოდეს?

— ნუ კი მეკითხები, მიპასუხე! — მონტანელის ხმას მღელვარება ეტყობოდა, — გელის რაიმე საშიშროება? მე არ მჭირდება შენი საიდუმლოს გაგება. მხოლოდ მითხარი, გელის საშიროება თუ არა?

— ყველაფერი ღვთის ნებაა, პადრე. რა ვიცი, რა მოხდება. მაგრამ იმედი მაქვს, რომ თქვენს დაბრუნებამდე უვნებლად ვიქნები.

— ჩემს დაბრუნებამდე... გამიგონე, ჩემო კარგო! შენთვის მომინდვია ამ საქმის გადაწყვეტა. არავითარი ახსნა-განმარტება არა მჭირია. მითხარი მხოლოდ, დარჩი-თქო და აღარ წავალ. ამით არაფერი დაშავდება, მე კი დამშვიდებული ვიქნები. რატომღაც მგონია, რომ ჩემთან უფრო უზრუნველყოფილი ხარ საშიშროებისაგან.

არტურმა შეშფოთებით შეხედა. ის გააოცა პადრეს ხასიათის ამ ახალმა, ჯერ უცნობმა თვისებამ.

— პადრე, თქვენ ალბათ შეუძლოთ ბრძანდებით. ცხადია, უნდა წახვიდეთ რომში და კარგად დაისვენოთ, რის შემდეგ გაგივლით უძილობა და თავისტკივილი...

— მაშ კარგი, — სიტყვა შეაწყვეტინა მონტანელიმ, თითქოს თავი მოაბეზრაო ამაზე ლაპარაკმა. — ხვალ გავემგზავრები პირველი დილიჟანსით.

Scanned by CamScanner

არტურმა ისევ ეაოცებით შეხედა.

— თქვენ, მგონი, რაღაც გინდოდათ გეთქვათ! — ჩაილაპარაკა მან.

— არა, მეტი არაფერი. საყურადღებო არაფერი.

* * * * * *

მონტანელის გამგზავრებიდან რამდენიმე დღის შემდეგ არტურმა სემინარიის წიგნსაცავში შეიარა წიგნისათვის. კიბეზე შეხვდა მამა კარდი.

— ო, მისტერ ბერტონ! — მიაძახა მან. — სწორედ თქვენი ნახვა მინდოდა. შემობრძანდით ჩემთან. იმედი მაქვს, დამეხმარებით ერთ ანელ საქმეში.

კარდიმ თავისი კაბინეტის კარი შეაღო და არტური შეჰყვა რაღაც გამოუკვეველი, არასასიამოვნო გრძნობით. მას ეძნელებოდა დანახვა ამ სამუშაო ოთახისა, სადრეს წმინდათაწმიდასი, რომელიც ახლა უცხოს ეკავა.

— საოცრად მიყვარს წიგნებში ქექვა, — თქვა რექტორმა. — ამ ახალ ადგილზე, უპირველეს ყოვლისა, გავეცანი ბიბლიოთეკის მდგომარეობას. ბიბლიოთეკა ძალიან მდიდარია, მაგრამ ვერ გავიგე წიგნების განლაგების სისტემა.

— კატალოგი არ არის სრული. საყურადღებო და ძვირფასი წიგნების მეტი ნაწილი დიდი ხანი არაა, რაც შემოემატა.

— გეკუბებათ თუ არა ნახევარი საათი თავისუფალი დრო, რომ განმიმარტოთ წიგნების განლაგების სისტემა?

ისინი ბიბლიოთეკაში შევიდნენ. არტურმა ყველა საჭირო განმარტება მისცა, როცა წასვლა დააპირა და ტუდს მოჰკიდა ხელი, რექტორმა ღიმილით შეაჩერა:

— არა, არა! ასე მალე ვერ გაგიშვებთ. დღეს შაბათია, დროა შეწყვიტოთ მეცადინეობა ორშაბათ დილამდე. დარჩით, ერთად ვივახშმოთ. მე ახლა სრულიად მარტო ვარ და გამიხარდება თქვენთან ყოფნა.

ახალი რექტორის მოპყრობაში იმდენი უბრალოება იყო, რომ მალე არტურმა თავი სრულიად თავისუფლად იგრძნო მასთან. რამ-

Scanned by CamScanner

დენიმე უმნიშვნელო ფრაზის შემდეგ რექტორმა ჰკითხა, რა ჩანია, რაც მონტანელის იცნობთო.

— შვიდი წელიწადი იქნება, — უპასუხა არტურმა. — ის ოომ ჩინეთიდან დაბრუნდა, მე თორმეტი წლისა ვიყავი.

— ჰო, მართლა, მან ხომ იქ მოიხვეჭა გამოჩენილი მქადაგებელი-მისიონერის რეპუტაცია და მას შემდეგ ის გხელმძღვანელობთ?

— მან ჩემთან მეცადინეობა ერთი წლის შემდეგ ღაიწყო, დაახლოებით იმ ხანებში, როცა მასთან პირველად მივედი აღსარებაზე. შემდეგ კი, რაც უნივერსიტეტში შევედი, დახმარებას მიწევდა იმ საგნების შესწავლაში, რომლებიც უნივერსიტეტის კურსში არ შედიოდა. ძალიან დიდი სიყვარულით მეპყრობოდა და ვერ წარმოიდგენთ, რა გულკეთილი იყო ჩემდამი!..

— წარმოდგენილი მაქვს. ყველა აღტაცებულია ამ ადამიანით. კეთილშობილი სულის პატრონია. მე შევხვედრივარ მასთან ერთად ჩინეთში ნამყოფ მისიონერებს. ისინი საჭირო სიტყვას ვერ პოულობდნენ, რომ ღირსეულად აღენიშნათ მისი ენერგია, შეურყეველი რწმენა და გმირობა, რომელიც მძიმე წუთებში გამოუჩენია. თქვენ ბედნიერი ხართ, რომ ბავშვობის წლებში ასეთი კაცი გიწევდათ ხელმძღვანელობას, როგორც მისი სიტყვებიდან გავიგე, ადრე დაობლებულხართ.

— დიახ, მამა სულ პატარას გარდამეცვალა, დედა კი ერთი წლის წინათ.

— დები ან ძმები არა გყავთ?

— არა, მყავს მხოლოდ გერი ძმები... მაგრამ ისინი უკვე დიდები იყვნენ და ვაჭრობას ეწეოდნენ, როცა მე ჯერ კიდევ ძიძა მატარებდა.

— ალბათ თქვენ მარტოობაში იზრდებოდით, ამიტომ ასე გახსაკუთრებით აფასებთ მონტანელის გულკეთილობას, სხვათა შორის, რა უნდა გკითხოთ: გყავთ თუ არა სულიერი მოძღვარი მისი აქ არყოფნის განმავლობაში?

— წმინდა კატარინას სულიერ მამებს მინდა მივმართო.

— არა გსურთ, მე მითხრათ აღსარება?

არტურმა გაკვირვებით მიაპყრო თვალები.

Scanned by CamScanner

— მამაო, რა თქმა უნდა, მე... მე მოხარული ვიქნები, ოღონდ...

— თქვენ გინდათ თქვათ, რომ სასულიერო სემინარიის რექტორთან აღსარებაზე არ დადიან ერისკაცები? თქვენ მართალი ხართ. მაგრამ, როგორც ვიცი, კანონიკი მონტანელი ძალიან ზრუნავდა თქვენზე და, დარწმუნებული ვარ, მუდამ ფიქრობს თქვენს კეთილდღეობაზე. ეს გასაგებია... მეც რომ ვშორდებოდე საყვარელ მოწაფეს, სწორედ იმგვარადვე შევწუხდებოდი. დარწმუნებული ვარ, ის უფრო გულმშვიდად იქნება, როცა გაიგებს, რომ მისი კოლეგა ზრუნავს თქვენს სულზე. ამას გარდა, შვილო ჩემო, პირდაპირ გეტყვით, მე თქვენ ძალზე მომეწონეთ და მოხარული ვიქნები დახმარება გაგიწიოთ, რითაც შემიძლია.

— თუ აგრეა, მაშინ რა თქმა უნდა, დიდი მადლობელი ვიქნები თქვენი.

— ძალიან კარგი. მაშ შემდეგ თვეში მოდით ჩემთან აღსარებაზე. ამას გარდა, შემოიარეთ ხოლმე, როდესაც დრო გექნებათ.

* * * * * *

აღდგომამდე ცოტა ხნით ადრე ოფიციალურად გამოცხადდა, რომ მონტანელიმ ეპისკოპოსობა მიიღო და გაამწესეს ბრიზიგელაში ეტრუსკის აპენინებში, პატარა ოლქში. თვითონ მონტანელიმ რომიდან მოსწერა ამის შესახებ არტურს. მისი მშვიდი და მხიარული წერილიდან ცხადი იყო, რომ ახლა უკეთ გრძნობ და თავს. „ყოველ არდადეგებზე უნდა მინახულო ხოლმე, — სწერდა ის, — მე კი ხანდახან ჩამოვალ პიზაში. მაშ იმედი მაქვს, რომ გნახავ, თუმცა არა ისე ხშირად, როგორც სასურველია ჩემთვის“.

ექიმმა უორენმა სთხოვა არტურს, აღდგომის უქმეები მასთან და მის ოჯახთან ერთად გაეტარებინა, იმის მაგიერ, რომ მოწყენილი ყოფილიყო სულის შემხუთველ, ბნელ და თაგვებით დახრულ ძველ სახლში, სადაც განუსაზღვრელი უფლებით სარგებლობდა ჯულია.

ამ წერილში ჩადებული იყო ბავშვის ხელით ირიბულად დაწე-

Scanned by CamScanner

რილი პატარა წერილი, რომელშიაც ჯემა თავის მხრით სთხოვდა მათთან ჩამოსვლას. რაღაც-რაღაცეებზე მინდა მოგელაპარაკოო — სწერდა ის. არტური გაახარა ამ მიწვევამ.

კიდევ უფრო მეტად აღელვებდა და ახარებდა არტურს სტუდენტებს შორის ფარულად გავრცელებული ხმები. ყველა ელოდა, რომ აღდგომის შემდეგ დიდი ამბები დატრიალდებოდა.

ყველაფერს ამას ისეთი აღფრთოვანებით ელოდა არტური, ძალიან საშიში მოვლენებიც ჩვეულებრივ ამბებად ეჩვენებოდა და ისიც კი წარმოიდგინა, რომ ძირი განხორციელება უახლესი თვეების განმავლობაში მოხდებოდა.

არტურმა გადაწყვიტა, ხუთშაბათს, ვნების კვირაში, შინ წავალ და იქ გავატარებ არდადეგების პირველ დღეებსო. მას ეშინოდა, რომ ჯემასთან შეხვედრის სიხარული დაავიწყებდა და შეუცვლიდა საზეიმო რელიგიურ განწყობილებას. ოთხშაბათ საღამოს ძაან უპასუხა ჯემას, დაპირდა აღდგომის დღესასწაულებზე ჩასვლას და დამშვიდებით დაიძინა.

შევიდა თუ არა საძინებელ ოთახში, არტური მუხლებზე დაეშვა ჯვარცმის წინაშე. მამა ქარდი დაპირდა, რომ ხვალ დილით აღსარებას მიიღებდა მისგან და ახლა ვალდებულად თვლიდა თავს, მხურვალედ ელოცნა და ამით შემზადებულიყო საღდგომო ზიარების მისაღებად. დაჩოქილი, გულზე ხელებდაკრეფილი და თავდაბრილი იხსენებდა განვლილ თვეს და იგონებდა თავის პატარა ცოდვებს: როდის და რა მიზეზით გამოიჩინა მოუთმენლობა, განუსჯელობა. გულფიცხობა. მაგრამ ყველა ეს მცირე დანაშაული იყო, რომელიც მხოლოდ ოდნავ შესამჩნევ ლაქად დასდებოდა მის სულიერ სიწმინდეს. ამას გარდა, არტურმა ვერაფერი გაიხსენა! ბედნიერ დღეებში ბევრს ვერაფერს იცოდვილებ. არტურმა პირჯვარი გადაისახა, ადგა და გახდა დაიწყო.

როდესაც პერანგის საყელო გაიხსნა, იქიდან გადმოვარდა ქაღალდის პატარა ნაგლეჯი და იატაკზე დავარდა. ეს იყო ჯემას წერილი, რომელიც მთელი დღე გულთან ატარა. მან აიღო წერილი, გაშალა და აკოცა; შემდეგ ისევ დაკეცა, ერთი წუთით გაიფიქრა, რომ უმართებულო რამ ჩაიდინა და იმ წუთში წერილის მეორე გვერდზე პირველად შენიშნა მინაწერი: „უსათუოდ ჩამოდით ჩვენ-

Scanned by CamScanner

თან და რაც შეიძლება მალე, მინდა გაგაცნოთ ბოლა, ის აქ არის და ჩვენ ყოველდღე ერთად ვკითხულობთ წიგნებს“.

არტურს სისხლი აუვარდა თავში, როცა ეს სტრიქონები წაიკითხა.

„ისევ ეს ბოლა! რას აკეთებს ლივორნოში? ან ჯემას რამ მოაფიქრებინა მასთან ერთად კითხვა? რა მოსწონს ჯემას მის საკონტრაბანდო საქმეებში? ბოლამ ის საბოლოოდ მოაჯადოვა! ჯერ კიდევ იანვარში გამართულ კრებაზე ჩანდა, რომ ბოლა შეყვარებული იყო ამ ქალზე. იმიტომაც ლაპარაკობდა ისეთი გატაცებით. ახლა კი მის გვერდითაა და ყოველდღე მასთან ერთად კითხულობს წიგნებს!“

არტურმა გაბრაზებით გადაისროლა განზე წერილი და ისევ დაიჩოქა ჯვარცმის წინაშე.

და ეს იყო სული, რომელიც ემზადებოდა ცოდვების მონანიებისათვის, სააღდგომო ზიარებისათვის, სული, რომელიც უნდა შერიგებოდა თავის თავს, მთელ ქვეყანას, უფალს! ასეთი სულის პატრონს შეუძლია ჩაიდინოს ულირსი საქმე, იეჭვიანოს, ბინძური აზრები იქონიოს, და ჭერე ვისზე, ამხანაგზე! არტურმა ხელებით დაიფარა სახე და გაკიცხა თავისი თავი. სულ რაღაც ხუთი წუთის წინ ის ოცნებობდა თავგანწირვაზე, ახლა კი ასეთ ულირს, მდაბალ აზრებს დაეპყრო მისი გონება!..

ხუთშაბათს დილით ის შევიდა სემინარიის სამლოცველოში, სადაც კარდი მარტო იყო. ჯერ ლოცვა წაიკითხა და შემდეგ მოუყვა თავისი სულიერი დაცემის შესახებ წინა ღამეს.

— მამაო, მე ცოდვილი ვარ. ცოდვილი ვარ ეჭვიანობაში, ბრაზში, შეუფერებელ აზრებში იმ ადამიანზე, რომელსაც ჩემთვის არავითარი ბოროტება არ მოუყენებია.

მამა კარდის კარგად ესმოდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე. მან დაყვავებით უთხრა:

— თქვენ ჯერ კიდევ ყველაფერი არ გითქვამთ ჩემთვის, შვილო ჩემო.

— მამაო! ის, ვისდამიც მე არაქრისტიანული გრძნობა მაქვს, მოვალე ვარ მიყვარდეს და პატივს ვცემდე განსაკუთრებით.

— თქვენ მისი ნათესავი ხართ?

— ის კიდევ უფრო ახლობელია!

Scanned by CamScanner

— ესე იგი, როგორ, შვილო ჩემო?

— მე მაახლოვებს მასთან ამხანაგური მოვალეობა.

— ამხანაგური? რაში?

— დიად და საღვთო საქმეში.

ერთხანს გაჩუმდნენ.

— და თქვენი სიძულვილი მისდამი, თქვენი მეშურნეობა გამოწვეულია მისი წარმატებით მუშაობაში?

— დიახ... ნაწილობრივ. მე შემშურდა მისი გამოცდილება... რისთვისაც მას დიდად აფასებენ. ამას გარდა... მე ვფიქრობდი... მეშინოდა, რომ წამართმევდა გულს იმ ქალწულისას, რომელიც მე მიყვარს.

— ის ქალიშვილი, რომელიც თქვენ გიყვართ, წმინდა ეკლესიის შვილია?

— არა, ის პროტესტანტია.

— ერეტიკოსი?

არტურმა სასოწარკვეთით მოუჭირა ხელი ხელს.

— დიახ, ერეტიკოსი, — გაიმეორა მან. — ჩვენ ერთად აღვიზარდეთ. ჩვენი დედები მეგობრები იყვნენ... და, აი, მე შური აღმეძრა იმ კაცისადმი, რადგან მივხვდი, რომ მასაც უყვარს ის ქალი... ამის გარდა...

— შვილო ჩემო, — აუჩქარებლად, სერიოზული კილოთი დაილაპარაკა მამა კარდიმ ცოტა ხნის გაჩუმების შემდეგ, — თქვენ ჯერ კიდევ ყველაფერი არ გითქვამთ ჩემთვის. თქვენ ამაზე უფრო საყურადღებო ამბავი გაქვთ გულში...

— მამაო, მე...

არტურს ენა დაება და ისევ დადუმდა.

აღსარების მიმღები მამა გარინდებული იცდიდა, სანამ ის დაილაპარაკებდა.

— მე შემეხარბა იმ კაცის ბედი იმიტომ, რომ ახალგაზრდა იტალიის ორგანიზაციამ, რომელსაც მე ვეკუთვნი...

— მართლა?!

— მიანდო მას ერთი საქმე, რომელსაც, იმედი მქონდა, მე მომანდობდნენ... მეგონა, რომ ამ საქმისათვის სავსებით გამოსადეგი ვიყავი...

Scanned by CamScanner

— რა საქმე იყო?

წიგნების მიღება გემებიდან — პოლიტიკური წიგნების. ის უნდა გადმოეტანათ გემიდან და შემდეგ ქალაქში მოეძებნათ ბინა, სადაც მათი დამალვა შეიძლებოდა.

— და ამ საქმის შესრულება ორგანიზაციამ თქვენს მეტოქეს მიანდო?

— დიახ, ბოლას... და მე შემეხარბა მისი ბედი.

— მას კი, თავის მხრით, არ მოუცია საბაბი, რომ შეგძულებოდათ? თქვენ ხომ არ აბრალით მას, რომ კარგად ვერ შეასრულა დაკისრებული მოვალეობა?

— არა, მამაო, ის მოქმედებდა გაბედულად და თავდადებულად. ის ნამდვილი პატრიოტია და მე მოვალე ვარ, პატივისცემითა და სიყვარულით ვიყო გამსჭვალული მის მიმართ.

მამა კარდი რაღაცაზე ჩაფიქრდა.

— შვილო ჩემო, თუ თქვენ სულს მოევლინა ახალი ნათელი, მასში ჩაისახა დიადი მუშაობის ოცნება თანამოძმეთა საკეთილდღეოდ, თუ თქვენ იმედი გაქვთ შეუმსუბუქოთ ხვედრი დაჭანცულთა და დამონებულთ, მაშინ უნდა დაფიქრდეთ, როგორ ექცევით ღმერთის ამ ყველაზე ძვირფას საჩუქარს. ყველა სიკეთე მხოლოდ მისი ხელიდან გამოდის და თქვენი ახლად დაბადებაც მისივე საქმეა. თუ თქვენ გადადეთ თავი შესაწირავად, თუ თქვენ იპოვეთ გზა, რომელიც მიდის მშვიდობისაკენ, თუ თქვენ შეუკავშირდით საყვარელ ამხანაგებს, რომ თავისუფლება მოუპოვოთ მათ, ვინც ფარულად ღვრის ცრემლებს და ვისაც აწუხებს თავისი მწარე ბედი, მაშ იზრუნეთ, რომ თქვენი სული თავისუფალი იყოს ვნებისა და შურისაგან. თქვენი გული კი იყოს საკურთხეველი, სადაც შეუწყვეტლივ გიზგიზებს საღვთო ცეცხლი. გახსოვდეთ, რომ ეს არის დიდი და წმინდა საქმე და გული, რომელიც გაჟღენთილია მით, თავისუფალი უნდა იყოს პირადი ინტერესებისაგან. ეს მოწოდება, ისევე როგორც ეკლესიის მსახურის მოწოდება, არ უნდა იყოს დამოკიდებული ქალის სიყვარულისაგან, იმ გრძნობებისაგან, რომელნიც მალე ჰქრებიან. ის არის „სახელითა ღვთისა და ხალხისაჲთა აწ და მარადის.“

— აჰ! — არტურმა გაოცებით შეხედა მას.

Scanned by CamScanner

ის კინაღამ ატირდა, როცა ნაცნობი დევიზი გაიგონა.

— მამაო ჩემო, თქვენ გვაძლევთ ეკლესიის კურთხევას! ჩვენთანაა ქრისტე!

— შვილო ჩემო, — დიდი გრძნობით თქვა მღვდელმა. — ქრისტემ გამაძევა მე ტაძრიდან, რადგან სადგომი მისი სადგომია ლოცვის, მათ კი ქურდების თავშესაფრად გადააქციეს![27]

ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ არტურმა აკანკალებული ხმით თქვა:

— და იტალია გადაიქცევა ქრისტეს ტაძრად, როცა მათ განდევნიან.

არტური შეჩერდა. მის საპასუხოდ გაისმა მშვიდი ხმა:

„მიწა და ყოველი მისი სიმდიდრე არს საკუთრება ჩემი“, — თქვა უფალმა.

თავი მეხუთე

იმ დღეს არტურს დაუსრულებლად უნდოდა ესეირნა. მან ბარგი ამხანაგ სტუდენტს მიაბარა, თვითონ კი ლივორნოში წავიდა ფეხით.

დღე იყო ნოტიო, მოღრუბლული. ძაგრამ თბილი და დაბალი გაშლილი ველი ახლა მას ბევრად უკეთესი ეჩვენებოდა, ვიდრე ოდესმე. განსაკუთრებით ახარებდა ნამიანი და რბილი ბალახი, რომელიც ფეხქვეშ იშმუშნებოდა, და ბალახებს შორის ამოსული ყვავილები, რომელნიც თითქოს შეშინებული ირხეოდნენ. ტყის ნაპირას, ყვითელი აკაციის ბუჩქზე რომელიღაც ჩიტუნიას ბუდე გაეკეთებინა და როდესაც არტურმა მას გვერდით გაუარა, შეფრთხიალდა, შიშისაგან დაუსტვინა და სწრაფად გაფრინდა.

არტური ცდილობდა მხოლოდ ღვთისმოშიში ფიქრები ჰქონოდა, როგორც წითელი პარასკევის წინადღეს შეეფერებოდა. მაგრამ ორი სახე — მონტანელი და ჯემა — სულ თვალწინ ედგა და ხელს უშლიდა მის კეთილ განზრახვებს. ბოლოს დავიწყებას მისცა ყოველგვარი საღვთო ფიქრები და საშუალება მისცა თავის ფანტაზიას

Scanned by CamScanner

თავისუფლად ეოცნება აჯანყებაზე და იმ როლზე, რომელსაც ამ საქმეში მისი ორი კერპი — მონტანელი და ჯემა შეასრულებდნენ. მისი წარმოდგენით პადრე იყო ბელადი, მოციქული, წინასწარმეტყველი, რომლის ღვთაებრივი რისხვის წინაშე ქრებოდა ყველა ბოროტი ძალა. თავისუფლების ახალგაზრდა დამცველებმა პადრესაგან ხელახლა უნდა ისწავლონ ძველი სარწმუნოება და ძველი ჭეშმარიტებანი მათი ახალი, ჯერ უცნობი მნიშვნელობით.

ჯემა? ო, ჯემა ბარიკადებზე იბრძოლებს, გაჩენილია იმისათვის, რომ გახდეს მომავალი აჯანყების გმირი. ის იქნება ერთგული ..ძხანაგი, წმინდა და უშიშარი ქალიშვილი, იდეალური არსება, რომლითაც არა ერთი პოეტი ყოფილა შთაგონებული. ჯემა მხარში ამოუდგება მას და მომაკვდინებელი ქარიშხლის ჭროლვას ღიმილით შეეგებებიან. ისინი ერთად დაიხოცებიან და შესაძლოა ეს მოხდეს გამარჯვების წუთში, გამარჯვებით კი შეუძლებელია არ გაიმარჯვონ. ის არაფერს ეტყვის ჯემას თავისი სიყვარულის შესახებ, არც ერთ სიტყვას ისეთს, რასაც შეუძლია დაარღვიოს მისი სულიერი სიმშვიდე და ჩრდილი მოჰფინოს მის ამხანაგისადმი გრძნობას. არტურის წარმოდგენით ის იყო წმინდანი, უმწიკვლო მსხვერპლი, რომელიც ზვარაკად უნდა შეეწიროს ხალხის თავისუფლებას. და რას გაბედავს არტური შეიჭრას იმ წმიდათაწმიდა სულში, რომელმაც არ იცის სხვა სიყვარული, გარდა სიყვარულისა ღვთისა და იტალიისადმი?

ღმერთი და იტალია... მოულოდნელად ჩამოვარდა წვიმის წვეთი, როდესაც არტური შედიოდა დიდ, ძველებურ სახლში, რომლის ფასადი სასახლის ქუჩაზე გამოდიოდა.

კიბეზე მას შეეგება ჯულიას მეკარე, კარგად გამოწყობილი, მშვიდი, ზრდილობიანი, და, როგორც ყოველთვის, მტრულად განწყობილი.

— საღამო მშვიდობისა, ჯიბონს. ძმები შინ არიან?

— მისტერ ტომასი და მისის ბერტონი შინ გახლავთ. სასტუმრო ოთახში არიან.

არტური შევიდა ისე, თითქოს მძიმე ლოდი აწვა გულზე. რა სევდის მოშგვრელი სახლია! ცხოვრების სიოს არასოდეს შეურხევია. ამ სახლში არაფერი იცვლებოდა, ისევ ის ხალხი, საგვა-

Scanned by CamScanner

რეულო პორტრეტები, იგივე ძვირფასი, მაგრამ გემოვნებას მოკლებული მორთულობა. კედლებზე ჩამოკიდებული ულაზათო თეფშები, სიმდიდრის მდაბიო მედიდურობა და უსიცოცხლობის ნიშანწყალი, რომელიც ყველაფერს ეტყობოდა. ბრინჯაოს სადგარზე დადგმული ყვავილებიც კი ხელოვნურსა და რაღაც ლითონიდან გამოჭრილს ჰგავდნენ, თითქოს გაზაფხულის თბილ დღეებში მათში არასოდეს უჩქეფია სიცოცხლის სითხეს.

თვითონ ჯულია სტუმრების მოლოდინში თავის საყვარელ ოთახში, სასტუმროში იჯდა. კალთაში ოთახის ძაღლი ჩაესვა, ფარჩებში მორთულიყო, თმები დაეხუჭუჭებინა, სახეზე ღიმილი მიჰყინვოდა და, არც მეტი, არც ნაკლები, მოდების ჟურნალიდან ამოჭრილ სურათს ჰგავდა.

— გამარჯობა არტურ! — ცივად უთხრა მან და გაუწოდა რამდენიმე თითი, მაგრამ იმავე წუთში გამოსხლიტა და ალერსი დაუწყო ძაღლს, რომლის აბრეშუმისებრი ბეწვები უფრო სასიამოვნო იყო ხელშესახებად. — იმედი მაქვს, კარგად გრძნობ თავს და ბეჯითად მეცადინეობ უნივერსიტეტში.

არტურმა თითქმის წაიბუტბუტა პირველივე წინადადება, რომელიც მოადგა ენაზე და შემდეგ დადუმდა. ხალისი არ შემოუტანია არც მისი ძმის ჯემსის, ამ ამპარტავანი გაბერილი ადამიანის შემოსვლას. ჯემსს ახლდა რომელიღაც გემების საზოგადოების ხანში შესული გაბღენძილი აგენტი. როდესაც მსახური შემოვიდა და მოახსენა ბატონებს სადილზე მობრძანდითო, არტურმა შვებით ამოისუნთქა და ადგა.

— დღეს მე არ ვისადილებ, ჯულია. ბოდიშს ვითხოვ, მაგრამ ჩემს ოთახში წავალ.

— შენ დიდი გულმოდგინებით იცავ მარხვას, — უთხრა ტომასმა. — დარწმუნებული ვარ, მაგას კარგი არაფერი მოჰყვება.

— ო, ეჰა. ღამე მშვიდობისა.

დერეფანში არტური შეხვდა მოსამსახურე ქალს და სთხოვა, დილის ექვს საათზე გაეღვიძებინათ.

— სინიორინო[28] ეკლესიაში მიდის?

— დიახ. ღამე მშვიდობისა, ტერეზა.

ის შევიდა თავის ოთახში, რომელიც წინათ დედას ეკუთვნოდა.

Scanned by CamScanner

მისი ხანგრძლივი ავადმყოფობის დროს ფანჯრის პირდაპირ მისი სარეცელი სამლოცველოდ იყო გადაქცეული. სარეცელზე შუა ადგილზე დიდი ჯვარცმა იდო. წინ კანდელი ეკიდა. ამ ოთახში გარდაიცვალა დედა. კედელზე, საწოლის თავთან, მისი სურათი ეკიდა. მაგიდაზე იდგა დედის კუთვნილი ჩინური ლარნაკი, რომელშიაც მისი საყვარელი ყვავილების — იების კონა იდო. სრული ერთი წელიწადი გავიდა სინიორა გლედისის გარდაცვალებიდან, მაგრამ იტალიელ მსახურ ქალებს არ დავიწყებოდათ ის.

არტურმა ჩემოდნიდან ამოიღო ჩარჩოში ჩასმული და სათუთად გახვეული პორტრეტი. ეს იყო ფანქრით ნახატი მონტანელის სურათი, რომელიც რამდენიმე დღის წინ მიიღო რომიდან. მან სიყვარულით ნაზად გაშალა თავისი განძი. მაგრამ ამ დროს შემოვიდა პატარა ბიჭი, ჯულიას მსახური. მას ხელში ეჭირა სინი. მოხუც იტალიელ მზარეულ ქალს, რომელიც არტურის დედას ემსახურებოდა, ვიდრე სახლში ახალი მკაცრი დიასახლისი შემოვიდოდა, სინზე დაელაგებინა სხვადასხვაგვარი ტკბილეული და გემრიელი საჭმელი, რომელიც, როგორც ფიქრობდა, შეეძლო ეჭამა მისი ძვირფასი ქალბატონის ვაჟს, ისე რომ, ამითი არ დაერღვია საეკლესიო წესები. არტურმა აიღო მხოლოდ პურის ნაჭერი, დანარჩენებზე კი უარი თქვა. მსახურმა, ინგლისიდან ჩამოსული ჯიბონსის ბიძაშვილმა. მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა, როცა სინით ხელში ოთახიდან გადიოდა.

არტურმა დაიჩოქა ჯვარცმის წინ, მოიკრიფა მთელი სულიერი ძალა და შეეცადა, მხოლოდ ღმერთზე ეფიქრა და ელოცა. მაგრამ კარგა ხანს ვერ მოახერხა ეს როგორც ტომასმა უთხრა, ის მართლაც მეტისმეტი გულმოდგინებით იცავდა დიდი მარხვის წესებს. მრავალგვარმა დათმენამ, რომელსაც თავის თავს აიძულებდა, ისე იმოქმედა მასზე, როგორც მაგარმა ღვინომ. ტანში ჟრუანტელმა დაუარა. შეჰყურებდა ჯვარცმას და ეჩვენებოდა, თითქოს ბურანში იყო გახვეული. არტურმა რამდენიმეჯერ მექანიკურად წარმოთქვა გრძელი ლოცვა და მხოლოდ ამით შეძლო ერთ ხანს მაინც შეეჩერებინა თავისი ყურადღება ცოდვების გამოსყიდვის საიდუმლოზე. ბოლოს ძლიერმა ფიზიკურმა დაღლილობამ დასძლია მის ნერვიულ აღგზნებულობას და მძიმე, შფოთიანი ფიქრებისაგან თავისუფალმა, დამშვიდებით გაიხადა და დაწვა.

Scanned by CamScanner

მშვიდად ეძინა. უეცრად კარზე ძლიერი კაკუნი გაისმა.

„ალბათ ტერეზაა“, — გაიფიქრა არტურმა და ზანტად გადატრიალდა მეორე გვერდზე.

კაკუნი განმეორდა. შეშინებულმა არტურმა გამოიღვიძა.

— სინიორინო! სინიორინო! აბრძანდით, თუ ღმერთი გწამთ! — დაიძახა ვიღაცამ იტალიურად.

არტური ლოგინიდან წამოვარდა.

— რა მოხდა? ვინ არის?

— მე ვარ, ჯიან ბატისტა. ღვთის გულისათვის, ჩქარა ადექით!

არტურმა საჩქაროდ ჩაიცვა და კარი გააღო. აზრდაბნეული უყურებდა მეეტლის მკრთალ, შიშისაგან დამახინჯებულ სახეს. დერეფანში ნაბიჯების ხმა და ლითონის ჩხრიალი გაისმა. არტური მაშინვე მიხვდა, რასაც ნიშნავდა ეს.

— ჩემთან მოვიდნენ? — მშვიდად იკითხა მან.

— თქვენთან! სინიორინო, იჩქარეთ! დასამალი ხომ არაფერი გაქვთ? მე შემიძლია...

— მე არაფერი მაქვს. ძმებმა გაიგეს?

დერეფნის მოსახვევში პირველი მუნდირი გამოჩნდა.

— სინიორი გააღვიძეს. მთელმა სახლმა გაიღვიძა. რა უბედურებაა, რა საშინელი უბედურებაა! და მერე ისიც ვნების პარასკევს. ღმერთო, შეგვიბრალე!

ჯიან ბატისტა აქვითინდა.

არტურმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა წინ და ჟანდარმებს ცდა დაუწყო; ისინი ნალების ჩხარუნით შემოვიდნენ ოთახში, თან შემოჰყვათ მსახურები, რომლებსაც ტანზე ჩაეცვათ, რაც ხელში მოხვედროდათ. ამ საკვირველ პროცესიას უკან მოსდევდნენ დიასახლისი და სახლის პატრონი, რომელსაც ფოსტლებში წაეყარა ფეხები, ქალს კი გრძელი მოსასხამი მოეგდო მხრებზე და თავზე თმის დასახუჭუჭებელი პაპილოტები ეკეთა.

„თითქოს მეორე წარღვნა მოვიდა და მხეცები კიდობანში თავის შესაფარებლად მიიჩქარიან! რა სასაცილო წყვილია!“ — გაუელვა თავში არტურს, როცა ამ უღიმღამო ფიგურებს შეხედა არტური გრძნობდა, როგორი სერიოზული წუთი იყო და ამიტომ თავს ძალას ატანდა, რომ არ გასცინებოდა.

Scanned by CamScanner

— Ave Maria Regina Coeli*... — წაიჩურჩულა მან და პირი იბრუნა, რომ სიცილი არ დაეწყო ჯულიას პაპილოტების შეხედვაზე.

— გთხოვთ ამიხსნათ, — თქვა მისტერ ბერტონმა და ჟანდარმების ოფიცერს მიუახლოვდა, — რას ნიშნავს ეს ძალადურად შეჭრა კერძო სახლში? მე უნდა გაგაფრთხილოთ, რომ იძულებული ვიქნები მივმართო ინგლისის ელჩს, თუკი თქვენ არ მომცემთ დამაკმაყოფილებელ პასუხს.

— ვფიქრობ, რომ ეს საკმარისი იქნება, როგორც თქვენთვის, ისე ინგლისის ელჩისათვის, — მედიდურად წარმოთქვა ოფიცერმა.

მან გადაუშალა ბრძანება ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტის არტურ ბერტონის დაპატიმრების შესახებ, გადასცა ის ჯემსს და მკვახედ დაატანა:

— თუ კიდევ გჭირიათ განმარტება, გირჩევთ, პირადად მიმართოთ პოლიციის უფროსს.

ჯულიამ გამოგლიჯა ქმარს ქაღალდი, სწრაფად გადაავლო თვალი და გაბრაზებით ეძგერა არტურს:

— შენ შეარცხვინე ჩვენი ოჯახი? — გაჰკიოდა ის. — შენი გულისთვის ახლა ქალაქის ყველა ნაძირალა სეირის ყურებით უნდა დატკბეს. აი, სადამდის მიგიყვანა შენმა ღვთისმოსაობამ — ციხემდის! თუმცა, რას უნდა მოელოდე კაცი კათოლიკე ქალის შვილისაგან...

— ქალბატონო, დაპატიმრებულთან ლაპარაკი უცხო ენაზე აკრძალულია, — შეაწყვეტინა ოფიცერმა, მაგრამ მის შენიშვნას ქალმა ყურადღება არ მიაქცია და განაგრძობდა ლანძღვა-გინებას ინგლისურ ენაზე.

ერთხელ ექიმმა უორენმა ჯულია შეადარა სალათას, რომელსაც მზარეულმა ბევრი ძმარი დაასხა. მისი მწივანა, ყურთასმენის წამღები ხმისაგან არტურს თითქოს პირში ემჟავა. და აი, ამ წუთში მოაგონდა ექიმის მიერ თქმული შედარება.

— რატომ ლაპარაკობთ ასე! — შენიშნა არტურმა, — თქვენ რად უნდა გაშინებდეთ უსიამოვნება? ყველამ იცის, რომ თქვენ აქ არაფერ შუაში არა ხართ. მე ვფიქრობ, — მიმართა მან ჟანდარმებს, —

---

* „გიხილოდეს ღვთისმშობელო, წმინდაო მარიამ“... კათოლიკური ლოცვის დასაწყისი.

Scanned by CamScanner

ჩემი ნივთების დათვალიერება გსურთ. შეგიძლიათ, დასამალი არაფერი მაქვს.

სანამ ჟანდარმები ჩხრეკას ახდენდნენ ოთახში, სწევდნენ ყუთებს, კითხულობდნენ წერილებს, ათვალიერებდნენ უნივერსიტეტის ქაღალდებს, არტური იჯდა ლოგინზე და უცდიდა. მღელვარებისაგან სახე ცოტათი შეეფაკლა, შეშინებული კი არ იყო. ის ყოველთვის სწვავდა ყველა წერილს, რომელსაც შეეძლო გაემჟღავნებინა რამე და ახლა, ნახევრად რევოლუციური, ნახევრად მისტიკური რამდენიმე ხელნაწერი ლექსისა და „ახალგაზრდა იტალიის" ორი-სამი ნომრის გარდა, ჟანდარმებმა ვერ იპოვეს ვერაფერი ისეთი, რისთვისაც შეიძლებოდა ცოტაოდენი ყურადღების მიქცევა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჯულიამ შეისმინა მაზლის თხოვნა და დასაძინებლად წავიდა. წასვლისას მან გვერდით ჩაუარა და ზიზღით შეხედა არტურს. ჯემსი მორჩილად აედევნა ცოლს.

როცა ისინი ოთახიდან გავიდნენ, ტომასი, რომელიც აქამდე ბოლთას სცემდა ოთახში და ცდილობდა გულგრილად მოეჩვენებინა თავი, მივიდა ოფიცერთან და სთხოვა, ნება მიეცა მოლაპარაკებოდა დაპატიმრებულს. ოფიცერმა ნება დართო, ტომასი მიუახლოვდა არტურს და სწრაფად წაიბუტბუტა:

— დალახვროს ეშმაკმა, არასასიამოვნო ამბავია! ძალიან მეწყინა!

არტურმა მშვიდად მიაპყრო მზიან დილასავით ნათელი თვალები.

— თქვენ მუდამ კეთილად მექცეოდით, — უთხრა მან. — ნურაფერს იდარდებთ. მე სახიფათო არაფერი მელის.

— აი, რა, არტურ! — ტომასი ნერვიულად იწიწკნიდა ულვაშებს და ვერ გაებედა არასასიამოვნო შეკითხვის მიცემა. — აქვს თუ არა ამ ამბავს რაიმე კავშირი ფულთან? — იკითხა მან ბოლოს. — თუ ასეა, მაშინ მე...

— ფულთან? რა თქმა უნდა, არა. რა უნდა ჰქონდეს საერთო?

— მაშ ეს მხოლოდ რაღაც პოლიტიკური სისულელეა? მე წინათაც ვეჭვობდი ამას. რას იზამ... ნუ აღელდები და ყურადღებას ნუ მიაქცევ ჯულიას სულელურ საქციელს. ხომ იცი, რა მწარე ენის პატრონია. ჰოდა, თუ საჭირო იქნება ჩემი დახმარება — ფული, ან სხვა რაიმე, მაცნობე, კარგი?

Scanned by CamScanner

არტურმა ხმაამოუღებლად გაუწოდა ხელი და ტომასი გავიდა ოთახიდან, თან ცდილობდა ისეთი სახე მიეღო, თითქოს სრულიად დამშვიდებული იყო.

ჟანდარმებმა დაამთავრეს ჩხრეკა და ოფიცერმა სთხოვა არტურს, პალტო ჩაეცვა. არტურმა მაშინვე ჩაიცვა და კარისკენ წასვლა დააპირა, მაგრამ ნაბიჯი ვერ გადადგა: მას ძალიან უმძიმდა გამოთხოვებოდა ოთახს ჟანდარმების თანდასწრებით.

— შეიძლება თუ არა... შეიძლება თუ არა გახვიდეთ ამ ოთახიდან ერთი წუთით? — ჰკითხა მან ერთ-ერთ ჟანდარმს. — სულ ერთია, გაქცევა არ შემიძლია, დასამალავი კი არაფერი მაქვს.

— ძალიან ვწუხვარ, მაგრამ არ შეგვიძლია. აკრძალულია დაპატიმრებულის მარტო დატოვება.

— რა გაეწყობა, ეგრე იყოს.

არტური მივიდა კუთხეში, მუხლებზე დაეშვა და ემთხვია ჯვარცმას.

— ღმერთო, მომეც ძალა ბოლომდე ერთგული ვიყო!

როდესაც წამოდგა, დაინახა, რომ ოფიცერი მაგიდასთან იდგა და დაჰყურებდა მონტანელის სუოათს.

— ეს თქვენი ნათესავია? — იკითხა მან.

— არა, ჩემი სულიერი მამაა, ბრაზიგელის ახალი ეპისკოპოსი.

კიბეზე იცდიდნენ შეშინებული იტალიელი მსახური ქალები. ისინი ძალიან დამწუხრებული იყვნენ. მათ უყვარდათ არტური, როგორც მისი პირადი ღირსებისათვის, ისე მისი დედის გამო. ახლა ისინი შეგროვდნენ მის გარშემო, არ მალავდნენ მწუხარებას და ეკოცნიდნენ ხელებს და ტანსაცმელს. აქვე იყო ჯიან ბატისტა და ჭაღარა ულვაშებზე ცრემლები ეწვეთებოდა. ბერტონთაგან არავინ გამოვიდა დაპატიმრებულის გასაცილებლად. მათი გულცივობა კიდეე უფრო ძლიერად უსვამდა ხაზს და ააშკარავებდა მსახურების ერთგულებას და სიყვარულს. გულაჩვილებული არტური ხელს ართმევდა მათ და ეთხოვებოდა.

— მშვიდობით, ჯიან ბატისტა, დამიკოცნე შენი პატარები, მშვიდობით, ტერეზა! ილოცეთ ჩემთვის, გფარვიდეთ უფალი. მშვიდობით, მშვიდობით...

Scanned by CamScanner

არტურმა ჩქარა ჩაირბინა კიბე. გავიდა წუთიც და გასავალ კართაი დარჩა რამდენიმე თავდახრილი კაცი და ქალი, რომელნიც ცრემლიანი თვალებით აცილებდნენ მიმავალ ეტლს.

თავი მეექვსე

არტური მოათავსეს შუა საუკუნეთა უზარმაზარ ციხეში, რომელიც ნავსადგურთან იყო. ციხის ცხოვრება საძძიმოდ არ მოსჩვენებია, მისი საკანი ბნელი და ნესტიანი იყო, მაგრამ არტური ძველ სახლში გაიზარდა სასახლის ქუჩაზე და არც შეხუთული ჰაერი, არც ვირთაგვები, არც ცუდი სუნი ახალი რამ არ გახლდათ მისთვის. ციხის საჭმელი უვარგისი იყო და იმასაც ცოტას იძლეოდნენ, მაგრამ მალე მის ძმას, ჯემსს, ნება მისცეს, ეგზავნა ციხეში ყველაფერი აუცილებელი. არტური ცალკე საკანში იჯდა და თუმცა ისე მკაცრად არ ადევნებდნენ თვალყურს, როგორც მოელოდა, მაგრამ მაინც ვერაფრით შეძლო გაეგო დაპატიმრების მიზეზი. მიუხედავად ამისა, არ დაუკარგავს სულიერი სიმშვიდე. წიგნების კითხვის უფლება არა ჰქონდა, ამიტომ უნებურად მთელ დღეს ლოცვასა და ღვთის მოსავ ფიქრებში ატარებდა. მოთმინებით ელოდა, რა მოხდებოდა შემდეგ.

ერთხელ დილით ჯარისკაცმა გააღო მისი საკნის კარი და უთხრა:

— გამობრძანდით!

არტურმა რამდენიმე შეკითხვა მისცა მას, მაგრამ მხოლოდ ერთი და იგივე პასუხი მიიღო: „ლაპარაკი აკრძალულია“. არტური ძალაუნებურად დაემორჩილა ჯარისკაცს და მდუმარედ გაჰყვა ნესტიანი ეზოების, კიბეებისა და დერეფნების დაუსრულებელ ლაბირინთში. ბოლოს, როგორც იქნა, შევიდნენ დიდ ნათელ ოთახში, სადაც მწვანე მაუდგადაფარებულ მაგიდასთან იჯდა სამი სამხედრო პირი. მათ მოწყენილი გამომეტყველება ჰქონდათ და უხალისოდ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. როცა არტური შევიდა, სამხედროებმა მაშინვე მედიდური და საქმიანი სახე მიიღეს. ხოლო მან, ვინც უფროსი იყო მათ შორის, უკვე ხანში შესულმა, ჭაღარაქილვაშებიანმა, კოხტად

Scanned by CamScanner

ჩაცმულმა პოლკოვნიკმა, ანიშნა სკამზე, რომელიც მაგიდის მეორე მხარეს იდგა და წინასწარ დაკითხვას შეუდგა.

არტური ელოდა, რომ მას დაუწყებდნენ ლანძღვას, მუქარას, შეურაცხყოფას მიაყენებდნენ და მოემზადა, რათა თავდაჭერით, ღირსეულად გაეცა პასუხი. მაგრამ იმედი გაუცრუვდა. პოლკოვნიკი ლაპარაკობდა გულცივად, მშრალად, მაგრამ ძალიან ზრდილობიანად. პირველად ჩვეულებრივი კითხვები მისცა: სახელი, წლოვანება, ეროვნება, საზოგადოებრივი მდგომარეობა. არტური უპასუხებდა და ყოველ მის სიტყვას იწერდნენ.

ყველაფერმა ამან ბოლოს თავი მოაბეზრა მას, გრძნობდა, მოთმინება ეკარგებოდა, მაგრამ უეცრად პოლკოვნიკმა უთხრა.

— ახლა კი, მისტერ ბერტონ, გვიამბეთ, რა იცით „ახალგაზრდა იტალიის" შესახებ.

— მე ვიცი, რომ ეს არის პოლიტიკური საზოგადოება, რომელიც გაზეთს სცემს მარსელში და შემდეგ მთელ იტალიაში ავრცელებს იმ მიზნით, რომ მოამზადოს ხალხი აჯანყებისათვის და გარეკოს ავსტრიის ჯარი სამშობლოს საზღვრებიდან.

— თქვენ წაგიკითხავთ ეს გაზეთი?

— დიახ. მე მაინტერესებდა ეს საკითხი.

— და როდესაც თქვენ კითხულობდით მას, ხომ არ დაგბადებიათ აზრი, რომ კანონის საწინააღმდეგო მოქმედებას ჩადიოდით?

— რა თქმა უნდა.

— სად იშოვეთ ის ეგზემპლარები, რომლებიც თქვენს ოჯახში იპოვეს?

— მაგას ვერ გეტყვით.

— მისტერ ბერტონ, აქ არ შეიძლება თქმა — „ვერ გეტყვით", თქვენ ვალდებული ხართ ყველა კითხვაზე მიპასუხოთ.

— თუკი თქვენ არ მოგწონთ „ვერ გეტყვით", მაშინ „არ გეტყვით".

— მომავალში სანანებლად გაგიხდებათ საქმე, თუ კიდევ მავტონით განაგრძობთ ლაპარაკს, — გააფრთხილა პოლკოვნიკმა.

არტურმა არ უპასუხა და პოლკოვნიკმა განაგრძო:

— შემიძლია კიდევ დავუმატო; ჩვენს ხელთაა უტყუარი საბუთები, რომლებიც ადასტურებენ, რომ თქვენ არა თუ მხოლოდ კით-

Scanned by CamScanner

ხულობდით აკრძალულ ლიტერატურას, არამედ ახლო კავშირი გქონდათ საიდუმლო ორგანიზაციასთან. თქვენთვის კი აჯობებს, თუ გულახდილად იტყვით ყველაფერს. სულ ერთია, ჩვენგან არაფერი დაიფარება და თქვენც დარწმუნდებით, რომ უსარგებლო იყო სხვადასხვა ხერხებითა და ჯიუტობით თავის დაძვრენის ცდა.

— მე არავითარი სურვილი არა მაქვს თავი დავიძვრინო. რისი გაგება გსურთ?

— უპირველეს ყოვლისა, მითხარით, როგორ მოხდა, რომ თქვენ, უცხოელი, ჩაერიეთ ასეთ საქმეში?

— მე ბევრი ვიფიქრე ამ საკითხზე, ბევრი წავიკითხე და განსახღვრულ დასკვნამდე მივედი.

— ვინ ჩაგითრიათ ამ ორგანიზაციაში?

— არავინ. ეს იყო ჩემი პირადი სურვილი.

— ნუ მასულელებთ! — მკვახედ წამოიძახა პოლკოვნიკმა. ჩანდა, რომ მოთმინებას ჰკარგავდა. — არავის არ შეუძლია სხვის დაუხმარებლად შეუერთდეს პოლიტიკურ საზოგადოებას. ვის უთხარით თქვენ, რომ გსურდათ ორგანიზაციის წევრი გამხდარიყავით?

სიჩუმე.

— კეთილი ინებეთ და მიპასუხეთ.

— არა, მაგისთანა კითხვებზე არ გიპასუხებთ.

არტური ბრაზმა მოიცვა, რაღაც უცნაურმა ნერვიულობამ შეიპყრო. ამ დროს უკვე გაგებული ჰქონდა, რომ ლივორნოსა და პიზაში დაპატიმრებები ხდებოდა. მაგრამ ნათელი წარმოდგენა აო ჰქონდა იმის შესახებ, თუ რა დიდი ზიანი მიაყენეს ორგანიზაციას, როგორ დაარბიეს და ააწიოკეს. თუმცა ისიც, რაც იცოდა, საკმარისი იყო, რომ შეშფოთებულიყო და შეშინებულიყო ჯემასა და მისი მეგობრების ბედზე.

არტურს აბრაზებდა და აწუხებდა ბატონი ოფიცრების მოჩვენებითი თავაზიანობა, შეზიზღდა სიტყვების ეს ტურნირი, ეს მოსაწყენი თამაში საბედისწერო კითხვებისა და უარის თქმისა. ამას გარდა, ნერვებს უშლიდა გუშაგი, რომელიც კარს უკან ბრაგა-ბრუგით მიმოდიოდა.

— სხვათა შორის, უკანასკნელად როდის ნახეთ ჯიოვანი ბო-

Scanned by CamScanner

ლა? — ჰკითხა მოულოდნელად პოლკოვნიკმა. — პიზიდან წამოსვლის წინ ნახეთ?

— ეს სახელი მე პირველად მესმის.

— როგორ! ჯიოვანი ბოლა! მე გარწმუნებთ, რომ თქვენ მას იცნობთ, ახალგაზრდა კაცი, მაღალი ტანის, ყოველთვის ფაქიზად პირგაპარსული. ის ხომ თქვენი ამხანაგია უნივერსიტეტიდან?

— მე არ ვიცნობ უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს.

— ოჰ, შეუძლებელია, რომ ბოლას თქვენ არ იცნობდეთ. დახედეთ, აი, მისი ხელნაწერი, როგორც ხედავთ, ის თქვენ კარგად გიცნობთ.

პოლკოვნიკმა გულგრილად გადასცა მას ქაღალდი, რომელსაც სათაურად ეწერა „ოქმი", — ქვეშ კი ხელისმოწერა — „ჯიოვანი ბოლა". არტურმა სწრაფად გადაავლო მას თვალი და უეცრად წააწყდა თავის სახელს. მან გაკვირვებით შეხედა პოლკოვნიკს.

— ნებას მომცემთ წავიკითხო? — იკითხა არტურმა.

— რა თქმა უნდა, ეს თქვენ გეხებათ.

არტურმა დაიწყო კითხვა, ოფიცრები კი ჩუმად ისხდნენ და თვალყურს ადევნებდნენ მისი სახის გამომეტყველებას. საბუთი სავსე იყო ჩვენებით. ცხადი იყო, რომ ბოლაც დაეპატიმრებინათ. პირველი ჩვენებები ახალს არაფერს ამბობდნენ. ეს იყო ჩვეულებრივი სტერეოტიპული პასუხები, რომლებიც ყოველი დაპატიმრების დროს მეორდება. შემდეგ ამას მოსდევდა მოკლე ანგარიში ბოლას დამოკიდებულებისა ორგანიზაციასთან, ლივორნოში აკრძალული ლიტერატურის და სტუდენტების კრებების შესახებ. შემდეგ კი ეწერა: „იმათ შორის, ვინც ჩვენ მოგვემხრო, იყო ერთი ახალგაზრდა ინგლისელი, სახელად არტურ ბერტონი, ლივორნოში მცხოვრები გემების მეპატრონის მდიდარი ოჯახიდან".

არტურს სისხლმა აასხა სახეში. ბოლამ გასცა ის! ბოლამ, რომელმაც იკისრა ხელმძღვანელობის საღვთო მოვალეობა. ბოლამ, რომელსაც უყვარდა ჯემა და ჩაითრია ის თავის წრეში!

მან დადო ქაღალდი და თვალები დახარა.

— იმედი მაქვს, ეს პატარა დოკუმენტი გამოაცოცხლებს თქვენს მეხსიერებას! — გესლიანად შენიშნა პოლკოვნიკმა.

არტურმა თავი გააქნია.

Scanned by CamScanner

— ასეთი სახელის მქონეს არავის ვიცნობ, — კუშტად გაიმეორა მან — აქ ალბათ რაღაც გაუგებრობა მოხდა.

— გაუგებრობა? აბა რას ამბობთ! იცით რა, მისტერ ბეოტონ, რაინდობა და დონ-კიხოტობა ძალიან კარგი რამ არის, მაგრამ გადამეტებული კი არ ვარგა. ეს გახლავთ ის შეცდომა, რომელსაც ხშირად სრადის ახალგაზრდობა. დაფიქრდით: განა ღირს იმად, რომ თავი შეირცხვინოთ და კარიერა გაიფუჭოთ უბრალო ფორმალობის გამო და დაზოგოთ ის კაცი, რომელმაც თქვენ გაგცათ? თქვენ თვითონ ხედავთ, მას სრულიად არ აწუხებდა სინდისი, როცა თქვენს შესახებ ჩვენებას იძლეოდა.

დაცინვისმაგვარი რაღაც მოისმა პოლკოვნიკის ხმაში. არტურს სახე დაეღმიჭა. ის უეცრად მიხვდა ყველაფერს.

— ეგ სიცრუეა! თქვენ სიყალბე ჩაიდინეთ! სახეზე გამჩნევთ ამას! თქვენი საქციელი ზიზღის მომგვრელია! მე მივხვდი, რა განზრახვაც გაქვთ: თქვენ გინდათ სახელი გაუტეხოთ ვინმეს, ან სახეს აგებთ ჩემს დასაჭერად. მატყუარა, ცრუ, არამზადა!

— ხმა გაიკმინდე! — გაბრაზებით დაუყვირა პოლკოვნიკმა და სკამიდან წამოხტა.

ორივე მისი თანამოსამსახურე უკვე ფეხზე იდგა.

— კაპიტანო ტომას! — მიმართა მან ერთ მათგანს, — დაუძახეთ ზედამხედველს და უბრძანეთ, ეს ახალგაზრდა კარცერში ჩასვან რამდენიმე დღით. მე ვხედავ, რომ მისთვის საჭიროა გაკვეთილი, რათა ჭკუაზე მოვიდეს.

კარცერი მიწისქვეშა ვირთხის სოროს მოჰგავდა. შიგნით ბნელოდა, სინოტივე და სიბინძურე იყო. პოლკოვნიკი ფიქრობდა, რომ აქის შემდეგ არტური კეთილგონიერებას გამოიჩენდა, მაგრამ ის მხოლოდ უარესად გააბრაზა ამ მდგომარეობამ. არტური მდიდარ ოჯახში იყო აღზრდილი და სისუფთავეს მიჩვეული. ახლა კი იძულებული ხდებოდა დაობებულ, ლორწოთი დაფარულ, ნაგვით და სხვა სიბინძურით სავსე იატაკზე მდგარიყო და ეყნოსა საშინლად მყრალი სუნი, რომელიც დამპალ ხეს და უწმინდური წყლის ჩასადენ მილებს სდიოდა. ამ გარემოებამ ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა არტურზე, რომ შეურაცხყოფილ ოფიცერსაც კი შეეძლო სრულიად დაკმაყოფილებულიყო.

Scanned by CamScanner

როდესაც არტურს ხელი ჰკრეს და ამ სოროში შეაგდეს. მან ფრთხილად გადადგა ნაბიჯი და ხელები მოუფათურა კედლებს. მას ჟრუანტელი უვლიდა, როცა თითებით ეხებოდა სრიალა ჭუჭყს, რომელიც კედელზე იყო. სიბნელეში ხელებით მოძებნა შედარებით მშრალი ადგილი.

მთელი დღე გაატარა ამ სიბნელეში და სამარისებურ სიჩუმეში. დღე შესცვლა ღამემ, მაგრამ არავითარი ცვლილება არ მომხდარა. არტურს ისევ სიცარიელე ეხვია გარშემო. ყოველგვარი კავშირი გარე ქვეყანასთან გაწყვეტილი ჰქონდა და თანდათან ჰკარგავდა წარმოდგენას დროის შესახებ. მეორე დღეს მან გასაღების ჩხარუნი გაიგონა. შეშინებულმა ვირთხებმა წრიპინით გაურბინეს ფეხებში და არტური შეძრწუნებული წამოხტა. გული საოცრად უცემდა, ყურებში ხმაური ედგა. ისეთი შთაბეჭდილება ჰქონდა, თითქოს მთელი თვის განმავლობაში არ ენახა სინათლე და არავითარი ხმა არ გაეგონა.

კარი გაიღო და სანათურის მკრთალმა სინათლემ გაჰკვეთა კარცეროის სიბნელე. არტური დააბრმავა ამ სინათლემ. შემოვიდა უფროსი ზედამხედველი. მან მოიტანა პურის ნატეხი და წყალი. არტურმა ნაბიჯი გადადგა კარისაკენ, დარწმუნებული იყო, რომ ზედამხედველი მოვიდა მის წასაყვანად, მაგრამ სანამ რაიმეს თქმას მოასწრებდა, ზედამხედველმა გადასცა პური და წყალი, მიტრიალდა და ხმაამოუღებლივ გაბრუნდა. კარი ისევ მიიხურა.

არტურმა ფეხები დააბაკუნა. პირველად თავის სიცოცხლეში თავი ვეღარ შეიკავა. დრო გაიოდა. ის თანდათან ჰკარგავდა წარმოდგენას დროისა და ადგილის შესახებ. ეჩვენებოდა, რომ სიბნელე უსაზღვრო იყო, არც დასაბამი ჰქონდა და არც დასასრული. ცხოვრება თითქოს შეწყვეტილიყო მისთვის.

მესამე დღეს, საღამო ხანს, კარცერში ისევ შემოვიდა ზედამხედველი. ახლა მას ჯარისკაცი ახლდა. არტურმა აზრდაბნეულად მიმოიხედა. იდგა, თვალებს ხელებით იცავდა სინათლისაგან და ამაოდ ცდილობდა იმის გამოანგარიშებას, თუ რამდენი საათი ან კვირა გაატარა ამ სამარეში.

— გამობრძანდით, — ცივად, საქმიანი კილოთი წარმოთქვა ზედამხედველმა.

Scanned by CamScanner

არტური თავისდაუნებურად გაჰყვა. ისე მიდიოდა, თითქოს ნაბიჯის გადადგმისა ეშინოდა. ბორძიკობდა და ქანაობდა, თითქოს მთვრალი ყოფილიყო. ზედამხედველი აპირებდა დახმარებოდა ვიწრო კიბეზე ასვლის დროს, მაგრამ არტურმა უარი თქვა. როდესაც ის ზედა საფეხურზე ავიდა, თავბრუ დაესხა და ალბათ წაიქცეოდა, რომ მხრებში ხელი არ ჩაევლო ზედამხედველს.

* * * * * *

ახლა ყველაფერი გაივლის, — გაისმა ალერსიანი ხმა. — ყოველთვის ასე ხდება, როცა იქიდან სუფთა ჰაერზე გამოდიან.

არტურმა სული ძლივს მოითქვა, როცა ისევ შეასხეს წყალი სახეში. სიბნელე შორდებოდა მას და, თითქოს ნამსხვრევებად ქცეული, ხმაურით იფანტებოდა.

ბოლოს არტური გონს მოვიდა, ჩამოიგლიჯა ზედამხედველების ხელები, თითქმის მტკიცე ნაბიჯით გაიარა დერეფანი და ავიდა კიბეზე. კარის წინ ერთი წუთით შეჩერდა. შემდეგ კარი გაიღო და არტური ნათელ ოთახში აღმოჩნდა, სადაც პირველად დაკითხეს, მაგრამ ის მაშინვე ვერ მიხვდა და გაკვირვებულმა მიმოავლო თვალი მაგიდას, რომელზეც ქაღალდები იყო დახვავებული, მერე შეხედა ოფიცრებს, რომელნიც თავიანთ ადგილებზე ისხდნენ.

— ა, მისტერ ბერტონ! — დაილაპარაკა პოლკოვნიკმა, — იმედი მაქვს, ახლა უფრო ჭკვიანად მოიქცევით. როგორ მოგეწონათ კარცერი? ვერ ნახეთ განა იქ ისეთი სიმდიდრე და სიმშვენიერე, როგორც თქვენი ძმის სასტუმრო ოთახში?

არტურმა შეხედა პოლკოვნიკის მოღიმარ სახეს და შეიპყრო ძლიერმა სურვილმა, მივარდნოდა ამ გამოწკეპილ ოფიცერს და კბილებით სცემოდა ყელში. ალბათ სახეზე გამოეხატა ეს, ვინაიდან იმავე წუთში პოლკოვნიკმა სულ სხვა ტონით დაუწყო ლაპარაკი:

— დაბრძანდით, მისტერ ბერტონ, და წყალი დალიეთ.

არტურმა ხელი ჰკრა წყლიან ჭიქას, რომელიც მას მიაწოდეს. მერე ჩამოჯდა მაგიდასთან და ხელები შუბლზე შემოიწყო.

Scanned by CamScanner

პოლკოვნიკი გულდასმით ადევნებდა თვალყურს. მისმა გამოცდილმა თვალებმა შენიშნეს ხელების და ტუჩების კანკალი, ნოტიოსაგან დასველებული თმა და დაქანცული გამომეტყველება, რომელიც მოწმობდა ფიზიკურ სისუსტეს და ნერვიულ დაღლას.

— ახლა, მისტერ ბერტოხ, — დაიწყო ისევ პოლკოვნიკმა რამდენიმე წუთის შემდეგ, — ჩვენ დავუბრუნდეთ იმას, რაზედაც წინა საუბრის დროს შევჩერდით. მაშინ ჩვენ შორის ცოტა უსიამოვნება მოხდა. მე მგონია, ეს აღარ განმეორდება. ყოველ შემთხვევაში, მე ვიწყებ ჩვენს საუბარს განცხადებით, რომ ამჟამად ჩემი ერთადერთი სურვილია, ვიყო ლმობიერი. შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ხელმეტი სიმკაცრით არ მოგეპყრობით, თუ როგორც საჭიროა, ისე მოიქცევით და საჭირო გონიერებას გამოიჩენთ.

— რა გინდათ ჩემგან?

არტურმა კუშტად, მისთვის არადამახასიათებელი სიბრაზით წარმოთქვა ეს სიტყვები.

— ჩემი სურვილია, მხოლოდ მითხრათ გულახდილად და პატიოსნად: რა იცით ორგანიზაციის და მისი წევრების შესახებ. ჯერ ეს მითხარით, რამდენი ხანია, რაც ბოლას იცნობთ?

— მე ის არასოდეს არ მინახავს. მის შესახებ სრულიად არაფერი არ ვიცი

— ნუთუ? მაშ კარგი, ჩვენ ისევ მალე დავუბრუნდებით ამას... შეიძლება თქვენ იცნობდეთ ახალგაზრდას, სახელად კარლო ბინის?

— არასოდეს არ გამიგონია.

— ეს ძალიან გასაკვირია. მაშ რა შეგიძლიათ მითხრათ ფრანჩესკო ნერის შესახებ?

— პირველად მესმის ეგ სახელი.

— აი, ბარათი თქვენი ხელით დაწერილი და მისთვის გაგზავნილი, დახედეთ!

არტურმა გულგრილად დახედა წერილს და განზე გადასდო.

— ჰა? რას იტყვით? ვერ იცანით?

— ვერა.

— განა უარყოფთ, რომ ეს თქვენი ხელია?

— მე არაფერს არ უარვყოფ. მე არ მახსოვს, რომ დამეწეროს ასეთი წერილი.

Scanned by CamScanner

— მაშ იქნებ ეს გაიხსენოთ?

არტურს გადასცეს მეორე წერილი. მან იცნო ბარათი. რომელიც შემოდგომაზე მისწერა ერთ ამხანაგ სტუდენტს

— არა! — უპასუხა მან.

— არც იმ პირს იცნობთ, რომელსაც გაუგზავნეთ?

— არა.

— ძალიან ცუდი მეხსიერება გქონიათ.

— ეს ჩემი ნაკლია ბავშვობიდანვე.

— ვითომ? მე კი გავიგონე უნივერსიტეტის ერთი პროფესორისაგან, რომ თქვენ არ გთვლიან უხიჭო ყმაწვილად. პირიქით, ისეთი აზრისა არიან, ჭკვიანი ახალგაზრდა არისო.

— თქვენ მსჯელობთ ჭკუის შესახებ ალბათ ჯაშუშობის თვალსაზრისით, უნივერსიტეტის პროფესორები კი სხვაგვარი მნიშვნელობით ხმარობენ მაგ სიტყვებს.

არტურის ხმაში მკაფიოდ გამოსჭვიოდა, რომ ბრაზი ემატებოდა. შიმშილმა, ცუდმა ჰაერმა და უძილო ღამეებმა დაასუსტეს ის. მთელ სხეულში ტკივილს გრძნობდა, ძვლები სტეხავდა. პოლკოვნიკის ხმა შემაწუხებლად მოქმედებდა ისედაც გაწამებულ მის ნერვებზე. ეს ხმა დაფაზე გრიფელის ფხაჭუნს აგონებდა და აიძულებდა კბილი კბილზე დაეჭირა.

— მისტერ ბერტონ, — უეცრად დაიწყო პოლკოვნიკმა და გადაწვა სავარძელში: — თქვენ ისევ ივიწყებთ, სადა ხართ და ჰკარგავთ გონიერებას. კიდევ ერთხელ გაფრთხილებთ, რომ ასეთი კილოთი ლაპარაკი კარგს ვერაფერს მოგიტანთ. თქვენ უკვე საკმაოდ კარგად გაეცანით კარცერს და, მგონია, აღარ გსურთ ხელმეორედ გამოსცადოთ მისი სიმშვენიერე. არ დავფარავ და გეტყვით: თუ ლმობიერება არ გაწყობთ, თქვენს წინააღმდეგ სასტიკ ზომებს მივიღებთ. გახსოვდეთ, ჩემს ხელთაა საკმაო საბუთები იმის დასამტკიცებლად, რომ ზემოთ დასახელებული ახალგაზრდებიდან ზოგიერთებს გადაჰქონდათ აკრძალული ლიტერატურა აქაური ნავსადგურიდან. ამას გარდა, ისიც ვიცით, რომ თქვენ კავშირი გქონდათ მათთან. მაშ, ხართ თუ არა თანახმა ძალადაუტანებლად მითხრათ ყველაფერი, რაც იცით ამ საქმის შესახებ.

არტურმა კიდევ უფრო დაბლა დახარა თავი. ბრაზი ახრჩობდა

Scanned by CamScanner

და ისე მოძრაობდა მთელ მის სხეულში. თითქოს ცოცხალი არსება ყოფილიყო. მას იმდენად პოლკოვნიკის მუქარა არ აშინებდა, რამდენადაც ის, რომ ნებას ჰკარგავდა. პირველად და ცხადად იგრძნო, რომ ჯენტლმენურ თავშეკავებულობას და ქრისტიანულ მორჩილებას შეეძლო ეღალატა და თავისივე თავის შეეშინდა.

— მე ველი პასუხს, — თქვა პოლკოვნიკმა.

— სათქმელი არაფერი მაქვს.

— მაშ, თქვენ გადაჭრით უარს მეუბნებით პასუხის მოცემაზე?

— მე არაფერს არ გეტყვით.

— მაშ იძულებული ვიქნები, გაეცე ბრძანება, დაგაბრუნონ ისევ კარცერში და გამყოფონ იქ იმ დრომდე, სანამ გადაწყვეტილებას არ შეიცვლით. თუ ესეც არ გიშველით, მაშინ ვუბრძანებ ბორკილები დაგადონ.

არტურმა თავი ასწია. მთელ სხეულში ჟრუანტელმა დაუარა.

— მოიქეცით ისე, როგორც გსურდეთ, — ჩუმად თქვა მან. — მაგრამ განა ნებას მოგცემთ ინგლისის ელჩი ასე მოეპყრათ ინგლისის ქვეშევრდომს, რომელიც არაფერშია დამნაშავე?

ბოლოს არტური გაიყვანეს წინანდელ საკანში. ის დავარდა ლოგინზე და მეორე დილამდე ეძინა. ბორკილები არ დაუდვიათ, არც კარცერში ჩაუყვანიათ, მაგრამ ყოველი დაკითხვის შემდეგ იზრდებოდა და ღრმავდებოდა მტრული განწყობილება პოლკოვნიკსა და მას შორის.

ამაოდ მიმართავდა არტური ღმერთს ლოცვებით და ვედრებით, ძალა მიეცა მისთვის ბოროტი ვნებების დასაძლევად. ამაოდ ატარებდა მთელ ღამეებს ქრისტეს მოთმინებასა და მშვიდობიანობაზე ფიქრში. როგორც კი მიიყვანდნენ გრძელ, თითქმის ცარიელ ოთახში, სადაც ისევ ის მაუდგადაფარებული მაგიდა იდგა, როგორც კი შეხვდებოდა პოლკოვნიკს და მის შეღებილ ულვაშებს მოჰკრაედა თვალს, ისევ იღვიძებდა მასში საშინელი სიძულვილი და დაუცხრომელი სურვილი, თავხედურად ელაპარაკა და იმ ვაჟბატონის პირველივე შეკითხვაზე ზიზღით სავსე პასუხი გაეცა. ჯერ თვეც არ გასულიყო, რაც საპატიმროში იჯდა და პოლკოვნიკსა და მას შორის ისეთი ცუდი განწყობილება დამყარდა, რომ მათ აღარ შეეძლოთ გაბრაზებით არ ეცქირათ ერთმანეთისათვის.

Scanned by CamScanner

ეს დაუსრულებელი ბრძოლა თავისებურ გავლენას ახდენდა არტურის ნერვებზე. დღითი დღე უფრო და უფრო ეშინოდა ღრმად დაეძინა ან რამე ეჭამა: მან კარგად იცოდა, რომ სასტიკ თვალყურს ადევნებდნენ, და არ ავიწყდებოდა ხმები იმის შესახებ, რომ პატიმრებს შეუმჩნევლად ასმევდნენ ბელადონს და შემდეგ ჩუმად აყურადებდნენ მათ ბოდვას. როდესაც ღამით წინ გადაურბენდა თაგვი, კივ ოფლში გაწურული წამოვარდებოდა, შიშისაგან კანკალებდა და ეჩვენებოდა, რომ საკანში ვიღაც იმალებოდა და ყურს უგდებდა — რამეს ხომ არ ვამბობ ძილის დროსო.

ჟანდარმები აშკარად ცდილობდნენ დაეჭირათ რაიმე ჩვენებაზე, რომელიც გაამჟღავნებდა ბოლას. ნერვები მართლაც ისე დაუსუსტდა, რომ სახიფათო იყო, არ გაბმულიყო მახეში. დღე და ღამე მის ყურს ესმოდა ერთი და იგივე სახელი — „ბოლა". ლოცვის დროსაც უნებურად წარმოთქვამდა ამ სახელს „მარიამის" ნაცვლად. მაგრამ ყველაზე ცუდი ის იყო, რომ რელიგიური განწყობილება დღითი დღე უქრებოდა გულში მთელ გარე სამყაროსთან ერთად. დღეში რამდენიმე საათს ლოცვაში ატარებდა არტური — ეს იყო მისთვის ერთადერთი გამამხნევებელი ძალა. მაგრამ ფიქრები ისევ ბოლასკენ უბრუნდებოდა, ხოლო ლოცვას გულცივად და მექანიკურად წარმოთქვამდა.

დიდ სიხარულს ანიჭებდა მას ციხის უფროსი ზედამხედველი. ეს იყო პატარა მოხუცი, მრგვალი და მელოტი, თავდაპირველად ყოველნაირ საშუალებას ხმარობდა სიმკაცრე გამოეჩინა. მაგრამ ბუნებრივმა გულკეთილობამ, რომელიც გამოსჭვიოდა სახის ყოველ ნაკვთში, დასძლია მასში მოვალეობის გრძნობა და მალე დაიწყო ერთი საკნიდან მეორეში წერილების გადაცემა.

მაისის ერთ დღეს, ნასადილევს, ზედამხედველი შევიდა არტურის საკანში და ისე მკაცრად შეხედა, რომ არტურმა გაკვირვებით მიაშტერა თვალები.

— რა დაგემართა, ენრიკო! — მიაძახა მან, — რა მოხდა დღეს?

— არაფერი, — უხეშად უპასუხა ენრიკომ. იმავე წუთში მივიდა საწოლთან და თავი მოუყარა არტურის ტანსაცმელს.

— რად მიგაქვთ ჩემი ნივთები? სხვა საკანში გადავყევართ?

— არა, თქვენ გიშვებენ.

Scanned by CamScanner

— მიშვებენ? დღეს? სულ მიშვებენ?.. ენრიკო!

აღელვებული არტური ჩააფრინდა ზედამხედველის ხელს. მაგრამ მან გაბრაზებით გამოგლიჯა.

— ენრიკო, რა მოგივიდათ? რად არ მაძლევთ პასუხს? მითხარით, ჩვენ ყველანი გავალთ ახლა აქედან?

პასუხად მოესმა ბუტბუტი, რომელშიაც ზიზღი გამოსჭვიოდა.

— გამიგონეთ! — არტურმა ღიმილით დაუკავა მოხუცს ხელი. — თქვენ არა გაქვთ მიზეზი ჩემზე ნაწყენი იყოთ. მე კი თქვენგან მაინც არაფერი მეწყინება. უმჯობესია, სხვების ამბავი მითხრათ!

— სხვების ამბავი! — წაიბუტბუტა ენრიკომ და უეცრად ხელი უშვა პერანგს, რომელსაც კეცავდა, — ბოლას შესახებ ხომ არ გინდოდათ გეკითხათ?

— მისი და სხვების შესახებაც. ენრიკო, რა დაგემართათ?

— არა მგონია, რომ მალე გაუშვან, ვინაიდან ის გასცა ამხანაგმა. ფუ. რა სისაძაგლეა! — და ენრიკომ ზიზღით მოჰკიდა ხელი პერანგს.

— ის ამხანაგმა გასცა? რა საშინელებაა! — ფართოდ თვალებგაღებული არტური გაოცებული იდგა.

ენრიკო სწრაფად მიტრიალდა მისკენ:

— განა თქვენ არ გაეცით?

— მე? ჭკუაზე ხომ არ შეშლილხართ! მე?

— არ ვიცი, ასე კი უთხრეს დაკითხვის დროს. ძალიან მოხარული ვიქნებოდი, რომ გამცემი თქვენ არ ყოფილიყავით. მე თქვენ ყოველთვის რიგიან ჭაბუკად მიმაჩნდით. აქეთ!

ენრიკო გავიდა დერეფანში. არტური გაჰყვა.

მისი გონება უეცრად გაბრწყინდა, ის მიხვდა, რაშიც იყო საქმე და უთხრა:

— დახეთ, რა უქნიათ! ბოლას მათ უთხრეს, რომ ის მე გავეცი, მე კი, ენრიკო, მითხრეს, რომ ბოლამ გამცა. მაგრამ განა ბოლა ეგეთი ბრიყვია, რომ ეს დაიჯეროს?

— მაშ ეს მართლა სიცრუეა? — ენრიკო შეჩერდა კიბის საფეხურებზე და მიაცქერდა არტურს, რომელიც გაკირვებისაგან მხრებაჩეჩილი იდგა.

— რა თქმა უნდა, სიყალბეა!

— ძალიან მიხარია მაგის გაგონება! წავალ ბოლასთან და თქვენს

Scanned by CamScanner

ნათქვამს გადავცემ. იცით, კიდევ რა უთხრეს! უთხრეს, რომ თქვენ დააბეზღეთ... როგორ უთხრეს? ჰო, მართლა, მეშურნეობის გამო. თითქოს ორივე ყოფილიყავით შეყვარებული ერთსა და იმავე ქალზე.

— ეგ სიყალბეა! — არტურმა რამდენიმეჯერ გაიმეორა ეს სიტყვა ჩუმად და გაბრაზებით. ის უეცრად შეიპყრო შიშმა, რომელიც ცალ-ღონეს აცლიდა, — ერთი და იგივე ქალი! მეშურნეობა! როგორ გაიგეს? როგორ შეძლეს ამის გაგება?

— დაიცადეთ ერთი წუთით! — ენრიკო შეჩერდა დერეფანში იმ ოთახის წინ, სადაც დაკითხვებს აწარმოებდნენ და ალერსიანად თქვა:

— მჯერა თქვენი. მაგრამ მითხარით კი, აი, რა: მე ვიცი, თქვენ კათოლიკე ხართ, ხომ არაფერი გითქვამთ აღსარების დროს?

— ეგ სიყალბეა! — სულმოუთქმელად წამოიყვირა არტურმა ეს სიტყვები მესამედ.

ენრიკომ მხრები აიჩეჩა და წინ წავიდა.

— რა თქმა უნდა, ეს თქვენ უკეთ იცით. მაგრამ თქვენ პირველი არა ხართ ისეთ გულუბრყვილოთაგან, რომლებიც ამ ანკესზე წამოეგნენ აი, ახლა ხშირად ლაპარაკობენ პიზაში მყოფ ვიღაც მღვდელზე, თქვენმა მეგობრებმა უკვე გამოამჟღავნეს ის. მათ დაბეჭდეს გამაფრთხილებელი ფურცელი, სადაც სწერია, რომ ის მღვდელი ჯაშუში არის.

მან შეაღო იმ ოთახის კარი, სადაც დაკითხვებს აწარმოებდნენ და ფრთხილად ჰკრა ხელი არტურს, რომელიც გაშტერებით იდგა და აზრდაბნეული იყურებოდა აქეთ-იქით.

— გამარჯობათ, მისტერ ბერტონ,—თქვა პოლკოვნიკმა თავაზიანად და ფართოდ გაიღრიჭა. — მოხარული ვარ, მოგილოცოთ. ფლორენციიდან მივიღეთ ბრძანება თქვენი განთავისუფლების შესახებ ხელი მოაწერეთ ამ ქაღალდს.

არტური მიუახლოვდა მას.

— მითხარით, — აკანკალებული ხმით მიმართა მან, — ვინ გამცა მე?

პოლკოვნიკმა ღიმილით ასწია წარბები.

— ვერ მიხვდით? აბა ჩაუფიქრდით ცოტა...

Scanned by CamScanner

არტურმა თავი გააქნია. პოლკოვნიკმა გაიკვირვა:

— ნუთუ ვერ მიხვდით? თვითონ თქვენვე, მისტერ ბერტონ. მაშ ვის შეეძლო სცოდნოდა თქვენი სატრფიალო ამბების შესახებ.

არტურმა არაფერი არ თქვა და მიტრიალდა. კედელზე ეკიდა დიდი ჯვარცმა. დიდხანს უყურა მას. მაგრამ ლოცვა და მოკრძალება კი არ ისახებოდა მის ცქერაში, არამედ მხოლოდ გაკვირვება უფლის დიდი და ზედმეტი მოთმინების გამო, რომ აქამდე ელვის ისრით არ განგმირა აღსარების საიდუმლოს გამმჟღავნებელი მღვდელი.

— კეთილი ინებეთ და ხელი მოაწერეთ, რომ მიიღოთ თქვენი საბუთები.— ალერსიანი ხმით უთხრა პოლკოვნიკმა, — ზედმეტს აღარ დაგაკავებთ დარწმუნებული ვარ, შინ მიგეჩქარებათ. რამდენ დროს მართმევს ეს გიჟი ბოლა! ვშიშობ, რომ სასტიკი სასჯელი მოელის მას... მშვიდობით!

არტურმა ხელი მოაწერა, წაიღო თავისი ქაღალდები და ხმაამოუღებლივ გავიდა.

ციხის დიდ კარამდე ის კვალდაკვალ მიჰყვებოდა ენრიკოს, შემდეგ კი, გამოთხოვებისას, ერთი სიტყვაც არ უთქვამს მისთვის, მარტო დაეშვა ნაპირისაკენ, სადაც მენავე უცდიდა, რომ არხის მეორე ნაპირზე გადაეყვანა.

იმწუთში, როცა არტური ქვის კიბით ქუჩაზე ადიოდა, მისკენ გამოიქცა ხელებგაშლილი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც შალის უბრალო კაბა ეცვა და ჭილოფის ქუდი ეხურა.

— არტურ! რა ბედნიერი ვარ! რა ბედნიერი ვარ!

არტური შეკრთა ამ უცაბედი შეხვედრის გამო, მან მოიშორა ქალის ხელები.

— ჯიმ! — როგორც იქნა, წარმოთქვა მან სრულიად გამოცვლილი ხმით:—ჯიმ!

— მე აქ ნახევარი საათი ვიცადე, მითხრეს, ოთხ საათზე გამოუშვებენო. არტურ, რად მიყურებთ აგრე? განა მოხდა რამე? რა დაგემართათ? შეჩერდით!

არტური მოტრიალდა და ნელი ნაბიჯით განაგრძო გზა, თითქოს არც შეუხედავს ქალისათვის.

ქალი შეაშინა მისმა ასეთმა მოქცევამ. ის გაჰყვა და ხელი ჩაავლო.

Scanned by CamScanner

— არტურ!

ის შეჩერდა და აზრდაბნეული შეხედა ქალს. ჯემამ ხელი მკლავში გაუყარა. რამდენიმე წუთის განმავლობაში ისინი ხმაამოუღებლად მიდიოდნენ.

— გამიგონეთ, ძვირფასო, — ნაზად მიმართა ქალმა. — თქვენ არ უნდა, დაგაღონოთ იმ სამწუხარო გაუგებრობამ. მე ვიცი, ეს დიდი სისასტიკეა თქვენს მიმართ, მაგრამ ყველამ იცის, რომ...

— რომელმა გაუგებრობამ? — ძლივს შეძლო არტურმა კითხვის მიცემა.

— მე ვლაპარაკობ ბოლას წერილის შესახებ.

არტურის სახეზე ტკივილი და უსაზღვრო მწუხარება გამოიხატა.

— მე მეგონა, თქვენ იცოდით ამის შესახებ, — განაგრძო ჯემამ. — ბოლა ალბათ მთლად გაგიჟდა, თუ ეს სისულელე დაიჯერა.

— რა სისულელე?

— მაშ თქვენ არაფერი იცით? მან საოცარი წერილი გამოგზავნა. იუწყებოდა, თითქოს თქვენ უამბეთ ჟანდარმებს გემის შესახებ, რომ თქვენი გულისათვის დააპატიმრეს. რა სისულელეა! ვინც თქვენ გიცნობთ, ეს ყველაფერი კარგად იცის, მხოლოდ ვინც სრულიად არ გიცნობთ, შეუძლია ეჭვის მიტანა. სწორედ ამისათვის მოვედი აქ. მე მინდოდა, რაც შეიძლება ძალე მეთქვა თქვენთვის, რომ ჩვენს ჯგუფში არავის სჯერა წერილის არც ერთი სიტყვა.

— ჯემა! მაგრამ ეს... ეს სიმართლეა!

ჯემამ უკან დაიხია და მდუმარედ გაჩერდა. მის დიდ, შავ თვალებში საშინელება გამოიხატა სახე იმ ქსოვილივით გათეთრებოდა, რომელიც კისერზე ეხვია. სიჩუმის ყინულივით ტალღა აღიმართა მათ წინაშე და თითქოს გამოთიშა ისინი ქუჩის ხმაურისა და მოძრაობისაგან.

— დიახ, — წაიბუტბუტა მან ბოლოს. — გემი... მე ვთქვი მის შესახებ და ბოლაც მე დავასახელე. ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! რა უნდა ვქნათ!

არტური უეცრად გონს მოვიდა. ახლა ის გარკვევით გრძნობდა, რომ გვერდით ჯემა ედგა. ხედავდა ქალის შეშინებულ სახეს. აჰ, რა საშინელებაა! ის ალბათ ახლა ფიქრობს...

Scanned by CamScanner

— ჯემა, თქვენ ვერ გამიგეთ, — წამოიძახა მან ბოლოს და ქალისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა

ჯემამ დაიკივლა და სწრაფად დაიხია უკან:

— ხელი არ შემახოთ!

არტურმა ხელი სტაცა მარჯვენა მკლავში.

— გამიგონეთ, ღვთის გულისათვის! ჩემი ბრალი არ იყო... მე ..

— დამეხსენით, გამიშვით ხელი! მომცილდით!

ქალმა გამოსხლიტა ხელი და სილა გააწნა არტურს.

ბინდი გადაეკრა არტურის თვალებს. რამდენიმე წუთის განმავლობაში ვერაფერს ხედავდა ჯემას მკრთალი სასოწარკვეთილი სახის მეტს. ხედავდა აგრეთვე ხელებს, რომელთაც ქალი ზიზღით იწმენდდა კაბის კალთაზე.

შემდეგ ნისლი გაიფანტა...

არტურმა მიიხედ-მოიხედა და დაინახა, რომ მარტო იყო.

თავი მეშვიდე

სრულიად ბნელოდა, როცა არტურმა სასახლის ქუჩაზე დიდი სახლის კართან დარეკა.

მას ახსოვდა, რომ ხეტიალობდა ქუჩებში, მაგრამ სრულიად ვერ მოეგონებინა, სად და რამდენ ხანს იარა.

კარი ჯულიას მსახურმა გააღო. ის მთქნარებით შეჰყურებდა არტურის გაქვავებულ სახეს. ძალზე ართობდა ის ამბავი, ოომ ახალგაზრდა ბატონი დაბრუნებულიყო ციხიდან, როგორც ვინმე შექეიფიანებული შემთხვევით გამვლელი.

არტური კიბეს აჰყვა. პირველ სართულში შეეფეთა ჯიბონსს, რომელიც ჩამოდიოდა მის შესახვედრად და ისეთი სახე მიეღო, თითქოს ჰკიცხავდა ციხეში ნამყოფ არტურს.

არტური შეეცადა გვერდი აექცია მისთვის და მხოლოდ ჩვეულებრივი „სალამო მშვიდობისა“ წაიბუტბუტა. მაგრამ ძნელი იყო ჯიბონსის ხელიდან დაძრომა, როცა ეს მას არ უნდოდა.

Scanned by CamScanner

— ჯემა, თქვენ ვერ გამიგეთ, — წამოიძახა მან ბოლოს და ქალისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა

ჯემამ დაიკივლა და სწრაფად დაიხია უკან:

— ხელი არ შემახოთ!

არტურმა ხელი სტაცა მარჯვენა მკლავში.

— გამიგონეთ, ღვთის გულისათვის! ჩემი ბრალი არ იყო... მე ..

— დამეხსენით, გამიშვით ხელი! მომცილდით!

ქალმა გამოსხლიტა ხელი და სილა გააწნა არტურს.

ბინდი გადაეკრა არტურის თვალებს. რამდენიმე წუთის განმავლობაში ვერაფერს ხედავდა ჯემას მკრთალი სასოწარკვეთილი სახის მეტს. ხედავდა აგრეთვე ხელებს, რომელთაც ქალი ზიზღით იწმენდდა კაბის კალთაზე.

შემდეგ ნისლი გაიფანტა...

არტურმა მიიხედ-მოიხედა და დაინახა, რომ მარტო იყო.

თავი მეშვიდე

სრულიად ბნელოდა, როცა არტურმა სასახლის ქუჩაზე დიდი სახლის კართან დარეკა.

მას ახსოვდა, რომ ხეტიალობდა ქუჩებში, მაგრამ სრულიად ვერ მოეგონებინა, სად და რამდენ ხანს იარა.

კარი ჯულიას მსახურმა გააღო. ის მთქნარებით შეჰყურებდა არტურის გაქვავებულ სახეს. ძალზე ართობდა ის ამბავი, რომ ახალგაზრდა ბატონი დაბრუნებულიყო ციხიდან, როგორც ვინმე შექეიფიანებული შემთხვევით გამვლელი.

არტური კიბეს აჰყვა. პირველ სართულში შეეფეთა ჯიბონსს, რომელიც ჩამოდიოდა მის შესახვედრად და ისეთი სახე მიეღო, თითქოს ჰკიცხავდა ციხეში ნამყოფ არტურს.

არტური შეეცადა გვერდი აექცია მისთვის და მხოლოდ ჩვეულებრივი „საღამო მშვიდობისა“ წაიბუტბუტა. მაგრამ ძნელი იყო ჯიბონსის ხელიდან დაძრომა, როცა ეს მას არ უნდოდა.

Scanned by CamScanner

— ბატონები შინ არ ბრძანდებიან, — უთხრა მან და მედიდურად გადახედა არტურის ბინძურ ტანსაცმელს და დაუვარცხნელ თმას — ყველანი სტუმრად წავიდნენ და თორმეტ საათამდე არ დაბრუნდებიან.

არტურმა საათს დახედა. ჯერ მხოლოდ ცხრა საათი იყო. მაშ ეგრე! დრო უფრო მეტი აქვს, ვიდრე საჭიროა!..

— ქალბატონმა მიბრძანა გკითხოთ, მიირთმევთ თუ არა ვახშამს და ამას გარდა გადმოგცეთ, რომ იმედი აქვს მღვიძარს გნახავთ.

— მადლობელი ვარ, ვახშამი არ მინდა, ქალბატონს კი გადაეცი, რომ მის დაბრუნებამდე არ დავიძინებ.

არტური შევიდა თავის ოთახში. ყველაფერი ისე იყო, როგორც დაპატიმრების დღეს დატოვა. მონტანელის სურათი იდგა მაგიდაზე, სადაც მან დატოვა, ჯვარცმა კი, ისევე როგორც წინათ, საწოლთან იყო დაკიდებული.

ერთი წუთით შეჩერდა კარებში. მთელ სახლში სამარისებური სიჩუმე გამეფებულიყო. ის დარწმუნდა, რომ ხელს არავინ შეუშლიდა. ფრთხილად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, შევიდა ოთახში და დაკეტა კარი.

მაშ ასე, ყველაფერი გათავდა! აღარაფერია საფიქრალი, აღარაფერია ასაღელვებელი. უნდა მოიშოროს გულის მღრღნელი ფიქრები. და მორჩა. მაგრამ მაინც რა სისულელეა და რა უაზრობაა!

მას არ სჭირდებოდა იმის გადაწყვეტა, თავი მოეკლა თუ არა. ბევრს არც კი ფიქრობდა ამის შესახებ: ასეთი ბოლო თავისთავად აუცილებლად მოაჩნდა. მხოლოდ ნათელი წარმოდგენა არ ჰქონდა იმის შესახებ, თუ როგორ მოეკლა თავი. თავში უტრიალებდა მხოლოდ ერთი ფიქრი, მალე ჩაედინა ეს — მოესპო სიცოცხლე და მისცემოდა დავიწყებას. ხელთ არაფერი იარაღი არ ჰქონდა, ჯიბის დანაც არ აღმოაჩნდა. მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა: შეიძლებოდა ესარგებლა პირსახოცით, ან ნაკრებად ექცია ზეწარი.

ფანჯრის ზევით დიდი ლურსმანი დაინახა მიჭედებული. „ეს კარგია“, — გაუელვა თავში. მაგრამ ლურსმანი საკმაოდ მაგარი უნდა იყოს, რომ ტანის სიმძიმეს გაუძლოს. არტური შედგა სკამზე და გასინჯა. ლურსმანი საიმედო არ აღმოჩნდა. ამის შემდეგ ჩამოვიდა სკამიდან, ყუთიდან ამოიღო ჩაქუჩი, მიარტყა რამდენიმეჯერ ლურს-

Scanned by CamScanner

მანს და როცა დააპირა საწოლიდან ზეწრის აღება, უცბად გაახსენდა, რომ ლოცვა არ ჰქონდა წაკითხული. ხომ უნდა ელოცა სიკვდილის წინ, როგორც ყველა ქრისტიანი ლოცულობს. სპეციალური ლოცვებიც არსებობს, რომლებიც სულთან განშორების წინ უნდა ითქვას.

ის შევიდა ნალოში და ჯვარცმის წინაშე მუხლებზე დაეშვა.

— ღმერთო ძლიერო და მწყალობელო, — წარმოთქვა ხმამაღლა და შეჩერდა... ცხოვრება ისეთი უსიხარულო და შავბნელი მოეჩვენა, რომ მასში აღარაფერი დარჩენილიყო ლოცვის ღირსი. განა ქრისტეს გამოუცდია ასეთი ტანჯვა! ის ხომ მხოლოდ გასცეს როგორც ბოლა, მახეს კი არავინ უგებდა და თვითონაც გამყიდველი არ ყოფილა!

არტური წამოდგა, როგორც დაჩვეული იყო, პირჯვარი გადაისახა. შემდეგ მივიდა მაგიდასთან და დაინახა მონტანელის გამოგზავნილი წერილი. ბარათი დაწერილი იყო ფანქრით.

„ჩემო ძვირფასო ბიჭუნა! — ეწერა შიგ. — მე სასოწარკვეთილი ვარ, რომ საშუალება არ მაქვს გნახო შენი განთავისუფლების დღეს. მომაკვდავთან მიმიწვიეს. გვიან ღამემდე ვერ დავბრუნდები, ხვალ დილიდანვე მოდი ჩემთან. ძალზე ვჩქარობ.

ლ. მ.“

არტურმა ამოიოხრა, დადო წერილი და გაიფიქრა: „საბრალო ბადრე!“

ხალხი კი სიცილით დადიოდა ქუჩაში. ქვეყნაზე არაფერი არ გამოცვლილიყო იმ დღის შემდეგ, როცა ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. არავითარი ყოველდღიური წვრილმანი, რომელიც გარშემო ეხვია, არ გამოცვლილიყო იმის გამო, რომ ადამიანის სული, ცოცხალი ადამიანის სული, სასიკვდილოდ იყო განწირული და დამახინჯებული. ყველაფერი ძველებურად დარჩენილიყო. შადრევნიდან მოჩქეფდა წყალი, სახურავის ქვეშ ბეღურები ისევ ჟივჟი-

Scanned by CamScanner

ვებდნენ, როგორც გუშინ და როგორც ხვალაც იქივქივებდნენ. ის კი... ის მკვდარი იყო.

არტურმა ჩაიჩოქა საწოლთან, მის ნაპირს ხელი მოჰხვია და თავი დაადო. დრო ჯერ კიდევ ბევრი ჰქონდა — მას კი ისე სტკიოდა თავი, თავი კი არა, ტვინი... ყველაფერი სისულელე და უაზრობაა...

ქუჩიდან შემოსავალ კართან ძლიერი ზარის ხმა გაისმა. არტური წამოვარდა შეშინებული და ორივე ხელი ყელში წაიჭირა. უკვე მოვიდნენ, მან კი ძვირფასი დრო დაკარგა! ახლა იძულებული იქნება უყურის მათ სახეს, მათ საზიზღარ დამცინავ ღიმილს, გაიგონოს მტრული ხმები და მოსაწყენი საყვედურები. ოჰ, ახლა რომ დანა ჰქონდეს ხელში!

არტურმა სასოწარკვეთით მიმოავლო თვალი ოთახს. შიფონერზე დედის სამუშაო კალათა იდგა. „იქ მაკრატელი იქნება, — გაუელვა თავში, — ეს საკმარისია იმისთვის, რომ შეძლოს არტერიის გადაჭრა. არა, ზეწარი და ლურსმანი უფრო საიმედოა, მეტი დრო რომ ჰქონდეს“.

მან ააძრო ლოგინს ზეწარი და საოცარი სისწრაფით წაახია გვერდი. კიბეზე გაისმა ფეხის ხმა. არა, ნაჭერი ძალიან ფართოა, და ვერ შეძლებს მაგრად მოიჭიროს. მერე კიდევ საჭიროა მარყუჟის გაკეთება. აჩქარდა. ნაბიჯები ახლოვდებოდა. სისხლი სცემდა საფეთქლებში და ხმაურობდა ყურებში. მალე, მალე! ო, ღმერთო! მხოლოდ ხუთი წუთი რომ ჰქონდეს!

კარზე დაუკაკუნეს. ზეწრის ნაჭერი ხელიდან გაუვარდა. იჯდა უძრავად და სმენადაძაბული, ცდილობდა, არ ესუნთქა. შეტრიალდა კარის ხელსაკიდი. შემდეგ გაისმა ჯულიას ხმა:

— არტურ!

ის რეტდასხმულივით წამოდგა.

— არტურ, გააღეთ კარი. ჩვენ ვიცდით.

მან ხელი დაავლო ზეწრის ნახევს, ჩააგდო კომოდის უჯრაში და საჩქაროდ გაასწორა ლოგინი.

— არტურ! — ეს ჯემსის ხმა იყო. ის მოუთმენლად ატრიალებდა კარის ხელსაკიდს. — გძინავს?

არტურმა თვალი მიმოავლო ოთახს, ხომ ყველაფერი წესრიგშია და კარი გააღო.

Scanned by CamScanner

— მე მგონია, არტურ შეგეძლო, შეგესრულებინა ჩემი თხოვნა და მოგეცადა ჩვენს მოსვლამდე, — თქვა გულმოსულმა ჯულიამ და გაბრაზებული შევიდა ოთახში. — ალბათ, შენი აზრით, საჭიროა, ნახევარი საათი ვიხტუნოთ კარის წინ და ვუცადოთ, სანამ გაგვიღებენ.

— მხოლოდ ოთხი წუთი, ჩემო ძვირფასო, — მორიდებით გაუსწორა ცოლს ჯემსმა, რომელიც მის ვარდისფერ ატლასის შლეიფს შემოჰყვა ოთახში. — მე მგონია, არტურ, ბევრად უფრო ზრდილობიანი ქცევა იქნება, რომ...

— რა გინდათ ჩემგან! — სიტყვა შეაწყვეტინა არტურმა. ის მიჰყუდებოდა კედელს კართან და მახეში გაბმული ნადირივით ხან ერთს შეჰყურებდა, ხან მეორეს.

მაგრამ ჯემსი საკმაოდ რეგვენი იყო, ხოლო ჯულია ძალიან გაბრაზებული, რომ არტურის ეს გამომეტყველება შეენიშნათ.

— ჯულია და მე, — დაიწყო ჯემსმა, — ჩვენს მოვალეობად ვთვლით, სერიოზულად მოგელაპარაკოთ იმის შესახებ, რომ...

— ახლა მე არ შემიძლია თქვენი მოსმენა. მე... მე ცუდად ვარ, თავი მტკივა... უნდა მოითმინოთ...

არტურმა წარმოთქვა ეს უჩვეულო ყრუ ხმით და ენის ბორძიკით.

ჯემსმა გაკვირვებით შეხედა.

— რა დაგემართა? — შეშფოთებით ჰკითხა, რადგან უეცრად მოაგონდა, რომ არტური ისეთი ადგილიდან მოვიდა, სადაც ათასგვარი სენის კერა იყო. — ავად ხომ არა ხარ? ისე გამოიყურები, თითქოს ციებ-ცხელება გქონდეს.

— სისულელეა! — მაშინვე შეაწყვეტინა ჯულიამ, — ყველაფერი ეგ მხოლოდ ჩვეულებრივი კომედიებია: რცხვენია, თვალებში შეშოგვხედოს და მეტი არაფერი. მოდი აქ, არტურ, და დაჯექი.

არტურმა ნელა გაიარა ოთახში და თავის საწოლზე დაეშვა.

— ჰო, რაო? — დაღლილი ხმით წარმოთქვა მან.

მისტერ ბერტონმა ჩაახველა, ხელი ჩამოისვა წვერებზე და განაგრძო გულმოდგინებით დამზადებული თავისი სიტყვა.

— ჩემს მოვალეობად, ჩემს მძიმე მოვალეობად მიმაჩნია, მოგე-

Scanned by CamScanner

ლაპარაკო შენს არაჩვეულებრივ ყოფაქცევაზე და შენს კავშირზე კანონის დამრღვევებთან, მეამბოხეებთან და სხვა საეჭვო რეპუტაციის ხალხთან. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამის მიზეზია შენი დაუფიქრებლობა და არა ზნედაცემულობა...

ის შეჩერდა.

— შემდეგ? — წამოიძახა არტურმა.

— ჰოდა, მე არ მინდა სიმკაცრე გამოვიჩინო, — განაგრძო ჯემსმა და თავისდაუნებურად მოლბა, როცა შეხედა არტურის დაღლილ სახეს და მის უიმედო გამომეტყველებას. — მე მზად ვარ ვიფიქრო, რომ შენ შეგაცდინეს ცუდმა ამხანაგებმა, და მხედველობაში ვიღებ შენს ახალგაზრდობას და კიდევ... კიდევ... დაუფიქრებლობას და გატაცებას, რომელიც ვშიშობ, დედისაგან გამოგყვა.

არტურმა შეხედა დედის სურათს, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

— შენ, რასაკვირველია, მიხვდები, — განაგრძო ისევ ჯემსმა, — რომ ჩვენთვის შეუძლებელია სახლში ვიყოლიოთ ისეთი კაცი, რომელმაც საზოგადოებაში შებილწა ჩვენი სახელი, რომელსაც აქამდის ყოველთვის პატივისცემით ეპყრობოდნენ.

— შემდეგ? — ისევ გაიმეორა არტურმა.

— როგორ! — დაიყვირა ჯულიამ, გაბრაზებით დაკეცა მარაო და დაიგდო კალთაზე. — არტურ, გსურთ თუ არა თქვენ თქვათ რაიმე ამ „შემდეგ"-ის გარდა?

— თქვენ, რა თქმა უნდა, მოიქეცით ისე, როგორც ეს ხელსაყრელი იქნება თქვენთვის, — წყნარად უპასუხა არტურმა. — ხოლო როგორ, ამას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს.

— მნიშვნელობა არა აქვს? — გაიმეორა ამ პასუხით თავზარდაცემულმა ჯემსმა, მისი ცოლი კი სიცილით ადგა სკამიდან.

— მაშ ასე? მნიშვნელობა არა აქვს... ჯემს, ახლა მე დარწმუნებული ვარ მიხვდებით, თუ რა მადლობას უნდა მოველოდეთ მისგან. მე თქვენ გეუბნებოდით, რა იყო მოსალოდნელი იმის გამო, რომ ლმობიერებას იჩენდით პაპის ავანტიურისტებისა და მისი შთამომავლობისადმი.

— ჩუმად, ჩუმად! ნუ აღელდები, არა ღირს, ჩემო ძვირფასო...

— სისულელეა, ჯემს! ჩვენ მეტისმეტ სანტიმენტალობას ვიჩენთ და მერე ვის მიმართ! ვიღაც უკანონო ბავშვისა, რომელიც ჩვენს

Scanned by CamScanner

ოჯახში შემოიჭრა ისე, თითქოს სრულუფლებინი წევრი ყოფილიყოს! დროა იცოდეს, ვინ იყო დედამისი! რა ვალდებული ვართ ველოლიავოთ კათოლიკე მღვდლის შვილს? აი, წაიკითხე!

ქალმა ჯიბიდან ამოიღო დაჭმუჭვნილი ქაღალდის ფურცელი და არტურისკენ გადაისროლა.

არტურმა გაშალა ფურცელი და დედის ხელი იცნო.

თარიღის მიხედვით პარათი დაწერილი იყო არტურის დაბადებამდე ოთხი თვით ადრე. წერილი მიმართული იყო ქმრისადმი. ქალი მას უმჟღავნებდა თავის საიდუმლოებას. ბოლოში ორი ხელმოწერა იყო.

არტური აუჩქარებლად კითხულობდა სტოიქონებს, სანამ არ ჩაათავა გვერდი, სადაც დედის ხელით დაწერილ მერყევ სტრიქონებს შემდეგ წაიკითხა მტკიცე, ნაცნობი ხელმოწერა: „ლორენცო მონტანელი“.

ოამდენიმე წუთის განმავლობაში არტური გაშტერებით დაჰყურებდა ქაღალდს. შემდეგ უსიტყვოდ დაკეცა ფურცელი და მაგიდაზე დადო.

ჯემსი ადგა და ცოლს ხელი მოჰკიდა.

— აბა, ჯულია, გეყოფა. ჩადი ქვევით, გვიან არის. მე კი საქმეებზე უნდა მოველაპარაკო არტურს. ეს შენთვის საინტერესო არ არის.

ცოლმა თვალი გადაავლო ქმარს, შემდეგ მიაცქერდა არტურს. ის გაჩუმებული იყო და იატაკს თვალს არ აშორებდა.

— ხომ არ შეშლილა? — ჩაილაპარაკა ჯულიამ.

როდესაც ჯულიამ აიკრიფა თავისი შლეიფი და ოთახიდან გავიდა, ჯემსმა მიხურა კარი და დაუბრუნდა მაგიდასთან მდგომ სკამს.

არტური ისევ ჩუმად იჯდა და არ იძვროდა.

— არტურ! — ალერსიანი კილოთი დაიწყო ჯემსმა (ჯულიას ალარ შეეძლო მათი გაგონება), — ძალიან მწყინს, რომ ასე მოხდა. შენ არ უნდა გცოდნოდა ეს. ასე იყო თუ ისე, მაინც გაიგე და მოხარული ვარ, როცა გხედავ, რომ ვაჟკაცურად გიჭირავს თავი. ჯულია ცოტათი აღელვებულია. ქალები საერთოდ ხშირად... დავანებოთ ამას თავი... მე არ მინდა შენს მიმართ მკაცრი ვიყო...

Scanned by CamScanner

მან შეწყვიტა ლაპარაკი იმისთვის, რომ დაენახა, რა შთაბეჭდილება მოახდინა მისმა ლმობიერმა მიმართვამ.

არტური ისევ გაჩუმებული იყო და არ იძვროდა.

— რა თქმა უნდა, ჩემო კარგო, ეს ძალზე სამწუხარო ამბავია, — განაგრძო პაუზის შემდეგ ჯემსმა, — და იმაზე უკეთესს ვერაფერს იზამ, თუ გაჩუმდები. მამაჩემმა იმდენი კეთილშობილება გამოიჩინა, რომ არ მიატოვა დედაშენი, როდესაც მან გაუმჟღავნა ღალატი. მხოლოდ მოითხოვა, რომ კაცს, რომელმაც ის შეაცდინა, დაუყოვნებლივ დაეტოვებინა იტალია. როგორც შენ იცი, ის ჩინეთში გაემგზავრა მისიონერად. პირადად მე წინააღმდეგი ვიყავი, რომ შენ შეხვედროდი მას, როდესაც ის უკან დაბრუნდა. მაგრამ მამაჩემი უკანასკნელ დღემდე ნებას აძლევდა შენს აღზრდაზე ეზრუნა მხოლოდ იმ პირობით, რომ აღარ ცდილიყო ენახა დედაშენი. სიმართლე უნდა ითქვას, რომ პირობა ბოლომდე შეასრულეს. ყველაფერი ეს ძალიან სამწუხაროა. მაგრამ...

არტურმა თავი ასწია. სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარ აჩნდა მის სახეს. ის სანთელივით გაყვითლებულიყო.

— განა არ გ-გ-გეჩვენებათ ყველაფერი, — წარმოთქვა მან რბილად და ენის დაბმით, — ყველაფერი ეს საკვირველ, სა-ს-სასაცილო ამბად?

— სასაცილო ამბად? — ჯემსმა თავისი სკამი გასწია, მოსცილდა მაგიდას და არტურს გაკვირვებით შეხედა, — სასაცილო ამბად? არტურ, ხომ არ შეიშალეთ?

არტურმა უეცრად თავი უკან გადაიგდო და თავშეუკავებელი ხარხარი მორთო.

— არტურ! — მიაძახა ჯემსმა და თავმომწონედ წამოდგა სკამიდან, — შენი ქარაფშუტობა ძლიერ მაკვირვებს!

პასუხის ნაცვლად კვლავ ისეთი ძლიერი და შეუკავებელი ხარხარი გაისმა, რომ ჯემსიც კი დაეჭვდა — მართლა ქარაფშუტობა არის ეს, თუ სხვა რამეო.

— პირდაპირ ისე იქცევი, როგორც ისტერიული ქალი, — წაიდუდუნა ჯემსმა, ზიზღით აიჩეჩა მხრები, შეტრიალდა და მოუსვენრად იწყო ოთახში სიარული. — მართლა, არტურ, ჯულიაზე უარესი ხარ. ნუ იცინი, ხომ არ შემიძლია მთელი ღამე აქ გიდარაჯო!

Scanned by CamScanner

ასეთივე წარმატებით შეეძლო მას მიემართა ჯვარცმისათვის და კვარცხლბეკიდან ჩამოსვლა ეთხოვა მისთვის. არტური ყურს არ უგდებდა, მხოლოდ იცინოდა შეუჩერებლად,

— ბოლოს და ბოლოს ეს ველურობაა! — ჩაილაპარაკა ჯემსმა და გაჩერდა. — როგორც ჩანს, შენ ძალზე აღელვებული ხარ და არ შეგიძლია ამ წუთში სალად იფიქრო. მე ვერ შევიძლებ შენთან საქმეზე ლაპარაკს, თუ კიდევ ამგვარად დაიჭირე თავი. მოდი ჩემთან ხვალ საუზმის შემდეგ. ახლა კი დაწექი და დაიძინე. ღამე მშვიდობისა!

ჯემსი გავიდა და გაბრაზებით მიიხურა კარი.

— ახლა ქვევით დაიწყება ისტერიკა, — ბუტბუტებდა ის, როცა კიბეზე ჩადიოდა.

* * * * * *

გიჟური სიცილი ტუჩებზე მიეყინა არტურს. მან ხელი დასტაცა სკამზე დაგდებულ ჩაქუჩს და მივარდა ჯვარცმას.

ჭაბანმა გონს მოიყვანა. მის წინ იდგა ცარიელი კვარცხლბეკი. ჩაქუჩი ჯერ კიდევ ხელში ეჭირა. იატაკზე, მის ფეხებთან ჯვარცმის ნამსხვრევები ეყარა.

არტურმა მოისროლა ჩაქუჩი.

— რა უბრალო რამ ყოფილა! — თქვა მან და პირი იბრუნა. — მე კი... რა სულელი ვიყავი!

არტური ქოშინით დაეშვა სკამზე და საფეთქლებზე ხელები მიიჭირა. შემდეგ ადგა, მივიდა პირსაბანთან და თავზე ცივი წყალი გადაისხა.

ცოტა დამშვიდებული ღაბრუნდა წინანდელ ადგილზე და ფიქრებში ჩაეფლო.

ამ მატყუარა, ლაჩრული სულის საზიზღარი ადამიანებისათვის, ამ უტყვი და უგულო ღმერთებისათვის სწუხდა და იტანჯებოდა ის ამდენს!.. ბაწარიც ჩამოჰკიდა, თავის დახრჩობა უნდოდა იმის გამო, რომ ეკლესიის ერთი მსახურთაგანი ცრუ და მატყუარა გამოდგა თითქოს ყველა ისინი ერთნაირად არ ტყუოდნენ! კმარა, ყველ[illegible]

Scanned by CamScanner

გათავდა... ახლა უფრო ჭკვიანურად მოიქცევა. საჭიროა მხოლოდ ჩამოიშოროს ეს სიბინძურე და ახალი ცხოვრება დაიწყოს!

ნავსადგურში მრავალი გემია. ინელი არაა ერთ რომელიმეძი დამალვა და შემდეგ შორეულ ქვეყნებში გამგზავრება, კანადასა ან ავსტრალიაში, სამხრეთ აფრიკაში. ეჰ, განა სულ ერთი არაა, რომელ ქვეყანაში იქნება. ოღონდ აქაურობიდან შორს იყოს. თუ ერთგან არ მოეწონება, სხვა ადგილას გადავა.

არტურმა ქისა ამოიღო. სულ ოცდაცამეტი პაოლი[25] ჰქონდა, მაგრამ არა უშავს რა: ამას გარდა ძვირფასი საათი აქვს. და საერთოდ, არა ღირს ამისათვის დიდი ყურადღების მიქცევა. როგორმე შეძლებს თავი გაიტანოს. მაგრამ, აი, ესენი, ეს კაცუნები, დაუწყებენ ძებნას, მოიკითხავენ ყველგან. საჭიროა მათთვის გზა-კვალის აბნევა, მათი დარწმუნება, რომ ის მოკვდა. მაშინ სრულიად თავისუფალი იქნება, როგორც ფრინველი. არტურმა ჩუმად ჩაიცინა, როცა წარმოიდგინა, როგორ დაუწყებენ ბერტონები მის გვამს ძებნას. რა სასაცილოა!

არტურმა აიღო ქაღალდის ნაგლეჯი და დაწერა ის, რაც პირველადვე მოუვიდა აზრად:

„მე მწამდა თქვენი ისე, როგორც ღმერთის, მაგრამ ღმერთი თიხის კერპი ყოფილა, რომელიც ჩაქუჩითაც ადვილად იმსხვრევა, თქვენ კი მთელი სიცოცხლე მატყუებდით“.

მან გაკეცა ქაღალდი და მონტანელის მისამართი დააწერა. მერე ქაღალდზე დაწერა: „ეძიეთ ჩემი გვამი დარსენში“.

შემდეგ დაიხურა ქუდი და ოთახიდან გავიდა. როდესაც დედის სურათის წინ გაიარა, ახედა მას, გაიღიმა და მხრები აიჩეჩა: ისიც ხომ ატყუებდა!

ჩუმი ნაბიჯით გაიარა დერეფანი, გასწია კარის ურდული და გავიდა მარმარილოს დიდ და ბნელ კიბეზე, რომელიც ყოველ ფეხუნს გამოძახილით უპასუხებდა. ვიდრე ქვევით ჩავიდოდა, სულ ეჩვენებოდა, რომ ფეხქვეშ პირი დაეღო საშინელ ორმოს.

არტური შეეცადა ისე ჩუმად გაევლო ეზო, რომ არ გაღვიძებოდა ჯიანა ბატისტას, რომელსაც ქვედა სართულში ეძინა. შეშის ფარდულის უკანა კედელს გისოსიანი ფანჯარა, ჰქონდა. ფანჯარა, რომელიც ოთხი ფუტით იყო აბაღლებული მიწიდან, არხს გადა-

Scanned by CamScanner

ჰყურებდა. არტურს მოაგონდა ეს ფანჯარა და გაახსენდა, რომ დაეანგული გისოსი ერთ ადგილას გატეხილი იყო. როგორმე ისე უნდა გაეფართოვებინა ის ნახვრეტი, რომ გაძრომა შეძლებოდა. მაგრამ გისოსი მაგარი აღმოჩნდა. არტურს ხელები დაეკაწრა და სახელო შემოეხა. ბოლოს, როგორც იქნა, გავიდა ქუჩაში და მიმოიხედა. ქუჩაში არავინ იყო. საზიზღარი ხვრელის მსგავსი შავი არხი მიცოცავდა ბინძურ კედლებს შუა. წყვდიადით მოცული იყო ეს საშინელი ორმო, მაგრამ შიგ, ალბათ, იმდენი სიბინძურე და უხამსობა მაინც არ იქნებოდა, რამდენიც არტურს ენახა ცხოვრებაში. არაფერზე არ სწყდებოდა გული, არაფერი არ ჰქონდა კეთილად მოსაგონარი. უკან რჩებოდა ცხოვრების დამყაყებული ჭაობი, სავსე ბინძური სიცრუით, უხეში ტყუილებით აქოთებული, და თან ისეთი მარჩხი, რომ შიგ დახრჩობაც კი შეუძლებელი იყო.

ასეთი ფიქრებით მოცული მიაბიჯებდა არხის ნაპირზე, სანამ არ გავიდა პატარა მოედანზე მედიჩის[30] სასახლესთან. ეს იყო ის ადგილი, სადაც ჯემა სიხარულით ხელებგაშლილი შეეგება, აი, სველი საფეხურებიც, რომელიც არხში ჩადის. აგერ ციხეც, რომელიც კუშტად გადმოჰყურებს ბინძურ წყალს.

ვიწრო ქუჩებით მიაღწია არტურმა დარსენამდე, მოიხადა ქუდი და წყალში გადაისროლა. ქუდს, რა თქმა უნდა, იპოვიან, როცა ძებნას დაუწყებენ გვამს. მერე გაჰყვა ნაპირს, უძნელდებოდა მოფიქრება, ახლა რაღა გაეკეთებინა. უნდა დამალულიყო რომელიმე გემში. ეს არც ისე ადვილი საქმე იყო. ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეეძლო ჯერჯერობით, ეს იყო ის, რომ წასულიყო მედიჩების ძველი ჯებირისკენ და გაჰყოლოდა იმ გზას. იქ ქუჩის ბოლოში არის ეოთი პატარა სამიკიტნო. იქნებ ბედი ეწიოს, იმ სამიკიტნოში ვინმე მეზღვაურს შეხვდეს და მოისყიდოს.

დოკის ალაყაფის კარი დაკეტილი აღმოჩნდა. როგორ შეძლოს ამ კარიდან შესვლა, როგორ ასცდეს საბაჟოს მოსამსახურეებს? ფული ცოტა ჰქონდა და ვერ შეძლებდა იმდენი ქრთამი მიეცა მათთვის, რომ ღამით დოკში შეეშვათ, ისიც უპასპორტოდ. გარდა ამისა, ვაითუ ეცნოთ კიდევაც.

როდესაც არტურმა ოთხი მავრის[31] ბრინჯაოს ძეგლთან გაიარა, მოპირდაპირე მხარეზე მდგარი ძველი სახლიდან ვიღაც კაცი გამო-

Scanned by CamScanner

ვიდა. ის ხიდს უახლოვდებოდა. არტური მაშინვე მიიმალა მონუმენტის ჩრდილში, ჩამოჯდა სიბნელეში და ფრთხილად დაიწყო ყურება კვარცხლბეკის კუთხიდან.

გაზაფხულის თბილი და ვარსკვლავებიანი ღამე იყო. წყალი შხაპუნობდა ყორეზე და წყნარი სიცილის მსგავსი ჩუხჩუხით მორბოდა საფეხურებთან. სადღაც ახლოს წყნარი რწევისგან ჭრიჭინებდა ჯაჭვი, უზარმაზარი ამწვავი ონკანი უღიმღამოდ აშოტილიყო სიბნელეში. ვარსკვლავებით მოჭედილი ცის სინათლეზე გემების სილუეტები შებორკილ მონებს მოგაგონებდათ, რომლებიც ცდილობენ მოიცილონ ბორკილები.

კაცი ბანცალით მოდიოდა და მაღალი ხმით გაიძახოდა რაღაც ინგლისურ ქუჩურ სიმღერას. ის ალბათ ქეიფიდან დაბრუნებული მეზღვაური იყო. ირგვლივ არავინ ჩანდა, როცა მეზღვაური მოახლოვდა, არტური შუა გზაზე გავიდა. უკანასკნელმა შეწყვიტა სიმღერა, შეიგინა და შეჩერდა.

— თქვენთან მოლაპარაკება მსურს, — იტალიურ ენაზე მიმართა არტურმა, — გესმით, რას გეუბნებით?

კაცმა თავი გააქნია:

— ნუ მელაპარაკებით ამ გაუგებარ აჯამურ ენაზე, — თქვა მან ინგლისურად და შემდეგ დამახინჯებული ფრანგულით იკითხა: — რა გინდათ ჩემგან? რას გადამიდექით ამ შუა გზაზე?

— ერთი წუთით აქ მოდით. მოცილდით მაგ სინათლეს. მინდა მოგელაპარაკოთ.

— რა გინდათ, ჰა? დანა სად გაქვთ დამალული?

— არა, არა, აბა რას ამბობთ! განა ვერ ხედავთ. რომ თქვენი დახმარება მჭირდება? მე თქვენ ფულს მოგცემთ.

— აი, რა ყოფილა, კოხტად კი ჩაგიცვამს. — წაიბუზღუნა მეზღვაურმა ინგლისურად, ჩრდილში გავიდა და მონუმენტის მოაჯირს მიეყუდა.

— აბა, — დაიწყო ისევ თავის საშინლად დამახინჯებული ფრანგულით მან, — მაშ რა გინდათ ჩემგან?

— მე მინდა წავიდე აქედან.

— აი, თურმე რა ყოფილა! იმალებით! გინდათ დაგმალოთ? ალბათ ცუდი რამ ჩაიდინეთ. ყელი გამოსჭერით ვინმეს? აქაურებს

Scanned by CamScanner

სჩვევიათ ეს. საით აპირებთ გაქცევას? რა თქმა უნდა, არა პოლიციის უბანში!

გაიცინა ისე, როგორც მთვრალებმა იციან ხოლმე სიცილი და თვალი ჩაუკრა არტურს.

— რომელია თქვენი გემი?

— „კარლოტა". ლივორნოდან ბუენოს-აირესში დადის. აქედან ზეთი მიაქვს, იქიდან ტყავი მოაქვს. აგე, იქა დგას. — მეზღვაურმა თითი გაიშვირა ჯებირისაკენ. — საძაგელი ძველი ჭურჭელია.

— თქვენ ამბობთ, ბუენოს-აირესშიო? დამმალეთ სადმე იმ თქვენს გემზე.

— რამდენს მომცემთ?

— ბევრის მოცემას ვერ შევიძლებ. მე მხოლოდ რამდენიმე პაოლი მაქვს.

— არა, ორმოცდაათზე ნაკლებს ვერ ავიღებ. ესეც ცოტაა თქვენისთანა კოხტად გამოწყობილი ყმაწვილისათვის...

— თუ თქვენ ჩემი ტანსაცმელი მოგწონთ, შემიძლია გაგიცვალოთ. მეტი არაფერი მაქვს და აბა რა მოგცეთ.

— თქვენ ალბათ საათიც გაქვთ. მომეცით ისიც.

არტურმა ამოიღო მინანქრიანი სუფთა ნამუშევარი ქალის ოქროს საათი, რომლის სახურავზე ამოჭრილი იყო ინიციალები „გ. ბ." საათი დედამისს ეკუთვნოდა. მაგრამ ახლა განა სულ ერთი არ იყო ძისთვის?

— აა! — შესძახა მეზღვაურმა და საათს ხარბად შეავლო თვალი. — მოპარულია, ცხადია. აბა მაჩვენეთ!

არტურმა აირიდა მისი ხელი.

— არა, — უთხრა მან. — ამ საათს მაშინ მოგცემთ, როცა გემზე ვიქნებით.

— თქვენ, თურმე, არც ისეთი სულელი ყოფილხართ, როგორიც მეჩვენეთ. და მაინც შემიძლია სანაძლეო დავდო, რომ ეს საათი მოპარული გაქვთ. ხომ ასეა?

— ამას თქვენ არავინ გეკითხებათ, დარაჯი მოდის!

ისინი მონუმენტის უკან ჩაცუცქდნენ და იცდიდნენ, სანამ დარაჯი გაივლიდა. შემდეგ მეზღვაური წამოდგა, არტურს უბრძანა გამომ-

Scanned by CamScanner

ყევიო და სულელური ხითხითით გაუძღვა. არტური ხმაგაკმენ-დილი მიჰყვებოდა.

მეზღვაურმა უკანვე მიიყვანა პატარა მოედანზე, რომელიც მე-დიჩის სასახლეს ეკვროდა. აქ ბნელ კუთხეში შეჩერდა და იდუ-მალი ჩურჩულით მიმართა:

— აქ დამელოდეთ, თორემ ჯარისკაცები დაგინახავენ.

— სად მიდიხართ?

— რაიმე ტანსაცმელი უნდა ვიშოვო. მაშ მაგ გასისხლიანებუ-ლი სახელოთი ხომ ვერ წაგიყვანთ!

არტურმა დაიხედა სახელოზე, რომელიც ფანჯრის გისოსზე გა-ხეოდა. გაკაწრული ხელიდან რამდენიმე წვეთი სისხლი სახელოზე დასწვეთებოდა. მეზღვაურმა ალბათ ამიტომ ჩათვალა მკვლელად. მერე რა ვუყოთ! რა მნიშვნელობა აქვს ახლა, რას ფიქრობს მასზე სხვა ვინმე!

რამდენიმე ხნის შემდეგ მეზღვაური დაბრუნდა. მას გამარჯვე-ბული კაცის სახე ჰქონდა. იღლიის ქვეშ რაღაც ამოედო.

— გამოიცვლეთ, —წასჩურჩულა მან, — ოღონდ იჩქარეთ, მალე გემზე უნდა დავბრუნდე, მეძველმანემ კი ვაჭრობა გამიბა.

არტური ტანსაცმლის გამოცვლას შეუდგა. მას გააჟრჟოლა, როცა სხვის გამონაცვალს მოჰკიდა ხელი. მაგრამ საბედნიეროდ ის სუფთა აღმოჩნდა, თუმც უხეში იყო. როდესაც არტური სინათ-ლეზე გავიდა თავის ახალ ტანსაცმელში, მატროსმა მთვრალი კაცის სიხარულით შეხედა და მოწონების ნიშნად მედიდურად დაუქნია თავი.

— გამოდგება, — თქვა მან. — წავიდეთ ოღონდ ჩუმად იყავით!

არტურმა ხელი დაავლო გახდილ ტანსაცმელს და მატროსს უკან გაჰყვა შუასაუკუნეთა ჯურღმულების მსგავსი დაკლაკნილი არხების ლაბირინთის იმ ბნელი, ვიწრო შესახვევებით, რომელთაც ლივორ-ნოში „ახალ ვენეციას“ უწოდებენ. ქოხებსა და ბინძურ ეზოებს შორის აქა-იქ აღმართულიყო ძველი პირქუში სასახლეები, რომლე-ბიც თავგანწირვით ცდილობდნენ შეერჩინათ თავიანთი წარსული სიდიადე. ზოგ შემთხვევაში ქურდების, მკვლელებისა და კონტრა-ბანდისტების ბუნაგი იყო, ზოგან კი ღარიბ-ღატაკთა თავშესაფარი.

მატროსი პატარა ხიდთან შეჩერდა. მიმოიხედა, ხომ არავინ შეგ-

Scanned by CamScanner

ვნიშნაო, და ქვის საფეხურებით ვიწრო ნაესადგომთან ჩავიდა. ხიდ-ქვეშ ბინძური ნავი ტორტმანობდა წყალზე. მატროსმა უხეშად უბ-რძანა არტურს, ჩამხტარიყო ნავში და დაწოლილიყო, თვითონ კი ნიჩბებს სწვდა და ნავსადგურისაკენ წაიყვანა ნავი. არტური გაუნ-ძრეველად იწვა სველ, სრიალა ფიცრებზე. ზევიდან მატროსმა რაღაც ტანისამოსი დააფარა; არტური იქიდან დროდადრო გაჰყურებდა ნაცნობ შენობებს და ქუჩებს.

ნავმა გასცურა ხიდქვეშ და არხის იმ ნაწილში აღმოჩნდა, რომ-ლის თავზე ციხე აზიდულიყო. მასიური კედელი, რომელიც ქვემოთ განიერი იყო, ხოლო ზემოთ პირქუშ ვიწრო კოშკებში გადადიოდა, არხის გასწვრივ აღმართულიყო. რა მძლავრი და მრისხანე ეჩვენე-ბოდა ის რამდენიმე საათის წინ! ახლა კი... ნავის ფსკერზე მწოლია-რე არტურმა წყნარად ჩაიცინა.

— ჩუმად იყავით, — წაიბურტყუნა მატროსმა. — არ წამოდგეთ. უკვე საბაჟოსთან ვართ.

არტურმა თავზე წაიფარა. ნავი შეჩერდა არხის მთელ სიგრძე-სიგანეზე მწკრივად მდგარ ჯაჭვებით შეკრული ანძების წინ, რომ-ლებსაც გადაეღობათ ვიწრო წყალსავალი გზა საბაჟოსა და ციხე-სიმაგრეს შუა. საბაჟოდან მთქნარებით გამოვიდა ნამძინარევი მო-ხელე ფარნით ხელში და წყალზე გადმოიხარა.

— თქვენი საშვი!

მატროსმა მას ხელში შეაჩეჩა თავისი ქაღალდები. არტური, რო-მელსაც თავიდან ფეხებამდე გადაფარებული ჰქონდა ძონძები, სულ-მოუთქმელად იწვა და ყურს უგდებდა მათ ლაპარაკს.

— შენმა მზემ, კარგ დროს კი ბრუნდები გემზე, — ბუზღუნებ-და მოხელე, — ქეიფიდან ალბათ. რა გაქვს ნავში?

— ძველი ტანსაცმელი. იაფად ვიყიდე.

ამ სიტყვებზე არტურის ჟილეტი გაუწოდა დასათვალიერებლად, მოხელემ ფარანი მიანათა და დაიხარა, რომ უკეთესად დაენახა.

— კეთილი. შეგიძლია წახვიდე.

მან ასწია შლაგბაუმი და ბნელი წყლის ზედაპირზე ატორტმა-ნებულმა ნავმა ნელა განაგრძო თავისი გზა. არტურმა ცოტა ხანს კიდევ შეიცადა, მერე ძონძები გადაიძრო და წამოჯდა.

— აი, აგერ ჩემი გემიც, — წასჩურჩულა მატროსმა, რომელიც

Scanned by CamScanner

ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხმაგაკმენდილი უსვამდა ნიჩ-ბებს. — უკან მომყევით და, რაც მთავარია, ხმა არ ამოიღოთ.

მატროსი აცოცდა უზარმაზარი შავი ურჩხულის ერდოზე და თან გულში აგინებდა „ხმელეთის მოუქნელ მცხოვრებთ“, თუმცა არტური ბუნებით მოქნილი იყო და ყველაზე ნაკლებ იმსახურებდა ასეთ საყვედურს.

გემზე რომ ავიდნენ, ფრთხილად გაიარეს გემსართავების შუა და, როგორც იქნა, ტრიუმამდე მიაღწიეს. მეზღვაურმა ჩუმად ასწია სახურავი.

— ჩაძვერი ქვემოთ! — წასჩურჩულა მან. — მე ახლავე დავ-ბრუნდები.

ტრიუმში ბნელოდა, ნოტიო იყო და თანაც შეხუთული ჰაერი იდგა. არტურმა, რომელმაც სული ვერ მოითქვა, დამპალი ტყავის და დამძაღებული ზეთის მყრალი სუნისაგან, უნებურად უკან დაიხია. მაგრამ მაშინვე კარცერი მოაგონდა და ზიზღით განაგრძო გზა ქვე-ვითკენ. ცხოვრება, ეტყობა, ყველგან ერთნაირი ყოფილა: სიბინძუ-რე. საძაგლობა, სამარცხვინო საიდუმლოებანი, ბნელი მიხვეულ-მოხვეულები, მაგრამ ცხოვრება ცხოვრებაა და საჭიროა ყველაფე-რი გამოგლიჯო მას, რაც შესაძლებელი იქნება.

რამდენიმე წუთის შემდეგ მეზღვაური დაბრუნდა.

მას რაღაც ეჭირა ხელში, მაგრამ რა, არტურმა ვერ გაარჩია სიბ-ნელეში.

— აბა ახლა მომეცით ფული და საათი, მალე!

არტურმა სიბნელით ისარგებლა და რამდენიმე ვერცხლის ფული დაიტოვა თავისთვის.

— მომიტანეთ რამე საჭმელი, ძალიან მშია.

— მოვიტანე. აი, აგერაა.

მატროსმა გადასცა წყლიანი კოკა, ქვასავით მაგარი, გამომშრა-ლი პურის რამდენიმე ნატეხი და დამარილებული ღორის ხორცის ნაჭერი.

— ახლა გამიგონე, რაც გითხრა. ხვალ დილით დასათვალიერებ-ლად მოვლენ საბაჟოს მოხელენი. თქვენ უნდა დაიმალოთ ცარიელ კასრში, იწექით მშვიდად, როგორც თაგვი, სანამ არ გავალთ შორს ზღვაში. მე თვითონ გეტყვით, როცა შესაძლებელი გახდება ამოს-

Scanned by CamScanner

ვლა. მხოლოდ იცოდეთ, კაპიტანმა თვალი არსად მოგკრათ! თორემ მერე თქვენს თავს დააბრალეთ. ეს არის სულ, რაც უნდა მეთქვა: წყალი საიმედო ადგილზე გაქვთ? არ დაგეჭცეთ! ღამე მშვიდობისა!

ტრიუმი დაიხურა. არტურმა ძვირფასსასმელიანი კოკა უშიშარ ადგილას დადგა, შეცოცდა ცარიელ კასრზე და გემრიელად დაუწყო ჭამა ღორის ხორცს და გამხმარ პურს. შემდეგ ბინძურ იატაკზე მოიკუნტა და პირველად ბავშვობის დროიდან მიწვა დასაძინებლად ისე, რომ არ ულოცნია. სიბნელეში მის გარშემო ვირთხები დარბოდნენ. მაგრამ ძილს არ უფრთხობდა არც მათი შეუჩერებელი წრიპინი, არც გემის რხევა, არც ზეთის გულისამრევი სუნი, არც მოლოდინი ზღვის ავადმყოფობისა და განსაცდელისა. ყველაფერი ეს იმგვარადვე არ აწუხებდა, როგორადაც არ აწუხებდნენ ის დამსხვრეული, პატივახდილი კერპები, რომელთაც ჯერ კიდევ გუშინ თაყვანს სცემდა.

Scanned by CamScanner

ნაწილი მეორე

ცამეტი წლის შემდეგ

თავი პირველი

1846 წლის ივლისის ერთ საღამოს ფლორენციაში, პროფესორ ფაბრიციის სახლში, შეიკრიბა რამდენიმე კაცი, რათა ეთათბირათ მომავალი პოლიტიკური მუშაობის შესახებ.

ამ ჯგუფიდან ზოგიერთი მაძინის[32] პარტიას ეკუთვნოდა; ისინი დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებასა და იტალიის გაერთიანებულ სახელმწიფოდ გარდაქმნას მოითხოვდნენ. ამაზე ნაკლებს ვერ ურიგდებოდნენ. დანარჩენები კონსტიტუციური მონარქიის მომხრენი და სხვადასხვა სახის ლიბერალები იყვნენ. მაგრამ ყველა შეთანხმებული იყო ერთ რამეში — ეს იყო უკმაყოფილება ტოსკანის ცენზურით.[33] ცნობილმა პროფესორმა ფაბრიციმ მოიწვია ეს კრება იმ იმედით, რომ, შესაძლოა, ბეჭდვითი სიტყვის მძიმე პირობებმა მაინც გააერთიანოს სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების წარმომადგენლები და აიძულოს ისინი, უჩხუბრად რაიმე გარკვეული შედეგების მიღწევას შეეცადონო.

ორმა კვირამ განვლო მას შემდეგ, რაც პაპმა პიი IX ტახტზე ასვლისას ამნისტია[34] უწყალობა პოლიტიკურ დამნაშავეებს პაპის ოლქში, მაგრამ ამ აქტით გამოწვეული ლიბერალური აღტაცების ტალღა უკვე მთელ იტალიას მოედო. ტოსკანაში ამ აქტმა მთავრობაზეც კი მოახდინა ზეგავლენა. პროფესორმა ფაბრიციმ და რამდენიმე ფლორენციელმა, პოლიტიკური ჯგუფების ლიდერებმა ეს მო-

Scanned by CamScanner

შენტი ხელსაყრელად მიიჩნიეს, რომ ყოველნაირად ცდილიყვნენ ბეჭვდითი სიტყვის ახალი კანონების გატარებას.

— რა თქმა უნდა, — შენიშნა დრამატურგმა ლეგამ, როცა მას ეს ამბავი შეატყობინეს, — ყოვლად შეუძლებელია გაზეთის გამოცემას მივყოთ ხელი, სანამ ბეჭდვის არსებული კანონები არ შეიცვლება. პირველი ნომერი უნდა შევაჩეროთ. მაგრამ იქნებ მოვახერხოთ და ცენზურაში რამდენიმე პამფლეტი[35] გავაპაროთ. რაც უფრო ადრე გავაკეთებთ ამას, მით უფრო ადრე მივაღწევთ კანონის შეცვლას.

ფაბრიციის კაბინეტში, სადაც კრება მიმდინარეობდა, ის მსჯელობდა იმის შესახებ, თუ რა პოზიცია დაეჭირათ ახლა მწერალ-ლიბერალებს.

— თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ ვალდებული ვართ, ვისარგებლოთ ამ მომენტით — წამოიწყო თავისი სასიამოვნო ხმით ერთ-ერთმა იქ მყოფმა, უკვე ხანში შესულმა ჭაღარა ადვოკატმა. — სხვა დროს ჩვენ აღარ გვექნება ასეთი ხელსაყრელი პირობები და საშუალება არ მოგვეცემა წამოვაყენოთ სერიოზული რეფორმების მოთხოვნილება. მაგრამ ვეჭვობ, რომ პამფლეტებმა სასიკეთო შედეგი მოიტანონ. ისინი მხოლოდ გააღიზიანებენ, დააფრთხობენ მთავრობას და განაწყობენ მას ჩვენს საწინააღმდეგოდ. ჩვენ კი სწორედ ამას გვინდა მივაღწიოთ. უნდა გვახსოვდეს, თუ ხელისუფლება ჩვენ საშიშ აგიტატორებად ჩაგვთვლის, მაშინ ზედმეტია ფიქრი მათგან რაიმე დახმარებისა.

— მაშ თქვენ რა წინადადებას იძლევით?

— ჩვენს განკარგულებაშია პეტიციები[36].

— დიდ ჰერცოგს[37] მივმართოთ?

— დიახ, — პეტიციით ბეჭდვითი სიტყვისათვის მეტი თავისუფლების მიცემის შესახებ.

ფანჯარასთან მჯდარი შავგვრემანი კაცი, რომელსაც ცოცხალი ჭკვიანი თვალები ჰქონდა, სიცილით შემოტრიალდა.

— ბევრ რამეს კი მიაღწევთ პეტიციებით! — თქვა მან — მე მგონია, რომ ყველა, ვისაც გაგებული აქვს თუ როგორ დამთავრდა რენცის[38] საქმე, უნდა განკურნებულიყო ამგვარი ოცნებებისაგან.

— სინიორ! მეც თქვენსავით დამწუხრებული ვარ, რომ ვერ

Scanned by CamScanner

შეეძელით გადაგვერჩინა რენცი; არ მინდოდა მეწყენინებინა აქ მყოფთათვის, მაგრამ მაინც არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ჩვენი მარცხი გამოიწვია ზოგიერთი ჩვენი წევრის მოუთმენლობამ და ხასიათის სიფიცხემ. მე, რა თქმა უნდა, ვერ გავბედავდი, რომ...

— ყველა პიემონტელი ყოველთვის გაუბედავია, — მკვახედ შეაწყვეტინა სიტყვა შავგვრემანმა. — არ ვიცი, რას უწოდებთ თქვენ მოუთმენლობას და ხასიათის სიფიცხეს. იმას ხომ არა, რამდენიმე ფრთხილი პეტიცია რომ გავგზავნეთ? ტოსკანასა და პიემონტისათვის, შესაძლოა ეს წარმოადგენს ხასიათის სიფიცხეს, მაგრამ ნეაპოლში ჩვენ სხვაგვარად ვმსჯელობთ.

— საბედნიეროდ, — სიტყვა ჩაურთო პიემონტელმა, — ნეაპოლიტანელები მხოლოდ ნეაპოლში მოქმედებენ.

— კმარა, ბატონებო! — ჩაერია პროფესორი. — თავისებურად ყველა კარგია: პიემონტის ჩვეულებებიც და ნეაპოლისაც, მაგრამ ახლა ჩვენ ტოსკანაში ვართ და, ტოსკანას ადათის მიხედვით, საქმის მთავარ მიზანს არ უნდა ავცდეთ. გრასინი პეტიციების მომხრეა, ხოლო გალი წინააღმდეგია. თქვენ რას იტყვით, დოქტორ რიკარდო?

— მე ცუდს არაფერს ვხედავ პეტიციაში, და თუ გრასინი შეადგენს პეტიციას, დიდი სიამოვნებით მოვაწერ ხელს. მაგრამ მაინც იმას ვფიქრობ, რომ ამ გზით ბევრს ვერაფერს მივაღწევთ. რატომ არ უნდა მივმართოთ პეტიციებსაც და პამფლეტებსაც?

— იმიტომ, რომ პამფლეტები ჩვენს წინააღმდეგ აამხედრებს მთავრობას და ამის შემდეგ ყურადღებას აღარ მიაქცევს ჩვენს პეტიციებს, — თქვა გრასინიმ.

— მთავრობა ისედაც არ მიაქცევს ყურადღებას ჩვენს პეტიციებს. — ამ სიტყვებით ნეაპოლიტანელი ადგა და მაგიდასთან მივიდა. — სწორ გზაზე არ ხვეხართ, ბატონებო! მთავრობასთან შეთანხმებით თქვენ ვერაფერს მიაღწევთ. ხალხი უნდა ავაჯანყოთ.

— მაგის თქმა ადვილია, მაგრამ საქმით კი ძნელი გასაკეთებელია. როგორ გინდათ დაიწყოთ აჯანყება?

— სასაცილოა, რომ მაგას გალის ეკითხებით. ის, რა თქმა უნდა, იქიდან დაიწყებს, რომ თავში ხეთქავს ცენზორს.

— სრულიადაც არა, — მშვიდად თქვა გალიმ. — თქვენ ბგო-

Scanned by CamScanner

ნიათ, რაკი თქვენს წინაშე ნეაპოლიტანელია. მას დანის გარდა სხვა რაიმე არგუმენტი არ გააჩნია.

— თქვენ რა წინადადება შემოგაქვთ? სიჩუმე! ბატონებო, ყურადღება! გალის სურს წინადადება შემოიტანოს.

მთელმა საზოგადოებამ, რომელიც ორ-ორ და სამ-სამ კაცად დანაწილებულ ჯგუფებად იდგა სხვადასხვა კუთხეში, ახლა მაგიდის გარშემო მოიყარა თავი, რომ გალისთვის მოესმინა. მაგრამ მან პროტესტის ნიშნად ხელი აუწია:

— არა, ბატონებო, მე წინადადება კი არ შემომაქვს, არამედ უბრალოდ, ერთი აზრი დამებადა. უნდა მოგახსენოთ, რომ ახალი პაპის მოქმედების გამო გამოწვეულ ზეიმში საშიშროება იმალება. იმ ამბიდან, რომ პაპმა პოლიტიკის ახალი კურსი აიღო და ამნისტია გამოაცხადა, ბევრს ისეთი დასკვნა გამოაქვს, რომ ჩვენ ესღა დაგვრჩენია: მივანდოთ ჩვენზე, მთელ იტალიაზე ზრუნვა წმინდა მამას და საშუალება მივცეთ შეგვიყვანოს აღთქმის ქვეყანაში. პირადად მე, ისე როგორც მრავალი სხვა, მზად ვარ, აღტაცება გამოვთქვა ახალი პაპის მოქმედების გამო. ამნისტია ბრწყინვალე აქტი იყო!

— მისი უწმინდესობა, დარწმუნებული ვარ, ნასიამოვნები იქნება... — ზიზღით დაიწყო გრასინიმ.

— გაჩუმდით, გრასინი, ორატორს ლაპარაკის საშუალება მიეცით! — სიტყვა შეაწყვეტინა რიკარდომ. — საკვირველი ამბავია, თქვენ და გალი მუდამ ჯიბრში უდგეხართ ერთმანეთს, პირდაპირ როგორც ძაღლი და კატა!.. განაგრძეთ, გალი!

— მე მინდოდა მეთქვა, — ისევ დაიწყო ნეაპოლიტანელმა. — რომ წმინდა მამას ამ შემთხვევაში კეთილი სურვილები ამოქმედებდა. სხვა საკითხია, თუ რამდენად შეძლებს ის ამ რეფორმების გატარებას. ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა. რა თქმა უნდა, მთელ იტალიაში რეაქციონერები ერთი-ორი თვის განმავლობაში ჩუმად იქნებინ, სანამ ამნისტიით გამოწვეული აღფრთოვანება არ დაცხრება. მაგრამ წარმოუდგენელია, რომ მათ უბრძოლველად დასთმონ ხელისუფლება. ჩემი პირადი აზრი ისეთია, რომ შუა ზამთრამდე იეზუიტები,[39] გრეგორიანელები,[40] სანფედისტები[41] და მთელი მათი

Scanned by CamScanner

ხროვა ახალ ხრიკებს მიმართავენ და სულს ამოხდიან ყველას, ვის მოქრთამვასაც ვერ შეძლებენ.

— ეგ სიმართლესთან ახლოა.

— ჰოდა, როგორ მოვიქცეთ, დავიცადოთ და თავმდაბლად ვგზავნოთ პეტიციები, სანამ ლამბრუჩინი[42] და მისი ხროვა არ დაარწმუნებენ დიდ ჰერცოგს, დაუმორჩილონ ჩვენი თავი იეზუიტებს და შესაძლოა ავსტრიის ჰუსარებიც იხმონ ქუჩებში წესრიგის დასაცავად და ჩვენთვის მუხრუჭების მოსაჭერად, თუ ჩვენ დავასწროთ, ვისარგებლოთ მათი დროებითი დაბნეულობით და პირველმა ვაგემოთ დარტყმა?

— უპირველეს ყოვლისა, ის გვითხარით, რაში უნდა გამოიხატოს ეგ დარტყმა?

— მე წინადადება შემომაქვს, დავიწყოთ ორგანიზებული პროპაგანდა და აგიტაცია იეზუიტების წინააღმდეგ.

— ფაქტიურად ეგ ხომ ომის გამოცხადება იქნება.

— დიახ, ჩვენ გამოვააშკარავებთ მათ ინტრიგებს და მზაკვრობას და ხალხს მივმართავთ მოწოდებით — გაერთიანდეს იეზუიტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

— ჰო, მაგრამ ჩვენს ქალაქში არავითარი იეზუიტები არ არიან. მაშ რაღა საჭიროა მათი გამოაშკარავება?

— არ არიან? დაიცადეთ სამი თვე და დაინახავთ, რამდენი გამოჩნდება. მაშინ უკვე გვიან იქნება მათი იერიშების შეჩერება.

— დიახ, მაგრამ თქვენ ხომ იცით, რომ იეზუიტების წინააღმდეგ ქალაქის მოსახლეობის ასამხედრებლად იძულებული იქნებით აშკარად ილაპარაკოთ. და რადგან ეს აუცილებელია, როგორ გინდათ, ცენზურას თავი აარიდოთ?

— არ ავარიდებ თავს. არავითარ ანგარიშს არ გავუწევ.

— მაშ ხელმოუწერლად დაბეჭდავთ? ეს ძალიან კარგია, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ ბევრჯერ გვქონდა საქმე ასეთ არალეგალურ მუშაობასთან და არავითარი სურვილი არ მაქვს კვლავ დავუბრუნდეთ მას.

— მე სხვა რამ მინდა გითხრათ. წინადადება შემომაქვს დაუფარავად ვბეჭდოთ პამფლეტები ჩვენი ხელმოწერით და ჩვენი მისა-

Scanned by CamScanner

მართების აღნიშვნით. დაე, დაგვიწყონ დევნა. თუკი საამისო გაბედულება შესწევთ.

— სრულად უგუნური პროექტია! — წამოიძახა გრასინიმ. — ეს იმას ნიშნავს, რომ ვაქცაცობა დაიტრაბახო და ლომს ხახაში თავი ჩაუდო.

— არა, თქვენ არაფერი გაქვთ შესაშინებელი! — სიტყვა მოუჭრა გალიმ. — ჩვენ არ გთხოვთ ციხეში ჩაჯდეთ ჩვენი ცოდვების გამო.

— რა საჭიროა ეგ მკვახე სიტყვები, გალი, — თქვა რიკარდომ, — ეჭ არავის უთქვამს, რომ ეშინია. ისე როგორც თქვენ, ჩვენც მზად ვართ ჩავჯდეთ ციხეში, თუკი ეს საქმეს უშველის. მაგრამ ბავშვობა იქნებოდა, ხიფათში ჩაგვეგდო ჩვენი თავი რაღაც უმნიშვნელო საქმის გამო. პირადად მე მინდა, შესწორება შევიტანო თქვენს მიერ წამოყენებულ წინადადებაში.

— რა შესწორება?

— მე მგონია, შევძლებთ იეზუიტების წინააღმდეგ საბრძოლველად გამოვიმუშაოთ ისეთი გონებამახვილი საშუალება, რომელიც აგვარიდებს ცენზურასთან შეტაკებას.

— არ მესმის, როგორ შეძლებთ ამას.

— ჩვენი მოსაზრებები ისეთი ფორმით უნდა გამოვაქვეყნოთ, ქარაგმებით, რომ...

— ცენზორი ვერ მიხვდეს, არა? თუ აგრეა, მაშ რა იმედი გაქვთ, რომ ვილაც საწყალი ხელოსანი ან უბირი გლეხი ჩასწვდება ქარაგმის საიდუმლოს? ეგ სრული შეუსაბამობაა.

— თქვენ რას იტყვით, მარტინი? — ჰკითხა პროფესორმა გვერდით მჯდარ მხარბეჭგანიერ მამაკაცს, რომელსაც დიდი შავი წვერი ჰქონდა.

— ჯერჯერობით, სანამ ფაქტები არ დაგროვდება, ლაპარაკისაგან თავს შევიკავებ. უნდა ჩავატაროთ ცდა და ვნახოთ, რა შედეგს მოგვცემს.

— თქვენ, საკონი?

— მე მინდა გავიგო, რას იტყვის სინიორა ბოლა. მისი მოსაზრებები ყოველთვის საფუძვლიანია.

ყველა მიაჩერდა ოთახში მყოფ ერთადერთ ქალს, რომელიც

Scanned by CamScanner

დივანზე იჯდა, ნიკაპით დაყრდნობოდა ხელს და ჩუმად უსმენდა კამათს. მის ჩაფიქრებულ შავ თვალებში ახლა რაღაც დამცინავმა ნაპერწკალმა გამოანათა.

— მე, ცოტა არ იყოს, საგონებელში მაგდებს გარემოება, რომ არც ერთის აზრს არ ვიზიარებ, — თქვა მან.

— თქვენ ყოველთვის ასე იცით, — სიტყვა ჩაურთო რიკარდომ, — მაგრამ ყველაზე უფრო ცუდი ის არის, რომ მუდამ მართალი გამოდიხართ.

— სავსებით გეთანხმებით, — თქვა სინიორა ბოლამ, — რომ ასე თუ ისე აუცილებლად უნდა ვებრძოლოთ იეზუიტებს. თუ ერთი საშუალებით ვერ შევძელით ეს, მაშინ სხვა საშუალებას უნდა მივმართოთ. სიტყვით ბრძოლა სუსტი იარაღია, თავის არიდების ტაქტიკა ცოტა ძნელია, ხოლო რაც შეეხება პეტიციებს, ეს მხოლოდ ბავშვური თამაშობაა.

— იმედი მაქვს, სინიორა, — მედიდურად შენიშნა გრასინიმ, — თქვენ არ შეშოგვთავაზებთ ბრძოლის ისეთ მეთოდს, როგორიცაა მკვლელობა!

მარტინიმ ულვაში მოიწიწკნა, ხოლო გალიმ მოურიდებლად ვაიცინა. სინიორა ბოლამაც კი, რომელიც ყოველთვის თავდაჭერილი იყო, თავი ვერ შეიკავა და გაიღიმა.

— დამერწმუნეთ, — თქვა მან, — კიდევაც რომ სასტიკი ვიყო და ასეთი საქმის გაკეთება მჭონდეს განზრახული, ბავშვი მაინც არ ვარ და მის შესახებ აშკარად ლაპარაკს არ დავიწყებ. ყველაზე უფრო მომაკვდინებელი იარაღი, რომელიც კი მე ვიცი, ეს არის სიცილი. თუ ბედმა გაგვიღიმა, შევძელით იეზუიტების მასხრად აგდება და ვაიძულეთ ხალხი იხარხაროს მათზე, იმ შემთხვევაში ჩვენ სისხლის დაუღვრელად გავიმარჯვებთ.

— მჯერა, რომ აგრე იქნება, — თქვა ფაბრიციმ. — მაგრამ ვერ წარმომიდგენია, როგორ გინდათ განახორციელოთ თქვენი გეგმა?

— რატომ გგონიათ, რომ ვერ შევძლებთ ამის განხორციელებას? — იკითხა მარტინიმ. — სატირას უფრო ადვილად და მალე გაუშვებს ცენზურა, ვიდრე სერიოზულ თხზულებას. საშუალო მკითხველი უფრო ადვილად წაიკითხავს და გაიგებს ქარაგმით თქმულ ხუმრობას, ვიდრე მეცნიერულ-ეკონომიურ ნარკვევს.

Scanned by CamScanner

— მაშ, სინიორა, თქვენ იმ აზრისა ხართ, რომ უნდა გამოვცეთ სატირული პამფლეტები, ან სატირული გაზეთი? თამამად შემიძლია ვთქვა: გაზეთის გამოცემის უფლებას ცენზურა არასგზით არ მოგვცემს.

— მე გაზეთი არა მაქვს მხედველობაში. ჩემი აზრით, ძალიან სასარგებლო იქნება, გამოვცეთ და იაფ ფასებში გავყიდოთ ანდა სრულიად უფასოდ გავავრცელოთ პატარა სატირული ფურცლები ლექსად ან პროზად. თუ ვნახეთ ვინმე კარგი მხატვარი, რომელიც გაიგებს ჩვენს იდეას, მაშინ შესაძლებელი იქნება ამ ფურცლების გამოცემა ილუსტრაციებით.

— ეგ შესანიშნავი იდეა არის! ოღონდ თუ შესაძლებელი იქნა მისი განხორციელება! საქმე ისაა, თუკი ასეთ რამეს ხელს მოვკიდებთ, მაშინ კარგადაც უნდა გავაკეთოთ. ჩვენ გვესაჭიროება პირველხარისხოვანი სატირიკოსი, სად უნდა ვიპოვოთ ის?

— თქვენ ძალიან კარგად იცით, — დაუმატა ლეგამ, — რომ უმრავლესობა ჩვენში სერიოზული მწერლები არიან. დიდ პატივს ვცემ აქ დამსწრე საზოგადოებას, მაგრამ ვშიშობ, რომ ჩვენი ცდა, გავხდეთ იუმორისტები, დაემსგავსება იმ სპილოს, რომელიც ტარანტელას[43] ცეკვავს.

— მე არსად არ მითქვამს, — ისევ გაეღიმა სინიორა ბოლას, — რომ ხელი უნდა მოვკიდოთ ისეთ საქმეს, რომლის უნარი ჩვენ არ გვაქვს. მე გამოვთქვი აზრი, რომ უნდა გამოვნახოთ ნიჭიერი სატირიკოსი. ასეთი ვინმე ალბათ მოიძებნება იტალიაში და გავიღოთ სათანადო თანხებიც. თავისთავად ცხადია, უნდა ვიცნობდეთ იმ ადამიანს და დარწმუნებული ვიყოთ, რომ იმუშავებს ჩვენთვის საჭირო მიმართულებით.

— ჰო, მაგრამ სად ვიპოვოთ ასეთი? ასე თუ ისე ნიჭიერი სატირიკოსები სულ თითებზე ჩამოსათვლელია, მაგრამ, არც ერთი მათგანი ჩვენ არ გამოგვადგება. ჯუსტის[44] ისედაც ბევრი საქმე აქვს, არის ლომბარდიაში ერთი თუ ორი შესაფერისი მწერალი, მაგრამ ისინი მილანის დიალექტზე[45] წერენ.

— გარდა ამისა, — თქვა გრასინიმ, — ტოსკანის ხალხზე სატირით ზეგავლენას ვერ მოვახდენთ. დარწმუნებული ვარ, პოლიტიკური ტაქტის უქონლობას გამოვიჩენთ, თუ ისეთ სერიოზულ სა-

Scanned by CamScanner

კითხს, როგორიცაა სამოქალაქო და რელიგიური თავისუფლება, ხუმრობის საგნად ვაქცევთ. ფლორენცია არ არის ლონდონიკით ფაბრიკების და სავაჭრო წარმოებების ქალაქი და არც პარიზივით ფუფუნების ადგილი. ამ ქალაქს დიდი წარსული აქვს...

— ასეთივე იყო ათინაც, — ღიმილით ჩაურთო სიტყვა სინიორა ბოლამ, — მაგრამ ათინას მოქალაქენი ძალიან მოდუნებული აღმოჩნდნენ და მათ ასამოძრავებლად საჭირო შეიქნა კრაზანა.

რიკარდომ ხელი დაჰკრა მაგიდას.

— მართლა, კრაზანა! როგორ არ გაგვახსენდა ეს კაცი?! სწორედ ისეთია, როგორიც ჩვენ გვჭირდება!

— ვინ არის?

— კრაზანა, ფელიჩე რივარესი. არ გახსოვთ? მურატორის[43] რაზმის წევრი. უკვე სამი წელიწადია, რაც აპენინები დატოვა.

— თქვენ იცნობდით იმ ვაჟკაცებს? თუმცა მახსენდება, თქვენ აცილებდით, როცა პარიზში გაემგზავრნენ.

— დიახ, მე გავაცილე რივარესი ლივორნომდე და მოვათავსე მარსელში მიმავალ გემზე. მას არ უნდოდა ტოსკანაში დარჩენა. როცა აჯანყება დამარცხდა, თქვა: ტოსკანაში ახლა აღარაფერი მესაქმება, სიცილის მეტი არა დაძრჩენია რა და, ჩემთვის უკეთესია, პარიზში გადავიდეო. ის ალბათ ეთანხმებოდა სინიორ გრასინის, რომ ტოსკანა შეუფერებელი ადგილია სიცილისათვის. მაგრამ თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ თუ ჩვენ მოვიწვევთ, დაბრუნდება, რაკი დაინახავს, რომ იტალიაში არსებობს ცოტაოდენი შესაძლებლობა მოქმედებისათვის.

— როგორ თქვით, რა ჰქვია მას?

— რივარესი. მგონია, ბრაზილიელი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, ვიცი, რომ ცხოვრობდა ბრაზილიაში. გონებამახვილი კაცია. იშვიათად შევხვედრივარ მასეთს. მარტო ცამ იცის, როგორ გვიჭირდა ლივორნოში იმ კვირის განმავლობაში. მიუხედავად ამისა, ვერაფრით ვიკავებდი სიცილს, როცა ოთახში რივარესი შემოეიდოდა. მისი ლაპარაკი ოხუნჯობის შეუჩერებელი შადრევანი იყო. სახეზე ხმლის დიდი ჭრილობა ჰქონდა... თავისებური კაცია... დარწმუნებული ვარ, მისმა ოხუნჯობამ მრავალი იმ უბედურთაგანი გადაარჩინა მაშინ სულით დაცემისაგან.

Scanned by CamScanner

— ის ხომ არ წერს ფრანგულ ჟურნალ-გაზეთებში პოლიტიკურ ფელეტონებს Le Faon*-ის ფსევდონიმით?

— დიახ, უმთავრესად მოკლე წერილებს და იუმორისტულ ფელეტონებს. აპენინის კონტრაბანდისტებმა ამ მწარე ენისათვის დაარქვეს „კრაზანა“ და მას აქეთ ამ სახელს ატარებს.

— მე ცოტა რამ გაგებული მაქვს იმ კაცის შესახებ, — მრავალმნიშვნელოვანი კილოთი ჩაერია ლაპარაკში გრასინი, — და ვერ ვიტყვი, რომ ის, რაც ვიცი, მის სასარგებლოდ ლაპარაკობდეს. არ უარვყოფ, ერთი შეხედვით ის ჭკვიანი კაცის შთაბეჭდილებას სტოვებს. მაგრამ მგონია, რომ თქვენ გადაჭარბებული აზრი გაქვთ მის ნიჭზე. იქნებ მართლაც ვაჟკაცია, მაგრამ ცუდი რეპუტაცია აქვს ვენაში და პარიზში. ის არის ადამიანი, რომელსაც ცხოვრებამ უხვად არგუნა საეჭვო თავგადასავლები. ეშმაკმა იცის, საიდან. ამბობენ დიუპრეს ექსპედიციამ სამოწყალოდ აიყვანა საღღაც სამხრეთ ამერიკის ტროპიკულ უდაბნოში საშინლად გაუბედურებული, თითქმის გაველურებულიო. რამდენადაც ვიცი, ხეირიანად ვერც კი ეთქვა როგორ მივიდა იმ მდგომარეობამდე. ხოლო რაც შეეხება აჯანყებას აპენინებში, არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ამ სამწუხარო საქმეში ათასგვარი გარეწარი მონაწილეობდა. ყველამ იცის, რომ ვინც ბოლონიაში სიკვდილით დასაჯეს, ჩვეულებრივი ავაზაკები იყვნენ. ვინც ახლა იმალება, მრავალი მათგანის ზნეობრივი სახეც მეტად საეჭვოა. რა თქმა უნდა, ზოგიერთი მონაწილე კი იყო მაღალი სულის ადამიანი...

— და უახლოესი მეგობარიც იმათი, ვინც ამ ოთახში იმყოფება, — სიტყვა შეაწყვეტინა რიკარდომ, რომლის ხმაში აღშფოთება იგრძნობოდა. — სინიორ გრასინი, ადვილი საქმეა სხვისი გაკიცხვა, მაგრამ არ უნდა დაივიწყოთ, რომ იმ „ჩვეულებრივმა ავაზაკებმა“ სიცოცხლე შესწირეს თავიანთ რწმენას, ეს კი ბევრად უფრო მეტი საქმეა, ვიდრე ის, რაც მე და თქვენ გავაკეთეთ.

— და, აი, კიდევ რა: — დაუმატა გალიმ. — როდესაც თქვენს წინაშე ოდესმე კიდევ გაიმეორებს ვინმე პარიზის ჭორებს დიუპრეს ექსპედიციის შესახებ, უთხარით ჩემს მაგივრად, რომ ცდება. მე პირადად ვიცნობ დიუპრეს თანაშემწეს მარტელს და მისგან

* კრაზანა (ფრანგ.).

Scanned by CamScanner

მაქვს გაგონილი მთელი თავგადასავალი. მართალია ის, რომ მათ იპოვეს იმ ადგილებში მოხეტიალე რივარესი. ის იბრძოდა არგენტინის რესპუბლიკის მხარეზე,[47] ტყვედ ჩაიგდეს და გაიქცა. შემდეგ გადაცმული დაეხეტებოდა და ცდილობდა ისევ ბუენოს-აირესში ჩასულიყო. მაგრამ ის ვერსია, თითქოს ექსპედიციამ წყალობა უყო და შეიფარა, სრული სიცრუეა. ექსპედიციის მთარგმნელი ავად გამხდარიყო და უკან გაბრუნებას აპირებდა. თვით ფრანგებში კი ადგილობრივი კილო არავინ იცოდა. მთარგმნელის ადგილი რივარესს შესთავაზეს და მან სამი წელიწადი დაჰყო ექსპედიციაში, რომელიც ამაზონის შენაკადებს იკვლევდა. მარტელმა მითხრა, რომ ექსპედიცია ვერასგზით ვერ შეძლებდა თავისი ამოცანის განხორციელებას, მათთან რომ არ ყოფილიყო რივარესი.

— ვინც არ უნდა იყოს ის, — საუბარში ჩაერია ფაბრიცი, — მე მგონია, რალაც განსაკუთრებული თვისებების პატრონია, რაკი შესძლო მოეხიბლა ისეთი ორი ვეტერანი, როგორებიც არიან მარტელი და დიუპრე. თქვენ რას იტყვით, სინიორა?

— სრულიად არ ვიცნობ მას. მე ინგლისში ვიყავი, როცა ლტოლვილებმა ტოსკანაში გაიარეს. მაგრამ თუ იმ კაცის შესახებ ასეთი კარგი აზრის არიან ისინი, რომლებმაც სამი წელიწადი გაატარეს მასთან ერთად, და აგრეთვე აჯანყების მონაწილე ამხანაგებიც, ეს უკვე სავსებით საკმარისია, რომ ყურადღება აღარ მივაქციოთ უსაქმურთა ჭორებს.

— მისი ამხანაგების შესახებ ლაპარაკიც ზედმეტია, — თქვა რიკარდომ, — რივარესს აღმერთებდა ყველა. დაწყებული მურატორიდან და ზამბეკარიდან, გათავებული ველური მთიულებით. გარდა ამისა, ის ორსინის[48] პირადი მეგობარია. მართალია, პარიზში მის შესახებ ათასგვარ ჭორს ავრცელებენ, მაგრამ ხომ იცით, თუ ადამიანს არ სურს მტრები გაიჩინოს, მაშინ ხელი უნდა აიღოს პოლიტიკური სატირის წერაზე.

— სავსებით დარწმუნებული არა ვარ, მაგრამ მგონია, რომ მას შემთხვევით შევხვდი იმ დროს, როდესაც ლტოლვილები აქ გაჩერდნენ, — თქვა ლეგამ, — ის მგონი კუზიანი უნდა იყოს, თუ კოჭლობს, კარგად არ მახსოვს!

Scanned by CamScanner

პროფესორმა გამოსწია საწერი მაგიდის უჯრა, გამოიღო ქაღალდების დასტა და ფურცვლა დაუწყო.

— მგონი აქ სადღაც უნდა მქონდეს პოლიციის მიერ შედგენილი იმ კაცის ნიშნების აღწერილობა. თუ გახსოვთ, როცა მათ შესძლეს მთის ბილიკებით გაქცევა და დამალვა, ყველგან გაგზავნეს მათი ნიშნების აღწერილობა, ხოლო კარდინალი... დამავიწყდა იმ არამზადას სახელი... ჰო, მართლა, კარდინალი სპინოლა[49] საჩუქრებს დაჰპირდა, ვინც მათ თავებს მოიტანდა. შესანიშნავ ამბავს ჰყვებიან რივარესზე ამ საქმესთან დაკავშირებით. რივარესმა ჩაიცვა ჯარისკაცის ფორმა, დაიწყო ხეტიალი იტალიაში და ყველას ეუბნებოდა, სამსახურის მოვალეობის შესრულების დროს დაჭრილი კარაბინერი ვარ და რაზმს ვეძებო. ამ ხეტიალის დროს მართლაც შეეფეთა ჯაშუშების რაზმს, რომელიც სპინოლას მიერ მის საძებრად იყო გაგზავნილი. მთელი დღე იმგზავრა მათთან ერთ ფორანში, უამბობდა გულშემზარავ ამბებს იმის შესახებ, თუ როგორ წაიყვანეს ტყვედ აჯანყებულებმა, როგორ მიათრიეს ტყეში თავიანთ ბუნაგში და სასტიკად აწამეს. ჯაშუშების რაზმმა აჩვენა ქაღალდი, სადაც მისი გარეგნობა იყო აღწერილი. მანაც თავის მხრივ უამბო რაზმს ათასგვარი ჭორი ამ „თავზე ხელაღებულ“ კაცზე, რომელსაც „კრაზანა“ შეარქვეს. შემდეგ ღამე, როდესაც ისინი დაწვნენ დასაძინებლად, თოფის წამალში ერთი ჩაფი წყალი ჩაუსხა, დაიტენა ჯიბეები საჭმლით და საომარი მასალებით და გაიპარა... აი, ის ქაღალდიც, — თქვა ფაბრიციმ და შეწყვიტა ამბავი, — „ფელიჩე რივარესი, მეტსახელად კრაზანა. ხნოვანობა — დაახლოებით ოცდაათი წლის. დაბადების ადგილი უცნობია, ზოგიერთი საბუთით სამხრეთ ამერიკაში უნდა იყოს დაბადებული. პროფესიით — ჟურნალისტი. პატარა ტანის, თმა შავი, შავწვერა, შავგვრემანი პირისახის, ცისფერთვალება, შუბლი ფართო, ცხვირი, ტუჩები, ნიკაპი“... აი კიდევ განსაკუთრებული ნიშნები: მოიკოჭლებს მარჯვენა ფეხზე. მარცხენა ხელი დამახინჯებული აქვს: აკლია ორი თითი. სახეზე აჩნია ხმლის ჭრილობა, ენაბლუა“. შემდეგ დამატებულია: „ძალიან კარგი მსროლელია, — დატუსაღების დროს სიფრთხილეა საჭირო“.

— საკვირველია, როგორ მოახერხა ამდენი განსაკუთრებული ნიშნების მქონემ, მოეტყუებინა მის საძებრად წასული რაზმი?

Scanned by CamScanner

— ცხადია, იხსნა მხოლოდ გამბედაობამ. რაზმს რომ ოდნავ ეჭვი შეეტანა, უსათუოდ დაიღუპებოდა. ის შეძლებს ხოლმე თავი იხსნას ყოველგვარ მდგომარეობიდან იმის გამო, რომ იცის, როგორ მიიღოს გულუბრყვილო და უმანკო სახე, როცა ეს საჭიროა... მაშ რას იტყვით, ბატონებო, ამ წინადადებაზე? როგორც ხედავთ, რივარესი საკმაოდ ცნობილია ზოგიერთი ჩვენგანისათვის. მოდით მივწეროთ, რომ მოხარული ვიქნებით ვისარგებლოთ მისი დახმარებით.

— მე მგონია, — თქვა ფაბრიციმ, — ჯერ საჭიროა გავაცნოთ მას ჩვენი გეგმა და ვკითხოთ, თანახმაა თუ არა ამ გეგმის.

— დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თანახმა იქნება, რაკი საქმე ეხება იეზუიტების წინააღმდეგ ბრძოლას... ის ყველაზე უფრო შეურიგებელი ანტიკლერიკალია,[50] — მათ ასეთ მტერს ჯერ არსად შევხვედრივარ. ამ საქმეში მან გადაჭარბებაც კი იცის ხოლმე.

— მაშ მისწერთ, რიკარდო?

— რა თქმა უნდა. დაიცადეთ, მხოლოდ მოვიგონო სადაა ახლა. მგონი, შვეიცარიაშია. საშინელი მოუსვენარი არსებაა; მუდამ ხეტიალობს, ხოლო რაც შეეხება პამფლეტებს...

და კვლავ გაჩაღდა ცხარე კამათი. როდესაც ბოლოს კრებიდან აიშალნენ, მარტინი მივიდა სინიორა ბოლასთან:

— ჯემა, გაგაცილებთ, თუ ისურვებთ!

— გმადლობთ. მე მინდა მოგელაპარაკოთ რაღაც საქმეებზე.

— ისევ მისამართების შესახებ? — ხმას დაუწია მარტინიმ.

— სერიოზული არაფერია. მაგრამ, მგონია, მაინც საჭიროა ზოგიერთი ცვლილება შევიტანოთ. ამ კვირის განმავლობაში ორი წერილი დააკავეს ფოსტაში. ერთიცა და მეორეც სრულიად უმნიშვნელოა და, შესაძლოა, შეცდომით დააკავეს. მაგრამ ჩვენ მაინც ვერ გავწევთ რისკს. თუ პოლიციამ ეჭვი აიღო თუნდაც ერთ მისამართზე, მაშინვე უნდა შევცვალოთ ის.

— ხვალ მოვალ თქვენთან. სახეზე გეტყობათ, დღეს დაღლილი ხართ.

— არა, არ დავღლილვარ.

— მაშ დაგაღონათ რაიმემ?

— არა, ისეთი არაფერია.

Scanned by CamScanner

თავი მეოთხე

—კეტი, შინ არის სინიორა ბოლა?

— დიახ, ბატონო, იცვამს. გთხოვთ, შემობრძანდეთ სასტუმრო ოთახში სინიორა რამდენიმე წუთში გეახლებათ.

კეტიმ სასტუმრო ოთახში შეიყვანა მარტინი. კეტი ძას დიდ პატივს სცემდა და. გამოერჩეოდა სხვებში. მარტინი ლაპარაკობდა ინგლისურად, რა თქმა უნდა ისე, როგორც ლაპარაკობს ხოლმე უცხოელი, მაგრამ მაინც საკმაოდ კარგად. მას ჩვეულებად არ ჰქონდა ღამე დიდხნობით ჯდომა, დიასახლისის დაღლილობის მიუხედავად, ხმის ჩახლეჩამდე მსჯელობა პოლიტიკაზე, როგორც ამას სხვები სჩადიოდნენ; მთავარი კი ის იყო, რომ წინათ ჩამოდიოდა ხოლმე დევონშირში,[51] რათა დახმარება გაეწია ქალბატონისათვის იმ მძიმე დღეებში, როცა მას მოუკვდა ბავშვი და ქმარიც უკვდებოდა. ჯერ კიდევ იმ დროიდან ეს მოუქნელი, ჩუმი კაცი კეტის თვალში შეიქნა ოჯახის ისეთივე წევრი, როგორც ზარმაცი შავი კატა პაშტი, რომელმაც ამ წუთში მის მუხლებზე მოიკალათა. თვითონ კატაც ისე უყურებდა მარტინის, როგორც ოჯახის სასარგებლო ნივთს. ეს სტუმარი არასოდეს ადგამდა კუდზე ფეხს, თვალს არ უბრმავებდა თამბაქოს კვამლით და საერთოდ არ იცოდა თავის მობეზრება. ისე იქცეოდა, როგორც ორფეხა არსებას შეეფერება: ნებას აძლევდა მოხერხებულად მოკუნტულიყო მის კალთაში და ეკრუტუნა. მაგიდასთანაც ყოველთვის ახსოვდა, რომ კატებს არ უყვართ ყურება, როგორ ჭამენ ადამიანები თევზს. კატა და ძარტინი კარგა ხნის მეგობრები იყვნენ. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ის კნუტი იყო, ხოლო დიასახლისი ისე ავად გახდა, რომ მისი მოვლის თავი ალარ ჰქონდა, მარტინიმ მზრუნველობა გამოიჩინა, კალათში ჩასვა და ისე ჩამოიყვანა ინგლისიდან იტალიაში. იმ დროიდან ხანგრძლივმა გამოცდილებამ საბოლოოდ დაარწმუნა ხვადი კატა, რომ ეს დათვივით ტლანქი კაცი საიმედო მეგობარი იყო მისი.

— რა კარგად მოწყობილხართ ორთავე, — თქვა ჯემამ ოთახში შემოსვლისას. — თქვენმა მაყურებელმა შეიძლება იფიქროს, რომ საღამომდე ასე აპირებთ ჯდომას.

Scanned by CamScanner

მარტინიმ ფრთხილად გადმოსვა კატა.

— მე ცოტა ადრე მოვედი, — თქვა მან, — იმ იმედით, რომ ვიდრე გზას გავუდგებოდეთ, ჩაის დამალევინებთ. გრასინისთან ალბათ ბევრი ხალხი იქნება და უხეირო ვახშამი. ამ არისტოკრატიულ ოჯახებში ცუდი მასპინძლობა იციან.

— თქვენც ისეთივე მწარე ენა გაქვთ, როგორც გალის, — სიცილით უთხრა ჯემამ. — საბრალო გრასინის თვითთხაც ბევრი ნაკლი აქვს და თქვენ კიდევ იმასაც დანაშაულად უთვლით, რომ მისი მეუღლე ცუდი დიასახლისია. ჩაი კი ახლავე მზად იქნება. კეტიმ დევონშირული კექსი გამოაცხო საგანგებოდ თქვენთვის.

— კეტი კეთილი ქალია, არა, პაშტ? სხვათა შორის, თქვენზედაც უნდა ვთქვა, ვშიშობდი, რომ დაგავიწყდებოდათ ჩემი თხოვნა და სხვა კაბას ჩაიცვამდით.

— ხომ დაგპირდით, ჩავიცვამ-მეთქი, თუმცა უნდა გითხრათ, რომ გარეთ თბილა და მეშინია არ დამცხეს ამ კაბაში.

— არა, ფიეზოლეში[52] ბევრად უფრო გრილა, თქვენ კი ისე არაფერი გიხდებათ, როგორც თეთრი ქიშმირი. მე ყვავილები მოგიტანეთ მაგ კაბაზე დასაბნევად.

— ოჰ, რა მშვენიერი ვარდებია! მერე როგორ ძალიან მიყვარს. მაგრამ სჯობს, წყალში ჩავაწყო. არ მიყვარს ყვავილების ტარება.

— ეგეც თქვენი ცრუმორწმუნე ფანტაზიაა!

— არა. გარწმუნებთ, არა. მხოლოდ ასე მგონია, ჩემს გულზე მიბმული ყვავილები ძალიან დაიტანჯებიან, თუ მთელ საღამოს ისეთ მოსაწყენ ადამიანთან გაატარებენ, როგორიც მე ვარ.

— ვშიშობ, რომ მართლაც მოიწყენთ ამ საღამოს. იქ ძალიან უფერული ლაყბობა იქნება.

— რატომ?

— ნაწილობრივ იმიტომ, რომ ყველაფერი, რასაც კი შეეხება გრასინი, მაშინვე ისეთივე უფერული ხდება, როგორიც თვითონ არის.

— ნუ გაქვთ ეგეთი მწარე ენა. არ ვარგა ასე ლაპარაკი ადამიანზე, რომელთანაც სტუმრად მივდივართ.

— თქვენ მართალი ხართ, მადონა,[53] როგორც ყოველთვის. მაშ

Scanned by CamScanner

ასე ვიტყვი, იქ მოწყენილობა იქნება იმიტომ, რომ საინტერესო ადამიანი ცოტა მოვა.

— რით აიხსნება ეგ?

— თვითონაც არ ვიცი. ზოგი ქალაქიდან გაემგზავრა, ზოგი ავადაა. იქნებიან, რა თქმა უნდა, ორი-სამი ელჩი, რამდენიმე გერმანელი მეცნიერი და ჩვეულებრივი ტურისტები და რუსი თავადები. კიდევ ლიტერატორები, ხუთი ან ექვსი ფრანგი ოფიცერი და, რამდენადაც ვიცი, სხვა არავინ, გარდა, სხვათა შორის, ახალი სატირიკოსისა. ყველაზე მეტად ის მიიზიდავს ხალხს.

— ახალი სატირიკოსი? როგორ? რივარესი? მე კი მეგონა, რომ გრასინი მისი წინააღმდეგი იყო.

— ეგ აგრეა, მაგრამ რადგან მის შესახებ ბევრს ლაპარაკობენ და ახლა ის კაცი ჩვენს ქალაქში იმყოფება, გრასინი, რა თქმა უნდა, მოისურვებს, საზოგადოების ეს ახალი გმირი პირველად თავის სახლში გამოაჩინოს. გარდა ამისა, დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ რივარესმა არ იცის, — რა აზრისაა მის შესახებ გრასინი. მაგრამ შესაძლოა, რივარესი მიხვდეს — ის ხომ გამჭრიახი კაცია.

— მე კი არ ვიცოდი, რომ ის უკვე აქ იყო!

— გუშინ ჩამოვიდა... აი, ჩაიც მოიტანეს. არ შეწუხდეთ, არ ადგეთ, მე მოგაწოდებთ ჩაიდანს.

მარტინი არსად ისე კარგად არ გრძნობდა თავს, როგორც ამ პატარა სასტუმრო ოთახში. ჯემას შორეული ეჭვიც არ ჰქონია, რომ ამ კაცს ძლიერ უყვარდა, მეგობრულად და გულთბილად ეპყრობოდა მას, ეს კი დიდად ახარებდა ცხოვრებაში გაუხარელ მარტინის. ყოველთვის, როცა სევდა შეიპყრობდა, მუშაობის დამთავრების შემდეგ მივიდოდა ჯემასთან, უხმოდ დაჯდებოდა და კმაყოფილდებოდა იმით, რომ უყურებდა, როგორ კერავდა ანდა ჩაის ასხამდა საყვარელი არსება. ჯემას არასოდეს არ უკითხავს მისთვის მოწყენილობის მიზეზი და არც თანაგრძნობის სიტყვა უთქვამს, მაგრამ მარტინი ბრუნდებოდა მისგან მაინც გამხნევებული და გრძნობდა, რომ „ახლა ერთ-ორ კვირას კიდევ გაძლებდა". ჯემა თვითონაც ვერ ხვდებოდა, რა უნარი ჰქონდა ასეთი, ხუგეში ეცა ადამიანისათვის. როცა ორი წლის წინათ კალაბრიაში ეერაგულად გასცეს[54] და დახვრიტეს მარტინის საუკეთესო მეგობრები, მხოლოდ

Scanned by CamScanner

ჯემას ურყევმა რწმენამ იხსნა ის სრული სასოწარკვეთილებისაგან.

კვირა დღეებში მარტინი ხანდახან დღისით მიდიოდა მასთან, რომ „მოელაპარაკა საქმეზე“, რაც ნიშნავდა მოელაპარაკათ პრაქტიკულ მუშაობაზე მაძინის პარტიისა, რომლის საქმიანი და ერთგული წევრებიც ისინი იყვნენ. ასეთი საუბრის დროს ჯემა სრულიად სხვა ადამიანი ხდებოდა: პირდაპირი, ცივი, წუნდაუდებლად პუნქტუალური და სრულიად პირუთვნელი. ვინც ჯემას მხოლოდ პარტიული მუშაობით იცნობდა, თვლიდნენ მხოლოდ კარგად გაწვრთნილი და დისციპლინიან მუშაკად, სავსებით სანდო, გაბედულ და ყოველმხრივად ძვირფას წევრად პარტიისა, მაგრამ „უფერულ და უპიროვნო არსებად“. „ის შეუდარებელია კონსპირატიულ მუშაობაში, ჩვენისთანას ათს იყიდის, სხვა მხრივ კი ბევრს არაფერს წარმოადგენს“, — ამბობდა მასზე გალი. ყველა კი ვერ ხედავდა მასში „მადონა ჯემას“, როგორც მას მარტინმ უწოდა.

— რას წარმოადგენს ის თქვენი ახალი სატირიკოსი? — იკითხა ჯემამ იმ დროს, როცა ბუფეტის კარს აღებდა, — აი, თქვენ, ჩეზარე, ქერის შაქარი და დაშაქრული ხილიც. რატომაა, რომ რევოლუციონერებს ასე ძლიერ უყვართ ტკბილეული?

— არარევოლუციონერებსაც ძლიერ უყვართ ტკბილეულობა, მაგრამ თავის დამცირებად მიაჩნიათ აღიარება. მაშ გიამბობთ ახალი სატირიკოსის შესახებ. იცოდეთ, ეს ისეთი კაცია, რომ ჩვეულებრივ ქალები მასზე გონებას კარგავენ; თუმცა თქვენ კი არ მოგეწონებათ. ეს არის, ასე ვთქვათ, პროფესიული ოხუნჯი, რომელიც დაეხეტება მთელ ქვეყანაზე და თან დაათრევს ერთ ლამაზ ბალერინას.

— ამით რისი თქმა გინდათ? ბალერინა მართლა არსებობს? თუ ახლა უგუნებოდ ხართ და ავყიაობაში ბაძავთ მას...

— ღმერთმა დამიფაროს! სრულიად არა. ბალერინა სავსებით რეალური და ამასთანავე საკმაოდ ლამაზი არსებაა იმათი აზრით, ვინც ტლანქი სილამაზის მოტრფიალეა. პირადად მე სხვა გემოვნება მაქვს. რიკარდომ თქვა, ის ქალი უნგრელი ბოშაა. რივარესს ის გალიციის რომელიღაც პროვინციის თეატრიდან გამოუყვანია. იმ ვაჟბატონს, სატირიკოსს, როგორც ჩანს, არაფრის არ რცხვენია.

Scanned by CamScanner

დაჰყავს ის ქალი საზოგადოებაში ისე თავისუფლად, თითქოს გაუთხოვარი ნათესავი ყოფილიყოს.

— მერე რა ვუყოთ! ძალიან კარგი უქნია. სხვა წრე ნაცნობებისა იმ ქალს ამჟამად არ გააჩნია.

— თქვენ, მშვენიერო მადონა, რასაკვირველია, შეგიძლიათ ასეთი შეხედულება იქონიოთ ამის შესახებ, მაგრამ საზოგადოება სულ სხვაგვარად უყურებს. ჩემი აზრით, საზოგადოების ნაწილი უკმაყოფილო იქნება იმით, რომ ეს კაცი ბედავს გააცნოს მათ თავისი საყვარელი.

— საიდან იციან საყვარელია ის თუ არა. თვითონ ხომ არ ყვება ამ ამბებს?

— ამის დამალვა შეუძლებელია. თქვენ თვითონ დაინახავთ, როგორც კი შეხვდებით იმ ქალს. მაგრამ მე მგონია, თვით რივარესსაც არ ეყოფა ამდენი სითავხედე, რომ ქალი გრასინისთან მოიყვანოს.

— იმ ოჯახში არც მიიღებენ იმ ქალს. სინიორა გრასინი არ გახლავთ ისეთი, რომ ვინმეს ნება მისცეს დაარღვიოს ზრდილობა... მაგრამ მე მინდოდა, გეამბნათ ჩემთვის რივარესზე, როგორც სატირიკოსზე, და არა მის კერძო ცხოვრებაზე. როგორც ფაბრიციმ მითხრა, მისწერეს და ისიც თანახმა გახდა ჩამოსულიყო და იეზუიტების წინააღმდეგ კამპანია დაეწყო. ამის მეტი მე არაფერი ვიცი მის შესახებ. მთელი კვირა იმდენი სამუშაო იყო, რომ...

— ბევრს ვერაფერს დავუმატებ იმას, რაც თქვენ გცოდნიათ. ფულის მხრივ, როგორც ეტყობა, არავითარი დაბრკოლება არ ყოფილა, როგორც ჩვენ ვრთ დროს გვეშინოდა. მგონი, არ უჭირს და მზადაა უსასყიდლოდ იმუშაოს.

— მაშასადამე, საარსებო სახსარი გააჩნია?

— ალბათ. თუმცა ძნელია ამის თქმა მას შემდეგ, რაც ჩვენ მაშინ ფაბრიციისთან გავიგონეთ. თუ გახსოვთ, იქ გვიამბეს, რომ რივარესი უმწეო მდგომარეობაში იყო, როცა დიუპრეს ექსპედიციამ იპოვა. მაგრამ, ამბობენ, მას წილი აქვს ბრაზილიის მაღაროებში და, გარდა ამისა, როგორც ფელეტონისტს დიდი წარმატება ჰქონდა პარიზში, ვენაში და ლონდონშიო. ისიც მითხრეს, რომ ის შესანიშნავად ფლობს, სულ ცოტა, ხუთ-ექვს უცხო ენას. აქ ყოფნა

Scanned by CamScanner

მას ხელს არ შეუშლის ითანამშრომლოს უცხოეთის გაზეთებში იეზუიტების გინება მას დიდ დროს არ წაართმევს.

— მართალს ამბობთ... ახლა კი, ჩეზარე, დროა გზას გავუდგეთ. მე მხოლოდ ვარდებს მივიბნევ მკერდზე. ერთ წუთს დამიცადეთ.

ჯემამ სწრაფად აირბინა ზევით და მალე დაბრუნდა, მას ვარდები ჰქონდა მკერდზე მიბნეული და თავზე ესპანური მაქმანის შავი შარფი ეხურა. მარტინიმ მას მხატვრის თვალით შეხედა და განაცხადა:

— თქვენ ნამდვილ დედოფალს ჰგავხართ, ჩემო მადონა, დიადსა და ბრძენ საბაის[55] დედოფალს!

— სრულიად არ მსიამოვნებს ეგ თქვენი შედარება, — სიცილით უპასუხა ჯემამ. — რომ იცოდეთ, რამდენი შრომა დამჭირდა, რათა მაღალი წრის ტიპიურ მანდილოსანს დავმსგავსებოდი! რა ფასი აქვს შეთქმულების მონაწილე ქალს, თუ ის საბაის დედოფალს ჰგავს? ამით ის მხოლოდ ჯაშუშების ყურადღებას მიიქცევს.

— სულ ერთია, რამდენიც არ უნდა ეცადოთ, მაინც ვერ დაემსგავსებით მაღალი წრის ქალაფშუტა მანდილოსანს. მაგრამ ეს არაფერი. თქვენ მეტად ლამაზი ხართ და ვეჭვობ, რომ ჯაშუშებმა თქვენი შეხედვით რამე გაუგონ თქვენს პოლიტიკურ მრწამსს. ასე რომ, არა გჭირდებათ მარაოამოფარებული სულელური ხითხითი სინიორა გრასინის მსგავსად.

— კმარა, ჩეზარე, მოასვენეთ ის საცოდავი ქალი. გაიტკბილეთ ეგ მწარე ენა ქერის შაქრით!.. მზადა ხართ? აბა, ახლა წავიდეთ!

მარტინი მართალი იყო, როცა ამბობდა, გრასინისთან დიდი საზოგადოება შეიკრიბება, მაგრამ მოწყენილობა იქნებაო. ლიტერატორები, სალონის მუდმივი წევრები, ერთმანეთს ზრდილობიანად ებაასებოდნენ რაღაც უმნიშვნელო საკითხებზე და, როგორც ჩანდა, ძალიან მოწყენილი იყვნენ. ტურისტები და რუსი თავადები კი დახეტიალობდნენ ოთახიდან ოთახში, ეკითხებოდნენ ერთმანეთს დამსწრე სახელგანთქმულ პირებზე და ცდილობდნენ, აზრიანი საუბარი გაემართათ.

გრასინი სტუმრებს ხვდებოდა ისეთივე გაკრიალებული თავაზიანობით, როგორიც მისი ფეხსაცმელები იყო. სახე გაუბრწყინდა, როცა ჯემა დაინახა. სინამდვილეში არ უყვარდა ჯემა,

Scanned by CamScanner

ერთგვარად ეშინოდა კიდევაც მისი, მაგრამ ესმოდა, რომ უიმისოდ სალონი დაკარგავდა თავის მიმზიდველობას. გრასინის კარგად წაუვიდა საქმე, მან შეძლო სახელის მოხვეჭა თავის პროფესიაში და ახლა, როცა მდიდარი და ცნობილი გახდა, მისი იდეალი ისღა იყო, თავისი ოჯახი ინტელიგენტური და ლიბერალური საზოგადოების ცენტრად გაეხადა. გრასინი ნაღვლობდა ხოლმე, რომ ახალგაზრდობაში წინდაუხედავად, ნაჩქარევად დაქორწინდა, და რომ მისი ცოლი, ეს პატარა, დედოფალასავით მორთულ-მოკაზმული, მაგრამ უკვე დამჭკნარი ქალი არ ვარგოდა დიასახლისად დიდ ლიტერატურულ სალონში. ამიტომ, როცა მასთან ჯემა მივიდოდა, ყოველთვის იმედიანად იყო, რომ ის საღამო წარმატებით ჩაივლიდა. ძისი მშვიდი და ნატიფი მანერები საზოგადოებას უშუალობას მატებდა და მხოლოდ მისი შემოსწრებაც კი მთლიანად გადარეცხავდა ვულგარობის იმ მტვერს, რომელიც მის სახლს აჩნდა.

სინიორა გრასინი ალერსიანად შეხვდა ჯემას.

— რა მომხიბლავი ხართ დღეს! — ხმამაღლა შესძახა მან და მტრული კრიტიკული თვალი გადაავლო მის თეთრ ქიშმირის კაბას.

სინიორა გრასინის მთელი არსებით სძულდა ჯემა, სძულდა სწორედ იმ მიზეზით, რის გამოც მარტინი თაყვანს სცემდა: მისი მშვიდი, ძლიერი ხასიათის, გულწრფელი პირდაპირობის, ნათელი გონებისა და სახის გამომეტყველების გამოც კი. მაგრამ სინიორა გრასინი ყოველთვის ძალიან დიდი თავაზიანობით ეპყრობოდა იმ ქალებს, რომლებიც განსაკუთრებით სძულდა. ჯემამ კარგად იცოდა, თუ რა ფასი ჰქონდა მის ქათინაურებს და ყურადღებას არ აქცევდა მათ. ასეთ „საზოგადოებაში გამოსვლები“ ჯემასთვის არასასიამოვნო და დამქანცველი მოვალეობა იყო, მაგრამ იცოდა, რომ ეს აუცილებელი იყო მისთვის, როგორც შეთქმულების მონაწილესათვის, რათა ამით აეშორებინა პოლიციის ყურადღება. მას ეს სამუშაო გაშიფვრაზე არა ნაკლებ დამქანცველად მიაჩნდა. მაგრამ რაკი იცოდა, რომ ეპვების ასაშორებლად საჭირო იყო ჰქონოდა მაღალი საზოგადოების ქალის სახელი, მოდურ ჟურნალებსაც ისეთივე გულმოდგინებით სწავლობდა, როგორც შიფრის გასაღებებს.

ლიტერატორები გამოცოცხლდნენ, როცა მოახსენეს ჯემას მოს-

Scanned by CamScanner

ვლის შესახებ. ლიტერატორების წრეში ჯემა დიდი ყურადღებით სარგებლობდა და იმ კუთხეში, სადაც ჯემა ჩამოჯდა, იმავე წუთში გაჩნდნენ რადიკალური მიმართულების ჟურნალისტები. მაგრამ ჯემა ძალიან დახელოვნებული იყო კონსპირაციაში და ამიტომ დიდ დროს არ ჰკარგავდა მათთან ყოფნაში.

მას ყოველდღე შეეძლო შეხვედროდა რადიკალებს; ამიტომაც ახლა, როცა ისინი გარს შემოერტყნენ, ქალმა ნაზად და ალერსიანად მიუთითა, რომ არ ღირს ჩემზე დროს დაკარგვა, როდესაც აქ ამდენი ტურისტია. თვითონ კი მუსაიფი გამართა ერთ ინგლისელთან, პარლამენტის წევრთან: რესპუბლიკური პარტიისათვის ძლიერ საჭირო იყო ამ კაცის თანაგრძნობა მოეპოვებინა. ის ფინანსური საკითხების სპეციალისტი იყო და ჯემამ ჯერ რომელიღაც ტექნიკურ ამბავზე ჰკითხა, რა აზრისა ბრძანდებითო. ეს საკითხი ავსტრიის ვალიუტასთან იყო დაკავშირებული. ხოლო შემდეგ მოხერხებულად გადაიტანა საუბარი ლომბარდია-ვენეციის ბიუჯეტზე.

ინგლისელი, რომელიც მოელოდა, ძილისმომგვრელ სალონურ საუბარს გაუბამდნენ, ალმაცერად უყურებდა მას. მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ ამ ქალთან არა მარტო საუბარია საინტერესო, არამედ გარეგნობითაც მშვენიერია, დანებდა და გაერთო იტალიის ფინანსების ისეთ სერიოზულ განხილვაში, თითქოს მეტერნიხს ესაუბრებოდა ხოლო როდესაც გრასინიმ მიიყვანა ჯემასთან ვიღაც ფრანგი, რომელსაც სურდა, გამოეკითხა სინიორა ბოლასათვის ცოტა რამ „ახალგაზრდა იტალიის“ ისტორიიდან, ინგლისის პარლამენტის წევრი წამოდგა თავისი ადგილიდან მისთვის ჯერ კიდევ უცნობი და გაურკვეველი გრძნობით, რომ იტალიას იქნებ მეტი საბუთი აქვს უკმაყოფილო იყოს, ვიდრე მე აქამდე მეგონაო.

შეხუთული ჰაერისაგან ჯემას თავის ტკივილი დაეწყო. შეუმჩნეველად გავიდა ფართო, დიდ აივანზე, სადაც სასტუმრო ოთახის ფანჯრები გამოდიოდა და მაღალი კამელიებისა და ოლეანდრების მწვანე შტოებში მარტო ყოფნა არჩია. საღამო დასასრულს უახლოვდებოდა.

აივნის ბოლოში შროშანებისა და სხვა აყვავებული მცენარეებით შემოფარდაგებულ უზარმაზარ კასრებში პალმები და მაღალი გვიმრა ხარობდა. ეს ადგილი წარმოადგენდა თეჯირს, რომ-

Scanned by CamScanner

ლის უკან რიკულებთან რჩებოდა ერთი თავისუფალი კუთხე, საიდანაც მოჩანდა ბუნების მშვენიერი სურათი. გვიანი ყვავილებით შეფიფქული ბროწეულის ტოტები ჩამოკიდებულიყვნენ მცენარეებს შორის შექმნილ ვიწრო გასასვლელში.

ამ კუთხეში მოიკალათა ჯემამ; იმედი ჰქონდა, არავინ მიუხვდებოდა, რომ აქ იყო. ეგონა, მოისვენებდა და თავის ტკივილიც გადაუვლიდა.

თბილი ღამე იყო, მინაბული და შეხუთული სასტუმრო ოთახის შემდეგ ჯემას ცოტა ეგრილა, რის გამოც თავზე მოიგდო თავისი მაქმანის შარფი.

აივანზე უეცრად გაისმა ხმა ნაბიჯებისა, რომელიც თახდათან უახლოვდებოდა მას. ქალი, რომელიც მიძინებულივით იყო, გაშოფხიზლდა. ჯემა ამოეფარა მცენარეებს, ფიქრობდა, ვერ შემამჩნევენ და რამდენიმე წუთი მაინც გაგრძელდება ის ძვირფასი სიჩუმე, სანამ სასტუმრო ოთახის ლაყბობას დავუბრუნდებიო.

მისდა სამწუხაროდ, ნაბიჯები შეწყდა სწორედ იმ ადგილას, სადაც დამალვას აპირებდა. მან გაიგონა სინიორა გრასინის წვრილი ხმა. სინიორა შეუჩერებლივ ლაპარაკობდა. მაგრამ, აი, შეწყდა ქალის წრიპინა ხმა და გაისმა მეორე, მამაკაცის ხმა, მომხიბვლელი, რბილი და მუსიკალური; მაგრამ ამ ხმის სასიამოვნო ტემბრს აფუჭებდა ის, რომ მისი პატრონი სიტყვებს ძალიან სჭიმავდა. შეიძლება ამას განგებ სჩადიოდა, მაგრამ უფრო საფიქრებელი იყო, აშას აკეთებდა იმისთვის, რომ დაეფარა რაღაც ნაკლოვანება თავის ლაპარაკში. ასე იყო თუ ისე, შთაბეჭდილება არასასიამოვნო რჩებოდა.

— თქვენ ამბობთ, რომ ინგლისელია? — იკითხა მამაკაცმა, — მაგრამ იტალიური გვარი რომ აქვს? როგორ თქვით: „ბოლა“?

— დიახ, ის არის ქვრივი უბედური ჯიოვანი ბოლასი, რომელიც ოთხი წლის წინათ გარდაიცვალა ინგლისში. იქნებ გახსოვდეთ? ოჰ, სულ მავიწყდება: თქვენ მომთაბარე ცხოვრებას ატარებთ და შეუძლებელია იცოდეთ ყველას ამბავი, ვინც ჩვენი უბედური სამშობლოსათვის ეწამა. ასეთები ბევრნი არიან!

სინიორა გრასინიმ ამოიოხრა. უცხოელებს ყოველთვის ამგვარად ელაპარაკებოდა. იტალიის უბედურებით დამწუხრებული პატრიოტის როლი ეფექტურად ჰქონდა მას შეხამებული ინსტი-

Scanned by CamScanner

ტუტდამთავრებული ქალის მანერებთან და გულუბრყვილო ბავშვის სახის გამომეტყველებასთან.

— გარდაიცვალა ინგლისში... — გაიმეორა მამაკაცმა. — მაშ ეს ემიგრანტი იყო? მგონი, წინათ გაგონილი მქონდა ეს სახელი. თქვენ იცით, ხომ არ იყო ის წევრი „ახალგაზრდა იტალიის“ ორგანიზაციისა მისი არსებობის პირველ წლებში?

— დიახ, დიახ, ის იყო ერთი იმ უბედური ჭაბუკთაგანი, რომლებიც ოცდაცამეტ წლებში დააპატიმრეს. გაგონდებათ, ის სამწუხარო ამბავი? რამდენიმე თვის შემდეგ გაათავისუფლეს, მერე კი, ორი-სამი წლის შემდეგ ისევ გასცეს ბრძანება მისი დაპატიმრების შესახებ და ამიტომ იძულებული გახდა, ინგლისში გაქცეულიყო. იქიდან კი ამბავი მოვიდა, ცოლი შეირთოო. ეს ძალიან რომანტიული ისტორია გახლდათ, ბოლა კი, მოგეხსენებათ, რომანტიკოსი იყო ყოველთვის.

— თქვენ ამბობთ, რომ ინგლისში მოკვდა?

— დიახ, ჭლექისაგან. მან ვერ აიტანა ინგლისის ცუდი ჰავა. სიკვდილის წინ კი ხუნაგისაგან გარდაეცვალა ერთადერთი ვაჟი. განა დამაღონებული ამბავი არაა? ჩვენ ყველას გვიყვარს ეს მშვენიერი ჯემა! ცოტა გულცივია, მაგრამ, როგორც იცით, ეს ახასიათებს ყველა ინგლისელს. გარდა ამისა, ამდენმა მწუხარებამ მისი ხასიათი...

ჯემა წამოდგა და მისწი-მოსწია ბროწეულის შტოები. სინიორა გრასინი უყვებოდა უცნობ კაცს ამ ქალის უბედური დღეების შესახებ მხოლოდ იმისათვის, რომ სალაყბო მასალა ჰქონოდა, ჯემასთვის კი მათი გაგონება სამწუხარო და სამძიმო იყო. როდესაც ის სინათლეზე გამოვიდა, სახეზე უკმაყოფილებას არ ფარავდა.

— აი, ისიც! — შესძახა დიასახლისმა საკვირველი თავდაჭერით და გულგრილობით, — მე კი გეძებდით და ვერ მომესაზრა, სად უნდა წასულიყავით! თქვენი გაცნობა სურს სინიორ ფელიჩე რივარესს.

„აჰა, მაშ ეს ყოფილა კრაზანა“! — გაიფიქრა ჯემამ და ცნობისმოყვარეობით მიაჩერდა.

Scanned by CamScanner

კაცმა პატივისცემით დაუკრა თავი, მაგრამ ისე გამჭვალავად მიაპყრო თვალი, რომ ჯემას ეს შეხედვა თავხედობად მოეჩვენა.

— მშვენიერი კუნჭული ამოგირჩევიათ, — შენიშნა კაცმა და გადახედა მცენარეთა ტყეს, საიდანაც ქალი გამოვიდა. — რა მშვენიერი ს-სანახაობაა!

— დიახ, მშვენიერი ადგილია. გამოვედი, რომ აქ სუფთა ჰაერი ვისუნთქო.

— ასეთ საღამოს ოთახში ყოფნა პირდაპირ დანაშულია, — ჩაილაპარაკა დიასახლისმა და ცას ახედა. (მას ლამაზი წამწამები ჰქონდა და მათი გამოჩენა უყვარდა.) — თვალი გადაავლეთ, სინიორ: განა სამოთხე არ იქნებოდა ჩვენი შეუდარებელი იტალია, ეს რომ თავისუფალი ყოფილიყო? ვერც კი წარმომიდგენია, რომ მონობის უღელი უნდა ატაროს ისეთმა საუცხოო ქვეყანამ, რომელსაც ასეთი ყვავილები აქვს და ასეთი ცა დაჰყურებს.

— და რომელსაც ასეთი პატრიოტი ქალები ჰყავს! — წაიდუდუნა კრაზანამ თავისი სასიამოვნო ხმით.

ჯემამ მას თითქმის შიშით შეხედა: კრაზანას სიტყვებში აშკარა დაცინვა იგრძნობოდა, მაგრამ ის კი ვერ გაითვალისწინა, თუ როგორ მოსწონდა სინიორა გრასინის ქათინაურები. მან ესეც ხალას სიმართლედ მიიჩნია. ამოიოხრა და თავი დახარა.

— ეჰ, სინიორ, ქალს უმნიშვნელო როლი აქვს მიკუთვნებული. მაგრამ, ვინ იცის, იქნებ ოდესმე შევძლო დავამტკიცო, რომ მაქვს უფლება ვატარო იტალიელი ქალის სახელი... ახლა კი უნდა დავუბრუნდე ჩემს საზოგადოებრივ მოვალეობათა აღსრულებას. საფრანგეთის ელჩმა მთხოვა, მისი აღზრდილი ქალიშვილი გავაცნო ყველა აქ მყოფ სახელგანთქმულ პიროვნებას. თქვენც უნდა მოხვიდეთ და გაეცნოთ იმ ქალიშვილს. მშვენიერი არსებაა! ძვირფასო ჯემა, მე მოვიყვანე სინიორ რივარესი იმისათვის, რომ მეჩვენებინა, რა ლამაზი სანახაობა იშლება აქედან. ახლა კი თქვენთვის მიმინდვია მასზე ზრუნვა. დარწმუნებული ვარ, არ დაიზარებთ და ყველას გააცნობთ. აი, მომხიბვლელი რუსი თავადი! თქვენ ჯერ არ გინახავთ ის? ამბობენ, დიდად სწყალობს მეფე ნიკოლოზი[57]. პოლონეთის რომელიღაც ქალაქის გარნიზონის უფროსი ყოფილა. ისეთი სახელი

Scanned by CamScanner

აქვს იმ ქალაქს, რომ გამოთქმაც კი უჭირს კაცს. Quelle nuit magnifique! N'est ce pas, mon prince?*

სინიორა გრასინი ლაქლაქით გაჰყვა კაცს, რომელსაც ხარის კისერი და ძალიან ფართო ნიკაპი ჰქონდა, მუნდირზე კი უბრწყინავდა აუარებელი ორდენი. სინიორა გრასინის გულის გამგმირავი ტიკტიკი „ჩვენი უბედური სამშობლოს“ ბედ-იღბალზე მალე შორიდან მოისმა.

ჯემა ისევ უხმოდ იდგა ბროწეულის ხის ქვეშ. იგი აღაშფოთა კრაზანას თავხედობამ და შეებრალა საცოდავი უგუნური ქალი. მიმავალ წყვილს კრაზანა ისეთი თვალებით აცილებდა, რომ ჯემას ბრაზი მოსდიოდა: მისი აზრით, არაკეთილშობილური იყო ასეთი საბრალო არსების დაცინვა.

— აი, ხელიხელ გაყრილი მიდის იტალიური და რუსული პატრიოტიზმი, — ღიმილით თქვა მან და მიბრუნდა ჯემასაკენ, — ორივე ძალიან კმაყოფილია ერთმანეთით. თქვენ რომელი უფრო მოგწონთ?

ქალმა წარბები შეიკრა და არ უპასუხა.

— რ-რა თქმა უნდა, — განაგრძო მან, — ეს გემოვნების ს-საქმეა. მაგრამ, ჩემი აზრით, რუსეთის პატრიოტიზმი უკეთესია: მას ყოველთვის ბოლომდე მიჰყავს საქმე. რუსეთს რომ ზარბაზნების მაგიერ თავისი ძალა ცასა და ვარდებზე დაემყარებინა, როგორ გგონიათ, რამდენ ხანს გამაგრდებოდა ეს თავადი პოლონეთის ციხე-სიმაგრეში?

— მე მგონია, — ცივად უპასუხა ჯემამ, — შეიძლება საკუთარი აზრის გამოთქმა ისე, რომ არ დავცინოთ დიასახლისს, რომელთანაც სტუმრად ვართ.

— ჰო, მართლა, დამავიწყდა, როგორ აფასებენ იტალიაში სტუმართმოყვარეობას. გასაკვირელი სტუმართმოყვარე ხალხია ეს იტალიელები! დარწმუნებული ვარ, ავსტრიელებიც ამ აზრის არიან... ხომ არ გსურთ დაბრძანდეთ?

მან კოჭლობით გაიარა აივანი და მოუტანა სკამი, თვითონ კი დადგა პირდაპირ და რიკულებს ჩამოეყრდნო. სინათლე ფანჯრიდან

* როგორი დიდებული ღამეა! ხომ ასეა, თავადო? (ფრანგ.)

Scanned by CamScanner

პირდაპირ ხვდებოდა მის სახეს და ქალს ახლა ადვილად შეეძლო კარგად დაეთვალიერებინა.

ჯემას სრულიად გაუცრუვდა იმედი. ეგონა, რომ დაინახავდა თუ სასიამოვნოს არა, ყოველ შემთხვევაში, შესანიშნავ სახეს, რომლის გამოხედვას შეუძლია დაიპყროს და დაიმონოს ადამიანი. მაგრამ ამ კაცის დანახვისთანავე თვალში გეჩხირებოდათ მისი ქარაფშუტული ჩაცმულობა და თითქმის დაუფარავი კადნიერება. ის იყო შავგვრემანი, როგორც მულატი და, მიუხედავად იმისა, რომ კოქლობდა, კატასავით მოქნილი.

მთელი თავისი გარეგნობით ძალიან მიაგავდა ფოცხვერს. შუბლი და მარცხენა ლოყა დამახინჯებული ჰქონდა გრძელი ჭრილობისაგან. როგორც ეტყობოდა, ხმლის დანარტყამი იყო. ქალმა შეამჩნია აგრეთვე, რომ ყოველთვის, როცა ენა დაებმებოდა, სახის ეს ნაწილი ნერვიულად უთრთოდა. თუ არა ეს ნაკლოვანებანი, შესაძლოა, მასში თავისებური სილამაზეც აღმოგეჩინათ; მაგრამ, საერთოდ, მისი სახე მიმზიდველი არ იყო.

მამაკაცმა ისევ განაგრძო ლაპარაკი თავისი რბილი, მუსიკალური ხმით, თითქოს კრუტუნებდა.

„ნამდვილი ფოცხვერია, — გაიფიქრა ჯემამ, — რომელიმე ფოცხვერი რომ კარგ გუნებაზე ყოფილიყო და ლაპარაკი შეძლებოდა, უსათუოდ ამგვარად ილაპარაკებდა". — ის თანდათან უფრო ღიზიანდებოდა.

— მე მითხრეს, — თქვა მამაკაცმა — რომ თქვენ გაინტერესებთ რადიკალური პრესა და მონაწილეობთ კიდეც გაზეთებში.

— ვწერ ხანდახან. ცოტა დრო მაქვს ამისათვის.

— ჰო, ეს გასაგებიცაა, სინიორა გრასინიმ მითხრა, რომ თქვენ სხვა უფრო რთული საქმეებით ხართ გართული.

ჯემამ გაკვირვებით შეჰხარა წარბები. როგორც ჩანდა, სინიორა გრასინიმ თავის მოკლე ჭკუით ზედმეტი წამოროშა ამ კაცთან, რომელიც უფრო და უფრო არ მოსწონდა ჯემას.

— მართალია, ბევრი საქმე მაქვს, მაგრამ სინიორა გრასინი აზვიადებს ჩემი საქმეების მნიშვნელობას, — ცივად უპასუხა მან, —უმეტეს შემთხვევაში ეს უმნიშვნელო საქმეებია.

— რას იზამ, იმაზე ცუდი არაფერი იქნებოდა, რომ ჩვენ იტა-

Scanned by CamScanner

ლიის ბედზე ტირილის მეტი არა გაგვეკეთებინა რა. მე ასე მეჩვენება, რომ ჩვენი დიასახლისისა და მისი მეუღლის საზოგადოება ქარაფშუტულ ხასიათზე დააყენებს ადამიანს. ეს აუცილებელია თავის დაცვის მიზნით. დიახ! დიახ! ვიცი, რისი თქმაც გსურთ. სრული ჭეშმარიტებაა! მაგრამ მათი უსუსური პატრიოტიზმი მხოლოდ სიცილს მგვრის. ოთახებში გინდათ შებრუნება?. რატომ? აქ ასეთი კარგია!

— არა, უნდა შევბრუნდე, ოჰ, ჩემი შარფი... გმადლობთ.

ვაჟმა აიღო მოსასხამი, რომელიც ქალს მხრებიდან გადმოვარდნოდა, გასწორდა და მიაცქერდა თავისი უმანკო, ცისფერი თვალებით, რომლებიც ნაკადულის პირას ამოსულ უვიწყარას მიაგავდა.

— ვიცი, მიწყრებით იმიტომ, რომ დავცინი ამ მდიდრულად პორთულ ტიკინას, — ჩაილაპარაკა მან მონანიების კილოთი, — განა შეიძლება არ დაცინო?

— რადგან მეკითხებით, გიპასუხებთ: ჩემი აზრით, სირცხვილია დაცინო და სამასხრო საგნად გახადო ადამიანი მხოლოდ იმიტომ, რომ ის გონებანათელი არაა... ეს იგივეა, რომ დაცინო კოჭლს, ანდა...

კაცს სუნთქვა შეუჩერდა და სახე ეცვალა, თითქოს ტკივილისაგან უკან დაიხია, დახედა თავის კოჭლ ფეხს და დამახინჯებულ ელს, მაგრამ წუთის შემდეგ სძლია გრძნობას და გადაიხარხარა:

— ვერ მოგიწონებთ შედარებას, სინიორა: ჩვენ, კოჭლები არ ვეჩრებით ყველგან მთელი ჩვენი სიმახინჯით, როგორც ეს ქალი თავისი სიბრიყვით. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მუდამ გვესმის, რომ უსწორმასწორო ზურგი ვერაფრით სჯობია უსწორმასწორო სიტყვას... აქ საფეხურია, დაეყრდენით ჩემს ხელს.

ჯემა ოთახისკენ მიდიოდა გაჩუმებული და გაოცებული იმ გულჩვილობით, რომელიც მან უეცრად გამოიჩინა.

როგორც კი ვაჟმა კარი გააღო და თავაზიანად გაუშვა წინ ქალი, ჯემამ მაშინვე შენიშნა, რომ მათი არყოფნის დროს იქ რაღაც არაჩვეულებრივი მომხდარიყო. მამაკაცების უმრავლესობას აღშფოთება და დაბნეულობა ემჩნეოდა; სახეაწითლებულ ქალებს თავი მოეყარათ დარბაზის ბოლოში და, როგორც ჩანდა, ცდილობდნენ ეჩვენებინათ, რომ დამშვიდებულნი იყვნენ. ოჯახის უფროსი დრო-

Scanned by CamScanner

დადრო ისწორებდა სათვალეს და ჩანდა, რომ სიანჩხლეს ძლივს იმაგრებდა, თუმცა შეუძლებელი იყო არ შეემჩნია ეს კაცს. კუთხეში კი თავი მოეყარათ ტურისტებს და დაცინვით იყურებოდნენ ლარბაზის მეორე მხრისაკენ. ალბათ სწორედ იქ ხდებოდა ის, რაც ასე ახალისებდა მათ და რაც ასე აბრაზებდა და შეურაცხყოფას აყენებდა სხვებს. ერთადერთი სინიორა გრასინი თითქოს არაფერს ამჩნევდა, კეკლუცად ათამაშებდა მარაოს და ელაზღანდარებოდა ჰოლანდიის საელჩოს მდივანს, რომელიც უსმენდა მას და მხიარულად იღიმებოდა.

ჯემა წუთით შეჩერდა კარებში და შეხედა კრაზანას. უნდოდა გაეგო, შეამჩნია თუ არა მან საერთო არევ-დარევა. მამაკაცის სახეზე მართლაც გამოკრთოდა ეშმაკური და საზეიმო გამომეტყველება, როცა პირველად შეხედა დიასახლისს, რომელმაც არაფერი იცოდა და ბედნიერად გრძნობდა თავს, შემდეგ კი გაიხედა დარბაზის ბოლოს, საიდანაც ტურისტები იყურებოდნენ; ჯემა ყველაფერს მიხვდა: კრაზანას თავისი საყვარელი მოეყვანა.

ბოშა ქალი სავარძელში იჯდა. მის გარშემო თავი მოეყარა ქარაფშუტა დარდიმანდების ჯგუფს და ოფიცრებს, რომლებიც ულიძოდნენ თავაზიანად და თან დაცინვით. ქალს ეცვა წითელ-ყვითელი აბრეშუმის ძვირფასი კაბა. ფლორენციის ლიტერატურულ სალონში ყველასაგან ირჩეოდა და უნებურად თვალში გეცემოდათ აღმოსავლური ღია ფერები და მრავალი ძვირფასი სამკაული. ის ბელუარებში და შოშიებში გარეულ ტროპიკულ ფრინველს მიაგავდა. ჩანდა, რომ არც თვითონ გრძნობდა თავს თავისუფლად და დაუფარავი სიძულვილით ავლებდა თვალს მისი აქ ყოფნით შეურაცხყოფილ ქალბატონებს. როგორც კი შეამჩნია რივარესი, რომელმაც ჯემასთან ერთად გაირა დარბაზში, წამოხტა და მივარდა მას.

— ბატონო რივარეს, მე ყველგან დაგეძებდით, — აჩქარებულად თქვა მან დამტვრეული ფრანგულით, — გრაფმა სალტიკოვძა მკითხა, ხომ არ მოხვალთ მასთან სახლში ხვალ საღამოთი, იქ ცეკვა იქნებაო.

— სამწუხაროდ, არ შემიძლია მისვლა. დრო რომ მქონდეს კიდეც, სულ ერთია, ცეკვა მაინც არ შემიძლია. სინიორა ბოლა, ნება მომეცით გაგაცნოთ ქალბატონი ზიტა რენი.

Scanned by CamScanner

ბოშა ქალმა მტრულად შეხედა ჯემას და ცივად დაუკრა თავი. მარტინიმ მართალი თქვა: ის უსათუოდ ლამაზი იყო, მაგრამ ეს სილამაზე იყო პირუტყვული და არა სულიერად გაბრწყინებული. შეუძლებელი იყო, კაცი არ მოხიბლულიყო მისი თავისუფალი და ჰარმონიული მოძრაობით, მაგრამ შუბლი ჰქონდა დაბალი და ვიწრო, თხელი ნესტოების ხაზებში კი რაღაც სიმკაცრე გამოსჭვიოდა: შეჭირვება, რომელსაც გრძნობდა ჯემა კრაზანასთან ყოფნის დროს, კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, როცა გამოჩნდა ბოშა ქალი. ჯემამ თითქოს მძიმე ტვირთი მოიშორა, როცა ერთი წუთის შემდეგ მასთან მივიდა ოჯახის უფროსი მამაკაცი და სთხოვა, დახმარებოდა, გაერთო სტუმრები, რომლებიც მეორე ოთახში იყვნენ.

* * * * * *

— აბა, მადონა, რას იტყვით კრაზანას შესახებ? — პკითხა ჯემას მარტინიმ, როდესაც ღამით ფლორენციაში დაბრუნდნენ, — აი, თავხედი! როგორ გაბედა სინიორა გრასინის ასე გაბიაბრუება!

— მოცეკვავეზე ბრძანებთ?

— რაღა თქმა უნდა! ეს მოცეკვავე სეზონის ვარსკვლავი იქნებაო, ასე არა თქვა? სინიორა გრასინი კი ყველაფერზე თანახმაა, ოღონდ თავი გამოიჩინოს.

— მართალია, ასეთი საქციელი ბევრს არაფერს ლაპარაკობს კარგს მასზე. სახლის პატრონებიც უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა და, ამას გარდა, არ დაინდო თვით ის ქალიც. დარწმუნებული ვარ, ძალზე ცუდად გრძნობდა თავს.

— თქვენ, მგონია, ელაპარაკებოდით? რა შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე?

— ო, ჩეზარე, მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რაც შეიძლება მალე მოვშორებოდი. არასოდეს არ შევხვედრივარ ასეთ სულიერად დამტანჯველ მოსაუბრეს. ათი წუთის საუბრის შემდეგ უკვე სისხლი საფეთქლებში მასხამდა. ის ხორცშესხმული დემონია.

— მეც ეგრე ვფიქრობდი, რომ არ მოგეწონებოდათ. მართალი გითხრათ, არც მე მომწონს. გველთევზასავით დასრიალებს, ძნელად დაენდობა კაცი.

Scanned by CamScanner

თავი მესამე

კრაზანამ იქირავა ბინა ქალაქგარეთ, რომის ალაყაფის კარის ახლოს. ამავე უბანში დაბინავდა ზიტა. კრაზანას ბინის მორთულობა მართალია არ იყო მდიდრული, მაგრამ ყოველ წვრილმანში მოჩანდა, რომ მას უყვარდა სილამაზე და ჰქონდა ნატიფი გემოვნება, რაც ძალიან აკვირვებდა გალის და რიკარდოს. იმ კაცისაგან, რომელმაც არა ერთი და ორი წელიწადი იცხოვრა მდინარე ამაზონის ნაპირებზე ველური ბუნების წიაღში, მეტ უბრალოებას მოელოდნენ. მათ აკვირვებდათ, რომ კრაზანას მშვენიერი საცვლები ჰქონდა, მრავალი ფეხსაცმელი და საწერ მაგიდაზე მუდამ ედგა ყვავილების თაიგული. მაგრამ საერთოდ შეხმატკბილებული იყვნენ მასთან, კრაზანა ყველას ალერსით და მეგობრულად ეგებებოდა, განსაკუთრებით კი მაძინის პარტიის ადგილობრივ წევრებს. მხოლოდ ჯემა ჰყავდა ათვალწუნებული, რაღაც არ მოეწონა პირველ შეხვედრისთანავე და ყოველნაირად გაურბოდა მასთან შეხვედრას. ერთი-ორჯერ სისასტიკეც გამოიჩინა მისდამი, რითაც ძალიან გადაიმტერა მარტინი. კრაზანას და მარტინის თავიდანვე არ მოეწონათ ერთმანეთი. მათი ხასიათები ისე განსხვავდებოდა ერთიმეორისაგან, სიძულვილის გარდა შეუძლებელი იყო მათ შორის სხვა გრძნობა არსებულიყო. მაგრამ ეს სიძულვილი მარტინის არსებაში მალე გადაიქცა აშკარა მტრობად.

— სულაც არ მაინტერესებს, ვუყვარვარ მას თუ არა, — გულმოსულად უთხრა მან ერთხელ ჯემას, — მე თვითონ არ მიყვარს ის. ასე რომ, ბარი ბარს ვართ. მაგრამ თქვენდამი დამოკიდებულება კი ვერ მიპატიებია მისთვის. ახსნა-განმარტებას მოვთხოვდი ამის გამო, მაგრამ ეს სკანდალი იქნება მთელი პარტიისათვის; ჩვენ თვითონ ვთხოვეთ ჩამოსულიყო და ამის შემდეგ როგორღა წავეჩხუბო!..

— თავი დაანებეთ, ჩეზარე. ჩემდამი მის დამოკიდებულებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს საქმისათვის. გარდა ამისა, მასზე ნაკლები დანაშაული არც მე მიმიძღვის.

— თქვენ რაში მიგიძღვით დანაშაული?

Scanned by CamScanner

— იმაში, რომ შემიძულა. უხეში სიტყვა წამომცდა, როცა პირველად შევხვდი გრასინის სახლში.

— თქვენ უთხარით უხეში სიტყვა? უკაცრავად, მადონა, მაგრამ მე ეგ არ მჯერა.

— ცხადია, უცაბედად წამომცდა და შემდეგ ბევრიც ვინანეს ამის გამო. ხეიბრების დაცინვა არ ვარგა-მეთქი ვთქვი, მან კი ეს თავის თავზე მიიღო. მე აზრადაც არ მომსვლია, ხეიბრად ჩაშეთვალა. ის არც ისე ძალიან დამახინჯებულია.

— რა თქმა უნდა. მხოლოდ ცალკ მხარი მეორეზე უფრო დაბალი აქვს და მარცხენა ხელიც საკმაოდ დასახიჩრებული. მაგრამ არც კუზიანია და არც ფეხმოქცეული. ცოტას მოიკოჭლებს, თუმცა ამაზე ლაპარაკიც არ ღირს...

— მახსოვს, მაშინ როგორ შეკრთა და გაფითრდა. ცხადია, მე უტაქტობა ჩავიდინე, მაგრამ მაინც საკვირველია, რომ მან ასე აბლო მიიტანა გულთან და მწარედ განიცადა. ალბათ ხშირად უტანჯია ასეთი დაცინვის გამო...

— უფრო ადვილია იმის წარმოდგენა, რომ თვითონ დაცინოდა სხვებს. მართალია, მშვენიერი მანერები აქვს, მაგრამ ბუნებით ძალიან უხეში ადამიანია. მე ის მეზიზღება.

— ეგ უკვე მეტისმეტია, ჩეზარე. არც მე მიყვარს, მაგრამ რა საჭიროა მის ნაკლოვანებათა გაზვიადება? მართალია, გამომწვევად უჭირავს თავი, რაც ჩვენ გვაბრაზებს, ისიც მართალია, რომ ყოველთვის ცდილობს იოხუნჯოს, გაუთავებელი ოხუნჯობის მოსმენა კი დამღლელია, მაგრამ არა მგონია, ამას რაიმე ცუდი აზრით აკეთებდეს.

— რა მიზანი აქვს, არ ვიცი, მაგრამ, როცა ადამიანი ყველაფერზე დაცინვით ლაპარაკობს, იქ რაღაც ბოროტი ამბავი იმალება. პირდაპირ ზიზღი ვიგრძენი, როცა ერთ კრებაზე ფაბრიციისთან რომის უკანასკნელ რეფორმებს[58] ეასხრად იგდებდა. ის ყველაფერში ცუდ მხარეს ხედავს.

ჯემამ ამოიოხრა.

— ვშიშობ, რომ ამ შემთხვევაში მე უფრო მისი მომხრე ვიქნები, ვიდრე თქვენი, — თქვა მან; — ყველა, ვისაც თქვენსავით ნაზი გული აქვს, ადვილად იხიბლება წარმტაცი ოცნებებით და მოლოდი-

Scanned by CamScanner

ნით. თქვენ გგონიათ, რომ ვინაიდან პაპის ადგილზე აირჩიეს კეთილი სურვილების მქონე და არც თუ ღრმად მოხუცი კაცი, ამიტომ ყველაფერს ადვილად მიაღწევთ. საკმარისია, მან გააღოს სატუსაღოს კარი და თავისი კურთხევა უბოძოს ყველას მარცხნივ და მარჯვნივ, რომ უკვე იფიქრებთ, სამი თვის შემდეგ ოქროს ხანა დადგებაო. თქვენ ალბათ ვერასოდეს ვერ გაიგებთ, რომ მას არ შეეძლო სამართლიანობა დაემყარებინა დედამიწაზე, კიდევაც რომ სდომოდა ეს. ამაშია დამნაშავე თვითონ საკითხის დაყენების პრინციპი და არა ის, თუ როგორ იქცევა ესა თუ ის ადამიანი.

— რა პრინციპი? პაპის სამოქალაქო ძალაუფლება?

— მარტო ეგ არა. ეგ მხოლოდ ნაწილია მთელი ბოროტებისა. ცუდია ის, რომ ერთ კაცს ეძლევა უფლება დასჯისაც და პატიებისაც. ეს გარემოება სიყალბეს ქმნის ადამიანთა შორის ურთიერთობაში.

მარტინიმ მუდარით გაშალა ხელები.

— შემიბრალეთ, მადონა! — თქვა მან ღიმილით. — ძალა არ შემწევს გავუძლო მაგ პარადოქსებს. დაგენაძლევებით, რომ თქვენი წინაპრები ლეველერები[59] იყვნენ! გარდა ამისა, თქვენთან სადავოდ კი არ მოვსულვარ. აი, ამ ხელნაწერის საჩვენებლად მოვედი.

მარტინიმ ამოიღო ჯიბიდან ხელნაწერის რამდენიმე ფურცელი.

— ახალი პამფლეტია?

— კიდევ ერთი სისულელე, რომელიც კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე წარმოადგინა იმ წყეულმა რივარესმა. ეჰ, მე წინასწარ ვგრძნობდი, რომ ჩვენსა და მას შორის მალე დაიწყებოდა აშკარა ჩხუბი.

— რა მოხდა ასეთი? უნდა გითხრათ, ჩეზარე, რომ თქვენ მეტისმეტად შეიძულეთ ის კაცი. შესაძლოა, რივარესი არასასიამოვნო ადამიანი იყოს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, სულელი არაა.

— მე არ უარვყოფ, რომ პამფლეტი ჭკვიანურად არის დაწერილი... მაგრამ უმჯობესია, თქვენ თვითონ წაიკითხოთ.

პამფლეტის ავტორი დასცინოდა იმ თავშეუკავებელ ენთუზიაზმს, რომლითაც იტალია ქება-დიდებას ასხამდა ახალ პაპს. დაწერილი იყო გესლიანად და დაუზოგავად, ისევე როგორც ყველაფერი, რასაც წერდა ხოლმე კრაზანა. და თუმცა ჯემას არ მოსწონდა პამფ-

Scanned by CamScanner

ლეტის კილო, სულის სიღრმეში მაინც არ შეეძლო არ დათანხმებოდა კრიტიკის სიმართლეს

— სავსებით გეთანხმებით, რომ ძალიან თავშეუკავებლად აოის დაწერილი, — თქვა მან და ხელნაწერი მაგიდაზე დადო, — მაგრამ ყველაზე ცუდი ისაა, რომ ყველაფერი, რაც აქ წერია, სიმართლეა.

— ჯემა!

— დიახ, ასეა! თუ გნებავთ, უწოდეთ ამ კაცს გველთევზა, მაგრამ სიმართლე მაინც მის მხარეზეა. ტყუილად ცდილობთ დაამტკიცოთ, რომ პამფლეტი არ აღწევს მიზანს: მერწმუნეთ, აღწევს.

— მაშ თქვენ იმასაც იტყვით, რომ საჭიროა მისი დაბეჭდვა?

— ეგ სულ სხვა საკითხია. მე, ცხადია, არ ვამბობ, რომ ამ სახით უნდა დავბეჭდოთ. ამით ის შეურაცხყოფას მიაყენებდა და ჩამოგვაშორებდა ყველას, სარგებლობას კი არავითარს არ მოგვიტანდა. მაგრამ რიეარესი რომ ცოტა გადააკეთებინეს მას, ამოშლიდეს იმ ადგილებს, რომელიც პირადი გრძნობითაა გამოწვეული, მაშინ, ეს მგონია, მართლაც მშვენიერი გამოვიდოდა. პამფლეტის პოლიტიკური ნაწილი საუცხოოა. სრულიად არ მოველოდი, რომ რივარესს ასე ემარჯვებოდა წერა. ის ამბობს სწორედ იმას, რაც საჭიროა ითქვას, მაგრამ ისეთ თქმასაც ვერ ბედავს ვერც ერთი ჩვენგანი. აი, მაგალითად, რა შესანიშნავად აოის დაწერილი ის ნაწილი, სადაც იტალიას ადარებს ლოთს, სიხარულის ცრემლებს რომ ღვრის იმ ქურდის მკერდზე, რომელიც ხელებს უფათურებს ჯიბეებში!

— ჯემა! ეს ხომ ყველაზე უარესი ადგილია მთელ პამფლეტში! მე ვერ ვიტან ყველაფრის და ყველას ასეთ უსაფუძვლო ლანძღვას.

— მეც ვერ ვიტან. მაგრამ საქმე ეგ არაა. რივარესს ძალიან არასასიამოვნო ტონი აქვს და თვითონაც არაა მიმზიდველი ადამიანი. მაგრამ როცა ამბობს, რომ ჩვენ ვაგვაბრუა საზეიმო პროცესიებმა, ძმურმა ამბორმა და სათნოებისაკენ და შერიგებისაკენ მოწოდებამ, და რომ ყველაფერ ამას იეზუიტები და სანფედისტები თავის სასარგებლოდ გამოიყენებენ, ამაში ის ათასწილ მართალია... მწყინს, რომ ვერ დავესწარი კომიტეტის გუშინდელ სხდომას. ბოლოს და ბოლოს რა გადაწყვიტეთ?

— სწორედ ამ საქმეზე მოვედი. კომიტეტმა დაადგინა გთხოვოთ

Scanned by CamScanner

თქვენ. წახვიდეთ რიგიანად და დააჯეროთ შეარბილოს პამფლეტი.

— მასთან წავიდე? მაგრამ მე მას თითქმის არ ვიცნობ. გაოცება ამისა. როგორ ვეხიზღები რატომ მაინც და მაინც მე უნდა მივიდე და არა სხვა ვინმე?

— იმიტომ, რომ დღეს არავის სცალია. ამის გარდა. თქვენ ყველა ჩვენგანზე უფრო გონიერი ხართ: თქვენ მას კიბკლობას და ჩხუბს არ დაუწყებთ.

— მაგისგან თავს შევიკავებ, რა თქმა უნდა. კეთილი, წავალ, მაგრამ გაფრთხილებთ: არა მაქვს იმედი, რომ მიზანს მივაღწევ.

— მე კი დარწმუნებული ვარ, თუ მოინდომებთ, კიდევაც შეაჯერებთ. ისიც უთხარით, რომ მთელი კომიტეტი აღტაცებულია მისი პამფლეტით, — მე მხედველობაში მაქვს მისი ლიტერატურული ღირსება. ამის გაგონება მას ესიამოვნება.

* * * * * *

კრაზანა იჯდა ყვავილებით მორთულ საწერ მაგიდასთან და დაბეჭერებოდა იატაკს. მუხლებზე ედო გადაშლილი წერილი. ბანჯგვლიანმა შავმა ძაღლმა, რომელიც ნოხზე იწვა ლის ფერხთით, თავი წამოყო და დაიღრინა, როცა ნახევრად გაღებულ კარზე ჯემამ დააკაკუნა. კრაზანა უცბად ადგა და ცივად დაუკრა თავი. მისი სახე უეცრად გაქვავდა და დაკარგა ყოველგვარი ეამომეტყველება.

— თქვენ მეტისმეტად თავაზიანი ბრძანდებით, — ცივად თქვა ქალმა. — საკმაო იყო ეცნობებინათ, რომ ჩემი ნახვა გსურდათ და აქვე წუთში მოვიდოდი თქვენთან.

ქალმა იგრძნო, რომ კრაზანას სურდა, უეცრად მოსული სტუმარი ქვესკნელს შთაენთქა და ამიტომ საჩქაროდ აუხსნა, საქმის გამო მოვედიო. კრაზანამ ისევ დაუკრა თავი და მისწია მისკენ სკამი.

— მე მოვედი თქვენთან კომიტეტის დავალებით, — დაიწყო ჯემამ, — კომიტეტის წევრებში გაჩნდა აზრთა სხვადასხვაობა თქვენი პამფლეტის შესახებ.

Scanned by CamScanner

— მე ამას მოველოდი. — კრაზანამ გაიღიმა, დაჯდა ქალის პირ-დაპირ და თავისკენ მისწია თაიგულიანი ლარნაკი, რათა სინათლი-საგან დაეფარა სახე.

— წევრების უმრავლესობა, მართალია, აღტაცებულია პამ-ფლეტით, როგორც ლიტერატურული ნაწარმოებით, მაგრამ იმ აზ-რისაა, რომ ამ სახით შეუძლებელია მისი დაბეჭდვა. ისინი შიშო-ბენ, რომ დაუზოგავი კილო შეურაცხყოფას მიაყენებს იმ ხალხს, რომელთა დახმარება ძალზე ესაჭიროება პარტიას.

კრაზანამ ლარნაკიდან ერთი ყვავილი ამოიღო და დაუწყო ფლეთა მის თეთრ ფურცლებს. ჯემა შემთხვევით დააცქერდა მისი მარჯვენა ხელის თითებს. ქალი შეიპყრო გაურკვეველი შიშის გრძნობამ: მოეჩვენა, რომ წინათ სადღაც უკვე ჰქონდა ნანახი ხელის ასეთი მოძრაობა ყვავილების ფურცლების მოწყვეტის დროს.

— როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, — თქვა კრაზანამ თავისი რბილი ხმით, მაგრამ ცივად, — ჩემი პამფლეტი არავითარ ღიღებულებას არ წარმოადგენს და ამ მხრით მითი აღტაცება შე-უძლიათ მხოლოდ პროფანებს ლიტერატურაში. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ ის შეურაცხყოფას იწვევს, ჩემი მიზანიც სწორედ ეს იყო.

— მესმის. მაგრამ საქმე ისაა, რომ თქვენი ისარი შეიძლება იქ მოხვდეს, საცა არაა საჭირო.

— მე მგონია, თქვენ ცდებით, — ჩაილაპარაკა კრაზანამ, — სა-კითხი ამგვარად დგას: რა მიზნით მომიწვია თქვენმა კომიტეტმა? როგორც მე მესმოდა, იმისათვის, რომ სააშკარაოზე გამომეყვანა და მასხრად ამეგდო იეზუიტები. მეც ვცდილობ, შეძლებისდაგვა-რად, შევასრულო ეს ჩემი ვალდებულება.

— დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ეჭვი არავის ეპარება თქვენს ნიჭსა და კეთილ ზრახვებში, მაგრამ კომიტეტი შიშობს, რომ თქვენი პამფლეტი შეურაცხყოფას მიაყენებს ლიბერალურ პარ-ტიას, რის გამოც დავკარგავთ მუშების მორალურ მხარდაჭერას. თქვენი პამფლეტი მიმართულია სანფედისტების წინააღმდეგ, მაგ-რამ მკითხველების უმრავლესობა იფიქრებს, რომ თქვენ მხედვე-

Scanned by CamScanner

ლობაში გყავთ პაპი და ეკლესია, ეს კი ტაქტიკური მოსაზრების გამო, კომიტეტს არასასურველად მიაჩნია.

კრაზანამ მხრები აიჩეჩა და ოდნავ უკბინა მოგლეჯილი ყვავილის ფურცელს.

— ახლა კი მესმის. სანამ მე ვილაშქრებ სამღვდელოების იმ წარმომადგენელთა წინააღმდეგ, რომლებთანაც პარტია ცუდ განწყობილებაშია, შემიძლია მთელი სიმართლე ვთქვა. მაგრამ როგორც კი შევეხები პარტიის საყვარელ მღვდლებს, ოჰ, მაშინ თურძე, „სიმართლე არის ის ძაღლი, რომელიც ჯაჭვებით უნდა იქნეს დაბმული“*. რა თქმა უნდა, მე უნდა დავემორჩილო კომიტეტის დადგენილებას, მაგრამ იმ აზრის ვარ, რომ ის მეტ ყურადღებას აქცევს წვრილმანებს და გამორჩა უმთავრესი: მ-მ-ონსინიორი[60] მ-მ-მონტანელი...

— მონტანელი? — გაიმეორა ჯემამ. — არ მესმის, რას ამბობთ, თქვენ ლაპარაკობთ ბრიზიგელის ეპისკოპოსის შესახებ?

— დიახ. ახალმა პაპმა, როგორც იცით, ის კარდინალად დანიშნა. ამას წინათ სწორედ მის შესახებ მივიღე წერილი. გნებავთ, წაგიკითხოთ? მწერს ერთი ჩემი მეგობარი, რომელიც საზღვარს იქით ცხოვრობს.

— რომელი საზღვრის? პაპის ოლქის?

— დიახ აი, რას მწერს:

„თ-თქვენ მალე ბ-ბედნიერება გერგებათ, პირისპირ შეხვდეთ ჩვენს ყველაზე უფრო ბორტ მტერს, კ-კ-კარდინალ ლორენცო მ-მონტანელის, ბრიზიგელის ეპისკოპოსს. მას...“

კრაზანამ შეწყვიტა კითხვა და სული მოითქვა. შემდეგ ნელა განაგრძო და ენაც აღარ ებმოდა:

— „მას განზრახული აქვს მომავალ თვეში ეწვიოს ტოსკანას. ჩავა იქ განსაკუთრებული დიდი მისიით, რათა „მორიგება“ მოახდინოს. ჯერ იქადაგებს ფლორენციაში, სადაც სამ კვირას დარჩება, შემდეგ სიენაში და პიზაში და, ბოლოს, პისტოიას[61] გავლით რომანიაში[62] დაბრუნდება. ის აშკარად მიემხრო საეკლესიო ლიბერალურ პარტიას და ამასთანავე პირადი მეგობარია პაპისა და კარდინალ

* მასხარას სიტყვები შექსპირის ტრაგედიიდან „მეფე ლირი“.

Scanned by CamScanner

ფერეტისა[63] პაპი გრიგოლის სიცოცხლეში მას არ სწყალობდნენ და ბარიყული ჰყავდათ შორს, სადღაც აპენინების მიყრუებულ ადგილს. ახლა კი ასე უეცრად ამაღლდა და წინ წამოსწიეს. არსებითად ის იეზუიტების დუდუკის ჰანგზე ცეკვავს, როგორც ყველა სანფედისტი, მისიაც, რომელიც მას აკისრია, იეზუიტთა მღვდლების ნაკარნახევია. ის არის კათოლიკური ეკლესიის ყველაზე ბრწყინვალე მქადაგებელი და არა ნაკლებ მავნებელია, ვიდრე ლამბრუჩინი. მისი ახლანდელი მიზანი არის—რაც შეიძლება გააცხანგრძლივოს ხალხის ენთუზიაზმი ახალი პაპის არჩევის გამო და ამრიგად ამაზე შეაჩეროს ხალხის ყურადღება, სანამ დიდი ჰერცოგი ხელს არ მოაწერს იმ დეკრეტს, რომელსაც იეზუიტების აგენტები ამზადებენ. რა შინაარსის არის ეს დეკრეტი, ამის გაგება ვერ შევძელი". შემდეგ ის წერს: „ნეტა თუ ესმის ძოლტანელის, რა მიზნით გზავნიან ტოსკანაში, თუ მხოლოდ საათამაში ტოკინად გაიხადეს იეზუიტებმა, არ ვიცი. ის ან ძალიან ჭკვიანი ვაიძვერაა, ან ნამდვილი ვირი. საკვირველია ერთი რამ: რამდენადაც ვიცი, არ იღებს ქრთამს და არ ჰყავს საყვარლები, ასეთები კი მღვდლებს შორის ჯერ არავინ მინახავს".

კრაზანამ დადო წერილი, ნახევრად თვალდახუჭული მიაცქერდა ჯემას და ელოდა, რას იტყოდა ის.

— დარწმუნებული ხართ, რომ თქვენმა კორესპონდენტმა სისწორით გადმოგცათ ფაქტები? — შეეკითხა ჯემა მცირე დუმილის შემდეგ.

— იმის შესახებ, რომ მონსინიორი მონტანელი უძრახველია თავის პირად ცხოვრებაში? არა, ჩემი კორესპონდენტი ხომ თვითონაც დარწმუნებული არაა, რომ ყველაფერი, რასაც მწერს, სიმართლეა. როგორც ალბათ თქვენც შენიშნეთ, ის ამბობს: „რამდენადაც ვიცი..."

— მე ამის შესახებ კი არ გეკითხებით, — გულცივად შეაწყვეტინა ჯემამ სიტყვა: — არამედ მისი მისიის შესახებ.

— დიახ, ამაში მე ჩემს კორესპონდენტს ვენდობი. ის ჩემი ძველი მეგობარია, ორმოცდასამ წელში ერთად ვმუშაობდით. ახლა კი ისეთი ადგილი უჭირავს, რომ საშუალება აქვს ამგვარი ამბები გაიგოს.

Scanned by CamScanner

— „ალბათ ვიღაც მოხელეა ვატიკანში“, — გაუელვა უცბად თავში ჯემას. — „აი, თურმე, რა კავშირი ჰქონია გაბმული! კაცმა რომ თქვას, ეს ამბავი მოულოდნელი არ იყო ჩემთვის“.

— ეს წერილი, რა თქმა უნდა, კერძო ხასიათისაა, — განაგრძო კრახანამ, — და თქვენ მიხვდებით, რომ ჩვენი კომიტეტის წევრების გარდა მისი შინაარსი არავინ არ უნდა იცოდეს.

— თავისთავად ცხადია. მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ პამფლეტს: შემიძლია თუ არა ვუთხრა კომიტეტს, რომ თანახმა ხართ ცვლილებები შეიტანოთ და ცოტა შეანელოთ კილო, ანდა...

— როგორ გგონიათ, სინიორა, განა ეს ცვლილება არ დაუკარგავს ძალას და, ამას გარდა, არ დაამახინჯებს „ლიტერატურული ნაწარმოების“ სილამაზეს?

— თქვენ მეკითხებით ჩემს პირად შეხედულებაზე, მე კი თქვენთან მოვედი კომიტეტის სახელით.

— შეიძლება ეგ პასუხი გაგიგოთ ასე, რომ თქვენი აზრი არ ეთანხმება კომიტეტისას? — მან შეინახა წერილი ჯიბეში, დაიხარა წინ და ქალს თვალებში მიაცქერდა ყურადღებით და მხიარულად, რამაც სრულიად შეცვალა მისი სახის იერი, — მაშ თქვენი აზრი როგორია?

— თუ თქვენ გაინტერესებთ ჩემი აზრი, მოგახსენებთ: მე არ ვეთანხმები უმრავლესობას არც პირველ და არც მეორე პუნქტში. ე სრულიადაც არა ვარ აღფრთოვანებული პამფლეტის ლიტერატურული ღირებულებით, მაგრამ სწორად მიმაჩნია იქ გაშუქებული ფაქტები და ტაქტიკური მხრით მიზანშეწონილად ვთვლი ასეთი პამფლეტის დაწერას.

— ესე იგი?

— სავსებით გეთანხმებით, რომ იტალია ლანდებს მისდევს და ყველა ეს აღფრთოვანება და ზეიმი მას გაუვალ ტბორში ჩაითრევს. ნე გამიხარდებოდა, ეს რომ ყოფილიყო ნათქვამი თამამად და ყველას გასაგონად, თუნდაც გვქონოდა იმის შიში, რომ გაგვირისხლდებოდა და ჩამოგვშორდებოდა ზოგიერთი ჩვენი მოკავშირე. მაგრამ მე ვარ წევრი ორგანიზაციისა, რომლის უმრავლესობა საწინააღმდეგო აზრისაა და არ შემიძლია თავზე მოვახვიო ჩემი პირადი შეხედულება. რა თქმა უნდა, მეც იმ აზრისა ვარ, რომ

Scanned by CamScanner

თუ საჭიროა ითქვას, უნდა ითქვას მიუკერძოებლად და დამშვიდებულად და არა იმ კილოთი, როგორიც თქვენ გაქვთ.

— მადროვეთ ერთ წუთს, სანამ ხელნაწერს გადავხედავდე.

კრაზანამ აიღო ხელნაწერი, გადაიკითხა თავიდან ბოლომდე და, როგორც სახეზე დაეტყო, უკმაყოფილო დარჩა.

— დიახ, თქვენ მართალი ხართ, პამფლეტი დაწერილია კაფეშანტანური ოხუნჯობის კილოთი და არა როგორც პოლიტიკური სატირა. მაგრამ რა ვქნათ? სერიოზული კილოთი რომ დავწერო, საზოგადოება ვერ გაიგებს, თუ ოხუნჯობა და მწარე სიტყვები არ იქნა, მოსაწყენად ჩათვლიან.

— თქვენ არა გგონიათ, რომ მწარე სიტყვებიც მოსაწყენი ხდება ხოლმე, როცა მეტისმეტად დიდი დოზით შემოგვთავაზებენ?

კაცმა გამსჭვალავი თვალით გადახედა და გადაიხარხარა:

— თქვენ, ქალბატონო, მე ვხედავ იმ საშინელი ხალხის კატეგორიას ეკუთვნით, რომლებიც ყოველთვის მართალნი არიან. მაგრამ თუ ვერ გავუძელი ცთუნებას და მხოლოდ კილვას ავყევი, მაშინ, ბოლოს და ბოლოს ისეთივე მომაბეზრებელი გავხდები, როგორიც სინიორა გრასინია. ო, რა უკეთესმართობაა! არა! ნუ იჭმუხნით სახეს! ვიცი, რომ გეზიზღებით და საქმეს ვუბრუნდები. მაშ მდგომარეობა ასეთია: თუ მე ამოვაგდე პამფლეტიდან ყველაფერი, რასაც კერძო ხასიათი აქვს, და დავტოვე უმთავრესი ნაწილი იმ სახით, როგორიც არის, კომიტეტი გამოთქვამს მწუხარებას, რომ ვერ იკისრებს პასუხისმგებლობას დაბეჭდოს ის. ხოლო თუ მე გავწირე პოლიტიკური სინამდვილე და ყველა ისარი პარტიის ცალკე მტრების წინააღმდეგ მივმართე, კომიტეტი ხოტბას შეასხამს ჩემს ნაწარმოებს, მე და თქვენ კი გვეცოდინება, რომ არ ღირს მისი დაბეჭდვა. აი, თქვენს წინაშეა წმინდა მეტაფიზიკური ამოცანა. რა აჯობებს: დაიბეჭდოს, როცა ის ამის ღირსი არ იქნება, თუ დარჩეს დაფარულად, როცა ის სავსებით იქნება გამოქვეყნების ღირსი? რას მეტყვით ამაზე, სინიორა?

— არა მგონია, რომ თქვენთვის აუცილებელი იყოს ასეთი არჩევანი. დარწმუნებული ვარ, თუ თქვენ ამოშლით კერძო პიროვნებებს, კომიტეტი თანახმა იქნება დაბეჭდოს პამფლეტი, თუმცა, რა-

Scanned by CamScanner

საკვირველია, მოწინააღმდეგეებიც გეყოლებათ. და მე მგონია, რომ ის მოიტანს სარგებლობას. მაგრამ უნდა შეანელოთ თავდაუჭერელი კილო. თუკი მკითხველს ასეთ აბს მივაწვდით, მაშინ ნუ დავაშინებთ მაინც თავიდანვე ფორმის სიმკაცრით.

კრაზანამ მხრები აიჩეჩა და მორჩილებით ამოიოხრა:

— გემორჩილებით, სინიორა, მაგრამ ერთის პირობით: რადგან თქვენ უფლებას მართმევთ დავცინო ახლა, ეს უფლება ახლო მომავალში უნდა მომანიჭოთ, როდესაც მისი უწმინდესობა, უცოდველი კარდინალი ფლორენციაში გამოჩნდება. მაშინ არც თქვენ და არც თქვენმა კომიტეტმა არ უნდა შემიშალოს ხელი დავცინო ისე, როგორც მე მოვისურვებ. ამაში თქვენ უნდა დამითმოთ.

ის ლაპარაკობდა დაუდევარი, ცივი კილოთი, გლეჯდა ყვავილებს ლარნაკიდან და სინათლეზე ათვალიერებდა გამჭვირვალე ფურცლებს.

„როგორ უკანკალებს ხელი!“ — გაიფიქრა ჯემამ, როცა ხედავდა, როგორ თრთოდნენ ყვავილის ფურცლები. — „ნეტა, ლოთი ხომ არ არის!“

— თქვენთვის უმჯობესია, მოელაპარაკოთ ამის შესახებ კომიტეტის სხვა წევრებს, — უთხრა ჯემამ და წამოდგა, — მე არ შემიძლია წინასწარ მოგახსენოთ, რა აზრის იქნებიან ისინი.

— თქვენ რომ ყოფილიყავით, როგორ გადაწყვეტდით?—ჰკითხა კრაზანამ და თვითონაც წამოდგა. ახლა ის იდგა მაგიდას მიყრდნობილი და ყვავილებით იფარავდა სახეს.

ჯემა ყოყმანობდა. კრაზანას კითხვამ მასში წარსულის მძიმე მოგონებანი გამოიწვია.

— ჩემთვის ძნელია ამის გადაწყვეტა, — თქვა მან ბოლოს, — მრავალი წლის წინათ, არა ერთხელ მსმენია სინიორ მონტანელის შესახებ. ის მაშინ მხოლოდ კანონიკი და სემინარიის რექტორი იყო იმ ქალაქში, სადაც ბავშვობისას ვცხოვრობდი. მე ბევრი რამ მიამბო მის შესახებ ერთმა... კაცმა, რომელიც მას ძალიან ახლოს იცნობდა. და მიამბობდა ხოლმე მხოლოდ კარგს. მე მგონია, რომ მონტანელი ყოველ შემთხვევაში, მართლაც სამაგალითო ადამიანი იყო. მაგრამ მას აქეთ დიდმა ხანმა განვლო და ამ დროში შესაძლოა გამოცვლილიყო. უკონტროლო ძალაუფლება აუ ათახსირებს კაცს!

Scanned by CamScanner

კრაზანამ თავი ასწია, პირდაპირ თვალებში შეხედა ჯემას და უთხრა:

— ყოველ შემთხვევაში, — თქვა კრაზანამ, — თუ მონსიენიორ მონტანელი თავისთავად არ არის არამზადა, ის იარაღია არამზადების ხელში. მაგრამ ჩემთვის და საზღვარგარეთ მყოფ მეგობრებისათვის ეს სულ ერთია; შუაგზაზე დაგდებულ ქვასაც შესაძლოა კეთილი განზრახვები ჰქონდეს, მაგრამ მისი აღება მაინც საჭიროა.. ნება მომეცით, სინიორა...

კრაზანამ დარეკა, კოჭლობით მიეიდა კართან და გააღო.

— თქვენ ძალიან კეთილი ხართ, სინიორა, რომ მოხვედით ჩემთან. მოვაყვანინო ეტლი? არა? მაშ ნახვამდის... ბიანკა, გააცილეთ, თუ შეიძლება, სინიორა.

ჯემა გამოვიდა ქუჩაში მწვავე ფიქრებში გართული.

„ჩემი მეგობრები საზღვაგარეთ"... ვინ არიან ისინი? და რა საშუალებებით სურს მას ქვა მოიცილოს გზიდან? თუ მხოლოდ სატირით, მაშინ რატომ იფეთქა ასეთი მუქარით მისმა თვალებმა?"

თავი მეოთხე

მონსინიორ მონტანელი ფლორენციაში ჩავიდა ოქტომბრის პირველ რიცხვებში. მისმა ჩამოსვლამ დიდი მღელვარება გამოიწვია ქალაქში. მას კარვი მქადაგებლის სახელი ჰქონდა გავარდნილი, და გადახალისებული სამღვდელოების წარმომადგენელიც იყო. ხალხი მოუთმენლად ელოდა მისგან გაეგონა ახალი მოძღვრება — სიყვარულის და შეიგების სახარება, რომელსაც იტალია ყველა სატკივრისაგან უნდა განეკურნა. ყველას მიერ საძულველ ლაბრუჩიხის ნაცვლად კარდინალ გიცის რომის სახელმწიფო ადგილად დანიშვნამ საერთო ენთუზიაზმი გამოიწვია. მონტანელიც სწორედ ის აროვნება იყო, რომელსაც შეეძლო ეს საერთო სიხარული გაეგრძელებინა. მისი უძრახველი ცხოვრება იმდენად იშვიათი მოვლენა იყო რომის ეკლესიის უმაღლეს წარმომადგენელთა

Scanned by CamScanner

შორის, რომ უკვე ეს მოვლენა თავისთავად თანაგრძნობას უპოვებდა ხალხში, რომელიც მიჩვეული იყო იმ აზრს, რომ მღვდლის კარიერისათვის აუცილებელი პირობებია დატყუება, მოქრთამვა და უსინდისო ინტრიგებიო. ამასთანავე, მონტანელი დაჯილდოებული იყო მქადაგებლის იშვიათი ნიჭით, მომხიბლავი ხმით და მიმზიდველი გარეგნობით. ყველაფერი ეს ხელს უწყობდა მის წარმატებებს.

ამ თვისებების წყალობით მას ყოველთვის შეეძლო დიდი გამარჯვება მოეპოვებინა.

გრასინი, როგორც ყოველთვის, ახლაც ყოველნაირად ცდილობდა, ეს ახალი სახელგანთქმული პიროვნებაც თავის სტუმართა შორის ეხილა. მაგრამ მისი შემოტყუება არც ისე ადვილი საქმე გამოდგა, — ყველა მოწვევაზე თავაზიანად მაგრამ მტკიცე უარით უპასუხა. ხან უდროობას მოიმიზეზებდა, ხან ჯანმრთელობის სისუსტეს.

— ცოლ-ქმარი გრასინი ნამდვილი ყველაფრის მჭამელი ცხოველები არიან! — უთხრა ერთხელ მარტინიმ ჯემას, როცა ერთ გრილ კვირა დილას მასთან ერთად სინიორიის მოედანზე გადადიოდა, — შეამჩნიეთ თუ არა, როგორ დაუკრეს თავი კარდინალს, როცა ის ეტლით მოვიდა? მათთვის სულ ერთია, ვინ იქნება ის ადამიანი, ოღონდ კი სახელმოხვეჭილი იყოს. ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს გაძოჩენილ ხალხზე ასეთი უშიშარი მონადირენი. ამას წინათ, აგვისტოში — კრაზანა, ახლა კი — მონტანელი. იმედი მაქვს, მისი უწმინდესობა კმაყოფილია ასეთი ყურადღების გამო. მასთან ერთად კმაყოფილია ალბათ სხვა მრავალი ავანტიურისტიც.

მარტინი და ჯემა მოდიოდნენ ტაძრიდან, სადაც იმ დღეს მონტანელიმ ქადაგება წარმოთქვა. დიდი შენობა ისე იყო სავსე სახელგანთქმული მქადაგებლის მოსასმენად მოზღვავებული ხალხით, რომ მარტინის შეეშინდა ჯემას თავი არ ასტკივდესო და დააჯერა წირვის გათავებამდე წამოსულიყვნენ. ძთელი კვირის განმავლობაში გადაულებელი წვიმის შემდეგ ეს იყო პირველი მზიანი დღე და მარტინიმ შესთვაზა ჯემას გაესეირნათ სან-ნიკოლოს ფერდობზე, რომელიც ბალებით იყო დაფარული.

— არა, — უთხრა ჯემამ, — თუ თქვენ დრო გაქვთ, სიამოვნებით

Scanned by CamScanner

გავისეირნებ მხოლოდ ლუნგ-არნოში: ეკლესიიდან გამოსვლისას იქ გაივლის მონტანელი და მე, გრასინის არ იყოს, იმ სახელგანთქ. მული კაცის შეხედვა მომინდა.

— ახლახან არ უყურებდით მას!

— სამწუხაროდ, შორიდან. ტაძარში ისეთი ჭყლეტა იყო, რომ... ხოლო როცა ეტლით მიდიოდა, მხოლოდ ზურგი დავინახე. ხიდთან ახლოს თუ დავდგებით, დარწმუნებული ვარ, კარგად დავინახავთ მას...

— საიდან დაგებადათ ასეთი უცნაური სურვილი — შეხედოთ მონტანელის? თქვენ წინათ არასოდეს არ გაინტერესებდათ სახელგანთქმული მქადაგებლები.

— მე ახლაც მაინტერესებს არა როგორც მქადაგებელი, არამედ როგორც ადამიანი. მინდა ვიცოდე, ძალიან გამოიცვალა თუ არა მას შემდეგ, რაც უკანასკნელად ვნახე.

— როდის ნახეთ?

— არტურის სიკვდილის ორი დღის შემდეგ.

მარტინიმ შეშფოთებით შეხედა. ისინი ახლა ლუნგ-არნოსთან იყვნენ მისული და ჯემა დაბნეულად დაჰყურებდა წყალს ისეთი ნაღვლიანი თვალებით, რომელიც მარტინის ყოველთვის აშინებდა.

— ძვირფასო ჯემა, — უთხრა მან, — ნუთუ არასოდეს არ მისცემთ დავიწყებას ამ სამწუხარო მოგონებას? ჩვიდმეტი წლის ასაკში ვის არ ჩაუდენია შეცდომა?

— მაგრამ ჩვიდმეტი წლის ასაკში ყველას კი არ მოუკლავს თავისი საუკეთესო მეგობარი, — დაღლილი ხმით უპასუხა ჯემამ და ხიდის ქვიან მოაჯირზე დაეყრდნო. მარტინი დუმდა: მას ყოველთვის შიში იპყრობდა და ლაპარაკს ვერ ბედავდა, როცა ჯემა ასეთ ცუდ გუნებაზე იყო.

— როგორც კი წყალს დავინახავ, მაშინვე ის მაგონდება, — განაგრძობდა ჯემა და თანდათან აშორებდა თვალს წყალს, შემდეგ კი ნერვიული ცახცახით დაუმატა, — წავიდეთ, ჩეზარე, შემცივდა.

მათ ხმაამოუღებლად გადაიარეს ხიდი და გაჰყვნენ წყლის ნაპირს. რამდენიმე წუთის შემდეგ ჯემა ისევ ალაპარაკდა:

— რა მომხიბლავი ხმა აქვს ამ კაცს! მასში არის რაღაც ისეთი, რაც არ შემინიშნავს არც ერთი ადამიანის ხმაში. მე მგონია, რომ

Scanned by CamScanner

სანახევროდ აქაც იმალება მისდამი ასეთი თაყვანისცემის საიდუმლო.

— მართლაც შესანიშნავი ხმა აქვს, — მაშინვე დაეთანხმა მარტინი და ისარგებლა ამ ახალი თემით, რათა გაეთავისუფლებინა ქალის ფიქრები იმ საშინელ მოგონებებისაგან, რომლებიც მდინარის დანახვამ გამოიწვია, — ამასთანავე, ყველაზე უკეთესი მქადაგებელია, რომლისთვისაც კი ოდესმე მომისმენია. მაგრამ, მე მგონია, მისი მიმზიდველობის საიდუმლოება აქ კი არ იმარხება, არამედ უფრო ღრმაა: ეს არის მისი წმინდა ცხოვრება, რაიც ასე ანსხვავებს მონტანელის ეკლესიის სხვა წარჩინებული პირებისაგან. ძნელი მოსაძებნი იქნება მთელ იტალიაში, თვით პაპის გარდა, ასეთი უმწიკვლო რეპუტაციის ადამიანი. მახსოვს, შარშან რომანიაში რომ გავემგზავრე, მის ეპარქიაში ყოფნა მომიხდა და მე ვნახე წვიმიან ამინდში გარეთ როგორ უცდიდნენ კუშტი მთიელები მის გამოჩენას — ეტლით გამოივლის და თვალს მაინც მოვკრავთ, ანდა იქნებ მის ტანსაცმელს შეეეხოთო. მთიელებს ის თითქმის წმინდანად მიაჩნიათ, ეს კი ბევრს ნიშნავს: რომანიაში ხომ საერთოდ ეზიზღებათ ყველა, ვინც ანაფორას ატარებს. მე ერთხელ ვუთხარი ერთ მოხუც გლეხს, როგორც ვხედავ, ხალხს ძალიან უყვარს-მეთქი თავისი ეპისკოპოსი, რაზედაც მან მიპასუხა: „ჩვენ არ გვიყვარს მღვდლები, ისინი მატყუარები არიან, მაგრამ მონსინიორ მონტანელი გვიყვარს. არავის გაუგონია, რომ მას ტყუილი ეთქვას და ან უსამართლოდ მოქცეოდეს ვინმეს“.

— საინტერესოა ვიცოდე, — თქვა ჯემამ უფრო თავისთვის, ვიდრე მარტინის გასაგონად,—იცის თუ არა მონტანელიმ, რა აზრისაა მასზე ხალხი?

— ალბათ იცის. რასაც მასზე ფიქრობენ, ხომ ყველაფერი სიმართლეა.

— არა, სიცრუეა!

— საიდან იცით?

— თვითონ მითხრა.

— თვითონ მან? მონტანელიმ? რა გინდათ თქვათ ამით. ჯემა?

ჯემამ თმა გადაიწია შუბლიდან და მარტინის მიუბრუნდა.

Scanned by CamScanner

ისინი ისევ მდინარესთან იდგნენ; მარტინი მოაჯირს დაეყრდნო, ჯემა კი თავისი ქოლგით ნელა ხაზავდა ქვაზე.

— ჩეზარე, მე და თქვენ დიდი ხნის მეგობრები ვართ, მაგრამ არასოდეს არ მიამბნია ყველაფერი, რაც არტურს შეემთხვა.

— ნურც მიამბობთ, ძვირფასო, — საჩქაროდ შეაჩერა მარტინიმ. — მე ისედაც ვიცი ყველაფერი.

— ჯიოვანიმ გიამბოთ?

— დიახ, სიკვდილის წინ, — ერთ-ერთ ღამეს, როცა მის გვერდით ვიჯექი. ისიც მითხრა, რომ... ჯემა, ძვირფასო, რაკი ამაზე სიტყვა ჩამოვაგდეთ, ბარემ მთელ სიმართლეს გეტყვით... ჯიოვანიმ მითხრა, რომ თქვენ გამუდმებით გტანჯავთ იმ უბედური შემთხვევის მოგონება და მთხოვა, გაგიწიოთ მეგობრობა და შევეცადო, გაგიფანტოთ ამაზე ფიქრი. და მეც ვაკეთებდი ყველაფერს, რაც შემეძლო, მაგრამ ვხედავ, ჩემი ცდა უშედეგოდ დამთავრდა.

— მე ვიცი ეგ, — უპასუხა ჯემამ და თვალები მიაპყრო, — ცუდად წავიდოდა ჩემი საქმე, თქვენ რომ ჩემთვის მეგობრობა არ გაგეწიათ. მონსინიორ მონტანელის შესახებ კი არაფერი უთქვამს თქვენთვის?

— არა, მაშინ ფიქრადაც არ მომსვლია, რომ მონტანელის რაიმე კავშირი ჰქონდა იმ ამბავთან. ჯიოვანიმ მიამბო მხოლოდ გამცემლობის შესახებ და...

— და აგრეთვე ის, რომ მე გავარტყი არტურს და მან თავი დაიხრჩო? კეთილი; მაშ მე ახლა მონტანელის შესახებ გიამბობთ.

ისინი მოტრიალდნენ ხიდისკენ, რომელზედაც მალე ეტლით უნდა გამოევლო კარდინალს.

ჯემამ დაიწყო ლაპარაკი და წყალს თვალს არ აშორებდა.

— მონტანელი მაშინ კანონიკი და სემინარიის რექტორი იყო პიზაში. ის არტურს ფილოსოფიას ასწავლიდა, ხოლო როდესაც არტური უნივერსიტეტში შევიდა, ხშირად წიგნებს კითხულობდნენ ხოლმე ერთად. მათ ძალიან უყვარდათ ერთმანეთი და შეყვარებულთ უფრო მოაგავდნენ, ვიდრე მასწავლებელს და მოსწავლეს. არტური აღმერთებდა იმ მიწას, რომლეზედაც მიაბიჯებდა მონტანელი, და მე მახსოვს, როგორ თქვა ერთხელ: წყალში თავს დავიხრჩობ, თუ ჩემი პადრე დავკარგეო. ის მუდამ ასე ეძახდა მონტანე-

Scanned by CamScanner

ლის. შემდეგ კი, თქვენ იცით, რა მოხდა ჯაშუშის წყალობით... მეორე დღეს მამაჩემმა და ბერტონებმა, არტურის გერმა ძმებმა, საზიზღარმა ადამიანებმა, დილიდან საღამომდე დაჰყვეს მდინარეზე და თვალყურს ადევნებდნენ გვამის მძებნელთა მუშაობას, მე კი მარტო ვიყავი ოთახში და ვფიქრობდი იმაზე, თუ რა ჩავიდინე.

ჯემა შეჩერდა რამდენიმე წამით და მერე ისევ განაგრძო:

— გვიან საღამოთი, მამა შემოვიდა ჩემთან და მითხრა: „ჯემა, ძვირფასო, ჩადი ძირს; ვიღაც კაცი მოვიდა, შენი ნახვა უნდა". ჩვენ ჩავედით მისაღებ ოთახში. იქ იჯდა სტუდენტი, ჩვენი ჯგუფის ერთი წევრთაგანი. ფერმკრთალი და აკანკალებული მომიყვა, რომ ჯიოვანის ციხიდან მეორე წერილი გამოეგზავნა, რომლითაც იუწყებოდა, რომ, როგორც ერთი ზედამხედველისაგან გაიგეს, არტური მახეში გაება აღსარების დროს, და რომ ის გასცა კარდიმ, მახსოვს, სტუდენტმა მითხრა: ერთადერთი ნუგეში ახლა ის არის, რომ ჩვენ ვიცით, არტური დამნაშავე არ არისო. მამამ ხელი მომკიდა და ცდილობდა დავემშვიდებინე. მან არ იცოდა მაშინ, რა მქონდა ჩადენილი. მე დავბრუნდი ჩემს ოთახში, მთელ ღამეს სკამზე ვიჯექი და თვალი არ მომიხუჭავს. დილით მამა და ბერტონები ისევ გაემგზავრნენ მდინარისაკენ. მათ კიდევ ჰქონდათ გვამის პოვნის იმედი.

— ბოლოს მაინც ხომ ვერ იპოვეს?

— ვერ იპოვეს. მდინარემ ალბათ ზღვაში წაიღო. მე მარტო ვიყავი. მოვიდა მოსამსახურე გოგო და მითხრა, ახლა შემოვიდა ვიღაც სასულიერო პირი და როცა გაიგო, მამა შინ არ იყო, წავიდაო. მივხვდი, რომ ეს იყო მონტანელი. გამოვვარდი, ჩავირბინე კიბე და დავეწიე ბაღის ჭიშკართან. როდესაც ვუთხარი: მამაო მონტანელი, თქვენთან ლაპარაკი მინდა-მეთქი, ის იმავე წუთში შეჩერდა და მოთმინებით იცდიდა, რას ვეტყოდი. ეჰ, ჩეზარე, რომ გენახათ მაშინ მისი სახე! ეს სახე თვალწინ მეხატებოდა მას შემდეგ რამდენიმე თვის განმავლობაში! ვუთხარი: მე დოქტორ უორენის ასული ვარ... მე მოვკალი არტური-მეთქი და ვუამბე ყველაფერი, როგორც იყო. ის კი იდგა უძრავად, თითქოს ქვისგან ყოფილიყოს გამოკვეთილი და მისმენდა. როდესაც დავასრულე, მითხრა: „დამშვიდდით, ჩემო შვილო: თქვენ კი არა, მე ვარ მკვლელი. მე ვატყუებდი მას და ბოლოს შეიტყო ამის შესახებ". ის სწრაფად

Scanned by CamScanner

მოტრიალდა და ისე გავიდა ჭიშკრიდან, რომ მეტი არაფერი უთქვამს.

— შემდეგ?

— არ ვიცი, რა დაემართა შემდეგ. მხოლოდ იმ საღამოს მონტანელი გულწასული ენახათ ქუჩაში ნავსადგურის მახლობლად და რომელიღაც სახლში შეეტანათ. მეტი არაფერი ვიცი. მამაჩემი ყოველნაირად ეცადა, რომ დავმშვიდებულიყავი. როდესაც მამას ყველაფერი ვუამბე, მაშინვე დაანება თავი თავის სამუშაოს და წამიყვანა ინგლისში, სადაც არაფერი გამახსენებდა წარსულს. მამას ეშინოდა, მეც არ მომეკლა თავი. მე კი, მგონი, მართლაც ვაპირებდი თავის მოკვლას. შემდეგ, როგორც იცით გამოირკვა, რომ მამაჩემი ავად იყო კიბოთი და მეც ძალა მოვიკრიბე, ჩემს მეტი ხომ არავინ ჰყავდა მომვლელი. მისი სიკვდილის შემდეგ ობლად დარჩენილი ბავშვები ჩემი საპატრონო იყვნენ, სანამ ჩემს უფროს ძმას საშუალება არ მიეცა თავის სახლში წაეყვანა ისინი. ამის შემდეგ ჩამოვიდა ჯიოვანი. პირველ ხანებში ჩვენ ერთმანეთთან შეხვედრის გვეშინოდა. ის საშინელი მოგონება იდგა ჩემსა და მას შორის. ჯიოვანი ძალიან წუხდა, რომ ისიც გარეული იყო ამ საქმეში — აკი მან გამოგზავნა ციხიდან ის საბედისწერო წერილი, მაგრამ, ვფიქრობ, სწორედ იმ საერთო მწუხარებამ დაგვაახლოვა მე და ის.

მარტინიმ გაიღიმა და თავი ჩააქნია:

— იქნებ თქვენთვის მართლაც ასე იყო. მაგრამ ის კი პირველ შეხვედრისთანავე მოიხიბლა თქვენით. მახსოვს, როგორ დაბრუნდა მილანში ლივორნოდან. სულ თქვენზე ბოდავდა, იმდენს ლაპარაკობდა ინგლისელ ქალ ჯემაზე, რომ კინაღამ გული გამიწყალა. მე მეგონა, შემძულდებოდით. აი, აგერ კარდინალიც!

ეტლმა გადაიარა ხიდი და გაჩერდა ერთი დიდი სახლის წინ სანაპიროზე. მონტანელი იჯდა ეტლში ბალიშებზე მიწოლილი. ჩანდა, ძალიან დაღლილი იყო და ვერ ამჩნევდა აღფრთოვანებულ ბრბოს, რომელიც მისი სახლის წინ მოგროვილიყო, რათა თვალის მოკვრით მაინც დაენახათ ის. შთაგონება, რომლითაც მისი სახე ტაძარში ბრწყინავდა, სრულიად გამქრალიყო და ახლა მზის კაშკაშა სინათლეზე დაღლილობა და სევდაღა ემჩნეოდა. როდესაც ეტლიდან გადმოვიდა და მოხუცის მძიმე ნაბიჯებით შევიდა სახლში, ჯემა

Scanned by CamScanner

მოტრიალდა და ნელა წავიდა ხიდისაკენ. რამდენიმე წუთის განმავლობაში მისი სახე თითქოს ისეთივე გახდა, როგორც იმ მოხუცისა, რომლის თვალებში ნათელი ჩამქრალიყო.

მარტინი ხმაამოუღებლად მიჰყვებოდა გვერდით.

— ხშირად დავფიქრებულვარ, — დაილაპარაკა ისევ ჯემამ, — თუ რით შეეძლო მას არტურის მოტყუება? და ხანდახან მებადებოდა აზრი... შეიძლება თქვენ ეს გაიკვირვოთ... მაგრამ მათ შორის საკვირველი მსგავსებაა...

— ვის შორის?

— არტურსა და მონტანელის შორის. ამას მარტო მე კი არ ვამჩნევდი. გარდა ამისა, არსებობდა რაღაც საიდუმლოება არტურის ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულებაში. მისის ბერტონი, არტურის დედა, ისეთი მიმზიდველი ქალი იყო, რომ მისი მსგავსი ერსად მინახავს. ისეთივე ზეშთაგონებული სახე ჰქონდა, როგორც არტურს და ხასიათითაც ჰგავდნენ ერთმანეთს. მაგრამ ის ქალი ყოველთვის შეშინებულს და თითქოს გამტყუნებულ დამნაშავესაც ჰგავდა. მისი გერის ცოლი ისე ეპყრობოდა, როგორც პატიოსანი კაცი ძაღლსაც კი არ მოეპყრობა. თვითონ არტურიც ხომ სრულიად არ ჰგავდა ყველა იმ ვულგარულ ბერტონებს... ბავშვობაში, ცხადია, ხშირად ანგარიშს არ აძლევ შენს თავს იმაში, რასაც თვალყურს ადევნებ. შემდეგ, როდესაც ხსოვნაში განვაახლე წარსული, ხშირად მებადებოდა აზრი, რომ არტური — ბერტონი არ არის.

— შესაძლოა, მან გაიგო რამე თავის დედის შესახებ. ნამდვილად ეგ იყო მისი სიკვდილის მიზეზი. კარდის გამცემლობა კი აქ არაფერ შუაშია, — ჩაურთო მარტინმა, რომელიც ფიქრობდა, რომ ჯემა დაფიქრდებოდა ამ სიტყვებზე და სატანჯველი შეუმსუბუქდებოდა.

მაგრამ ჯემამ თავი გააქნია.

— თქვენ რომ გენახათ, ჩეზარზე, რა გამომეტყველება ჰქონდა, როცა გავარტყი, მაგას არ იტყოდით. ეჭვები მონტანელის შესახებ იქნებ არც არის სიმართლეს მოკლებული... მაგრამ ის, რაც მე ჩავიდინე, ჩემს დანაშაულად მიმაჩნია.

რამდენიმე წუთს ისინი მდუმარედ მიაბიჯებდნენ.

— ძვირფასო ჯემა, — დაილაპარაკა ბოლოს მარტინმა, — ქვეყანაზე არ არსებობის ისეთი საშუალება, რომ ადამიანმა შეცვალოს

Scanned by CamScanner

ის, რაც ერთხელ ჩაიდინა და ამიტომ არ ღირს ფიქრი ძველი დანაშაულის შესახებ; და რაკი აღარ შეიძლება მისი გამოსწორება, დაე მკვდრებმა დაიტირონ მკვდრები, არ უარვყოფ, სამწუხარო ამბავია. მაგრამ ის საწყალი ჭაბუკი, ჩემი აზრით, მაინც უფრო ბედნიერია, ვიდრე მრავალი ცოცხლად დარჩენილი, რომლებიც ციხეებში სხედან და ან უცხოეთში გადაიხვეწნენ. აი, ვისზე უნდა ვფიქრობდეთ მე და თქვენ. ჩვენ უფლება არა გვაქვს მხოლოდ მკვდრებზე ვიფიქროთ. გაიხსენეთ, რას ამბობს თქვენი საყვარელი პოეტი შელი:[64] „წარსული სიკვდილს ეკუთვნის, შენ კი — მომავალი". ისწრაფეთ მისკენ, სანამ ის კიდევ თქვენია, ნულარ იფიქრებთ იმის შესახებ, რაც წინათ ცუდი ჩაგიდენიათ, იფიქრეთ იმ სიკეთის შესახებ, რომლის გაკეთება მომავლში თქვენ კიდევ შეგიძლიათ.

მათ გაიარეს რამდენიმე ნაბიჯი ისე, რომ სიტყვა არ დაუძრავთ, მარტინის მთელი თავისი არსებით სურდა ენუგეშებინა ქალი, და ხელი მოჰკიდა, მაგრამ იმავე წუთში გაუშვა, რადგან უკანიდან მას მოესმა ცივი, კრუტუნა ხმა:

— მონსინიორ მონტან-ნ-ნელის, პატივცემულო დოქტორო. უეჭველად აქვს ყველა ის კარგი თვისება, რომლის შესახებ თქვენ ახლა ლაპარაკობდით. ის ზედმეტად კარგიცაა ამ ჩვენი ცოდვილი დედამიწისათვის და საჭირო არის ზრდილობით გადავაბრძანოთ მეორეში. დარწმუნებული ვარ, იქაც ისეთსავე სენსაციას მოახდენდა, როგორსაც აქ ახდენს. იქ ალბათ, ბევრია ისეთი სული, რომელთაც ჯერ არასოდეს უნახავთ ისეთი საკვირველება, როგორიცაა პატიოსანი კარდინალი, სულები კი ყოველივე სიახლის დიდი მოტრფიალენი არიან.

— საიდან იცით ეს? — გაისმა რიკარდოს ხმა, რომელიც ეტყობოდა თავს იკავებდა გაბრაზებისაგან.

— საღვთო წიგნიდან, ჩემო კარგო. თუ ევანგელეს დაეუჯერებთ, ყველაზე უფრო პატივსაცემ სულებსაც კი მოსწონთ ფანტასტიკური შეზავება. პატიოსნება და კარდინალი კი, ჩემი აზრით, ძალიან ფანტასტიკური შეზავებაა, ისეთივე უგემური, როგორც კიბო თაფლით... ო, სინიორ მარტინი და სინიორა ბოლა! რა მშვენიერი ამინდია წვიმების შემდეგ, არა? თქვენც მოუსმინეთ ახალ საკონაროლას?[65]

Scanned by CamScanner

მარტინი უცბად მოტრიალდა. კრაზანამ სიგარით პირში და კილოში ყვავილგარჭობილმა გაუწოდა მას თავისი წვრილი ხელი, რომელზედაც მშვენიერი ხელთათმანი ეცვა. ახლა, როდესაც მზე მხიარულად დასთამაშებდა კრაზანას მოხდენილ ფეხსაცმელებს და სხივები უშუქებდნენ მოღიმარ სახეს, ის მარტინის ნაკლებ მახიჯად, მაგრამ კიდევ უფრო თავისი თავის კმაყოფილად მოეჩვენა. მათ ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. ერთმა — ალერსიანად, მეორემ — წყრომით.

— ცუდად ხომ არ შეიქენით, სინიორა ბოლა, — წამოიძახა უეცრად რიკარდომ.

ქალის სახე ისე მკრთალი იყო, რომ ჩრდილში, რომელსაც მას თავისი ქუდი აყენებდა, მიცვალებულს ჰგავდა, ხოლო იმის მიხედვით, თუ როგორ უკრთოდა მკერდზე ლენტები, ყველა ადვილად მიხვდებოდა, რა ძლიერად უძგერდა გული.

— მე შინ წავალ, — სუსტი ხმით თქვა მან.

მოიყვანეს ეტლი. მარტინი დაუჯდა გვერდით და დაპირდა, რომ შინ მიიყვანდა. კრაზანამ საჩქაროდ გაუსწორა კაბა, რომელიც ბორბლებს გადმოეფინა, შემდეგ უეცრად ახედა მას; მარტინიმ შენიშნა, რომ ქალმა ერთბაშად უკან დაიხია და მის სახეზე გამოიხატა შიში და საშინელება.

— რა დაგემართათ, ჯემა? — ჰკითხა მან ინგლისურ ენაზე, როგორც კი დაიძრა ეტლი, — რა გითხრათ იმ არამზადამ?

— არაფერი, ჩეზარე, ის აქ არაფერ შუაშია... მე... მე შემეშინდა...

— შეგეშინდათ?

— დიახ!... მომეჩვენა, რომ...

ჯემამ ხელები მიიფარა თვალებზე, მარტინი ხმაამოუღებლად უცდიდა, სანამ ის სულ გრძნობაზე მოვიდოდა. ქალის სახე ნელ-ნელა გამოცოცხლდა, შემდეგ კი მიუბრუნდა მარტინის და დაილაპარაკა თავისი ჩვეულებრივი მტკიცე ხმით:

— თქვენ სავსებით მართალი იყავით, როდესაც თქვით, რომ არ არის საჭირო წარსულის საშინელების მოგონება. ნურასოდეს ნუ ვილაპარაკებთ ამაზე, ჩეზარე, თორემ ეს ისე მიდუნებს ნერვებს, რომ მე ყოველ პირველ შემხვდურში გამოვძებნი ფანტასტიურ

Scanned by CamScanner

მსგავსებას არტურთან. ეს თითქოს ჰალუცინაცია არის, საშინელი კოშმარი ამ შუადღისას. წარმოიდგინეთ იმ წუთში, როდესაც ეს ანაზღარი ადამიანი მოვიდა ჩვენთან, მომეჩვენა, რომ არტური იყო.

თავი მეხუთე

კრაზანა ყოველთვის მალე გაიჩენდა ხოლმე პირად მტრებს. ის ჩამოვიდა ფლორენციაში აგვისტოში. ოქტომბრის ბოლოს კი სამი მეოთხედი კომიტეტისა, რომელმაც მოიწვია, იმავე აზრისა იყო მასზე, როგორისაც მარტინი. მის თავგამოდებულ თაყვანისმცემლებსაც კი არ მოსწონდათ სასტიკი გალაშქრება მონტანელის წინააღმდეგ. თვითონ გალი, რომელიც თავდაპირველად მზად იყო დაეცვა და მხარი დაეჭირა ყველასათვის, რასაც კი იტყოდა ენამახვილი სატირიკოსი, ახლა გულახდილად ამბობდა, უმჯობესია, თავი დავანებოთ კარდინალ მონტანელისო: „რიგიანი კარდინალები არც ისე ბევრია: შეიძლებოდა მათ ზრდილობით მოვპყრობოდით“.

ერთადერთი, ვინც გულგრილად უცქეროდა კარიკატურებს და პასკვილებს,[66] რომლებიც კრაზანას მიერ იყო შეთხზული, გახლდათ თვითონ მონტანელი. საჭიროც არ იყო შრომის დახარჯვა, — როგორც ამბობდა მარტინი, იმ კაცის გამასხარავებაზე, რომელიც ასე გულკეთილად ხვდებოდა ყველაფერ ამას. ქალაქში ლაპარაკობდნენ, ერთხელ მონტანელიმ, როდესაც მასთან სადილობდა ფლორენციის ეპისკოპოსი, თავის ოთახში იპოვა კრაზანას ერთი ყველაზე უფრო მწარე პასკვილი; წაიკითხა თავიდან ბოლომდე, მერე გადასცა ეპისკოპოსს და უთხრა: „სიმართლე უნდა ითქვას, რომ ჭკვიანურად არის დაწერილი!“

ოქტომბრის დასაწყისში ქალაქში გამოვიდა ფურცელი სათაურით „ხარების საიდუმლოება“. თუნდაც ამ ფურცლებზე დახატული არ ყოფილიყო კრაზანა გაშლილი ფრთებით (ხელის მოწერის მაგიერ, — ამ სურათს ათავსებდა რივარესი პამფლეტების ბოლო-

Scanned by CamScanner

ში), მკითხველების უმრავლესობისათვის მარტო სტილითაც იყო ცხადი, თუ ვის მიერ იყო დაწერილი. პამფლეტი შედგენილი იყო დიალოგის სახით ტოსკანასა და მონტანელის შორის; ტოსკანა წარმოდგენილი იყო ღვთისმშობლის სახით, ხოლო მონტანელი — ანგელოსისა რომელსაც თავი შემკული ჰქონდა დაფნის გვირგვინით — (მშვიდობიანობის სიმბოლო), ხოლო ხელში შროშანი (სიწმინდის სიმბოლო) ეჭირა; ის ქვეყანას იეზუიტების მოსვლას აუწყებდა. მთელი ეს ნაწარმოები სავსე იყო შეურაცხმყოფელი და მეტისმეტად თამამად გამოთქმული ეჭვებით. მთელი ფლორენცია აღაშფოთა დაუნდობელმა, მკაცრმა და უსამართლო სატირამ და მიუხედავად ამისა, მთელი ფლორენცია ხარხარებდა. პამფლეტი თუმცა სერიოზული კილოთი იყო დაწერილი, მაგრამ ისე სავსე იყო ჰუმორით, რომ კრაზანას ცხარე მოწინააღმდეგენიც ისევე გულწრფელად იცინოდნენ, როგორც მისი მომხრენი. მიუხედავად იმისა, რომ სატირა უსამართლობას შეიცავდა, ამ ფურცელმა მაინც გავლენა მოახდინა ქალაქში. მონტანელის პირადი რეპუტაცია ისე მაღლა იდგა, ოღაც პასკვილს, თუნდაც ძალზე მახვილგონივრულს, არ შეეძლო მისთვის რაიმე დაეკლო. მაგრამ იყო მომენტი, როდესაც საზოგადოებრივი აზრი კინაღამ მის წინააღმდეგ შემობრუნდა. კრაზანამ იცოდა, საითკენ უნდა მიემართა თავისი ისარი და თუმცა კარდინალის სახლის წინ კიდევ იყრიდა თავს ბრბო, რათა მისთვის შეეხედა, როცა ის ჯდებოდა ეტლში და ან ბრუნდებოდა შინ, მაგრამ ახლა ლოცვა-კურთხევის და მისალმების ხმებში ხშირად ისმოდა სიტყვები: „იეზუიტო!“ „პაპის პარტიის ჯაშუშო“!

მონტანელის მაინც მრავალი დამცველი ჰყავდა. პასკვილის გამოქვეყნების ორი დღის შემდეგ კლერიკალების ხელმძღვანელ ორგანოში „მორწმუნენი“ დაიბეჭდა წერილი სათაურით: „პასუხი „ხარების საიდუმლოებაზე“, რომელსაც ხელს აწერდა „ეკლესიის შვილი“. ეს იყო მონტანელის სავსებით უმწიკვლო დაცვა კრაზანას ცილისწამების წინააღმდეგ.

როგორც თვითდაცვის, ისე ლიტერატურული ღირსების მხრით ეს „პასუხი“ იმდენად მაღლა იდგა ჩვეულებრივ საგაზეთო წერილებზე, რომ მით დაინტერესდა მთელი ქალაქი, მით უფრო, რომ თვით გაზეთის გამომცემელმა ვერ გაიგო, ვინ იმალებოდა „ეკლე-

Scanned by CamScanner

სიის შვილის“ ფსევდონიმის ქვეშ. წერილი მალე ცალკე წიგნად გამოსცეს და მონტანელის „იდუმალი დამცველის“ შესახებ დაიწყეს ლაპარაკი ფლორენციის ყველა ყავახანაში.

კრაზანამ ამას იმით უპასუხა, რომ სასტიკად გაილაშქრა ახალი პაპის, ყველა მისი დამქაშისა და განსაკუთრებით მონტანელის წინააღმდეგ. ამასთანავე, ნართაულად აღნიშნავდა, რომ მონტანელის პანეგირიკი[67] დაწერილია მისი პირადი თანხმობითო. უცნობმა დამცველმა ამაზე „მორწმუნეში“ სასტიკი პროტესტით უპასუხა. ზთელი დანარჩენი დრო, რომელიც მონტანელიმ ფლორენციაში გაატარა, ეს პოლემიკა არ შეწყვეტილა და მალე ისე დაიპყრო მთელი საზოგადოება, რომ იგი იძულებული გახდა, დავიწყებას მიეცა თვით მქადაგებელი.

ლიბერალური პარტიის ზოგიერთი წევრი ცდილობდა დაემტკიცებინა კრაზანასათვის, რომ მისი ბოროტი ტონი მონტანელის მიმართ სრულიად უადგილო იყო, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ის ყურს უგდებდა მათ, თავაზიანად იღიმებოდა და ენის ბორძიკით პასუხობდა: — ჭ-ჭეშმარიტად ბატონებო, თქვენ არც თუ ისე კეთილსინდისიერები ხართ. როდესაც სინიორა ბოლას ვუთმობდი, მე სპეციალურად ავიღე ნებართვა, ჩემი სიამოვნების გულისათვის დამეცინა, როდესაც მ-მონტანელი ჩამოვიდოდა. ასეთი იყო შეთანხმება.

ოქტომბრის ბოლოს მონტანელი გაემგზავრა თავის სამწყსოში, რომანიაში. გამგზავრების წინ წარმოთქვა გამოსათხოვარი ქადაგება, რომელშიაც შეეხო ცნობილ ლიტერატურულ კამათს, გაკვრით გამოთქვა უკმაყოფილება ორივე მწერლის ზედმეტ გაცხარებაზე და სთხოვა თავის უცნობ დამცველს, ეჩვენებინა თავდაჭერილობის მაგალითი და შეეწყვიტა ეს უსარგებლო და შეუფერებელი სიტყვიერი ბრძოლა. მეორე დღეს „მორწმუნეში“ დაიბეჭდა შენიშვნა, რომელიც იუწყებოდა, რომ „ეკლესიის შვილი“ უარს აცხადებს კამათის გაგრძელებაზე, ვინაიდან ამის შესახებ საჯაროდ განაცხადა სურვილი თვით მონტანელიმ. ბოლო სიტყვა კრაზანას უნდა ეთქვა. „მონტანელის. ქრისტიანული თვინიერებით იარაღაყრილი, — წერდა ის თავის მორიგ პამფლეტში, — მზადა ვარ, თვალცრემლიანი მოვეხვიო კისერზე პირველსავე შემხვედრ სანფედისტს და ჩემი ანონიმური მოწინააღმდეგის მოხვევაზეც კი არ ვიტყოდი

Scanned by CamScanner

ეარს! ჩემმა მკითხველებმა კი რომ იცოდნენ — როგორც მე და კარდინალმა ვიცით — რა იგულისხმება ამის ქვეშ და რატომ არ ამხელს თავის სახელს ჩემი მოწინააღმდეგე, დარწმუნებული იქნებოდნენ ჩემი აღსარების სიწრფელეში...“

ნოემბრის ბოლოს კრაზანამ განუცხადა კომიტეტს, ორი კვირით ზღვისპირად მინდა წასვლაო. როგორც ამბობდნენ, ის წავიდა ლივორნოში: მაგრამ როდესაც მალე მის შემდეგ ლივორნოში გაემგზავრა ექიმი რიკარდო, რომელსაც კრაზანას ნახვა უნდოდა, ამაოდ მოუხდა მისი ძებნა. 5 დეკემბერს პაპის ოლქსა[68] და აპენინების მთებში დაიწყო დიდი პოლიტიკური მოძრაობა. მაშინ მრავალი მიხვდა, თუ რატომ მოინდომა კრაზანამ დასვენება ამ შუა ზამთარში. ის დაბრუნდა ფლორენციაში, როცა მღელვარება უკვე ჩაქრობილი იყო. ერთხელ, როდესაც ქუჩაში შეხვდა რიკარდოს, მან ღიმილით უთხრა:

— გავიგე, რომ ლივორნოში მეძებდით, მაგრამ მაშინ პიზაში ვიყავი. რა საუცხოო ძველი ქალაქია! იქ კაცი ისე გრძნობს თავს, როგორც ბედნიერ არკადიაში![69]

შობის დღესასწაულის დროს ის დაესწრო ლიტერატურული კომიტეტის ერთ სხდომას, რომელიც დოქტორ რიკარდოს ბინაზე გაიმართა. კრებას ბევრი ხალხი დაესწრო, კრაზანამ ცოტა დაიგვიანა და როდესაც ოთახში შევიდა ღიმილით, რომელიც გამოხატავდა ბოდიშის მოხდას დაგვიანებისათვის, აღარსად აღმოჩნდა თავისუფალი ადგილი, რიკარდომ დააპირა ადგომა იმ მიზნით, რომ მეზობელი ოთახიდან სკამი გამოეტანა, მაგრამ კრაზანამ შეაჩერა.

— ნუ სწუხდებით, — თქვა მან, — მე თვითონ მოვეწყობი.

კრაზანამ გაიარა ოთახი, მივიდა ფანჯარასთან, რომლის გვერდით იჯდა ჯემა, რაფაზე ჩამოჯდა და ჩარჩოს მიეყრდნო.

ის ღიმილით უყურებდა ჯემას. მის დამცინავ, იდუმალებით მოცულ ცქერაში იყო რაღაც ისეთი, რაც ქალს აგონებდა ლეონარდო-და-ვინჩის[70] სურათებს. ჯემა კრაზანასადმი ყოველთვის გრძნობდა გამოუკვეთ უნდობლობას, რომელიც ახლა შიშმა შეცვალა.

კრებას უნდა განეხილა პროკლამაციის გამოშვების საკითხი. პროკლამაცია საჭირო იყო იმის გამო, რომ ტოსკანას ემუქრებოდა შიმშილობა. კომიტეტს უნდა დაესახა საჭირო ზომები უბედურე-

Scanned by CamScanner

ბის თავიდან ასაშორებლად. რაიმე გარკვეული გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელი აღმოჩნდა, ვინაიდან როგორც ყოველთვის, სხვადასხვა საწინააღმდეგო აზრებს გამოთქვამდნენ. კომიტეტის რადიკალური ნაწილი, რომელსაც ეკუთვნოდნენ ჯემა, მარტინი და რიკარდო, იმის მომხრე იყო, რომ ენერგიული მოწოდებით მიემართათ მთავრობისათვის და საზოგადოებისათვის და მოეთხოვათ მათგან, დაუყოვნებლივ დახმარებოდნენ გლეხებს. კომიტეტის უფრო ზომიერი ნაწილი კი, მათ შორის გრასინიც, შიშს გამოთქვამდა, ზედმეტად ენერგიული ტონი მხოლოდ გააღიზიანებს მთავრობას და ვერაფერს ვერ შეაგნებინებსო.

— ყველაფერი ეს ძალიან კარგია, ბატონებო, და ფრიად სასურველიც არის, რა თქმა უნდა, რომ დახმარება დაუყოვნებლივ იქნეს გაწეული, — ამბობდა ის მშვიდად და თან შემწყალებელი თვალით გადასცქეროდა აღელვებულ რადიკალებს. — ყველას, ჩვენ, ყოველ შემთხვევაში, უმრავლესობას მაინც, ბევრი რამ გვსურს ისეთი, რის მიღწევასაც ალბათ ვერასოდეს ვერ შევძლებთ. მაგრამ თუ ვილაპარაკებთ იმ ტონით, რომლითაც თქვენ აპირებთ, სულ ადვილი შესაძლებელია მოხდეს ის, რომ მთავრობამ არავითარი ზომები არ მიიღოს, სანამ ნამდვილი შიმშილობა არ დაიწყება. ჩვენთვის ისიც მიღწევა იქნება, თუ შევძელით ვაიძულოთ მთავრობა, შეავსოს ანკეტა მოსავლის მდომარეობის შესახებ.

გალი, რომელიც კუთხეში იჯდა ბუხართან, წამოვარდა და შეეკამათა:

— თქვენ ამბობთ, რომ ესეც მიღწევა იქნება? რა თქმა უნდა, ეს წყალეო ხელმწიფევ, მაგრამ შიმშილი ჩვენ არ დაგვიცდის. თუ ასეთი ზოზინით ვიარეთ, ხალხი გაწყდება მანამდე, სანამ რაიმეში დავეხმარებოდეთ.

— საინტერესოა, ვიცოდე... — დააპირა ლაპარაკი საკონიმ, მაგრამ ამ დროს სხვადასხვა ადგილიდან გაისმა:

— ხმამაღლა! არ ისმის!

— რას გაიგონებთ, როდესაც ქუჩაში ასეთი ჯოჯოხეთური ხმაურობაა! — გულმოსულად თქვა გალიმ. —რიკარდო, დახურულია თუ არა იქ ფანჯარა? მე ჩემი ხმაც კი აღარ მესმის!

ჯემამ ფანჯრისაკენ გაიხედა.

Scanned by CamScanner

— დახურულია, — თქვა მან. — მაგრამ იქ, როგორც ჩანს მოხეტიალე ცირკმა თუ რაღაც ამის მსგავსმა გაიარა.

გარედან ისმოდა ყვირილი, სიცილი, პატარა ზარების რეკვა და ყველა ამას ერთვოდა კიდევ სასულე ორკესტრის და დაფდაფების გამაყრუებელი ხმები.

— ახლა ისეთი დღეებია, რომ კაცი იძულებული ხდება, შეუერიგდეს ასეთ რამეებს, — თქვა რიკარდომ, — დღესასწაულებზე ყოველთვის ხმაურობაა... რა გინდოდათ გეთქვათ, საკონი?

— მე მინდოდა მეთქვა, რომ საინტერესოა ვიცოდეთ, რას ფიქრობენ ყველაფერ ამის შესახებ პიზაში და ლივორნოში, ხომ ვერაფერს გვეტყვის ამაზე სინიორ რივარესი? ის ახლახან ჩამოვიდა იქიდან.

კრაზანამ არაფერი უპასუხა. ის გატაცებით იყურებოდა ფანჯარაში და, შესაძლოა, არც ესმოდა, რაზე ლაპარაკობდნენ.

— სინიორ რივარეს! — დაუძახა ჯემამ, რადგან ის ყველაზე ახლო იყო, და რაკი კრაზანა მაინც არ მოსცილდა ფანჯარას, ხელი მოჰკიდა. კრაზანა ზანტად მოტრიალდა, ქალი შეკრთა, როცა მისი გაქვავებული გამოხედვა დაინახა. ერთი წუთით მოეჩვენა, რომ მიცვალებულის სახეს უყურებდა.

კრაზანას უსიცოცხლო ტუჩები ოდნავ გაინძრნენ და მან წაიჩურჩულა:

— დიახ, ეს მოხეტიალე ცირკია!

ჯემას პირველი ინსტინქტური მოძრაობა იყო, დაეფარა კრაზანა, რათა სხვებს არ შეეხედათ მისთვის. ჯემას ჯერ კიდევ ვერ გაეგო, რა ემართებოდა, მაგრამ მიხვდა, რომ მთელი მისი არსება რაღაც საშინელ ჰალუცინაციას შეეპყრო. ქალი სწრაფად ადგა, ჩამოეფარა კრაზანას, რომ არავის შეემჩნია მისი სახის გამომეტყველება და გააღო ფანჯარა თითქოს იმისათვის, რომ ქუჩაში გადაეხედა.

ქუჩაში მიდიოდა ცირკი. ვირებზე ისხდნენ ფერად ტანსაცმელში გამოწყობილი ოინბაზები და არლეკინები.[71]

უსაქმო ხალხის ბრბო იცინოდა. სახუმარო სიტყვებით მიმართავდა ცირკის არტისტებს, ქალალდის ლენტებს ესროდა არლეკინებს, პარკში ჩაყრილ კანფეტებს აწოდებდა თავის ეტლში მჯდარ კოლომბინას[71], რომელსაც გულზე ეკიდა ბრჭყვიალა კილიტები,

Scanned by CamScanner

შუბლზე გადმოფენოდა ყალბი კულულები და თავისი შეღებილი ტუჩებით იღიმებოდა. ეტლს უკან მიჰყვებოდა ჭრელი ბრბო· ბიჭ-ბუჭები, მათხოვრები, აკრობატები, რომლებიც ათასგვარ თავსატეხ სავარჯიშო ოინებს აკეთებდნენ, და ტკბილეულის გამყიდველები. ყველა ისინი იცინოდნენ, ყვიროდნენ და ვიღაცას ურტყამდნენ, მაგრამ ვის, — ჯემამ ვერ შეძლო დანახვა. სულ მალე მან დაინახა, რომ ეს იყო კუზიანი, მასხარას ტანსაცმელში გამოწყობილი და თავზე ეჟვნებიან ჩაჩდახურული საოცრად გონჯი ქონდრისკაცი. როგორც ჩანს, ის ცირკის ტაკიმასხარა იყო და სასაცილო მანჭვა-გრეხით ართობდა ბრბოს.

— რა ხდება იქ? — იკითხა რიკარდომ, როცა ფანჯარასთან მივიდა — რამ დაგაინტერესათ ასე?

ის გაკვირვებული იყო, რომ მთელი კომიტეტი მოაცდინეს ვიღაც მოხეტიალე ჯამბაზების გამო.

ჯემა მიბრუნდა მისკენ.

— საინტერესო არაფერია, — თქვა მან, — მოხეტიალე ცირკია, მეტი არაფერი, მაგრამ ისე ხმაურობდნენ, გავიფიქრე სხვა ხომ არაფერი მოხდა-მეთქი.

ჯემა იდგა ფანჯრის რაფაზე დაყრდნობილი და უეცრად იგრძნო, როგორ მოუჭირეს კრაზანას ცივმა თითებმა მის ხელს.

— მადლობელი ვარ! — ჩასჩურჩულა მან, მიხუოა ფანჯარა და ისევ ძველ ადგილზე ჩამოჯდა. — მაპატიეთ, ბატონებო, რომ შეგაწყვეტინეთ ლაპარაკი, — ხუმრობის კილოთი თქვა კრაზანამ, — წარმოდგენამ გამიტაცა. ძ-ძალიან საინტერესო იყო.

— საკონიმ შეკითხვა მოგცათ! — მკვახედ უთხრა მარტინიმ.

კრაზანას ყოფაქცევა მას მიაჩნდა უაზრო თვალმაქცობად და სწყინდა, რომ ჯემა ასე უტაქტოდ მისდევდა მის მაგალითს. ეს სრულიად არ იყო მისგან მოსალოდნელი.

კრაზანამ განაცხადა, ვერაფერს ვიტყვი იმაზე, თუ რას ფიქრობენ პიზაში, ვინაიდან იქ მხოლოდ „დასასვენებლად“ ვიყავიო. ამის შემდეგ მან დაიწყო ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რას ფიქრობს მოსალოდნელ შიმშილობაზე და პროკლამაციის გამოშვებაზე. კრაზანა ისე დიდხანს ლაპარაკობდა და ისევ ებმოდა ენა, რომ ყველა მოქან-

Scanned by CamScanner

ცა და დატანჯა. თითქოს საკუთარი ხმა რაღაც ავადმყოფურ სიამოვნებას ანიჭებდა.

კრება დასრულდა, კომიტეტის წევრებმა დაშლა დაიწყეს.

რიკარდო მარტინის მიუახლოვდა:

— დარჩით სადილად. ფაბრიციო და საკონიც დარჩებიან.

— გმადლობთ, მაგრამ სინიორა ბოლას გაცილება მინდა.

— თქვენ ხომ არ გეშინიათ, რომ სახლამდე ვერ მივალ მარტო? — თქვა ჯემამ, წამოდგა და ლაბადა მოიხურა.

— რა თქმა უნდა, ის დარჩება თქვენთან, დოქტორ რიკარდო. ჯართობა ძალზე მოუხდება, მეტისმეტად ჩაიკეტა შინ.

— თუ ნებას მომცემთ, მე გაგაცილებთ, — ჩაერია კრაზანა მათ საუბარში. — მე სწორედ თქვენს მხარეს მოვდივარ.

— თუ თქვენც მართლა იქითკენ გაქვთ გზა, იმ შემთხვევაში...

— რივარეს, არ გექნებათ დრო, სალამოს ჩვენთან შემოიაროთ? — ჰკითხა რიკარდომ, როდესაც კარს აღებდა.

კრაზანამ გაიცინა და განზე გადახედა:

— მე, ჩემო მეგობარო? არა, მე ცირკში მინდა წასვლა.

— რა საოცარი კაცია! — ამბობდა შემდეგ რიკარდო, როდესაც სტუმრებთან დაბრუნდა. — რამ შეაყვარა ასე ბალაგანის პამპულები!

— ალბათ სულით ნათესაობამ, — თქვა მარტინიმ. — ის ხომ თვითონაც ნამდვილი ბალაგანის პამპულაა.

— ეგ კიდევ არაფერი, თუ მხოლოდ უბრალო პამპულაა, — სერიოზულად ჩაურთო ფაბრიციმ. — მე მგონია, საშიში პამპულაა.

— საშიში? რა მხრივ?

— არ მომწონს მისი საიდუმლო, ვითომდა გართობის მიზნით მოგზაურობანი, რომელიც მას ძალიან უყვარს. მან უკვე სამჯერ იმოგზაურა და არა მჯერა, თუ პიზაში იყო.

— ჰო, მაგრამ, ეს ხომ ყველამ იცით, რომ ის მთებში დადის, — თქვა საკონიმ, — ის არც ცდილობს დამალოს, რომ კავშირი აქვს კონტრაბანდისტებთან, რომლებსაც სავინიოში მომხდარი აჯანყების დროს გაეცნო. სავსებით ბუნებრივია, რომ რივარესი მათი დახმარებით სარგებლობს პაპის ოლქში თავისი პამფლეტების გადასაგზავნად.

Scanned by CamScanner

— აი, სწორედ ამის შესახებ მინდოდა თქვენთან მოლაპარაკება, — თქვა რიკარდომ. — აზრად მომივიდა, ვთხოვოთ რივარესს, ჩვენი კონტრაბანდის გაგზავნასაც უხელმძღვანელოს. პისტოიაში სტამბა ცუდად მუშაობს, ჩვენი ლიტერატურის მოწოდება კი ყოველთვის ერთი და იგივე საშუალებით — სიგარეტებით მეტისმეტად პრიმიტიულია.

— აქამდე აკი კარგად იყო მოწყობილი ეს საქმე, — ჯიუტად უპასუხა მარტინიმ. მას არ სიამოვნებდა იმის გაგონება, რომ გალი და რიკარდო ყოველთვის სამაგალითოდ თვლიდნენ კრაზანას. მარტინი იმ აზრის იყო, რომ საქმე ძალზე კარგად მიდიოდა მანამდის, სანამ არ გაჩნდა „ეს პირველი ყაჩაღი", რომელიც ყველას ჭკუას ასწავლისო.

— დიახ, დღემდე გვაკმაყოფილებდა ეს მუშაობა, ვინაიდან არ ვიცოდით, როგორ გვემუშავა ამაზე უკეთესად. მაგრამ ამ ბოლო დროს, როგორც იცით, ბევრი შემთხვევა იყო დაპატიმრებისა და კონფისკაციისა და, მე ვფიქრობ, თუ რივარესი მოჰკიდებს ხელს ამ საქმეს, მაშინ მომავალში აღარ განმეორდება ჩავარდნები.

— რატომ გგონიათ?

— უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ კონტრაბადისტები ისე გვიყურებენ, როგორც უცხოს, და იქნებ საწველ ფურადაც გვთვლიან. რივარესი კი მათი მეგობარია და თითქმის წინამძღოლიც. კონტრაბანდისტები უჯერებენ მას და კიდევაც ემორჩილებიან. იმ კაცისათვის, რომელიც სავინიოს აჯანყებაში მონაწილეობდა, ყველა კონტრაბანდისტი, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბევრ რაიმეს გააკეთებს ისეთს, რასაც არ გააკეთებს სხვისათვის. გარდა ამისა, ჩვენს შორის არავინაა ისეთი, რომელმაც რივარესივით კარგად იცოდეს მთები. არ დაივიწყოთ, რომ ის მთებში იმალებოდა და შესანიშნავად იცის მთაში ყველა ბილიკი. ვერც ერთი კონტრაბანდისტი ვერ გაბედავს მის მოტყუებას და კიდევაც რომ დააპიროს, მაინც ვერ შეძლებს.

— მაშ რა წინადადება შემოგაქვთ? მივანდოთ მას პაპის ოლქში ჩვენი ლიტერატურის გადაგზავნის საქმე — განაწილება, მისამართები, საიდუმლო საწყობები და, საერთოდ, ყველაფერი, თუ მხოლოდ საზღვარს იქით გადაგზავნა ვთხოვოთ?

Scanned by CamScanner

— ჩვენი მისამართები და საიდუმლო საწყობები ალბათ უკვე ცნობილია მისთვის და არა მხოლოდ ჩვენი, შეიძლება სხვაც ბევრი, ასე რომ, ამ მხრივ ჩვენ მას ახალს ვერაფერს შევასწავლით, ხოლო რაც შეეხება განაწილების საქმეს, ამაზე ცხადია მსჯელობა უნდა გაიმართოს და როგორც უმრავლესობა გადაწყვეტს, ისე გაკეთდეს: ჩემი აზრით, მთავარია — საზღვარს იქით გადაგზავნა; მას შემდეგ კი, როცა ლიტერატურა ბოლონიამდე მიაღწევს, მათი დარიგება შედარებით უკვე იოლი საქმეა.

— თუ თქვენ გსურთ ჩემი აზრიც გაიგოთ, — თქვა მარტინიმ, — მე ვიტყოდი, რომ წინააღმდეგი ვარ ამ გეგმისა. ეგ მხოლოდ თქვენ გგონიათ, რომ რივარესი გამოსადეგია ამ საქმისათვის. არსებითად ჩვენ არავის გვინახავს ის საქმეში და ამიტომ ვერც ვიქნებით დარწმუნებული, რომ კრიტიკულ მომენტში თავგზა არ დაებნევა...

— ო, ეგ ნუ გაფიქრებთ! — სიტყვა შეაწყვეტინა რიკარდომ. — საგინიოს აჯანყების ისტორიამ დაგვარწმუნა, რომ მას არასოდეს არ აებნევა თავგზა!

— გარდა ამისა, — განაგრძო მარტინიმ, — თუმცა მე ახლო არ ვიცნობ, მაგრამ მგონია, საკმაო საბუთი მაქვს ვთქვა, რომ არ შეიძლება ვანდოთ პარტიის ყველა საიდუმლო. რივარესს მე ვთვლი ფუქსავატ ადამიანად, მას მხოლოდ თავის გამოჩენა უყვარს. პარტიის კონტრაბანდის ხელმძღვანელობის მინდობა ერთი კაცისათვის ალიან სახიფათო საქმედ მიმაჩნია. თქვენ რას იტყვით, ფაბრიციო?

— თუკი საქმე შეეხება მხოლოდ თქვენს მიერ წამოყენებულ მიზეზებს, მე მათ მოვხსნიდი, რადგან კრაზანას მართლაც აქვს ყველა ის თვისება, რომელზედაც რიკარდო ლაპარაკობდა.

— მე ეჭვი მებადება მის გულადობაში, პატიოსნებაში და ძლიერ ნებისყოფაში. ისიც ეჭვს გარეშეა, რომ ის კარგად იცნობს მთებს და მთიელებს. მაგრამ მე სხვა რამე მაფიქრებს, — დარწმუნებული არ ვარ მთებში მხოლოდ იმისათვის დადიოდეს, რომ კონტრაბანდით გადაგზავნოს თავისი პამფლეტები. მე მგონია, სხვა მიზანიც აქვს რასაც ახლა გეტყვით, ეს ჩვენს შორის დარჩეს, რადგან მხოლოდ ჩემი ეჭვებია. მე მგონია, ახლო კავშირი აქვს ავაზაკების ერთ-ერთ რაზმთან და შესაძლოა ყველაზე უფრო საშიშ რაზმთანაც.

— სახელდობრ რომელთან? „წითელქამრიანებთან“ ხომ არა?

Scanned by CamScanner

— „ბებუთიანებთან“.

— „ბებუთიანებთან“? ჰო, მაგრამ ისინი ხომ მაწანწალების გროვას წარმოადგენენ და უმთავრესად შედგებიან გაუნათლებელი და პოლიტიკურ გამოცდილებას მოკლებული გლეხებისაგან!

— ასეთები იყვნენ სავინიოს აჯანყების მონაწილენი. მაგრამ მათ შორის იყო რამდენიმე განათლებული კაცი, რომლებიც მათ ხელმძღვანელობდნენ. შესაძლოა იმ გუნდშიც მოიპოვებიან ასეთები. ყურადღება მიაქციეთ აგრეთვე შემდეგ გარემოებას, ეს თითქმის დადასტურებული ფაქტია: ყველაზე მემარჯვენე პარტიის წევრები რომანიაში აჯანყების მონაწილენი არიან. ისინი მიხვდნენ, რომ აჯანყების გზით ვერ შეძლებენ კლერიკალების დამარცხებას, და ამიტომ ტეროორისტული მკვლელობის გზა არჩიეს. როცა თოფით ხელში მარცხი განიცადეს, დანას მოჰკიდეს ხელი.

— რატომ გგონიათ, რივარესს კავშირი აქვს მათთან?

— მე მხოლოდ ეჭვი მაქვს. ყოველ შემთხვევაში, ჯერ უნდა გამოვიძიოთ ეს ამბავი და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვანდოთ ჩვენი ლიტერატურული კონტრაბანდა. თუ მან ორივე საქმის ხელმძღვანელობა იკისრა, ამით ძალიან ავნებს ჩვენს პარტიას: დასცემს მის რეპუტაციას და ვერაფერში კი ვერ დაგვეხმარება. მაგრამ ამის შესახებ სხვა დროს მოვილაპარაკებთ. ახლა მინდა გითხრათ, რა ცნობები მივიღე რომიდან. ამბობენ, განზრახულია დაინიშნოს კომისია საქალაქო თვითმმართველობის პროექტის შესადგენადო...

თავი მეექვსე

ჯემა და კრაზანა ხმაამოუღებლად მიდიოდნენ სანაპიროზე. ეტყობოდა, ლაპარაკის აშლილი საღერღელი დაუცხრა, კრაზანას თითქმის სიტყვაც არ უთქვამს მას შემდეგ, რაც რიკარდოსაგან გამოვიდნენ და ჯემას მთელი თავისი არსებით უხაროდა, რომ ის გაჩუმებული იყო თითქოს ლოდი აწვებოდა გულზე, როცა მის საზოგადოებაში მოხვდებოდა. ამ დღეს კი განსაკუთრე-

Scanned by CamScanner

ბით იგრძნო ეს, რადგან მისმა უცხაურმა საქციელმა რიკარდოსთან ბალზე დააბნია.

როდესაც უფიცის სასახლეს მიუახლოვდნენ, კრაზანა უეცრად შეჩერდა და მიუბრუნდა ჯემას:

— ხომ არ დაიღალეთ?

— არა, რატომ მკითხეთ?

— გცალიათ ამ' საღამოს?

— დიახ.

— მე მინდა დიდი წყალობა გთხოვოთ, — გაისეირნოთ ჩემთან ერთად.

— სად?

— სადაც მოისურვებთ.

— ეგ რა სურვილი დაგებადათ?

კრაზანამ უცებ ვერ უპასუხა.

— ვერ შევძლებ აგიხსნათ... ძნელი საქმეა... მაგრამ მე ძალიან გთხოვთ!

კრაზანამ თვალები მიაპყრო. ჯემა გააოცა მისმა გამომეტყველებამ.

— თქვენ უცნაური რალაც მოგდით, — ალერსიანად უთხრა ჯემამ.

კრაზანამ ყვავილი ამოიძრო საკილოვედან და ფურცლების გლეჯა დაუწყო მას.

ჯემამ გაოცებით შეხედა: ვინ არის ის, ვინც ამ წუთში კრაზანამ მოაგონა? თითების სწორედ ასეთი ნერვიული თრთოლვა...

— მე ძალიან მიმძიმს, — ოდნავ გასაგონად თქვა კრაზანამ, — არ მინდა დღეს მარტო დავრჩე. წამოხვალთ ჩემთან?

— დიახ, რა თქმა უნდა. მაგრამ იქნებ სჯობდეს, ჩემთან წამოხვიდეთ?

— არა, რესტორანში ვისადილოთ, აგერ ახლო — სინიორიის მოედანზე. უარს ნუ მეტყვით, ძალიან გთხოვთ. თქვენ ხომ უკვე დამპირდით.

ისინი რესტორანში შევიდნენ. კრაზანამ სადილი მოითხოვა, მაგრამ თვითონ ლუკმაც არ გაუსინჯავს, მდუმარედ იჯდა, ფხვნიდა პურს და სუფრის ფოჩებს გრეხდა.

Scanned by CamScanner

ჯემა ძალიან უხერხულად გრძნობდა თავს. ის უკვე ნანობდა, რომ დათანხმდა და წამოყვა. სიჩუმე აუტანელი გახდა მისთვის. მაგრამ არ უნდოდა უბრალო საუბარი გაება იმ კაცთან, რომელსაც თითქოს დაავიწყდა კიდევაც მისი არსებობა.

ბოლოს კრაზანამ თვალი მიაპყრო და უეცრად ჰკითხა:

— არ გინდათ ცირკის წარმოდგენა ვნახოთ?

ჯემამ გაკვირვებით შეხედა. ნეტავ რას აიჩემა ეს ცირკი?

— გინახავთ ოდესმე ცირკის წარმოდგენა? — დაასწრო და ჰკითხა კრაზანამ, სანამ ჯემა პასუხის გაცემას მოასწრებდა.

— არა, არ მინახავს. ცირკი არ მაინტერესებს.

— სამწუხაროა. ძალიან საინტერესოა. ჩემი აზრით, შეუძლებელია გაეცნოთ ხალხის ცხოვრებას, თუ ამგვარ წარმოდგენას არ ნახავთ.

მოხეტიალე ცირკს კარავი დაედგა ქალაქის ალაყაფის კარის გარეთ. როდესაც კრაზანა და ჯემა მას მიუახლოვდნენ, ჭიანურების აუტანელი წრიპინი და დაფდაფების ბოხი ხმა გაიგონეს და მიხვდნენ, რომ წარმოდგენა დაწყებულიყო.

წარმოდგენა ძალიან მარტივი იყო. მთელი დასი შედგებოდა რამდენიმე ჯამბაზისა, არლეკინისა და აკრობატისაგან; იყო კიდევ მოჯირითე, რომელიც რგოლში ხტებოდა, კოლომბინა და კუზიანი, რომლის დანიშნულება ხალხის გამხიარულება იყო. ყოველ დაძველებულ და გაცვეთილ ხუმრობაზე დამსწრენი, როგორც ეს სჩვევიათ ზრდილობიან ტოსკანელებს, მაინც იცინოდნენ და ტაშს უკრავდნენ; მაგრამ ყველაზე უფრო მოსწონდათ კუზიანი, რომლის სიტყვებში ჯემამ ვერ ნახა ვერც ენამახვილობა, ვერც სამხიარულო რამ. ის მხოლოდ უხეშად და საზიზღრად იმანჭებოდა. მაყურებლები აჯავრებდნენ, ბავშვებს მხრებზე ისვამდნენ და უჩვენებდნენ ამ „გონჯს“.

— სინიორ რივარეს, ნუთუ ყველაფერ ამას შეუძლია გაგართოთ და სიამოვნება მოგგვაროთ? — ჰკითხა ჯემამ კრაზანას, რომელიც სვეტთან იდგა, — მე მგონია...

ჯემა უეცრად დადუმდა, როცა მისი სახე დაინახა. არასოდეს თავის ცხოვრებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ერთხელ მონტანელის გვერდით იდგა ლივორნოს ბაღის ჭიშკართან, ადამიანის სა-

Scanned by CamScanner

ხეზე არ დაუნახავს ასეთი განუსაზღვრელი, სასოწარკვეთილი ტანჯვა. „დანტეს ჯოჯოხეთი“, — გაუელვა უცებ გონებაში.

მაგრამ აი, კუზიანი, როდესაც პანღური ამოჰკრა ერთმა ჯამბაზმა, ჰაერში გადატრიალდა და მოგვივით დახვეული გაგორდა. დაიწყო დიალოგი ორ ჯამბაზს შორის და კრაზანაც შეინძრა, თითქოს ახლა გაიღვიძაო:

— წავიდეთ, — თქვა მან. — ან იქნებ თქვენ გინდათ კიდევ უცქიროთ?

— არა, მე წასვლა მინდა.

ისინი გამოვიდნენ ბალაგანიდან და მწვანე კორდს მდინარისკენ გაჰყვნენ. რამდენიმე წუთის განმავლობაში ორივე დუმდა.

— როგორ მოგეწონათ წარმოდგენა? — ჰკითხა კრაზანამ.

— ძალიან დამაღონებელი სანახავია, შიგადაშიგ საზარელიც.

— რა გეჩვენათ საზარელი?

— მათი მანჭვა-გრეხა. პირდაპირ საზიზღრობაა. ვერაფერი ვნახე გონებამახვილური.

— კუზიანზე ხომ არ ამბობთ?

ჯემას ახსოვდა, რომ კრაზანა მტკივნეულად განიცდიდა ყველაფერს, რაც მის ფიზიკურ ნაკლოვანებას აგონებდა და ამიტომ აღარ უნდოდა ცირკის წარმოდგენის ანსამბლის შესახებ გაეგრძელებინა საუბარი. მაგრამ კრაზანამ თვითონ იკითხა და ჯემამაც დაუდასტურა.

— დიახ, ის ყველაზე უფრო საშინელი იყო.

— ჰო, მაგრამ სხვაზე მეტად სწორედ ის ახალისებდა ხალხს.

— სწორედ ეგ არის სამწუხარო.

— რატომ? იმიტომ ხომ არა, ხომ უხეში გემოვნების მქონე ხალხს აცინებდა?

— არა. ცირკში ყველაფერი ნავარაუდევია იმისათვის, რომ უხეში გემოვნების ადამიანს ასიამოვნონ, მაგრამ აქ ამას სისასტიკეც ერთვის.

კრაზანას გაეღიმა.

— სისასტიკე? კუზიანის მიმართ?

— მე მინდა ვთქვა... თვითონ, ის რა თქმა უნდა, სრულიად არ აქცევს ამას ყურადღებას, ეს მანჭვა-გრეხა მისთვის ისეთივე საშუა-

Scanned by CamScanner

ლებაა ლუკმაპურისათვის გროშების მისაღებად, როგორც ხტომა მოჯირითესათვის და კოლომბინას როლი მსახიობი ქალისათვის. მაგრამ როცა კუზიანს ვუყურებ, გული მძიმდება. მისი როლი დამამცირებელია: ის ფეხქვეშ თელავს ადამიანის ღირსებას.

— ამ თავის როლში ის ალბათ იმგვარადვე გრძნობს თავს დამცირებულად, როგორც მაშინ, როცა ჯერ კიდევ ცირკის არტისტი არ იყო. ყველა ჩვენგანის ღირსება ასე თუ ისე მაინც ითელება.

— ეს სიმართლეა, აქ... შეიძლება თქვენ ეს უაზრობად და სიყალბედ გეჩვენოთ, მაგრამ ჩემი აზრით, ადამიანის სხეული წმიდათა წმიდად უნდა იქნეს აღიარებული. მე ვერ ვიტანე, როცა მას დასცინიან და განზრახ ამახინჯებენ.

— ადამიანის სხეული?.. სულის შესახებ რაღას იტყვით?

კრაზანა ერთბაშად შეჩერდა, სანაპიროს ქვის მოაჯირს ხელით დაეყრდნო და თვალები მიაპყრო ჯემას პასუხის მოლოდინში.

— სულის შესახებ? — გაიმეორა ჯემამ, თვითონაც შეჩერდა და გაკვირვებით შეხედა.

კრაზანამ ხელები გაშალა, მოულოდნელად აფეთქდა:

— ნუთუ თქვენ ერთხელაც არ მოგსვლიათ აზრად, რომ იმ საცოდავ ჯამბაზს აქვს სული — ცოცხალი ადამიანის მებრძოლი სული, რომელიც ჩატენეს იმ ულაზათო, დაჯორჯილ ხის მორის მსგავს სხეულში? და, რომელიც იძულებულია მისი მონა იყოს? თქვენ გულისხმიერებას იჩენთ ყველასა და ყველაფრისადმი, თქვენ გეცოდებათ იმ სულელურ ტანსაცმელში გახვეული სხეული, მაგრამ გავიწყდებათ უბედური სული, რომელსაც ჯამბაზის სამოსელიც არ გააჩნია, რომ ამით დაფაროს თავისი უმწეო სიტიტვლე! დაფიქრდით იმაზე, როგორ კანკალებს ის სიცივისაგან, რა წამებას განიცდის იმის გამო, რომ ხალხი დასცინის მას! დაფიქრდით იმაზე, რა უმწეოდ შეჰყურებს ყველაფერს — მთებს, რომლებიც მის თავზე ჩამონგრევას აპირებენ, რომ დაფარონ ის მწვალებლებისაგან, ქვებს, რომლებსაც შეცოდების გრძნობა არ გააჩნიათ და ამიტომ მისი ჩაქოლვა არ უნდათ; როგორი შურით შესცქერის ის ვირთხებსაც კი, რომლებსაც შეუძლიათ შეძვრნენ სოროში და იქ დაიმალონ. გახსენეთ ისიც, რომ სული მუნჯია, არა აქვს ხმა და ყვირილი არ შეუძლია. ის იძულებულია ითმინოს, ითმინოს და ითმინოს... მგონი,

Scanned by CamScanner

სისულელეს ვამბობ... რატომ არ იცინით? თქვენზე არ მოქმედებს იუმორი?

მდუმარედ მყოფი ჯემა შემოტრიალდა და ნელი ნაბიჯით გაჰყვა სანაპიროს. მთელი ამ საღამოს განმავლობაში ერთხელაც აზრად არ მოსვლია, რომ კრაზანას საკვირველ მღელვარებას რაღაც კავშირი ჰქონდა მოხეტიალე ცირკთან, და ახლა, როცა ის უეცრად აღგზნებული დაინახა და მისი შინაგანი ცხოვრების რაღაც პირქუში სურათი გადაიშალა, ჯემამ ისეთი ძლიერი სიბრალული იგრძნო მისდამი, რომ შესაფერი სიტყვაც ვერ გამონახა ნუგეშის საცემად.

კრაზანა გვერდით მიჰყვებოდა ჯემას და წყალს გადაჰყურებდა.

— მე მინდა თქვენ გაიგოთ, — თქვა მან უეცრად და უნდობლად შეავლო თვალი ჯემას, — რომ ყველაფერი, რასაც ახლა ვამბობდი, ჩემი ფანტაზიის ნაყოფი იყო. მე ერთი ნაკლი მაქვს — ფანტაზიორობა მიყვარს. მაგრამ ის კი არ მიყვარს, როცა ჩემს ფანტაზიას სერიოზულ ყურადღებას მიაქცევენ ხოლმე.

ჯემამ არ უპასუხა და მათ მდუმარედ განაგრძეს გზა. უფიცის ალაყაფის კართან რომ ჩაიარეს, კრაზანამ გზიდან გადაუხვია და ლობესთან დაგდებულ რაღაც შავ გოროხზე დაიხარა.

— რა დაგემართა, ბიჭუნა? — იკითხა მან და ჯემას გაუკვირდა, როცა უეცრად მისი ალერსით სავსე ხმა მოესმა. — რატომ შინ არ მიდიხარ?

გოროხი გაინძრა და რაღაც უპასუხა ჩუმი, მკვნესარე ხმით. ჯემა მივიდა მათთან და დაინახა ბინძურ ძონძებში გახვეული ექვსი წლის ბავშვი, რომელიც შეშინებული პატარა ნადირივით მიკუნტულიყო ლობესთან. კრაზანა დახრილიყო და ხელს უსვამდა აბურძგვნილ თავზე.

— რა დაგემართა? — ისევ ჰკითხა კრაზანამ და კიდევ უფრო დაბლა დაიხარა, რომ გაეგონა, რას ლუღლუღებდა ბავშვი. — შინ უნდა წახვიდე და ლოგინში ჩაწვე. პატარა ბიჭუნები ღამე ქუჩაში არ უნდა იყვნენ. სულ გაყინულხარ. მომეცი ხელი, წამოდექი, სად ცხოვრობ?

ბავშვს ხელი მოჰკიდა, მისი აყენება მოინდომა, მაგრამ ბიჭუნამ ბულისგამგმირავად წამოიყვირა და მიწაზე დაეშვა.

— რა დაგემართა, რა იყო? — ჰკითხა კრაზანამ და მუხლებზე

Scanned by CamScanner

დაიჩოქა მის გვერდით, — ოჰ, სინიორა, ერთი შეხედეთ!

ბავშვს მხარი და ქუთუკი სისხლში ჰქონდა გასვრილი.

— მითხარი, რა დაგემართა? — განაგრძობდა კრაზანა ალერსიანი ხმით. — დაეცი, არა? გცემა ვინმემ? ეგრეც ვიცოდი. ვინა გცემა?

— ბიჭაჩემმა.

— როდის გცემა?

— ამ დილით. მთვრალი იყო, მე კი... მე...

— შენ კი ამ დროს ხელში მოხვდი. ასე იყო, არა? მთვრალ კაცს უნდა ერიდო, ჩემო ბიჭუნა. მთვრალებს არ უყვართ, როცა მათ ვინმე შეეფეთებათ. რა ვუყოთ ამ პაწაწინას, სინიორა? წამოდი და სინათლეზე მაჩვენე შენი მხარი, ბიჭუნა. კისერზე ხელი მომხვიე, ნუ გეშინია... აი, აგრე.

კრაზანამ ხელში აიყვანა ბავშვი, გადაატარა ქუჩა და ქვის მოაჯირზე დასვა. მერე ამოიღო ჯიბიდან დანა, ბავშვის თავი მკერდზე მიიკრა და გახეული სახელო მარდად ჩამოსჭრა. ჯემას ხელში ეჭირა ბავშვის მტკივნეული ხელი. მას ძალიან ნაცემი და გასიებული ჰქონდა მხარი, მკლავზე კი ღრმა ჭრილობა ეჩნდა.

— როგორ შეიძლებოდა ასეთი პაწაწინა ბიჭის გალახვა? — თქვა კრაზანამ და ხელი ცხვირსახოცით შეუხვია, რომ ჭუჭყიან ქურთუკს არ გაესვარა ჭრილობა, — რა დაგარტყა?

— ცეცხლის საჩხრეკი რკინა. მე მას ერთი სოლდო[72] ვთხოვე, მინდოდა პოლენტა[73] მეყიდა დუქანში, მან კი რკინა დამარტყა.

კრაზანა შეკრთა.

— ჰო, — თქვა მან თანაგრძნობით, — ეგ ძალზე მტკივნეულია.

— მან რკინა დამარტყა, მე კი.... მე გავიქეცი....

— და მას შემდეგ მშიერი დაეხეტები?

პასუხის მაგიერ ბავშვმა ქვითინი მორთო. კრაზანამ ის მოაჯირიდან გადმოსვა.

— არა უშავს, არა უშავს, ჩვენ მოგარჩენთ. ოღონდ სად ვიშოვოთ ახლა ეტლი. ალბათ, ყველა თავმოყრილი იქნება თეატრთან, დღეს იქ დიდი წარმოდგენაა. სინიორა, ძალზე მერიდება ასეთ მდგომარეობაში თქვენი ტარება ქალაქში, მაგრამ...

— აუცილებლად წამოვალ თქვენთან ერთად. თქვენ, ალბათ,

Scanned by CamScanner

დამხმარე დაგჭირდებათ. განა შეძლებთ ისე შორს წაიყვანოთ ბავშვი? ძალიან მძიმე ხომ არ არის?

— არა, სრულიად არა, ნუ შეწუხდებით!

თეატრთან რამდენიმე ეტლი იდგა, მაგრამ ყველა დაკავებული აღმოჩნდა. წარმოდგენა გათავებულიყო და ხალხის დიდი ნაწილი უკვე დაშლილიყო. ზიტას სახელი დიდი ასოებით იყო დაბეჭდილი კედლის აფიშებზე. ზიტა ცეკვავდა იმ საღამოს. კრაზანამ სთხოვა ჯემას, ერთი წუთით დამიცადეთო, მივიდა არტისტების გამოსასვლელ კართან და თეატრის მსახურს მიმართა.

— მადამ რენი უკვე წავიდა?

— არა, ბატონო, — უპასუხა მსახურმა და გაკვირვებით შეხედა კარგად ჩაცმულ კაცს, რომელსაც ხელებზე ესვენა ქუჩის დაძონძილი ბავშვი. — მადამ რენი მალე გამოვა თეატრიდან. აი, ისიც!

ზიტა ახალგაზრდა კავალერიის ოფიცრის ხელზე დაყრდნობილი კიბეზე ჩამოდიოდა. ის თვალისმომჭრელად ლამაზი იყო. მხრებზე მოებურა წითელი ხავერდის ლაბადა, ეცვა სამეჯლისო კაბა და მარცხენა გვერდზე ჩამოკიდებული ჰქონდა სირაქლემას ფრთებისაგან გაკეთებული უშველებელი მარაო. ის გაჩერდა კართან, მაშინვე მოშორდა ოფიცერს და ძალიან გაკვირვებული კრაზანასთან მივიდა.

— ფელიჩე! — შესძახა მან, — ეგ რა გიჭირავთ?

— ეს ბავშვი ქუჩაში ვნახე. ძალიან ნაცემია და თანაც მშიერი. საჭიროა, რაც შეიძლება მალე მივიყვანო შინ და რადგან ეტლი ვერსად ვიშოვე, თქვენი უნდა მათხოვოთ.

— ფელიჩე, თქვენ აპირებთ ეგ საშინელი მათხოვარა თქვენთან წაიყვანოთ? დაუძახეთ პოლიციელს და უბრძანეთ, მიუჩინოს ბინა თავშესაფარში ან სადმე სხვაგან. როგორ შეიძლება ქალაქის ყველა მაწანწალას შინ მიყვანა!

— ბავშვი დაჭრილია, — უკმაყოფილოდ უთხრა კრიზანამ, — თავშესაფარში მისი გაგზავნა ხვალაც შეიძლება. მანამდე კი საჭიროა, ჭრილობა შევუხვიო და პური ვაჭამო.

ზიტას ზიზღისაგან სახე დაემანჭა:

— შეხედეთ, მან თავი მოგადოთ! როგორ ითმენთ ამას, ძალიან ბინძურია!

Scanned by CamScanner

რივარესმა ბრაზით შეხედა.

— ბავშვი მშიერია, — მკვახედ უპასუხა მან, — თქვენ, ალბათ არ იცით, რას ნიშნავს შიმშილი!

— სინიორ რივარეს, — ჩაერია ჯემა, — ჩემი ბინა აქედან ახლოა, იქ წავიყვანოთ ბავშვი და თუ ეტლი ვერ ვიშოვეთ, შემიძლია ღამე ჩემთან დავტოვო.

კრაზანა სწრაფად მოტრიალდა მისკენ.

— თქვენ არ გეზიზღებათ?

— რა თქმა უნდა, არა... საღამო მშვიდობისა, მადამ რენი!

ბოშა ქალმა ცივად დაუკრა თავი, გულმოსულად აიჩეჩა მხრები, მედიდური რხევით წავიდა ეტლისაკენ, რომლის წართმევასაც ახლახან უპირებდნენ.

— მე გამოვგზავნი ეტლს თქვენთვის და ბავშვისათვის, სინიორ რივარეს, — მიუგო ზიტამ და შეჩერდა ეტლის კართან.

— კეთილი, აბა ვეტყვი, სად მივიდეს, — კრაზანა მივიდა მეეტლესთან, მისცა მისამართი და ხელებზე დასვენებული ბავშვით ჯემასთან დაბრუნდა.

დიასახლისის მოლოდინში მყოფ კეტის არ ეძინა და როგორც კი გაიგო, რა მომხდარიყო, გაიქცა ცხელი წყლისა და შესახვევი მასალის მოსატანად.

კრაზნამ ბავშვი სკამზე დასვა, მის წინ დაიჩოქა, სწრაფად გახადა ძონძები, ფრთხილად მობანა და შეუხვია ჭრილობა. როცა მალე ლანგრით ხელში შემოვიდა ჯემა, მას უკვე ებანავებინა ბავშვი და თბილ საბანში გახვეული ეჭირა.

— ახლა შეიძლება ვაჭამო თქვენს პაციენტს? — იკითხა მან და უნებურად გაეღიმა, როცა უცნაური პატარა არსება დაინახა. — მე მას ვახშამი მოვუმზადე.

კრაზანა წამოდგა და თავი მოუყარა ბავშვის ძონძებს.

— როგორ ავურ-დავურიეთ ყველაფერი, — თქვა კრაზანამ. — ეს ძონძები უნდა დავწვათ, ხვალ კი ახალ ტანსაცმელს ვუყიდი. ცოტა კონიაკი არ გექნებათ, სინიორა? რამდენიმე ყლუპი უნდა დავალევინოთ. მე კი, თუ ნებას მომცემთ, წავალ და ხელს დავიბან.

ბავშვმა შეჭამა თუ არა, კრაზანას ქათქათა პერანგს მიეყრდნო

Scanned by CamScanner

და იქვე, მის კალთაში ჩაეძინა. ჯემა დაეხმარა კეტის ოთახის მილაგებაში, მერე ისევ სუფრას მიუჯდა.

— სინიორ რივარეს, სანამ შინ წახვიდოდეთ, მიირთვით რაიმე. თქვენ თითქმის არ გისადილიათ, ახლა კი ძალიან გვიან არის.

— სიამოვნებით დავლევდი ერთ ფინჯან ჩაის. ბოდიშს ვითხოვ, რომ გაწუხებთ ასე გვიან ჟამს.

— არა უშავს რა. ბავშვი დივანზე დააწვინეთ. დაგღალათ. დაიცადეთ, ბალიშზე ზეწარს დავაფენ... რას აპირებთ ხვალ?

— უნდა გავიგო, ჰყავს თუ არა სხვა ნათესავები, გარდა იმ ლოთი ბიძისა. თუ არ ჰყავს, მაშინ ქალბატონ რენის რჩევა უნდა შევასრულო და თავშესაფარში მივცე. უფრო კი აჯობებდა, ქვა ჩამოვკიდო კისერზე და მდინარეში გადავისროლო. მაგრამ ამის ჯამო მე ათასგვარი უსიამოვნება შემხვდება. დაიძინა საბრალომ. რა უბედური ბავშვია! ქუჩაში გადაგდებულ კატაზე უფრო უმანკო!

როდესაც კეტიმ ლანგარი შემოიტანა, ბავშვმა თვალები გაახილა და გაკვირვებით მიმოიხედა. იცნო კრაზანა, თვალი მიაპყრო, როგორც თავის მფარველს, ჩამოცოცდა დივანიდან, დიდი საბნის ნაოჭებში გახლართული წაბარბაცდა და მის გვერდით მოიკალათა. ბავშვი ახლა უკეთ გრძნობდა თავს და ლაპარაკი შეეძლო. ის მიაჩერდა კრაზანას დასახიჩრებულ მარცხენა ხელს, რომელშიაც შაქარლამა ეჭირა და ჰკითხა:

— ეგ რა არის?

— შაქარლამა. შენც გინდა?.. იკმარე, რაც გაჭამეს. ხვალამდე მოითმინე, ჩემო პატარა მეგობარო.

— არა, აი, ეგ! — მან ხელი გაიშვირა და შეეხო კრაზანას მოჭრილ თითებს და დიდ ნაიარევს, რომელიც მას ხელზე აჩნდა.

კრაზანამ მაშინვე მაგიდაზე დადო შაქარლამა.

— აჰ, ამაზე ამბობ! ესეც იგივეა, რაც შენ გაქვს მხარზე. მე დამარტყა ჩემზე უფრო ღონიერმა კაცმა.

— ძალიან გტკიოდა, არა?

— აღარ მახსოვს, მაგრამ ალბათ არა ნაკლებად, ვიდრე სხვა მრავალი. აბა, გასწი ახლა და დაიძინე. უკვე გვიან არის.

როცა ეტლი მოვიდა, ბავშვი ღრმა ძილში იყო. კრაზანამ ფრთხილად აიყვანა და წაიყვანა კიბისაკენ.

Scanned by CamScanner

— დღეს თქვენ ჩემი კეთილი ანგელოსი იყავით, — შეჩერდა კრაზანა კართან და უთხრა ჯემას, — მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, ხელს არ შეგვიშლის მომავალში ბევრჯერ წავეჩხუბოთ ერთმანეთს.

— არავითარი სურვილი არა მაქვს, ვინმეს წავეჩხუბო.

— მე კი სურვილი მაქვს! სიცოცხლე მოსაწყენი იქნებოდა უჩხუბრად. კეთილი ჩხუბი მიწის მადლია. ეს ცირკის წარმოდგენასაც კი სჯობს.

მან წყნარად ჩაიცინა და მზრუნველობით ჩაიყვანა კიბეზე მძინარე ბავშვი.

თავი მეშვიდე

იანვრის პირველ რიცხვებში მარტინიმ მოწვევის ბარათები დააგზავნა ლიტერატურული კომიტეტის ყოველთვიურ კრებაზე დასასწრებად. კრაზანასაგან მან მიიღო ფანქრით დაწერილი მოკლე პასუხი:

„ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ვერ დავესწრები“.

მარტინი ამაზე გაბრაზდა, ვინაიდან მოწვევის ბარათში ეწერა „ძალიან საჭირო საქმეა“. საქმისადმი ასეთი გულცივობა მას თითქმის თავხედობად მიაჩნდა. ამას გარდა, იმ დღეს მიიღო სამი წერილი, რომლებითაც ძალიან ცუდ ამბებს იუწყებოდნენ და ყველაფერს ამას ემატებოდა ისიც, რომ აღმოსავლეთის ქარი ქროდა.

ამ მიზეზების გამო მარტინი ცუდ ხასიათზე იყო, და როდესაც კრების დროს ექიმ რიკარდომ იკითხა: „რივარესი არ არის?“ მარტინიმ გულმოსულად უპასუხა:

— არა. მან ალბათ უფრო საინტერესო ნახა რამე და არ შეუძლია, უკეთ რომ ვთქვათ, არ უნდა მოსვლა.

— მარტინი, ფლორენციაში ყველაზე უფრო თქვენ იცით მიკერძოებული ლაპარაკი, — გაბრაზებით უთხრა გალიმ. — თუ კაცი არ მოგეწონათ, მაშინ გათავდა, ყველაფერს უწუნებთ. როგორ შეუძლია მოსვლა რივარესს, როდესაც ავად არის?

Scanned by CamScanner

— ვინ გითხრათ, რომ ავად არის?

— განა არ იცოდით? ოთხი დღეა, რაც ლოგინიდან არ ამდგარა.

— რა დაემართა?

— არ ვიცი. ხუთშაბათს ჩვენ ერთმანეთი უნდა გვენახა, მაგრამ მან სხვა დროისათვის გადადო ეს შეხვედრა. გუშინ კი, როცა მასთან მივედი, მითხრეს, ავად არისო და არავის მიღება არ შეუძლიაო. მე მეგონა, რომ მასთან რიკარდო იყო.

— მე კი არაფერი არ ვიცოდი. ამ საღამოს მივალ და გავიგებ, ხომ არ სჭირდება რაიმე.

მეორე დილას ფერმკრთალი და დაღლილი რიკარდო ჯემასთან მივიდა. ჯემა იჯდა და მონოტონური ხმით ციფრებს ასახელებდა, ხოლო მარტინი, რომელსაც ცალ ხელში ეჭირა გამადიდებელი შუშა, მეორეში კი წვერწათლილი ფანქარი, წვრილად წერდა ციფრებს წიგნის ფურცლებზე. ჯემამ ანიშნა რიკარდოს — შეჩერდიო, ვინაიდან მან კარგად იცოდა, რომ არ შეიძლება შეაწყვეტინო კაცს, როცა ის შიფრს წერს. რიკარდო ტახტზე ჩამოჯდა, მაშინვე მთქნარება დაიწყო და ძლივს იკავებდა თავს, რომ არ ჩასძინებოდა.

— ორი, ოთხი, სამი, შვიდი, ექვსი, ერთი, სამი, ხუთი, ოთხი, ერთი, — განაგრძობდა ჯემა ერთ ხმაზე, თითქოს მანქანა ყოფილიყო. — აქ თავდება წინადადება, ჩეზარე.

ჯემამ ქინძისთავი ჩაასო იმ ადგილას, სადაც შეჩერდა და რიკარდოს მიუბრუნდა.

— გამარჯობათ, ექიმო, რა დაღლილი სახე გაქვთ! ავად ხომ არა ხართ?

— არა, ოღონდ ძალიან დავიღალე. საშინელი ღამე გავატარე რივარესთან.

— რივარესთან?

— დიახ, მთელი ღამე მის საწოლთან ვიჯექი, ახლა კი საავადმყოფოში უნდა წავიდე. მოვედი გკითხოთ, ხომ არავინ იცით ისეთი, ვისაც შეუძლია რამდენიმე დღით იმორიგეოს მასთან? რივარესი ძალიან ცუდად არის. მე, რა თქმა უნდა, ყველაფერს გავაკეთებ მისთვის, რაც კი შემიძლია. მაგრამ ახლა დრო არა მაქვს, ის კი სასტიკი წინააღმდეგია, რომ მომვლელი დედაკაცი მივუყვანო.

— რა იყო, რა დაემართა?

Scanned by CamScanner

— რაღა არა აქვს! უპირველეს ყოვლისა...

— უპირველს ყოვლისა, ისაუზმეთ თუ არა?

— დიახ, გმადლობთ. მაშ, აი, რივარესის შესახებ: მას უეჭველად გართულება აქვს ნერვიულ ნიადაგზე, მაგრამ ავადმყოფობის მთავარი მიზეზი მაინც ძველი ჭრილობაა, რომლისთვისაც თავის დროზე საჭირო ყურადღება არ მიუქცევია. ერთი სიტყვით, თავისი ჯანმრთელობით ვერ დაიკვეხნის. ჭრილობა, როგორც ჩანს, სამხრეთ ამერიკაში მიიღო. მაშინ არ უმკურნალიათ, როგორც საჭირო იყო. ალბათ სასწრაფოდ, უხეშად და უგულისყუროდ უწამლეს. საკვირველია, როგორ გადარჩა ცოცხალი. ახლა კი ქრონიკული ანთება აქვს, რომელიც პერიოდულად მწვავე ხასიათს ღებულობს და ყოველ უბრალო შემთხვევას შეუძლია ასეთი შეტევა გამოიწვიოს.

— ეგ საშიშია?

— არა... ასეთ შემთხვევაში მთავარ საშიშროებას ის წარმოადგენს, რომ ტკივილისაგან გამწარებულმა ავადმყოფმა შეიძლება მიიღოს საწამლავი.

—მაშასადამე, ძლიერი ტკივილები აქვს?

— აუტანელი! მიკვირს, როგორ ითმენს. იძულებული ვიყავი, ღამით ოპიუმი მიმეცა. საერთოდ მე არ მიყვარს ნერვიული ავადმყოფისათვის ოპიუმის მიცემა, მაგრამ როგორმე ხომ უნდა შემემსუბუქებინა მისი ტანჯვა.

— მაშ მას ნერვებიც დაავადებული აქვს, არა?

— რა თქმა უნდა, მაგრამ საკვირველი ნებისყოფა ჰქონია. სანამ ტკივილისაგან გრძნობა არ დაკარგა, ძალიან მშვიდად ეჭირა თავი. სამაგიეროდ, ღამით ერთი წუთი მოსვენება არ მომცა! და როგორ გგონიათ, როდის გამხდარა ავად? უკვე ხუთი დღეა. მასთან კი სულიერი არავინ იყო, თუ არ ჩავთვლით მის ქარაფშუტა დიასახლისს. ამ დედაკაცმა ისეთი ძილი იცის, თავზე რომ სახლი ჩამოენგრეს, მაინც ვერ გაიღვიძებს. თუმცა კიდევაც რომ ეღვიძოს, მისგან ხეირი არაფერია.

— ის მოცეკვავე ქალი სადღაა?

— თქვენ წარმოიდგინეთ, როგორი საკვირველი ამბავია! ახლოსაც არ იკარებს. რივარესს რაღაც ავადმყოფური შიში აქვს მისი,

Scanned by CamScanner

ვერაფერს გაუგებ მაგ კაცს — ყველაფერი მის ირგვლივ წინააღმდეგობებით არის სავსე. — რიკარდომ საათი ამოიღო, შეფიქრიანებულად დახედა. — საავადმყოფოში დამიგვიანდება, მაგრამ რას იზამ. ამ ერთხელ უმცროსმა ექიმმა დაიწყოს უჩემოდ მუშაობა. სამწუხაროა, რომ აქამდე არ მაცნობეს: ღამ-ღამობით მისი დატოვება არ შეიძლება.

— რატომ არავის არ აცნობა, რომ ავად იყო? — იკითხა მარტინიმ. — მას უნდა სცოდნოდა, რომ უპატრონოდ არ მივატოვებდით.

— ექიმო, როგორ ვერ მოიფიქრეთ, გამოგეგზავნათ ვინმე და გეცნობებინათ, ვიდრე იქ მარტო მჯდარიყავით, — სიტყვა ჩაურთო ჯემამ.

— ჩემო ძვირფასო, მინდოდა, გალისთან გამეგზავნა კაცი, მაგრამ რივარესი ისე გამიწყრა ამის გამო, რომ მაშინვე უარი ვთქვი. ხოლო როცა ვკითხე, ვის მოსვლას ისურვებდა, შეშინებული თვალებით შემომხედა, უეცრად სახე დაიფარა ხელებით და მითხრა: „არ უთხრათ მათ, სიცილს დაიწყებენო.“ მას ეჩვენება, რომ ყველა დასცინის, მაგრამ რის გამო, ვერაფრით ვერ გავიგე: ის სულ ესპანურად ლაპარაკობს. ავადმყოფი ხომ ხშირად ბოდავს რაღაცას.

— ვინ არის ახლა მასთან? — იკითხა ჯემამ.

— არავინ, დიასახლისის და მისი მსახური ქალის გარდა.

— ახლავე წავალ, — თქვა მარტინიმ.

— გმადლობთ. მე კი საღამო ხანს შემოვივლი. მაგიდის ყუთში თქვენ ნახავთ ფურცელს ჩემი ინსტრუქციით, ოპიუმი კი მეორე ოთახში თაროზე დევს. თუ ისევ დაიწყო ტკივილები, მიეცით ოპიუმი, ოღონდ ერთი დოზა, მეტი არა. არავითარ შემთხვევაში მის ახლო არ დატოვოთ შუშა, თორემ ცთუნება მოუვლის და საჭიროზე მეტს მიიღებს...

როდესაც მარტინი ბნელ ოთახში შევიდა, სადაც ავადმყოფი იწვა, უკანასკნელმა სწრაფად მოიხედა მისკენ და სიცხისაგან გახურებული ხელი გაუწოდა.

— ა, მარტინი! თქვენ ალბათ ჩემთან იმისათვის მოხვედით, რომ გამლანძღოთ ცუდი კორექტურისათვის, — დაიწყო მან, — ნუ გამიწყრებით იმის გამო, რომ გუშინ ვერ დავესწარი კომიტეტის კრებას: ვერ ვიყავი ჯანზე და...

Scanned by CamScanner

— რა დროს კომიტეტია: ეს არის რიკარდო შემხვდა, და მოვედი გავიგო ხომ არ გინდათ, დაგეხმაროთ რამეში.

კრაზანას სახე უეცრად გაუქვავდა.

— ოჰ, თქვენ ძალიან კეთილი ხართ, მაგრამ სრულიად ტყუილად გარჯილხართ: მე მხოლოდ ცოტა უქეიფოდ ვარ.

— მეც ასე მითხრა რიკარდომ. მან ხომ მთელი ღამე გაატარა თქვენთან?

კრაზანამ გაბრაზებით იკბინა ტუჩებზე:

— მადლობელი ვარ. ახლა თავს უკეთ ვგრძნობ და სრულიად არაფერი არ მჭირდება.

— კეთილი. მაშ მე დავჯდები მეორე ოთახში. შეიძლება მარტო ყოფნა გირჩევნიათ. კარს ცოტათი გამოვაღებ და, როცა საჭირო იქნება, დამიძახეთ.

— ძალიან გთხოვთ, თავს ნუ შეიწუხებთ. გარწმუნებთ, არაფერი მჭირდება. სულ ტყუილად დაკარგავთ დროს...

— თავი დაანებეთ მაგ სისულელეს! — სიტყვა შეაწყვეტინა მარტინიმ. — თვალს რად მიხვევთ? განა ვერ ვხედავ? დამშვიდდით და ეცადეთ დაიძინოთ.

მარტინი გავიდა მეორე ოთახში, კარი ღია დატოვა, დაჯდა და კითხვა დაიწყო. მალე მან გაიგონა, რომ ავადმყოფი რამდენიმეჯერ გადატრიალდა და შფოთავდა. მარტინიმ დაკეცა წიგნი და ყური მიუგდო. ერთ ხანს სიჩუმე იყო, მერე ისევ გაიგონა ავადმყოფის შფოთვა, გაისმა კვნესა, თითქოს კბილი კბილს დააჭირა, რომ მძიმე ოხვრა ჩაეხშო.

მარტინი ისევ მივიდა ავადმყოფთან.

— ხომ არაფერი გჭირდებათ, რივარეს?

პასუხი ვერ მიიღო და საწოლთან მივიდა.

კრაზანამ, რომელსაც სიკვდილის ფერი გადაკრავდა, ერთი წუთით შეხედა და ნელა გააქნია თავი.

— კიდევ ხომ არ მოგცეთ ოპიუმი? რიკარდომ თქვა, შეიძლება მისი მიღება, თუ ტკივილები გაუძლიერდებაო.

— გმადლობთ, არ მინდა, შემიძლია მოთმენა. შემდეგში შეიძლება ცუდად იმოქმედოს...

მარტინიმ მხრები აიჩეჩა და ლოგინთან ჩამოჯდა. ასე იჯდა

Scanned by CamScanner

ერთი საათი, რომელიც ერთ საუკუნედ მოეჩვენა, და შეჰყურებდა ავადმყოფს. შემდეგ ადგა და ოპიუმი მოიტანა.

— რივარეს, მეტი ცდა შეუძლებელია. როგორც ვხედავ, თქვენ შეგიძლიათ მოთმენა, მე კი აღარ. უნდა მიიღოთ ოპიუმი.

კრაზანამ უსიტყვოდ მიიღო წამალი. შემდეგ გადაბრუნდა და თვალები დახუჭა. მარტინი ისევ დაჯდა და უყურებდა ავადმყოფს, რომლის სუნთქვა თანდათან ღრმა და თანაბარი ხდებოდა.

კრაზანა ისეთი განაწამები იყო, რომ დიდხანს ეძინა ღრმად. საათი საათს მისდევდა, ის კი არ იღვიძებდა. დღის განმავლობაში მარტინიმ რამდენიმეჯერ დახედა ავადმყოფს, საღამოთი კი უფრო დაკვირვებით დააცქერდა გაუნძრევლად მწოლიარეს, მაგრამ სუნთქვის გარდა, არაფერი არ მოწმობდა, რომ ის ცოცხალი არსება იყო. სახე მკრთალად ჰქონდა, როგორც მიცვალებულს: მარტინი უეცრად შიშმა შეიპყრო, ვაითუ ზედმეტი მივაღებინეო, ფიქრობდა ის. კრაზანას საბნის ზევით დარჩენოდა დასახიჩრებული მარცხენა ხელი. მარტინის უნდოდა ავადმყოფის გაღვიძება და ფრთხილად გაანძრია მისი ხელი: შემედეგ გახსნილი სახელო გადაუწია და მთელ ხელზე ნიდაყვამდე დაინახა რამდენიმე ღრმა და საშინელი ჭრილობა.

— რა საშინელი შესახედავი იქნებოდა ეს ხელი, როცა ჭრილობები ახალი იყო! — მოესმა უეცრად უკნიდან რიკარდოს ხმა.

— თქვენც მოხვედით? მითხარით რიკარდო, განა შეიძლება ასე დიდხანს ძილი? ოპიუმი ათი საათის წინ მივეცი და მას აქეთ ერთი კუნთიც არ გაუნძრევია.

რიკარდო დაიხარა და ყური დაუგდო სუნთქვას:

— არა უშავს, თანაბრად სუნთქავს. ეს უბრალოდ იმიტომაა, რომ ძალიან დასუსტებულია. ასეთი მტანჯველი ღამის შემდეგ საკვირველიც არაა, შესაძლებელია, დილით ისევ გაუმეორდეს ტკივილები. იმედი მაქვს, ღამით ვინმე დარჩება მასთან!

— გალი მორიგეობს, კაცი გამოგზავნა, ათ საათზე მოვალო.

— მალე ათიც შესრულდება... შეხედეთ, იღვიძებს! მიიღეთ ზომები, რომ მალე მოიტანონ ცხელი ბულიონი... დამშვიდდით, რივარეს! ასე ნუ იბრძვით, მე ეპისკოპოსი არა ვარ...

Scanned by CamScanner

კრაზანა უეცრად წამოჯდა და შეშინებული თვალებით მიმოიხედა.

— ჩემი გამოსვლის დროა? — აჩქარებით იკითხა მან ესპანურ ენაზე, — ერთი წუთით გაართეთ მაყურებელი საზოგადოება... მეაჰ, რიკარდო ხართ? ვერ გიცანით...

მან ისევ გადაავლო ოთახს თვალი და შუბლზე ხელი გადაისვა, თითქოს დარწმუნებული არ იყო იმის სინამდვილეში, რასაც ხედავდა.

— მარტინი, მე მეგონა, რომ თქვენ დიდი ხნის წასული იყავით. მე ალბათ მეძინა...

— და მერე როგორ! თითქოს მძინარე მზეთუნახავი ყოფილიყავით, შეუწყვეტლივ ათი საათი! ახლა კი შეხვრიპეთ ბულიონი და შემდეგ ისევ დაიძინეთ.

— ათი საათი! მარტინი, ნუთუ ამ დროის განმავლობაში სულ აქ იყავით?

— დიახ, მე შემეშინდა კიდეც, ვაითუ იმაზე მეტი წამალი მივაღებინე, რაც საჭიროა-მეთქი.

კრაზანამ ეშმაკურად ახედა.

— როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ბედმა გიმტყუნათ. რამდენად უფრო მშვიდობიანად და წყნარად ჩატარდებოდა ყოველთვის კომიტეტის კრებები!.. რა საჭიროა ჩემზე ზრუნვა, რიკარდო! თუ ღმერთი გწამთ, დამტოვეთ... არ მიყვარს ექიმები!

— კარგი, კარგი! აი, მხოლოდ ეს მიიღეთ და მერე წავალ, ერთიორი დღის შემდეგ კი ისევ შემოვივლი და გაგსინჯავთ. ჩემი აზრით, კრიზისი გადაიტანეთ. ახლა თქვენ აღარ ჰგავხართ სიკვდილის მოჩვენებას.

— მალე სულ კარგად ვიქნები... მადლობელი ვარ თქვენი. ის ვინ არის? გალი? მგონი, დღეს ჩემთან ყველა გრაციის კრება იმართება.

— ამაღამ მე უნდა ვიყო თქვენთან.

— სისულელეა! საჭირო არაა დარაჯობა. ყველა შინ წადით; ტკივილებმაც რომ ისევ მომიაროს, თქვენ მაინც ვერაფერს მიშველით. ოპიუმს კი ამიერიდან აღარ მივიღებ. ის სასარგებლოა მხოლოდ ერთხელ-ორჯერ.

Scanned by CamScanner

— სამწუხაროდ თქვენ მართალს ამბობთ, — თქვა რიკარდომ. — მაგრამ ყოველთვის ადვილი არაა ამის შესრულება ცხოვრებაში.

კრაზანამ შეხედა მას და გაიღიმა.

— ნუ გეშინიათ. მე რომ ეგ მდომოდა, ვიზამდი კიდეც.

— ყოველ შემთხვევაში, მარტო ვერ დაგტოვებთ, — ცივად უპასუხა რიკარდომ. — გალი, ერთი წუთით მეორე ოთახში გამომ-ყევით: მოსალაპარაკებელი მაქვს თქვენთან. წავიდეთ, მარტინი, ღამე მშვიდობისა, რივარეს! ხვალ გნახავთ.

მარტინიმ დააპირა გაჰყოლოდა მას, მაგრამ უეცრად ჩუმი ხმა მოესმა. კრაზანამ მას ხელი გაუწოდა.

— მადლობელი ვარ, მარტინი!

— მადლობა რა საჭიროა! ღამე მშვიდობისა, კარგად იყავით!

რიკარდო წავიდა, მარტინი კი მეზობელ ოთახში დარჩა გალის-თან სალაპარაკოდ. შემდეგ, როცა სახლიდან გადიოდა, დაინახა, რომ ბალის ჭიშკართან გაჩერდა ეტლი და იქიდან ქალი გადმოვიდა. ზიტა იყო. ის ალბათ რომელიღაც საღამოდან ბრუნდებოდა. მარ-ტინი ქუდის მოხდით მიესალმა, გზა დაუთმო და მერე ქუჩას გაჰყვა. მაგრამ არ გადაუდგია ორი ნაბიჯიც, რომ ისევ გაიღო ჭიშკარი და აჩქარებული ნაბიჯით ვიღაცამ გამოსდია.

— დაიცადეთ ერთი წუთით! — მოისმა ზიტას ხმა.

როგორც კი მარტინი მოტრიალდა, ზიტა შეჩერდა, შემდეგ კი თითქოს გული უღონდებაო, ისე გაჰყვა მესერს და მარტინისთან მივიდა. ქუჩის ბოლოში დადგმულ ერთადერთი ფანრის მკრთალ სინათლეზე მან დაინახა, რომ ქალი მიდიოდა თავდახრილი, თითქოს რცხვენოდა რაღაცისა.

— რა მდგომარეობაშია ის? — თავაუღებლად იკითხა ზიტამ.

— ბევრად უკეთესად არის, ვიდრე დილით. თითქმის მთელი დღე ეძინა და სახის გამომეტყველბაც უკეთესი აქვს. შეტევა, მგონი, დასრულდა.

— ძალიან ცუდად იყო?

— ისე ცუდად, რომ მგონი უარესი წარმოუდგენელია.

— მეც აგრე ვიფიქრე. როცა ნებას არ მაძლევს ხოლმე მივიდე, ეს იმას ნიშნავს, რომ ძალიან ცუდად არის.

Scanned by CamScanner

— ხშირად უვლის ასეთი შეტევები?

— — როგორ გითხრათ... დროდადრო ემართება. მთელი ზაფხული შვეიცარიაში ჯანმრთელად იყო, მაგრამ შარშან ზამთარში — ჩვენ მაშინ ვენაში ვცხოვრობდით — რაღაც საშინელი ემართებოდა. მთელი დღეების განმავლობაში ახლოს არ მიკარებდა. ჩემი დანახვა არ შეუძლია, როცა ავად არის. ყოველთვის, როგორც კი შეტევის მოახლოებას იგრძნობდა, მოტყუებით მაგზავნიდა ან კონცერტზე, ან სადმე სხვაგან, თვითონ კი ოთახში ჩაიკეტებოდა. მე ჩუმად, ფეხაკერეფით მივიპარებოდი ხოლმე მისი ოთახის კართან და იქვე ჩამოვჯდებოდი. ხანდახან მთელი დღეები ვმჯდარვარ ასე. მას რომ გაეგო, ძალიან გამიჯავრდებოდა. როცა ძაღლი წკმუტუნებს ხოლმე მისი ოთახის წინ, უშვებს და მე კი არა. ალბათ ძაღლი უფრო ძვირად უღირს...

ზიტა ლაპარაკობდა უცნაური, კუშტი, ნაწყენი კილოთი.

— იმედი მაქვს, ახლა უკეთ იქნება, — რბილად თქვა მარტინიმ, — ექიმმა რიკარდომ სერიოზულად მოჰკიდა საქმეს ხელი. იქნება შესძლოს და სავსებით განკურნოს კიდეც. ყოველ შემთხვევაში, ახლა ისე ალარ იტანჯება. სხვა დროს მაშინვე შეგვატყობინეთ. ავადმყოფი ასე არ დაიტანჯებოდა, ჩვენ რომ უფრო ადრე მივსულიყავით მასთან. ღამე მშვიდობისა!

მარტინიმ ხელი გაუწოდა, მაგრამ ქალმა სწრაფად დაიხია უკან.

— ნეტა ვიცოდე, რაში გჭირდებათ ხელი ჩამოართვათ მის საყვარელს!

— როგორც გნებავდეთ... — ჩაილაპარაკა შემკრთალმა მარტინიმ.

ზიტამ ფეხები დააბაკუნა.

— მე თქვენ მეზიზღებით, — შესძახა მან და მისმა თვალებმა ნაკვერცხლებივით გამოანათეს, — მეზიზღებით ყველანი! თქვენ მასთან დადიხართ, რომ პოლიტიკის შესახებ ესაუბროთ, ისინი გრთავთ მთელი ღამეები იჯდეთ მის გვერდით და მიაწოდოთ ხოლმე წამალი; მე კი კარის ჭუჭრუტანიდანაც ვერ გამიბედავს შეხედვა! რა არის ის თქვენთვის? რა უფლებით გინდათ წამართვათ? მეზიზღებით! მეზიზღებით! მეზიზღებით!

Scanned by CamScanner

ქალმა უეცრად ქვითინი მორთო, გაიქცა სახლისკენ და, რაც ძალა ჰქონდა, მარტინის ცხვირწინ მიუჯახუნა ჭიშკარი.

„ესეც კაი ამბავია! — ფიქრობდა ბნელი ქუჩით მიმავალი მარტინი, — როგორც ჩანს, ამ ქალს ძალიან უყვარს, აი, საოცრება!“

თავი მერვე

კრაზანამ მალე მოიკეთა. ერთი კვირის შემდეგ, როდესაც რიკარდომ შეიარა ავადმყოფის სანახავად, ნახა ის ტახტზე მჯდომარე ოსმალურ ხალათწამოსხმული. მასთან იყვნენ მარტინი და გალი. ავადმყოფმა სურვილი გამოთქვა, ბაღში გასულიყო ჰაერზე, მაგრამ რიკარდომ მხოლოდ გაიცინა და ჰკითხა, უკეთესი ხომ არ იქნებოდა, ფიეზოლეს ველზე გაგესეირნათო?

— ან იქნებ გრასინისთან სადარბაზოდ მისვლას ამჯობინებთ? — დაუმატა მან გესლიანად. — დარწმუნებული ვარ, ქალბატონი გრასინი აღტაცებით შეგხვდებათ, მით უფრო ახლა, როცა ასეთი მკრთალი და მინაზებული სახე გაქვთ.

კრაზანამ ტრაგიკულად შემოჰკრა ტაში.

— ბატონებო, მე კი ამაზე არც მიფიქრია, ქალბატონ გრასინის ვეგონები ვინმე წამებული იტალიელი და პატრიოტიზმის შესახებ დამიწყებს ლაპარაკს. იძულებული გავხდები, თავი მოვიკატუნო და ვუამბო, რომ მიწისქვეშა ციხეში ნაკუწ-ნაკუწად დამჩეხეს და რომ შემდეგ ძალიან ცუდად შემაკოწიწეს. ის მოისურვებს ზუსტად გაიგოს, რას განვიცდიდი ამ დროს. ნაძლევს დავდებ, რომ არ გამიჭირდება და დავაჯერებ ყველაფერში, რასაც კი მოვჩმახავ. დავნაძლევდეთ? თუ წავაგე, მოგცემთ ჩემს ინდურ ხანჯალს, თქვენგან კი მივითხოვ სპირტში ჩადებულ სოლიტერს, რომელიც თქვენს კაბინეტში გაქვთ შენახული. დათანხმდით, ხელსაყრელი პირობებია.

— გმადლობთ, მაგარმ მე არ მიყვარს მომაკვდინებელი იარაღი.

— სოლიტერიც ჰკლავს ადამიანს და ისიც არ არის ლამაზი სანახავად.

— ყოველ შემთხვევაში, ჩემო მეგობარო, ხანჯალი არ მინდა, სოლიტერი კი ჩემთვის საჭიროა... ახლა იძულებული ვარ წავიდე,

Scanned by CamScanner

სხვაგან მიმეჩქარება... მარტინი, თქვენ რჩებით ჩვენი მოუსვენარი პაციენტის მოსავლელად?

— დიახ, ოღონდ მხოლოდ სამ საათამდე. სამი საათიდან აქ იქნება სინიორა ბოლა.

— სინიორა ბოლა? — თითქმის შიშით გაიმეორა კრაზანამ. — არა, მარტინი, ეს შეუძლებელია! მე არ დავუშვებ იმას, რომ ქალმა თავი შეიწუხოს ჩემი ავადმყოფობის გამო. ან სად უნდა მივიღო? ოთახში ასეთი არეულობაა.

— რამდენი ხანია, რაც ასეთი გულმოდგინებით იცავთ ეტიკეტს? — სიცილით ჰკითხა რიკარდომ: — სინიორა ბოლა ჩვენი მთავარი მომვლელი ქალია. ჯერ კიდევ მაშინ, როცა მოკლე კაბით დადიოდა, უკვე მშვენივრად უვლიდა ავადმყოფებს. მაგაზე უკეთესი მოწყალების და მე არ მეგულება. „აქ ასეთი არეულობაა!“ ბატონი გრასინების ჯიშისა ხომ არ გგონიათ ბოლა? მარტინი, მაშ სინიორა ბოლა თუ მოვა, მას დარიგება არ სჭირდება. უჰ, უკვე სამის ნახევარი ყოფილა! ჩემი წასვლის დროა.

— აბა, რივარეს, მიიღეთ წამალი იმის მოსვლამდე, — თქვა გალიმ და ჭიქით ხელში ავადმყოფს მიუახლოვდა.

— ჯანდაბას ეგ წამალი!

უკეთობაში წასული კრაზანა, როგორც ყველა ავადმყოფი ამ ხანაში, განსაკუთრებით ჭირვეული იყო და თავის ერთგულ მომვლელებს ბევრს აწვალებდა.

— რატომ მჭყიპავთ ათასგვარი სისაძაგლით, როცა ტკივილებმა უკვე გამიარა?

— სწორედ იმისათვის, რომ აღარ განმეორდეს. ან იქნებ გინდათ იმ დროს გაგიახლდეთ ტკივილები, როცა აქ მოვა სინიორა ბოლა, რომ იძულებული გახდეს ოპიუმი გაძლიოთ?

— მ-მოწყალეო ხელმწიფევ! თუ ტკივილები უნდა განახლდეს, ის ისედაც განახლდება. ეს კბილის ტკივილები არ გეგონოთ, რომელსაც თქვენი საზიზღარი მ-მიქსტურები აყუჩებენ. თქვენს წამლებს ისეთივე სარგებლობა მოაქვს, როგორც ბავშვის სათამაშო ტუმბოს ხანძრის დროს. კეთილი, ხელს არ შეგიშლით, შევასრულებ თქვენს ბრძანებას.

კრაზანამ მარცხენა ხელით გამოართვა ჭიქა. ამ ხელზე დანახულ-

Scanned by CamScanner

მა ჭრილობებმა გალის მოაგონა საუბარი, რომელიც რამდენიმე ხნის წინათ ჰქონდათ.

— ჰო, მართლა, — იკითხა მან, — სად მიიღეთ ამდენი ჭრილობა? ალბათ, ომში, არა?

— აკი გითხარით, რომ საშინელ მიწისქვეშეთში ჩამსვეს და...

— ვიცი. მაგრამ ეგ ვარიანტი სინიორა გრასინის გასართობად გამოდგება... არა, მართალი მითხარით, ბრაზილიის ომში ხომ არა?

— დიახ, ნაწილობრივ ომში; ნაწილობრივ ველურ ადგილებში ნადირობის დროს... იქაც და აქაც ბლომად მერგო.

— სამეცნიერო ექსპედიციაში ყოფნის დროს, არა? შეგიძლიათ დაუშვათ სახელო. მე გავათავე. ის დრო ალბათ ძალიან მღელვარე იყო თქვენს ცხოვრებაში?

— ველურ ქვეყანაში, რა თქმა უნდა, ადამიანს ათასგვარი თავგადასავალი ელის, — გულგრილად თქვა კრაზანამ. — და ის ამბები, უნდა გამოვტყდე, ხშირად სასიამოვნო მოსაგონარი არ არის.

— მაინც მიკვირს, როგორ მოახერხეთ ამდენი ჭრილობის მიღება... იქნებ ტყის ნადირს ხელდახელ ებრძოდით? აი, მაგალითად, ყველა ეგ ნაიარევი მარცხენა ხელზე.

— ო, ეს მოხდა პუმაზე ნადირობის დროს. ერთხელ უეცრად წავაწყდი...

კარზე კაკუნი გაისმა.

— მარტინი, ყველაფერი მილაგებულია ოთახში? მაშ, გთხოვთ, კარი გაუღოთ... თქვენ ძალიან გულკეთილი ხართ, სინიორა... მაპატიეთ, რომ ვწევარ.

— არც უნდა ადგეთ. სადარბაზოდ კი არ მოვსულვარ თქვენთან... ჩეზარე, მე განზრახ მოვედი უფრო ადრე. ვიფიქრე, ეჩქარება-მეთქი.

— არა, კიდევ თხუთმეტი წუთი დრო მაქვს. მომეცით თქვენი წამოსასხამი, მეორე ოთახში დავკიდებ. შეიძლება კალათაც იქ შევიტანო?

— ოლონდ ფრთხილად, შიგ ახალი კვერცხებია. კეტიმ მოიტანა დილას მონტე ოლივეტოდან. აქ საშობაო ვარდებიც არის თქვენთვის, სინიორ რივარეს. ვიცი, ძალიან გიყვართ ყვავილები.

Scanned by CamScanner

ჯემა ჩამოჯდა მაგიდასთან, ყვავილებს ღეროები შეაჭრა და ლარნაკში ჩადგა.

— მაშ როგორ იყო, რივარეს, — დაილაპარაკა ისევ გალიმ, — პუმას რომ შეხვდით?

— ჰო, მართლა! სინიორა, გალის აინტერესებდა სამხრეთ ამერიკის ამბები და მინდოდა მეამბნა, რატომ მაქვს ასე დამახინჯებული მარცხენა ხელი. ეს მოხდა პერუში. პუმაზე ნადირობის დროს მონადირეებმა გადავიარეთ ერთი მდინარე. უეცრად მხეცს წავაწყდი, ჩახმახს ხელი გამოვკარ, მაგრამ თოფმა მიმტყუნა, არ გავარდა: თოფის წამალი წყლისაგან დასველებულიყო. ცხადია, პუმა ლოდინს არ დაიწყებდა, სანამ წამალს გამოვცლიდი და, აი, ამის შედეგიც.

— სასიამოვნო თავგადასავალია! — გაიღიმა გალიმ.

— არც ისე საშიშია, როგორც გგონიათ. ხანდახან უარესიც გადამხდენია, მაგრამ საერთოდ საინტერესო ცხოვრება იყო. აი, მაგალითად, ნადირობა გველებზე...

რივარესი მოჰყვა მრავალ ამბავს არგენტინის, ბრაზილიის ომების, ველურებთან შეხვედრისა და მხეცებზე ნადირობის შესახებ. გალი ბავშვური გატაცებით უსმენდა. როგორც მგრძნობიარე ნეაპოლიტანელს, მას უყვარდა არაჩვეულებრივი ამბების მოსმენა. ჯემამ კალათიდან ამოიღო საქსოვი, სწრაფად ამოძრავებდა თითებს და თან მოუსვენრად იჯდა სკამზე. მას ეჩვენებოდა, რომ კრაზანა ტრაბახობდა.

მარტინი უნებურად თაყვანს სცემდა ამ ადამიანს იმის გამო, რომ საკვირველი ვაჟკაცობით უძლებდა საშინელ ფიზიკურ ტკივილებს. — ამის მოწმე ხომ თვითონ იყო, — მაგრამ მაინც არ უყვარდა კრაზანა. მარტინის არ მოსწონდა არც ის, რასაც აკეთებდა, არც ის, როგორ აკეთებდა.

— აი, ამას ჰქვია ცხოვრება! — თითქოს უშურით წამოიძახა გალიმ, — მიკვირს, როგორ შეძელით ბრაზილიის დატოვება. დარწმუნებული ვარ, ამის შემდეგ შეგზარდებოდათ სხვა ქვეყნები!

— ჩემი ცხოვრების ყველაზე უფრო ბედნიერი ხანა პერუში და ეკვადორში გავატარე, — თქვა კრაზანამ. — მართლაც რომ შშვენიერი ქვეყნებია! მართალია, დიდი სიცხეები იცის, განსაკუთრებით

Scanned by CamScanner

ექვადორის ნაპირების გასწვრივ, და ცხოვრების პირობებიც აქ არის კარგი, მაგრამ სიმდიდრე და ბუნების სილამაზე წარმოუდგენელი და აუწერელია.

— ბუნების სილამაზეზე მეტად მე მხიბლავს განუსაზღვრელი თავისუფალი ცხოვრება იმ ველურ ქვეყანაში. — შენიშნა გალიმ,— აქ ადამიანს მართლაც რომ შეუძლია შეინარჩუნოს თავისი ადამიანური ღირსებები... ჩვენი ქალაქების ცხოვრებას კი არა ჰგავს!

— მართალია, — დაემოწმა კრაზანა, — მაგრამ...

ჯემამ თვალი მოაშორა სამუშაოს და შეხედა. კრაზანას უეცრად ალმურმა გადაჰკრა და წინადადება ვეღარ დაამთავრა. რამდენიმე წუთით სიჩუმე ჩამოვარდა.

— ნუთუ ისევ გეწყებათ შეტევები? — შიშით ჰკითხა გალიმ.

— არა, არაფერია, ყურადღებას ნუ მიაქცევთ... ვიწყევლებოდი, მაგრამ თქვენმა ს-სანელებლებმა მიშველეს... მიდიხართ, მარტინი?

— დიახ. წავიდეთ, გალი, თორემ დავაგვიანებთ.

ჯემა გაჰყვა მათ და მალე დაბრუნდა გოგლიმოგლიანი ჭიქით ხელში.

— დალიეთ, — უთხრა მან ალერსიანი ხმით, ჩამოჯდა მაგიდასთან და ისევ დაიწყო ქსოვა.

კრაზანა უსიტყვოდ დაემორჩილა.

ნახევარი საათის განმავლობაში ჩუმად იყვნენ. ბოლოს კრაზანამ დაბალი ხმით დაიძახა:

— სინიორა ბოლა!

ქალმა შეხედა, კრაზანას თავი დაეხარა და თითებით სწიწკნიდა ტახტის გადასაფარებლის ფოჩებს.

— მითხარით, ხომ არ დაიჯერეთ ის, რაც ახლა მათ ვუამბე?

— ერთი წუთითაც არ მჭონია ეჭვი, რომ ყველაფერი გამოგონილი იყო, — მშვიდად უპასუხა ქალმა.

— არც შემცდარხართ, ყველაფერი სიცრუე იყო.

— ომის ამბებიც?

— ყველაფერი. არასოდეს არ მიმიღია მონაწილეობა ომში! რაც შეეხება ექსპედიციას... იქ, მართალია, ცოტა რაღაც გადამხდა და რაც ვთქვი ამის შესახებ, თითქმის სიმართლე იყო; მაგრამ ჭრილობები სულ სხვა მიზეზის გამო მაქვს. თქვენ დამიჭირეთ ერთ სიც-

Scanned by CamScanner

რუეში და ამიტომ შემიძლია თქვენს წინაშე დანარჩენებიც ვალიარო.

— რატომ ხარჯავთ ტყუილ-უბრალოდ ენერგიას ასეთი ტყუილების გამოგონებაზე? — ჰკითხა ჯემამ. — ჩემი აზრით, საჭირო არაა.

— მაშ რა მექნა? ალბათ გაგიგონიათ თქვენებური, ინგლისური ანდაზა: „ნუ შეეკითხები და მაშინ ტყუილს არავინ გეტყვის“. მე ოდნავადაც არ მსიამოვნებს სხვისი გაპამპულება, მაგრამ ხომ უნდა ვუპასუხო რაიმე, როცა მეკითხებიან, რამ გამხადა ხეიბარი. ძალაუნებურად ტყუილი უნდა ვთქვა. ჰოდა, რახან ტყუილს ვამბობ, ბარემ თავშესაქცევი იყოს. ვერ უყურებდით, გალი როგორი კმაყოფილი იყო.

— სიმართლის თქმას განა ის გირჩევნიათ, რომ გალი გაართოთ?

— სიმართლის თქმა... — კრაზანამ, რომელსაც ხელში ეჭირა გადასაფარებლიდან აგლეჯილი ფოჩი, თვალები მიაშტერა ჯემას. — თქვენ გინდათ, რომ ამ ვაჟბატონებს სიმართლე ვუთხრა? მირჩევნია, ენა მოვიჭრა შანამდე! — ამის შემდეგ საკვირველი მორცხვობით და თან გულფიცხად დაუმატა: — ჯერ არავისთვის არ მიამბნია სიმართლე ჩემ შესახებ, მაგრამ თქვენ კი, თუ ისურვებთ, გიამბობთ.

ჯემამ ხელსაქნარი მუხლებზე დაიწყო. რაღაც სიმწარე, ტკივილების მოზღვავება ჩანდა ამ გულქვა, გულჩახვეულ და არასასიამოვნო მამაკაცის უეცარ გადაწყვეტილებაში გადაეშალა მთელი თავისი გული იმ ქალის წინაშე, რომელსაც ისე ცოტათი იცნობდა და რომელიც, როგორ ჩანდა, არც უყვარდა.

დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ ქალმა ისევ შეხედა. ავადმყოფმა დასახიჩრებული ხელი თვალებზე მიიფარა და დაეყრდნო საწოლთან მდგომ მაგიდას. ქალმა შენიშნა, რომ ხელი დაჭიმული ჰქონდა და სახსართან ნაიარევი ხშირად უკრთოდა, თითები კი ნერვიულად უთამაშებდა. ჯემა მივიდა მასთან და ჩუმად დაიძახა მისი სახელი.

კრაზანა შეკრთა და თავი ასწია.

— მე დ-დამავიწყდა კიდეც, — ენის ბორძიკით დაილაპარაკა მან. მის ხმაში ბოდიში ისმოდა. — მე მ-მინდოდა მეამბნა თქვენთვის...

— თქვენს თავგადასავალზე, თუ... არ ვიცი, რა ვუწოდო მას...

Scanned by CamScanner

თუ იმ უბედურ შემთხვევებზე, როცა ჭრილობები მიიღეთ? მაგრამ თუკი ამის მოგონება ძალიან სამძიმოა თქვენთვის...

— რის შესახებ? იმის შესახებ, თუ როგორ დამასახიჩრეს? ეს უბედური შემთხვევა კი არ იყო, ცეცხლის საჩხრეკი რკინით მცემეს.

ჯემა გაოცებით მიაცქერდა. კრაზანამ აკანკალებული ხელით გადაიგდო შუბლიდან თმა და ქალს ღიმილით შეხედა.

— რად არ დაჯდებით? გთხოვთ, მოსწიოთ სავარძელი ახლოს. ვწუხვარ, რომ მე თვითონ არ შემიძლია მოგაწოდოთ. როგორც კი ის შემთხვევა მომაგონდება, უნებურად გავიფიქრებ: რა ძვირფასი ალმოჩენა ვიქნებოდი რიკარდოსათვის, მას რომ დაეწყო ჩემი ექიმობა მაშინ! მას ხომ, როგორც დასტაქარს, ძალიან უყვარს დამტვრეული ძვლები. მე კი მაშინ მგონი დამტვრეული მქონდა ყველაფერი, რისი გატეხაც კი შეიძლება, გარდა კისრისა.

— და თქვენი ვაჟკაცობისა, — ნაზად ჩაურთო ჯემამ, — მაგრამ იქნებ მისი გატეხვა არც შეიძლება?

კრაზანამ თავი გააქნია.

— არა, ჩემი ვაჟკაცობა შემდეგ დიდის გაჭირვებით შეკოწიწდა, როგორც სხვა ყველაფერი. მაშინ კი ის დამსხვრეული იყო, როგორც ფაიფურის ფინჯანი. სწორედ ეს არის ყველაზე უფრო საშინელი მთელ იმ ამბავში... ჰო, მართლა, მე დავიწყე ცეცხლის საჩხრეკი რკინის შესახებ, ეს იყო... დაიცადეთ, მოვიგონო... ლიმაში... დაახლოებით ცამეტი წლის წინათ. მე უკვე ვთქვი, რომ პერუ მომხიბლავი ქვეყანაა, თუ ცხოვრების საშუალება გააქვთ. მაგრამ იქ ძრაფერია მომხიბლავი იმისათვის, ვინც უგროშოდ დარჩება, როგორც, მაგალითად, მე დავრჩი. მე ჯერ არგენტინაში ვიყავი, შემდეგ ჩილეში. ვხეტიალობდი ამ მხარეში, შიმშილით ვკვდებოდი და ვალპარაისოდან, სადაც შტატის გარეშე მუშად დავდექი ერთ გემზე, რომლითაც პირუტყვები გადაჰყავდათ, ლიმაში ჩავედი. ქალაქში სამუშაო ვერ ვიშოვე და ბედის საძებნელად გემების საამშენებლოში წავედი. დოკები მოთავსებულია კალაოში. როგორც ცნობილია, ყველა იმ სანავსადგურო ქალაქებში არის ბინძური უბანი, სადაც მეზღვაურები იყრიან თავს. აქ დავდექი მსახურად ქალალდის სათამაშო სახლში. მე უნდა ვყოფილიყავი მზარეულად, უნდა მოვხმარებოდი მეზღვაურებსა და მათ ქალებს და მრავალი სხვა რამეც

Scanned by CamScanner

გამეკეთებინა. საქმე მაინც და მაინც სასიამოვნო არ იყო, მაგრამ კმაყოფილი ვიყავი, რომ საარსებო საშუალება ვიშოვეო. ალარ შეიო. და, ადამიანის სახეს ვხედავდი და ადამიანის ლაპარაკს ვისმენდი. თუ როგორი იყო ეს ხალხი — სხვა საკითხია. შეიძლება თქვათ, რომ მე ბევრი არაფერი მომიგია ამ ბუნაგში მოხვედრის გამო. მაგრამ სწორედ ამის წინ ავად ვიყავი ციებ-ცხელებით და სრულიად მარტო დიდხანს ვიწექი ნახევრად დანგრეულ ქოხში. ამის შემდეგ დაბებადა შიში მარტოობის წინაშე... და აი, ერთხელ ღამით მიბრძანეს, გამეგდო მთვრალი მეზღვაური, რომელიც ჩხუბობდა და ვერ დაამშვიდეს. მეზღვაური იმ დღეს ჩამოსულიყო ნავირზე, წაეგო მთელი თავისი ფული და ცუდ ხასიათზე იყო. მე, რასაკვირველია, ვალდებული ვიყავი, შემესრულებინა ბრძანება, წინააღმდეგ შემთხვევაში გამაგდებდნენ სამუშაოდან და კვლავ შიმშილით ამომხდებოდა სული. მაგრამ მეზღვაური ორჯერ უფრო ღონიერი იყო ჩემზე: მე ის იყო ოცდაერთი წელი შემისრულდა და კნუტივით დასუსტებული ვიყავი ციების შემდეგ. ამას გარდა, მას ხელში ცეცხლის საჩხრეკი რკინა ეკავა... — კრაზანა შეჩერდა და ფარულად ახედა ჯემას. — მას ალბათ ჩემი მოკვლა უნდოდა, მაგრამ როგორც სამხრეთ ამერიკელ მეზღვაურს შეეფერება, თავისი საქმე ისე ცუდად შეასრულა, რომ, თუმცა მე სრულიად დამტვრეული და დაფლეთილი ვიყავი, მაინც ცოცხალი გადავრჩი.

— რას შვრებოდნენ დანარჩენები? რად არ ჩაერიენენ? ნუთუ ყველა შეაშინა ერთმა მთვრალმა მეზღვაურმა?

კრაზანამ შეხედა ქალს და გადაიხარხარა:

— დანარჩენები! იმ ბუნაგის მოთამაშენი და სტუმრები? როგორ არ გესმით, რომ მე ვიყავი მათი მსახური, მათი საკუთრება. ისინი გარშემო შემოგვხვეოდნენ და, რა თქმა უნდა, ტკბებოდნენ სანახაობით. იქ ასეთ შემთხვევებს უყურებენ, როგორც კარგ გასართობს. რა თქმა უნდა, მაშინ, როდესაც გართობის საგანი სხვა არის.

ჯემას გააზრიალა:

— რით დასრულდა ეგ ამბავი?

— ვერ გეტყვით, რით დასრულდა, ვინაიდან ასეთი შემთხვევის შემდეგ ადამიანს პირველ დღეებში არაფერი ახსოვს. მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, ახლოს ყოფილა გემის ექიმი და როცა

Scanned by CamScanner

დარწმუნებულან, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ვიყავი, დაუძახნიათ მისთვის. მან, როგორც იქნა, შემაკოწიწა. რიკარდოს აზრით, ცუდად, მაგრამ შეიძლება მასში პროფესიული შური ლაპარაკობდეს. ასე იყო თუ ისე, როდესაც გონს მოვედი, ვიღაც მორწმუნე მოხუცმა ქალმა შემიბრალა და ქრისტიანული მოწყალების გამო — რა უცნაურად ჟღერს, არა? შემიხიზნა. ახლაც თვალწინ მიდგას ის წელში მოხრილი მოხუცი. კუთხეში იჯდა, აბოლებდა შავ ყალიონს, აფურთხებდა იატაკზე და რაღაცას ბუტბუტებდა. ის კეთილი გულის იყო და დასამშვიდებლად ერთთავად მეუბნებოდა, რომ შეგიძლია ჩემთან გულდამშვიდებით შეხვდე სიკვდილს, ხელს არავინ შეგიშლისო. მაგრამ გადავწყვიტე, მეცოცხლა. ბევრი ვიტანჯე, სანამ სიკვდილს ხელიდან დავუძვრებოდი და ახლა ხანდახან ვფიქრობ, რომ უაზრო იყო ჩემი სურვილი. იმ მოხუცს წარმოუდგენელი მოთმინება ჰქონდა, მე ვიცხოვრე მასთან... ღმერთო მომაგონე... ოთხი თვე, ამ დროის განმავლობაში ლოგინიდან არ ავმდგარვარ, ჯან ვბოდავდი გიჟივით, ხან ვბრაზობდი დათვივით, რომელსაც ყური სტკივა. მართლაც ხომ ძლიერი ტკივილები მქონდა, მე კი ბავშვობიდანვე განებივრებული ვიყავი.

— შემდეგ რა მოხდა?

— შემდეგ... როგორც იქნა, მოვმჯობინდი და მოხუც ქალს გავშორდი. არ იფიქროთ, რომ ეს ზრდილობის გამო ვქენი, რომ არ მინდოდა ბოროტად გამომეყენებინა საწყალი დედაკაცის სტუმართმოყვარეობა. არა, ამას აღარ ვუწევდი ანგარიშს. უბრალოდ აღარ შემეძლო ქოხის ატანა... წელან ჩემს ვაჟკაცობაზე ლაპარაკობდით— აი, მაშინ უნდა გენახათ! ტკივილები მივლიდა ყოველ საღამო ჟამს, როგორც კი დაბინდდებოდა. ნაშუადღევიდან ყოველთვის ვიწექი მარტო და შიშით ვუყურებდი, როგორ ეშვებოდა მზე დაბლა. ოჰ, თქვენ ამას ვერასოდეს ვერ იგრძნობთ! ახლაც არ შემიძლია გულდამშვიდებით ვუცქირო მზის ჩასვლას...

კრაზანა დიდხანს დადუმებული იყო.

— შემდეგ დავიწყე ხეტიალი ერთი კუთხიდან მეორეში: სამუშაოს შოვნის იმედს არ ვკარგავდი. ლიმაში დარჩენა აღარ შემეძლო. იქ უსათუოდ გავგიჟდებოდი... მივაღწიე კუსკოს და იქ... აჰ, რად

Scanned by CamScanner

გიყვებით ამ ძველ ამბავს, მასში არაფერია სახალისო და საინტერესო.

ქალმა მას სერიოზულად შეხედა.

— ნუ ლაპარაკობთ ასეთი ტონით, ძალიან გთხოვთ! — უთხრა მან.

კრაზანამ ტუჩზე იკბინა, კიდევ მოგლიჯა ფოჩი საფენს და ცოტა ხნის შემდეგ იკითხა:

— განა ღირს კიდევ გიამბოთ?

— თუკი... თუკი გსურთ. მაგრამ ვშიშობ, რომ ეს მოგონებანი გულს გიკაწრავენ.

— თქვენ გგონიათ, არ მაწუხებენ, როდესაც გაჩუმებული ვარ? მაშინ კიდევ უფრო უარესად მტანჯავენ. იცოდეთ, მოგონება იმის შესახებ, რაც გადამხდა, იმდენ ტანჯვას არ იწვევს ჩემში, რამდენადაც იმის მოგონება, რომ მაშინ მე დავკარგე ყოველგვარი ძალაუფლება ჩემს თავზე.

— გარკვევით თქვით, არ მესმის, რას ამბობთ...

— მე ვამბობ, მტანჯავს-მეთქი ის, რომ მაშინ დავკარგე მთელი ჩემი ვაჟკაცობა, შეეიქენი მშიშარა.

— კი მაგრამ, ხომ საზღვარი აქვს ადამიანის ამტანობას!

— აქვს, და რაკი ადამიანმა გადააბიჯა ამ საზღვარს და დაეცა, არ შეუძლია იყოს დარწმუნებული, რომ მეორედ არ დაეცემა.

— თქვით, თუ შეგიძლიათ, — გაუბედავად ჰკითხა ჯემამ, — როგორ მოხდა, რომ ოცი წლის ყმაწვილი ისეთ შორეულ ქვეყანაში გადახვეწილი აღმოჩნდით?

— სულ უბრალოდ. მაშინ, სამშობლოში, ჩემ წინ ბრწყინვალე ბომავალი იშლებოდა, მაგრამ მე ყველაფერი დავტოვე და გავიქეცი.

— რატომ?

კრაზანამ ცივად გაიცინა.

— რატომ? ალბათ იმიტომ, რომ ბრიყვი და თავის თავზე დაიზედებული ბიჭი ვიყავი. მე ვიზრდებოდი ძალიან მდიდარ ოჯახში, უსაზღვროდ მანებივრებდნენ და წარმოვიდგინე, მთელი ქვეყანა გაკეთებულია ვარდისფერი ბამბისა და დაშაქრული ნუშისაგან-მეთქი. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს გავიგე, რომ ის, ვისაც მე უსაზღვროდ ვენდობოდი, მატყუებდა. რა დაგემართათ? რად შეკრთით?

Scanned by CamScanner

— არაფერი, განაგრძეთ, განაგრძეთ.

— მე მივხვდი, რომ თვალებს მიხვევდნენ და ძალიან უნდოდათ, ტყუილისადმი რწმენა მქონოდა. აღმოჩენა, რა თქმა უნდა, სულ უმნიშვნელოა, მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, ახალგაზრდა ვიყავი, თავმოყვარე და მწამდა, რომ მატყუარებს ჯოჯოხეთი მოელოდა. ამიტომ მივატოვე ჩემი სახლი და გავიქეცი სამხრეთ ამერიკაში. დავიწყე ცხოვრება უგროშოდ, ესპანური ენის უცოდინარმა, განებივრებულმა ბავშვმა, რომელიც მიჩვეული იყო ყველაფერი მზამზარეულად მირთმეოდა და გალაღებულად ეცხოვრა. შედეგი ის იყო, რომ მოვხვდი ნამდვილ ჯოჯოხეთში. ამან გამკურნა ბავშვობის რწმენისაგან. მე ვიყავი ცხოვრების ფსკერზე, სულ ძირს, როდესაც გამოჩნდა დიუპრეს ექსპედიცია და ამომათრია. ეს მოხდა ხუთი წლის შემდეგ.

— ხუთი წელიწადი! რა საშინელებაა! განა თქვენ არ გყავდათ მეგობრები?

— მეგობრები? — კრაზანა მიბრუნდა ქალისკენ და გაბრაზებით წარმოთქვა: — მეგობრები არასოდეს არ მყოლია...

მაგრამ ერთი წუთის შემდეგ შერცხვა თავისი უკმეხობისა და საჩქაროდ დაუმატა:

— პირდაპირი მნიშვნელობით ნუ გაიგებთ ამას. უნდა გამოვტყდე, რომ ჩემი წარსული ძალიან ბნელ ფერებში დაგისურათეთ. ნამდვილად კი პირველი წელიწადნახევარი არც ისეთი ცუდი იყო: მე ვიყავი ახალგაზრდა, საკმაოდ ღონიერი და ვიმარჯვებდი გასაჭირზე, სანამ იმ მეზღვაურმა არ დამაჩინა საუკუნო დაღი. ამის შემდეგ ძნელი გახდა სამუშაოს შოვნა. საოცარია, როგორი სრულყოფილი იარაღი ყოფილა ცეცხლის საჩხრეკი რკინა მცოდნე ხელებში. დასახიჩრებულს კი, ცხადია, არავინ დამიქირავებდა!

— მაშ რას აკეთებდით?

— რასაც შევიძლებდი. ერთხანად მორბედად ვიყავი ზანგებთან, რომლებიც შაქრის პლანტაციებზე მუშაობდნენ: უნდა მიმეტანა და მიმერთმია მათთვის ის, რასაც მიბრძანებდნენ. მაგრამ ზედამხედველები ყოველთვის მდევნიდნენ. კოჭლობის გამო არ შემეძლო ჩქარა სიარული და არც დიდი სიმძიმის აწევა. ამას გარდა, ტკივილები ხშირად მივლიდა. პლანტაციებიდან გადავედი ვერცხლის მაღა-

Scanned by CamScanner

როებში იმ იმედით, რომ იქ სამუშაოს ვიშოვიდი. მაგრამ ვერც იქ ვიშოვე: მმართველები ყოველთვის დამცინოდნენ, როცა სამუშაოს სათხოვნელად მივმართავდი, მუშები კი მასხრად მიგდებდნენ.

— რატომ?

— ასეთია, ალბათ, ადამიანის ბუნება. ისინი ხედავდნენ, რომ მხოლოდ ერთ ხელს ვამოძრავებდი და ამიტომ დამცინოდნენ. ბოლოს იმედი გადამიწყდა და დავიწყე ხეტიალი ბედის საძებნელად.

— ხეტიალი? მტკივანი ფეხით?

კრაზანამ უეცრად მიაპყრო თვალები, მას სულის მოთქმა ეძნელებოდა, ყელში რაღაც უჭერდა.

— მე... მე მშიერი ვიყავი, — თქვა მან და შესაბრალისად გაიღიმა.

ქალმა თვალი აარიდა და ნიკაბით დაეყრდნო ხელებს. რამდენიმე წუთის დუმილის შემდეგ კრაზანამ ისევ დაიწყო ლაპარაკი სულ უფრო და უფრო დაბალ ხმაზე.

— ვხეტიალობდი დაუსრულებლად, სანამ რეტი არ დამესხმებოდა. მაგრამ მაინც ვერაფერს ვშოულობდი. გადავედი ეკვადორში; იქ კიდევ უარესი იყო. ხანდახან ვშოულობდი მცირე სარჩილავ სამუშაოს, — მე ხომ კარგი მრჩილავი ვარ. იყო შემთხვევა, რომ საღორეს გამოსაწმენდადაც დამიქირავეს, ხანდახან კი... არ ღირს ამის გახსენება. და აი, ერთხელ...

მისი გამხდარი, მუქი ფერის ხელი უეცრად მოიკუმშა. ჯემამ შიშით შეხედა. კრაზანა ქალს მისჩერებოდა, და ჯემამ შენიშნა, რომ ავადმყოფის საფეთქელზე ძარღვი ფეთქავდა აჩქარებით.

ჯემა დაიხარა და ნაზად მოჰკიდა ხელი.

— მეტს ნუ ილაპარაკებთ, ძნელია თქვენთვის ამის მოგონება.

კრაზანა დააცქერდა ქალის ხელს, გააქნია თავი და მტკიცე ხმით განაგრძო:

— და ერთხელ, მე წავაწყდი მოხეტიალე ცირკს. გახსოვთ ის ცირკი, ერთად რომ ვიყავით? აი, იმდაგვარი, მხოლოდ უფრო უარესი, უფრო ვულგარული პროგრამაში, რა თქმა უნდა, ხარების ბრძოლაც შედიოდა. დასი ღამის გასათევად დიდი გზის პირას დაბინავდა. მე მივედი კარავთან მოწყალების სათხოვნელად. ძალიან ცხელოდა. შიმშილისაგან ძალა მელეოდა და კარავში შესასვლელთან გონება-

Scanned by CamScanner

წასული წავიშეცი. იმ დროს ხშირად მიწუხდებოდა გული და უგრძნობლად ვეცემოდი, როგორც კორსეტში გამოჭიმული ინსტიტუტელი ქალი. შემათრიეს კარავში, დამალევინეს არაყი, მაჭამეს და მეორე დღეს წინადადება მომცეს...

კრაზანა შეჩერდა.

— მათ სჭირდებოდათ ქონდრის კაცი, კუზიანი ან სხვა სახის მახინჯი, რათა მისთვის ფორთოხლის და ბანანის ნაფცქვენები ესროლათ ხალხის გასართობად. ხომ ნახეთ იმ საღამოს კუზიანი? აი, სწორედ მეც იმ მოვალეობას ვასრულებდი ორი წლის განმავლობაში, ვისწავლე რამდენიმე სახუმარო ნომერი. მაგრამ პატრონს მოეჩვენა, რომ საკმაოდ დამახინჯებული არ ვიყავი და ნაკლი გამოასწორეს: გამიკეთეს ხელოვნური კუზი და შეეცადნენ, ყოველნაირად ესარგებლათ ჩემი კოჭლი ფეხით და დასახიჩრებული ხელით. ჩემი ტაკიმასხრული ტანსაცმელი კიდევ უფრო სრულ შთაბეჭდილებას ქმნიდა. მთავარი უხერხულობა ის იყო, რომ ხშირად ავად ვიყავი და არ შემეძლო სცენაზე გამოსვლა. ხანდახან კი ცირკის პატრონი თუ ცუდ ხასიათზე იყო, მოითხოვდა, მაინც გავსულიყავი და ასეთ საღამოებზე ხალხი უფრო კმაყოფილი რჩებოდა. მახსოვს, ერთხელ ძლიერი ტკივილები მქონდა. გავედი არენაზე და, წარმოდგენის დროს გრძნობადაკარგული დავეცი. როდესაც გონს მოვედი, მთელი ხალხი ჩემს გარშემო შეგროვილი დავინახე, ყველანი ყვაროდნენ, ჰკიოდნენ, რაღაცას მესროდნენ.

— კმარა! მეტის გაგონება არ შემიძლია! კმარა, ღვთის გულისათვის! — ჯემა ადგა და ყურებზე ხელები მიიჭირა.

კრაზანა გაჩუმდა, შეხედა ქალს და მის თვალებზე ცრემლები დაინახა.

— ეშმაკმაც წაიღოს ჩემი თავი, იდიოტი ვარ! — წაიბუტბუტა მან.

ჯემა მივიდა ფანჯარასთან და რამდენიმე წუთის განმავლობაში არ მობრუნებულა. როდესაც მოტრიალდა, დაინახა, რომ კრაზანა ისევ იჯდა. დაყრდნობოდა მაგიდას და თვალები ხელით დაეფარა. ჯემა გვერდით ჩამოუჯდა. დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ ქალმა წყნარად დაილაპარაკა:

— მე მინდა გკითხოთ...

Scanned by CamScanner

— რა? — თქვა ვაჟმა ისე, რომ არ განძრეულა.

— რად არ გამოიჭერით მაშინ ყელი?

კრაზანამ გაკვირვებით შეხედა:

— არ მოველოდი თქვენგან ასეთ კითხვას! ჩემი საქმე? ვინ გააკეთებდა მას ჩემ მაგიერ?

— თქვენი საქმე... აჰ, მესმის და არც კი გრცხვენიათ, როდესაც თქვენი სიმხდალის შესახებ ლაპარაკობთ. გაიარეთ ასეთი საშინელი გზა და მაინც არ დაივიწყეთ თქვენი საქმე! თქვენ ხართ ისეთი გმირი, რომლის მსგავსი მე არასოდეს მინახავს!

კრაზანამ კვლავ აიფარა ხელი სახეზე და მაგრად მოუჭირა ჯემას თითებზე. დიდი ხნით ჩამოვარდა სიჩუმე.

უეცრად ბაღიდან მოისმა მხიარული ფრანგული ჰანგი, რომელსაც ძლიერი სუფთა სოპრანო მღეროდა:

Eh, Pierrôt! Danse, Pierrôt!
Danse un peu, mon pauvre seannot!*

პირველი სიტყვების გაგონებისთანავე კრაზანამ ყრუ კვნესით ერთბაშად უკან დაიხია, მაგრამ ჯემამ ხელი მოჰკიდა და ისე მაგრად მოუჭირა, როგორც ჭაბიმე ოპერაციის დროს მოუჭერენ ხოლმე ავადმყოფს, თითქოს ტკივილის შესამსუბუქებლად.

როდესაც სიმღერა შეწყდა და ბაღიდან სიცილი და ტაში მოისმა, კრაზანამ დაჭრილი, საცოდავი პირუტყვივით შეხედა ჯემას:

— ჰო, ეს ზიტაა, — ნელა თქვა მან, — თავის მეგობრებთან ერთად. ჩემთან მოსვლა უნდოდა იმ საღამოს, როცა პირველად მინახულა რიკარდომ. მაგრამ გავგიჟდებოდი, ის რომ ხელით შემხებოდა.

— კი, მაგრამ მას ხომ არ ესმის ეს, — თავაზიანად უპასუხა ჯემამ. — მას ეჭვიც არ ეპარება, რომ მასთან ყოფნა თქვენში ტკივილებს იწვევს.

ბაღიდან ისევ მოისმა ხარხარი. ჯემა ადგა და ფანჯარა გამოაღო. ბაღის შუა ადგილას ბილიკზე იდგა ზიტა. თავზე კეკლუცად ებურა ოქრომკედით ნაქსოვი შარფი და ხელში იების კონა ეკავა, რომლის

* ჰეი, პიერო, იცეკვე, პიერო!
ცოტაც იცეკვე, ჩემო საბრალო ჟანოტ! (ფრანგ.)

Scanned by CamScanner

დაპატრონებისათვის ერთმანეთს ეცილებოდა სამი ახალგაზრდა კავალერისტი ოფიცერი.

— მადამ რენი! — დაიძახა ჯემამ.

ზიტას სახე მოეღრუბლა.

— რა გნებავთ, ქალბატონო? — იკითხა მან, მობრუნდა და გამომწვევად შეხედა.

— სთხოვეთ თქვენს მეგობრებს ნუ ხმაურობენ, სინიორ რივარესი ძალიან ავად არის.

ბოშა ქალმა იების კონა მიწაზე დააგდო.

— Allez-vous-en, — ერთბაშად მობრუნდა ის და შესძახა გაოცებულ ოფიცრებს, — vous m'embêtez, messsieurs**. — ზიტა გავიდა ბალიდან.

ჯემამ ფანჯარა მოხურა.

— წავიდნენ, — უთხრა მან კრაზანას.

— გმადლობთ. ბოდიშს ვითხოვ, რომ შეგაწუხეთ.

— აბა, ეს რა შეწუხებაა...

კრაზანამ უმალვე გაუპედაობა იგრძნო ქალის ხმაში და უთხრა:

— თქვენ არ დაგიმთავრებიათ წინადადება, სინიორა ბოლა. რაღაც „მაგრამ" დაგრჩათ უთქმელი.

— თუკი თქვენ შეგიძლიათ სხვისი აზრების წაკითხვა, მაშინ ნუ გეწყინებათ, რა თქმა უნდა, მე არ უნდა ვერეოდე ამ ამბებში, მაგრამ ვერაფრით ვერ გავიგე...

— რატომ მეზიზღება მადამ რენი? ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როცა მე...

— ეგ კი არა, ვერ გამიგია, რატომ არ შეწყვეტთ მასთან კავშირს, თუკი აგრე გეზიზღებათ. ჩემი აზრით, ეს ამცირებს მას, როგორც ქალს და...

— როგორც ქალსაო? — კრაზანამ გადაიხარხარა. — თქვენ მას უწოდეთ ქალი?

— როგორ არა გრცხვენიათ, — უთხრა ჯემამ. — თქვენ უფლება არა გაქვთ ეგრე ილაპარაკოთ მის შესახებ სხვის წინაშე... მით უფრო, სხვა ქალის წინაშე!

** მიბრძანდით, თქვენ თავს მაბეზრებთ, ბატონებო!

Scanned by CamScanner

კრაზანა თვალგახელილი იწვა და ფანჯრიდან უყურებდა ჩამავალ მზეს. ჯემამ ფარდა ჩამოუშვა და დარაბა მოხურა, რომ მას მზის ჩასვლა არ დაენახა, შემდეგ ჩამოჯდა ფანჯარასთან დადგმულ მაგიდასთან და ისევ ქსოვა დაიწყო.

— ლამპა ხომ არ ავანთო? — იკითხა მან რამდენიმე წუთის შემდეგ.

კრაზანამ თავი გააქნია.

როცა იმდენად დაბნელდა, რომ ქსოვა შეუძლებელი შეიქნა, ჯემამ შეახვია სამუშაო და კალათაში ჩადო. ერთ ხანს მუხლებზე ხელებდაწყობილი იჯდა და მდუმარედ შეჰყურებდა უძრავად მწოლარე ავადმყოფს. საღამოს მკრთალი სინათლე ანათებდა კრაზანას სახეს, ლმობიერს ხდიდა მის მკაცრ, დამცინავ, ამაყ გამომეტყველებას და უფრო მკაფიოდ გამოსახავდა ტრაგიკულ ნაოჭებს ტუჩის გარშემო.

აზრების გასაკვირველი ასოციაციით ქალს უეცრად მოაგონდა ქვის ჯვარი, რომელიც მამამისმა გააკეთებინა არტურის სახსოვრად, და წარწერა მასზე:

„ყველა შენმა ტალღამ და ქარიშხალმა ჩემს თავზე გადაიარა“.

სიჩუმე ერთი საათის განმავლობაში არ დაურღვევიათ. ბოლოს ჯემა ადგა და ოთახიდან ნელა გავიდა. როდესაც ანთებული ლამპით უკან დაბრუნდა, კართან შეჩერდა, რადგან ეგონა, ავადმყოფმა დაიძინაო. მაგრამ როგორც კი კრაზანას თვალებში სინათლე მოხვდა, ის გადმობრუნდა.

— ყავა დაგიმზადეთ! — უთხრა ჯემამ და ლამპა მაგიდაზე დადგა.

— გთხოვთ, სადმე დადგათ და ჩემთან მოხვიდეთ.

მან ორივე ხელით დაიჭირა ქალის ხელები.

— იცით, რაზე ვფიქრობდი? თქვენ სავსებით მართალი ხართ. ჩემი ცხოვრება დამახინჯებულია. მაგრამ გახსოვდეთ, რომ ისეთი ქალი, რომელიც ღირსია ნამდვილი სიყვარულისა, ასე ადვილად არ ხვდება კაცს. მე კი იმდენი საშინელება გადავიტანე! მე მეშინია...

— რისი?

— სიბნელის. ხანდახან მარტო ვერც კი ვრჩები ხოლმე ღამღამობით. სურვილი მიჩნდება, ჩემ გვერდით იყოს ცოცხალი არსება.

Scanned by CamScanner

სიბნელე, უაუნი სიბნელე ირგვლივ... არა, არა! მე ჯოჯოხეთის არ მეშინია! ჯოჯოხეთი ბავშვური სათამაშოა. მე მეშინია შინაგანი სიბ-ნელის... როცა არ ისმის არც ტირილი, არც კბილების ღრჭიალი, მხოლოდ სიჩუმეა... სამარისებული სიჩუმე.

მას გუგები გაუფართოვდა და დადუმდა, ჯემა სულგანაბული ელოდა.

— ალბათ ფიქრობთ, რომ ეს ფანტაზიებია! მართალია, აბა რას გაიგებთ ამას, თქვენდა საბედნიეროდ? მე კი ალბათ გავგიჟდები, მარტო რომ დავრჩე. ნუ განმსჯით მკაცრად. მე არც ისეთი შემაძ-რწუნებელი ვარ, როგორც ეს ერთი შეხედვით ეჩვენება ადამიანს.

— თქვენი განსჯა მე არ შემიძლია, — უპასუხა ქალმა. — ასეთი ტანჯვა არ გამომიცდია, მაგრამ უბედურება... ვის არ გადახდენია თავს! და მე ვფიქრობ, რომ თუ სულმოკლეობას გამოვიჩენთ, შიშს დავემონებით და უსამართლოდ და მკაცრად მოვიქცევით, მონა-ნიებას სულ ერთია, მაინც ვერ ავცდებით. მაგრამ თქვენ მხოლოდ ამას ვერ გაუძელით. მე კი თქვენს ადგილას უკანასკნელ ღონეს დავეარგავდი, დავწყევლიდი ღმერთს და ჩემს თავს ბოლოს მოვუ-ღებდი.

კრაზანას კვლავ ხელში ეკავა მისი ხელები.

— მითხარით, — ჩუმად მიმართა მან, — ჩაგიდენიათ თუ არა თქვენს სიცოცხლეში რაიმე ბოროტება?

ჯემამ არ უპასუხა, მხოლოდ დახარა თავი და ორი ცრემლი დაე-ცა კრაზანას ხელს.

— თქვით, — წასჩურჩულა მან და ხელები მოუჭირა... — თქვით, მე ხომ ყველაფერი გიამბეთ...

— დიახ... ერთხელ, დიდი ხანია მას აქეთ, მე ჩავიდინე დიდი ბოროტება. საზიზღრად მოვეპყარი კაცს, რომელიც ყველაზე უფ-რო მიყვარდა ამქვეყნად.

კრაზანას ხელები საშინლად თრთოდნენ, მაგრამ მას მაინც ეჭი-რა ქალის ხელები.

— ის იყო ჩემი ამხანაგი, — განაგრძო ჯემამ, — და მე დავუ-ჯერე ცილისწამებას მის შესახებ, უხეშ, აშკარა ცილისწამებას, რო-მელიც პოლიციის უფროსის მიერ იყო მოგონილი. მას სახეში გა-ვარტყი, როგორც გამცემს... იმავე დღეს მან თავი დაიხრჩო. ორი

Scanned by CamScanner

დღის შემდეგ გავიგე, რომ სავსებით უდანაშაულო ყოფილიყო. ასეთი მოგონება ჩემი აზრით თქვენს მოგონებებზე ნაკლებ მწვავე არ არის. მე მზად ვარ, მოვაჭრევინო ხელი, რომ შეიძლებოდეს ამით ჩემი დიდი შეცდომა და დანაშაული გამოვასწორო.

კრაზანას თვალებში გაიელვა საშიშმა ნაპერწკლებმა, რომლის მსგავსი ჯემას არ ენახა.

უეცრად ის დაიხარა და ქალს ხელზე აკოცა.

ჯემა შეშინდა და ხელი გამოგლიჯა.

— ნუ! — თითქმის მუდარით თქვა მან, — არასოდეს არ ჩაიდინოთ ეს. სული მეხუთება. ძალზე მიმძიმს.

— განა ის, ვინც თქვენ მოკალით, არ იტანჯებოდა?

— ვინც მე მოვკალი... აჰ, აგერ ჩეზარეც მოდის... მე... მე უნდა წავიდე...

როდესაც მარტინი ოთახში შევიდა, კრაზანა მარტო ნახა. მის წინ იდგა ყავით სავსე ფინჯანი.

თავი მეცხრე

რამდენიმე დღის შემდეგ კრაზანა შევიდა საზოგადო წიგნსაცავის სამკითხველო დარბაზში და მოითხოვა კარდინალ მონტანელის ქადაგებათა კრებული. ის ჯერ კიდევ ფერმკრთალი იყო და ჩვეულებრივზე უფრო კოჭლობდა. რიკარდომ, რომელიც მახლობელ ყაგიდასთან იჯდა, თავი ასწია და შეხედა. რიკარდოს ძალიან უყვარდა კრაზანა, მაგრამ ვერ იტანდა მასში ერთ რამეს — იმ საოცარ პირად სიძულვილს, რომელიც თავისი საზოგადოებრივი მტრების მიმართ ჰქონდა.

— ახალ თავდასხმას ამზადებთ უბედურ კარდინალზე? — შეეკითხა ნაწყენი ხმით.

— რად აწერთ, ჩემო ძვირფასო, ყოველთვის ადამიანს ბ-ბოროტ განზრახვებს? ეს სრულიადაც არ არის ქრისტიანული. მე მხოლოდ წერილს ვამზადებ თანამედროვე თეოლოგიაზე ახალი გაზეთისათვის.

Scanned by CamScanner

— რომელი ახალი გაზეთისათვის? — რიკარდომ უკმაყოფილოდ მოჭმუხნა წარბები.

ყველამ იცოდა ის ამბავი, რომ ბეჭდვითი სიტყვის მოსალოდნელი ახალი კანონის გამოქვეყნებისთანავე ოპოზიცია ემზადებოდა, გაეკვირვებინა ქალაქი ახალი რადიკალური გაზეთის გამოცემით, მხოლოდ ფორმალურად ეს ამბავი ჯერ კიდევ მაინც წარმოადგენდა საიდუმლოებას.

— „შარლატანისათვის“, ან როგორ ჰქვია — „საეკლესიო ქრონიკა“?

— ჩუმად, რივარეს, სხვებს კითხვას ვუშლით.

— მაშ, მიუბრუნდით თქვენს ქირურგიას, მე კი საშუალება მომეცით, ვიმეცადინო თეოლოგიაში. მე ხომ არ ვერევი თქვენს საქმეში, როდესაც დამტვრეული ძვლებს ასწორებთ, თუმცა მათთან გაცილებით უფრო ხშირად მქონია საქმე, ვიდრე თქვენ.

კრაზანა ისევ დაუბრუნდა ქადაგებათა წიგნის კითხვას.

ცოტა ხნის შემდეგ ერთი ბიბლიოთეკარი მივიდა მასთან.

— სინიორ რივარეს, თუ არ ვცდები, თქვენ იყავით წევრი დიუპრეს ექსპედიციისა, რომელმაც გამოიკვლია მდინარე ამაზონის შესართავები. ხომ არ შეგიძლიათ, მომცეთ ამის შესახებ რამდენიმე ცნობა? ერთმა ქალმა მოითხოვა ამ ექსპედიციის ანგარიშის წიგნი, ის კი ახლა ამკინძავთან არის.

— რა ცნობები სჭირია?

— მას უნდა მხოლოდ ექსპედიციის გაგზავნის წელიწადი და აგრეთვე ის წელიწადი, როდესაც ექსპედიციამ ეკვადორზე გადაიარა.

— ექსპედიცია პარიზიდან გავიდა 1837 წლის შემოდგომაზე და გაიარა კვიტოზე მეორე წლის აპრილში. ჩვენ გავატარეთ სამი წელიწადი ბრაზილიაში, შემდეგ დავეშვით რიოსკენ[74] და დავბრუნდით პარიზში 1841 წლის ზაფხულზე; ხომ არ აინტერესებს იმ ქალს სხვადასხვა აღმოჩენების თარიღები?

— არა, გმადლობთ, ამის მეტი არაფერი სჭირდება. მე ჩავიწერე წლები. ბეპო, წაუღეთ ეს ფურცლები სინიორა ბოლას. კიდევ გმადლობთ, სინიორ რივარეს. ბოდიშს ვითხოვ შეწუხებისათვის.

კრაზანა სკამის ზურგს მიეყრდნო და წარბები გაკვირვებით ას-

Scanned by CamScanner

წია. რად მოუნდა მას ეს ცნობები! რისთვის სჭირდება წელიწადი, როცა ექსპედიციამ ეკვადორზე გადაიარა?

ჯემამ მიიღო ცნობები და შინ დაბრუნდა. აპრილი 1838, არტური კი მოკვდა 1833 წლის მაისში. 5 წელიწადია.

ჯემა შეუჩერებლივ დადიოდა ოთახში. უკანასკნელი ღამეები ცუდად ეძინა და დაღლილობისაგან თვალები ამოღამებული ჰქონდა.

5 წელიწადი... და შემდეგ ლაპარაკობდა „მშვენიერ სახლზე", სადაც ცხოვრობდა და „ვიღაცაზე, ვისიც მას სჯეროდა და ვინც მოატყუა..." მოატყუა ის და სიცრუე გამოაშკარავდა.

ჯემა შეჩერდა და თავზე ხელები შემოიწყო. არა, ეს ნამდვილი სიგიჟეა! ეს შეუძლებელია, ეს უაზრობაა... საკვირველი მხოლოდ ისაა, რომ მაშინ მთელი ნავსადგური ძალზე გულმოდგინედ დაათვალიერეს და მაინც ვერაფერი აღმოაჩინეს.

ხუთი წელიწადი... ის არ იყო მაშინ ოცდაერთი წლისაც, როდესაც იმ მეზღვაურმა... მაშასადამე ის უნდა ყოფილიყო ცხრამეტი წლის, როდესაც სახლიდან გაიქცა. აკი თქვა, „წელიწადნახევარიო"... საიდან აქვს ეს ცისფერი თვალები და ასეთი მოძრავი, გაუჩერებელი თითები? და რატომ არის ასე გააფთრებული მონტანელის წინააღმდეგ? ხუთი წელიწადი... ხუთი წელიწადი...

დარწმუნებით მაინც იცოდეს, რომ ის მართლა დაიხრჩო, ენახა მაინც იმ დროს მისი გვამი!.. ოჰ, მაშინ ეს ძველი ჭრილობა, ალბათ, გამთელდებოდა და ძველი მოგონება ასე აღარ გაამწარებდა. ოცი წლის შემდეგ შეიძლება შეჩვეოდა კიდეც, რომ წარსულისათვის არ შეეხედა, როგორც საშინელებისათვის...

ჯემას მთელი ახალგაზრდობა გამწარებული ჰქონდა ფიქრით, რომ დანაშაული ჩაიდინა. დღე დღეს მისდევდა, წლები წლებს, ის კი სინდისის საშინელ ქენჯნას განიცდიდა. მუდამ ცდილობდა, დაერწმუნებინა თავისი თავი, რომ მომავალში ბევრ სასარგებლო საქმეს გააკეთებდა და მუდამ ცდილობდა, აღარ ეფიქრა წარსულის საშინელ მოჩვენებაზე. მაგრამ გადიოდა დღეები, წლები და ზღვის ტალღების მიერ გატაცებული დამხრჩვალი ადამიანის აჩრდილი მუდამ თვალწინ ედგა. ქალის გულში გაისმოდა უხმო კივილი: „არტური დაიღუპა! მე მოვკალი ის!" ხანდახან მას ეჩვენებოდა, რომ ამ ტანჯვას ვეღარ გაუძლებდა.

Scanned by CamScanner

მიუხედავად ამისა, ახლა ნახევარ სიცოცხლეს დათმობდა, ოღონდ კი ისევ ეგრძნო ის ტანჯვა. ფიქრი იმის შესახებ, რომ მან მოკლა არტური, უკვე ჩვეულებრივ ტანჯვად გადაქცეულიყო მისთვის. წლების მანძილზე ამაზე ფიქრმა აწამა და ბოლოს ისე შეეჩვია მას, რომ ახლა ველარ წააქცევდა. მაგრამ თუკი ხელი ჰკრა და გადაისროლა არა წყალში, არამედ... ჯემა დაეშვა სკამზე და სახე ხელებით აიფარა. მთელ მის ცხოვრებას ბინდი გადააკრა არტურის სიკვდილმა. ოჰ, ნეტავ ის მხოლოდ სიკვდილისათვის გაემეტებინა და არა სხვა, უარესი საშინელებისათვის!

თანდათანობით და შეუბრალებლად გადაიშალა მის ფიქრში არტურის წარსული ცხოვრების მთელი ჯოჯოხეთური სურათი. ჯემას ისე ნათლად წარმოუდგა ეს წარსული, თითქოს თავისი თვალით ენახა და თვითონ ჰქონოდა განცდილი ყველაფერი: ადამიანის სულის უმწეობა, დაცინვა, დამცირება, სიკვდილზე უფრო საშინელი გრძნობა მარტოობისა და დაუსრულებელი აგონია, რაც შეუჩერებლად ხრავდა მისი სიცოცხლის დღეებს.

ისე ცხადად, ისე ნათლად ხედავდა იმ ბინძურ ქოხს, თითქოს თვითონ ყოფილიყო იქ არტურთან ერთად. ისიც კი ეჩვენებოდა, რომ მასთან ერთად იყო ვერცხლის მაღაროებში, ყავის პლანტაციებზე, იმ საზიზღარ მოხეტიალე ცირკში...

მოხეტიალე ცირკი... არა, მეხსიერებაში უნდა წაშალოს თუნდაც ეს მოგონება; გაგიჟდება ადამიანი, თუ მუდამ ამაზე იფიქრა.

ჯემამ გამოსწია საწერი მაგიდის პატარა უჯრა. იქ შენახული ჰქონდა რამდენიმე მოსაგონარი ნივთი, რომელიც ვერ გაემეტებინა გადასაგდებად. მას არ უყვარდა სანტიმენტალობა, მაგრამ რამდენიმე ნივთი მაინც ჰქონდა შენახული. ეს იყო ერთადერთი დათმობა ‹ისი „მეს“ იმ სუსტი მხარისა, რომელსაც ჯემა ასე ბეჯითად ებრძოდა ყოველთვის. ამ ყუთს იშვიათად აღებდა.

ჯიჯანისაგან გამოგზავნილი პირველი წერილი, ყვავილები, რომელიც ეჭირა მის მკვდარ ხელებს, თავისი ბავშვის კულულები და მამის საფლავზე აღებული დამჭკნარი ფოთოლი. ყუთის ძირში იდო არტურის სურათი, გადაღებული, როცა ის იყო ათი წლის, — ერთადერთი მისი ფოტოგრაფიული სურათი.

ჯემა დაეშვა სკამზე. სურათი ხელში ეჭირა და დიდხანს დაჰყუ-

Scanned by CamScanner

რებდა ბავშვის მშვენიერ სახეს, ვიდრე მის წინ არ წარმოდგა ნამდვილი არტურის სახე. რა გარკვევით ხედავდა ახლა მის სახეს. წვრილი, ნერვიული ტუჩები, დიდი სერიოზული თვალები, ანგელოზისებური წმინდა გამოხედვა, — ყველაფერი ეს ისე ჩამოსახულიყო ხსოვნაში, თითქოს გუშინ განშორებოდა.

ჯემას თვალებიდან ნელ-ნელა გადმოეშვა ცრემლები და დაფარა სურათი.

როგორ დაეგადა თავში ასეთი აზრი! განა მკრეხელობას არ ნიშნავს იმ ნათელი შორეული სულის შეერთება ცხოვრების მწუხარებასთან და სიბინძურესთან? ათასჯერ აჯობებდა, რომ ის მომკვდარიყო და არ გადაქცეულიყო კრაზანად, — კრაზანად, რომელიც საუცხოო ყელსახვევს ატარებს, საეჭვოდ ოხუნჯობს და ძალიან მწარე ენა აქვს! არა, არა! ეს მხოლოდ უაზრო და საზიზღარი ფანტაზიაა — არტური მკვდარია!

— შეიძლება? — გაისმა ხმა კართან.

ჯემა ისე ძლიერ შეკრთა, სურათი ხელიდან გაუვარდა. კრაზანამ კოჭლობით გაიარა ოთახი, აიღო სურათი და გადასცა.

— როგორ შემაშინეთ! — თქვა ჯემამ.

— გთხოვთ, მ-მა-პატიოთ. ხელს ხომ არ გიშლით?

— ოჰ, არა. მე მხოლოდ ძველ ნივთებს ვათვალიერებდი.

რამდენიმე წუთის ყოყმანის შემდეგ ჯემამ სურათი გაუწოდა:

— რას იტყვით ამ ბავშვის შესახებ?

სანამ კრაზანა სურათს ათვალიერებდა, ჯემა გატაცებით თვალს ადევნებდა მის სახეს, თითქოს ამ კაცის სახის გამომეტყველებისაგან ყოფილიყო დამოკიდებული მთელი მისი ცხოვრება. მაგრამ ჯემამ ვერ ამოიკითხა პასუხი იმ კითხვაზე, რომელიც აწვალებდა, — ვერაფერი დაინახა იმის გარდა, რომ ის ინტერესით უცქეროდა სურათს.

— ძალიან მძიმე მოვალეობა დამაკისრეთ, — თქვა კრაზანამ, — სურათი გახუნებულია, ბავშვის სახეზე კი, საერთოდ, ძნელია რაიმეს ამოკითხვა. მხოლოდ ის აზრი დამებადა, რომ მოწიფული კაცი, რადაც გადაიქცა ბავშვი, უბედურია, და ყველაზე უფრო გონიერი, რაც კი შეუძლია მოიმოქმედოს ამ ბავშვმა, იქნება ის, თუ თავს მოარიდებს მოწიფულობას.

Scanned by CamScanner

— რატომ?

— დააცქერდით ქვედა ტუჩს. ასეთი ბუნების ადამიანებისათვის ტ-ტანჯვა არის ტ-ტანჯვა, სიცრუე კი — სიცრუე. ამ ქვეყანაში ასეთ ადამიანებს ადგილი არა აქვთ, აქ საჭიროა ისეთი კაცი, რომელსაც თავისი საქმის გარდა, არაფერი აინტერესებს.

— ეს პორტრეტი ხომ არ ჰგავს რომელიმე თქვენს ნაცნობს?

კრაზანამ უფრო დაკვირვებით დახედა სურათს.

— ჰგავს, რა საოცარია!.. რა თქმა უნდა, ჰგავს; ძალიან მიაგავს.

— ვის?

— კ-კ-კარდინალ მ-მონტანელის. შეიძლება ამ უბიწო მღვდელ-მთავარს ჰყავს ძმისწული? ნება მომეცით, ცნობისმოყვარეობა გამოვიჩინო, ვინ არის?

— ეს არის იმ ჩემი მეგობრის ბავშვობის სურათი, რომლის შესახებაც ამას წინათ გელაპარაკებოდით.

— იმისი, რომელიც თქვენ მოკალით?

ჯემა უნებურად შეკრთა, რა იოლად და დაუნდობელი სისასტიკით წარმოთქვა მან ეს საშინელი სიტყვა!

— დიახ. იმისი, ვინც მე მოვკალი, თუკი ის მართლა მოკვდა.

— ეჭვი გაქვთ?

ჯემა თვალს არ აშორებდა კრაზანას სახეს...

— ხანდახან ეჭვი მებადება. გვამი ვერ იპოვეს. შესაძლოა ისიც თქვენსავით გაიქცა სახლიდან და ვაემგზავრა სამხრეთ ამერიკაში.

— იმედი ვიქონიოთ, რომ ასე არ მოხდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცუდი მოგონებები შებოჭავს თქვენს სულს. თავის დროზე მე ალბათ არა ერთი და ორი კაცი გამიმგზავრებია საიქიოს, მაგრამ ჩემს სულს რომ ლაქად ეცხოს რომელიმე ცოცხალი არსების გამგზავრება სამხრეთ ამერიკაში, მაშინ, შემიძლია დაგარწმუნოთ, ძილი მექნებოდა გატეხილი.

ჯემა ცდილობდა მღელვარება დაეძლია.

— მაშასადამე, თქვენ ფიქრობთ, — შეაწყვეტინა ჯემამ და მიუახლოვდა მას. — რომ არ დამხრჩვალიყო და განეცადა ის, რაც თქვენ განიცადეთ, არასოდეს არ დაბრუნდებოდა შინ და წარსულს არ დაივიწყებდა? თქვენის აზრით, არასოდეს არ დაივიწყებდა? გახსოვდეთ, რომ ეს მრავალი მწარე წუთი განვიცადე!

Scanned by CamScanner

მან გადაიწია შუბლიდან შავი თმა და თეთრი თმის ზოლი გამოაჩინა.

დიდი ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

— მე ვფიქრობ, — ნელა თქვა კრაზანამ, — რომ მკვდრებისათვის უმჯობესია მკვდრად დარჩენა. დავიწყება — ძნელი საქმეა. მე რომ ვყოფილიყავი თქვენი მკვდარი მეგობრის მაგიერ, განვაგრძობდი მკვდრად ყოფნას. მიცვალებულის სული — საზიზღარი მოჩვენებაა.

ჯემამ ისევ უჯრაში შეინახა სურათი და დაკეტა მაგიდა.

— ეს ძალიან სასტიკი თეორიაა, — თქვა მან, — უმჯობესია, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ.

— მე მოვედი მოგელაპარაკოთ ერთი პატარა საქმის შესახებ, ერთი გეგმის შესახებ, რომელიც აზრად დამებადა, თუ შეიძლება, საიდუმლოდ.

ჯემამ სკამი მოსწია მაგიდასთან და დაჯდა.

— რა აზრისა ხართ ბეჭდვითი სიტყვის კანონის პროექტის შესახებ? — დაიწყო მან ენის ბორძიკის გარეშე.

— მე რა აზრისა ვარ? მე მგონია, რომ სახეირო მასში ბევრი არაფერია. მაგრამ სულ არარაობას ცალი უღელი ხარი სჯობია.

— სრული სიმართლეა. მაშასადამე, თქვენ აპირებთ ითანამშრომლოთ ერთ-ერთ ახალ გაზეთში, რომლის გამოცემას აქაური ლიბერალები აპირებენ?

— დიახ, ვაპირებდი, — თქვა ჯემამ, — ახალი გაზეთის გამოცემისას მრავალი პრაქტიკული სამუშაოა გასაკეთებელი: სტამბის ძებნა, გავრცელება და...

— რატომ გნებავთ, ამ უსარგებლო საქმიანობით ჩაკლათ თქვენი სულიერი ძალა?

— როგორ თუ „ჩავკლა“?

— მაშ სხვაგვარად რა ვუწოდო! ძალიან კარგად იცით, რომ თქვენ უფრო სალად აზროვნებთ, ვიდრე მრავალი სხვა მამაკაცი, რომლებთანაც მუშაობთ. მიუხედავად ამისა, უფლებას აძლევთ მათ, გადაგაქციონ რალაც დამხმარე ძალად, რომელიც მხოლოდ შავ სამუშაოს ეწევა. გრასინი და გალი გონებრივად ბავშვები არიან

Scanned by CamScanner

თქვენთან შედარებით, თქვენ კი ზიხართ და ასწორებთ მათ წერილებს, თითქოს მათი კორექტორი იყოთ.

— ჯერ ერთი, მთელ ჩემს დროს არ ვხარჯავ კორექტურის კითხვაზე, მეორე ის, რომ, ჩემი აზრით, ძალიან აზვიადებთ ჩემს ნიჭს. ის არც ისე ბრწყინვალეა, როგორიც თქვენა გგონიათ.

— მე სულაც არ ვთვლი მას ბრწყინვალედ, — დამშვიდებით უთხრა კრაზანამ. — მე მგონია, რომ თქვენ ჯანსაღი გონების პატრონი ხართ, ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს. იმ მოსაწყენ კომიტეტის კრებებზე თქვენ მუდამ ამხელთ კრების მონაწილეთა მსჯელობის სუსტ მხარეებს.

— უსამართლო ხართ მათ მიმართ. მარტინის ძალზე საღი გონება აქვს, ფაბრიციის და ლეგას ნიჭში კი ეჭვი მეპარება. რაც შეეხება გრასინის, მან იცის იტალიის ეკონომიური სტატისტიკა ყოველგვარ ჩინოვნიკზე უფრო მეტად.

— ეგ არც ისე ბევრია... მაგრამ ჯანდაბას მაგათი თავი! ფაქტი ფაქტად რჩება: თქვენი შესაძლებლობებით თქვენ შეგიძლიათ უფრო სერიოზული საქმე გააკეთოთ და ითამაშოთ უფრო საპასუხისმგებლო როლი.

— მე სავსებით კმაყოფილი ვარ ჩემი მდგომარეობით. სამუშაო, რომელსაც ვასრულებ, არც თუ ისე მნიშვნელოვანია, მაგრამ ყველა იმას აკეთებს, რისი ძალაც შესწევს.

— სინიორა ბოლა, მე და თქვენ აღარ შეგვფერის ერთმანეთისათვის ქათინაურების თქმით გავირთოთ თავი და, გარდა ამისა, ჩვენი საქმისათვის საზიანო იქნება, თუ მოკრძალება გამოვიჩინეთ. პირდაპირ მიპასუხეთ: განა არ გრძნობთ, რომ თქვენი გონების ძალას ხარჯავთ ისეთ უბრალო რამეზე, რისი გაკეთებაც შეუძლიათ გონებრივად თქვენზე უფრო დაბლა მდგომ ადამიანებს?

— ვიანაიდან ასე დაჟინებით მოითხოვთ პასუხს, მეტი ძალა არაა, გეტყვით, რომ რამდენამდე ეგ სიმართლეა.

— მაშ რატომ აძლევთ ამის უფლებას?

დუმილი.

— რატომ აძლევთ ამის უფლებას?

— იმიტომ, რომ უღონო ვარ, სხვაგვარად მოვიქცე.

— უღონო ხართ, რატომ?

Scanned by CamScanner

ჯემამ საყვედურით შეხედა:

— არ ვარგა, რომ... აგრე დაჟინებით ითხოვთ პასუხს.

— არა, მითხარით, რატომ?

— კეთილი, გეტყვით... იმიტომ, რომ მთელი ჩემი ცხოვრება დაღუპულად მიმაჩნია. მე ახლა ძალა არ შემწევს დიდ საქმეს მოვკიდო ხელი. მე ვვარგივარ მხოლოდ იმად, რომ შავი პარტიული საქმე შევასრულო. ამ სამუშაოს მე კეთილსინდისიერად ვასრულებ. ხომ უნდა შეასრულოს ის ვიღაცამ.

— დიახ ცხადია, ის ვიღაცამ უნდა შეასრულოს, მაგრამ რატომ სულ ერთმა და იმავე მუშაკმა?

— ამაზე მეტის გაკეთების უნარი მე არ შემწევს.

კრაზანამ თვალი მოჭუტა და რაღაც უცნაურად შეხედა. ჯემამ თავი ასწია:

— ვგრძნობ, ისევ დავუბრუნდით ჩვენი საუბრის ძველ თემას. ჩვენ კი საქმეზე უნდა გველაპარაკა. გარწმუნებთ, უსარგებლოა ჩემთან საუბარი იმის შესახებ, რომ მე უფრო დიდი საქმე უნდა შეკეთებინა. მე ახლა ამის ძალა აღარ მაქვს. მაგრამ იქნებ შევძლო დახმარება გაგიწიოთ ახალი გეგმის მოფიქრების საქმეში. როგორია თქვენი გეგმა?

— თქვენ დაიწყეთ იმით, რომ ძალა აღარ შემწევს დიდი საქმის გასაკეთებლადო, ახლა კი მეკითხებით, რას ვაპირებ მე. ჩემი გეგმა მოითხოვს, დახმარება გამიწიოთ პრაქტიკული საქმიანობით და არა მხოლოდ აზრის გაზიარებით.

— ჯერ მიამბეთ, რას აპირებთ და შემდეგ მოვილაპარაკოთ.

— ჯერ ეს მითხარით, გაგონილი გაქვთ რაიმე თუ არა ვენეციაში აჯანყების გეგმის შესახებ?

— მე ყურები გამომიჭედეს აჯანყების გეგმების და სანფედისტების შეთქმულების შესახებ. ამნისტიის შემდეგ მხოლოდ ამაზე ლაპარაკობენ. არ დაგიმალავთ, სკეპტიკურად ვუყურებ ერთსაც და მეორესაც.

— მეც, უმეტეს შემთხვევაში. მაგრამ მე გელაპარაკებით ავსტრიის წინააღმდეგ აჯანყების სერიოზული სამზადისის შესახებ. მთელი პროვინცია ემზადება ამისათვის. პაპის ოლქში ახალგაზრდობა აპირებს გადმოვიდეს საზღვარზე და მოხალისეთა საბით შეუერთ-

Scanned by CamScanner

დეს აჯანყებულებს... ეს ამბავი რომანიიდან მაცნობეს ჩემმა მეგობრებმა...

— მითხარით, — სიტყვა შეაწყვეტინა ჯემამ, — თქვენ სავსებით ენდობით იმ თქვენს მეგობრებს?

— სავსებით. მე მათ პირადად ვიცნობ და მიმუშავნია მათთან.

— მაშ ისინი წევრები არიან იმავე ორგანიზაციისა, რომელსაც თქვენ ეკუთვნით? მაპატიეთ უნდობლობა, მაგრამ ყოველთვის დაეჭვებული ვარ იმ ცნობებში, რომელსაც ფარული ორგანიზაციებისაგან ვღებულობთ ხოლმე. მე მგონია, ჩვეულება...

— ვინ გითხრათ, თითქოს მე რაიმე ორგანიზაციის წევრი ვიყო? — მკვახედ იკითხა კრაზანამ.

— არავინ, თვითონ მივხვდი.

— ჰო-ო! — კრაზანამ თავი გადასწია, კუშტად შეხედა და წუთიერი დუმილის შემდეგ ჰკითხა: — თქვენ ყოველთვის ხვდებით სხვის საიდუმლოებას?

— ძალიან ხშირად. მე საკმაოდ დაკვირვებული ადამიანი ვარ და მივეჩვიე ფაქტებს შორის კავშირის დამყარებას. ამას იმისათვის გეუბნებით, რომ ჩემთან ფრთხილად იყოთ, როცა არ გინდათ, გავიგო რაიმე.

— არაფერი მაქვს იმის საწინააღმდეგო, რომ თქვენ იცოდეთ ჩემი საქმეები, ოღონდ ამაზე შორს აღარ უნდა წავიდეს. იმედი მაქვს, ეს თქვენი მიხვედრილობა მე არ...

ჯემამ გაკვირვებით, თითქმის შეურაცხყოფილად შეხედა:

— ჩემის აზრით, ეგ თქვენი შიში სრულიად ზედმეტია, — ძალაუნებურად აღმოხდა მას.

— მე, რა თქმა უნდა, ვიცი, რომ უცხოს არაფერს ეტყვით, მაგრამ პარტიის წევრებს იქნებ...

— პარტიას საქმე აქვს ფაქტებთან და არა ჩვენს პირად მოსაზრებასთან და ფანტაზიებთან. დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ არავისთვის და არასოდეს არაფერი მითქვამს ამის შესახებ.

— გმადლობთ. თქვენ იქნებ იმასაც მიხვდით, თუ რა ორგანიზაციას ვეკუთვნი?

— იმედი მაქვს... შეურაცხყოფად ნუ მიიღებთ ჩემს გულახდი-

Scanned by CamScanner

ლობას. ეს ჩვენი საუბარი ხომ თქვენ თვითონ დაიწყეთ, იმედი მაქვს, რომ ის არ არის „მედანეთა“ ორგანიზაცია.

— რატომ გაქვთ ამის იმედი?

— იმიტომ, რომ თქვენ უნარი შეგწევთ უკეთესი საქმე გააკეთოთ.

— ჩვენ ყოველთვის ასე გვეგონა, რომ უკეთესის გაკეთება შეგვეძლო, ვიდრე ვაკეთებთ. უკანვე გიბრუნებთ იმ პასუხს, რომელიც თქვენ მომეცით. უნდა მოგახსენოთ, რომ მე „მედანეთა“ ორგანიზაციის წევრი კი არა, არამედ „წითელქამრიანების“ წევრი ვარ. ესენი უფრო ამტანები არიან და უფრო სერიოზულად ეპყრობიან თავიანთ საქმეს.

— ადამიანების მოკვლა „საქმედ“ მიგაჩნიათ?

— ესეც, სხვათა შორის. დანა სასარგებლო ნივთია ერთგვარად, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ საქმეს საფუძვლად უდევს კარგად ორგანიზებული პროპაგანდა. აი, სწორედ ამით არის გამოწვეული ჩემი უთანხმოება „მედანეებთან“. ისინი ფიქრობენ, რომ დანას შეუძლია მოსპოს ამ ქვეყანაზე ყველა ბოროტება. ცდებიან ისინი: დანას შეუძლია მრავალი ბოროტება მოსპოს, მაგრამ ყველა კი არა.

— ნუთუ თქვენ სერიოზულად ფიქრობთ, რომ დანის საშუალებით რაიმე სასარგებლო საქმის გაკეთება შეიძლება?

კრაზანამ გაოცებით მიაპყრო თვალები.

— რა თქმა უნდა, — განაგრძო ჯემამ, — დანის საშუალებით შეიძლება რაიმე სადღეისო პრაქტიკული დაბრკოლების მოსპობა, ჭკვიანი ჯაშუშის, ან არამზადა მოხელის მოკვლა, მაგრამ საკითხავია: ამის შემდეგ ხომ არ შეიქმნება ისეთი პირობები, რომლებიც ძველზე უფრო უარესი იქნება? ყოველი ახალი მკვლელობა მხოლოდ კიდევ უფრო აცოფებს პოლიციას, ხოლო ხალხს აჩვევს ძალადობას და სისასტიკეს. ასე და ამგვარად, საქმის ახალი ვითარება უფრო საზიანო ხდება საზოგადოებისათვის, ვიდრე ძველი.

— თქვენი აზრით, რა მოხდება რევოლუციის დროს? ხალხი იძულებული იქნება მიეჩვიოს ძალადობას. რახან ომია, ომი უნდა იყოს.

— ეგ სულ სხვა საქმეა. რევოლუცია მხოლოდ ერთი მომენტია ხალხის ცხოვრებაში. ეს მომენტია ის საფასური, რომელსაც ჩვენ ვიხდით ჩვენი მომავალი ბედნიერებისათვის. ცხადია,

Scanned by CamScanner

საშინელი ამბები მოხდება მაშინ, რაც გარდაუვალია ყოველი რევოლუციის დროს. მაგრამ ეს იქნება ცალკეული ფაქტები — „განსაკუთრებული შემთხვევები განსაკუთრებულ მომენტში". ტერორისტულ მკვლელობაში ყველაზე საშინელი ის არის, რომ ისინი ხდებიან რაღაც საშუალო, მას ისე უწყებენ ყურებას, როგორც ჩვეულებრივ მოვლენას და ხალხს უჩლუნგდება ადამიანის ცხოვრების სიწმინდის გრძნობა. მე იშვიათად ვყოფილვარ რომანიაში და მაინც ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ იქ მიეჩვიენ, ანდა, ეჩვევიან ბრძოლის ძალადობრივ მეთოდებს.

— სჯობია, ამას მიეჩვიონ, ვიდრე დაჯერებასა და დამორჩილებას.

— არ ვიცი... ყველა ჩვეულებაში არის რაღაც ცუდი, მიწიერი, ეს კი ყველაფერ სხვასთან ერთად აღზრდის ხალხში სიმკაცრეს. რა თქმა უნდა, თუ თქვენი აზრით რევოლუციური მოღვაწეობის მიზანს შეადგენს ის, რომ მთავრობა აიძულოს ამა თუ იმ გარკვეულ დათმობაზე წავიდეს, მაშინ ბრძოლის საუკეთესო საშუალებად უნდა ჩავთვალოთ ფარული ორგანიზაცია და დანა, რადგან მთავრობებს ყველაზე მეტად ქვეყანაზე ამისი ეშინიათ! მაგრამ, ჩემი აზრით, მთავრობის მოდრეკა წარმოადგენს მხოლოდ საშუალებას, რომელსაც მიზნისაკენ მივყავართ, ჩვენი მთავარი მიზანი კი ის არის, რომ შეიცვალოს ადამიანის დამოკიდებულება ადამიანისადმი. იმით, რომ გაუნათლებელ ხალხს სისხლის დანახვას შეაჩვევთ, თქვენ ვერ გაადიდებთ ადამიანის სიცოცხლის ღირებულებას.

— რელიგიის ღირებულებას რაღას უპირებთ?

— არ მესმის, რას ამბობთ.

კრაზანამ გაიღიმა.

— მე და თქვენ სხვადასხვა აზრის ვართ იმის შესახებ, თუ რაშია ბოროტების ფესვი. თქვენი აზრით, ის აიხსნება ადამიანის ცხოვრების შეუფასებლობით.

— უფრო სწორად რომ ვთქვათ, იმის არცოდნით, რომ ადამიანის პიროვნება წმიდათა წმიდაა.

— ამოირჩიეთ ის ფორმულა, რომელიც გსურდეთ. ჩემი აზრით კი, ჩვენი მარცხის და შეცდომების მთავარი მიზეზია ის სულიერი სნეულება, რომელსაც რელიგია ეწოდება.

Scanned by CamScanner

— თქვენ მხედველობაში გაქვთ რომელიმე განსაზღვრული რელიგია?

— ო, არა! ეს მხოლოდ წმინდა გარეგნული ნიშანწყლის საკითხია. თვითონ ავადმყოფობა ვლინდება გონების რელიგიურ მიმართულებაში, დაჟინებულ მოთხოვნილებაში, შექმნას თავისთვის ფეტიში და გააღმერთოს რაიმე, პირქვე დაემხოს მის წინაშე და თაყვანი სცეს. ვინ იქნება ის: ქრისტე, ბუდა თუ ველურთა ტოტემი — არა აქვს მნიშვნელობა. თქვენ, რა თქმა უნდა, არ მეთანხმებით. შეგიძლიათ ჩათვალოთ თავი ათეისტად, აგნოსტიკოსად;[75] რადაც მოგესურვებათ, სულ ერთია, მე ორ ნაბიჯზე ვგრძნობ თქვენს რელიგიოზურობას. საერთოდ თქვენი დავა უმიზნოა, თუმცა ღრმად შემცდარი ხართ, თუ ფიქრობთ, რომ მე ერთი იმათგანი ვარ, ვინც მკვლელობას უყურებს მხოლოდ, როგორც საშუალებას არამზადების და მოხელეების მოსაშორებლად. არა, ჩემთვის ის წარმოადგენს, უპირველეს ყოვლისა, საშუალებას და, ჩემი აზრით, საუკეთესო საშუალებას ეკლესიის ავტორიტეტის შესაბლალავად და აგრეთვე იმისათვის, რომ ხალხი მივაჩვიოთ, ისე უყურეს ეკლესიის აგენტებს, როგორც პარაზიტებს.

— და თუ თქვენ მიაღწიეთ იმას, რომ გააღვიძეთ მხეცი, რომელიც თვლემს ხალხის გულის სიღრმეში და მიუსიეთ ის ეკლესიას, მაშინ...

— მაშინ მე ვიტყვი, რომ გავაკეთე საქმე, რისთვისაც ღირს ცხოვრობდე.

— ამ სამუშაოს შესახებ ლაპარაკობდით თქვენ რამდენიმე დღის წინათ?

— დიახ, თქვენ მიხვდით.

ჯემა შეკრთა და თვალი მოარიდა.

— გული გაგიტყდათ ჩემზე? — ჰკითხა კრაზანამ ღიმილით.

— არა, მე... მე მგონია, რომ, ცოტა არ იყოს, მეშინია თქვენი.

ერთი წუთის შემდეგ ისევ შემოტრიალდა და საქმიანი კილოთი უთხრა:

— უსარგებლოა ჩვენი კამათი. ჩვენი შეხედულებანი ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მე, მაგალითად, მწამს პროპაგანდა, პროპაგანდა და აგრეთვე აშკარა აჯანყება, როცა ის შესაძლებელია

Scanned by CamScanner

— მაშ დავუბრუნდეთ ჩემს გეგმას, ნაწილობრივ ის ეხება პროპაგანდას, უმთავრესად კი — აჯანყებას.

— გისმენთ.

— მაშ უკვე გითხარით, რომ რომანიიდან მრავალი მოხალისე მოდის ვენეციელთა დასახმარებლად. ჩვენ ჯერ არ ვიცით, როდის დაიწყება აჯანყება. შეიძლება ის გადაიდოს შემოდგომამდე, ან ზამთრამდე. ყოველ შემთხვევაში, მოხალისენი შეიარაღებული და გასამგზავრებლად მზად უნდა იყვნენ, რათა შეძლონ დანიშნული ადგილისაკენ წასვლა, როგორც კი მათ უხმობენ. მე ვიკისრე ფარულად გადავუგზავნო პაპის ოლქში იარაღი და ტანსაცმელი...

— მოიცადეთ ერთ წუთს. როგორ შეგიძლიათ თქვენ ამ ხალხთან მუშაობა? ვენეციის და ლომბარდიის რევოლუციონერები პაპს უჭერენ მხარს. ისინი ემხრობიან ლიბერალურ რეფორმებს და ხელიხელჩაკიდებული მიჰყვებიან პროგრესულ საეკლესიო მოძრაობას, როგორ შეგიძლიათ თქვენ, ასეთმა შეურიგებელმა ანტიკლერიკალმა, მათთან ითანამშრომლოთ?

კრაზანამ მხრები აიჩეჩა:

— რა საქმე მაქვს მათთან, ვინც თავს ირთობს ჩვრისაგან გაკეთებული ტიკინებით? ოღონდ კი გააკეთონ თავიანთი საქმე! ოჰ, რა თქმა უნდა, ისინი საპატიო ადგილზე გამოაფენენ პაპის ფიგურას. მაგრამ რა მესაქმება ამასთან, როცა ნებით თუ უნებლიეთ, ისინი იძულებული იქნებიან აჯანყების გზას დაადგნენ? ყოველი ჯობი გამოსადეგია ძაღლის მოსაგერიებლად და ყოველგვარი ბრძოლის კიჟინა კარგია, თუკი შეიძლება მით ხალხი აღაფრთოვანო ავსტრიელების წინააღმდეგ საბრძოლველად.

— რით დაგეხმაროთ ამ საქმეში?

— უმთავრესად იმით, რომ უნდა გამიწიოთ დახმარება საზღვარგარეთიდან იარაღის გადმოგზავნაში.

— განა შევძლებ ამის გაკეთებას?

— სწორედ თქვენ შეძლებთ სხვაზე უკეთ. მე განზრახული მაქვს, შევისყიდო იარაღი ინგლისში. მრავალი დაბრკოლება გადამეღობება იარაღის გადმოგზავნის დროს. მისი შემოტანა პაპის ოლქის რომელიმე ნავსადგურში შეუძლებელია, ესე იგი, იძულე-

Scanned by CamScanner

ბული ვიქნებით, ჩავიტანოთ ტოსკანაში და იქიდან აპენინების მთებით გადავგზავნოთ.

— მაშინ ხომ ორი საზღვაოი გექნებათ გადასასვლელი ერთის მაგიერ?!

— მართალია, მაგრამ ყველა სხვა გზა უიმედოა. შეუძლებელია, დაფარულად გაატარო დიდი საკონტრაბანდო ტვირთი იმ ნავსადგურში, სადაც თითქმის არავითარი ვაჭრობა არ წარმოებს. ჩივიტავეკიას[76] ნავსადგურში სამი პატარა ნავია და ერთი სათევზაო ბარკა. ხოლო თუ იარაღს ტოსკანაში მივიღებთ, ვკისრულობ, გადავზიდო ის პაპის ოლქის საზღვარზე. ჩემმა ამხანაგებმა იციან ყველა ბილიკი მთებში და მრავალი ისეთი ადგილიც, სადაც შეიძლება იარაღის შენახვა. ტრანსპორტი ზღვით უნდა მოვიდეს ლივორნოში და უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზი სწორედ ეს არის. იქ მე არა მაქვს გაბმული კავშირი კონტრაბანდისტებთან, თქვენ კი, ალბათ, გაქვთ.

— ხუთი წუთის მოფიქრების საშუალება მომეცით. — ჯემამ ხელისგული ნიკაპზე შემოიდო, მუხლს დაეყრდნო და სულ მალე თქვა:

— იქნებ შევძლო დაგეხმაროთ რამით ამ საქმეში, მაგრამ ვიდრე ამის შესახებ ლაპარაკს განვაგრძობდეთ, მინდა ერთი რამ გკითხოთ: შეგიძლიათ თუ არა მომცეთ სიტყვა, რომ ამ საქმის შესრულებისათვის არაა საჭირო დანის დარტყმა ან სხვა სახის ძალმომრეობა?

— რა თქმა უნდა. თავისთავად ცხადია, რომ წინადადებას არ მოგცემდით მონაწილეობა მიგეღოთ ისეთ საქმეში, რომელსაც თქვენ გმობთ.

— როდის გინდათ საბოლოო პასუხი?

— ყოველი წუთი ძვირფასია, მაგრამ შემიძლია მოფიქრებისათვის სამი დღის ვადა მოგცეთ.

— შაბათ საღამოს თავისუფალი ხართ?

— ახლავე გეტყვით... დღეს ხუთშაბათია? დიახ, თავისუფალი ვარ.

— მაშ ჩემთან მოხვალთ. ამ ხნის განმავლობაში ვიფიქრებ თქვენი წინადადების შესახებ და საბოლოო პასუხს მოგცემთ.

Scanned by CamScanner

* * * * * *

იმავე კვირას ჯემამ წერილით აცნობა მაძინის პარტიის ფლორენციის ორგანიზაციის კომიტეტს, სპეციალური პოლიტიკური მუშაობა უნდა ვიკისრო და რამდენიმე თვის განმავლობაში საშუალება არ მექნება შევასრულო ის საქმეები, რომელიც პარტიისაგან დავალებული მქონდაო.

კომიტეტში ამ ცნობამ გაკვირვება გამოიწვია, მაგრამ წინააღმდეგ არავინ გამოსულა. ამ ქალს პარტიაში ისეთ ადამიანად იცნობდნენ, რომელზედაც დანდობა შეიძლებოდა. ამის გამო კომიტეტის წევრები ერთხმად დაადგნენ იმ აზრს, რომ თუ სინიორა ბოლამ გადაწყვიტა ასეთი უეცარი ნაბიჯის გადადგმა, მაშასადამე, საფუძვლიანი მიზეზი არსებობსო.

ჯემამ დაუფარავად უთხრა მარტინის, რომ კისრულობს დაეხმაროს კრაზანას რაღაც „საქმის გაკეთებაში საზღვარზე“.

ჯემამ წინასწარ აიღო უფლება, თავის ძველ მეგობართან ასე თუ ისე გულახდილად ელაპარაკნა, არ უნდოდა, მათ შორის გაუგებრობა და საიდუმლოებანი ყოფილიყო. თავს მოვალედ თვლიდა. დაემტკიცებინა, რომ ენდობოდა მას. მარტინის არაფერი უთქვამს, მხოლოდ ჯემა მიხვდა, რომ ამ ახალმა ამბავმა ძალზე დაანაღვლიანა.

ისინი ჯემას ბინის აივანზე ისხდნენ და ფიეზოლის მაღალ მწვერვალს გაჰყურებდნენ. ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ მარტინი ადგა, ჯიბეებში ხელები ჩაიწყო, ბოლთის ცემას მოჰყვა და თან ჩუმად სტვენდა, რაც ყოველთვის იმის მაჩვენებელი იყო, რომ სულიერ მღელვარებას განიცდიდა. რამდენიმე წუთის განმავლობაში ჯემა მდუმარედ შეჰყურებდა მას.

— ჩეზარე, ვხედავ, მეტისმეტად არ გსიამოვნებთ ეს ამბავი, — უთხრა ბოლოს ჯემამ, — ძალიან ვწუხვარ, რომ ასე განიცდით, მაგრამ არ შემეძლო სხვაგვარად მოქცევა.

— მაფიქრებს არა თვითონ საქმე, რომლის გაკეთებას თქვენ აპირებთ, — კუშტად უპასუხა მარტინიმ, — მე არ ვიცი, რა საქმეა და მაინც ვფიქრობ, რომ ის სასარგებლო უნდა იყოს, რახან თქვენ

Scanned by CamScanner

მონაწილეობთ მასში. მაგრამ არ ვენდობი იმ ადამიანს, ვისთანაც მუშაობას აპირებთ.

— თქვენ, ალბათ, არ გესმით მისი, მეც არ მესმოდა, სანამ უფრო ახლოს არ გავიცანი. რა თქმა უნდა უნაკლო არ არის, მაგრამ ბევრად უფრო უკეთესია, ვიდრე თქვენ გგონიათ.

— ადვილი შესაძლებელია. — ერთი წუთით ის ხმაამოუღებლად დადიოდა აივანზე, მერე უეცრად გაჩერდა და უთხრა: — ჯემა, თქვით უარი. უარი თქვით, სანამ გვიან არაა, ნუ მისცემთ საშუალებას იმ კაცს ჩაგითრიოთ ისეთ საქმეში, რაც შემდეგ სანანებლად გაგიხდებათ.

— აბა, რას ამბობთ, ჩეზარე! — თავაზიანად უპასუხა ჯემამ, — არავის არ განუზრახავს ჩემი ჩათრევა. მე თვითონ მივედი იმ გადაწყვეტილებამდე, რომ უნდა გავაკეთო ეს საქმე. ვიცი, თქვენ არ გიყვართ რივარესი, როგორც ადამიანი; მაგრამ ჩვენ ვლაპარაკობთ პოლიტიკური მუშაობის შესახებ და არა პიროვნების შესახებ.

— მადონა, თქვით უარი! ის საშიში კაცია: გულჩათხრობილი, სასტიკი ადამიანია, არაფრის წინაშე არ დაიხევს უკან... მას უყვარხართ თქვენ.

ჯემამ გაოცებით მიაპყრო თვალები.

— ჩეზარე, ეგ რამ გაფიქრებინათ?!

— მას უყვარხართ თქვენ, — გაიმეორა მარტინიმ, — ჩამოშორდით, მადონა!

— ჩემო კარგო ჩეზარე, მე არ შემიძლია მისგან შორს დავიჭირო თავი და ვერც აგიხსნით რატომ. ჩვენ დაკავშირებული ვართ ერთმანეთთან, ეს კავშირი შექმნილია არა ჩვენს მიერ, და არც ჩვენგან არის დამოკიდებული მისი გაწყვეტა.

— თუ ეს ასეა, ისღა დამრჩენია, გავჩუმდე, — ყრუდ უპასუხა მარტინიმ.

მარტინიმ რაღაც საჭირო საქმე მოიმიზეზა, წავიდა და დიდხანს დახეტიალობდა ატალახებულ ქუჩებში. ამ საღამოს მეტად ბნელი და პირქუში ეჩვენებოდა მთელი ქვეყანა. ერთადერთი განძი გააჩნდა ამქვეყნად, მაგრამ მოვიდა უკულმართი და წაართვა ეს განძი.

Scanned by CamScanner

თავი მეათე

თებერვლის შუა რიცხვებში კრაზანა წავიდა ლივორნოში. ჯემამ გააცნო მას იქ მცხოვრები ერთი ახალგაზრდა, ლიბერალური აზრებით გამსჭვალული ინგლისელი, გემის აგენტი, რომელსაც ჯემა და მისი ქმარი ჯერ კიდევ ინგლისში იცნობდნენ. მან არა ერთხელ გაუწია დახმარება ფლორენციელ რადიკალებს: აძლევდა ფულს, როდესაც ისინი მოულოდნელად გასაჭირში ჩავარდებოდნენ, ნებას რთავდა, პარტიული წერილების გადასაგზავნად მისი ფირმის მისამართით ესარგებლათ და სხვა. მაგრამ ყველაფერ ამას აკეთებდა, როგორც ჯემას პირადი მეგობარი, და ყოველთვის მისი დახმარებით.

პარტიული დისციპლინის თანახმად ჯემას შეეძლო ესარგებლა ამ კავშირით ყოველგვარი მიზნებისათვის და იმგვარად, როგორც საჭიროდ სცნობდა. მაგრამ გამოადგებოდა თუ არა ნაცნობობა ამ შემთხვევაში, ეს სხვა საკითხი იყო. ერთია, როდესაც პარტიის თანამგრძნობ უცხოელს სთხოვ, თავისი მისამართით გასარგებლოს, მიიღოს წერილები სიცილიიდან, ან თავისი კანტორის რკინის სალაროში შეინახოს სხვადასხვა საბუთები, ხოლო სულ სხვაა, როდესაც წინადადებას აძლევ, კონტრაბანდით გადმოზიდოს აჯანყებულთა საჭირო საბრძოლო იარაღის ტვირთი. ჯემას თითქოს არ ჰქონდა იმედი, რომ ამაზე დათანხმდებოდა.

— რასაკვირველია, თქვენ შეგიძლიათ სცადოთ, — უთხრა მან კრაზანას, — მაგრამ ვეჭვობ, მიზანს მიაღწიოთ. თქვენ რომ მიხვიდეთ ბეილისთან და ჩემი სახელით ხუთასი სკუდო[77] სთხოვოთ, რა ოქმა უნდა, დაუყოვნებლივ მოგცემთ; ის მეტისმეტად ხელგაშლილი კაცია. შესაძლებელია, გათხოვოთ თავისი პასპორტი, ანდა დამალოს თავის სარდაფში რომელიმე ლტოლვილი, მაგრამ თუ კარაბინებზე დაუწყებთ ლაპარაკს, გაკვირვებით შემოგხედავთ და, ალბათ, ორივეს გიჟებად ჩაგვთვლის.

— შეიძლება სხვა გზები გვასწავლოს, ან გაგვაცნოს ისეთი მეზღვაურები, რომლებიც ჩვენს საქმეს თანაუგრძნობენ, — უპასუხა კრაზანამ. — ყოველ შემთხვევაში, უნდა ვეცადოთ.

Scanned by CamScanner

...ერთხელ, მაისის ბოლო რიცხვებში, კარაზანა ჯემასთან უფრო უბრალოდ ჩაცმული მივიდა, ვიდრე ყოველთვის და, როგორც კი ქალმა სახეზე შეხედა, უცბად იგრძნო, რომ მან გასახარელი ამბავი მოიტანა.

— სად იყავით ამდენ ხანს? მე მეგონა, რაღაც შეგემთხვათ.

— მოწერა ცოტა საშიში იყო, უფრო ადრე დაბრუნება კი არ შემეძლო.

— ახლა ჩამოხვედით?

— ჯერ შინაც არ ვყოფილვარ. მოვედი გაცნობოთ, რომ ყველაფერი გაკეთებულია.

— ბეილი თანახმაა დაგეხმაროთ?

— კიდევ მეტი. მან იკისრა მთელი ეს საქმე: ჩალაგება, ტრანსპორტი, ერთი სიტყვით, ყველაფერი. კარაბინებს ჩააწყობს სხვადასხვა ბარგში და ჩამოვა პირდაპირი გზით ინგლისიდან. მისი კამპანიონი და ახლო ნაცნობარი ვილიამსი თანახმაა პირადად თვალყური ადევნოს ბარგის გადმოგზავნას სოუტჰემპტონიდან, ბეილი კი ლივორნოს საბაჟოდან გამოიტანს. ამის გამო დავრჩი ასე დიდხანს; ვილიამსი წავიდა სოუტჰემპტონში და მე გენუამდის წავყევი.

— იმისათვის, რომ წვრილმანების შესახებ მოგელაპარაკათ?

— დიახ. ჩვენ განუწყვეტლივ ვლაპარაკობდით, სანამ ისე არ შევწუხდი ზღვის ავადმყოფობისაგან, რომ ლაპარაკის უნარიც კი დავკარგე.

— თქვენ ვერ იტანთ ზღვას? — უეცრად ჰკითხა ჯემამ, რადგან მოაგონდა, რომ არტურს აწყინა ზღვამ, როცა ერთხელ ისინი მამამ გაასეირნა პატარა გემით.

— ძალიან ცუდად მოქმედებს, მიუხედავად იმისა, რომ ზღვით მრავალჯერ მიმოგზაურია. სანამ გენუაში გემებს დატვირთავდნენ, ჩვენ მოვასწარით ყველაფრის შესახებ მოლაპარაკება. თქვენ, რა-ხაკვირველია, იცნობთ ვილიამსს? ის მშვენიერი ყმაწვილია, ჭკვიანი და საერთოდ ისეთი პიროვნება, რომელზედაც დანდობა შეიძლება. ბეილი არაა მასზე ნაკლები და ორივემ კარგად იცის საიდუმლოების შენახვა.

— ჩემი აზრით, ბეილი საფრთხეში იგდებს თავს, როცა ასეთი საქმის გაკეთებას კისრულობს.

Scanned by CamScanner

— ამის შესახებ ველაპარაკე, მან კი გულმოსულად შემომხედა და მიპასუხა: — „მერე თქვენ რა გადარდებთ?“ სწორედ ასეც უნდა ეპასუხა. მე რომ მას ტიმბუქტუში შევხვედროდი, მივიდოდი და ვეტყოდი: „გამარჯობა შენი, ინგლისელო“.

— ვერ გამიგია, როგორ შეძელით მისი დათანხმება! და მერე ვისი, ვილიამსის! ამის იმედი მე სრულიად არა მქონდა.

— თავდაპირველად მართლაც გაჯიუტდა. არ თანხმდებოდა, მაგრამ არა იმიტომ, რომ საშიშროება იყო მოსალოდნელი, არამედ იმიტომ, რომ უსარგებლო საქმედ მიაჩნდა. მაგრამ მალე დავარწმუნე და დავითანხმე... ახლა კი საქმეს შევუდგეთ.

როდესაც კრაზანა დაბრუნდა თავის ბინაზე, მზე უკვე ჩადიოდა და საღამოს ბინდბუნდში იაპონური კომშის ყვავილები მუქ ლაქებად აჩნდა ბაღის კედელს. მან მოტეხა რამდენიმე ტოტი და ოთახში შეიტანა. როცა თავის კაბინეტის კარი გააღო, კუთხეში დადგმული სკამიდან წამოხტა ზიტა და მიეგება.

— ო, ფელიჩე, მე კი მეგონა, რომ აღარასოდეს დაბრუნდებოდი!

კრაზანამ ჯერ დააპირა მკვახედ ეკითხა ზიტასათვის, რად შემოსულიყო მის კაბინეტში, მაგრამ მერე მოაგონდა, რომ სამი კვირა არ ენახა, ხელი გაუწოდა და გულგრილად ჰკითხა:

— საღამო მშვიდობისა, ზიტა, როგორა ხარ?

ზიტამ სახე მიუახლოვა. ელოდა, რომ კრაზანა აკოცებდა, მაგრამ, მან, ვითომ არც შეუმჩნევია, გვერდი ჩაუარა, აიღო ლარნაკი და დააპირა ყვავილების ჩაწყობა. იმავე წუთში კარი ფართოდ გაიღო, უშველებელი ძაღლი შემოვარდა ოთახში და გახარებულმა, კრაზანას გარშემო ხტუნვა და ყეფა მორთო. კრაზანამ ყვავილებს ხელი უშვა და ძაღლს მიუალერსა:

— შაითან, ჩემო ძველო მეგობარო! გამარჯობა, აი მეც აქა ვარ; მომეცი თათი!

ზიტა ერთბაშად მოიღრუბლა.

— ისადილებ? — გულცივად ჰკითხა ქალმა, — შეკვეთა მივე-

Scanned by CamScanner

ცი, სადილი ჩემთან დაემზადებინათ. შენ მწერდი, რომ ამ საღამოს დაბრუნდებოდი.

კრაზანა სწრაფად შემოტრიალდა მისკენ:

— ძ-ძალიან ვწუხვარ... შენ არ უნდა გ-გელოდა ჩემთვის... ხელს დავიბან და ახლავე დავბრუნდები. გთხოვ, ეს ყვავილები წყალში ჩააწყო.

როდესაც კრაზანა სასადილო ოთახში შევიდა, დაინახა, რომ ქალი იდგა სარკესთან და კორსაჟზე ყვავილს იბნევდა. როგორც ეტყობოდა, გადაწყვეტილი ჰქონდა მხიარულად ეჩვენებინა თავი. ის მივიდა კრაზანასთან და რამდენიმე წითელი ყვავილი გაუწოდა.

— მოდი, გულზე მიგიბნევ ამ კონას.

სადილის დროს კრაზანა თავის თავს ძალას ატანდა და ცდილობდა, თავაზიანი და ხალისიანი ყოფილიყო. ზიტა ბედნიერად გრძნობდა თავს და სულ უღიმოდა. ქალის დაუფარავი სიხარული ერთგვარად საგონებელში აგდებდა კრაზანას. ის შეჩვეული იყო იმ აზრს, რომ ზიტა დამოუკიდებელ ცხოვრებას ატარებდა სულიერად ახლო მდგომ თავის მეგობრებსა და ნაცნობებს შორის; კრაზანას აქამდე ფიქრადაც არ მოსვლია, რომ ზიტა მოწყენილი იქნებოდა უიმისოდ. ახლა კი, როცა ძალიან გახარებულს ხედავდა, მიხვდა, რომ ის თურმე დარდობდა მასზე.

— მოდი, აივანზე დავლიოთ ყავა, — შესთავაზა ზიტამ, — დღეს ისეთი თბილი საღამოა!

— კეთილი. მე შენს გიტარას წამოვიღებ, იქნებ მიმღერო რამე.

ზიტა გაიბადრა. კრაზანას არც თუ მოსწონდა ის ჰანგები, რომელსაც მღეროდა ზიტა და ამიტომ იშვიათად თუ სთხოვდა, იმღერეო.

აივანზე, კედლის სიგრძეზე, ფართო ხის მერხი იდგა. კრაზანა დაჯდა კუთხეში, საიდანაც ლამაზი გორაკები მოჩანდა. ზიტა მოაჯირზე ჩამოჯდა იმ ადგილას, სადაც კედელში ნიში იყო და ფეხები მერხზე დააწყო. მას სრულიად არ აინტერესებდა ლამაზი ხედი. უნდოდა მხოლოდ კრაზანას ცქერით დამტკბარიყო.

— მომეცი პაპიროსი, — უთხრა ზიტამ. — შენი გამგზავრების შემდეგ ერთხელაც არ მომიწევია.

Scanned by CamScanner

— საუცხოო აზრია! მხოლოდ პაპიროსი იყო საჭირო, რომ სრული ბედნიერება მეგრძნო!

ზიტამ სერიოზულად შეხედა და გადმოიხარა მისკენ.

— შენ მართალს ამბობ, ბედნიერი ხარ?

კრაზანამ მაღლა აზიდა თავისი წვრილი წარბები.

— რატომ არ უნდა ვიყო ბედნიერი? კარგად ვისადილე, ჩემს თ-თვალწინ ევროპის ყველაზე წარმტაცი ხედია გადაშლილი, მალე ყავაც მზად იქნება და უნგრულ ხალხურ სიმღერასაც მოვისმენ. არაფერი არ აწუხებს ჩემს სინდისს, კუჭიც კარგად ინელებს საჭმელს. რაღა ვინატრო კიდევ?

— მე ვიცი კიდევ რაღაც, რაც ძალიან გენატრება.

— რა?

— აი ეს! — ქალმა კოლოფი გადაუგდო.

— დაშაქრული ნუში! რატომ არ მითხარი მანამდე, სანამ პაპიროსს მოვწევდი? — საყვედურით მიმართა კრაზანამ.

— რატომ და იმიტომ, შე ბავშვო შენა! შეგიძლია პაპიროსის შემდეგ ჭამო... აი, ყავაც მზადაა!

კრაზანამ დაიწყო ნუშის ჭამა და თან ისეთი სიამოვნებით ეწაფებოდა ყავას, როგორც კატა ნაღებს.

— რა სასიამოვნოა კარგი ყავის დალევა! — ჩაილაპარაკა ფიქრებში წასულმა კრაზანამ. — ლივორნოში კი ისეთ საზიზღარ ყავას ამზადებენ, რომ...

— ამიტომ გირჩევ, შინ დარჩი და ნულარსად წახვალ.

— დიდხანს არავინ გამაჩერებს... ხვალ ისევ უნდა გავემგზავრო.

ზიტას სახეზე უმალვე გაქრა ღიმილი:

— ხვალ მიემგზავრები? რატომ? სად?

— სხვადასხვა ადგილას... საქმე მაქვს.

ჯემა და ის შეთანხმდნენ, რომ საჭიროა, თვითონ გაემგზავროს აპენინებში და შეუთანხმდეს კონტრაბანდისტებს იარაღის გადატანის შესახებ. პაპის ოლქიდან საზღვარზე გადასვლა მისთვის ძალიან საშიში იყო, მაგრამ თანაც აუცილებელი განზრახული საქმის წარმატებით შესრულებისათვის.

— შენ არ დაგელევა საქმე! — ამოიოხრა ზიტამ და შემდეგ ჰკითხა: — დიდი ხნით მიემგზავრები?

Scanned by CamScanner

— არა, ორი ან სამი კვირით.

— ისევ იმ საქმეზე? — ბრაზმორეულად იკითხა ზიტამ.

— რომელ „იმ საქმეს“ გულისხმობ?

— იმას, რომლის გამო შენ ოდესღაც კისერს მოიტეხ — პოლიტიკას.

— ჰო, ამ საქმეს ცოტაოდენი კავშირი აქვს პოლიტიკასთან.

ზიტამ პაპიროსი ბაღში გადაისროლა.

— შენ ახლა ველარ მომატყუებ, — თქვა მან. — ვიცი, რომ საშიშროება გელის.

— მე მივემგზავრები პირდაპირ ჯოჯოხეთში, — ზანტად უპასუხა კრაზანამ. — იქნებ მეგობრები გყავს იქ, რომლებსაც გინდა სუროს შტო გაუგზავნო... დაიცა, სულ ნუ დააგლიჯე ფოთლები.

ზიტა გაშმაგებით გლეჯდა მცოცავ მცენარეს, რომელიც სვეტებს შემოხვეოდა, შემდეგ ხელით დაჭმუჭნა ფოთლები და გაბრაზებით გადაისროლა.

— საშიშროება მოგელის, — გაიმეორა მან. — შენ კი არც გინდა პირდაპირ მითხრა ყველაფერი. ვგონია, ჩემთან მხოლოდ ხუმრობით ლაპარაკი შეიძლება. იქნებ ჩამოგახრჩონ კიდეც და მაინც ჩუმად ხარ! მომბეზრდა ეგ შენი გაუთავებელი პოლიტიკა!

— მ-მეც აგრეთვე, — მთქნარებით თქვა კრაზანამ. — სჯობს, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. არ იმღერებ?

— კეთილი, მომეცი გიტარა. რა გიმღერო?

— ბალადა დაკარგული ცხენის შესახებ. ეს სიმღერა ძალიან შესაფერისია შენი ხმისათვის.

ზიტამ დაამღერა ძველი უნგრული ბალადა ერთი კაცის შესახებ, რომელმაც ჯერ ცხენი დაკარგა, მერე თავისი კარ-მიდამო, ბოლოს სატრფოც და იმით ნუგეშობს, რომ სხვებმა „კიდევ უფრო მეტი დაკარგეს მოხაჩოს[78] ველზე“. ეს სიმღერა ძალიან მოსწონდა კრაზანას. ამ მელოდიის უბრალოება და ტრაგიზმი უფრო მეტად ხიბლავდა, ვიდრე სხვა რომელიმე ნაზი მუსიკა.

საუცხოოდ მღეროდა ზიტა. მისი ძლიერი, სუფთა ხმა ისმოდა, როგორც მოწოდება და ნატვრა — მიეღწია ბედნიერებისათვის. ზიტას არ ეხერხებოდა იტალიური და სლავური სიმღერები, მით უფ-

Scanned by CamScanner

რო გერმანული, უნგრულ ხალხურ ჰანგებს კი შესანიშნავად მღეროდა.

კრაზანა უდიდესი სიამოვნებით უსმენდა. ასე კარგად არასოდეს არ უმღერია ზიტას. მაგრამ როცა უკანასკნელ სიტყვებს მღეროდა, ხმა უეცრად აუკანკალდა.

— „ეს, სულ ერთია, სხვებმა მეტი დაკარგეს...“

მან შეწყვიტა სიმღერა, მორთო ქვითინი და სუროს ფოთლებში ხამალა სახე.

— ზიტა! — კრაზანა ადგა და გიტარა გამოართვა. — რა დაგემართა?

ქალს სახე დაფარული ჰქონდა და თავშეუკავებლად ქვითინებდა. კრაზანამ ხელი მოჰკიდა მხარზე:

— მითხარი, რა მოხდა? — ალერსიანად ჰკითხა მან.

— თავი დამანებე! — ისევ ქვითინით თქვა ზიტამ და უკან დაიხია. — თავი დამანებე!

კრაზანა მშვიდად დაბრუნდა თავის ადგილზე და დაუცადა, სანამ ქალი ტირილს შეწყვეტდა. უეცრად ზიტა მივიდა მასთან, მუხლებზე დაემხო მის წინაშე და ხელები მოხვია.

— ფელიჩე, ნუ წახვალ! ნუ წახვალ!

— ამაზე მერე ვილაპარაკოთ, — უთხრა კრაზანამ და თავაზიანად მოიშორა მისი ხელები. — ჯერ ეს მითხარი, რა მოხდა, რამ შეგაშინა?

ქალმა თავი გააქნია.

— გაწყენინე რაიმე? — ჰკითხა კრაზანამ.

— არა.

— მაშ რა იყო?

— შენ მოგკლავენ, — უთხრა ბოლოს ზიტამ, — მე გავიგონე, როგორ გითხრა ერთმა იმათგანმა, ვინც შენთან მოდის ხოლმე, რომ საფრთხე მოგელის. შენ კი ყოველთვის დამცინი, როცა გეკითხები.

— ძვირფასო ბავშვო, — წუთიერი სიჩუმის შემდეგ თქვა კრაზანამ. — ნუ გიყვარს ყველაფრის გაზვიადება. ცხადია, ოდესმე მომკლავენ. ასეთია რევოლუციონერის ჩვეულებრივი დასასრული, მაგრამ არავითარი საბუთი არ გაქვს იფიქრო, რომ სწორედ ახლა მომკლავენ. მეც ისეთივე საფრთხე მელის, როგორც სხვებს.

Scanned by CamScanner

— როგორც სხვებს? მე რა საქმე მაქვს სხვებთან! სხვები მე არ შენაღვლებიან. რომ გიყვარდე, არ წახვიდოდი აქედან და არ დამტოვებდი ასე შეწუხებულს. ღამით აღარ მძინავს იმის შიშით, რომ დაგაპატიმრებენ და სიზმრად ვხედავ, რომ მოგკლეს. შენ ეს ძალლი უფრო გეცოდება, ვიდრე მე.

კრაზანა ადგა და აივნის ბოლოში მივიდა ნელი ნაბიჯით. ის არ მოელოდა, რომ ზიტა ასეთ სცენას გაუმართავდა და აღარ იცოდა, რა ეპასუხა. ჯემამ მართალი უთხრა: თავისი მოუფიქრებლობით ისეთი კვანძი დახლართა, რომ ახლა ძნელი იყო მისი გახსნა.

— დავსხდეთ და მშვიდად ვილაპარაკოთ, — უთხრა მან ზიტას, — ჩვენ, მგონი ერთმანეთს ვერ გავუგეთ. არ ვიცოდი, თუ ასე წუხდი, თორემ, რა თქმა უნდა, ხუმრობას არ დავიწყებდი. ამიხსენი, რა გაღელვებს ასე ძლიერად და მაშინ ყველაფერი გამოირკვევა.

— გამოსარკვევი არაფერია; მე ვხედავ, რომ შენ სრულიად არ გიყვარვარ.

— ძვირფასო ბავშვო, ჯობს, ყველაფერი გულახდილად ვუთხრათ ერთმანეთს. მე ყოველთვის ვცდილობდი, რომ პატიოსანი ვყოფილიყავი შენს წინაშე და, მგონი, არასოდეს არ მითქვამს ტყუილი ჩემი...

— ო, არა, შენ მუდამ გულახდილი იყავი! არასდროს არ დაგიფარავს, რომ მთვლიდი ზნედაცემულ ქალად, რომელიც ჯერ კიდევ შენამდე ხელმისაწვდომი იყო სხვებისათვის... შენ ყოველთვის მეუბნებოდი ამას...

— გაჩუმდი, ზიტა, ნებას არ მოგცემ ასე იფიქრო ადამიანებზე!

— შენ არასდროს არ გყვარებივარ, — დაჟინებით იმეორებდა ზიტა.

— დიახ, არასოდეს არ მყვარებიხარ. მაგრამ მომისმინე და ნუ გამკიცხავ.

— მე არ გკიცხავ, მე...

— დაიცადე ერთ წუთს. აი, რა მინდა გითხრა. მე არ მწამს არავითარი პირობითი მორალი და არც ვასრულებ მის კანონებს. მე იმ აზრისა ვარ, რომ ქალსა და მამაკაცს შორის ურთიერთობის საკითხს სწყვეტს პირადი სიმპათია ან ანტიპათია...

Scanned by CamScanner

— ანდა ფული! — მკვახედ ჩაურთო ზიტამ და გადაიხარხარა.

კრაზანა მოიღუშა და წუთით გაჩუმდა:

— დიახ, აგრეთვე. ეგ არის საკითხის საზიზღარი მხარე, მაგრამ მერწმუნე, რომ შემენიშნა, რომ არ მოგწონდი, არასოდეს არ ვისარგებლებდი შენი გაჭირვებული მდგომარეობით და არ დაგიახლოვდებოდი. არასოდეს ჩემს სიცოცხლეში ამგვარად არ მოვპყრობივარ არც ერთ ქალს და არც ერთი ქალისათვის არასოდეს ტყუილი არ მითქვამს მისდამი ჩემი გრძნობების შესახებ. მერწმუნე, სიმართლეს გეუბნები.

ზიტა ჩუმად იყო.

— მე ვფიქრობდი, — განაგრძო კრაზანამ, — რომ თუ კაცი მარტოა ცხოვრებაში, თუ მას სურს გვერდით იყოლიოს ქალი, რომელიც მოსწონს და რომელიც მეგობრულადაა მისდამი განწყობილი, მაშინ მამაკაცს უფლება აქვს დაუახლოვდეს, მაგრამ ამაზე უფრო მტკიცე კავშირი კი არ დაამყაროს. თუ ისინი ერთმანეთს არ ატყუებენ და შეუღალავ ასეთ კავშირში. არასოდეს არ მიფიქრია იმაზე, თუ რა კავშირი გქონდა წინათ სხვა მამაკაცებთან. მხოლოდ ვიცოდი, რომ ჩვენი კავშირი სამძიმო არ იყო და რომ შენც და მეც უფლება გვქონდა მაშინვე დაგვერღვია ის, როგორც კი აუტანელი გახდებოდა. თუ მე ვცდები, ან თუ შენ სხვაგვარად უყურებ ამას, მაშინ...

კრაზანა ისევ გაჩუმდა.

— მაშინ რა? — ჩურჩულით თქვა ზიტამ, ისე რომ არც შეუხედავს.

— მაშინ მე დამნაშავე ვყოფილვარ შენს წინაშე, ეს კი დიდად გულსატკენია ჩემთვის. მაგრამ იცოდე, ეს განზრახ არ ჩამიდენია.

— „გულსატკენია?“, „განზრახ არ ჩამიდენია?“ ნუთუ შენ ასეთი გულქვა ხარ, ფელიჩე? ნუთუ შენს სიცოცხლეში არასოდეს არ გყვარებია ქალი და არც იმას ხედავ, რომ მე მიყვარხარ?

კრაზანა უეცრად შეკრთა ამის გაგონებაზე. რა დიდმა დრომ განვლო მას შემდეგ, როცა მას ეუბნებოდნენ: „მე შენ მიყვარხარო!“

ზიტა კი უკვე ეხვეოდა მას და იმეორებდა:

— ფელიჩე, წავიდეთ აქედან, მოვშორდეთ ამ საშინელ ქვეყანას, ამ ხალხს, რომელთაც პოლიტიკის მეტი არაფერი ახსოვთ! რა

Scanned by CamScanner

გაქვს მათთან საერთო? წავიდეთ სამხრეთ ამერიკაში, სადაც შენ წინათ ცხოვრობდი და ბედნიერი ვიქნებით.

საშინელი წარსულის გახსენებამ, რომელიც ამ სიტყვებმა გამოიწვიეს, კრაზანა უცებ გამოაფხიზლა, მოიშორა ზიტას ხელები, რომლებიც მოხვეული ჰქონდა კისერზე და მაგრად მოუჭირა ხელი.

— ზიტა! ერთხელ და სამუდამოდ გაიგე, რასაც გეუბნები. მე შენ არ მიყვარხარ და კიდევაც რომ მიყვარდე, მაინც არ წამოვალ შენთან. იტალიაში მე მაჩერებს ჩემი საქმე და ჩემი ამხანაგები...

— და კიდევ ვიღაც, რომელიც ყველაზე მეტად გიყვარს! — გაბრაზებით წამოიძახა ზიტამ, — მზადა ვარ მოგკლა! შენთვის ძვირფასნი არიან არა ამხანაგები, არამედ... მე ვიცი, ვინც გაჩერებს აქ!

— გაჩუმდი, — დამშვიდებული ხმით უთხრა კრაზანამ. — შენ აღელვებული ხარ და წარმოდგენილი გაქვს ისეთი რამ, რაც ნამდვილად არ არსებობს.

— შენ გგონია, რომ მხედველობაში მყავს სინიორა ბოლა? არა, არც ეგეთი გულუბრყვილო ვარ! შენ მასთან მხოლოდ პოლიტიკური საქმეები გაკავშირებს და ისევე ნაკლებ ყურადღებას აქცევ, როგორც მე. შენთვის ძვირფასია... კარდინალი!

კრაზანა შეკრთა, თითქოს რაღაც დაარტყესო.

— კარდინალი? — უნებურად გაიმეორა მან.

— დიახ, კარდინალი მონტანელი, რომელიც შემოდგომაზე ჩამოვიდა აქ და ქადაგებებს კითხულობდა. შენ გგონია, ვერ დავინახე, რა სახე გქონდა, როდესაც მისმა ეტლმა ჩაგვიარა? გაფითრებული იყავი, როგორც ეს ცხვირსახოცი! ახლაც ვერხვის შტოსავით თრთიხარ მხოლოდ იმის გამო, რომ მისი სახელი ვახსენე!

კრაზანა წამოდგა სკამიდან.

— თვითონაც არ იცი, რას ლაპარაკობ. — თქვა მან ნელა. — მე მეზიზღება კარდინალი! ის ჩემი დაუძინებელი მტერია.

— შეიძლება მტერია, შეიძლება მოყვარე, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ყველაზე უფრო ძლიერ ის გიყვარს. შემომხედე პირდაპირ და თუ შეგიძლია მითხარი, რომ ვტყუი!

კრაზანამ ზურგი შეაქცია და ბალისაკენ დაიწყო ყურება. ზიტა ჩუმად ადევნებდა თვალყურს და თვითონაც შეშინებული იყო

Scanned by CamScanner

ამით, რაც მოიმოქმედა: იყო რაღაც საშინელი მის დუმილში. ბოლოს ქალი ფრთხილად მიეკრა მას, როგორც შეშინებული ბავშვი, და გაუბედავად მოჰკიდა ხელი. კრაზანა მისკენ მოტრიალდა.

— შენ მართალი ხარ! — უთხრა მან.

თავი მეთერთმეტე

— განა არ შ-შემიძლია მას სადმე მთებში შევხვდე? ბრიზიგელა ჩემთვის სახიფათო ადგილია.

— რომანიაში ყოველი მტკაველი მიწა სახიფათოა თქვენთვის, მაგრამ ამჟამად ბრიზიგელა ყველა ადგილზე უფრო უხიფათოა.

— რატომ?

— ახლავე აგიხსნით... იმ ლურჯტანსაცმლიან კაცს არ უნდა დაანახოთ თქვენი სახე: საშიში პირია... დიახ, საშინელი ქარიშხალი იყო. დიდი ხანია, ვენახები ასე განადგურებული არ გვინახავს!

კრაზანამ მაგიდაზე ხელები დააწყო და ზედ თავი დადო, როგორც მეტისმეტად დაქანცულმა, ან ბლომად ღვინონასვამმა ადამიანმა. ლურჯტანსაცმლიანმა სწრაფად მიმოავლო თვალი ოთახს და დაინახა მხოლოდ ორი გლეხი, რომლებიც ერთ ბოთლ ღვინოს შემოსხდომოდნენ და მოსავალზე ლაპარაკობდნენ, და ძილმორეული მთიელი, რომელსაც მაგიდაზე დაედო თავი. ეს ისეთი სურათი იყო, რომლის ნახვაც ხშირად შეიძლებოდა მსგავსი პატარა სოფლის სამიკიტნოში. ეტყობოდა, ლურჯტანსაცმლიანმა გადაწყვიტა, რომ მეტი ჯდომა და ყურის გდება უაზრო იყო, ზედიზედ გადაჰკრა თავისი ღვინო და გავიდა სამიკიტნოდან მეორე ოთახში, რომელიც ქუჩიდან პირველი შემოსასვლელი ოთახი იყო. იქ დახლზე ნიდაყვით დაეყრდნო და სამიკიტნოს პატრონს ზარმაცად დაუწყო ლაყბობა აქაურ საქმეებზე. მცირე ხანს იდგა იქ, მხოლოდ ხანგამოშვებით ნახევრად მიხურული კარიდან ცალი თვალით იჭვრიტებოდა მეორე ოთახში, სადაც მაგიდას უსხდნენ სამნი. გლეხები განაგრძობდნენ ღვინის სმას და ადგილობრივი კილოკავით ბაასობდნენ

Scanned by CamScanner

ამინდზე, ხოლო კრაზანა ხვრინავდა, როგორც ისეთი კაცი. რომლის სინდისიც უმწიკვლოა.

ბოლოს, როგორც ჩანს, ჯაშუშმა გადაწყვიტა, რომ სამიკიტნოში ისეთი არაფერია, რისთვისაც დროს დაკარგვა იყო საჭირო. მან გაისტუმრა დანახარჯი, სამიკიტნოდან ზანტი ნაბიჯით გავიდა და ნელა გაემართა ვიწრო ქუჩით.

კრაზანა ადგა მთქნარებით და ზმორებით და ტილოს ხალათის სახელოთი თვალები მოიწმინდა.

— ცუდად არა აქვთ დაყენებული თვალყურის დევნების საქმე, — თქვა მან, შემდეგ ჯიბიდან ამოიღო დასაკეცი დანა და მოსჭრა ერთი ნათალი ჭვავის პური, რომელიც მაგიდაზე იდო. — ბოლო დროს ძალიან თავი მოგაბეზრეს, მიქელე?

— უარესად, ვიდრე კოლოებმა აგვისტოში. ერთ წუთს არ გვაძლევენ მოსვენებას სადაც არ უნდა მიხვიდე, ყველგან ჯაშუში გხვდება, თვით მაღლა მთებშიც კი სამ-სამი და ოთხ-ოთხი ჯგუფ-ჯგუფად დაეხეტება. ხომ მართალია, ჯინო? ამიტომ ჩვენ ისე მოვაწყეთ, რომ თქვენ დომინიკინოს ქალაქში შეხვედროდით.

— კი, მაგრამ რატომ, სახელდობრ, ბრიზიგელაში? მოსაზღვრე ქალაქები მუდამ სავსეა ჯაშუშებით.

— ბრიზიგელაზე შესაფერის ადგილს ვერც მოიფიქრებს კაცი, ამჟამად გაჭედილია ქვეყნის ყველა კუთხიდან მოსული მლოცველებით.

— ბრიზიგელა ხომ მათ გზაზე არ `მდებარეობს?

— ის რომისაკენ მიმავალ გზას ცოტათია დაცილებული და აღმოსავლეთისაკენ მიმავალი ღვთისმოსავნი გზად უხვევენ, რათა იქ წირვა მოისმინონ.

— მე არ ვ-ვ-ვიცოდი, რომ ბრიზიგელაში არსებობდა რამე ღირსშესანიშნავი.

— იქ არის კარდინალი. გახსოვთ, შარშან ოქტომბერში ფლორენციაში რომ ჩამოვიდა საქადაგებლად? აი, სწორედ ის კარდინალი მონტანელია. ამბობენ, თქვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინაო!

— შეიძლება ასე იყოს. მაგრამ მე არ დავიარები ქადაგების მოსასმენად.

Scanned by CamScanner

— მას წმინდანის სახელი აქვს მოხვეჭილი.

— რითი შეიქმნა ასეთი დიდება?

— არ ვიცი, მე მგონია, ასეთი სახელით სარგებლობს იმიტომ, რომ ყველაფერს სხვებს ურიგებს, რასაც კი ღებულობს და წელიწადში ოთხას-ხუთასი სკუდოთი ცხოვრობს, როგორც უბრალო ერევლის მღვდელი.

— ეს კიდევ არაფერი, — დასძინა იმან, ვისაც ჯინოს ეძახდნენ, — ის მარტო ფულს კი არ ურიგებს ხალხს, მთელ თავის დროს სწირავს: შველის ღარიბებს, ყურადღებას აქცევს, რომ ავადმყოფებს კარგად მოუარონ, დილიდან საღამომდე უსმენს მომჩივანთ. მე თქვენზე ძეტად არ მიყვარს მღვდლები, მიქელე, მაგრამ ბატონი მონტანელი არა ჰგავს სხვა კარდინალებს.

— დიახ, ის ნეტარს უფრო ჰგავს, ვიდრე ფარისეველს! — თქვა მიქელემ. — მაგრამ რაც გინდათ თქვით, და ხალხი კი გადარეულია მისთვის. ამ ბოლო დროს სალოცავად მიმავალთაც კი ჩვეულებად შემოიღეს ბრიზიგელაში შემოვლა მისი ლოცვა-კურთხევის მისაღებად. დომინიკინოს განზრახული აქვს, იაფფასიანი ჯვრებისა და კრიალოსნების ხელზე გამყიდველად წავიდეს იქ. ხალხს უყვარს ასეთი ნივთების ყიდვა, რათა შემდეგ კარდინალს სთხოვონ, ხელი შეახოს მათ. ამის შემდეგ ისინი ამ ჯვრებსა და კრიალოსნებს ყელზე ჰკიდებენ თავიანთ ბავშვებს ავი თვალისაგან დასაფარავად.

— მოითმინეთ ერთ წუთს. მე როგორ უნდა წავიდე? მლოცველის სახით? ჩემი ახლანდელი კოსტიუმი ძალიან მო-მ-მ-მწონს, მაგრამ არ ივარგებს, რომ ბრიზიგელაში იმავე სახით წავიდე, როგორც აქა ვარ: მე რომ დამაპატიმრონ, ეს თქვენი საწინააღმდეგო საბ-ბ-ბუთი იქნება.

— ვერ დაგაპატიმრებენ: თქვენთვის დამზადებული გვაქვს მშვენიერი ტანსაცმელი პასპორტითა და ყველაფრით, რაც კი საჭიროა.

— როგორია ეს ტანსაცმელი?

— ესპანელი მოხუცი მლოცველისა, რომელმაც თავისი მკვლელობა მოინანია. შარშან, ანკონში ავად გახდა და ერთ-ერთმა ჩვენმა ამხანაგმა თავისთან წამოიყვანა სავაჭრო გემზე. შემდეგ ვენეციაში გადასვა, სადაც მოხუცს მეგობრები ჰყავდა. ამ მოხუცმა დაგვიტოვა

Scanned by CamScanner

თავისი ქალალდები, რათა ამით მაინც გამოეხატა თავისი მადლობა. სწორედ რომ გამოგადგებათ.

— მონანიებული მკვლელი? მერე პოლიციის წინაშე როგორ უნდა მოვიქცე?

— აი, ამ მხრივ ყველაფერი ჩინებულადაა მოწყობილი! მან თავისი საკატორღო სასჯელის ვადა მოიხადა რამდენიმე წლის წინათ და მას შემდეგ განუწყვეტლივ იერუსალიმში და სხვა წმინდა ადგილებში დაიარებოდა სულის საცხონებლად. შეცდომით თავისი შვილი შემოაკვდა სხვა ვიღაცის მაგიერ და პოლიციას თვითონვე დააჭერინა თავი.

— ძალზე მოხუცია?

— კი, მაგრამ ჭაღარა პარიკი და ჭაღარა წვერი თქვენც მოხუცად გაგხდით. ხოლო დანარჩენში მისი ყველა ნიშანი გასაოცრად წააგავს თქვენსას. ის იყო ჯარისკაცად ნამყოფი, კოჭლი და სწორედ ასევე ხმლის ჭრილობა ჰქონდა სახეზე, როგორც თქვენ გაქვთ. ამას გარდა, შთამომავლობით ესპანელია, თქვენც ლაპარაკობთ ესპანურად და თუ საჭიროებამ მოითხოვა, შეგიძლიათ ელაპარაკოთ ესპანელ მლოცველებს.

— სად უნდა შევხვდე დომინიკინოს?

— თქვენ შეერევით მლოცველებში გზაჯვარედინზე, რომელსაც ჩვენ გიჩვენებთ რუკაზე და ეტყვით, რომ გზა დაგებნათ მთებში. როცა გაივლით ქალაქში, ბრბოსთან ერთად წადით ბაზრის მოედანზე, რომელიც კარდინალის სასახლის წინ მდებარეობს.

— მაშ ის, მთელი თავისი სიწმინდის მიუხედავად, მაინც სასახლეში ცხოვრობს?

— ის ცხოვრობს სასახლის ერთ კუთხეში, დანარჩენი ნაწილი კი საავადმყოფოდ არის გადაქცეული.. დაიცდით, რათა კარდინალი გამოვიდეს და დალოცოს მლოცველები; დომინიკინო კი ამ დროს გაჩნდება თავისი კალათით და გეტყვით: — „თქვენ მლოცველი ხართ, მამაო?“ ხოლო თქვენ უპასუხებთ: „მე საბრალო ცოდვილი ვარ.“ მაშინ ის მიწაზე დადგამს თავის კალათს და სახელოთი დაიწყებს სახის წმენდას. თქვენ კი კრიალოსანში შესთავაზეთ ექვსი სოლდო.

Scanned by CamScanner

— რა თქმა უნდა, ჩვენ იქ შევთანხმდებით, თუ სად უნდა შეეხვდეთ.

— დიახ, იმას საკმარისზე მეტი დრო ექნება იმისათვის, რომ მისამართი გაცნობოთ, ვიდრე ხალხი კარდინალის ცქერით იქნება ვატაცებული. ჩვენ ასეთი გეგმა შევიმუშავეთ, მაგრამ თუ ეს არ მოგწონთ, შეგვიძლია გავაფრთხილოთ დომინიკინო, და საქმე სხვანაირად მოვაწყოთ.

— არა, არა. თქვენი გეგმა გამოდგება. ოღონდ ყურადღება მიაქციეთ, რომ წვერი და პარიკი კარგად იყოს გაკეთებული.

* * * * * *

— თქვენ მლოცველი ხართ, მამაო?

კრაზანა ეპისკოპოსის სასახლის კიბეებზე იჯდა. აბურძგვნილი ჭალარა თმა სახეზე ეფინა. მან თავი აიღო და მთრთოლვარე, ხრინწიანი ხმით წარმოთქვა პირობითი ნიშანი ცოტა უცხო კილოკავზე. დომინიკინომ მხრებიდან ჩამოიხსნა ტყავის ღვედი და კიბის საფეხურზე დადგა თავისი კალათა კრიალოსნებითა და ჯვრებით.

ბაზრის მოედანზე მსხდომი გლეხებისა და მლოცველებისაგან ნათ ყურადღებას არავინ აქცევდა, მაგრამ სიფრთხილის გულისათვის, ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაიწყეს ლაპარაკი. დომინიკინო ლაპარაკობდა ადგილობრივ კილოკავზე. ხოლო კრაზანა დამტვრეულ იტალიურ ენაზე, რომელშიაც ესპანურ სიტყვებს ურევდა.

— მისი უწმინდესობა! მისი უწმინდესობა მობრძანდება! — დაიყვირეს სასახლის კართან მდგომებმა.

— ჩამოეცალეთ, გზა მიეცით მის უწმინდესობას!

კრაზანა და დომინიკინო ადგნენ.

— აჰა, მამაო, — უთხრა დომინიკინომ და კრაზანას ხელში ჩაუდო ქაღალდში შეხვეული პატარა ხატი, — აიღეთ ესეც და ჩემთვის ილოცეთ, როცა რომში ჩახვალთ.

კრაზანამ უბეში ჩაიდო ხატი და მიბრუნდა, რათა შეეხედნა კარდინალისათვის.

Scanned by CamScanner

იასამნისფერ ჩინებულ სამოსელში, ალისფერი ქუდით, ის იდგა ზემო საფეხურზე და ლოცავდა ხალხს გაშლილი ხელებით.

— შემდეგ ნელა ჩამოვიდა კიბეებზე, მლოცველები მჭიდრო რკალად შემოერტყნენ ირგვლივ. ყველა ცდილობდა. სამთხვევად დაეჭირა მისი ხელი. მრავალი მათგანი მუხლებზე იჩოქებდა და კაბის კალთებს უკოცნიდა.

— მშვიდობა თქვენდა, შვილნო ჩემნო!

ამ სასიამოვნო მტკიცე ხმის გაგონებაზე კრაზანამ თავი დაღუნა ისე, რომ ჭაღარა თმა სახეზე ჩამოეშალა. დომინიკინომ შეამჩნია, როგორ ათრთოლდა მის ხელში ყავარჯენი და აღტაცებით გაიფიქრა: „რა მშვენიერი მსახიობია!“

მახლობლად მდგომი დედაკაცი დაიხარა და კიბის საფეხურიდან აიყვანა თავისი ბავშვი.

— წამოდი, ჩეკო, — უთხრა მან, — მისი უწმინდესობა დაგლოცავს, როგორც უფალმა დალოცა ბავშვები.

კრაზანამ ნაბიჯი წინ წადგა და შეჩერდა. რა მკაცრია ცხოვრება! ამ უცხო ხალხს, ამ შორიდან მოსულ მლოცველებსა და აქაური მთების მცხოვრებთ შეუძლიათ მივიდნენ მასთან და ელაპარაკონ... ის თავზე ხელს დაადებს მათ ბავშვებს, და შეიძლება ამ გლეხის ბავშვს დაუძახოს „ძვირფასო“, როგორც ოდესღაც უძახოდა...

კრაზანა ხელახლა დაეშვა საფეხურზე და პირი მიიბრუნა, რომ არ დაენახა ყოველივე ეს. ოჰ, რომ შეეძლოს სადმე, კუთხეში დაიმალოს და დაიხშოს ყურები, რათა არ გაიგონოს ეს ხმა! ყოველგვარ ადამიანურ ძალას აღემატება იყო ისე ახლოს, რომ ხელის გაწოდება და უკვე შეეხები ბის ძვირფას ხელს...

— გასათბობად ხომ არ შემოხვალთ, ჩემო მეგობარო, — მოესმა ალერსიანი ხმა, — მე მგონია, თქვენ გცივათ.

კრაზანას თითქოს გულისცემა შეუწყდა. მთელი წუთის განმავლობაში ვერაფერს გრძნობდა, გარდა ტკივილისა, რომელიც გულზე ერთბაშად მოღვრილმა სისხლმა მიაყენა და ის-ის იყო გულის შუაზე გაპობას უქადდა. მერე ეს სისხლი უკუიქცა და ცხელ ტალღად მოედო მთელ სხეულს. მან თავი ასწია. სერიოზული, ღრმა თვალები, რომლებიც მაღლიდან დასცქეროდნენ, შეჩერდნენ მის

Scanned by CamScanner

სახეზე და უცბად მეტი სინაზით და ღვთაებრივი თანაგრძნობით აივსნენ.

— ცოტა უკან დაიწიეთ მეგობრეთო, — უთხრა მონტანელიმ და მიუბრუნდა ბრბოს. — მე მინდა ველაპარაკო ამ კაცს.

ხალხმა ჩურჩულით ნელა უკან დაიხია. კრაზანა უძრავად იჯდა. უცბად მან იგრძნო მონტანელის ხელის ნაზი შეხება თავის მხარზე:

— თქვენ დიდი მწუხარება გამოგივლიათ. ხომ არ შემიძლია, რითიმე გიშველოთ?

კრაზანამ ჩუმად გააქნია თავი.

— თქვენ მლოცველი ხართ?

— მე საბრალო ცოდვილი ვარ.

მონტანელის შეკითხვა შემთხვევით ისეთივე გამოდგა, როგორც სანიშნო შეკითხვა. კრაზანაც ჩაებღაუჭა ამ მხსნელ აზრს განწირულ მდგომარეობაში მყოფი. მან თავისდაუნებურად უპასუხა. კარდინალის ხელის თბილი შეხება მხრებს სწვავდა და ცახცახმა აიტანა მისი სხეული

კარდინალი უფრო მეტად დაიხარა მის თავზე.

— შეიძლება გსურთ ცალკე, პირისპირ მომელაპარაკოთ? თუკი შემიძლია, რითიმე მაინც დაგეხმარებით...

კრაზანამ ბოლოს გადაწყვიტა, მონტანელისათვის პირდაპირ თვალებში შეხედვა. მას ისევ უბრუნდებოდა ჩვეული თავდაჭერილობა.

— აქედან არაფერი გამოვა, — თქვა მან, — ჩემს მწუხარებას ვერაფერი უშველის.

ხალხის ჯგუფიდან წინ გამოვიდა პოლიციის მოხელე.

— მაპატიეთ, საქმეში ჩარევა, თქვენო უწმინდესობავ. მე ვფიქრობ, მოხუცი მთლად საღ გონებაზე არ არის. სრულიად არ არის საშიში, მისი ქალალდებიც სრულ წესრიგშია, ამიტომ ხელს არ ვაბლებთ. იგი კატორღაში იყო მძიმე დანაშაულისათვის და ახლა მონანიებით ცდილობს ამ დანაშაულის გამოსყიდვას.

— მძიმე დანაშაულისათვის, — გაიმეორა კრაზანამ თავის ქნევით.

— გმადლობთ კაპიტანო, კეთილ ინებეთ და ცოტა განზე გაიწიეთ. ჩემო მეგობარო, ყოველთვის შეიძლება მისი შველა, ვისაც

Scanned by CamScanner

დანაშაული გულწრფელად მოუნანიებია. ხომ არ შემოხვალთ ჩემთან დღეს საღამოს?

— ისურვებს თუ არა თქვენი უწმინდესობა იმ კაცის მიღებას, რომელიც დამნაშავეა საკუთარი შვილის მკვლელობაში?

შეკითხვის კილო თითქმის გამომწვევი იყო, და მონტანელი შეკრთა, თითქოს ცივმა ქარმა შემოჰკრაო.

— ღმერთმა დამიფაროს, რომ გაგკიცხოთ, რაც უნდა ჩაგედინოთ! — თქვა მან. — მის თვალებში ჩვენ ყველანი თანაბრად [illegible] ცოდენი ვართ, ხოლო ჩვენი სიმართლე ჭუჭყიან ჩვრებსა ჰგავს. თუ თქვენ მოხვალთ ჩემთან, ისე მიგიღებთ, როგორც მას ვთხოვ ლოცვებში, მე მიმიღოს, როცა ჩემი ჟამი დაჰკრავს.

უეცრად კრაზანამ მას ხელი გაუწოდა აღტყინებით.

— მომისმინეთ! — თქვა მან, — თქვენც ყველამ მოისმინეთ, ქრისტიანებო! თუ კაცმა მოკლა თავისი ერთადერთი შვილი, შვილი რომელსაც უყვარდა ის, და სჯეროდა მისი, იყო მისი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი, თუ სიცრუითა და მოტყუებით შეამწყვდია იმ ხაფანგში, სადაც გარდა სიკვდილისა, არ იყო სხვა გამოსავალი, — ნუთუ ასეთ კაცს შეუძლია, კიდევ რისიმე იმედი იქონიოს ამქვეყნად ან ზეცაში? მე ჩემი ცოდვა მოვინანიე ადამიანებისა და ღმერთის წინაშე, მოვიხადე ადამიანთაგან მოზღული სასჯელი და მათ გამათავისუფლეს. მაგრამ როდისღა მეტყვის უფალი ჩემი „კმარა“! ვის ლოცვა-კურთხევას შეუძლია ჩემს სულს ეოხსნას მისი რისხვა? ვინ მომანიჭებს განტევებას, რომელსაც შეეძლება შეცვალოს ჩემს მიერ ჩადენილი დანაშაული?

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. შეგროვილი ხალხი ეხმოდ შესცქეროდა მონტანელის და ყველამ ღაინახა, როგორ აცახცახდა ჯვარი მის მკერდზე.

ბოლოს მან აღაპყრო თვალები და დალოცა ხალხი აკანკალებული ხელით:

— ღმერთი სულგრძელი და კაცთმოყვარეა, — თქვა მან, — მისი ტახტის წინაშე დაამხე შენი სულის მწუხარება, რამეთუ ნათქვამია: „შემუსვრილი და დათრგუნვილი გული არა უარჰყო.“

შემდეგ მონტანელი გაბრუნდა და წავიდა მოედნისაკენ. ის თით-

Scanned by CamScanner

ქმის ყოველ ნაბიჯზე ჩერდებოდა და ვისმე ესაუბრებოდა, ან ბავშვს იყვანდა ხელში.

საღამოზე კრაზანა წავიდა ბინაზე, სადაც კრება უნდა ყოფილიყო. მისამართი წაიკითხა იმ ქაღალდზე, რომელშიაც შეხვეული იყო დომინიკინოს მიერ მიცემული ჯვარი.

ეს სახლი ერთ-ერთ ექიმს, — ორგანიზაციის აქტიურ ადგილობრივ წევრს ეკუთვნოდა.

შეთქმულთა უმრავლესობა უკვე თავმოყრილი იყო და იმ აღტაცებამ, რომლითაც ისინი შეხვდნენ კრაზანას, ერთხელ კიდევ დაუმტკიცა, თუ როგორ სახელგანთქმული იყო, როგორც ბელადი.

— ჩვენ ძალიან მოხარული ვართ, რომ კიდევ გხედავთ.—უთხრა ექიმმა, — მაგრამ უფრო მეტად გაგვახარებს თქვენი აქედან მშვიდობით წასვლა. თქვენი აქ ჩამოსვლა მეტად სახიფათო საქმეა და პირადად მე წინააღმდეგი ვიყავი ამ გეგმის. ღრმად ხართ თუ არა დარწმუნებული, რომ დღეს დილით ვერც ერთმა პოლიციელმა ვირთხამ ვერ შეგამჩნიათ მოედანზე?

— შ-შ-შემჩნევით კი შემამჩნიეს, ოღონდ ვერ მიცნეს; დომინიკინომ ყველაფერი ჩინებულად მოაწყო. მართლა, სად არის? მე მას ვერ ვხედავ.

— ჯერ არ მოსულა. მაშ ყველაფერი მშვიდობით ჩატარდა? კარდინალმა დაგლოცათ?

— დალოცა? ეს კიდევ არაფერი! — გაისმა კართან დომინიკინოს ხმა. — რივარესი გვაოცებს თავისი ახალ-ახალი ოინებით. კიდევ რამდენნაირი ნიჭით გვიბრძანებთ გაკვირვებას?

— რაშია საქმე? — შეეკითხა ზანტად კრაზანა.

ის ნახევრად მიწოლილიყო ტახტზე და სიგარას აბოლებდა. მას ისევ მლოცველი ბერიკაცის ტანისამოსი ეცვა, მაგრამ ჭაღარა პარიკი და წვერი მოეხსნა და გვერდით ეწყო.

— როგორ ვიფიქრებდი, რომ თქვენ ასეთი მშვენიერი მსახიობი ყოფილიყავით. იმდენად აუჩუყეთ გული მის უწმინდესობას, რომ თითქმის ატირეთ.

— როგორ მოხდა ეს? გვიამბეთ, რივარეს.

კრაზანამ მხრები აიჩეჩა. ის არ იყო ლაპარაკის გუნებაზე და [illegible] შეკრებილნი დარწმუნდნენ, რომ პასუხს ვერ მიიღებდნენ,

Scanned by CamScanner

დომინიკინოს მიმართეს. როცა მან უამბო იმ დილით ბაზრის მოედანზე მომხდარი სცენა, ერთმა ახალგაზრდა მუშამ სევდიანი ხმით წარმოთქვა:

— თქვენ, რასაკვირველია, შესანიშნავად შეგისრულებიათ როლი, მაგრამ მე მაინც ვერ გამიგია, ვისთვის რა გამოსადეგია ეს თეატრალური წარმოდგენა?

— აი, რა გამოსადეგია, — უპასუხა კრაზანამ: — ამის შემდეგ მე შემეძლება თავისუფლად ვიარო მთელს ოლქში და ჩავიდინო, რაც კი მომესურვება და არც ერთ სულიერს არასოდეს ეჭვი არ შეეპარება ჩემს პიროვნებაში. ხვალ მთელ ქალაქს ეცოდინება დღეს იქ მომხდარი ამბავი, და ჯაშუშები ჩემთან შეხვედრის დროს ამას იფიქრებენ: „ეს შეშლილი დიეგოა, რომელმაც თავისი ცოდვები მოედანზე მოინანიაო“. ეს კი, რასაკვირველია, ჩემთვის ძალიან ხელსაყრელია.

— ეს, ცხადია, მაგრამ მე მაინც ვამჯობინებდი, რომ ეს შედეგი სხვა საშუალებით ყოფილიყო მიღწეული და საცოდავ კარდინალთან ასე არ გეოხუნჯათ. ის მეტისმეტად კარგი ადამიანია და პატივისცემის ღირსია!

— მეც ასეთ დარბაისელ ადამიანად მომეჩვენა, — ზანტად დაეთანხმა კრაზანა.

— დაეთხოვე მაგისთანა სისულელეებს, სანდრო, — ჩვენ კარდინალები არაფრად გვეჭირვებიან, — მიმართა მას დომინიკინომ, — მონტანელის რომ ის თანამდებობა მიეღო, რომელიც რომში შესთავაზეს, მაშინ რივარესსაც აღარ მოუხდებოდა მასთან ასე შეოხუნჯება.

— კარდინალი იმიტომ არ დათანხმდა რომში წასვლას, რომ არ უნდოდა აქ თავისი სამუშაო მიეტოვებინა.

— უფრო კი საფიქრებელია, რომ ეშინოდა არ მოეწამლათ ლამბრუჩინის აგენტებს. მათ მისი წინააღმდეგი აქვთ რაღაც, შენ შეგიძლია ამაში დარწმუნებული იყო. როცა კარდინალი, და ისიც ასეთი სახელმოხვეჭილი, „ამჯობინებს“ ასეთ ღვთისაგან მიტოვებულ კუნჭულში დარჩენას, დღესავით ნათელია, რომ ეს უმიზეზოდ არ ხდება. ასე არ არის, რივარეს?

კრაზანა ბოლქვებად უშვებდა სიგარის ბოლს.

Scanned by CamScanner

— შეიძლება ეს „შემუსვრილი და დათრგუნვილი“ გულის მიზე-ზ-ებით იყოს გამოწვეული, — თქვა მან და თავი უფრო მეტად გადასწია უკან, რათა უფრო უკეთ დაენახა, როგორ იწევდნენ მაღლა და ქრებოდნენ რგოლები. — მაგრამ მაინც განა დრო არ არის, ბატონებო, რომ საქმეს შევუდგეთ?

შეკრებილებმა დაიწყეს იარაღის ფარულად გატანის და შენახვის გეგმების დაწვრილებით განხილვა. კრაზანა ხარბი ცნობისმოყვარეობით უსმენდა. მხოლოდ ხანდახან მკვეთრი შენიშვნით ლაპარაკს აწყვეტინებდა მოკამათეებს ამა თუ იმ შეუსაბამო ცნობის ან მეტად მოუფიქრებელი გეგმის გამო. როცა ყველა დამსწრემ თავისი აზრი გამოთქვა, მან შეიტანა რამდენიმე პრაქტიკული წინადადება, რომელთა უმრავლესობა მიღებულ იქნა თითქმის უკამათოდ. სხდომა ამით გათავდა. გადაწყდა, რომ ვიდრე კრაზანა ტოსკანაში უვნებლად არ დაბრუნდებოდა, შეძლებისდაგვარად, მორიდებოდნენ გაჭიანურებულ კრებებს, რომელთაც შეეძლოთ პოლიციის ყურადღების მიქცევა. ყველანი სასწრაფოდ დაიშალნენ, როცა საათმა ათი დარეკა. დარჩნენ მხოლოდ ექიმი, კრაზანა და დომინიკინო — ზოგიერთი განსაკუთრებული საკითხის განსახილველად. გაიბა ხანგრძლივი, ცხარე კამათი, ბოლოს დომინიკინომ საათს დახედა.

— თერთმეტის ნახევარია. მეტხანს ჩვენი აქ დარჩენა არ შეიძლება, თორემ ღამის დარაჯებს წავაწყდებით.

— რომელ საათზე უვლიან ხოლმე დარაჯები ქალაქს? — იკითხა კრაზანამ.

— თორმეტის შესრულებისას. და მე მინდოდა, ამ დროისათვის სახლში ვყოფილიყავით... ღამე მშვიდობისა, ჯორდანო. ერთად წავიდეთ, რივარეს?

— არა, მე ვფიქრობ, ცალ-ცალკე უფრო უხიფათოა. გნახავთ თუ არა კიდევ?

— დიახ, კასტელ-ბოლონიეზში. მე ჯერ კიდევ არ ვიცი, როგორ ვიქნები გამოწყობილი, მაგრამ თქვენ უკვე იცით ნიშანი. ხვალ აპირებთ აქედან წასვლას?

კრაზანა სარკის წინ იდგა და თავზე გულმოდგინედ იმაგრებდა პარიკს.

Scanned by CamScanner

— ხვალ დილით მლოცველებთან ერთად. ზეგ კი ავად გავხდები და დავწვები მწყემსის ქოხში. იქიდან პირდაპირ გადავალ მთებზე და კასტელ-ბოლონიეზში მივალ თქვენზე ადრე. ღამე მშვიდობისა!

სამრეკლოზე საათმა თორმეტი დაჰკრა, როცა კრაზანა მიადგა მლოცველთა ღამის გასათევ თავშესაფრის ფარდულს. იატაკზე ეყარა ადამიანთა უფორმო ფიგურები, .და ხმამაღლა ხვრინვა მჭახედ გაისმოდა ღამის სიჩუმეში. ჰაერი საშინლად მძიმე იყო. კრაზანამ ზიზღი იგრძნო და სწრაფად უკან დაბრუნდა. — ტყუილად შევეცდები აქ დაძინებას, უკეთესია, ჯერ კიდევ ცოტა ხანს ვიარო და შემდეგ რამე საფარი ან თივის პულული მოვძებნო: იქ უფრო სუფთად და დამშვიდებით დამეძინება!

მშვენიერი ღამე იყო და სავსე მთვარე ნელა მიცურავდა მოწმენდილ ცაზე კრაზანამ უმიზნო ხეტიალი დაიწყო ქუჩებში. მის გონებაში კოშმარივით მეორდებოდა ამ დილის მთელი სცენა. როგორ ნანობდა ახლა, რომ დათანხმდა დომინიკინოს ბრიზიგელაში შეხვედრაზე. თავიდანვე რომ სახიფათოდ გამოეცხადებინა ეს გეგმა, სხვა ადგილს აირჩევდნენ და მაშინ ისიც და მონტანელიც ასცდებოდნენ ამ უაზრო და საშიშელ თამაშს.

— როგორ გამოცვლილა ბადრე! ხმა კი ისევ ისეთი აქვს. ისეთივე, როგორც მაშინ ოდესღაც, „ჩემო ძვირფასო,"—რომ იტყოდა ხოლმე.

ქუჩის მეორე ბოლოში ღამის დარაჯის ფარანი გამოჩნდა, და კრაზანამ რომელიღაც ვიწრო მიხვეულ-მოხვეული შუკისაგან გადაუხვია. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და უცბად საკრებულოს მოედანზე ამოჰყო თავი. ის იდგა ეპისკოპოსის სახლის მარცხენა კუთხეში. მთვარის შუქით განათებული მოედანი სრულიად ცარიელი იყო, მაგრამ კრაზანამ შენიშნა, რომ საკრებულო ტაძრის გვერდის კარი ნახევრად ღია იყო. ალბათ მნათეს ღია დარჩენია, თორემ ასე გვიან ეკლესიაში ხომ არავინ იქნებოდა. რატომ არ შეიძლება, შევიდეს კაცი და გამოიძინოს ერთ-ერთ სკამზე? ეს გაცილებით სჯობდა იმ მყრალ ფარდულში დაბრუნებას. დილით კი ფრთხილად გაპარება მოედანზე, ვიდრე მნათე მოვიდოდეს. თუნდაც ეკლესიაში ნახონ, იფიქრებენ, რომ შეშლილი დიეგო ალბათ ლოცულობდა რომელიმე კუთხეში და ეკლესიის დაკეტვის დროს ვერ შეამჩნიესო.

Scanned by CamScanner

ერთ წუთს იდგა კართან და ყურს უგდებდა, შემდეგ შევიდა ფეხაკრეფით და უხმოდ, როგორც სჩვეოდა სიარული, მიუხედავად თავისი კოჭლი ფეხისა. მთვარის შუქი სარკმელში იღვრებოდა და მარმარილოს იატაკზე გრძელ ზოლებად ეფინებოდა. განსაკუთრებით განათებული იყო საკურთხეველი და ყველაფერი ისე ჩანდა, როგორც დღისით.

ტრაპეზის წინ დაჩოქილი იდგა კარდინალი მონტანელი, მარტო, თავმოხდილი და სალოცავად ხელებგადაჭდობილი.

კრაზანა ბნელ კუთხეში დადგა. წავიდეს თუ არა, ვიდრე მონტანელის არ დაუნახავს! ეს უთუოდ ყველაზე გონიერი და, შეიძლება, ყველაზე კეთილი საქციელი იქნებოდა, რისი გაკეთებაც მას შეეძლო.

რომ მივიდეს — რა იქნება ამაში ცუდი? მივიდეს ახლოს და ერთხელ კიდევ შეხედოს სახეში; ახლა მათ გარშემო არ არის ხალხის ბრბო და, მაშასადამე, საჭირო არ არის დილას დაწყებული საძაგელი კომედიის გაგრძელება. შეიძლება, მან. ველარასოდეს ვერ ხახოს პადრე ის შეუმჩნევლად გაუვლის გვერდით და შეხედავს მხოლოდ ერთხელ, შემდეგ კი წავა უკან, დაუბრუნდება თავის სამუშაოს.

კრაზანა სვეტების ჩრდილს გაჰყვა, ფრთხილად მიუახლოვდა საკურთხევლის მოაჯირს და ერთი წამით შეჩერდა გვერდის შესასვლელთან ტრაპეზის წინ. ეპისკოპოსის ტახტის ჩრდილი იმდენად ფართო იყო, რომ ის დაიმალა. სუნთქვა შეაჩერა და სიბნელეში კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

— ჩემო საბრალო ბავშვო, ოჰ ღმერთო ჩემო! ჩემო საბრალო ბავშვო!..

ამ ჩურჩულში იმდენად უსაზღვრო სასოწარკვეთილება გამოსჭვიოდა, რომ კრაზანა უნებურად შეკრთა. შემდეგ გაიგონა ღრმა, მძიმე, უცრემლო ქვითინი და დაინახა, რომ მონტანელიმ დაიწყო ხელების მტვრევა, როგორც ფიზიკური ტკივილებით გაწამებულმა ადამიანმა.

მან არ იცოდა, რომ პადრე ასე იტანჯებოდა. ხშირად უთქვამს თავისთვის დარწმუნებით: „განა ღირს ამაზე თავის შეწუხება, მონტანელის ჭრილობა დიდი ხანია, შეხორცდა“. და, აი, ამდენი წლის

Scanned by CamScanner

შემდეგ დაინახა, რომ ეს ჭრილობა ისევ პირგახსნილი იყო და სისხლისაგან იწრიტებოდა. რა ადვილია ახლა მისი განკურნვა, — საკმარისია მხოლოდ ასწიოს ხელი და უთხრას:

„პადრე, ეს მე ვარ!“

თვით ჯემასაც ჭაღარა შეჰპარვია თმაში. ოჰ, რომ შემეძლოს პატიება! რომ შემეძლოს მეხსიერებიდან ამოვშალო წარსული — მთვრალი მეზღვაური, შაქრის პლანტაცია და მოხეტიალე ციკი! ოჰ, ვერავითარი სხვა ტანჯვა ვერ შეედრება ამას! ადამიანს სურდეს პატიება, მიისწრაფოდეს პატიებისაკენ და თან იცოდეს, რომ ეს სურვილი ამაოა, რომ მას არ შეუძლია აპატიოს.

ბოლოს მონტანელი ადგა, პირჯვარი გადაიწერა და გამობრუნდა... კრაზანამ უფრო მეტად დაიწია უკან, ჩრდილში. მთლად ცახცახებდა იმის შიშით, რომ კარდინალს არ დაენახა, რომ შეუძლია გასცეს საკუთარმა გულისცემამ. შემდეგ დამშვიდებით ამოისუნთქა. მონტანელიმ ბვერდით გაუარა ისე ახლოს, რომ მისი იასამნისფერი შესამოსის სახელო ოდნავ მოხვდა კრაზანას ლოყას; მაგრამ კარდინალმა მაინც ვერ შეამჩნია.

ვერ დაინახა... ოჰ, რა ჩაიდინა ეს! რა ჩაიდინა ეს! ეს უკანასკნელი შესაძლებლობა იყო ესარგებლა ხანმოკლე, ძვირფასი წუთით და მან ეს წუთი ხელიდან გაუშვა. ის წამოხტა და სწრაფი ნაბიჯით გავიდა წინ — განათებულ სივრცეში.

— პადრე!

მაღალ თაღებში გაბნეულმა და მძიმედ ჩამკვდარმა საკუთარმა ხმის ბგერამ მთელი მისი არსება რაღაც მისტიკური საშინელებით აავსო. მან ხელახლა უკან დაიწია და ჩრდილს შეეფარა, მონტანელი შეჩერდა სვეტის წინ და ყური მიაპყრო ხმას. ის იდგა უძრავად, ფართოდ გაღებული თვალებით, რომლებიც სავსე იყო სიკვდილის საშინელებით. კრაზანას არ შეეძლო იმის თქმა, თუ რამდენ ხანს გაგრძელდა ეს სიჩუმე. შეიძლება ეს იყო მხოლოდ წუთი, ან შეიძლება მთელი საუკუნე. უცბად გონს მოვიდა. მონტანელიმ ისე დაიწყო რხევა, თითქოს წაქცევას აპირებდა, ხოლო მისი ტუჩები მოძრაობდნენ, თუმცა არც ერთ სიტყვას არ ამბობდნენ.

— არტურ, — გაისმა ბოლოს ნელი ჩურჩული, — ჰო, წყალი ღრმაა...

Scanned by CamScanner

— მაპატიეთ თქვენო უწმინდესობავ, მე ვიღაც აქაური მღვდელი მეგონეთ.

— აჰ, თქვენ ის მლოცველი ხართ?

მონტანელის თანდათან უბრუნდებოდა ძალა, მაგრამ კრაზანა ხედავდა მის ხელზე საფირონის ბეჭდის შუქის თრთოლვას და გრძნობდა, რომ კიდევ ცახცახებდა.

— ხომ არაფერი გჭირდებათ, ჩემო მეგობარო? უკვე გვიან არის და ღამით საკრებულო ტაძარი იკეტება.

— მაპატიეთ, თქვენო უწმინდესობავ, თუ ცუდად მოვიქეცი. მაგრამ დავინახე, რომ კარი ღია იყო და შემოვედი სალოცავად. აქ მე შევნიშნე მღვდელი, რომელიც ლოცვითა და ფიქრებით გატაცებული მომეჩვენა და გადავწყვიტე, დამეცადნა და მეთხოვნა, აი, ამის კურთხევა.

მან აჩვენა პატარა ლითონის ჯვარი, რომელიც დილით დომინიკინოსაგან იყიდა. მონტანელიმ ჯვარი გამოართვა ხელიდან და საკურთხეველში შესვლისას ერთის წუთით დადო ტრაპეზზე.

— აიღე, შვილო ჩემო, — უთხრა მან იქიდან დაბრუნებისას, — და, მშვიდობა ჰპოვოს სულმა შენმა, რამეთუ უფალი ჩვენი მოწყალეა და კაცთმოყვარე. წადი რომს, და სთხოვე კურთხევა მის მსახურს, წმინდა მამას. მშვიდობა შენდა.

კრაზანამ თავი დახარა, რათა კურთხევა მიეღო. შემდეგ ნელა წაპარბაცდა გასავალი კარებისაკენ.

— მოითმინეთ, — წარმოთქვა უცბად მონტანელიმ. — ის ცალი ხელით საკურთხევლის მოაჯირზე იყო დაყრდნობილი, — როცა რომში წმინდა ზიარებას მიიღებ, ილოცე იმისათვის, ვისი გულიც სავსეა ღრმა მწუხარებით და ვის სულსაც მძიმედ დააწვა მარჯვენა უფლისა.

კარდინალის ხმაში კრაზანას ქვითინი მოესმა და მისი გადაწყვეტილება შეირყა. კიდევ წუთი და თავის თავს გათქვამდა. მაგრამ მოხეტიალე ცირკის სურათმა კვლავ გაუელვა ხსოვნაში და ხელახლა გაიფიქრა, რომ მისი რისხვა სამართლიანი რისხვა იყო.

— მაგრამ ვარ თუ არა ღირსი, რომ უფალმა შეისმინოს ჩემი, უღირსი ადამიანის ლოცვები? რომ შემეძლოს თქვენი უწმინდესობის მსგავსად, მისი ტახტის წინაშე მივიტანო წმინდა ცხოვრების

Scanned by CamScanner

მსხვერპლი, შევწირო შეუმწიკლავი და უზრუნველი სულის ჯრთოლვა...

მონტანელი უცბად მოტრიალდა.

— მე შემიძლია უფლის ტახტის წინაშე მივიტანო მხოლოდ ერთი რამ — ჩემი შემუსვრილი გული, — თქვა მან.

* * * * * *

რამდენიმე დღის შემდეგ კრაზანა პისტოიიდან დილიჟანსით დაბრუნდა ფლორენციაში. უპირველეს ყოვლისა, ის წავიდა ჯემას ბინაზე. მაგრამ ქალი სახლში ვერ ნახა. დაუბარა, ხვალ დილით მოვალო და შინისაკენ გასწია.

„ამჯერად, — გაიფიქრა მან, — ზიტა ალბათ არ დაესხმება თავს ჩემს კაბინეტს". კრაზანას აუტანელი ეჩვენებოდა ფიქრიც კი, რომ ისევ იძულებული გახდებოდა, მოესმინა ეჭვიანი საყვედურები, რომელიც მას ნერვებს უშლიდა იმგვარადვე, როგორც მანქანის ზუზუნი კბილის ექიმთან.

— სალამო მშვიდობისა, ბიანკა, — უთხრა მან მსახურ ქალს, რომელმაც კარი გაუღო. — ქალბატონი რენი დღეს არ მოსულა?

ბიანკამ გაოცებით შეხედა.

— ქალბატონი რენი? განა დაბრუნდა, ბატონო?

— რა გინდათ ამით თქვათ? — წარბი შეიკრა კრაზანამ.

— როგორც კი თქვენ გაემგზავრეთ, ისიც იმავე წუთში წავიდა. ბარგიც კი არ წაუღია, ისე ეჩქარებოდა. არც ის უთქვამს, სად მიეშურებოდა.

— იმავე წუთში, როგორც კი მე გავემგზავრე? ესე იგი, ორი კვირის წინათ?

— დიახ, ბატონო, იმავე დღეს და მისი ბარგიც აქ ყრია უწესრიგოდ. ეს ამბავი ყველა მეზობელმა იცის.

კრაზანა უმალვე შეტრიალდა, ჩაიარა კიბე და ხეივნით წავიდა სახლისაკენ, სადაც ზიტა ცხოვრობდა.

ზიტას ბინაში ყველაფერი ძველებურად დახვდა. კრაზანას მიერ

Scanned by CamScanner

ნაჩუქარი ნივთებიც თავის ადგილზე ეწყო. წერილი ან რაიმე მოკლე ბარათიც არ ჰქონდა დატოვებული.

— ბატონო, — კარებში თავი შემოჰყო ბიანკამ, — დედაბერი მოვიდა...

კრაზანა გააფთრებული შემობრუნდა მისკენ:

— რა გინდათ ჩემგან? რას დამდევთ კუდში?

— ეს დედაბერი დიდი ხანია ცდილობს თქვენს ნახვას.

— რა უნდა? უთხარით, რომ ვ-ვერ მივიღებ. არ მცალია.

— რაც თქვენ გაემგზავრეთ, ის დედაბერი თითქმის ყოველ დღე მოდის აქ და სულ იმას მეკითხება, როდის დაბრუნდება თქვენი ბატონიო.

— დაგაბაროთ, რა უნდა... თუმცა არა, მე თვითონ გამოვალ მასთან.

დედაბერი წინა ოთახში უცდიდა. მას ძალიან ღარიბულად ეცვა. შავგვრემანი დანაოჭებული სახე დამჭკნარ სოკოს მიუგავდა. თავზე შემოხვეული ჰქონდა ღია ფერებით აჭრელებული შარფი. როცა კრაზანა შემოვიდა, დედაბერი ადგა და შეხედა თავისი შავად მოელვარე თვალებით.

— მაშ თქვენ ხართ ის კოჭლი ბატონი? — იკითხა დედაბერმა და იჭვნეულად შეათვალიერა თავიდან ფეხებამდე. — მოვედი თქვენთან ზიტა რენის დავალებით.

კრაზანამ გააღო კაბინეტის კარი, შეუშვა დედაბერი, თვითონ მიჰყვა და მიხურა კარი, რომ ბიანკას არ გაეგონა მათი საუბარი.

— გთხოვთ, დაბრძანდეთ. ახლა კი მ-მითხარით, ვინ ხართ?

— ეგ თქვენი საქმე არაა. მოვედი გითხრათ, რომ ზიტა რენი წავიდა თქვენგან და წაჰყვა ჩემს ვაჟს.

— თქვენს... ვაჟს?

— დიახ, ბატონო. რახან თქვენ ვერ შეძელით საყვარლის შენარჩუნება, ნულარც ჩივილს დაიწყებთ, რომ სხვამ წაგართვათ. ჩემი ვაჟის ძარღვებში სისხლი ჩქეფს და არა მოხდილი რძე. ის ბოშათა მოდგმისა გახლავთ.

— მაშ თქვენ ბოშა ხართ? მაშასადამე, ზიტა თავის ხალხს დაუბრუნდა?

დედაბერმა ზიზღით და გაკვირვებით შეხედა: ნეტა რა კაცია ეს,

Scanned by CamScanner

როცა იმდენი ვაჟკაცობა არ გააჩნია, რომ გული მოუვიდეს, როცა მას შეურაცხყოფენ!

— მაშ ის ქალი თქვენთან ხომ ვერ დარჩებოდა! თქვენ სხვა თიხისაგან ხართ გაკეთებული! ჩვენი ქალები ნებდებიან ხოლმე თქვენნაირ მამაკაცებს ან ფულისათვის, ან რაღაც კაპრიზის გამო. მაგრამ ბოშური სისხლი ბოლოს და ბოლოს ისევ თავის ხალხისკენ აბრუნებს მათ.

კრაზანა მშვიდად და გულგრილად შეჰყურებდა.

— ზიტა გაჰყვა ბოშათა ბანაკს, თუ მხოლოდ თქვენს ვაჟს?

დედაბერმა გადაიხარხარა:

— ხომ არ აპირებთ გასდიოთ მას და დააბრუნოთ? ახლა გვიანღაა. ამაზე ადრე უნდა გეფიქრათ!

— არა, მე მინდა მხოლოდ სიმართლე ვიცოდე.

დედაბერმა მხრები აიჩეჩა. არ ღირდა ისეთი კაცის ლანძღვა, რომელიც ასე მშვიდად იტანდა მის ლანძღვა-გინებას.

— კეთილი, ყველაფერს გეტყვით: ჩემი ვაჟი ქუჩაში შეხვდა ზიტას იმ დღეს, როცა თქვენ ის მიატოვეთ. ზიტამ ჩვენს ენაზე მიმართა ჩემს ვაჟს. როცა მან დაინახა, რომ ქალი, თუმცა მას მდიდრულად ეცვა, ჩვენი ტომის შვილი იყო, მაშინვე შეუყვარდა მისი ლამაზი სახე. შეუყვარდა ისე, როგორც უყვართ ხოლმე ჩვენს მამაკაცებს, და ბანაკში მოიყვანა. მან კი, საბრალო გოგონამ, გვიამბო მთელი თავისი გასაჭირი და ისე ქვითინებდა, მისი საცოდაობით ვიწვოდით. როგორც შეგვეძლო, ვამშვიდებდით. ბოლოს გაიხადა თავისი მდიდრული ტანსაცმელი, ჩაიცვა ჩვენებური გოგოსავით და დათანხმდა, ცოლად გაჰყვეს ჩემს ვაჟს. ის არასოდეს არ ეტყვის: „მე თქვენ არ მიყვარხართ“ და „მე სხვა საქმე მაქვს“. როცა ქალი ახალგაზრდაა, მას სჭირდება მამაკაცი, თქვენ კი რა მამაკაცი ხართ? თქვენ იმის უნარიც არა გაქვთ, რომ აკოცოთ ლამაზ ქალიშვილს, როცა ის თვითონ შემოგხვევთ ხელებს.

— თქვენ თქვით, — სიტყვა შეაწყვეტინა კრაზანამ, — რომ მოხვედით ჩემთან ზიტას დავალებით?

— დიახ, როცა ჩვენი ბანაკი აიყარა და წავიდა, მე განზრახ დავრჩი, რომ გადმომეცა თქვენთვის მისი სიტყვები. მან დამავალა გითხრათ, რომ მობეზრდა განათლებული ბატონები, რომელთა

Scanned by CamScanner

ძარღვებში წყალი ჩქეფს სისხლის მაგივრად და რომლებსაც მხოლოდ უთავბოლო ენის ტარტარი უყვართ. და რომ ის უბრუნდება თავის ხალხს და თავისუფალ ცხოვრებას. „გადაეცით მას, — მითხრა ზიტამ, — რომ მე ქალი ვარ, რომ მიყვარდა ის და სწორედ ამიტომ არ მინდოდა მისი ხასა ვყოფილიყავი“. ის სამართლიანად მოიქცა, რომ წავიდა. დაე ჩვენმა ქალებმა თავისი სილამაზის წყალობით შეიძინონ ფული. ამაში ცუდი არაფერია: სილამაზე აბა რისთვის არსებობს, — მაგრამ ბოშა ქალს თქვენი ტომის მამაკაცი არ უნდა უყვარდეს.

კრაზანა ადგა.

— მხოლოდ ეს დაგავალათ გეთქვათ ჩემთვის? — ჰკითხა მან. — მაშ გადაეცით მას, რომ მე მომწონს მისი საქციელი და ვუსურვებ ბედნიერებას. აი, ყველაფერი, რაც მინდა ვუთხრა მას. მშვიდობით!

კრაზანა იდგა გაუნძრევლად, სანამ დედაბერი არ წავიდა და ჭიშკარი არ შემოხურა. ამის შემდეგ მძიმედ დაეშვა სავარძელში და სახე ხელებით დაიფარა.

კიდევ ერთი სილა! ნუთუ აღარ შეუნარჩუნებენ მისი ძველი სიამაყის, ძველი თავმოყვარეობის თუნდაც მცირე ნაწილს! მან ხომ უამრავი ისეთი ტანჯვა გადაიტანა, რომლის ატანაც კი შეუძლია ადამიანს. მისი გული გადაეგდოთ ტალახში, გამვლელები კი ფეხებით თელავდნენ. სული! არ დარჩენილა არც ერთი ჯუნჭული მის სულში, რომელიც ვინმეს სიძულვილს არ დაედაღოს! არ ყოფილიყოს შეუბრალებელად დასერილი ვინმეს მიერ დაცინვით.

ახლა კი ბოშა ქალმაც, რომელიც დიდ გზაზე იპოვა, ხელში აიღო მათრახი, რომ ახალი შეურაცხყოფა მიეყენებინა მისთვის.

კართან შაითანის გულსაკლავი წკმუტუნი გაისმა. კრაზანა ადგა და კარი გააღო. ძაღლი მიახტა პატრონს მისთვის ჩვეული შმაგი აღტაცებით, მაგრამ მაშინვე შეატყო უგუნებობა, მორჩილად დაწვა მის ფერხთით ფარდაგზე და თავისი ცივი ცხვირით მიეკრა მის ხელს.

ერთი საათის შემდეგ ქუჩიდან შემოსასვლელ კართან მივიდა ჯემა.

მან დარეკა, მაგრამ პასუხი არავინ გასცა. როცა ბიანკამ დაინახა, რომ კრაზანა სადილობას არ აპირებდა, მეზობელი მზარეული ქა-

Scanned by CamScanner

ლის სანახავად წავიდა. მას კარი არ დაუკეტია და შესავალ ოთახში ოდნავ ჩაწეული სანათი დატოვა. ჯემამ მოიცადა რამდენიმე წუთი. მერე გადაწყვიტა სახლში შესვლა და პატრონის მოძებნა. ის უნდა მოლაპარაკებოდა კრაზანას მნიშვნელოვანი ახალი ამბის შესახებ, რომელიც ის-ის იყო მიიღო ბეილისაგან. ჯემამ დააკაკუნა კაბინეტის კარზე და კრაზანას ხმა გაიგონა.

— შეგიძლიათ წახვიდეთ, ბიანკა, მე არაფერი მინდა.

ჯემამ ფრთხილად შეაღო კარი. ოთახში სრულიად ბნელოდა, მხოლოდ ტალანში დადგმული სანათი ირიბულად ისროდა შუქის გრძელ ისრებს და ანათებდა კრაზანას. ის იჯდა მარტო, თავჩაქინდრული; ფეხთან მძინარე ძაღლი ეწვა.

— ეს მე ვარ, — თქვა ჯემამ.

კრაზანა სწრაფად წამოხტა.

— ჯემა, ჯემა! როგორ მინდოდა თქვენი ნახვა!

და ვიდრე ჯემა სიტყვის თქმას მოასწრებდა, ის დაჩოქილი იდგა მის ფეხებთან და სახეს იფარავდა მისი კაბის ნაოჭებში. მთელი სხეული უთრთოდა და ეს ცრემლებზე უარესი იყო.

ჯემა უხმოდ, უმოძრაოდ იდგა.

მას ხომ არაფრით შეეძლო შველა, არაფრით! ეს ყველაზე საშინელი იყო. უნდა იდგეს მის გვერდით და უმოქმედოდ უცქიროს მის მწუხარებას... ამავე დროს კი როგორი სიხარულით მოკვდებოდა, ოღონდ კი ის დაეხსნა ტანჯვისაგან. ოჰ, რომ შეძლებოდა დარილიყო მის წინაშე, მოეხვია მკლავები და მიეკრა გულზე, რომ თავისი საკუთარი სხეულით მაინც დაეფარა ის ყველა მოსალოდნელი ახალი მწუხარებისა და განსაცდელისაგან! დიახ, ის მაშინ კვლავ ძველი არტური იქნებოდა მისთვის და კაშკაშა შუქი გაჰფანტავდა მისი ცხოვრების საშიშარ ჩრდილებს.

მაგრამ არა, ეს შეუძლებელი იყო! განა კრაზანას შეუძლია როდისმე წარსული დაივიწყოს? განა მან თვითონ არა ჰკრა ხელი, საკუთარის ხელით არ ჩააგდო ამ ჯოჯოხეთში?

ახლა, ამ წუთში, შესაძლებელი იყო ყველაფრის გამჟღავნება და ეს დიდი შესაძლებლობა სამუდამოდ გაუშვა ხელიდან.

კრაზანა სწრაფად წამოდგა და მაგიდას მიუჯდა, მან თვალები

Scanned by CamScanner

დაიფარა ხელით და ტუჩებს იკვნეტდა ისე ძლიერ, თითქოს უნდოდა სისხლი გამოედინა.

კიდევ რამდენიმე მტანჯველმა წუთმა გაიარა. მან თავი აიღო და უკვე დამშვიდებული ხმით წარმოთქვა:

— მაპატიეთ. მგონია, შეგაშინეთ!

ჯემამ ორივე ხელი გაუწოდა.

— ჩემო მეგობარო! — თქვა მან, — განა ჩვენი მეგობრობა საკმარისად არ განმტკიცდა იმისათვის, რომ თქვენ ცოტათი მაინც შეგეძლოთ დამენდოთ? მიამბეთ, რა გტანჯავთ ასე?

— ოჰ, ეს მხოლოდ ჩემი პირადი მწუხარებაა, რატომ უნდა დაგტანჯოთ ამით თქვენც?

— მომისმინეთ, — თქვა ჯემამ და კარაზანას ხელები ხელში აიღო, რათა ამით დაეწყნარებინა მათი თრთოლვა. — მე ნებას არ ვაძლევდი ჩემს თავს, შევხებოდი იმას, რისი უფლებაც არა მქონდა. ძაგრამ თქვენ თვითონ თქვენის სურვილით თითქმის ყველაფერი მიამბეთ. მაშ, ნუთუ არ მენდობით იმ მცირეოდენს, რაც უთქმელი დარჩა, ისე ვითომც თქვენი და ვყოფილიყავი! ნიღაბი დაიტოვეთ სახეზე, თუ თქვენ ამაში ნუგეშსა ჰპოვებთ, მარამ ჩამოიხსენით ის თქვენი სულიდან, ჩამოიხსენით თქვენივე გულისათვის.

კარაზანამ უფრო დაბლა დახარა თავი.

— თქვენ დიდი მოთმინების გამოჩენა დაგჭირდებათ ჩემთან, — უთხრა მან, — ვშიშობ, რომ ძალიან უხეირო ძმა ვიქნებოდი. მაგრამ, რომ იცოდეთ... მე კინაღამ ჭკუაზე შევიშალე ამ ბოლო დღეებში. ისინი თითქმის გაგრძელება იყო ჩემი სამხრეთ ამერიკის ეპოპეისა. ეშმაკი მეუფლება მე... — კარაზანას ხმა ჩაუწყდა.

— საშუალება მომეცით, მეც გავიზიარო თქვენი მწუხარება, — ჩასჩურჩულა ჯემამ.

კარაზანას თავი დაემხო ჯემას ხელებზე:

— მძიმე არს მარჯვენაი უფლისა!

Scanned by CamScanner

ნაწილი მესამე

თავი პირველი

შემდეგი ხუთი კვირა კრაზანა და ჯემა დაუღალავად და გატაცებით მუშაობდნენ. არ ჰყოფნიდათ არც დრო, არც ენერგია, რათა პირად საქმეებზე ეფიქრათ. კონტრაბანდის საშუალებით იარაღი პაპის ოლქის ტერიტორიაზე მშვიდობიანად გადაატანეს. მაგრამ გასაკეთებელი იყო კიდევ უფრო ძნელი და საშიში საქმე: მთის ამოქვაბულებში და ნაპრალებში შენახული იარაღი შეუმჩნევლად უნდა გადაეზიდათ რამდენიმე ადილობრივ ცენტრში, იქიდან კი სხვადასხვა სოფლებში დაერიგებინათ.

მთელი ოლქი სავსე იყო ჯაშუშებით. დომინიკინომ, რომელსაც კრაზანამ მიანდო ეს ოპერაცია, ფლორენციაში გაგზავნა შიკრიკი და გადაჭრით მოითხოვა: ან დახმარება ან ვადის გაგრძელება.

კრაზანა მოითხოვდა, რადაც არ უნდა დამჯდარიყო, მუშაობა ივნისის შუა რიცხვებში დაემთავრებინათ. დომინიკინო ამის გამო სასოწარკვეთილებამ შეიპყრო. მძიმე ტვირთის გადატანა ცუდ გზებზე ადვილი საქმე არ გახლდათ, ამას გარდა მუშაობას აფერხებდა ის გარემოებაც, რომ იგი იძულებული იყო ჯაშუშებს დამალვოდა.

„მე ვიმყოფები სცილასა და ქარიბდას[79] შუა! — იწერებოდა ის, — ვერ ვბედავ, სწრაფად ვაწარმოო საქმე, რადგან მეშინია, ეჭვი არ აიღონ და, ამასთანავე, იძულებული ვარ, არ დავაყოვნო. თუ აუცილებლად საჭიროა დანიშნული ვადისათვის შესრულდეს ყველაფერი, მაშინ თქვენ უნდა გამომიგზავნოთ ენერგიული თანაშემწე,

Scanned by CamScanner

ანდა აცნობოთ ვენეციელებს, რომ ჩვენ მზად არ ვიქნებით ივლისის პირველ კვირამდე".

დომინიკინოს წერილი კრაზანამ ჯემას წააკითხა.

ჯემა ჩაფიქრა წერილმა. კრაზანა კი ჩაჯდა იატაკზე, მოჭმუხნა წარბები და ალერსი დაუწყო ჯემას კატას.

— საქმე ცუდადაა, — თქვა ჯემამ, — ვეშვობ, რომ შევძლებთ სამი კვიცა ძოვაცდევინოთ ვენეციელებს.

— რა თქმა უნდა, ვერ შევძლებთ. რა სულელური აზრია, დომინიკ-კ-ინოს უნდა ს-სცოდნოდა ეს. ჩვენ უნდა შევუთანხმოთ ჩვენი საქმეები ვენეციელთ და არა მათ ჩვენ.

— მაგრამ დომინიკინოსაც ვერ ვეტყვით საყვედურს: ის, ალბათ, ყოველგვარ საშუალებას ხმარობს, მაგრამ შეუძლებელის გაკეთება არ შეუძლია.

— რა თქმა უნდა, ის არაა დამნაშავე. ჩვენ გვჭირდება კიდევ ორი პასუხისმგებელი მუშაკი: ერთი იმისათვის, რომ უდარაჯოს საწყობს, მეორე — ტრანსპორტის გადასაგზავნად. ის სავსებით მართალია: აუცილებლად ესაჭიროება ენერგიული თანაშემწე.

— ვინ გავუგზავნოთ თანაშემწედ? ფლორენციიდან ვერავის გავუგზავნით შესაფერს.

— მაშ მე უნდა წ-წ-წავიდე.

ჯემა გადაიხარა სკამიდან, ოდნავ მოჭმუხნა წარბები და შეხედა კრაზანას.

— არა, ეგ არ ივარგებს. საშიში საქმეა.

— იძულებული ვიქნები, ასე მოვიქცე, თუ სხვა გ-გ-ამოსავალი ვერ ვნახე.

— მაშ უნდა გამოიძებნოს სხვა გამოსავალი მორჩა და გათავდა. ფიქრადაც არ გაიელვოთ იქ წასვლა.

კრაზანამ ტუჩები ჯიუტად მოკუმა.

— არ მ-მ-ესმის, რატომ.

— მიხვდებით, თუ ერთი წუთი მაინც დაშშვიდებით იფიქრებთ ამის შესახებ. მხოლოდ ხუთი კვირა გავიდა მას აქეთ, რაც თქვენ აქ დაბრუნდით. პოლიციამ გაიგო ცოტა რაღაც ღვთისმორწმუნე მოხუცის შესახებ და ახლა მთელ მხარეში დაგზავნა ჯაშუშები საიდუმლოების გასაგებად. ვიცი, თქვენ დახელოვნებული ხართ გა-

Scanned by CamScanner

რეგნობის გამოცვლაში, მაგრამ გაიხსენეთ, რომ ბევრმა გნახათ როგორც დიეგო და როგორც გლეხი. ამას გარდა, ვერაფერს მოუხერხებთ თქვენს კოჭლ ფეხს და ჭრილობას, რომელიც სახეზე გაჩნიათ.

— დედამიწაზე მრავალია კოჭლი კაცი.

— მართალია, მაგრამ რომანიაში არც ისე ბევრია კოჭლი, სახეზე ხმლისაგან მიღებული ჭრილობით, დასახიჩრებული მარცხენა ხელით და ისეთი ცისფერი თვალებით, როგორიც თქვენ გაქვთ.

— თვალების ფერის გ-გამოცვალა ადვილად შეიძლება ბელადონით.

— თქვენ ვერ შეძლებთ დანარჩენის გამოცვლას. არა, ეს შეუძლებელია. თქვენ რომ ახლა ამდენი ნიშნების მქონე, იქ წახვიდეთ, ეს იმას ნიშნავს, რომ თვითონ შერგოთ თავი მახეში. აუცილებლად დაგაპატიმრებენ.

— ასე თუ ისე, ხომ უნდა დაეხმაროს ვიღაცა დომინიკინოს!

— კარგ დახმარებას კი გაუწევთ, თუ ასეთ საბედისწერო წუთში ხელში ჩაუვარდით მათ! თქვენი დაპატიმრება მთელი საქმის ჩაშლას უდრის.

ძნელი იყო კრაზანას დარწმუნება. დიდხანს იკამათეს, მაგრამ ვერავითარ გარკვეულ გადაწყვეტილებას ვერ დაადგნენ. მხოლოდ ახლა მიხვდა ჯემა, თუ გულმშვიდი სიჯიუტის რა ამოუშრეტელი მარაგი გააჩნდა და შეუდრეკელი იყო ეს კაცი. საკითხი რომ შეხებოდა უფრო მცირე მნიშვნელობის საქმეს, ჯემა, ალბათ, დათმობაზე წავიდოდა, რათა უნაყოფო კამათი არ გაემართა. მაგრამ ამ საკითხში მას შეგნებულად არ შეეძლო დათმობაზე წასვლა: პრაქტიკული სარგებლიანობა, რომელიც შეეძლო მოეტანა კრაზანას გამგზავრებას, მისი აზრით, არ ღირდა მოსალოდნელ საშიშროებად.

ჯემამ უნებურად გაიფიქრა, რომ მას სურდა წასვლა არა იმიტომ, რომ აუცილებელ საჭიროებად სთვლიდა ამას, არამედ უბრალოდ ახალისებდა საშიშ მდგომარეობაში ყოფნა. სიკვდილ-სიცოცხლესთან თამაში ჩვეულებად გადაქცეოდა ამ ადამიანს. ასეთი წუთების განცდა ისე იზიდავდა, როგორც ლოთს ღვინო. საჭირო იყო სასტიკი წინააღმდეგობა გაეწია. მაგრამ როცა დარწმუნდა, ეღარ

Scanned by CamScanner

გადაათქმევინებდა მიღებულ გადაწყვეტილებას, უკანასკნელ საშუალებას მიმართა:

— ყოველ შემთხვევაში, ვიყოთ პატიოსნები, — უთხრა ჯემამ. — და გულახდილად ვთქვათ ყველაფერი. წასვლას გაიძულებთ არა დომინიკინოს გასაჭირი, არამედ სიყვარული იმ...

— ეგ ტყუილია! — ცხარედ წამოიძახა კრაზანამ და სიტყვა გააწყვეტინა. — ის კაცი ჩემთვის არაფერს არ წარმოადგენს. ჩემთვის სულ ერთია ვნახავ თუ არა მას ოდესმე!

ის უეცრად ჩაჩუმდა და ქალის სახეზე ამოიკითხა, რომ გასცა თავისი თავი.

მათი თვალები წამით შეხვდნენ ერთმანეთს, შემდეგ ორივემ დახარა თავი, მაგრამ არც ერთმა არ წარმოთქვა ის სახელი, ვიზედაც ახლა ფიქრობდა.

— მე... მე დომინიკინოს შველა კი არ მინდა, — წაიბუტბუტა კრაზანამ დიდი ხნის შემდეგ და თითქმის ჩამალა სახე კატის ბეწვებში, — არამედ... მესმის, თუ რა საფრთხეში ჩავარდება ჩვენი საქმე, თუ იქ არავინ წავიდა დასახმარებლად.

ჯემამ ყურადღება არ მიაქცია ამ გულუბრყვილო თავის დასაძვრენ ფანდს და ისე განაგრძო, თითქოს წეღან არც შეუწყვეტიაო სიტყვა.

— არა, არა, აქ ლაპარაკობს თქვენი მისწრაფება საშიში ამბებისადმი. როდესაც თქვენ გაღელვებთ რამე, საშიშროების განცდა გჭირდებათ იმგვარადვე, როგორც ოპიუმი ავადმყოფობის დროს.

— მე არ მითხოვია მაშინ ოპიუმი, — გამომწვევი კილოთი თქვა კრაზანამ, — სხვები მოითხოვდნენ, რომ აუცილებლად დამელია.

— ჰო. რა თქმა უნდა! თქვენ ამაყობთ თქვენი მოთმინებით, და უცებ წამლის მოთხოვნა — აბა ეს როგორ იქნება! მაგრამ სიცოცხლის სასწორზე დადება, რომ ოდნავ მაინც შეამსუბუქო ნერვიული დაძაბულობა, ეს სულ სხვა საქმეა! ამით თქვენს სიამაყეს არა დაეკლება რა! საბოლოოდ კი ერთსა და მეორეს შორის განსხვავება მხოლოდ მოჩვენებითია.

კრაზანამ თავი გადაუწია კატას და ჩახედა მრგვალ მწვანე თვალებში:

— როგორ ფიქრობ, პაშტ? მართალია შენი ბრაზიანი ქალბატო-

Scanned by CamScanner

ნი თუ არა? მაშ mea culpa, mea m-maxima culpa"* შენ, ბრძენო ალბათ არასოდეს თხოულობ ოპიუმს. შენი წინაპრები ეგვიპტეში გალმერთებული ჰყავდათ. იქ ვერავინ გაბედავდა კუდზე ფეხი დაედგათ მათთვის. საინტერესო კია, შეძლებდი, შეგენარჩუნებინა შენი მედიდური ზიზღი ყველა ამქვეყნიური უბედურებისადმი, რომ ამდგარიყვნენ და ეგ შენი თათი ანთებული სანთლით მოეწვათ... გიყვარდეს, მოითხოვდი ოპიუმს. ჰა, პაშტ? ოპიუმს... თუ სიკვდილს? არა, კატუნი, ჩვენ უფლება არა გვაქვს დავიხოცოთ მხოლოდ იმიტომ, რომ ის საუკეთესო გამოსავალია. იკრუტუნე, იფრუტუნე ცოტა, თათის წაღება კი არ გაბედო!

— კმარა! — ჯემამ გამოართვა კრაზანას კატა და სკამზე დასვა. — ყველა ამ საკითხს ჩვენ სხვა დროს გავარკვევთ, ახლა კი უნდა ვიფიქროთ, როგორ მივეშველოთ დომინიკინოს... რა ამბავია, კეტი? მოვიდა ვინმე? მე არ მცალია და ვერავის ვერ მივიღებ.

— აი, ქალბატონო, მისს რაიტმა გამოგიგზავნათ შიკრიკის ხელით.

საგულდაგულოდ დალუქულ პაკეტში იდო მისს რაიტის მისამართით გამოგზავნილი, მაგრამ გაუხსნელი წერილი. კონვერტზე დაკრული იყო პაპის ოლქის მარკა. ჯემას ძველი მეგობრები სკოლის დროიდან ჯერ ისევ ფლორენციაში ცხოვრობდნენ და განსაკუთრებით საიდუმლო ხასიათის ბარათები ხშირად მათი მისამართით მოდიოდა.

— ეს მიქელეს დათქმული ნიშანია, — თქვა ჯემამ და საჩქაროდ გადაიკითხა წერილი, რომელშიაც იყო ცნობა საზაფხულო ფასების შესახებ აპენინების ერთ პანსიონში. შემდეგ დაინახა წერილის კუთხეში მელანდასხმული ორი ლაქა და მიმართა კრაზანას: — ცნობა სიმპატიკური მელნით არის დაწერილი. საწერი მაგიდის მესამე უჯრიდან რეაქტივი ამოიღეთ. დიახ, დიახ, სწორედ ეგაა.

კრაზანამ წერილი მაგიდაზე დადო და ფურცლებს ფუნჯი წაუსვა, როდესაც ქაღალდზე ღია ლურჯი ფერის სტრიქონები გამოჩნდა და წერილის ნამდვილი შინაარსი წაიკითხა, სკამის ზურგს გადააწვა და სიცილი აუტყდა.

---

* ჩემი დანაშაული, ჩემი დიდი დანაშაული (ლათ.).

Scanned by CamScanner

— რა მოხდა? — ჰკითხა ჯემამ.

კრაზანამ გაუწოდა წერილი:

„დომინიკინო დააპატიმრეს. დაუყოვნებლივ ჩამოდით“.

ჯემამ სასოწარკვეთილებით სავსე თვალები მიაპყრო კრაზანას.

— აბა ახლა რაღას იტყვით, — რამდენიმე წუთის სიჩუმის შემდეგ ირონიულად იკითხა კრაზანამ, — ახლა ხომ დარწმუნდით, რომ ჩემი წასვლა საჭიროა?

— დიახ, უნდა წახვიდეთ. — ღრმად ამოიოხრა ჯემამ. — მეც მოვდივარ.

კრაზანამ გაკვირვებით შეხედა.

— თქვენც? ჰო, მაგრამ...

— რა თქმა უნდა. თუმცა სამწუხაროა, რომ ფლორენციაში არავინ რჩება. მაგრამ ახლა ამას მნიშვნელობა არა აქვს. თავიდათავია — ვიყოლიოთ ზედმეტი მუშახელი იქ, ადგილობრივ.

— მუშახელს იქ ბევრს ვიშოვით.

— მაგრამ არა ისეთებს, რომლებსაც სავსებით შეგვიძლია დავენდოთ. რამდენიმე წუთის წინ თქვენ თქვით, რომ გვჭირდება ორი პასუხისმგებელი მუშაკი. თუ დომინიკინო მარტო ვერ მოერია მთელ სამუშაოს, თქვენ მით უფრო ვერ მოერევით.. როდესაც ადამიანს დიდი ეჭვით უცქერიან, როგორც, მაგალითად, თქვენ, ძალიან ძნელია კონსპირაციული მუშაობა. ცხადია, თქვენ განსაკუთრებით გჭირდებათ თანაშემწე. თქვენ ფიქრობდით, იმუშავებდით დომინიკინოსთან ერთად, ახლა კი ვიქნებით მე და თქვენ.

კრაზანამ წარბი შეიკრა და დაფიქრდა.

— დიახ, მართალი ხართ, — თქვა მან ბოლოს, — ორივენი უნდა წავიდეთ და რაც უფრო მალე, მით უკეთესი იქნება, მაგრამ ჩვენი ერთად წასვლა არ ივარგებს. თუ მე ამ საღამოს წავედი, იმ შემთხვევაში, თქვენ ხვალ ნასადილევს უნდა გაჰყვეთ დილიჟანსს.

— სად წავიდე?

— ეგ უნდა მოვისაზროთ. ჩემთვის უმჯობესი იქნება, პირდაპირ ფაენცაში ჩავიდე. თუ ამ ღამით გვიან გავემგზავრე, მაშინ ბორგოსან-ლორენცოში გავჩერდები. იქ გადავიცვამ და უმალვე წინ გავწევ.

ჯემამ დამწუხრებული შეხედა.

Scanned by CamScanner

— ამაზე უკეთესს ალბათ ვერაფერს მოვიფიქრებთ, — თქვა მან, — მაგრამ თქვენთვის ძალიან სახიფათოა ასე საჩქაროდ წასვლა: მერე კიდევ, ბორგოში კონტრაბანდისტებთან ტანსაცმლის შოვნა... განა შეიძლება კონტრაბანდისტებზე დანდობა? უნდა გქონოდათ, სულ ცოტა, თუნდაც სამი დღე, რომ გარემდებარე გზებით გემგზავრათ და ვიდრე საზღვარს მიაღწევდით, ყველა კვალი დაგეხლართათ.

— სწორედ საზღვარი არაა საშიში, — ღიმილით უპასუხა კრაზანამ, — შესაძლოა, ხელთ მიგდონ სხვა უფრო შორეულ ადგილას, მაგრამ საზღვარზე კი არა. მთებში მე ისეთივე უშიშროებაში ვიქნები, როგორც აქ. აპენინებში არც ერთი კონტრაბანდისტი არ გამცემს. მაგრამ, აი თქვენ როგორ უნდა გადაიაროთ საზღვარი, ეს კი ვერ მაქვს ნათლად წარმოდგენილი.

— ო, ეგ ძნელი საქმე როდია! ლუიზა რაიტს გამოვართმევ პასპორტს და გასასეირნებლად გავწევ მთებისაკენ. რომანიაში მე არავინ მიცნობს, თქვენ კი ყველა ჯაშუში გიცნობთ.

— საბედნიეროდ, ყველა კონტრაბანდისტიც.

ჯემამ საათს დახედა.

— სამის ნახევარია. ჩვენს განკარგულებაშია მთელი საღამო.

— უმჯობესია, ახლავე შინ წავიდე და ყველაფერი მოვაწყო. შემდეგ უნდა ვიშოვო კარგი ცხენი, აქედან ცხენით წავალ სან ლორენცოში: ასე უფრო უხიფათო და უშიშარი იქნება.

— სამაგიეროდ, სახიფათოა ცხენის დაქირავება. მისი პატრონი...

— მე არც ვაპირებ დაქირავებას. ცხენს მომცემს ერთი კაცი, რომელზედაც დანდობა შეიძლება. მას წინათაც გაუწევია ჩემთვის სამსახური. ორი კვირის შემდეგ კი რომელიმე მწყემსი დაუბრუნებს უკან. თქვენთან დავბრუნდები საათის ხუთზე, ან ექვსის ნახევარზე. თქვენ კი კარგს იზამთ, თუ ამ ხნის განმავლობაში მოძებნით მარტინის და ყველაფერს აუხსნით.

— მარტინის? — ჯემამ გაკვირვებით შეხედა კრაზანას.

— დიახ, ჩვენ იძულებული ვიქნებით, ვუთხრათ მას ყველაფერი, თუკი სხვას ვერავის ვერ ვნახავთ.

— კარგად არ მესმის, რისი თქმა გსურთ.

— აქ საჭიროა კაცის ყოლა ყოველგვარი შემთხვევისათვის. აქ

Scanned by CamScanner

ყოფთა შორის ყველაზე უფრო მარტინის ვენდობი. ცხადია, რიკარდოც გააკეთებს ჩვენთვის ყველაფერს, რაც მისგანაა დამოკიდებული, მაგრამ მარტინი უფრო სანდოა. თუმცა ჩემზე ახლო თქვენ იცნობთ მას... აბა, რას იტყვით?

— ეჭვი არ მებადება, რომ სავსებით შეიძლება მასზე დანდობა, ისიც მგონია, რომ ის, ალბათ, თანახმა იქნება ყოველგვარი დახმარება გაგვიწიოს. მაგრამ...

კრაზანა უცბად მიხვდა.

— ჯემა, წარმოიდგინეთ, რომ თქვენმა კეთილმა ამხანაგმა არ მოგმართათ დახმარებისათვის განსაცდელის დროს მხოლოდ იმის გამო, რომ ეშინია ტანჯვა არ მოგაყენოთ, როგორ ფიქრობთ, განა ის კარგად გეპყრობათ?

— მაშ კარგი, — თქვა ჯემამ მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ, — ახლავე გავგზავნი მასთან კეტის და ვთხოვ, მოვიდეს. მანამდე კი ლუიზასთან მივალ პასპორტის გამოსართმევად; ის დამპირდა, როცა დაგჭირდეს, მითხარი და გათხოვებო. ფულს რა ვუყოთ? გამოვიტანო თუ არა ბანკიდან ცოტა ძაინც?

— არა, ამაზე დროს ნუ დაკარგავთ. იმდენი კიდევ მაქვს, რომ პირველ ხანებში საცხოვრებლად გვეყოს. შემდეგ კი, როცა სულ დამეხარჯება, თქვენი ფული ვხარჯოთ. მაშ, ერთმანეთს ვნახავთ ექვსის ნახევარზე. ხომ დამხვდებით?

— რა თქმა უნდა. მე კიდევ უფრო ადრე დავბრუნდები.

კრაზანა ექვს საათზე დაბრუნდა; მას აივანზე დახვდნენ ჯემა და მარტინი. ის უცბად მიხვდა, რომ მათ არასასიამოვნო საუბარი უნდა ჰქონოდათ. ორივეს სახეს მღელვარება ემჩნეოდა. მარტინი არაჩვეულებრივად დაღვრემილი იყო.

— ყველაფერი გააკეთეთ? — ჰკითხა ჯემამ.

— ყველაფერი. საგზაო ფულიც მოგიტანეთ. ჩემი ცხენი დამხვდება ქალაქის განაპირა უბანში ნაშუადამევის პირველ საათზე.

— მე მგონია, ძალიან გვიან არის. ჩვენ სან ლორენცოში გათენებამდე უნდა შევიდეთ, სანამ ხალხი გაიღვიძებს.

— მეც ასეთ დროს მივალ, ცხენი კარგია, ისე მინდა წავიდე აქედან, რომ არავინ დამინახოს. შინ აღარ დავბრუნდები. ჯაშუში მდარაჯობს სახლის კართან. ალბათ ფიქრობს, რომ ოთახში ვარ.

Scanned by CamScanner

— როგორ გამოეპარეთ შეუმჩნევლად?

— სამზარეულოს ფანჯრიდან გადმოვედი ბაღში, შემდეგ კედელზე ავცოცდი და მეზობლის ბაღში გადავიპარე. ეს იყო ჩემი დაგვიანების მიზეზი. შინიდან შეუმჩნევლად უნდა წამოვსულიყავი. ცხენის პატრონი მთელ საღამოს გაატარებს ჩემს ოთახში, როდესაც ის სანათს მოუკიდებს, ჯაშუში დაინახავს ფანჯარაში სინათლეს, ადამიანის ლანდს და დამშვიდდება, ეგონება, რომ ამ საღამოს ოთახში ვზივარ და ვწერ.

— მაშასადამე, თქვენ დარჩებით აქ, სანამ განაპირა უბანში წასვლის დრო მოაღწევს?

— რა თქმა უნდა, არ მინდა, ამ საღამოს ვინმემ ქუჩაში დამინახოს. მარტინი, სიგარა ხომ არ გნებავთ? ვიცი, სინიორა ბოლა წინააღმდეგი არ იქნება, თუ მოსწევთ.

— წინააღმდეგიც რომ ვიყო, ამით არაფერი დაშავდება, ვინაიდან, სულ ერთია, მაინც არ ვიქნები აქ. სამზარეულოში უნდა წავიდე და სადილის კეთებაში დავეხმარო კეტის.

როცა ჯემა წავიდა, მარტინი ადგა, ხელები ზურგზე შემოიწყო და აივანზე სიარული დაიწყო. კრაზანა ხმაამოუღებლად აბოლებდა და ფანჯრიდან დაჰყურებდა ქალაქს, რომელსაც წვრილად აწვიმდა და თხელ ნისლში იყო გახვეული.

— რივარეს! — მიმართა მარტინიმ, პირდაპირ მის წინ გაჩერდა, მაგრამ თვალები კი ძირს დახარა, — რა საქმეში გინდათ ჩაითრიოთ ეს ქალი?

კრაზანამ პირიდან გამოიღო სიგარა და კვამლი გამოუშვა.

— ეს მისი პირადი გადაწყვეტილებაა, — თქვა მან. — არავის არ დაუტანებია ძალა.

— დიახ, დიახ, ვიცი, მაგრამ მითხარით...

მარტინი გაჩუმდა.

— გეტყვით ყველაფერს, რაც ვიცი.

— მაშ მითხარით... მე კარგად არ ვიცი, რას აპირებთ მთებში... ერთი სიტყვით, მითხარით, სერიოზული საშიშროება ელის იქ მას?

— თქვენ გინდათ სიმართლე გაიგოთ?

— რა თქმა უნდა.

— დიახ. სერიოზული საშიშროება ელის.

Scanned by CamScanner

მარტინი შეტრიალდა და კვლავ ბოლთის ცემას შოჰყვა. შემდეგ გაჩერდა.

— კიდევ ერთი რამ მინდა გკითხოთ. რა თქმა უნდა, შეგიძლიათ, არ მიპასუხოთ. მაგრამ თუ მიპასუხებთ, სიმართლე უნდა მითხრათ. თქვენ გიყვართ ის?

კრაზანამ აუჩქარებლად ჩამოჰყარა ფერფლი სიგარიდან და შემდეგ მდუმარედ განაგრძო თამბაქოს წევა.

— ვხედავ, რომ არ გინდათ მიპასუხოთ.

— არა, როგორ არ მინდა, მაგრამ, მგოხია, მაქვს უფლება ვიცოდე, რატომ მეკითხებით მაგას?

— რატომ? ღმერთო ჩემო! განა არ გესმით, რატომ?

— აი, თურმე რა ყოფილა! — კრაზანამ გადადო სიგარა და თვალებში ჩახედა მარტინის. — დიახ, — ნელა წარმოთქვა მან ბოლოს თავისი რბილი ხმით, — მე მიყვარს ის. მაგრამ არ იფიქროთ, რომ სიყვარულის ახსნას ვაპირებდე, ან ვაწამო ჩემი გრძნობის გამჟღავნებით. მე ხომ მელის...

ის ახლა ჩურჩულით ლაპარაკობდა. მარტინი მიუახლოვდა.

— რა გელით?..

— სიკვდილი.

კრაზანა ისეთი ცივი, გაშეშებული თვალებით იხედებოდა, თითქოს მართლაც უკვე მკვდარი იყო. შემდეგ ისევ დაილაპარაკა რაღაც საკვირველი, უსიცოცხლო ხმით:

— ოდნავი იმედიც კი არა მაქვს, რომ ცოცხალი დავრჩები. მაგრამ რა საჭიროა, წინასწარ ააფორიაქოთ და ააღელვოთ ჯემა. ვინც არ უნდა იყოს ჩემს ადგილზე, მას ისეთივე განსაცდელი მოელის, რაც მე. ჯემამ ჩემსავით კარგად იცის ეს. კონტრაბანდისტები ყოველნაირად შეეცდებიან, ჯემა ხელში არ ჩაუვარდეს მტერს. მშვენიერი ბიჭები არიან, თუმცა ცოტა უხეშები. ჩემი კისერი დიდი ხანია მარყუჟშია და საზღვარზე რომ გადავალ, მხოლოდ მოვჭიმავ ამ მარყუჟს.

— რივარეს, რა გემართებათ? თქვენი წამოწყება, რა თქმა უნდა, მეტად სახიფათოა, განსაკუთრებით თქვენთვის. მე ეს კარგად მესმის, მაგრამ ხომ არა ერთხელ გადაგივლიათ საზღვარზე და ყოველთვის მშვიდობიანად.

Scanned by CamScanner

— აქამდე ჰო, მაგრამ ამ ჯერზე ჩავვარდები.

— რატომ, საიდან ასკვნით?

კრაზანას ირონიულად გაეღიმა:

— გახსოვთ, გერმანული ლეგენდა ერთ კაცზე, რომელიც მოკვდა თავის ორეულთან შეხვედრისას?.. არ გახსოვთ? ორეული თავს წამოადგა ღამით, უკაცრიელ ადგილას. ის კვნესოდა, ხელებს იმტვრევდა. აი, მეც ასე შევხვდი ჩემს ორეულს ამასწინათ რომ აპენინებში ვიყავი და ახლა როგორც კი საზღვარს გადავალ, ტყუილია, უკან დაბრუნება აღარ მიწერია.

მარტინი მიუახლოვდა და ხელებით დაეყრდნო მისი სავარძლის ზურგს:

— გამიგონეთ, რივარეს! მე უარს ვაცხადებ მაგ შეტაფიზიკური აბდაუბდის გაგებაზე, მაგრამ ერთი რამ ცხადია: თუ ასეთი წინათგრძნობა გაქვთ, არ უნდა გაემგზავროთ. კაცი რომ ასეთი წინათგრძნობით გაემგზავრება, მართლაც, აუცილებლად დაიღუპება. თქვენ ალბათ ავად ხართ, ან რაღაცაზე ნერვებმოშლილი, რაკი ასეთი სისულელეებით გამოგიტენიათ თავი. იცით რა, მე წავალ თქვენს მაგივრად და ვიკისრებ ყველა საჭირო პრაქტიკული მუშაობის შესრულებას. თქვენ მხოლოდ განმარტებითი ბარათი გაუგზავნეთ მეგობრებს...

— და თქვენ საშუალება მოგცეთ, რომ ჩემს მაგიერ იქნათ მოკლული, არა? ძალიან ჭკვიანური საქმე არ იქნებოდა!

— ო, არა მგონია, მომკლან, ისინი მე ისე არ მიცნობენ, როგორც თქვენ. მაგრამ კიდევაც რომ...

ის შეჩერდა. კრაზანამ შეხედა ხანგრძლივი, მავედრებელი მზერით.

მარტინიმ ხელი დაუშვა მისი სავარძლიდან.

— ჯემასთვის, ცხადია, გაცილებით სამძიმო იქნებოდა თქვენი დაკარგვა, ვიდრე ჩემი, — თქვა მან სრულიად უბრალოდ. — გარდა ამისა, რივარეს, ამ საქმეს საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს და უნდა მივუდგეთ მხოლოდ ერთი თვალსაზრისით: როგორ გავაკეთოთ ისე, რომ უფრო მეტად სასარგებლო იყოს ხალხის უმრავლესობისათვის, „თქვენი სარგებლიანობის კოეფიციენტი“ — მგონი ასე უწოდებენ ეკონომიტები, არა? — ჩემს სარგებლიანობაზე უფ-

Scanned by CamScanner

რო დიდია. მე მყოფნის მოსაზრება და კარგად მესმის ეს, თუმცა არ
ვომეპოვება საკმაო მიზეზი იმისათვის, რომ მიყვარდეთ. თქვენ უფ-
რო დიდი პიროვნება ხართ, ვიდრე მე; სრულიად არ ვარ იმაში დარ-
წმუნებული, რომ მჯობიხართ, მაგრამ ჩემზე დიდი ხართ და თქვენი
სიკვდილი უფრო მნიშვნელოვანი დანაკლისი იქნებოდა, ვიდრე
ჩემი.

ყველაფერი ეს მან ისე თქვა, თითქოს საქმე ეხებოდა ბირჟაზე
აქციების მაზანდას. კრაზანა ისევ შეკრთა, თითქოს შესცივდაო და
თვალი მიაპყრო.

— თქვენ გინდათ, დაველოდო, სანამ სამარე თვითონ ჩამყლა-
პავს?

თუკი სიკვდილი მიწერია, ქვესკნელის წყვდიადს ისე შეეხვდები, ვით საცოლეს!*

მე და თქვენ, მარტინი, სისულელეს ვროშავთ.

— ეგ თქვენ ამბობთ სისულელეს, რა თქმა უნდა, — კუშტად
უპასუხა მარტინიმ.

— თქვენც, თქვენც, ღვთის გულისათვის, ოღონდ ნუ გაგვიტა-
ცებს ეგ რომანტიკული თავგანწირვა, როგორც დონ კარლოსსა და
მარკიზ პოზას." მე და თქვენ მეცხრამეტე საუკუნეში ვცხოვრობთ
და თუ სიკვდილი საჭიროა იმ საქმისათვის, რომელსაც ხელი მოვ-
კიდე, მეტი ძალა არაა, უნდა მოვკვდე.

— მაგრამ თუ ჩემი საქმე არის სიცოცხლე, იძულებული ვიქ-
ნები, ვიცოცხლო, რას იზამ... ბედნიერი კაცი ხართ თქვენ, რი-
ვარეს!

— დიახ, — უმალვე დაეთანხმა კრაზანა. — მე ყოველთვის
მწყალობდა ბედი.

რამდენიმე წუთის განმავლობაში ხმაამოუღებლად აბოლებდნენ,
შემდეგ კი შეუდგნენ თათბირს გამგზავრების შესახებ, როდესაც
ჯემა მოვიდა, მათ არ შეიმჩნიეს, რომ ასეთი უცნაური საუბარი
ჰქონდათ.

---

* კლავდიუსის სიტყვები შექსპირის დრამიდან „ზომა ზომისათვის" მესამე
მოქმედება, სცენა I.

Scanned by CamScanner

ნასადილევს სამივენი ჩაებნენ საქმიან საუბარში.

როდესაც თერთმეტი საათი შესრულდა, მარტინი ადგა და ქუდს მოჰკიდა ხელი

— შინ წავალ და სამგზავრო წამოსასხამს მოგიტანთ. მასში თქვენი ცნობა უფრო გაუჭირდებათ, ვიდრე ამ ტანსაცმელში. ამას გარდა, მიხდა მოვახდინო მცირეოდენი დაზვერვა: ხომ არ ხეტიალობენ სახლის წინ ჯაშუშები.

— თქვენ გამომყვებით განაპირა უბნამდე?

— დიახ. ოთხი თვალი ორზე უფრო საიმედოა, იმ შემთხვევაში, თუ ვინმე აგვედევნა. მე თორმეტი საათისათვის დავბრუნდები. იცოდეთ, უჩემოდ არ წახვიდეთ. ჯემა, გასაღებს წავიღებ, რომ ზარის დარეკვით არ შეგაწუხოთ.

ჯემამ შეხედა მარტინის და მიხვდა, რომ მან განზრახ მოიმიზეზა ყველაფერი ეს, რათა ის მარტო დაეტოვებინა კრაზანასთან.

— მე და თქვენ ხვალაც მოვასწრებთ ლაპარაკს, — თქვა ჯემამ. — დილით საკმაო დრო გვექნება.

— რა თქმა უნდა! დრო საკმაო იქნება... მინდოდა, კიდევ ერთი-ორი კითხვა მომეცა, რივარეს, მაგრამ გარეუბანში მისვლამდე მოვასწრებთ ამის შესახებ საუბარს. ჯემა, გაუშვით კეტი დასაძინებლად და, რაც შეიძლება, ხმადაბლა ილაპარაკეთ. მაშ თორმეტ საათამდე.

მარტინი ღიმილით გავიდა ოთახიდან. შემდეგ ხმაურით მიხურა კარი, რათა მეზობლებს გაეგოთ სინიორა ბოლას სტუმრების წასვლა.

ჯემა სამზარეულოში წავიდა კეტის გასათავისუფლებლად და დაბრუნებისას შავი ყავა შემოიტანა.

— იქნებ გსურთ ცოტა ხნით წამოწოლა? — ჰკითხა მან. — მთელი ღამე უნდა ათიოთ.

— არა, რას ბრძანებთ, სან-ლორენცოში მოვასწრებ გამოძინებას, ვიდრე ტანსაცმელს მიშოვიდნენ.

— მაშ ყავა მიირთვით. დაიცადეთ, ნამცხვარს მოვიტან.

ჯემამ დაიჩოქა ბუფეტის წინ ნამცხვრის გამოსაღებად. კრაზანა უცებ მივიდა და ისიც დაიხარა:

Scanned by CamScanner

— რა გაქვთ იქ! შოკოლადის კანფეტები და ინგლისური ქა-
ჩამელი! ოჰ, ასეთი ფუფუნება მხოლოდ მეფეებს შეჰფერის!
ჯემამ ახედა და გაუღიმა:
— თქვენ გიყვართ ტკბილეული? მე მათ ყოველთვის ვინახავ
ჩეზარესათვის. ყოველგვარი ტკბილეული ისე ახარებს, როგორც
ბავშვს.
— მ-მ-ართლა? თუ ასეა, ხვალ მას ახალი უყიდეთ, ესენი კი მე
გამატანეთ. კარამელს ჯიბეში ჩავიწყობ, ის მანუგეშებს და ამინაზ-
ღაურებს ცხოვრებაში დაკარგულ სიხარულის წუთებს. იმედი
მაქვს, ნებას მომცემენ, მოვწუწნო კარამელი იმ დღეს, როცა წა-
მიყვანენ სიკვდილით დასასჯელად.
— დაიცადეთ, კოლოფს ვნახავ კარამელის ჩასაწყობად. ყველა-
ფერს ეწებებიან: შოკოლადის კანფეტებიც ჩავაწყო?
— არა, მაგას ახლა შევჭამ, თქვენთან ერთად.
— მე არ მიყვარს შოკოლადი. დაწყნარდით და დაჯექით, რო-
გორც გონიერი არსება. ადვილი შესაძლებელია, შემდეგში აღარ
გვქონდეს შემთხვევა, დამშვიდებით ვილაპარაკოთ იმის წინ, სანამ
ერთი ჩვენგანი იქნება მოკლული და...
— არ უყვარს შ-შ-ოკოლადი, — წაიბუტბუტა კრაზანამ. — იძუ-
ლებული ვარ, მარტო მე ვჭამო. ეს იქნება ვახშამი სიკვდილით
დასჯის წინ... მართალია, თუ არა? დღეს თქვენ უნდა შეასრულოთ
ჭველა ჩემი სურვილი. უპირველეს ყოვლისა, მე მსურს, ჩაჯდეთ ამ
სავარძელში, და ვინაიდან სთქვით, რომ შემიძლია მოვისვენო, მე
აქ წამოვწვები. ეს ძალიან კარგი იქნება.
კრაზანა დაწვა ნოხზე ჯემას ფერხთით და სახეში დაუწყო
ცქერა.
— რა ფერმკრთალი ხართ! ეს იმიტომ, რომ ცხოვრებას სერიო-
ზულად უყურებთ და არ გიყვართ შოკოლადი.
— ხუთი წუთით მაინც იყავით სერიოზული! საქმე ხომ სიკ-
ვდილ-სიცოცხლეს ეხება!
— ერთი წუთითაც არ მსურს, სერიოზული ვიყო, ჩემო მეგობა-
რო, არც სიცოცხლე ღირს ამად, არც სიკვდილი
კრაზანამ ხელი მოჰკიდა ჯემას ორივე ხელს და ალერსი დაუწყო.
— ნუ მიცქერით ეგრე მრისხანედ, მინერვა.[51] კიდევ წუთი და მე

Scanned by CamScanner

ავტირდები, თქვენ კი შეგეცოდებით. გულით მინდა კიდევ ერთხელ გაიღიმოთ თქვენი უეცარი მშვენიერი ღიმილით.. კმარა, კმარა, ნუ მიჯავრდებით, ჩემო კარგო, ერთად შევჭამოთ თქვენი ნამცხვარი, როგორც ორმა კარგმა ბავშვმა და შემდეგ ნუღარ წავიჩხუბებთ. ხვალ ხომ სიკვდილი მოვა.

მან საინიდან აიღო ტკბილი ნამცხვარი და შეეცადა გაეყო ორ თანასწორ ნაწილად ისე, რომ სარკალას სამკაულიც სწორედ შუაზე გატეხილიყო. — დაე, ეს იყოს ჩვენთვის ზიარება, რომელსაც მიიღებენ ხოლმე ეკლესიაში კეთილი ადამიანები. ჩვენ უნდა და-ე-ვ-ლიოთ ღვინო ერთი ჭიქიდან... დიახ, დიახ, ასე.

ჯემამ დადგა ჭიქა მაგიდაზე.

— გაჩუმდით! — ძლივს წარმოთქვა მან. ქალის ხმაში ქვითინი ისმოდა.

კრაზანამ შეხედა და ისევ მიიზიდა მისი ხელები.

— კეთილი, კმარა, ახლა წყნარად დავსხდეთ. როდესაც ერთი ჩვენგანი მოკვდება, მეორე გაიხსენებს ამ წუთებს. დავივიწყოთ ეს მოუსვენარი ქვეყანა, რომელიც აბეზარად გვიზუზუნებს ყურებში და ხელიხელჩაკიდებული წავიდეთ ჩვენი გზით. წავიდეთ სიკვდილის საიდუმლო ჯურღმულში და განვისვენოთ იქ აყვავებულ ყაყაჩოებს შორის. ჩუმად, ნუ ლაპარაკობთ.

კრაზანამ თავი მიასვენა ჯემას მუხლებზე და სახე შიგ ჩამალა. ჯემამ არაფერი უთხრა, დაიხარა და ხელი მისი თმის მუქ ხვეულებს გადაუსვა. დრო გადიოდა, წუთები იკარგებოდნენ საუკუნეში, ისინი კი ისხდნენ ხმაამოუღებლად, გაუნძრევლად.

— ჩემო მეგობარო, თითქმის თორმეტი საათია, — როგორც იქნა, თქვა ჯემამ; კრაზანამ თავი ასწია. — ჩვენ მხოლოდ რამდენიმე წუთი დაგვრჩა. მარტინი საცაა დაბრუნდება. შესაძლოა ვეღარასოდეს ვნახოთ ერთმანეთი. ნუთუ სათქმელი არაფერი გაქვთ?

კრაზანა მძიმედ ადგა და ოთახის მეორე მხარეზე გადავიდა. ერთი წუთი ხმაამოუღებლივ იდგნენ.

— აი, რა უნდა გითხრათ, — დაიწყო მან ოდნავ გასაგონი ხმით, — უნდა გითხრათ... რომ...

კრაზანა ისევ შეჩერდა, ჩამოჯდა ფანჯარასთან და ხელები სახეზე აიფარა.

Scanned by CamScanner

— ბევრი დრო კი დაგჭირდათ, სანამ გადაწყვეტდით ჩემდამი სიბრალული გამოგეჩინათ, — ალერსიანად თქვა ჯემამ.

— მეც იშვიათად თუ ვისმეს შევბრალებივარ... თავდაპირველად ჟეგონა, რომ თქვენთვის... სულ ერთი იყო.

— ახლა არ ფიქრობთ ასე?

ერთ წუთს ჯემა უცდიდა პასუხს, შემდეგ კი მიუახლოვდა.

— ბოლოს და ბოლოს, მითხარით სიმართლე, — წასჩურჩულა მან. — დაფიქრდით: თუ თქვენ მოგკლეს, მე კი არა, მაშინ მე უნდა გავატარო მთელი სიცოცხლე ისე, რომ ვერ გავიგო... ვერ გავიგო დანამდვილებით...

მან მაგრად მოუჭირა ხელები ჯემას ხელებს.

— თუ მომკლეს და... უნდა გითხრათ, რომ როდესაც სამხრეთ ამერიკაში გავემგზავრე... აჰ, მარტინიც მოვიდა!

კრაზანა შეკრთა, წამოხტა და კარი გააღო. მარტინი ფეხს იწმენდდა ფარდაგზე.

— ერთი წ-წ-უთითაც არ დაგიგვიანებიათ, როგორც ყოველთვის! თქვენ ც-ცოცხალი ქრონომეტრი ხართ, მარტინი. ეს არის საგზაო წამოსასხამი?

— კიდევ სხვა რამეცაა. ვეცადე, მშრალი მომეტანა, მაგრამ კოკისპირული წვიმა მოდის, ვშიშობ, ძალიან შეწუხდებით გზაში.

— არა უშავს. როგორაა საქმე. ქუჩა თავისუფალია?

— დიახ, როგორც ჩანს, ჯაშუშები დასაძინებლად წასულან. ისეთი ცუდი ამინდია, რომ გასაკვირალიც არაა. ეს ყავაა, ჯემა? კარგი იქნება, თუ ცხელ რამეს დაალევინებთ, სანამ ამ წვიმაში გზას გაუდგებოდეს, თორემ გაციედება.

— ეს შავი ყავაა. ძალიან მაგარი. მე წავალ და რძეს ავადუღებ.

ჯემა გავიდა სამზარეულოში. ძლივს იმაგრებდა თავს, რომ ქვითინი არ დაეწყო. როდესაც ადუღებული რძით დაბრუნდა, კრაზანას უკვე წამოსასხამი მოეხურა და მარტინისაგან მოტანილ ტყავის გეტრებს იკრავდა. მან ფეხზე მდგარმა დალია ერთი ფინჯანი ყავა და ხელი მოჰკიდა საგზაო ფართოფარფლებიან ქუდს.

— მარტინი, მგონია, წასვლის დროა. ყოველი შეთხვევისათვის, გარეუბნისაკენ სხვადასხვა ქუჩით წავიდეთ.. ნახვამდის, სინიორა. პარასკევს ფორლიში შეგხვდებით, თუ, რასაკვირველია, განსა-

Scanned by CamScanner

კუთრებული არაფერი მოხდა. დაიცადეთ ერთი წუთი: აი, მისამართი.

უბის წიგნაკიდან ფურცელი ამოგლიჯა და ფანქრით რამდენიმე სიტყვა დაწერა.

— მე უკვე მაქვს მისამართი, — უხალისოდ უპასუხა ჯემამ.

— უკვე გ-გ-აქვთ? არა უშავს, წაიღეთ, გქონდეთ ყოველი შემთხვევისათვის... წავიდეთ, მარტინი. შ-შ-შ, ჩუმად! კარს ნუ აჭრიჭინებთ.

ისინი ფრთხილად ჩაიპარნენ ქვევით. როდესაც ქუჩაში გასავალი კარი მოიხურეს, ჯემა დაბრუნდა ოთახში და სრულიად უნებურად გაშალა ქაღალდი, რომელიც კრაზანამ შეაჩეჩა. მისამართის ქვეშ ეწერა:

„ყველაფერს გეტყვით, როცა შეგხვდებით“.

თავი მეოთხე

ბრიზიგელაში ბაზრობის დღე იყო. მეზობელი სოფლებიდან გლეხები ჩამოსულიყვნენ. ვის ქათმები ჩამოეტანა, ვის რძის ნაწარმი. ზოგს კიდევ ღორები ან ნახევრად ველური მთის პირუტყვები ჩამოერეკა. ხალხის ბრბო დაუსრულებლად ადიოდა და ჩადიოდა საბაზრო მოედანზე. გლეხები იცინოდნენ და ეხუმრებოდნენ იაფფასიანი ნამცხვრების და მზესუმზირას გამყიდველებს. მზისგან დამწვარი, ფეხტიტველა ბიჭები ქვაფენილზე ეყარენ ცხელი მზის ქვეშ, მათი დედები კი, რომლებსაც ხელში კვერცხებით და კარაქით სავსე კალათები ეჭირათ, ხის ძირში ისხდნენ ჩრდილქვეშ.

როდესაც მონსინიორ მონტანელი მოედანზე გამოვიდა რათა ხალხს მისალმებოდა, სწრაფად შემოერტყა გარს ბავშვების ბრბო. და პატარა ხელები ყოველი მხრიდან აწოდებდნენ ნარგიზს, ყაყაჩოს და ათასგვარ სხვა ყვავილების თაიგულებს, რომელნიც მთის კალთებზე დაეკრიფათ. ყველამ იცოდა, რომ მონტანელის განსაკუთრებით უყვარდა მინდვრად მოკრეფილი ყვავილები. ვინმე სხვას

Scanned by CamScanner

ვის ადგილას, ვისაც მონტანელივით დამსახურებული არ ჰქონდა საერთო სიყვარული, სახლი ყვავილებით და ბალახებით რომ აევსო, აუცილებლად სამასხროდ გახდიდნენ, მაგრამ „წმინდა კარდინალს" უფლება ჰქონდა თავისი თავისთვის ნება მიეცა, ასეთი ახირებული ჩვეულება და სურვილი ჰქონოდა.

— გამარჯობა, მარიუჩა, — ალერსით მიმართა მან ერთ პატარა გოგონას, გაჩერდა მის წინ და თავზე ხელი გადაუსვა, — რამხელა გოგო გაზრდილხარ. კიდევ აწუხებს ბებიაშენს ქარები?

— ბებია უკეთაა, თქვენო უწმინდესობავ, მაგრამ ახლა დედა გაგვიხდა ავად.

— საბრალო ქალი. უთხარი, როგორმე შეიძლოს აქ ჩამოსვლა. ექიმი ჯორდანო მოუვლის. მე კი ბინას ვუშოვი. იქნება განვკურნოთ. შენ, ლუიჯი! თვალები აღარ გტკივა?

მონტანელი გლეხებს ელაპარაკებოდა და თან ნელა წინ მიიწევდა მოედანზე. მას ყოველთვის ახსოვდა ბავშვების სახელები. ვინ რამდენი წლის იყო, რა აწუხებდა მათ და მათს მშობლებს მზრუნველობით ეკითხებოდა ხოლმე, გამომთელდა თუ არა ძროხა, ავად რომ ჰყავდა ან როგორაა ნაჭრის დედოფალა, წინა ბაზრობაზე ბორბლებქვეშ რომ ჩავარდა.

როდესაც თავის სასახლეში დაბრუნდა, გახურებული ბაზრობა მიმდინარეობდა. ლურჯბლუზიანი კოჭლი კაცი, მარცხენა ლოყაზე ნაჭრილობევი რომ აჩნდა და ხშირი შავი თმა თვალებზე ჩამოფხატოდა, დუქანთან მივიდა და დამტვრეულ იტალიურ ენაზე ლიმონათი მოითხოვა.

— გეტყობათ, აქაური, არ უნდა იყოთ, — უთხრა ქალმა, რომელმაც ლიმონათი ჩამოუსხა, და ცნობისმოყვარეობით დაუწყო ცქერა უცნობს.

— არა, მე კორსიკიდან მოვდივარ.

— ალბათ სამუშაოს ეძებთ?

— დიახ, მალე თიბვა დაიწყება. ერთი ბატონი, — მას საკუთარი ფერმა აქვს რავენასთან, — ამას წინათ ჩამოვიდა ბასტიაში და მითხრა, რავენის ახლოს ბევრია სამუშაო.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. ცუდი დრო კი დადგა ჩვენს მხარეში.

Scanned by CamScanner

— კორსიკაში უარესია. ჩვენ, ღარიბი ხალხი, პირდაპირ ვიხოცებით შიმშილით.

— მარტო ჩამოსვლდით იქიდან?

— არა, ამხანაგი ჩამომყვა. აი, აგერ წითელბლუზიანი რომ დგას. ჰეი, პაოლო!

მიქელემ გაიგონა რომ მას უძახდნენ, ხელები ჯიბეში ჩაიწყო და ზანტი ნაბიჯით წავიდა მათკენ. ის ძალიან მოაგავდა კორსიკელს, მიუხედავად იმისა, რომ წითელი პარიკი ჰქონდა, რათა არავის ეცნო. კრაზანა კი უმუშევარი კორსიკელის ტიპის სრული განსახიერება იყო.

ისინი ერთად წავიდნენ ბაზრის მოედანზე სახეტიალოდ. მიქელე ოდნავ გასაგონად უსტვენდა. კრაზანა კი, რომელსაც ზურგზე აეკიდა მძიმე ტვირთი, ძლივს მიაბიჯებდა და მიათრევდა ფეხებს, რომ ნაკლები ყურადღება მიექციათ მისი კოჭლობისათვის. ისინი უცდიდნენ ამხანაგს, რომელსაც მათგან საყურადღებო ცნობები უნდა გაეგო და შემდეგ სხვა ქალაქში გადაეცა.

— შეხედეთ, მარკონე მოდის ცხენით, აი, აგერ, მოსახვევთან არის, — უეცრად წაიჩურჩულა მიქელემ.

კრაზანა, რომელიც განაგრძობდა ტვირთის თრევას, მხედრისკენ წავიდა.

— თქვენ, ბატონო ჩემო, მთიბავი ხომ არ გჭირდებათ? — ჰკითხა მან და ერთი ხელით დახეულ ქუდს შეეხო, ხოლო მეორეთი ცხენის აღვირს.

ეს იყო დათქმული ნიშანი.

მხედარი, რომელიც თავისი შეხედულებით მამულის გამგებელს მოაგავდა. ჩამოხტა ცხენიდან და აღვირი ზურგზე გადაუგდო.

— რისი გაკეთება შეგიძლია?

კრაზანა ხელებში ქუდს ჭმუჭნიდა.

— ბალახის მოთიბვა და ღობის გაკეთება, — დაიწყო მან და განაგრძო შემდეგ ისე, რომ ოდნავადაც არ შეუცვლია ხმა: — ღამის პირველ საათზე მრგვალ გამოქვაბულში შესასვლელთან საჭირო იქნება ფორანი და ორი კარგი ცხენი. მე გამოქვაბულში დაგელოდებით... მიწის მუშაობაც ვიცი, ბატონო და...

Scanned by CamScanner

— ეგეც საკმარისია. მე მხოლოდ მთიბავი მჭირდება. გიმუშავნია ოდესმე მოჯამაგირედ?

— დიახ, ერთხელ ვმუშაობდი... იცოდეთ, რომ კარგად შეიარაღებული უნდა იყვეთ. შეიძლება მფრინავი რაზმი შეგვეფეთოს. ნუ ივლით ტყის ბილიკით, უბრალო ლაპარაკზე დროს ნუ დახარჯავთ — პირდაპირ ესროლეთ... რომ იცოდეთ, ბატონო, რა მოხარული ვარ, სამუშაო რომ ვიშოვე.

— ეგ ყველაფერი კარგია. მაგრამ მე მჭირდება ისეთი კაცი, რომელსაც საქმის გაკეთება კარგად შეუძლია. ხურდა არა მაქვს, მოხუცო.

ძონძებში გახვეული ბებერი მათხოვარი, რომელიც ძლივს მოაბიჯებდა. მივიდა მათთან, გაუშვირა ხელი და აკანკალებული ხმით მიმართა:

— ღვთის გულისათვის, შეიბრალეთ გლახაკი, ბრმა მოხუცი... დაუყოვნებლივ დაიშალეთ, თორემ მფრინავი რაზმი მოდის. დედაო ღვთისაო, წმინდაო მარიამო... თქვენ გეძებენ, რივარეს, ორ წუთში აქ იქნებიან... ღმერთი მოგხედავთ ჩემი შებრალებისათვის... თქვენ უნდა შეძლოთ შემორტყმული რკალის გარღვევა, ყველგან დაძრწიან ჯაშუშები და არაა იმედი, რომ შეუმჩნევლად გახვიდეთ აქედან.

მარკონემ ალვირი გადასცა კრაზანას.

— იჩქარეთ! მოასწარით ხიდზე გასვლა, იქ ცხენი გაუშვით, თქვენ კი ხრამში დაიმალეთ. ჩვენ ყველანი შეიარაღებული ვარო და, დარწმუნებული ვარ, შევძლებთ, ათი წუთით შევაჩეროთ რაზმი.

— არა, არა! არ მინდა, რომ ხელში ჩაუვარდეთ მათ. არ დაშორდეთ ერთმანეთს და მას შემდეგ, როცა მე გავისვრი, რიგრიგობით ისროლეთ. დაიხიეთ ჩვენი ცხენების მიმართულებით, აგერ არიან მიბმული სასახლის შესასვლელთან და მოამზადეთ დანები. ჩვენ დავიხევთ ბრძოლით, ხოლო როცა ქუდს მიწაზე დავაგდებ, გადაჭრით მათ მისაბმელებს და მოახტებით ცხენებს. ამრიგად, იმედი მაქვს, ყველანი შევძლებთ ტყეს მივაღწიოთ.

ისინი ლაპარაკობდნენ ხმადაბლა და ისეთი მშვიდი კილოთი,

Scanned by CamScanner

რომ გვერდით მდგომნიც კი ვერ აიღებდნენ ეჭვს, თუ აქ სათიბზე უფრო სერიოზულ საგანზე იყო მსჯელობა.

მარკონემ ხელი მოჰკიდა თავის ცხენს და სასახლესთან დაბმული ცხენებისაკენ წაიყვანა. კრაზანა გვერდით გაჰყვა, მათხოვარს კი ხელი კვლავ გაეშვირა, ძლივს მისდევდა მათ და შეუჩერებლივ მოსთქვამდა რაღაცას საწყალი ხმით. მიქელე სტვენით გაემართა მათკენ, მათხოვარმა ჩაუარა და მოასწო მისი გაფრთხილება. მიქელე კი მივიდა სამ გლეხთან, რომელნიც ჩრდილქვეშ ისხდნენ და გემრიელად შეექცეოდნენ უმ ხახვს, და ახალი ამბავი შეატყობინა.

გლეხები მაშინვე ადგნენ და გაჰყვნენ. ამრიგად, შვიდივე, რომლებზედაც ეჭვი არავის დაბადებია, ახლა ერთად იდგა სასახლის კიბესთან, ყოველ მათგანს ხელში ეჭირა ჯიბეში ჩამალული დამაჩა, ისინი ცდილობდნენ, აო დაშორებოდნენ დაბმულ ცხენებს.

— არ გასცეთ თქვენი თავი იმ დრომდე, სანამ ნიშანს არ მოგცემთ, — თქვა კრაზანამ ჩუმი, მაგრამ მკაფიო ხმით. — შესაძლოა კერც კი გვიცნონ. როდესაც მე გავისვრი, თქვენც დაიწყეთ სროლა. მაგრამ ადამიანებს კი არა, ცხენებს ესროლეთ ფეხებში, და დადევნებას ველარ შეძლებენ. ისროლეთ რიგრიგობით. სამმა ისროლოს, სამმა კი დაცლილი დამბაჩები დატენოს. თუ ვინმე დადგა ჩვენსა და ჩვენს ცხენებს შორის, ესროლეთ. მე მიმყავს, აი, ის ჩალისფერი, როგორც კი ქუდს დავაგდებ მიწაზე, გაიქცევით, ვისაც საით შეუძლია, და არავითარ შემთხვევაში არ შეჩერდეთ.

— აი, ისინიც გამოჩნდნენ, — თქვა მიქელემ.

კრაზანა მოტრიალდა და გულუბრყვილო, სულელური სახე მიიღო.

ვაჭრობა უეცრად შეწყდა და ყველამ პირი იბრუნა შესახვევისაკენ, საიდანაც თხუთმეტი შეიარაღებული მხედარი გამოჩნდა. ისინი ნელა მიიწევდნენ წინ, რადგან ხალხში ცხენებით გავლა უჭირდათ და თუ არა ყველა კუთხეში ჩასაფრებული ჯაშუშები, შვიდივე თავისუფლად შეძლებდა დამალვას, ვიდრე ხალხი ჯარისკაცებს მისჩერებოდა.

მიქელემ კრაზანასაკენ მიიწია.

— არ აჯობებს, ახლა წავიდეთ?

Scanned by CamScanner

— ეს შეუძლებელია; ჩვენ გარშემორტყმული ვართ ჯაშუშებით, ერთმა მიცნო კიდეც. შეხედე, მან კაციც გაგზავნა კაპიტანთან ამის სათქმელად. ერთადერთი გამოსავალი გვაქვს: დავჭრათ მათი ცხენები.

— სად დგას ის ჯაშუში?

— ის არის პირველი კაცი, რომელსაც მე ვესვრი ყველანი ეზად ხართ? მათ უკვე გზა გაიკაფეს ჩვენკენ. ახლავე იერიშით ამოვლენ.

— გზა დაცალეთ! — დაიყვირა კაპიტანმა. — მისი უსამღვდელესოების სახელით გიბრძანებთ, გზა გაცალეთ!

შეშინებული და გაკვირვებული ბრბო შუაზე გაიყო და ჯარისკაცები შურდულივით გაექანენ იმ ჯგუფისაკენ, რომელიც სასახლესთან იდგა.

კრაზანამ ჯიბიდან ამოიღო დამბაჩა და ესროლა, მაგრამ არა რაზმს, არამედ ჯაშუშს, რომელიც ამ დროს ცხენებს უახლოვდებოდა. ჯაშუში იმავე წუთში დაეცა მხარდამსხვრეული, თითქმის იმავე წამს ერთი მეორეზე ექვსჯერ გაისმა სროლის ხმა და შეთქმულებმა იწყეს უკან დახევა ცხენებისაკენ. ჯარისკაცის ერთმა ცხენმა წაიბორძიკა და განზე გახტა, მეორე ჭიხვინით დაეცა ბრბოძი, რომელიც დაფრთხა. გაისმა კივილი, შემდეგ რაზმის უფროსის, ოფიცრის ძახილი. ის წამოდგა უზანგებზე, იშიშვლა ხმალი და დაიძახა:

— აქეთ მომყევით!..

უეცრად ის შეირხა უნაგირზე და თავის ცხენის გავაზე დაეცა. კრაზანამ ისევ გაისროლა და არ აუცდენია. წითელ ნაკადად გადმოეშვა სისხლი კაპიტნის მუნდირზე, მაგრამ მან უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა, ისევ გასწორდა უნაგირზე და გაბრაზებით დაიყვირა:

— მოჰკალით ის კოჭლი ბელზებელი, თუ ცოცხლად ვერ ჩაიგდოთ ხელში! ის არის რივარესი!

— კიდევ ისროლეთ! — მიაძახა კრაზანამ თავის რაზმს. — შემდეგ კი გაიქეცით! — და მან მიწაზე ქუდი დაანარცხა.

ეს სწორედ დროზე მოხდა: გააფთრებული ჯარისკაცების ხმლები უკვე ელავდნენ მის თავზე.

Scanned by CamScanner

— დაყარეთ იარაღი!

და ამ ძახილით მებრძოლთა შორის უეცრად ჩადგა კარდინალი მონტანელი. მას ხელი სტაცა ერთმა ჯარისკაცმა და სასოწარკვეთილი ხმით მიაყვირა:

— თქვენო უწმინდესობავ, ღმერთო ჩემო, თქვენ მოგკლავენ!

მაგრამ მონტანელიმ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ და დადგა იარაღაღმართულ კრაზანას წინ.

ხუთი შეთქმული უკვე მიაქანებდა ცხენებს აღმართისაკენ. ყველაზე გვიან მარკონე მოახტა ცხენს. მაგრამ სანამ ცხენს გააქანებდა, მოტრიალდა, რათა შეეხედა, ხომ არ სჭირდებოდა დახმარება მათ წინამძღოლს. რივარესის ჩალისფერი ცხენი იქვე ახლოს იდგა.

კიდევ წუთი და შვიდივე გადარჩენილი იქნებოდა. მაგრამ იმ წუთში, როდესაც ალისფერ ანაფორაში ჩაცმული კაცი გამოჩნდა, კრაზანა უეცრად შეკრთა და დაუშვა ხელი, რომელშიც დამბაჩა ეჭირა. ეს წუთი გადამწყვეტი გამოდგა. მას ელვის სისწრაფით გარსშემოერტყნენ და უხეშად დააგდეს მიწაზე; ერთმა ჯარისკაცმა ბრტყლად დაარტყა ხმალი და ხელიდან გააგდებინა დამბაჩა.

მარკონემ დეზები შემოჰკრა ცხენს. ჯარისკაცები მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯით იყვნენ მისგან დაშორებული. უსარგებლო იქნებოდა დარჩენა და ტყვედ ჩავარდნა. ის უნაგირზე მოტრიალდა იმ განზრახვით, რომ ესროლა დადევნებული ჯარისკაცისათვის და კიდევ ერთხელ დაინახა კრაზანა. მას სახე სისხლით ჰქონდა შეღებილი. ცხენები, ჯარისკაცები, ჯაშუშები ქუსლებით თელავდნენ მას; მარკონეს ესმოდა გამარჯვებულთა გააფთრებული ლანძღვა და ბრაზით სავსე ხმები.

მონტანელის არ დაუნახავს, რაც მოხდა. ის მოშორდა სასახლის კარს და შეეცადა, დაემშვიდებინა შეშინებული ხალხი. მაგრამ უეცრად იმ დროს, როდესაც დაიხარა დაჭრილ ჯაშუშთან, ბრბო შეტორტმანდა და ამან აიძულა თავი აეწია.

ჯარისკაცები მიდიოდნენ და თან მიათრევდნენ ტყვეს, რომელსაც ხელები თოკით ჰქონდა გაკრული. ის ძლივს სუნთქავდა. ტკივილისაგან სახე გასწითლებოდა, სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ აჩნდა, მაგრამ მოტრიალდა კარდინალისკენ და ფერდაკარული ტუჩებით ღიმილით წასჩურჩულა:

— მო-გ-გ-ილოცავთ, თქვენო უწმინდესობავ!

Scanned by CamScanner

* * * * * *

ხუთი დღის შემდეგ მარტინი უახლოვდებოდა ფორლის. ჯემამ ფოსტით გაუზავნა მას დაბეჭდილი განცხადებები. ეს იყო იმის ნიშანი, რომ განსაკუთრებული მდგომარეობის გამო საჭირო იყო მისი ნახვა.

მარტინის მოაგონდა საუბარი და უეცრად მიხვდა საქმის ვითარებას. მთელი გზა არწმუნებდა თავის თავს, კრაზანას ალბათ არაფერი შემთხვევია ცუდი, მაგრამ რაც უფრო მეტს ფიქრობდა, მით უფრო ძლიერად ტანჯავდა ის აზრი, რომ სწორედ კრაზანას შეემთხვა უბედურება.

— მივხვდი, რაც მოხდა, რივარესი იგდეს ხელთ? — თქვა მან, როცა ჯემასთან შევიდა.

— დააპატიმრეს ბრიზიგელაში წარსულ ხუთშაბათს. გააფთრებით იცავდა თავს და დასჭრა რაზმის უფროსი და ჯაშუში.

— შეიარაღებული წინააღმდეგობა ცუდი საქმეა!

— რივარესისათვის სულ ერთია. მის წინააღმდეგ ისე იყვნენ კბილებგალესილი, რომ ეს სროლა ბევრად ვერ გააუარესებს დაპატიმრებულის მდგომარეობას.

— თქვენის აზრით, რას უზამენ?

ჯემას მკრთალი სახე კიდევ უფრო გაუფერმკრთალდა.

— ჩემის აზრით, ჩვენ არ უნდა დავუცადოთ, რას მიუსჯიან

— ბმედი გაქვთ, რომ შევძლებთ მის განთავისუფლებას?

— უნდა შევძლოთ.

მარტინი მიბრუნდა, ხელები ზურგზე შემოიწყო და ჩაფიქრდა. ჯემა არ უშლიდა ფიქრს, თვითონაც გართული იყო ფიქრებში. საღამოვარძელში მჯდარი უაზროდ გაჰყურებდა სივრცეს. სახეზე უსაზღვრო ტანჯვა ალბეჭდვოდა და რატომღაც დიუერრის „მელანქოლიას“[82] მოგაგონებდათ.

— შეხვდით თუ ვერა, — ჰკითხა მარტინიმ და ჯემას წინ გაჩერდა.

— არა, — მეორე დილას უნდა შევხვედროდით ერთმანეთს.

— მახსოვს, მახსოვს, სად ზის?

Scanned by CamScanner

— ციხეში, გაძლიერებული რაზმი იცავს და, როგორც ამბობენ, ბორკილები აქვს გაყრილი

— კარგი ქლიბი ყოველგვარ ბორკილს გაუმკლავდება საქმე ისაა, დაჭრილი არ იყოს.

— მგონია არის, მაგრამ რამდენად სერიოზული ჭრილობა აქვს, არ ვიცით. აი, სჯობია მიქელეს მოუსმინოთ. იქ იყო დაპატიმრების დროს.

— ამან როგორღა დააღწია თავი? ნუთუ გამოიქცა და რივარესი ციატოვა გადამწყვეტ წუთში?

— მისი ბრალი არ ყოფილა. სხვაზე უარესად არ უბრძოლია და ზუსტად შეუსრულებია ყველა განკარგულება. ის არც სხვას ვისმეს დაურღვევია, თვით რივარესის გარდა. მას თურმე უეცრად დაავიწყდა რაღაც, თუ რაღაც შეცდომა დაუშვა უკანასკნელ წუთში. საკვირველება მოხდა და ვერავინ მიმხვდარა მის საქციელს. დამაცადეთ. ახლავე მიქელეს დავუძახებ.

ჯემა გავიდა ოთახიდან და მალე დაბრუნდა მიქელესა და ფართომხარბეჭიან მთიელ გლეხთან ერთად.

— ეს არის მარკონე, ერთი ჩვენი კონტრაბანდისტთაგანი. — თქვა მან, — ალბათ გსმენიათ მისი სახელი. ეს-ესაა ჩამოვიდა და მიქელეზე მეტი ეცოდინება ამ ამბის შესახებ. მიქელე, აი ჩეზარე მარტინი, რომლის შესახებაც გელაპარაკებოდით. უამბეთ ყველაფერი, რაც თქვენს თვალწინ მოხდა.

მიქელემ მოკლედ უამბო შეთქმულთა და ჯარისკაცთა რაზმს შორის მომხდარ შეტაკების შესახებ.

— აქამდე ვერ გამიგია, როგორ მოხდა ეს, — თქვა მან ბოლოს. — არც ერთი ჩვენგანი არ წავიდოდა, ეჭვიც რომ გვქონდა, რომ კრაზანას ხელთ იგდებდნენ; ის ჩვენ გვაძლევდა ბრძანებებს როგორ გვემოქმედა, და ფიქრადაც არავის მოგვსვლია, რომ როცა ქუდს დააგდებდა მიწაზე, შეტაკების ადგილზე დარჩებოდა და ჯარისკაცებს საშუალებას მისცემდა გარს შემორტყმოდნენ. ის უკვე იდგა თავისი ცხენის გვერდით, მე დავინახე, როგორ მოჰკიდა ხელი აღვირში და თვითონ მე გადავეცი სასროლად გამზადებული იარაღი, სანამ ცხენს მოვახტებოდი. შეიძლება კოჭლობის გამო წაიფორ-

Scanned by CamScanner

ხილა ცხენზე შეჯდომის დროს, ამის მეტი მიზეზი ვერ მომიფიქრებია. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც შეეძლო ესროლა.

— არა, სხვა მიზეზი იყო, — საუბარში ჩაერია მარკონე. — ის ცხენზე არც კი შემჯდარა. მე დავინახე, რაც მოხდა. ჩემი ცხენი შინდა სროლის ხმაზე და აქეთ-იქით მიაწყდა. ამის გამო იძულებული გავხდი, ყველაზე ბოლოს დამეტოვებინა იქაურობა, როცა ცხენი გავაჭენე, მოვიხედე, რომ გამეგო, ყველაფერი რიგზე იყო თუ არა. რივარესს ადვილად შეეძლო წასვლა, კარდინალს რომ ხელი არ შეეშალა მისთვის.

— აჰ! — ჩუმი ხმით შესძახა ჯემამ, ხოლო მარტინიმ გაკვირვებით იკითხა:

— კარდინალს?

— დიახ, ის მიიჭრა მასთან და ამართული დამბაჩის წინ დადგა, ეშმაკმა წაიღოს მისი თავი! რივარესი ალბათ შეკრთა მოულოდნელობისაგან. ის ხელი, რომელშიაც დამბაჩა ეკავა, დაუშვა, ხოლო მეორე კი, აი, ამგვარად ასწია, — მარკონემ მარცხენა ხელის მუჭი თვალებზე მიიდო. — ჰო და, იმ წუთში, რა თქმა უნდა, ყველა გარს შემოეხვია.

— არაფერი მესმის, — თქვა მიქელემ. — არ ყოფილა შემთხვევა, რომ რივარესი საშიშროების დროს დაბნეულიყო.

— ალბათ დამბაჩა იმის შიშით დაუშვა, რომ უიარაღო კაცი არ შემოკვდომოდა, — შენიშნა მარტინიმ.

მიქელემ მხრები აიჩეჩა.

— უიარაღო კაცი რას ეჩრებოდა იქ, სადაც ჩხუბი იყო? რახან ომია, ომი უნდა იყოს, ის არა სჯობდა, რივარესი ტყვიით გამასპინძლებოდა მის უწმინდესობას და შინაური კურდღელივით ხელში არ ჩავარდნოდა მათ! ქვეყანაზე მაშინ ერთი პატიოსანი კაცით მეტი იქნებოდა და ერთი მღვდლით ნაკლები.

ის შეტრიალდა და ტუჩებზე იკბინა. კიდევ წუთი და მისი გაბრაზება ცრემლებად გადმოხეთქავდა.

— ასე იყო, თუ ისე, — თქვა მარტინიმ, — საქმე მოთავებულია და მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა, დროს დაკარგვას ნიშნავს. ახლა ჩვენს წინაშე დგას საკითხი, როგორ მოვაწყოთ მისი გაქცევა. ხომ ყველანი თანახმა ხართ, ვცადოთ ეს?

Scanned by CamScanner

მიქელემ პასუხის ღირსადაც არ სცნო ეს უაზრო კითხვა. კონტრაბანდისტმა კი ღიმილით თქვა:

— ღვიძლ ძმას მოვკლავ, თანახმა რომ არ გახდეს.

— მაშ კარგი, ‘ძევუდგეთ საქმეს, უპირველეს ყოვლისა, გაქვთ თუ არა ციხის გეგმა?

ჯემამ გამოაღო მაგიდის ყუთი და იქიდან რამდენიმე ფურცელი ქაღალდი ამოიღო:

— ყველა გეგმა ჩემთანაა. აი, ციხის პირველი სართული. ეს კიდევ ქვედა და ზედა სართულებია, ესეც გალავნის გეგმაა. აქ აღნიშნულია გზები, აქ კი ბილიკები, მთებში დასამალავი ადგილები და გასასვლელი მიწის ქვეშ.

— იცით რომელ კოშკშია?

— აღმოსავლეთის. მრგვალი საკანია, რომელსაც რკინებით დარაზული ფანჯარა აქვს. ესეც აღნიშნულია გეგმაში.

— საიდან მიიღეთ ეს ცნობები?

— ციხის რაზმის ერთი ჯარისკაცისაგან, რომელსაც მეტ სახელად ჭრიჭინა ჰქვია, ის ერთი ჩვენი ამხანაგის, ჯინოს ბიძაშვილია.

— მალე მიგიღიათ ცნობები!

— დროს დაკარგვა შეუძლებელი იყო. ჯინო დაუყოვნებლივ წავიდა ბრიზიბელაში, ხოლო ცოტაოდენი რამ წინათაც ვიცოდით. ‘ძთების საიდუმლო ადგილების სია თვითონ რივარესმა შეადგინა; დახედეთ, მისი ხელითაა დაწერილი.

— რა ხალხია ციხის რაზმში?

— მათთან გაცნობა ჯერ ვერ შევძელით. ჭრიჭინა დიდი ხანი არაა, რაც იქ მსახურობს და ჯერ არ იცნობს თავის ამხანაგებს.

— ჯერ საჭიროა გამოვკითხოთ ჯინოს, რა კაცია თვით ჭრიჭინა. ხომ არ იცით, რა განზრახვა აქვს მთავრობას? სად გაასამართლებენ? ბრიზიგელაში, თუ რავენაში?[83]

— ჯერ არ ვიცი, რავენა სალეგატოს[84] მთავარი ქალაქია და კანონის ძალით პირველ ინსტანციაში იქ უნდა გაირჩეს ტრიბუნალში ყველა მნიშვნელოვანი საქმე. მაგრამ პაპის ოლქში კანონს მაინცა და მაინც არავინ იცავს. იქ კანონი იცვლება იმის სურვილის თანახმად, ვინც იმ წუთში ხელისუფლების სათავეში დგას.

— რავენაში მას არ წაიყვანენ, — ლაპარაკში ჩაერია მიქელე-

Scanned by CamScanner

— რატომ გგონია?

— დარწმუნებული ვარ. ბრიზიგელას კომენდანტი პოლკოვნიკი ფერარი რივარესის მიერ დაჭრილი ოფიცრის ბიძაა. ეს შურისძიებით აღსავსე პირუტყვი ხელიდან არ გაუშვებს შემთხვევას, სამაგიერო გადაუხადოს თავის მტერს.

— თქვენი აზრით, ის იხმარს ყოველგვარ საშუალებას, რომ რივარესი ბრიზიგელაში დატოვონ?

— მე ვფიქრობ, ყოველნაირად შეეცდება, რომ რივარესი ჩამოახრჩონ!

მარტინიმ შეხედა ჯემას. ის ფერმკრთალი იყო, მაგრამ ამ სიტყვების გაგონებაზე სახე არ შეცვლია. როგორც ჩანდა, უკვე შეეგებოდა ამ აზრს.

— მაინც არ შეიძლება აუცილებელ ფორმალობისათვის გვერდის ავლა, — თქვა ჯემამ დინჯად, — ის ალბათ მოახერხებს, საქმე ადილობრივ სამხედრო სასამართლოს გადაეცეს და შემდეგ კი თავს გაიმართლებს, რომ იძულებული ვიყავი, ასე მოვქცეულიყავი ქალაქის სიმშვიდისათვისო.

— მერე კარდინალი? განა ის დათანხმდება ასეთ უკანონობას?

— სამხედრო საქმეებში ის არ წარმოადგენს იურიდიულ ინსტანციას.

— სამაგიეროდ, ძალიან დიდი გავლენა აქვს. პოლკოვნიკი, რასაკვირველია, ვერ გაბედავს ასეთი ნაბიჯის გადადგმას მისი თანხმობის გარეშე.

— ასეთ თანხმობას კი ის ვერასოდეს ვერ მიიღებს, — ჩაერია ლაპარაკში მარკონე, — მონტანელი მუდამ წინააღმდეგი იყო ყოველგვარი სამხედრო სასამართლოებისა. ვიდრე რივარესი ბრიზიგელაში იმყოფება, მდგომარეობა არც ისე სახიფათოა. კარდინალი მუდამ ბრალდებულის მხარეს დაიჭერს. ყველაზე მეტად იმისი მეშინია, რივარესი რავენაში არ გადაიყვანონ. იქ უეჭველად დაიღუპება.

— ეგ არ უნდა დავუშვათ! ჩვენ შეგვიძლია მოვაწყოთ მისი გაქცევა გზიდან. აქაური ციხიდან გამოყვანა კი უფრო საძნელო იქნება.

— მე მგონია, უსარგებლო დროს დაკარგვაა იმის ლოდინი, თუ

Scanned by CamScanner

როდის გადაიყვანენ მას აქედან, — თქვა ჯემამ, — ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ბრიზიგელაშივე გავათავისუფლოთ; ამიტომ დროს არ უნდა ვკარგავდეთ. ჩეზარე, მოდით მე და თქვენ მოვკიდოთ ხელი ამ საქმეს და მოვიფიქროთ, როგორ მოვაწყოთ გაქცევა. მე უკვე მოსაზრებული მაქვს გეგმა, მაგრამ ერთი დაბკოლების გადალახვა მაინც ვერ მომიხერხებია.

— წავიდეთ, მარკონე, — თქვა მიქელემ და ფეხზე წამოდგა, — ხელს ნუ შევუშლით ამ გეგმის შემუშავებაში, — მე დღეს ფონდიანოსთან უნდა შევიარო, ხომ წამომყვებით? ვინჩენცოს ჯერაც არ გამოუგზავნია ვაზნები, რომლებიც აქ უნდა ყოფილიყო.

როცა ისინი წავიდნენ, ბარტინი მივიდა ჯემასთან და უხმოდ ხელი გაუწოდა. ერთ წამს ჯემას ხელი მის ხელში იდო.

— თქვენ მუდამ კარგი მეგობარი იყავით, ჩეზარე, — უთხრა ბოლოს ჯემამ, — და უბედურების დროს მუდამ მეხმარებოდით. ახლა კი განვიხილოთ გაქცევის გეგმა.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

— მე კიდევ ერთხელ, სრულიად სერიოზულად გიცხადებთ, თქვენო უწმინდესობავ, რომ თქვენი უარი ხიფათს უმზადებს ქალაქის სიმშვიდეს.

ქალაქის უფროსი ცდილობდა, დაეცვა თავაზიანი კილო მაღალი საეკლესო პირის წინაშე, მაგრამ მის ხმას მაინც სიბრაზე შეჰპარვოდა. პოლკოვნიკს ისედაც ტანჯავდა ღვიძლის ტკივილი, ცოლი პირდაპირ ანადგურებდა უსაზღვრო ხარჯებით და ახლა უკვე სამი კვირა იყო, რაც მისი მოთმინების ფიალა ივსებოდა. ქალაქის მცხოვრებნი ცუდ გუნებაზე იყვნენ; უკმაყოფილება დღითი დღე იზრდებოდა და თანდათან უფრო სახიფათო ხასიათს ღებულობდა... გარშემო თავს იჩენდა ახალ-ახალი შეთქმულებანი და მთელი ოლქი სავსე იყო იარაღის საიდუმლო საწყობებით. ისედაც ყოველად უმ-

Scanned by CamScanner

წეო გარნიზონის ერთგულებაც ძლიერ საეჭვო ხდებოდა და ყველა ამასთან, საქმის დაჭერა უხდებოდა კარდინალთან, რომელსაც თავის ადიუტანტთან კერძო ლაპარაკის დროს მან უწოდა „ვირული სიჯიუტის უწმინდესი განსახიერება“. ყველაფერმა ამან თითქმის ჯასოწარკვეთილებამდე მიიყვანა, და თითქოს ეს საკმარისი არ ყოფილიყო, საიდანღაც გამოჩნდა კრაზანა — ეს ბოროტების განსახიერება.

ამ „ცბიერმა ესპანელმა ქაჯმა“, რომელმაც იქიდან დაიწყო, რომ თავიდან მოიცილა პოლკოვნიკის საყვარელი ძმისწული და მისი ყველაზე საუკეთესო ჯაშუში, მოაჯადოვა ყველა დარაჯი, დააშინა ყველა ოფიცერი, რომლებიც კი მას ჩვენებას ართმევდნენ და საპყრობილე საგიჟედ გადააქცია. აგერ, უკვე სამი კვირა იყო, რაც საპყრობილეში იჯდა, და ბრიზიგელას ხელისუფლებამ უკვე აღარ იცოდა, რა ექნა. მას ჩვენებას ჩვენებაზე ართმევდნენ. არაფერს ზოგავდნენ მის გამოსატეხად, მიმართავდნენ ყოველგვარ მუქარას; ყველანაირ საშუალებას, რისი გამოგონებაც კი შეეძლოთ საწამებლად და მაინც დაპატიმრების დღიდან ერთი ნაბიჯითაც კი ვერ წაიწიეს წინ. ახლა ბრიზიგელას ხელისუფლების ფიქრით უკეთესი იქნებოდა, უცბად მოეცილებინათ თავიდან და რავენაში გადაეგზავნათ, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო დაშვებული შეცდომის გამოსწორება. პოლკოვნიკმა ლეგატს წერილობთი მოხსენება გაუგზავნა კრაზანას დაპატიმრების შესახებ. სთხოვა, როგორც განსაკუთრებული წყალობა, ნება დამრთე, პირადად ვაწარმოო კვლევა-ძიებაო; თავის თხოვნაზე მოწყალე თანხმობის მიღების შემდეგ აღარ შეეძლო თავისი სიტყვის უკან წაღება, თუ თავს არ დაიმცირებდა და არ აღიარებდა, რომ უძლური აღმოჩნდა ნაკისრი საქმის შესრულებაში.

მაშინ, როგორც ეს ჯემამ და მიქელემ გაითვალისწინეს, აზრად მოუვიდა კარდინალი დაეყოლიებინა სამხედრო სასამართლოზე და ამით გამოსულიყო გაჭირვებული მდგომარეობიდან. ეს იქნებოდა საკითხის ერთადერთი დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტა. მონტანელის გაჯიუტება და ამ გადაწყვეტილებაზე მისი დასტურის მიუცემლობა იყო უკანასკნელი წვეთი, რომელმაც პირამდე აავსო პოლკოვნიკის უსიამოვნების ფიალა.

Scanned by CamScanner

— მე მგონია, — თქვა მან, — თქვენმა უწმინდესობამ რომ იცოდეს, რამდენი წვალების გადატანა მოგვიხდა ამ კაცის გამო მე და ჩემს თანაშემწეებს, მაშინ სხვანაირად შეხედავდით საქმეს. მე სავსებით მესმის, რომ კეთილსინდისიერება გავალებთ, გაილაშქროთ ასეთ არამართებულ იურიდიულ საშუალებათა წინააღმდეგ, მაგრამ ეს ხომ განსაკუთრებული შემთხვევაა, რომელიც განსაკუთრებული ზომების მიღებას მოითხოვს.

— ჩემთვის, — მიუგო მონტანელიმ, — არ არსებობს შემთხვევები, რომელთა გადაჭრაც უსამართლობით შეიძლებოდეს. ჩვეულებრივი მოქალაქის გასამართლება საიდუმლო, სამხედრო სასამართლოს წესით, — ეს უსამართლობა და უკანონობაა.

— განვიხილოთ ეს შემთხვევა, თქვენო უწმინდესობავ! დაპატიმრებული აშკარად დამნაშავეა რამდენიმე მძიმე დანაშაულში. მან მონაწილეობა მიიღო სავინიოს აჯანყებაში და მონსინიორ სპინოლას მიერ დანიშნული სამხედრო-საველე სასამართლო უეჭველად სიკვდილს, ან კატორღას მიუსჯიდა, ტოსკანაში დამალვა რომ არ მოეხერხებინა. მას აქეთ რივარესი განუწყვეტლივ აწყობდა შეთქმულებებს. ცნობილია, რომ ის მეტად გავლენიანი წევრია ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე საშიშარ საიდუმლო საზოგადოებისა. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ თუ მან პირადად არ მოაწყო, ყოველ შემთხვევაში, დასტური მისცა საიდუმლო პოლიციის, სულ მცირე, სამი აგენტის მოკვლას. ახლა დავიჭირეთ იარაღის ფარულად გადაზიდვისას, რომელიც მოჰქონდა პაპის ოლქში. მან შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია ხელისუფლებას და მძიმედ დასჭრა თანამდებობის ორი პირი, მათი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. ახლა ის ცოცხალ მუქარას წარმოადგენს ქალაქის მშვიდობიანობისათვის. ყველაფერი ეს უდავოდ საკმარისია, რომ სამხედრო სასამართლომ გაასამართლოს.

— რაც არ უნდა ჩაედინოს იმ კაცს, — თქვა მონტანელიმ, — უფლება აქვს, გაასამართლონ კანონის მიხედვით.

— ჩვეულებრივ, კანონიერი წესით, საქმის წარმოება მეტად დიდ დროს მოითხოვს, თქვენო უწმინდესობავ, ჩვენთვის კი ახლა ყოველი წუთი ძვირფასია. ამასთან ერთად, განუწყვეტლივ იმის შიშში ვარ, რომ გაიქცევა.

Scanned by CamScanner

— თუ მისი გაქცევა შესაძლებელია, თქვენი მოვალეობაა გააძლიეროთ მეთვალყურეობა.

— ყველაფერს ვაკეთებ, რაც ჩემგან არის დამოკიდებული, თქვენო უწმინდესობავ, მაგრამ ნღობისა და იმედის დამყარება მიხდება საპყრობილის მცველებზე, პატიმარმა კი პირდაპირ მოაჯადოვა ყველა დარაჯი. სამი კვირის განმავლობაში ოთხჯერ გამოვცვალე მისთვის მიჩენილი მეთვალყურეები, ვსჯიდი ჯარისკაცებს, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. იმასაც კი ვერ მივაღწიე, რომ ჯარისკაცებმა შეწყვიტონ მისი წერილების გადაცემა ქალაქში კერძო პირებისათვის და იქიდან პასუხის მოტანა. სულელები! ისე შეუყვარდათ ეს ადამიანი, თითქოს ქალი იყოს.

— ეს საგულისხმოა. ალბათ არაჩვეულებრივი ადამიანია.

— არაჩვეულებრივად მოხერხებულია ეშმაკურ საქმეებში. მაპატიეთ, თქვენო უწმინდესობავ, მაგრამ ეს ადამიანი წმინდანსაც კი მოთმინებიდან გამოიყვანს. თქვენ არ დაიჯერებთ, მაგრამ მე პირადად მიხდება მისთვის ჩვენების ჩამორთმევა, რადგან ოფიცერმა, რომლის მოვალეობასაც შეადგენს ამ საქმის წარმოება, მეტის ატანა ველარ შეძლო!

— ეს იგი, როგორ?

— ამის ახსნა ძნელია, თქვენო უწმინდესობავ. მაგრამ თქვენთვის გასაგები გახდებოდა, თუ ერთხელ მაინც მოისმენდით, როგორ იქცევა რივარესი დაკითხვის დროს. გეგონებათ, ჩვენების ჩამომრთმევი ოფიცერი არის დამნაშავე, ხოლო ის კი — მოსამართლე.

— რა შეუძლია მას ჩაიდინოს განსაკურთებით საშიში? მას, რასაკვირველია, შეუძლია უარი განაცხადოს თქვენს შეკითხვებზე პასუხის გაცემაზე, მაგრამ სიჩუმის გარდა, სხვა იარაღი არ გააჩნია.

— მას აქვს აგრეთვე სამართებელივით ბასრი ენა. ჩვენ ყველანი ცოდვილი ვართ, თქვენო უწმინდესობავ, და მრავალ ჩვენგანს თავის დროზე ჩაუდენია რაიმე შეცდომა. არავინ არ მოიწადინებდა, ყველაფერი ეს სცოდნოდა მთელ ქვეყანას. ასეთია ადამიანის ბუნება. ის კი უცბად საიდანლაც ჩხრეკს უკვე ოცი წლის წინათ ჩადენილ ყველა შეცდომას და პირში გვახლის.

Scanned by CamScanner

— განა რივარესი შეეხო იმ ოფიცრის რაიმე პირად საიდუმლოებას, რომელიც ჩვენებაში ,,რომევდა?

— დიახ, თქვენ წარმოიდგინეთ ასეთი რამ: კავალერიაში სამსახურის დროს ამ საწყალ ოფიცერს, თურმე, ვალი დაედო და რაზმის სალაროდან მცირეოდენი თანხა აიღო სესხად...

— ესე იგი, პირდაპირ რომ ვთქვათ, მოიპარა მისთვის მიბარებული საზოგადო ფულები?

— ოჰ, ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდი საქციელია იმის მხრივ, თქვენო უწმინდესობავ, მაგრამ ამხანაგები დაეხმარნენ, შეიტანეს სალაროში მთელი თანხა და ამრიგად მიაფუჩეჩეს ეს საქმე. ის კარგი ოჯახიდან არის და მას შემდეგ ბუდამ კარგად იქცეოდა. პირდაპირ ვერ გამიგია, საიდან გამოჩხრიკა რივარესმა ეს ძველი, საძრახისი ისტორია. პირველი დაკითხვიდანვე იმით დაიწყო, რომ ეს ამბავი საქვეყნოდ გამოააშკარავა, ისიც დაბალ მოხელეთა წინაშე. თანაც ამ დროს ისეთი უმანკო გამომეტყველება მიიღო, თითქოს ლოცვას კითხულობდა. თავისთავად ცხადია, რომ ახლა მთელ სალეგატოში ლაპარაკობენ ამის შესახებ. თქვენ რომ დაესწრებოდეთ, თქვენო უწმინდესობავ, თუნდ ერთ დაკითხვას მაინც, რასაკვირველია, ყველაფერს გაიგებდით... რივარესმა ამის შესახებ არაფერი არ უნდა იცოდეს. თქვენ შეგიძლიათ ყველაფერი ისე მოისმინოთ, რომ...

მონტანელი მიუბრუნდა პოლკოვნიკს ასეთი გამომეტყველებით, რომელიც ძალიან იშვიათად იყო ხოლმე მის სახეზე.

— მე ეკლესიის მსახური ვარ, — თქვა მან, — და არა პოლიციის ჯაშუში. კართან ყურისგდება არ შეადგენს ჩემს პროფესიულ მოვალეობას.

— მე... მე არ მინდოდა მომეხსენებინა თქვენთვის რაიმე შეურაცხმყოფელი...

— მგონია... ამ საკითხზე მეტი ლაპარაკი არავითარ შედეგს არ მოიტანს. თუ პატიმარს გამოგზავნით, შემიძლია მოველაპარაკო.

— ნებას მივცემ ჩემს თავს, უღრმესი პატივისცემით უარი მოვახსენო თქვენს უწმინდესობას. ბრალდებული ყოვლად გაუსწორებელი ადამიანია. გაცილებით უფრო უხიფათო და გონივრული იქნებოდა ამ შემთხვევაში კანონის ყველა წვრილმანის გვერდის

Scanned by CamScanner

ავლა და მისი თავიდან მოცილება, სანამ ახალ უბედურებას დაგვატეხდეს. ამას დიდი მოკრძალებით მოვითხოვ ყველაფერი იმის შემდეგ, რაც თქვენ ბრძანეთ, თქვენო უწმინდესობავ, ბოლოს და ბოლოს მე ხომ პასუხისმგებელი ვარ ქალაქის მშვიდობისათვის ბატონ ლეგატის წინაშე...

— მე კი, — შეაწყვეტინა მონტანელიმ, — პასუხისმგებელი ვარ. ღმერთისა და მისი უწმინდესობის პაპის წინაშე იმისთვის, რომ ჩემს საეპისკოპოში არაფერი ხდებოდეს უკანონოდ. რადგან თქვენ თქვენსას მოითხოვთ, პოლკოვნიკო, მეც ნებას მივცემ ჩემს თავს, დავეყრდნო ჩემს უფლებებს, როგორც კარდინალი. მე არ დავუშვებ ამ ქალაქში საიდუმლო სამხედრო სასამართლოს მოწვევას მშვიდობიან დროს. პატიმარს მივიღებ აქ ხვალ, დილის ათ საათზე, და თანაც ყოველგვარი მოწმეების გარეშე.

— როგორც თქვენს უწმინდესობას ნებავდეს, — უპასუხა პოლკოვნიკმა თავაზიანად, თუმცა გულში ბრაზი ახრჩობდა.

ის მიდიოდა და გზადაგზა თავისთვის ბუტბუტებდა:

„რაც შეეხება ჯიუტობას, კარდინალი და რივარესი ერთმანეთს არ ჩამოუვარდებიან“.

გუბერნატორს არავისთვის არაფერი უთქვამს კრაზანასა და კარდინალის მომავალი შეხვედრის შესახებ იმ წუთამდე, როცა პატიმრისათვის ბორკილები უნდა შეეხსნათ და სასახლეში წაეყვანათ.

— ისიც ბევრია, — უთხრა მან თავის დაჭრილ ძმისწულს, — რომ ბალაამის ვირის ის უწმინდესი შვილი — მონტანელი — თავის ნებაზე ატრიალებს კანონებს. ისღა დარჩა, რომ ჯარისკაცებმა საიდუმლო კავშირი გააბან რივარესთან და მის ამხანაგებთან და გზიდან გაქცევის საშუალება მისცენ.

გაძლიერებული მცველების თანხლებით კრაზანა შეიყვანეს ოთახში, სადაც ქაღალდებით მოფენილ მაგიდასთან იჯდა მონტანელი და წერდა. კრაზანას მაშინვე მოაგონდა ის ცხელი მზიანი დღე, როცა იჯდა ამ კაბინეტის მსგავს სამკითხველოში და ხელთნაწერ ქადაგებებს ფურცლავდა. დარაბებიც სწორედ ასევე იყო მიხურული სიგრილისათვის, ჭუჭაში კი ხილის გამყიდველი გაიძახოდა: **Fragola, Fragola!**

Scanned by CamScanner

კრაზანამ გაჯავრებულად გადაიყარა შუბლიდან თმა და სახეზე ღიმილი გამოესახა.

მონტანელიმ თავი ასწია.

— თქვენ შეგიძლიათ დერეფანში მოიცადოთ, — უთხრა მან მცველებს.

— მაპატიეთ, თქვენო უწმინდესობავ, — ჩუმი ხმით დაიწყო სერჟანტმა, რომელიც ძალიან უხერხულად გრძნობდა თავს, — მაგრამ პოლკოვნიკი ძალიან საშიშ პატიმრად სთვლის მას და ფიქრობს, უკეთესი იქნებოდა, თუ...

მონტანელის თვალები უცებ აენთო.

— თქვენ შეგიძლიათ დერეფანში დაიცადოთ, — გაიმეორა მან დამშვიდებული ხმით.

სერჟანტმა და ჯარისკაცებმა სამხედრო სალამი მისცეს, სახეზე შიში გამოეხატათ და ბოდიშის ბუტბუტით გავიდნენ ოთახიდან.

— გთხოვთ, დაბრძანდეთ, — უთხრა კარდინალმა, როცა ოთახის კარი მიიხურა.

კრაზანა ხმაამოუღებლივ ჩამოჯდა სკამზე.

— სინიორ რივარეს, — დაიწყო მონტანელიმ წუთიერი პაუზის შემდეგ, — მე მინდა რამდენიმე კითხვა მოგცეთ და დიდად მადლობელი ვიქნები, თუ მიპასუხებთ.

კრაზანას გაეღიმა:

— ჩემი მ-მთავარი მოვალეობა ახლა ის არის, რომ ყური დავუგდო თქვენს შეკითხვებს.

— და პასუხი კი არ მომცეთ? მეც სწორედ აგრე გადმომცეს. მაგრამ ამ კითხვებს თქვენ გაძლევდნენ მოხელეები, რომლებიც გამოძიებას აწარმოებდნენ. მათ ვალდებულებას შეადგენდა გამოეყენებინათ თქვენი პასუხები თქვენს სამხელად...

— ხოლო თქვენი უწმინდესობის მიერ მოცემული კითხვები?...

სურვილი იმისა, რომ შეურაცხყოფა მიეყენებინა, კილოში უფრო იგრძნობოდა, ვიდრე სიტყვებში.

კარდინალი მაშინვე მიხვდა ამას. მაგრამ მის სახეს არ დაუკარგავს სერიოზული და ამავე დროს ალერსიანი გამომეტყველება.

— ჩემი კითხვები, — თქვა მან, — ჩვენს შორის დარჩება, მიუხედავად იმისა, მიპასუხებთ მასზე თუ არა. თუ ისინი შეეხებიან

Scanned by CamScanner

თქვენს პოლიტიკურ საიდუმლოებას, თქვენ, რა თქმა უნდა, არ მიპასუხებთ. სხვა შემთხვევაში კი, იმედი მაქვს პასუხს გამცემთ და ამით პატივს დამდებთ, თუმც ჩვენ სრულიად უცხონი ვართ ერთმანეთისათვის.

— მე მ-მზად ვარ ვემსახურო ჩვენს უწმინდესობას.

ამ სიტყვებთან ერთად კრაზანამ ისეთნაირად დაუკრა თავი და ისეთი გამომეტყველება მიიღო, რომ ამის შემდეგ ძალიან გულად ადამიანსაც დაეკარგებოდა სურვილი ეთხოვა მისთვის, პატივი დამდეო.

— უპირველეს ყოვლისა, მითხარით, რისთვის დაგჭირდათ ცეცხლმსროლელი იარაღი, რომლის შემოზიდვას გაბრალებენ თქვენ?

— იმისათვის, რომ ვირთაგვები დ-დავხოცო.

— რა საშინელი პასუხია. განა ძმები — ადამიანები, რომლებიც თქვენს რწმენას არ იზიარებენ, ვირთაგვებად მიგაჩნიათ?

— ზოგიერთი მათგანი.

მონტანელი სავარძელში გადაიხარა და რამდენიმე წამს მდუმარედ შესცქეროდა თავის მოსაუბრეს.

— რა გაქვთ ხელზე? — იკითხა მან უეცრად.

— ძველი კვალია, იმავე ვირთაგვების კბილებისა.

— ბოდიშს ვითხოვ, მეორე ხელის შესახებ გეკითხებით. აქ ახალი ჭრილობაა.

ნაზი, მოქნილი ხელი სრულიად დასერილი და ატყავებული იყო. კრაზანამ ასწია ის. მაჯა დაჟეჟილი და შეშუპებული ჰქონდა.

— სრულიად უბ-უბრალო რამაა, როგორც ხედავთ, როდესაც დამაპატიმრეს, თქვენი უწმინდესობის წყალობით, — მან ისევ ოდნავ დაუკრა თავი, — ერთმა ჯარისკაცმა ფეხი დამადგა ამ ხელზე.

მონტანელმა ასწია მისი ხელი და ყურადღებით დაათვალიერა.

— ჰო, მაგრამ რატომ გაქვთ ასეთ საშინელ მდგომარეობაში, როცა მას შემდეგ სამმა კვირამ განვლო? — იკითხა მან, — შეხედეთ, როგორი ანთება გაქვთ.

— შესაძლოა იმიტომ, რომ მძიმე ბორკილების დადებით მკურნალობა სასარგებლო არ გამოდგა.

კარდინალმა სახე მოჭმუხნა.

Scanned by CamScanner

— ახალ ჭრილობაზე ბორკილები დაგადვეს?

— რ-რა თქმა უნდა, თქვენო უწმინდესობავ. ახალი ჭრილობა სწორედ გამოსადეგია ამისათვის. მაშ ძველი ჭრილობები რა სახეიროა: ისინი მხოლოდ პატარა სიმწვავეს აგრძნობინებენ კაცს. ძველი ჭრილობის მეშვეობით ვერ მიაღწევთ იმას, რომ დასწვათ ადამიანი, როგორც ცეცხლის ალზეა.

მონტანელი ისევ მიაცქერდა კრაზანას გამომცდელი თვალით. მერე ადგა და გამოაღო მაგიდის უჯრა, რომელიც ქირურგიული ხელსაწყოებით იყო სავსე.

— მომეცით ხელი, — უთხრა მან.

კრაზანამ, რომელსაც თითქოს გაქვავებოდა სახე, გაუწოდა თავისი ხელი, მონტანელიმ მობანა ნატკივარი ადგილი და ფრთხილად შეუხვია. როგორც ჩანდა, მისთვის უცხო არ ყოფილა ეს საქმე.

— საპყრობილეს უფროსებს მოველაპარაკები ბორკილების შესახებ. — თქვა მან, — ახლა კი მინდა, კიდევ ერთი რამ გკითხოთ: მომავალში რის გაკეთებას ფიქრობთ?

— ჩემი პა-პასუხი სულ უბრალო იქნება, თქვენო უწმინდესობავ: უნდა გავიქცე, თუ მოვახერხე. წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა მოვკვდე.

— რატომ უნდა მოკვდეთ?

— იმიტომ, რომ უფროსმა ვერ მიაღწია თავისი გულის წადილს, რომ დამხვრიტონ, კატორღას მომისჯიან. ეს კი იგივე სიკვდილია ჩემთვის: ჩემი ჯანი ვერ გაუძლებს კატორღას.

მონტანელი ხელებით დაეყრდნო მაგიდას და ჩაფიქრდა. კრაზანა ხელს არ უშლიდა. სკამის ზურგზე გადაწოლილს, თვალები დაეხუჭა და სიამოვნებას გრძნობდა, რომ ბორკილებისაგან განთავისუფლებული იყო.

— ვთქვათ, მოახერხეთ გაქცევა, — დაიწყო ისევ მონტანელიმ, — რას იზამდით შემდეგ?

— მე უკვე გითხარით, თქვენო უწმინდესობავ: დავიწყებდი ვირთაგვების ხოცვას.

— დაიწყებდით ვირთაგვების ხოცვას... მაშასადამე, თუ, ვთქვათ, აქედან გაქცევის საშუალება მოგეცით, — წარმოვიდგინოთ, რომ ამის უფლება მაქვს, — თქვენ ისარგებლებდით თავისუფლებით

Scanned by CamScanner

იმისათვის, რომ მხარი დაუჭიროთ ძალმომრეობას და სისხლის ღვრას და არა იმისათვის, რომ ხელი შეუშალოთ მას?

კრაზანამ თვალი მიაპყრო კედელზე ჩამოკიდებულ ჯვარცმას:

— „არა მშვიდობიანობა, არამედ მახვილი“*... როგორც ხედავთ. შესანიშნავი მაგალითია ჩემს წინაშე. ისე კი, მე რომ მკითხოთ, დამბაჩას ვამჯობინებ.

— სინიორ რივარეს, — საოცარი სიმშვიდით თქვა კარდინალმა, — მე თქვენთვის შეურაცხყოფა არ მომიყენებია. ჩემი თავისთვის ნება არ მიმიცია დაცინვით მელაპარაკა თქვენს რწმენაზე და თქვენს მეგობრობაზე, ხომ მაქვს უფლება იმედი ვიქონიო, რომ თქვენც ზრდილობიანად მომექცევით? ან იქნებ გსურთ ვიფიქრო, რომ ათეისტს არ შეუძლია ჯენტლმენი იყოს?

— აჰ, მე ს-სრულიად დამავიწყდა, რომ თქვენს უწმინდესობას ჯენტლმენობა უდიდეს ქრისტიანულ სათნოებად მიაჩნია. მაგონდება თქვენი ქადაგება ფლორენციაში, რომელიც წარმოთქვით ჩემი პოლემიკის გამო თქვენს ანონიმიურ დამცველებთან.

— სწორედ ახლა ვაპირებდი ამაზე ლაპარაკის დაწყებას. არ შეიძლება ამიხსნათ მიზეზი, რატომ ხართ ჩემზე ასე ძლიერ გაბრაზებული? თუ მხოლოდ იმიტომ ამომიღეთ ნიშანში, რომ ჩემზე გამოიჩინოთ თქვენი ენამახვილობა, მაშინ არაფერი მეთქმის. რა მეთოდს მიმართავთ პოლიტიკური ბრძოლის დროს, ეს, რასაკვირველია, თქვენი საკუთარი საქმეა, მაგრამ მაშინ ისე მეჩვენებოდა, რომ თქვენ რაღაც პირადი მტრობა გქონდათ ჩემდამი, და თუ ეს ასეა, მაშინ მე დიდად მოხარული ვიქნებოდი გამეგო, რა ბოროტება ჩავიდინე თქვენს წინააღმდეგ ან, საერთოდ, რა მიზეზი მოგეცით, ჩემდამი მტრულად განწყობილი იყოთ?

რა ბოროტება ჩაუდენია მის წინააღმდეგ!

კრაზანამ თავისი შეხვეული ხელი კისერთან მიიტანა.

— დაე, თქვენმა უწმინდესობამ გაიხსენოს შექსპირი, — თქვა

---

* „არა მშვიდობიანობა, არამედ მახვილი...“ — კრაზანა ირონიულად ახსენებს ქრისტეს სიტყვებს ევანგელეს ლეგენდიდან, რომლითაც მან თავის მოწაფეებს მიმართა: „არ გეგონოთ რომ მე მშვიდობის მოსატანად მოვედი ამქვეყნად. მშვიდობის მოსტანად კი არ მოვედი, არამედ მახვილის“.

Scanned by CamScanner

მან და ჩაეღიმა, — გახსოვთ, შეილოკი ამბობს, რომ ზოგიერთ ადამიანს ტანში ჟრუანტელი უვლის „უწყინარი შინაური ცხოველის, კატის დანახვაზე". სწორედ ასევე მეჯავრებიან მე მღვდლები. ანაფორის შეხედვაც კი კბილების ტ-ტკივილს იწვევს ჩემში.

— თუკი მხოლოდ ეგ არის მიზეზი... — მონტანელიმ გულგრილად ჩაიქნია ხელი. — კეთილი, კამათი შეიძლება, მაგრამ რა საჭიროა ფაქტების დამახინჯება! როცა თქვენ პასუხი გაეცით ჩემს ქადაგებაზე, ასე განაცხადეთ, თითქოს მე ვიცოდი, ვინ იყო ჩემი დამცველი. ეს ხომ მართალი არ არის. მე თქვენ ბრალს არ გდებთ, რომ შეგნებულად იცრუეთ, მაგრამ თქვენი განცხადება სწორი არ არის. მე დღესაც არ ვიცი იმ ადამიანის სახელი.

კრაზანა ერთი წუთით სერიოზული სახით უცქეროდა კარდინალს, მაგრამ უეცრად გადაიწია სკამზე და ხარხარი დაიწყო:

— ჰოი, წმინდაო გულუბრყვილობავ! ასეთი უმწიკვლოება მხოლოდ არკადიის მწყემსს შეეფერება. როგორ ვერ მიხვდით, ვინ იყო? მაშ ვერ დაგინახავთ გაყოფილი ჩლიქის ნაკვალევი?

მონტანელი წამოდგა.

— სხვანაირად რომ ვთქვათ, სინიორ რიეარეს, თქვენ გამოდიოდით ორთავე როლში?

— ვიცი, ეს ძალიან ცუდი იყო ჩემის მხრივ, — უპასუხა კრაზანამ და მიაჩერდა კარდინალს თავისი დიდრონი, უმანკო ლურჯი თვალებით, — სამაგიეროდ, რა კარგად ვირთობდი თავს! თქვენ კი ჩემი მისტიფიკაცია გადაყლაპეთ, თითქოს ლოკოკინა ყოფილიყოს. მაგრამ გეთანხმებით, რომ ეს იყო ძალზე ცუდი საქციელი!

მონტანელიმ ტუჩზე იკბინა და ისევ დაჯდა. ის თავიდანვე მიხვდა, რომ კრაზანა ცდილობდა მოთმინებიდან გამოეყვანა და გადაწყვიტა თავი შეეკავებინა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა. ახლა ხედავდა, რომ პოლკოვნიკის გულმოსულობა სამართლიანი იყო. ადამიანს, რომელიც ყოველდღიურად ორი საათის განმავლობაში აწარმოებდა კრაზანას დაკითხვას, არ შეიძლება არ აპატიო, რომ ხანდახან გინებაც დაიწყოს.

— თავი დავანებოთ ამაზე ლაპარაკს, — მშვიდად თქვა მან, — მე მინდა გითხრათ, რა იყო ჩემთან თქვენი მოსვლის მთავარი მიზანი მე, როგორც კარდინალს, ჩემი თანამდებობის გამო, ადგი-

Scanned by CamScanner

ლობრივი მთავრობა იძულებულია ანგარიში გამიწიოს იმ საკითხის გადაწყვეტაში, თუ როგორ მოიქცნენ თქვენს მიმართ. ოღონდ, რა-საკვირველია, თუ მოვინდომე ჩემი პრივილეგიით სარგებლობა. მე ამას მხოლოდ იმისათვის გავაკეთებ, რომ ხელი შევუშალო მათ, მიმართონ თქვენს წინააღმდეგ მკაცრ ზომებს. მე გამოგიძახეთ იმი-სათვის, რომ მინდოდა გამეგო, ხომ არაფერს უჩივით მათ? რაც შეეხება ბორკილებს, ამ საქმეს მოვაგვარებ. სხვა პრეტენზია ხომ არა გაქვთ მათ მიმართ? გარდა ამისა, სანამ რაიმეს გავაკეთებდი თქვენთვის, საჭიროდ მიმაჩნდა მენახა, რა კაცი ხართ თქვენ.

— სრულიად არაფერს არ ვჩივი, თქვენო უწმინდესობავ. A la guerre comme á la guerre*. ბავშვი არა ვარ და სრულიადაც არ ვფიქრობ, რომ ხელისუფლება თავზე ხელს გადამისვამს მის ტერი-ტორიაზე ცეცხლმსროლელი იარაღის კონტრაბანდით შემოტანისა-თვის. ცხადია, მთელი სისასტიკით შურს იძიებენ ჩემზე. ხოლო, რაც შეეხება იმას, თუ რა ადამიანი ვარ, ამაზე შემიძლია გითხრათ, რომ თქვენ ერთხელ უკვე მოისმინეთ ჩემი რომანტიკული აღსარება. განა ეს საკმარისი არაა? იქნებ გსურთ, ხელახლა გავიმეორო?

— არ მესმის, რას ამბობთ, — ცივად წარმოთქვა მონტანელიმ, რომელმაც ამ დროს ფანქარი აიღო და თითებზე იკაკუნებდა მას.

— იმედი მაქვს, თქვენს უწმინდესობას ახსოვს მოხუცი მლოც-ველი დიეგო? — კრაზანამ უეცრად ,ქილო იცვალა და მოხუცებუ-ლის ხმით წამოიწყო: „მე ერთი საწყალი ცოდვილი ვარ“...

მონტანელის ფანქარი გადაუტყდა ხელში.

— ეს კი მეტისმეტია! — თქვა მან და წამოდგა.

კრაზანამ ჩაიცინა; თავი გადასწია და თვალს ადევნებდა კარდი-ნალს, რომელიც ოთახში მდუმარედ მიმოდიოდა.

— სინიორ რივარეს, — დაიწყო მონტანელიმ და კრაზანას წინ გაჩერდა, — თქვენ მომეპყარით ისე, როგორც არ მოექცევა ადამია-ნი თავის უბოროტეს მტერსაც კი. თქვენ მოახერხეთ ჩაწვდომოდით ჩემი მწუხარების საიდუმლოს და სამასხარო საგნად გახადეთ თქვე-ნი მოყვასის ტანჯვა. ერთხელ კიდევ გთხოვთ, მითხრათ: ჩამიდენია

* რაკი ომია, ომი იყოს (ფრანგ.)

Scanned by CamScanner

თუ არა თქვენს მიმართ რაიმე ბოროტება? და თუ ჩამიდენია, რად დაგჭირდათ ასე გულქვად ჩემი მასხრად აგდება?

კრაზანა მიეყრდნო სკამის საზურგეს და გაიღიმა თავისი ცივი, საიდუმლოებით სავსე ღიმილით.

— მე ეს კარგ თავის გასართობად მეჩვენა, თქვენო უწმინდესობავ, რადგან გულთან ძალიან ახლოს მიიტანეთ ჩემი სიტყვები. გარდა ამისა, ყველაფერმა ამან მოხეტიალე ცირკი მომაგონა...

მონტანელის ტუჩები გაუფითრდა, შეტრიალდა და ზარი დარეკა.

— შეგიძლიათ წაიყვანოთ პატიმარი, — უთხრა მან შემოსულ მცველებს.

და როცა ისინი წავიდნენ, მისთვის უჩვეულო გულისწყრომისაგან აცახცახებული მაგიდას მიუჯდა. მერე თავს ძალა დაატანა, გადაფურცლა მისი მრევლის მღვდლებისაგან გამოგზავნილი საანგარიშო დავთრები, მაგრამ მალე ხელი ჰკრა, თავი მაგიდაზე დახარა და სახე ხელებით დაიფარა. კრაზანას თითქოს თავისი რაღაც საშინელი აჩრდილი დაეტოვებინა.

მონტანელი ხელს არ იშორებდა სახიდან, ეშინოდა კიდევ არ განმეორებულიყო მის წინაშე ეს აჩრდილი. იცოდა, რომ ოთახში არავინ იყო, რომ ყველაფერი აშლილი ნერვების ბრალია, მაგრამ მაინც შეებორკა შიშს ამ აჩრდილის წინაშე... ჭრილობებით დასახიჩრებული ხელი, ტუჩებზე მიმკვდარი მკაცრი ღიმილი და ღრმა, ამოუცნობი გამოხედვა, როგორც ზღვის უფსკრული...

რის ვაი-ვაგლახით მოიშორა ეს მოჩვენება და მუშაობას შეუდგა. მთელი დღე ერთი თავისუფალი წუთი არ ჰქონდა და მოგონებები აღარ ტანჯავდნენ. მაგრამ გვიან საღამოთი, როცა საწოლ ოთახში შევიდა, ზღურბლზე გაშეშდა: ერთიც ვნახოთ და მოჩვენება ძილშიაც გამოეცხადა? ერთი წუთის შემდეგ დაიმორჩილა თავი და ჯვარცმის წინ მუხლებზე დაემხო.

მაგრამ იმ ღამეს თვალი მაინც არ მოუხუჭავს.

Scanned by CamScanner

კარდინალი გამწყრალი იყო, მაგრამ თავისი დაპირების შესრულება მაინც არ დავიწყნია. მან ისეთი ენერგიული პროტესტი განაცხადა პატიმრის დაიარებულ ხელებზე ბორკილების დადების გამო, რომ საწყალმა პოლკოვნიკმა, რომელსაც საბოლოოდ დაებნა აზრი, ყველაფერზე ხელი ჩაიქნია და განკარგულება გასცა სრულიად მოეხსნათ ბორკილები.

— საიდან უნდა ვიცოდე, — უკმაყოფილოდ ეუბნებოდა ის თავის ადიუტანტს, — კიდევ რის წინააღმდეგ განაცხადებს პროტესტს მისი უწმინდესობა? თუკი სისასტიკედ მიაჩნია რალაც ხელბორკილები, უნდა ველოდოთ, რომ ომს გამოაცხდებს რკინის სერსერის წინააღმდეგ, ანდა მოითხოვს, ლოკოკინებით და ტკბილეულით გავუმასპინძლდე რივარესს! ჩემი ახალგაზრდობის დროს ავაზაკი იყო ავაზაკი და შესაფერისადაც ეპყრობოდნენ მას. მაშინ სამშობლოს გამცემი ქურდზე უკეთესად არ მიაჩნდათ. ახლა კი მეამბოხენი მოდაში არიან და მის უწმინდესობას, მგონი სურს კიდევაც წაახალისოს ასეთი არამზადები.

— ვერ გამიგია, საერთოდ რატომ ერევა ამ საქმეში, — შენიშნა ადიუტანტმა. — ის ხომ ლეგატი არ არის და ამიტომ არავითარი უფლება არა აქვს სამოქალაქო და სამხედრო საქმეებში ჩაერიოს. კანონის მიხედვით...

— განა ღირს კანონზე ლაპარაკი? კანონისადმი რა პატივისცემას უნდა ელოდე იმის შემდეგ, რაც წმინდა მამამ გააღო საპყრობილეს კარი და ჯაჭვები ახსნა ლიბერალური არამზადების მთელ ბანდას! ეს ნამდვილი სიგიჟეა! გასაგებია, მონსინიორ მონტანელი ახლა თავის ძალაუფლებას იჩენს. მისი უწმინდესობის, განსვენებული პაპის დროს იყო თავისთვის წყნარად. ახლა კი თითქმის პირველი კაცი გახდა. უცბადვე შეაყვარა თავი ახალ პაპს და აკეთებს, რაც მოეპრიანება. მე რა წინააღმდეგობის გაწევა შემიძლია?! ვინ იცის, იქნებ რაიმე ფარული ინსტრუქცია აქვს მიღებული ვატიკანიდან! ახლა ყველაფერი ყირაზე დადგა: კაცმა არ იცის, ხვალ რა მოელის. ძველ დროში ადამიანმა იცოდა, როგორ ემოქმედა; ახლა

Scanned by CamScanner

კი... — პოლკოვნიკმა დარდიანად გააქნია თავი. ძნელია ცხოვრება, როცა კარდინალები ციხის წესებით დაინტერესდებიან და პოლიტიკური დამნაშავეების „უფლებებზე“ დაიწყებენ ლაპარაკს.

...კრაზანა თითქმის ისტერიულ მდგომარეობაში დაბრუნდა ციხეში. მონტანელისთან შეხვედრამ კინაღამ სავსებით ამოწურა მისი გამძლეობა — კიდევ წუთი და, აღარ ეყოფოდა. მოხეტიალე ცირკის შესახებ თქმული კადნიერი სიტყვები აღმოხდა იმ წუთში, როცა სასოწარკვეთამ შეიპყრო: საჭირო იყო, როგორმე დამთავრებულიყო მათი შეხვედრა, რომელიც კიდევ რამდენიმე წუთი რომ გაგრძელებულიყო, ალბათ ცრემლებით დასრულდებოდა.

რამდენიმე საათის შემდეგ დაკითხვაზე გამოუძახეს, მაგრამ მან ყველა კითხვაზე მხოლოდ ისტერიული ხარხარით გასცა პასუხი. ხოლო როცა მოთმინებადაკარგულმა პოლკოვნიკმა თავი ვეღარ შეიკავა და ლანძღვა დაუწყო, კრაზანამ უფრო უარესი გაშმაგებული სიცილი აიტეხა. საწყალი პოლკოვნიკი საოცრად გაცოფდა, თავის ურჩ პატიმარს ათასგვარ საშინელ სასჯელს უქადდა და ბოლოს და ბოლოს, ისე, როგორც ოდესღაც ჯემს ბერტონი, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ არ ღირდა ამნაირ კაცთან ლაპარაკით დროის დაკარგვა და ნერვების აშლა; სულ ერთია,, მაინც ვერაფერს შეაგნებინებ ისეთ ადამიანს, რომელსაც გონიერი მოსაზრების უნარი დაჰკარგვია.

კრაზანა ისევ დააბრუნეს თავის საკანში. ის თივადაყრილ ტახტზე დაემხო სავსებით სასოწარკვეთილი. სასოწარკვეთილება ყოველთვის იპყრობდა თავშეუკავებელი აღგზნების შემდეგ, საღამომდე იწვა გაუნძრევლად, თითქმის გონებამიხდილი. დილით განცდილი ძლიერი მღელვარების შემდეგ, საოცარი აპათია დაეუფლა. მან დაკარგა თავისი საკუთარი ტანჯვის შეგრძნება, რაც მთელი ფიზიკური სიმძიმით დასწოლოდა და გასრესას უქადდა მის სხეულს, რომელშიც უკვე გამქრალიყო ცოცხალი სული. მაგრამ განა სულ ერთი არაა, როგორ დამთავრდება ყველაფერი? ერთადერთი, რასაც ახლა მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის, ისე, როგორც ყოველი მგრძნობიარე არსებისათვის, იყო, რომ თავი დაეღწია აუტანელი წამებისათვის. მაგრამ თავს დააღწევდა მას შეცვლილი პირობების წყალობით, თუ იმითი, რომ ჩაკვდებოდა მასში შეგრძნების უნარი, ამას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. იქნებ მან გაქცევა

Scanned by CamScanner

მოახერხოს, ან იქნებ მოკლან; ასე მოხდება თუ ისე, ვერასოდეს ველარ ნახავს პადრეს.

ზედამხედველმა ვახშამი მოუტანა. კრაზანამ მძიმედ, გულგრილად ახედა:

— რომელი საათია?

— ექვსი... ვახშამი მოგიტანეთ, ბატონო.

კრაზანამ ზიზღით დახედა გაციებულ საჭმელს, რომელსაც ცუდი სუნი ასდიოდა და სახე მიიბრუნა. ის თავისთავს გრძნობდა არა მარტო სულიერად გაპარტახებულად, არამედ ფიზიკურად ავადმყოფადაც, და საჭმლის დანახვა გულს ურევდა.

— თქვენ დასნეულდებით, თუ არ ჭამეთ, — აჩქარებით უთხრა ჯარისკაცმა, — პურის ნაჭერი მაინც შეჭამეთ, ცოტათი მომავრდებით.

ის ლაპარაკობდა საკვირველი სერიოზულობით და საინიდან დაბალი პურის ნაჭერი აიღო. კრაზანაში უეცრად გაიღვიძა კონსპირატორმა, უცბად ახსოვდა, პურში რაღაც იყო დამალული.

— დატოვეთ, მერე შევჭამ, — ცივად უპასუხა კრაზანამ: კარი ღია იყო და მან იცოდა, რომ კიბეზე მდგომ სერჟანტს ესმოდა ყოველი სიტყვა.

როდესაც კარი ისევ დაიხურა და კრაზანა დარწმუნდა, არავინ მითვალთვალებს ჭურჭუტანიდანო, პური აიღო და ფრთხილად დაფშვნა. შიგნით იყო სწორედ ის, რასაც ელოდა: რამდენიმე წვრილი ხერხი. ქაღალდზე, რომელშიაც ხერხები იყო გახვეული, რამდენიმე სიტყვა ეწერა. გულდასმით გაასწორა ქაღალდი და ახლოს მიიტანა სანათურთან, რომელიც ოდნავ ანათებდა საკანს. სიტყვები ისე მიჯრით იყო დაწერილი და ქაღალდიც ისე თხელი იყო, რომ წაკითხვა ძალზე ჭირდა:

„ჭიშკარი ღიაა. ღამე უმთვაროა. გადახერხეთ ფანჯარაზე რკინები, რაც შეიძლება ჩქარა. და ორსა და სამ საათს შუა გვირაბში გამოდით. ჩვენ მზად ვართ, შესაძლოა, ასეთი შემთხვევა მომავალში აღარ გვექნეს“.

კრაზანამ ნერვიულად მოჭმუჭნა ქაღალდი. მაშ, ყველაფერი

Scanned by CamScanner

მზადაა და მან მხოლოდ რკინები უნდა გადახერხოს ფანჯარაზე! რა ბედნიერებაა, რომ ბორკილები ახსნეს! აღარაა საჭირო დროს დაკარგვა მათ გადახერხვაზე. რამდენი ძელი რკინაა ფანჯარაში? ორი, ოთხი და თითო მათგანი ორ ადგილას უნდა გადახერხოს; მაშასადამე, სულ რვა. არაფერია, შეძლებს, თუკი დაუჩქარებს. ეს როგორ მოხდა, რომ ასე მალე მოახერხეს ყველაფერი ჯემამ და მარტინიმ? იშოვეს ტანსაცმელი, პასპორტები, ბინა? მათ საფორანე ცხენივით უნდა ემუშავათ. რომ მოესწროთ... მაინც ჯემას მიერ შემუშავებული გეგმა მიუღიათ. კრაზანას გაეცინა ამ თავის სულელურ აზრზე: რა მნიშვნელობა აქვს ჯემას ეკუთვნის გეგმა თუ სხვას, ოღონდ კი კარგი იქნეს! მაგრამ, ამავე დროს, ძალიან სიამოვნებდა, რომ პირველმა ჯემამ მოისაზრა გამოეყენებინათ მიწისქვეშა ხვრელი თოკის კიბის ნაცვლად, როგორც ეს კონტრაბანდისტებს ჰქონდათ განზრახული. ჯემას გეგმა უფრო რთული და ძნელი იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, საროსკო არ იყო აღმოსავლეთის კედლის მეორე მხარეზე მდგარი გუშაგის სიცოცხლისათვის. ამიტომ, როცა კრაზანას ორივე გეგმა შესთავაზეს, მან ჯემას გეგმა აირჩია უყოყმანოდ

ამ გეგმის თანახმად, ჭრიჭინას, მათ თანამგრძნობ გუშაგს, პირველივე ხელსაყრელ შემთხვევაში, თავის ამხანაგებისაგან შეუმჩნევლად უნდა გაეღო რკინის ჭიშკარი, რომელიც ციხის ეზოდან გადიოდა მიწაყრილის ქვეშ გათხრილი გვირაბისაკენ, შემდეგ კი გასაღები უკანვე საგუშაგოში უნდა ჩამოეკიდა. კრაზანას კი, მიიღებდა, თუ არა ცნობას, რომ ჭიშკარი ღია იყო, რკინები უნდა გადაეხერხა ფანჯარაზე, დაეხია პერანგი, თოკივით დაეგრიხა, გადაებნაჭრები და მისი საშუალებით აღმოსავლეთის კედლით დაშვებულიყო ეზოში. შემდეგ ფორთხვით უნდა ევლო იმ რამდენიმე წუთის განმავლობაში, როცა გუშაგი სხვა მხარეს მიიხედავდა, და მიწაზე გართხმულიყო გაუნძრევლად, როცა მისკენ მოტრიალდებოდა. სამხრეთ აღმოსავლეთის კედლის კუთხეში პატარა კოშკი იდგა. ნახევრად ჩამონგრეულ კედლებს ჩამოვარდნისაგან იფარავდა შემოხვეული სურო. ბევრი ქვა ჩამოცვენილიყო კედლიდან და ხროვად ეყარა კოშკის ძირში. ამ ქვებზე და სუროზე უნდა ჩამოსულიყო კრაზანა ეზოში, მერე ფრთხილად გაევლო გაღებული ჭიშკარი და მიწაყრილის ქვეშ გაყვანილი გასასვლელით მიწისქვეშა გვირაბში

Scanned by CamScanner

შესულიყო. რამდენიმე საუკუნის წინათ ეს გვირაბი წარმოადგენდა საიდუმლო გზას ციხესა და იმ გოდოლს შორის, რომელიც შორიახლოს გორაკზე იდგა. ახლა ამ გვირაბით არავინ არ სარგებლობდა და რამდენიმე ადგილას ჩამოწოლილი კლდის ნატეხებისაგან იყო ამოვსებული. მხოლოდ კონტრაბანდისტებმა იცოდნენ მთის ფერდობზე საგულდაგულოდ დაფარული ხვრელის არსებობის შესახებ. ეს ხვრელი მათ მიერ იყო გათხრილი გვირაბამდე. ეჭვიც არავის აუღია, თუ იქ, ციხის მიწაყრილის ქვეშ, მთელი კვირაობით ეწყო აკრძალული საქონელი, რომელსაც საბაჟოს მოხელეები ამაოდ ეძებდნენ მთიელების სახლებში, და ამაოდ უბრიალბდნენ მათ თვალებს.

კრაზანა ამ ხვრელიდან უნდა ამომძვრალიყო მთის ფერდობზე, შემდეგ კი დაბნელებისას მისულიყო დათქმულ ადგილამდე, სადაც მარტინი და ერთი კონტრაბანდისტი დახვდებოდნენ. ყოველთვის კი არ იქნებოდა შემთხვევა, საღამო ხანს ციხის შემოვლის შემდეგ შეძლებოდათ ჭიშკრის გაღება. ფანჯრიდან ჩამოსვლაც შეუძლებელი იყო ნათელ ღამეში. ადვილად დაინახავდა გუშაგი. ამრიგად, დღეს ძალიან ხელსაყრელი შემთხვევა ეძლეოდა და მისი ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა.

კრაზანა ჩამოჯდა ნარზე და პურის ნამცეცების ჭამა დაიწყო. პური თუმცა უგემური იყო, მაგრამ ზიზღს მაინც არ იწვევდა, როგორც ციხის სხვა საჭმელები. საჭირო იყო შეეჭამა, რომ ძალ-ღონე შემატებოდა. შემდეგ გადაწყვიტა, მცირე ხნით დაწოლილიყო, იქნებ მოეხერხებინა და დაეძინა. ათ საათზე ადრე საშიში იყო ხერხვის დაწყება. ღამით კი ძნელი სამუშაო მოელოდა.

თურმე პადრე მაინც ფიქრობდა მოეწყო მისი გაქცევა! ეს გასაკვირი არ იყო მისგან! მაგრამ თვითონ კრაზანა კი არასოდეს დათანხმდებოდა ამაზე. ყველაფერი, ოღონდ ეს არა! მხოლოდ თავისი ამხანაგების დახმარებით გაიქცევა. მღვდლისაგან კი არავითარ დახმარებას არ მიიღებს.

რა ცხელა! ალბათ, ჭექა-ქუხილი იქნება. ჰაერი ისეთი მძიმე და დახუთულია. კრაზანა მოუსვენრად გადატრიალდა საწოლზე და ბალიშის ნაცვლად თავქვეშ ამოიდო თავისი შეხვეული მარჯვენა ხელი. შემდეგ ისევ გამოიღო ხელი. როგორ უხურდა! რა საშინლად

Scanned by CamScanner

სტკიოდა! ყველა ძველმა იარამ გაიღვიძა, მწვავედ ასტკივდა... ეს რა მოსდის ძველ ჭრილობებს? არა, ყოვლად შეუძლებელია! ალბათ, ავდრის წინ... დაიძინებს და ცოტას მოისვენებს, სანამ ხერხვას შეუდგება.

რვა რკინაა და ყველა ისეთი მსხვილი და მაგარი! რამდენი დარჩა კიდევ გადასახერხი? ალბათ, ბევრი აღარაა. ის ხომ უკვე დიდი ხანია, რაც ხერხავს, ძალიან დიდი ხანია და ამიტომ სტკივა ხელი. მერე როგორ სტკივა! შიგ ძვლამდე! მაგრამ არა, მუშაობას არ შეეძლო ასეთი ტკივილის გამოწვევა. და იმგვარივე მწვავე ტკივილი კოჭლ ფეხში... ნუთუ ესეც იმის გამო, რომ ხერხავდა?

კრაზანა წამოხტა. არა, არ სძინებია! ის ბოდავდა თვალგახელილი, ოცნებობდა, რომ ხერხავდა რკინებს, ნამდვილად კი ჯერ ხელიც არ უხლია. ისინი ძველებურად ჩანან ფანჯარაში, ისეთივე მაგრები, როგორც ყოველთვის.

შორეულ კოშკზე საათმა ათჯერ დარეკა. დროა მუშაობა დაიწყოს!

კრაზანამ შეიხედა კარის ჭუჭრუტანაში და როცა დარწმუნდა, თვალყურს არავინ ადევნებდა, ამოიღო ხერხი, რომელიც უბეში ჰქონდა შენახული.

* * * * * *

არა, მას არაფერი დამართია, არაფერი! ყველაფერი ეს მოჩვენებაა. ტკივილი ფერდში მუცლის აშლის, გაცივების, ან სხვა რაიმეს ბრალია. გასაკვირველი არაფერია ციხეში სამი კვირის ყოფნის და ციხის ნესტიანი ჰაერის სუნთქვის შემდეგ მთელი სხეული რომ სტეხს, და გულსაც ბაგაბუგი აუტეხია — ეს კი ნერვიული აგზნებისა და, ნაწილობრივ, ბევრი ჯდომის ბრალია. დიახ, დიახ, სწორედ ასეა: ყველაფერი საკანში ყოფნის ბრალია, რა სისულელეა, რომ აქამდე ვერ მოისაზრა ეს!

საჭიროა, ცოტა ხანს დაისვენოს, ტკივილები გაუყუჩდება და შემდეგ დაიწყებს მუშაობას. რამდენიმე წუთი, და ყველაფერი გაივლის.

Scanned by CamScanner

მაგრამ, როგორც კი ჩამოჯდა, უარესი დაემართა. ტკივილები მთელ სხეულს მოედო და სახეზე მკვდრისფერი დაედო წიშით შეძრწუნებულს. არა, საჭიროა ადგეს და საქმეს შეუდგეს. უნდა დაივიწყოს ტკივილები. ნებისყოფაზეა დამოკიდებული — გრძნობ ტკივილებს, თუ არა: მას არ უნდა იგრძნოს და აიძულებს კიდეც დაუყუჩდეს.

კრაზანა წამოდგა და ხმამაღლა წარმოთქვა:

— მე ავად არა ვარ. დრო არა მაქვს ავადმყოფობისათვის. უნდა გადავხერხო რკინები. ნება არა მაქვს, ავად გავხდე!

შემდეგ დაიწყო ხერხვა.

მეთერთმეტე საათი დაიწყო... ნახევარი საათი ვავიდა... თეთრმეტს თხუთმეტი წუთი აკლდა... ის ხერხავდა, ხერხავდა და როგორც კი ხერხი წივილით შეეხებოდა რკინას, მას ეგონა, რომ ვიღაც უხერხავდა სხეულს და ტვინს.

— ვის გადახერხენ პირველად? — ღიმილით შეეკითხა თავის თავს, — მე, თუ რკინებს ფანჯარაზე? — მერე მოკუმა ტუჩები და ხერხვა განაგრძო.

თორმეტის ნახევარი გახდა. ის შეუჩერებლივ ხერხავდა, თუმცა ხელები დაუსივდა და ისე გაუხევდა, რომ ძლივსღა ეჭირა ხერხი. მაგრამ არა... მას არ შეუძლია გაჩერდეს და დაისვენოს. საკმარისია მხოლოდ ხელიდან გაუშვას ეს დაწყევლილი ქლიბი და შემდეგ ძალა აღარ ეყოფა განაახლოს მუშაობა.

კარებთან გუშაგის ფეხის ხმა გაისმა, კონდახი ღონივრად მოხვდა კარებს. კრაზანამ მიატოვა ხერხვა, ხელი მოუჭრა ხერხს და მოიხედა, ნუთუ შეუტყვეს ყოველივე?

ჭურჭუტანიდან გადმოგდებული რაღაც პატარა ბურთულა საკნის იატაკზე დავარდა. კრაზანამ ხერხი განზე დადო და დაიხარა. ეს იყო მაგრად დახვეული პატარა ქაღალდი.

რა დიდხანს გაგრძელდა ძირს ჩაშვება, შავი ტალღები კი ყოველმხრიდან გარს ერტყნენ... როგორ ღრიალებენ!

აჰ, მართლა! ის ხომ დაიხარა მხოლოდ იატაკიდან ქაღალდის ასაღებად და ცოტათი რეტი დაესხა. მაგრამ ეს ხშირად ხდება, როცა ადამიანი დაიხრება. საყურადღებო არაფერი მომხდარა, სრულიად არაფერი.

Scanned by CamScanner

მან ქაღალდი აიღო, მიიტანა სინათლესთან და გაშალა.

„უეჭველად ამაღამ უნდა გამოხვიდეთ. ხვალ ჭრიჭინა სხვა ადგილას გადაჰყავთ. ასეთი შესაძლებლობა ჩვენ ალარ გვექნება“.

კრაზანამ მოსპო ეს ბარათი ისევე, როგორც პირველი. შემდეგ აიღო ხერხი, კბილი კბილზე დააჭირა და განაგრძო მუშაობა.

ღამის პირველი საათია. ის უკვე სამ საათს მუშაობდა და ექვსი რკინა გადახერხილი აქვს. კიდევ ორი და შემდეგ უნდა გადაცოცდეს.

მან გაიხსენა შემთხვევები, როცა ძლიერი ტკივილები დაეუფლეობდა ხოლმე. უკანასკნელად ახალი წლის წინა დღეებში დაემართა. კანკალმა აიტანა, როცა ის ხუთი ღამე მოაგონდა. მაგრამ მაშინ არც თუ ისე სწრაფად დაეწყო ტკივილები. ასე უეცრად, როგორც ახლა, არასოდეს დაწყებია.

კრაზანას ხელიდან გაუვარდა ხერხი. მან ანგარიშმიუცემლად ალაპყრო ორივე ხელი და პირველად მას შემდეგ, რაც ათეისტი გახდა მისმა ტუჩებმა ლოცვის სიტყვები წარმოთქვეს. ის ლოცულობდა სრულიად სასოწარკვეთილი და თვითონაც არ იცოდა, ვის მიმართავდა ვედრებით.

— ოღონდ დღეს არა! დაე, ხვალ გავხდე ავად! ყველაფერს ვავუძლებ, ოღონდ ხვალ და არა დღეს!

წუთით ის მშვიდად იდგა და საფეთქელზე ხელები ჰქონდა შემოჭერილი. მერე დაიხარა, აიღო ქლიბი და ისევ დაიწყო მუშაობა...

ორის ნახევარია. უკანასკნელი რკინის ხერხვას შეუდგა. პერანგის სახელოები სრულიად დაფლეთილი ჰქონდა. ტუჩებზე სისხლმა გამოჟონა, თვალწინ სისხლიანი ბურუსი ედგა, ოფლი ნაკადად ჩამოსდიოდა შუბლიდან, ის კი ხერხავდა, ხერხავდა ხერხავდა...

* * * * * *

მონტანელიმ, როგორც იქნა, მხოლოდ გარიჟრაჟზე დაიძინა. ის ძალიან გაწამებული იყო უძილო ღამისაგან და ერთ ხანს მშვიდად ეძინა, შემდეგ კი ზმანებები დაეწყო.

Scanned by CamScanner

ეს იყო ჯერ გაურკვეველი, არეულ-დარეული ზმანებები. ნაწყვეტ-ნაწყვეტი მოჩვენება, ერთი მეორეზე უფრო ფანტასტიკური, საოცარი სისწრაფით და ქაოსურად ცვლიდნენ ერთიმეორეს. ეს მოჩვენებები სავსე იყო ტანჯვით, ბრძოლით და შეუცნობელი საშინელების ნაკვალევს ტოვებდნენ. შემდეგ მას ესიზმრა ძველი, მისთვის ჩვეული საზარელი სიზმარი, რომელიც მრავალი წლის მახეილზე ტანჯავდა. და თუმცა ეს ძილში იყო, მაინც გრძნობდა, რომ მრავალჯერ უნახავს ეს სიზმარი.

აი, სადღაც ვერან, უშენ ადგილზე დაეხეტება და ცდილობს, სადმე იპოვოს წყნარი კუთხე, რომ იქ დაწოლა და დაძინება შეძლოს. ყველგან ხალხი დაბორიალობს. ყაყანებს, იცინის, ყვირის, ლოცულობს, ზარებს რეკავს. ხანდახან ახერხებს მოშორდეს მათ, თავი მოარიდოს ამ ხმაურს, წვება ხან ბალახზე, ხან მერხზე, ხან ქვის ფილზე. ხელებს იფარებს თვალებზე, რომ სინათლემ არ შეაწუხოს და თავის თავს ეუბნება: „ახლა კი დამეძინება“. მაგრამ ბრბო ისევ უახლოვდება გულშემზარავი კივილით. ვიღაც უძახის და ეყვირის: „გაიღვიძე. ჩქარა გაიღვიძე, საჭირო ხარ ჩვენთვის!“

აი, ის უზარმაზარ სასახლეშია, მდიდრულად მორთულ დარბაზებში. ირგვლივ ფაფუკი სარეცლები, რბილი სავარძლები. ბინდი ჩამოწვა. ის ფიქრობს: „როგორც იქნა მეღირსა, დავიძინებ სიწყნარეში!“ — და წვება ჩაბნელებულ დარბაზში. მაგრამ იქ შემოდიან ანთებული ლამპით, კაშკაშა სინათლე ულმობლად ჭრის თვალს და ვიღაც ზედ ყურში ჩასძახის: „ადექი, გეძახიან!“

ის დგება და წინ მიდის ბორძიკით და ბარბაცით, როგორც სასიკვდილოდ დაჭრილი. საათმა პირველი დარეკა და მან იცის, რომ ნახევარი ღამე უკვე გავიდა. ნახევარი ძვირფასი, მოკლე ღამისა. ორი, სამი, ოთხი, ხუთი... ექვს საათზე მთელი ქალაქი გაიღვიძებს და სიჩუმესაც ბოლო მოეღება.

შედის მეორე ოთახში და ის არის დააპირებს დაწოლას, როცა უეცრად ვიღაცა თავს წამოჰყოფს და შეჰყვირებს: „ეს ჩემი საწოლია!“ ის სასოწარკვეთით უკან იხევს.

რამდენიმე საათი გავიდა, ის კი ისევ დაბორიალობს დერეფნიდან დერეფანში, დარბაზიდან დარბაზში, სახლიდან სახლში. საათმა ხუთი დარეკა. უკვე ინათა. საზიზღარი ნაცრისფერი განთიადი

Scanned by CamScanner

სულ ახლო და ახლო მოიპარება. ღამემ გაიარა, მან კი ვერსად იპოვა მოსასვენებელი ადგილი, ჰოი, საშინელებავ! დადგა დღე. კიდევ ერთი მტანჯველი დღე!

ის შედის მიწისქვეშა დაბალ, კამაროვან და დაუსრულებლად გრძელ გვირაბში. მთელი გვირაბი განათებულია ელვასავით თვალისმომჭრელი ლამპიონებით და ჭაღებით, ხოლო დაჭრეთილი ჭერიდან მოისმის სიცილი, მუსიკის და ცეკვის ხმა. ზევით, ცოცხალ ადამიანთა სამყაროში, ალბათ რაღაც დღესასწაულს ზეიმობენ.

ნეტავ სადმე იპოვოს ადგილი, სადაც შეიძლება დამალვა და დაძინება! სულ მცირე ადგილი, თუნდაც საფლავისათვის! და როგორც კი ინატრა ეს, მაშინვე თავს წაადგა გათხრილი საფლავის ნაპირს. სიკვდილისა და ობის სუნი სდის საფლავს, მაგრამ მერე რა! ოღონდ კი გამოიძინოს...

„ეს ჩემი საფლავია!“ ისმის გლედისის ხმა. გლედისი თავს წაშოჰყოფს ჩაფერფლილი სუდარიდან და შეჰყურებს ფართოდ გახელილი თვალებით.

მონტანელი დაიჩოქებს და მუდარით იშვერს მისკენ ხელებს.

„გლედის! გლედის! ოდნავ მაინც შემიბრალე! ნება მომეცი, დავიძინო მანდ. მე არ გთხოვ სიყვარულს. არ მოგეკარები, არც დაგელაპარაკები. მხოლოდ ნება მომეცი, დავწვე შენს გვერდით და დავიძინო! ძვირფასო! მე უკვე დიდი ხანია არ მძინავს! მეტის ატანა აღარ შემიძლია! დღის სინათლემ დასწვა ჩემი გული, ხმაურმა მტვრად აქცია ჩემი ტვინი. გლედის, ნება მომეცი, ჩამოვიდე შენს საფლავში და დავიძინო!“

მას სურს თვალებზე წაიფაროს გლედისის სუდარა! მაგრამ გლედისი განზე გაიწევს და შეშინებული ყვირის: „ეს მკრეხელობაა! შენ ხომ მღვდელი ხარ!“

და მონტანელი მიდის ისევ წინ, წინ და გადის ზღვის პირზე, მოტიტვლებულ, უნაყოფო სინათლით გაჩახჩახებულ კლდეებზე. წყლის ტალღები ჩუმად და გულისმომკვლელად კვნესიან და სიმშვიდეს ითხოვენ.

„ეჰ, — ამბობს მონტანელი, — ალბათ, ზღვა მაინც შემიბრალებს! ის ხომ თვითონაც ძალიან დაღლილია და ვერ დაუძინია“.

მაშინ ზღვის სიღრმიდან ამოდის არტური და ხმამაღლა ეუბნება: „ზღვა ჩემია!“

Scanned by CamScanner

* * * * * *

— თქვენო უწმინდესობავ! თქვენო უწმინდესობავ!

მონტანელის უეცრად გამოელვიძა. კარზე აკაკუნებდნენ. ანგარიშმიუცემლად წამოდგა, კარი გააღო და მსახურმა, რომელიც მის გასაღვიძებლად მოსულიყო, დაინახა, რომ სახე შეშლილივით ჰქონდა.

— თქვენო უწმინდესობავ, ავად ხომ არ ბრძანდებით?

მონტანელიმ შუბლზე ხელი გადაისვა.

— არა, მეძინა და თქვენ კი შემაშინეთ.

— მაპატიეთ, თქვენო უწმინდესობავ. გათენებისას მომეჩვენა, თითქოს თქვენ დადიოდით და გავიფიქრე, რომ...

— ახლა რა დროა?

— ცხრა საათია. პოლკოვნიკი მოვიდა და თქვენი ნახვა სურს. მან თქვა, რაღაც ძლიერ საყურადღებო უნდა ვაცნობოო. მან იცის, რომ თქვენი უწმინდესობა ადრე დგება ხოლმე.

— ქვევით მიცდის?.. ახლავე ჩამოვალ.

მონტანელიმ ჩაიცვა და ძირს ჩავიდა.

— ბოდიშს ვითხოვ, რომ ეტიკეტი დავარღვიე და თქვენთვის უჩვეულო დროს მოვედი... — დაიწყო პოლკოვნიკმა.

— განა მოხდა რამე?

— მოხდა ძლიერ საყურადღებო ამბავი: რივარესი კინაღამ გაგვექცა.

— თუ გაქცევა ვერ შეძლო, მაშასადამე ისეთი არაფერი მომხდარა. როგორ იყო?

— ის იპოვეს ეზოში რკინის ჭიშკართან. როდესაც დარაჯების რაზმმა დილის სამ საათზე ეზო მოიარა, ერთმა ჯარისკაცმა ფეხი წამოჰკრა მიწაზე დაგდებულ რაღაც საგანს. მოიტანეს ფარანი და დაინახეს, რომ რივარესი იყო. ის ჭიშკრის წინ ეგდო გრძნობადაკარგული. ეს ამბავი იმავე წუთში მაცნობეს. გავეშურე საკნის დასათვალიერებლად და ვნახე, რომ ყველა რკინა გადაეხერხა, ხოლო ფანჯრიდან საცვლებისაგან გაკეთებული ბაწარი გადაეშვა. ის ჩაშვებულა ამ ბაწრის საშუალებით და ხოხვით გაჰყოლია კედელს. რკი-

Scanned by CamScanner

ნის ჭიშკარი, საიდანაც გვირაბში მიდის გზა, ღია აღმოჩნდა. ეს აშ-ბავი გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ მცველები მოსყიდული იყვნენ.

— კი მაგრამ, რატომ იწვა გრძნობადაკარგული? კედლიდან ჩამოვარდა და დაიმტვრა?

— მეც სწორედ აგრე ვიფიქრე პირველად, მაგრამ ციხის ექიმმა ვერავითარი ნიშნები ვერ იპოვა დაცემისა. ჯარისკაცი, რომელიც გუშინ მორიგეობდა, ამბობს, რომ საღამოს, როცა რივარესს ვახშამი მოუტანეს, ის ძალიან სუსტად იყო და არაფერი უჭამია. მაგრამ როგორც ჩანს, ასე არ ყოფილა. შეუძლებელია, ავადმყოფს ისეთი რკინები გადაეხერხა და შემდეგ კედელზე ეხოხა. ეს წარმოუდგენელია!

— თვითონ მან რაიმე ჩვენება მოგცათ?

— უგრძნობლადაა, თქვენო უწმინდესობავ.

— ახლაც?

— ხანდახან რამდენიმე წუთით მოდის გონზე. კვნესის, შემდეგ ისევ ჰკარგავს გონებას.

— საკვირველი ამბავია. ექიმი რას ამბობს?

— ექიმმა თქვა, არ ვიცი, რა ვიფიქროო. მან ვერ უპოვა გულის ტკივილის ვერავითარი ნიშნები, რითაც შეიძლებოდა ახსნილიყო ავადმყოფის ამგვარი მდგომარეობა. მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს სნეულება, ცხადია მხოლოდ ის, რომ მოუარა უეცრად მაშინ, როცა თითქმის შეეძლო გაქცეულიყო. მე კი ვფიქრობ, რომ განგებამ დაამარცხა და დასაჯა.

მონტანელიმ შუბლი შეიკრა.

— ახლა რას უპირებთ? — ჰკითხა მან.

— ეგ საკითხი უახლოეს დღეებში გადაწყდება. ჯერჯერობით კი მე კარგი გაკვეთილი მივიღე: აი, იმის შედეგი, რომ ბორკილები ავხსენი!

— იმედი მაქვს; — სიტყვა შეაწყვეტინა მონტანელიმ, — რომ ჯერჯერობით, სანამ ის ავად არის, ბორკილებს არ გაუყრით. კაცი, რომელიც ისეთ მძიმე მდგომარეობაშია, ვერ შეიძლებს განაახლოს გაქცევის ცდა.

— ახლა მე ვიცი, რა ზომებსაც მივიღებ, რომ მან თავისი ცდა ველარ გაიმეოროს, — წაიდუდუნა თავისთვის პოლკოვნიკმა ოთახი-

Scanned by CamScanner

დან გასვლისას, — ასეც უქნია, კიდევაც ყელზე დადგომია მის უწმინდესობას თავისი სენტიმენტალური ბოდვები — ჩემთვის სულ ერთია. რივარესი ახლა საიმედოდ მყავს შეკოჭილი და კარგად იქნება თუ ავად, ბორკილებს ალარ მოვხსნი.

* * * * * *

— მაინც როგორ მოხდა ეს? გრძნობის დაკარგვა უკანასკნელ წუთში, როცა ყველაფერი მზად იყო, როცა ის ჭიშკართან იყო მისული! ეს რალაც საშინელი დაცინვაა ბედისა!

— ერთადერთი, რაც შემიძლია ვიფიქრო, — ჩაურთო მარტინიმ, — ის არის, რომ ძველმა ავადმყოფობამ მოუარა, რომ ის ებრძოდა სენს, სანამ ძალა შესწევდა; შემდეგ კი, როცა ეზოში დაეშვა, გრძნობა დაკარგა.

მარკონემ გაბრაზებით გამობერტყა ყალიონიდან ფერფლი.

— ასე იყო თუ ისე, ყველაფერი გათავებულია და ჩვენ ახლა ვერაფერს ვუშველით. საბრალო!

— საბრალო! — ჩუმი ხმით გაიმეორა მარტინიმ. მან უეცრად იგრძნო, რომ კრაზანას დაკარგვასთან ერთად ქვეყანა მისთვის დაბნელდა და დაცარიელდა.

— ის რალას ამბობს? — იკითხა კონტრაბანდისტმა და ანიშნა ოთახის მეორე ბოლოში მყოფ ჯემაზე, რომელიც უმოძრაოდ იჯდა, ხელები მუხლებზე დაეწყო და თვალებით სივრცეს მიშტერებოდა.

— არ მიკითხავს, არაფერს არ ამბობს იმის შემდეგ, რაც ყველაფერი გაიგო. სჯობს, ნურას ვკითხავთ ახლა, ნუ შევაწუხებთ.

ჯემა თითქოს ვერც ამჩნევდა მათ; მამაკაცები ისეთი ჩუმი ხმით ლაპარაკობდნენ, თითქოს ოთახში მიცვალებული ესვენა. რამდენიმე წუთით ღრმა სიჩუმე ჩამოვარდა. მარკონე ადგა და ყალიონი ჯიბეში ჩაიდო.

— სალამოს დავბრუნდები. — თქვა მან.

მაგრამ მარტინიმ ხელით ანიშნა, გაჩერდით:

— ნუ წახვალთ: მინდა მოგელაპარაკოთ. — მან კიდევ უფრო

Scanned by CamScanner

დაუწია ხმას და თითქოს ჩურჩულით განაგრძო: — მაშ თქვენი აზრით, არავითარი იმედი არ არის?

— არ ვიცი, რისი იმედი უნდა ვიქონიოთ. ხელმეორედ ცდაზე ფიქრიც ზედმეტია. თუნდ მოღონიერდეს კიდევაც იმდენად, რომ შეძლოს თავისი წილი სამუშაოს შესრულება, ჩვენ მაინც ველარ გავაკეთებთ ჩვენსას; ყველა ძველი გუშაგი გამოცვალეს, რადგან მათზე ეშვი აიღეს თანამონაწილეობაში. ჭრიჭინაც ველარ მოახერხებს ხელმეორედ დახმარებას, ამაში დარწმუნებული უნდა იყოთ.

— როგორ გგონიათ, — უეცრად იკითხა მარტინიმ, — როცა რივარესი მორჩება, შევძლებთ თუ არა მოვარიდოთ მცველების ყურადღება და ამ გზით გავათავისუფლოთ?

— მცველების ყურადღება მოვარიდოთ? რა გინდათ მაგით სთქვათ?

— აი, რა მოვიფიქრე. Corpus Domini*-ს დღეს, როდესაც პროცესია ციხესთან გაივლის, უეცრად გზას გადავუღობავ პოლკოვნიკს და სახეში ვესვრი დამბაჩას, ყველა გუშაგი ჩემს დასაჭერად გამოიქცევა, ატყდება საშინელი აურზაური, თქვენ და თქვენი ამხანაგები კი ამ დროს გაათავისუფლებთ რივარესს. რასაკვირველია, ეს ჯერ კიდევ არ არის გეგმა. მე ეს მხოლოდ ახლა მოვიფიქრე.

— არა მგონია, ამის მოხერხება შეიძლებოდეს, — ძალიან სერიოზულად თქვა მარკონემ. — რა თქმა უნდა, საჭიროა ყველაფერი საფუძვლიანად მოვიფიქრეთ, რომ გამარჯვების შანსები გვქონდეს, მაგრამ... — ის შეჩერდა და შეხედა მარტინის, — მაგრამ კიდევაც რომ შესაძლებელი იქნეს ამის გაკეთება, თქვენ იკისრებდით იმას, რომ ესროლოთ პოლკოვნიკს?

მარტინი თავდაჭერილი კაცი იყო, მაგრამ ახლა ყველაფერი დაავიწყდა. მან თვალებში შეხედა კონტრაბანდისტს.

— მე ვიკისრებდი თუ არა? შეხედეთ იმ ქალს!

ალარავის განმარტება საჭირო ალარ იყო. ამით ყველაფერი ითქვა. მარკონე მიტრიალდა და ჯემას შეხედა.

ჯემა ერთხელაც არ განძრეულა იმის შემდეგ, რაც ლაპარაკი

---

* Corpus Domini — „უფლის გვამის" დღესასწაული. კათოლიკური ეკლესიის ერთ-ერთი ყველაზე დიადი დღესასწული.

Scanned by CamScanner

დაიწყეს მამაკაცებმა. მის სახეს არ ემჩნეოდა არც ეჭვი, არც შიში, არც ტანჯვა, მხოლოდ სიკვდილის აჩრდილი იყო გამოხატული. კონტრაბანდისტს ცრემლით აევსო თვალები, როცა მას შეხედა.

— დაუჩქარე, მიქელე, — თქვა კონტრაბანდისტმა და აივნის კარი გამოაღო, — ძალიან კი დაიქანცეთ, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი.

მიქელე და შემდეგ ჯინო ოთახში შევიდნენ.

— მე მზად ვარ, — თქვა მიქელემ, — მხოლოდ მინდოდა მეკითხა სინიორასათვის...

მან ჯემასკენ გაიწია, მაგრამ მარტინი სახელოში სწვდა და შეაჩერა.

— ნუ შეაწუხებთ, ახლა მისთვის მარტო ყოფნა სჯობია.

— თავი დაანებეთ, — დაუმატა მარკონემ. — ჩვენი ნუგეში ახლა უსარგებლოა! ღმერთია მოწამე, ყველას მძიმე ლოდი გვაწევს გულზე, მაგრამ ამ საბრალო ქალის მწუხარებას მაინც ვერაფერი შეედრება.

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

ერთი კვირის განმავლობაში კრაზანა საშინელ მდგომარეობაში იყო. ტკივილები ძლიერ აწუხებდა, ხოლო პოლკოვნიკმა, რომელიც სრულიად გამხეცდა შიშისაგან, განა მარტო ხელებში და ფეხებში გაუყარა ავადმყოფს ბორკილები, ამას გარდა ბრძანება გასცა, ღვედებით მიეკრათ იგი ლოგინზე. ღვედები კრაზანას ისე მაგრად ჰქონდა შემოჭერილი, რომ ყოველი განძრევისას ღახასავით უჭრიდა ხორცს. ექვსი დღე დიდი მოთმინებით იტანდა ასეთ ტანჯვას, შემდეგ მისი სიამაყე დაცხრა და თითქმის ცრემლმორეული ემუდარებოდა ციხის ექიმს, ოპიუმი მომეცით; ექიმი დათანხმდა, მაგრამ პოლკოვნიკმა კრაზანას თხოვნა გაიგო და სასტიკად აკრძალა „პატიმრის განებივრება“.

— საიდან იცით, რისთვის სჭირია მას ოპიუმი? — თქვა მან. —

Scanned by CamScanner

ადვილი შესაძლებელია, რომ ამ დღეების განმავლობაში ავადმყოფობას იგონებდა. ახლა კი სურს, მიაძინოს გუშაგი ან სხვა რაღაც ხერხისათვის მოიხმაროს. ის ეშმაკია და ყველაფერს მოისაზრებს.

— მცირე დოზას მივცემ და მით ვერ შეძლებს გუშაგის დაძინებას, — უპასუხა ექიმმა, როცა პოლკოვნიკი ასე შეშინებული დაინახა, — რაც შეეხება ავადმყოფობის მოგონებას, ამის შიში ნუ გაქვთ, დარწმუნებული ვარ, რომ მალე მოკვდება.

— ასეა თუ ისე, ნებას არ გაძლევთ, ოპიუმი მისცეთ. როცა კაცს სურს, რომ კარგად მოეპყრან, თვითონ უნდა დამშვიდდეს. მან სამართლიანად დაიმსახურა მკაცრი მოპყრობა. ეს გაკვეთილი იყოს მისთვის, ჭკუას ისწავლის და გაიგებს, რომ ფანჯრებზე რკინის გადახერხვა არ შეიძლება.

— მაგრამ კანონით აკრძალულია წამება, — გაბედა და უთხრა ექიმმა, — თქვენი „მკაცრი ზომები“ კი ნამდვილი წამებაა.

— მგონი კანონში არ სწერია ოპიუმის მიცემა, — გაბრაზებით თქვა პოლკოვნიკმა.

— რა თქმა უნდა, თქვენი ნებაა, მაგრამ იმედი მაქვს, იმის უფლებას მაინც მისცემთ, რომ ღვედები ახსნან. ის სრულიად ზედმეტია და მხოლოდ უძლიერებს ტანჯვას. შიში ნუ გექნებათ, ვერ ძეძლებს გაქცევას. ბორკილებიც რომ ახსნათ, მაინც ვერ შეძლებს ფეხზე დადგომას.

— ექიმი, ისე როგორც ყოველი ადამიანი, ადვილად შეიძლება შეცდეს. ტუსაღი მაგრად მყავს შეკოჭილი და ამავე მდგომარეობაში მეყოლება.

— მაშ ის მაინც უბრძანეთ, რომ ღვედები ცოტაოდნად მოუშვან. ასე მაგრად მოჭერა ნამდვილი ბარბაროსობაა.

— ისე დარჩება, როგორც არის. მე თქვენ გთხოვთ, პატივცემულო ექიმო, ამიერიდან არაფერი მითხრათ ბარბაროსობის შესახებ. როცა ასეთ ზომებს მივმართავ, ალბათ ამის მიზეზიც მაქვს.

ამრიგად, არც მეშვიდე ღამეს შეუმსუბუქეს მდგომარეობა. ჯარისკაცი, რომელიც კრაზანას საკნის კართან იდგა საგუშაგოზე, ძთელ ღამეს კანკალებდა და ისახავდა პირჯვარს, რადგან შეუწყვეტლივ ესმოდა გულშემზარავი კვნესა პატიმრისა, რომელმაც დაჰკარგა ძოთმინება.

Scanned by CamScanner

დილის ექვს საათზე, როცა მოახლოვდა საგუშაგოდან მოხსნის დრო, ჯარისკაცმა ფრთხილად შეაღო კარი და საკანში შევიდა. — მან იცოდა, რომ ამით არღვევდა დისციპლინას, მაგრამ არ შეეძლო წასვლა, სანამ მეგობრული სიტყვით მაინც არ ანუგეშებდა წამებულს.

კრაზანა უძრავად იწვა; თვალები დაეხუჭა და პირი ნახევრად ღია ჰქონდა.

რამდენიმე წუთის განმავლობაში ჯარისკაცი ხმაამოუღებლად დაჰყურებდა. შემდეგ დაიხარა და ჰკითხა:

— რითი შემიძლია დაგეხმაროთ? იჩქარეთ, კიდევ ერთი წუთი დრო მაქვს.

პატიმარმა გამოიხედა.

— თავი დამანებეთ.—დაიკვნესა მან, — მომშორდით.

და ვიდრე გუშაგი თავის ადგილზე დაბრუნდებოდა, კრაზანას უკვე ეძინა.

ათი დღის შემდეგ პოლკოვნიკი ისევ მივიდა სასახლეში, მაგრამ მას უთხრეს, რომ კარდინალი პიეტრ დ'ოტავოში გაემგზავრა ვიღაც ავადმყოფის სანახავად და საღამომდე არ დაბრუნდებაო.

საღამოს, როცა პოლკოვნიკი სადილის საჭმელად ჯდებოდა, შემოვიდა მსახური და მოახსენა:

— მის უწმინდესობას სურს თქვენთან საუბარი.

პოლკოვნიკმა სწრაფად შეავლო თვალი სარკეში თავის თავს იმისათვის, რომ დარწმუნებულიყო, წესრიგში ჰქონდა თუ არა მუნდირი. შემდეგ თავისი ღირსებისათვის შესაფერი გამომეტყველება მიიღო და დერეფანში გავიდა იქ მონტანელი უცდიდა. ის იჯდა, ჩაფიქრებული ფანჯარაში იყურებოდა და სავარძლის სახელურზე თითებით უკაკუნებდა. შუბლზე ნაოჭი აჩნდა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ რაღაცაზე წუხდა.

— მითხრეს, დღეს ჩემთან ყოფილხართ, — უცბადვე შეაწყვეტინა პოლკოვნიკს თავაზიანი მისალმება და მიიღო თითქმის მბრძანებლური გამომეტყველება, რაც არასოდეს არ გამოუჩენია უბრალო ხალხთან საუბარში. —ალბათ, იმავე საქმეზე იყავით, რომლის შესახებ მე თვითონ მინდოდა ლაპარაკი თქვენთან.

— ჩემი საქმე რივარესს ეხებოდა, თქვენო უწმინდესობავ.

Scanned by CamScanner

— სწორედ ასე მეგონა. მე ბევრი ვიფიქრე მასზე ამ ბოლო დღეებში, მაგრამ სანამ ამის შესახებ ვილაპარაკებდეთ, მინდა ვიცოდე, ახალი ხომ არაფერი გინდათ მითხრათ?

პოლკოვნიკი შეკრთა და ულვაშებს წიწკნა დაუწყო.

— მე ისევ იმ საკითხზე მოვედი თქვენთან, თქვენო უწმინდესობავ, თუ თქვენ კვლავ წინააღმდეგი ხართ ჩვენს მიერ შემუშავებული გეგმისა, მოხარული ვიქნები, მივიღო თქვენგან რჩევა, როგორ მოვიქცე, ვინაიდან, ენდეთ ჩემს პატიოსნებას, აღარ ვიცი, რა ვქნა.

— განა კიდევ რაიმე ახალი სიძნელე აღმოჩნდა?

— მომავალ ხუთშაბათს Corpus Domini არის და საკითხი, ასე თუ ისე, იმ დღემდე უნდა გადაწყდეს.

— ჰო, ხუთშაბათს არის Corpus Domini; ეგ აგრეა. მაგრამ რატომ მაინცდამაინც იმ დღემდე უნდა გადაწყდეს საკითხი?

— დიდად ვწუხვარ, თქვენო უწმინდესობავ, რომ ისე გამოდის, თითქოს წინააღმდეობას გიწევდეთ, მაგრამ ვერ ვიკისრებ პასუხისმგებლობას, დავიცვა ქალაქში სიმშვიდე, თუ იმ დრომდე თავიდან არ მოვიშორეთ რივარესი. ამ დღეს, როგორც თქვენს უწმინდესობას მოეხსენება, აქ თავს მოიყრიან მთის თითქმის ყველა საშიში ელემენტები. ეჭვი არა მაქვს, შეეცდებიან, ძალით გააღონ ციხის კარი და გაათავისუფლონ ის. მაგრამ ამას ვერ მიაღწევენ. ყოველგვარ ზომებს მივიღებ და თუ საჭირო იქნა, ტყვიას დავუშენ და ისე ავრეკავ ხალხს. რაიმე არეულობა რომ მოხდება, ამაში კი ეჭვი არა მაქვს. აქ, რომანიაში, თავზეხელაღებული ხალხი ცხოვრობს და თუ მათ დანებზე წაივლეს ხელი...

— მგონია, შესაძლებელია ზომების მიღება, რომ დანამდე არ მივიდეს საქმე, მე ყოველთვის იმ აზრის ვიყავი, რომ ადვილად შეიძლება აქაურ ხალხს თავი გაართვა, თუკი კაცმა იცი, როგორ მოეპყრა მას. რა თქმა უნდა, თუ რომ რომანიელს წინააღმდეგობას გაუწევთ ან დაემუქრებით, მაშინ ის აუცილებლად თავს აიწყვეტს. მაგრამ განა თქვენ რაიმე საბუთი გაქვთ იფიქროთ, რომ ისევ აპირებენ რივარესის განთავისუფელბას?

— გუშინ და ამ დილით მე მითხრეს ჩემმა სანდო აგენტებმა, რომ ოლქში მრავალი საშიში ხმა დადის. რაღაცას რომ აპირებენ, ამაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ დაწვრილებით ყველაფრის გაგება

Scanned by CamScanner

შეუძლებელი შეიქნა. წინასწარ რომ გვცოდნოდა, მაშინ ადვილად შეიძლებოდა გამაფრთხილებელი ზომების მიღება. რაც შემეხება პირადად მე, უკანასკნელი შემთხვევის შემდეგ საჭიროდ მიმაჩნია ვიმოქმედო დიდი წინდახედულობით. ამისთანა ბებერ მელასთან ყოველთვის სიფხიზლეა საჭირო.

— ამას წინათ თქვენ მითხარით, რომ რივარესი ძალიან ავად არის და არ შეუძლია არც მოძრაობა, არც ლაპარაკი. მაშ ახლა მოიკეთა?

— როგორც ჩანს, ბევრად უკეთ არის, თქვენო უწმინდესობავ. ის ძალიან სერიოზული ავადმყოფი იყო, თუკი, რა თქმა უნდა, არ თვალთმაქცობდა.

— თქვენ ეგ შესაძლოდ მიგაჩნიათ?

— ექიმი სავსებით დარწმუნებულია, რომ ის არ თვალთმაქცობს, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, მისი ავადმყოფობა ფრიად უცნაური ხასიათისაა. ასეა თუ ისე, რივარესმა მოიკეთა და ახლა მისთვის თავის გართმევა ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე ოდესღაც.

— ასეთს რას სჩადის?

— საბედნიეროდ, არაფრის გაკეთება არ შეუძლია, — უპასუხა პოლკოვნიკმა და ღიმილი დაატანა, როცა თასმები მოაგონდა, — მაგრამ მისი მოქცევა პირდაპირ აუტანელია. გუშინ დილით შევედი მასთან საკანში, მინდოდა რამდენიმე კითხვა მიმეცა. ჯერ კიდევ ისე სუსტადაა, რომ ვერ შეძლებდა დაკითხვაზე ჩემთან მოსვლას, უკვეთესიც არის, რომ უცხომ არავინ ნახოს, სანამ სრულიად არ მორჩება. ეს ერთგვარად სარისკოც იქნება, მაშინვე რაღაც-რაღაცეებს მოჩმახავენ.

— მაშ თქვენ მიხვედით მასთან დასაკითხავად?

— დიახ, თქვენო უწმინდესობავ. იმედი მქონდა, რომ ახლა ცოტათი მაინც მოჭკვიანებული დამხვდებოდა.

მონტანელიმ ისეთი თვალით შეხედა მოსაუბრეს, თითქოს პირველად უყურებდა მისთვის უცხო და უსიამოვნო ზოოლოგიურ ნაირსახეობას. მაგრამ, საბედნიეროდ, პოლკოვნიკმა, რომელიც ამ დროს თავის სამხარიღლიეს ისწორებდა, ვერაფერი შენიშნა და იმავე სიმშვიდით განაგრძო:

— მე არ მიმიღია არავითარი განსაკუთრებული ზომები, მხო-

Scanned by CamScanner

ლოდ იძულებული გავხდი, ერთგვარი სიმკაცრე გამომეჩინა, ვინაიდან, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი საპატიმრო სამხედრო არის. მე იმედი მქონდა, რომ ცოტაოდენი შეღავათის მიცემა ახლა კეთილ ნაყოფს გამოიღებდა. დავპირდი რივარესს, რომ შევუმსუბუქებდი რეჟიმს, თუ გონივრულად მოიქცეოდა მომავალში. მაგრამ როგორ ფიქრობთ, თქვენო უწმინდესობავ, რა მიპასუხა? ერთი წუთის განმავლობაში ისე მომჩერებოდა, როგორც ხაფანგში ჩაჭერილი მგელი, შემდეგ კი სრულიად მშვიდი კილოთი მითხრა: „პოლკოვნიკო, ძალა არ შემწევს ავდგე და დაგახრჩოთ, მაგრამ კბილები კი ბასრი მაქვს, გირჩევნიათ, ცოტა შორს დაიჭიროთ თქვენი კისერი". როგორც ველურ კატას, ვერც მას მოათვინიერებთ.

— ეგ სრულიად არ მაკვირვებს, — მშვიდად უპასუხა მონტანელიმ. — მე კი, აი, რა მინდა გკითხოთ: გულწრფელად გწამთ, რომ აქაურ ციხეში რივარესის ყოფნა სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენს ოლქის მშვიდობიანობისათვის?

— სრულიად გულწრფელად, თქვენო უწმინდესობავ.

— თქვენი აზრით, იმისათვს, რომ არ მოხდეს სისხლისღვრა, აუცილებელია, ასე თუ ისე, თავი დავაღწიოთ მისგან Corpus Domini-მდე?

— შემიძლია მხოლოდ გავიმეორო, რომ თუ ხუთშაბათამდე კიდევ აქ იქნება, დღესასწაული უჩხუბრად არ ჩაივლის, და რომ სერიოზული შეტაკებაც მოხდება.

— და, თქვენი აზრით, თუკი მას მოვაშორებთ აქაურობას, აგვცილდება საფრთხე?

— მაშინ ან სულ არ მოხდება უწესობა, ახდა, უარეს შემთხვევაში, ცოტას წაიყაყანებს ხალხი და ქვების სროლას დაიწყებს. თუ თქვენი უწმინდესობა გამონახავს რაიმე საშუალებას რივარესის თავიდან მოსაშორებლად, მე პირობას მოგცემთ, რომ წესრიგი დაცული იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, იცოდეთ, სერიოზული უსიამოვნებაა მოსალოდნელი. მე დარწმუნებული ვარ, რივარესის ამხანაგები ისევ შეეცდებიან მის გათავისუფლებას და რომ ეს მოხდება სწორედ ხუთშაბათს. მაგრამ თუ იმ დღეს გაიგეს, რომ ის აღარ იმყოფება ციხეში, მათი გეგმა თავისთავად ჩაიშლება. ხოლო

Scanned by CamScanner

თუ ჩვენ თავის დაცვაც დაგვჭირდა და ბრბომ დანები აამოქმედა, დარწმუნებული ვარ, რომ საღამო ხანს ქალაქი ცეცხლში იქნება გახვეული.

— თუ აგრეა, გადაიყვანეთ რავენაში.

— ღმერთი მოწამეა, თქვენო უწმინდესობავ, სიხარულით ვიზამდი მაგას. მაგრამ მაშინ როგორ მოვახერხოთ, რომ გზაში არ შეეცადონ მის გათავისუფლებას. მე არ მყავს იმდენი ჯარისკაცი, რომ უკუვაქციოთ შეიარაღებული თავდამსხმელები. ყველა მთიელს კი ან დანა აქვს ან კაჟიანი თოფი.

— მაშასადამე, თქვენ ისევ მოითხოვთ, დაინიშნოს სამხედრო სასამართლო და გინდათ, ჩემი თანხმობა მიიღოთ?

— მაპატიეთ, თქვენო უწმინდესობავ: ერთადერთი, რასაც გთხოვთ, ის არის, რომ დამეხმაროთ ავიცილოთ უწესოება და სისხლისღვრა. გეთანხმებით, რომ სამხედრო-საველე სასამართლოები, მსგავსი იმისა, რომელსაც თავმჯდომარეობდა პოლკოვნიკი ფრედი, ხანდახან ზედმეტ სისატიკეს იჩენდა და მხოლოდ მღელვარებას იწვევდა ხალხში, ნაცვლად იმისა, რომ დაეშშვიდებინა ის. მაგრამ სამხედრო სასამართლო ამ შემთხვევაში გონიერი ღონისძიება გახლავთ და საბოლოოდ ლმობიერიც. ამით ავცდებით უწესოებას, რომელიც თავისთავადაც დიდ უბედურებას წარმოადგენს და რასაც, შესაძლოა, შედეგად ის მოჰყვებოდა, რომ განახლდებოდა მისი უწმინდესობის პაპის მიერ გაუქმებული ტრიბუნალები.

პოლკოვნიკმა თავმომწონედ დაამთავრა თავისი მოკლე სიტყვა და კარდინალის პასუხს ელოდა. ცდა კი დიდხანს მოუხდა, და პასუხმაც დიდად გააოცა თავისი მოულოდნელობით:

— პოლკოვნიკო ფერარი, თქვენ გწამთ ღმერთი?

— თქვენო უწმინდესობავ! — მღელვარებისაგან ხმის კანკალით წაიდუდუნა პოლკოვნიკმა.

— გწამთ თუ არა ღმერთი?—გაიმეორა მონტანელიმ, წამოდგა და ჟინიანი, გამომცდელი თვალით მიაჩერდა.

პოლკოვნიკიც ადგა.

— თქვენი უწმინდესობავ, მე ქრისტიანი ვარ და ჯერ ჩემთვის არასოდეს უარი არ უთქვამთ ცოდვათა მიტევებაში.

მონტანელიმ ხელი მოჰკიდა ჯვარს, რომელიც გულზე ეკიდა.

Scanned by CamScanner

— მაშ დაიფიცეთ თქვენთვის წამებული ჩვენი მხსნელის ამ ჯვარზე, რომ სიმართლეს ამბობთ.

პოლკოვნიკი გაჭიმული იდგა და აზრდაბნეული შეჰყურებდა კარდინალს. ის ვერაფრით ვერ გარკვეულიყო, რომელი მათგანი შესცდა ჭკუაზე: თვითონ თუ მონტანელი.

— თქვენ მთხოვეთ, — განაგრძო მონტანელიმ, — თანხმობა მომეცა ადამიანის სიკვდილზე. ემთხვიეთ ჯვარს, თუ სინდისმა მოგცათ ამის ნება, და კიდევ ერთხელ მითხარით, რომ მართლაც ვერ ხედავთ სხვა გამოსავალს სისხლისღვრის ასაცილებლად. ისიც გახსოვდეთ, თუ ტყუილს მეტყვით, ამით თქვენს უკვდავ სულს დაღუპავთ.

რამდენიმე წუთის განმავლობაში ორივე მდუმარედ იყო, შემდეგ პოლკოვნიკმა თავი დახარა და ჯვარს ემთხვია.

— მე არ ვიცი სხვა საშუალება, — თქვა მან.

მონტანელი ნელა შეტრიალდა და წასვლა დააპირა.

— გადაწყვეტილ პასუხს ხვალ მოგცემთ. მაგრამ მანამდე რივარესი უნდა ვინახულო და ცალკე ველაპარაკო.

— თქვენო უწმინდესობავ... თუ ნებას მომცემთ, შეგკადრებთ, რომ... დარწმუნებული ვარ, შემდეგ ინანებთ ამას. გუშინ მან თვითონ შემომითვალა, რომ თქვენი სახვა სურს, მაგრამ მე უყურადღებოდ დავტოვე ეს მისი სურვილი, ვინაიდან...

— უყურადღებოდ დატოვეთ? — გაიმეორა მონტანელიმ, — უკიდურეს მდგომარეობაში მყოფი ადამიანი მოგმართავთ ასეთი თხოვნით, თქვენ კი ყურადღებას არ აქცევთ?

— დიდად ვწუხვარ, რომ თქვენი უწმინდესობა უკმაყოფილო ბრძანდება. არ შეგაწუხეთ მხოლოდ იმიტომ, რომ არ მინდოდა მისი თავხედური სიტყვები მოგესმინათ. მე ძალიან კარგად ვიცნობ ახლა რივარესს და დარწმუნებული ვარ, მხოლოდ ერთი რამ უნდა: შეურაცხყოფა მოგაყენოთ თქვენ. ნება მიბოძეთ, ისიც მოგახსენოთ, რომ ახლოს ნუ მიეკარებით, თუ გვერდით მცველი არ გეყოლებათ. ეს საშიშია. იმდენად საშიშია, რომ საჭიროდ ვცანი გამაფრთხილებელი ზომები მიმეღო, თუმცა საკმაოდ ლმობიერი...

— მაშ თქვენ ნამდვილად ფიქრობთ, რომ საშიშია ახლოს მივიდე ავადმყოფ, უიარაღო ადამიანთან, მეტადრე იმის შემდეგ, როცა „გამაფრთხილებელი ლმობიერი ზომები“ მიიღეთ?

Scanned by CamScanner

მონტანელი ლაპარაკობდა მშვიდად, მაგრამ პოლკოვნიკმა მისი ხმის კილოში ფაოული ჩიზღი იგრძნო და გაბრაზებისაგან სისხლი მოაწვა სახეზე.

— თქვენი უწმინდესობა მოიქცევა ისე, როგორც მას სურს, — გულცივად თქვა მან, — მე მხოლოდ ის მინდოდა, რომ ამერიდებინა თქვენთვის მისი საშინელი ღვთისმგმობელი სიტყვების მოსმენა.

— რა მიგაჩნია ქრისტიანობისათვის ყველაზე საძძიმოდ — უსმინოთ ღვთისმგმობელ სიტყვებს, თუ ზურგი შეაქციოთ მოძმე ადამიანს, რომელიც უკიდეყოეს მღვოკარეობაში იმყოფება?

პოლკოვნიკი გაჩიმული და გაშეშებული იდგა. სახე გაქვავებული ჰქონდა. ის დიდად შეურაცხყოფილი იყო მონტანელის მოპყრობით და თავის უკმაყოფილებას იმით ამჟღავნებდა, რომ ძალიან ოფიციალურად ეჭირა თავი.

— რომელ საათზე ინებებს თქვენი უწმინდესობა პატიმრის ნახვას? —იკითხა მან.

— მე ახლავე წავალ.

— როგორც თქვენ უწმინდესობას სურდეს. ხომ არ ინებებთ, ცოტა ხანს აქ დაიცადოთ, სანამ გავგზავნიდე ვინმეს და შევუთვლიდე, რომ შეამზადონ პატიმარი?

პოლკოვნიკმა უცბადვე იცვალა თავისი ოფიციალური ტონი. მას არ უნდოდა, რომ მონტანელის თასმები ენახა.

— მადლობელი ვარ. ვამჯობინებ ვნახო ისე, როგორადაც ახლა არის, ყოველგვარი შემზადების გარეშე. მე პირდაპირ ციხეში მივდივარ. ნახვამდის, პოლკოვნიკო. ხვალ დილით ჩემს პასუხს გაცხობებთ.

თავი მეექვსე

კრაზანამ გაიგონა, რომ მისი საკნის კარს აღებდნენ, და გულგრილად გაიხედა იქით. მას ეგონა, ისევ პოლკოვნიკი მოვა და სულს შემიწუხებს ახალი დაკითხვებითო.

Scanned by CamScanner

ვიწრო კიბეზე ისმოდა ჯარისკაცების ნაბიჯებისა და კარაბინების ხმა, რომლებიც კედელს ეხეთქებოდნენ.

შემდეგ ვიღაცამ წარმოთქვა დიდი მორიდებით:

— ფრთხილად, თქვენო უწმინდესობავ, აქ ძალიან დაქანებული საფეხურებია.

კრაზანა შედგა და წამოიწია, მაგრამ ღვედებმა მოუჭირეს და ტკივილის გამო დაიკვნესა.

საკანში შევიდა მონტანელი, მას შეჰყვნენ სერჟანტი და სამი გუშაგი.

— თქვენო უწმინდესობავ, მგონი სძინავს, — თქვა სერჟანტმა, — ახლავე სკამს მოგართმევთ. უკვე გავგზავნე კაცი. გვაპატიეთ, თქვენო უწმინდესობავ, თქვენი მოსვლა რომ ადრე გაგვეგო, ყველაფერს დავამზადებდით.

— არავითარი მომზადება საჭირო არ იყო. სერჟანტო, გთხოვთ, მარტო დამტოვოთ პატიმართან. კიბის ქვეშ დამიცადეთ.

— მესმის, თქვენო უწმინდესობავ... აი, სკამიც მოიტანეს. როგორ მიბრძანებთ, პატიმრის გვერდით დავდგა?

კრაზანა იწვა თვალდახუჭული, მაგრამ გრძნობდა მასზე მიჩერებულ მონტანელის თვალებს.

— მგონი სძინავს, თქვენო უწმინდესობავ, — დაილაპარაკა ისევ სერჟანტმა. მაგრამ იმ წამს კრაზანამ გამოიხედა:

— არა, არ მძინავს, — თქვა მან.

ჯარისკაცები უკვე მოტრიალდნენ წასასვლელად, მაგრამ მონტანელის უეცარი შეძახილების გამო შეჩერდნენ. მონტანელი დაიხარა და დააცქერდა ღვედებს, რომლითაც მიკრული იყო პატიმარი.

— ვინ ჰქნა ეს? — იკითხა მან.

სერჟანტი ხელში ჭმუჭნიდა თავის ქუდს.

— ციხის უფროსმა ბრძანა, თქვენო უწმინდესობავ!

— სინიორ რივარეს, მე არაფერი ვიცოდი ამის შესახებ, — უთხრა მონტანელიმ. მის ხმაში უსაზღვრო სევდა ისმოდა.

კრაზანამ ცივად გაიღიმა.

— მე წინათაც გითხარით, თქვენო უწმინდესობავ, რომ თ-თავზე ხელს არ გადამისვამენ-მეთქი.

Scanned by CamScanner

— სერჟანტო, როდის გასცეს ასეთი ბრძანება?

— მას შემდეგ, რაც გაქცევა დააპირა, თქვენო უწმინდესობავ.

— ორი კვირის წინათ? მოიტანეთ დანა და ამავე წუთში დასჭერით ღვედები.

— მაპატიეთ, თქვენო უწმინდესობავ, ექიმსაც უნდოდა მათი მოხსნა, მაგრამ პოლკოვნიკმა ფერარიმ ნება არ მისცა.

— ახლავე მოიტანეთ დანა!

მონტანელის ხმა არ აუმაღლებია, მაგრამ ბრაზისაგან სახე გაუფითრდა.

სერჟანტმა ჯიბიდან ამოიღო საკეტი დანა, დაიხარა პატიმარზე და დაიწყო ღვედის ჭრა, რომლითაც ხელები ჰქონდა შეკოჭილი.

სერჟანტს ვერ მოეხერხებინა მაგარი ტყავის გაჭრა და მოულოდნელად კიდევ უფრო მოჭიმა ღვედი. კრაზანა შეკრთა და ტუჩზე იკბინა. მონტანელი უეცრად მიიჭრა სერჟანტთან.

— თქვენ არ გცოდნიათ, მომეცით დანა!

— ა-ა-ა!

— ღვედები ჩამოცვივდა, კრაზანამ გაშალა ხელები და სიხარულის ხმები აღმოხდა.

მონტანელიმ დაჭრა ღვედები ფეხებზედაც.

— სერჟანტო, მოხსენით ბორკილები და შემდეგ ჩემთან მოდით: თქვენთან მოლაპარაკება მინდა.

მონტანელი დადგა ფანჯარასთან და ხმაამოუღებლად უყურებდა, როგორ ხსნიდა სერჟანტი ბორკილებს.

როცა სერჟანტმა პატიმარს ბორკილები მოხსნა, მივიდა მონტანელისთან.

— ახლა, — უთხრა მონტანელიმ, — მიამბეთ ყველაფერი, რაც ამ ხნის განმავლობაში მოხდა.

სერჟანტმა უამბო ყველაფერი, რაც იცოდა: კრაზანას ავადმყოფობის, მის წინააღმდეგ „დისციპლინალური ზომების“ მიღების და აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორ ამაოდ ცდილობდა ექიმი პატიმრის მდგომარეობის შემსუბუქებას.

— მე მგონია, თქვენო უწმინდესობავ, — დაუმატა მან, — პოლკოვნიკი განზრახ არ ხსნიდა ღვედებს, რათა აეძულებინა ჩვენების მიცემა.

Scanned by CamScanner

— ჩვენების მიცემა?

— დიახ, თქვენო უწმინდესობავ, სამი დღის წინათ გავიგონე. როგორ აღუთქვა პოლკოვნიკმა ღვედების მოხსნა, თუკი ის, — სერჟანტმა გადახედა კრაზანას, —დათანხმდებოდა პასუხის მიცემაზე.

მონტანელის ფანჯრის რაფაზე ედო ხელი და მუშტი შეჰკრა. ჯარისკაცებმა გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს. ჯერ არასოდეს არ ენახათ, რომ კეთილი კარდინალი გაბრაზებულიყო.

კრაზანამ კი ამ წუთში დაივიწყა, რომ მის საკანში ხალხი იყო, დაივიწყა ყველაფერი ამქვეყნად და ფიზიკური თავისუფლების მეტს არაფერს გრძნობდა. მთელი სხეული დაბუჟებოდა ღა ახლა, როცა ღვედებისგან განთავისუფლდა, სიამოვნებით იზმორებოდა, ტრიალებდა ერთი გვერდიდან მეორეზე.

— ახლა შეგიძლიათ წახვიდეთ, — უთხრა კარდინალმა სერჟანტს, — ნუ გეშინიათ, თქვენ დისციპლინა არაფრით დაგირღვევიათ: თქვენ მოვალე იყავით, გეპასუხათ ჩემს შეკითხვაზე, მიიღეთ ზომები, რომ ხელი არავინ შეგვიშალოს. მოველაპარაკები და გამოვალ.

როცა ჯარისკაცები გავიღნენ, კარდინალი ნიდაყვით დაეყრდნო ფანჯრის რაფას და რამდენიმე წუთს შეჰყურებდა ჩამავალ მზეს. მონტანელის უნდოდა, საშუალება მიეცა პატიმრისათვის მეტ ხანს დამტკბარიყო თავისუფლებით.

— მითხრეს, რომ ჩემთან ცალკე ლაპარაკი გსურთ, — თქვა მან დიდი ხნის შემდეგ, მოშორდა ფანჯარას და ჩამოჯდა პატიმრის საწოლთან, — თუ შეგიძლიათ ლაპარაკი, მე მზად ვარ, მოგისმინოთ.

ის ლაპარაკობდა ცივად, მკაცრი, მბრძანებლური კილოთი, რაც მისთვის სრულიად უჩვეულო იყო. სანამ თასმები ჩაბმული ჰქონდა, კრაზანა მისთვის წარმოადგენდა მხოლოდ ტანჯულ, გაწამებულ არსებას, მაგრამ მონტანელის ახლა მოაგონდა მათი უკანასკნელი საუბარი და ის მომაკვდინებელი შეურაცხყოფა, რითაც სასაუბარი დამთავრდა.

კრაზანამ ხელები თავქვეშ ამოიწყო და უტიფრად შეხედა კარდინალს.

კრაზანას თანდაყოლილი მოხდენილი მოძრაობები ჰქონდა და ვიხც მის გარეგნობას ხედავდა, სანამ სახე არ უჩანდა, ვერა-

Scanned by CamScanner

ფრით ვერ მიხვდებოდა, რომ ჯოჯოხეთი გამოევლო ამ კაცს. მაგრამ როცა თავი ასწია და ჩამავალი მზის სინათლეზე გამოჩნდა მისი გაწამებული, მკრთალი სახე, რომელზედაც უკანასკნელი დღეების ტანჯვას თავისი საშინელი წარუშლელი კვალი დაეტოვებინა, მონტანელის გულისწყრომა უმალვე გაქრა.

— თქვენ, მგონი ძალიან ავად იყავით, — თქვა მან, — დიდად ვწუხვარ, რომ აქამდე არ ვიცოდი, თორემ მაშინვე ავკრძალავდი ამ წამებას.

კრაზანამ მხრები აიჩეჩა.

— ბრძოლის დროს ყოველგვარ საშუალებას მიმართავენ ხოლმე, — გულცივად თქვა მან. — თქვენს უწმინდესობას თეორიულად, ქრისტიანული თვალსაზრისით არ სწამს ღვედები, მაგრამ სამართლიანობა არ იქნება, თუ პოლკოვნიკს მოვთხოვთ, თქვენი აზრი გაიზიაროს. მას, ცხადია, სრულიად არ სურს ღვედების სიმწარე საკუთარ სხეულზე გამოსცადოს. მაგრამ როცა ეს ეხება პატიმარს, მასთვის სულ ერთია. ამ შემთხვევაში მე გავხდი მისი მსხვერპლი, და რად უნდა აღშფოთდეთ? თქვენ მაინც დიდი პატივი დამდეთ, რომ მოხვედით ჩემთან; მაგრამ, შეიძლება, ესეც ქრისტიანული მორალის კარნახით ჰქენით? პატიმრების ნახვა! ჰო, რა თქმა უნდა, სრულიად დამავიწყდა „და ვინც მოუკლავს წყურვილს ერთს მცირეთაგანს“*... და სხვა. ეს მაინცდამაინც დიდად სახარებიელო არაა, მაგრამ ერთი „მცირეთაგანი“ თქვენი დიდი მადლობელია.

— სინიორ რივარეს, — სიტყვა შეაწყვეტინა კარდინალმა, — მე მოვედი აქ თქვენი, და არა ჩემი სურვილის გამო. პატიმარი რომ არ იყოთ, არასოდეს არ დაგელაპარაკებოდით ჩვენი უკანასკნელი საუბრის შემდეგ. მაგრამ თქვენ ორგვარი უპირატესობა გაქვთ: პატიმრისა და ავადმყოფის, ამიტომ არ შემეძლო, უარი მეთქვა აქ მოსვლაზე. გსურთ, რამე მითხრათ, თუ მხოლოდ იმისათვის მომიწვიეთ, რომ დამცინოთ მოხუცს და ამით გაიხაროთ.

პასუხი არ მიუღია. კრაზანა მიტრიალდა და თვალებზე ხელი აიფარა.

---

* სიტყვები ევანგელედან

Scanned by CamScanner

— მაპატიეთ, რომ გაწუხებთ, — როგორც იქნა, თქვა მან. — გთხოვთ, წყალი მომცეთ.

ფანჯარაზე იდგა სასმისი წყლით. მონტანელი ადგა და მოიტანა. დაიხარა პატიმრისაკენ, ხელი მოხვია მხრებში იმ განზრახვით, რომ აეწია და უეცრად იგრძნო, რომ კრაზანას ცივი თითები მარწუხებივით შემოეჭდო მის ხელს.

— მომეცით თქვენი ხელი... მალე... მხოლოდ ერთი წუთით. — წასჩურჩულა ავადმყოფმა. — ამით ხომ არაფერი შეიცვლება! მხოლოდ ერთი წუთით!

კრაზანა სახით მიეყრდნო მის ხელს და მთელი სხეულით აკანკალდა.

— დალიეთ წყალი, — უთხრა მონტანელიმ.

კრაზანამ მოსვა. შემდეგ ისევ დაწვა და დახუჭა თვალები. თვითონ მასაც არ შეეძლო აეხსნა, რა დაემართა, როცა მონტანელის ხელი მოხვდა მის ლოყას. ის გრძნობდა მხოლოდ, რომ ეს იყო უსაშინელესი წუთი მთელ მის ცხოვრებაში.

მონტანელიმ კიდევ უფრო ახლოს მისწია სკამი და ისევ დაჯდა. კრაზანა იწვა უძრავად. მკვდრისფერი დასდებოდა ჩამომჭკნარ სახეზე.

ამ ყოფაში დიდი დრო გავიდა. ბოლოს კრაზანამ გამოიხედა და თვალები მონტანელის მიაპყრო.

— გმადლობთ, — თქვა მან, — თქვენ, მგონი, რაღაც მკითხეთ?

— თქვენ ლაპარაკი გავნებთ. თუ რაიმეს თქმა გინდათ, ვეცდები, ხვალ მოვიდე.

— გთხოვთ, არ წახვიდეთ, თქვენო უწმინდესობავ. მე თავს კარგად ვგრძნობ. მხოლოდ ცოტათი ვიღელვე ბოლო დღეებში. უმეტესად კი მაინც ვთვალთმაქცობდი, — აი, თუ გსურთ, ჰკითხეთ პოლკოვნიკს. ის ყველაფერს გიამბობთ.

— მე ვამჯობინებ საკუთარი დასკვნები გამოვიტანო, — დამშვიდებით უპასუხა მონტანელიმ.

— პოლკოვნიკსაც თავისი გამოაქვს. და ისინი, მართალი უნდა გითხრათ, ხანდახან ჭკუამახვილნიც არიან. ამის დაჯერება, მართალია, ძნელია, თუ წარმოიდგენთ იმ კაცის გარეგნობას, მაგრამ ხანდახან ო-რ-რიგინალური აზრები ებადება. მაგალითად, წარსულ პა-

Scanned by CamScanner

რასკევს... მგონია, წარსულ პარასკევს იყო, ბოლო ხანებში ცოტა მეშლება დღეები, მაგრამ ეს სულ ერთია... ოპიუმი ვითხოვე. ეს კარგად მახსოვს. ის მოვიდა აქ და განმიცხადა, რომ მ-მ-ივიღებ მას, თუ თანახმა ვიქნები ვუთხრა, ვინ გ-გ-ამიღო ჭიშკარი. მახსოვს, ასე მითხრა: „თუ თქვენ მართლა აკვად ხართ, თანახმა იქნებით, თუ უარს მეტყვით, ამას ჩავთვლი იმის ს-ს-საბუთად, რომ ავადყოფობას იგონებთ“. ჯერ ერთხელაც არ მ-მ-მომსვლია აზრად, რომ ეს ასე ძალიან სასაცილო იქნებოდა. რა ძალიან კარგი გასართობი შემთხვევაა, არა?

კრაზანამ უეცრად ხმამაღალი ყურისწამღები სიცილი ატეხა. შემდეგ უცბად მიტრიალდა კარდინალისაკენ და განაგრძო ლაპარაკი ისე ჩქარა და ენის ბორძიკით, რომ ძნელი იყო სიტყვების გარჩევა.

— განა თქვენ არ გ-გ-გესმით, რა ს-ს-სასაცილოა? რ-რა თქმა უნდა, არა! ს-ას-ს-ულიერო წოდების ხალხს არასოდეს არა აქვს ჰუმორის გრძნობა. თქვენ ყველაფერს ტრაგიკულად ღებულობთ. აი, მაგალითად, იმ ღამეს, ტაძარში არაჩვეულებრივი იყავით! ჰო, მართლა, სხვათა შორის, ალბათ, დიდად პათეტიური შეხედულება მქონდა მლოცველის ტანსაცმელში! ახლაც ვერა გრძნობთ, როგორი ს-სასაცილოა ამ საღამოს თქვენი მოსვლა ჩემთან.

მონტანელი წამოდგა.

— მე მოვედი თქვენს მოსასმენად. მაგრამ, ვხედავ, ძალიან აღელვებული ხართ. უმჯობესია, ჯერ რამე დასამშვიდებელი მოგცეთ ექიმმა, ხვალ დილით კი, როცა გამოიძინებთ, ვისაუბროთ.

— გ-გამოვიძინებ? ნუ გეშინიათ, მე მოვასწრებ გამოძინებას, როცა თანხმობას განაცხადებთ პოლკოვნიკის გეგმაზე. სულ პატარა ტყვია, თქვენო უწმინდესობავ, შესანიშნავი საშუალებაა უძილობის წინააღმდეგ.

— ვერ გამიგია, რას ამბობთ, — თქვა მონტანელიმ და გაკვირვებით შეხედა.

კრაზანამ ისევ თავშეუკავებლად დაიწყო სიცილი.

— თქვენო უწმინდესობავ, თქვენო უწმინდესობავ, ს-ს-იმარილე! აი, უმთავრესი ქრისტიანული მოძღვრება. ნუთუ თქვენ გგონიათ, რომ არ ვიცი, როგორ თავგამოდებით ცდილობს პოლკოვნიკი მიიღოს თქვენგან თ-თანხმობა სამხედრო სასამართლოს და-

Scanned by CamScanner

ნიშვნის შესახებ? მგონი თქვენო უწმინდესობავ, უკეთესი იქნებოდა, მიგეცათ თანხმობა... არც ერთი სასულიერო პირი სხვანაირად არ მოიქცეოდა. Cosi fan tutti*. თქვენი თანხმობა არაფერს ავნებს. მხოლოდ სარგებლობას მოიტანს. გარწმუნებთ, არ ღირს ეს საკითხი იმ უძილო ღამეებად, რომელიც თქვენ ამის გამო გაატარეთ..

— გთხოვთ, ერთი წუთით შეწყვიტოთ სიცილი, — სიტყვა ჩამოართვა მონტანელიმ. — მითხარით, საიდან გაიგეთ თქვენ ეგ ყველაფერი? ვინ გითხრათ?

— განა პ-პ-პოლკოვნიკს არასოდეს არ უთქვამს თქვენთვის, რომ მე სატანა ვარ და არა ადამიანი? არა? მე კი ხშირად მეუბნებოდა ამას, დიახ, მე მართლაც სატანა ვარ და ვ-ვიცი, რას ფიქრობენ ადამიანები. თქვენ, თქვენო უწმინდესობავ, მე მიგაჩნიეართ ძალიან არას-ს-ასიამოვნო ადამიანად და ამ წუთში დიდად მოხარული იქნებოდით, რომ სხვას ვ-ვინმეს გადაეწყვიტა საკითხი, თუ რა ექნათ ჩ-ემთვის, ოღონდ კი თქვენი ფაქიზი სინდისი არ შეწუხებულიყო. ხომ ს-ს-წორად გამოვიცანი?

— მომისმინეთ, — უთხრა კარდინალმა ძალიან სერიოზული კილოთი და ისევ მის გვერდით დაჯდა. — არ ვიცი, საიდან გაიგეთ, მაგრამ ეგ ყველაფერი სიმართლეა: პოლკოვნიკი ფერარი შიშობს, რომ თქვენი მეგობრები ისევ შეეცდებიან თქვენს განთავისუფლებას და განზრახული აქვს, სწორედ ის გამაფრთხილებელი ზომები მიიღოს, რომლის შესახებ ახლა ლაპარაკობდით. როგორც ხედავთ, მე გულახდილად გეუბნებით ყველაფერს.

— თქვენი უწმინდესობა ყოვ-ველთვის განთქმული იყო თავისი ს-ს-იმართლით, — ჩაურთო კრაზნამ, რომლის ხმაში სიმწარე გამოსჭვიოდა.

— თქვენ, ალბათ იცით, — განაგრძო მონტანელიმ, — რომ სამოქალაქო საქმეებში იურიდიულად მე არავითარი ხმა არა მაქვს. მე ეპისკოპოსი ვარ და არა ლეგატი. მაგრამ ამ ოლქში დიდი გავლენა მაქვს და, არა მგონია, პოლკოვნიკმა მიმართოს ასეთ უკიდურეს ზომებს, თუ ჩემგან თუნდაც უჩმო თანხმობა არ მიიღო. დღემდე მე გადაჭრით ვეწინააღმდეგებოდი მის გეგმას. ახლა ის ყოველგ-

* ყველა ასე იქცევა

Scanned by CamScanner

ვარ საშუალებას ხმარობს შეარყიოს ჩემი აზრი და მარწმუნებს, რომ ხუთშაბათს, როცა აქ შეიკრიბება ხალხი დღესასწაულის საყურებლად, ჩვენ დიდი საფრთხე მოგველის: შეიარაღებული პირები შეეცდებიან თქვენს განთავისუფლებას. ეს კი სისხლისღვრით დასრულდება... თქვენ გესმით, თუ არა?

კრაზანა სევდიანად მისჩერებოდა ფანჯარას. მან იბრუნა სახე და დაღლილი ხმით უპასუხა:

— დიახ, გისმენთ.

— იქნებ დღეს ძალა არ შეგწევთ, განვაგრძოთ ეს საუბარი? ხომ არ აჯობებს, ხვალ დილით მოვიდე? საკითხი ძალიან სერიოზულია და საჭიროა, დიდი ყურადღებით მოეპყრათ მას.

— მე თუ მკითხავთ, სჯობს დღესვე მოვათავოთ, — უპასუხა კრაზანამ ისევ დაღლილი ხმით. — მე ვერკვევი ყველაფერში, რასაც თქვენ ამბობთ.

— თუ მართალია, — განაგრძო მონტანელიმ, — რომ თქვენის მიზეზით შესაძლებელია შღელვარება დაიწყოს და სისხლი დაიღვაროს, იმ შემთხვევაში მე ეკისრულობ დიდ პასუხისმგებლობას, როცა პოლკოვნიკს წინააღმდეგობას ვუწევ. ვფიქრობ აგრეთვე, რომ მის სიტყვებში სიმართლის ნაწილი არის. მეორეს მხრივ, მისი პირადი სიძულვილი თქვენდამი ხელს უშლის მას მიუკერძოებელი იყოს და ... ... , გააზვიადოს საშიშროება. ეს უფრო სიმართლესთან ახლოს მეჩვენება, მას შემდეგ, რაც მისი აღმაშფოთებელი სიმკაცრის ... ... — კარდინალმა შეხედა ღვედებს და ბორკილებს. რომელნიც იატაკზე ეყარა და განაგრძო: — ჩემის მხრივ თანხმობის მიცემა ნიშნავს იმას, რომ ხელი მოვაწერო სიკვდილის განაჩენს. უარის თქმა კი იმას ნიშნავს, რომ უდანაშაულო პირთა სიცოცხლე საფრთხეში ჩავაგდო. მე დიდხანს ვფიქრობდი ამ საკითხზე და მთელი არსებით ვცდილობდი, რაიმე გამოსავალი მენახა. ახლა კი ბოლოს გადაწყვეტილება მივიღე.

— მომკლათ მე და გადაარჩინეთ უდანაშაულონი? ეგ არის ერთადერთი გადაწყვეტილება, რომელიც შეეძლო მიეღო კეთილ ქრისტიანს. „თუ მარჯვენა ხელს შეცდომაში შეჰყავხარ შენ...“* და

* სიტყვები ევანგელიდან

Scanned by CamScanner

სხვადასხვა. მე კი არა მაქვს პატივი, ვიყო თქვენი უწმინდესობის მარჯვენა ხელიც კი და, გარდა ამისა, მე შეურაცხყოფაც მოგაყენეთ. დასკვნა ნ-ნ-ათელია, მაგრამ ნუთუ არ შეგეძლოთ, გეთქვათ ეს ყველაფერი ასეთი გრძელი წინასიტყვაობის გარეშე?

კრაზანა ლაპარაკობდა გულგრილად და მოდუნებულად, ერთგვარი უპატივცემულობით, რომელსაც იჩენს ხოლმე ადამიანი, რომელსაც თავი მოაბეზრა კამათმა.

— ჰოდა, მაშ, — თქვა მან მცირე პაუზის შემდეგ, — ეგ არის თქვენი უწმინდესობის გადაწყვეტილება?

— არა.

კრაზანამ ხელები თავქვეშ შემოიწყო და ნახევრად მოხუჭული თვალებით შეხედა მონტანელის. კარდინალი ღრმად ჩაფიქრებული იჯდა. თავი დაბლა ჰქონდა დახრილი მკერდზე, თითებით კი ნელა უკაკუნებდა სკამის სახელურს: ოჰ, ეგ მისი ძველი ჩვეულება, რა კარგად ნაცნობი იყო კრაზანასთვის!

— ის, რისი გაკეთებაც მე გადავწყვიტე, — რამდენიმე ხნის სიჩუმის შემდეგ თქვა მან და ასწია თავი, — ალბათ წინათ არავის არასოდეს უქნია. როდესაც მითხრეს, რომ ჩემი ნახვა გსურდათ, გადაწყვიტე მოვსულიყავი აქ, მეამბნა ყველაფერი და თქვენთვის მომენდო ამ საკითხის გადაწყვეტა.

— მომანდოთ... მე თვითონ?

— სინიორ რივარეს, მე მოვედი თქვენთან არა როგორც კარდინალი, ეპისკოპოსი ან მსაჯული, არამედ როგორც ადამიანი ადამიანთან. მე არ გაძლევთ წინადადებას მითხრათ, იცით თუ არა რამე თქვენი განთავისუფლების გეგმებზე, რომლის შესახებ ლაპარაკობდა პოლკოვნიკი; მე კარგად მესმის, რომ თქვენ იცით ამის შესახებ, ეს არის თქვენი საიდუმლოება, და ამას არ გამიმხელთ. მხოლოდ გთხოვთ, წარმოიდგინოთ თქვენი თავი ჩემს ადგილზე. მე მოხუცი ვარ და ცოტა ხნის სიცოცხლე დამრჩა. მინდა ჩავიდე საფლავში ისე, რომ ხელები არავის სისხლით არ მქონდეს გასვრილი.

— თქვენო უწმინდესობავ, აქამდე კი თქვენი ხელი სავსებით წმინდაა სისხლისაგან?

მონტანელი ცოტათი გაფითრდა, მაგრამ დამშვიდებული ხმით განაგრძო:

Scanned by CamScanner

— მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე ყოველთვის ძალმომრეობის და სიმკაცრის წინააღმდეგი ვიყავი. მუდამ პროტესტს ვაცხადებდი ყოველგვარი სახის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. წინა ჯაჭების დროს არა ერთხელ და დაბეჯითებით უარვყავი სამხედროსაველე სასამართლოები, რის გამო ათვალწუნებული ვყავდი ხელისუფლებას. მთელი ის გავლენა, რომლითაც ვსარგებლობდი ჩემს სიცოცხლეში, ყოველთვის, წინათ და ახლაც, მიმართული მქონდა იქითკენ, რომ კეთილი საქმე გამეკეთებინა. გთხოვთ, დამიჯეროთ მაინც, რომ სიმართლეს გეუბნებით. ახლა ჩემს წინაშე მეტად რთული ამოცანა დგას. თუ უარი ვთქვი პოლკოვნიკის წინადადებაზე და არ დავეთანხმე, ქალაქს დიდ განსაცდელში ჩავაგდებ იმისათვის, რომ ერთი ადამიანის სიცოცხლე გადავარჩინო. ეს კაცი ლანძღავდა ჩემს სარწმუნოებას, პირადად მე... თუმცა ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს... და თუ ამ ადამიანს შევუნარჩუნე სიცოცხლე, ამაში ეჭვი არ მეპარება, ბოროტად გამოიყენებს მას და მაინც საქმე ეხება ადამიანის სიცოცხლეს.

წუთით გაჩუმდა და მერე ისევ განაგრძო:

— სინიორ რივარეს, ყველაფერი, რაც თქვენი მოღვაწეობის შესახებ ვიცი, მაიძულებს გთვლიდეთ გულცივ, უპრინციპო და დაუდეგარ ადამიანად. ნაწილობრივ ახლაც ამავე აზრის ვარ თქვენს შესახებ. მაგრამ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში დავინახე, რომ თქვენ მამაცი ადამიანი ხართ და მუდამ შეგიძლიათ მეგობრებს უერთგულოთ. თქვენ შეძელით აგრეთვე ჩაგენერგათ ჯარისკაცებისათვის თქვენდამი სიყვარული და თაყვანისცემა. ამას კი ყველა ვერ შეძლებს. და ვფიქრობ, რომ, მგონი, შევცდი თქვენს შეფასებაში, რომ თქვენ უკეთესი ხართ, ვიდრე გსურთ მეჩვენოთ. და, აი, სწორედ ამ მეორეს, უკეთეს კაცს მივმართავ და ვთხოვ, მითხრას ყოველივე სიმართლე: რას იზამდით, ჩემს ადგილზე რომ ყოფილიყავით?

დიდხანს არავის დაურღვევია სიჩუმე. შემდეგ კრაზანამ მონტანელის შეხედა.

— მე კი, ყოველ შემთხვევაში, თვითონ გადავწყვეტდი, როგორ უნდა მემოქმედა და თვითონვე ვიკისრებდი პასუხისმგებლობას. არავის წინაშე არ დავიწყებდი მლიქნელობას, როგორც ამას ქრის-

Scanned by CamScanner

ტიანები სჩადიან და შიშით არავის ამოვეფარებოდი, საქმე ჩემ. მაგიერ გადაწყვიტე-მეთქი.

ამ უეცარი თავდასხმის თავშეუკავებელი, საშინელი ტონი ძლიერ კონტრასტად გაისმა იმ გულგრილობასთან შედარებით, რომელსაც ერთი წუთის წინ განზრახ იჩენდა კრაზანა. მან თითქოს აიხადა ნიღაბი.

— ჩვენ, ათეისტებმა, — გააფთრებით განაგრძო მან, — ვიცით, რომ თუ ადამიანს წილად ხვდა მძიმე უღლის ზიდვა, მან უნდა ზიდოს ის რაც შეიძლება, გმირულად. ხოლო თუ დაეცა მძიმე ტვირთის ქვეშ, ბით უარესი მისთვის. ქრისტიანი კი ცრემლების ფრქვევით და ოხვრით მიმართავს თავის წმინდანებს, და თუ მათ არ შეუძლიათ დახმარება, ის მიდის თვის მტრებთან და აუცილებლად მოსძებნის კისერს, რომელზედაც შეეძლება თავისი ტვირთის გადალაგება. თქვენს ბიბლიაში, თქვენს ლოცვანებში, თქვენს მლიქვნელობით სავსე საღვთო წიგნებში განა ცოტა წესები და კანონებია, რომ მოდიხართ ჩემთან და მთხოვთ, გირჩიოთ, როგორ მოიქცეთ? რასა ჰგავს ეს? ნუთუ საკმაოდ მძიმე არაა ჩემი ტვირთი, რომ ამას გარდა გინდათ კიდევ დამამძიმოთ თქვენი პასუხისმგებლობით? ანდა რად უნდა დაღონდეთ! თქვენ სიცოცხლეს მოუსპობთ მხოლოდ ათეისტს, კაცს, რომელიც დასცინის თქვენს მაღალფარდოვან სიტყვებს! განა ასეთი მკვლელობა ითვლება თქვენთვის დანაშაულად?

ის შეჩერდა, თითქოს შეისვენა, და შემდეგ ისეთივე გაშმაგებით განაგრძო:

— ამის შემდეგ თქვენ კიდევ ლაპარაკობთ სისასტიკეზე! იმ დ-დ-დიდყურა ვირს არ შეეძლო ერთი წლის განმავლობაში ვეწამებინე ისე, როგორც თქვენ ჰქენით ეს რამდენიმე წუთის განმავლობაში. მას საამისო ჭკუაც არა აქვს. მას შეუძლია მხოლოდ ბრძანება გასცეს, რომ უფრო მაგრად მომიჭირონ თასმები, მაგრამ როცა მეტის მოჭერა შეუძლებელი ხდება, მისი ჭკუის ყველა რესურსი ამოწურულია. ასეთი სისატიკის გამოჩენა ყველა უგუნურს შეუძლია, თქვენ კი — იყავით გულკეთილი და ხელი მოაწერეთ საკუთარ სიკვდილის განაჩენსო. მე ძალიან ჩვილი გული მაქვს და არ შემიძლია ამის ჩადენაო. ასეთი საზიზღრობის მოსაზრება შეუძლია

Scanned by CamScanner

მხოლოდ ქრისტიანს, რომელიც ფითრდება ძალიან მოჭერილი თასმების დანახვაზე. როცა თქვენ აქ შემოხვედით გულკეთილი ახგელოსივით და აღშფოთდით პოლკოვნიკის „ბარბაროსობით", თურმე, სწორედ მაშინ იწყებოდა ჩემი ნამდვილი წამება! რად ძიყურებთ ეგრე? თქვენც დაეთანხმეთ და წადით შინ სადილის საჭმელად, ნუ მიაქცევთ ამ საქმეს ყურადღებას. არც ღირს ამად! უთხარით იმ თქვენს პოლკოვნიკს, რომ უბრძანოს დამხვრიტონ ან ჩამომახრჩოს, ახდა ცოცხლად შემწვან, თუკი ეს სიამოვნებას მოჰგვრის მას! ოღონდ მალე გაათავოს ყველაფერი!

კრაზანა არასოდეს არ ყოფილა ასეთი. ისე იყო გაბრაზებული, რომ თრთოდა და მძიმედ სუნთქავდა, თვალები კი მწვანედ უელავდნენ, როგორც გააფთრებულ კატას.

მონტანელი ადგა ხმაამოუღებლად და მიაქერდა. მას არაფერი არ ესმოდა ამ რისხვის, მხოლოდ გრძნობდა, ოომ ტუსაღის მოთმინების ფიალა ავსილი იყო. მიხვდა ამას და აპატია ყველა შეურაცხყოფა.

— დამშვიდდით, — წარმოთქვა მან, — მე სრულიად არ მინდოდა თქვენი წამება. დამიჯერეთ, რომ არც ჩემი პასუხისმგებლობის გადმოცემა მინდოდა თქვენთვის, თქვენი უღელი ისედაც ძალიან მძიმეა. მე ეს შეგნებულად არ მიქნია არც ერთი ადამიანისათვის.

— ეგ სიცრუეა! — წამოიძახა კრაზანამ და თვალები კიდევ უფრო აენთო. — ეპისკოპოსობა ალარ გახსოვთ?

— ეპისკოპოსობა?

— უკვე დაგავიწყდათ? დავიწყება ადვილი საქმეა! „თუ შენ გინდა, არტურ, იმ შემთხვევაში მე უარს ვიტყვი წასვლაზე". მე, ცარამეტი წლის ყმაწვილს, მე მიხდებოდა გადამეწყვიტა თქვენს მაგიერ თქვენი ცხოვრების ბედი! ეს შემთხვევა რომ ასე საზიზღარი არ იყოს, ძალიან სასაცილო იქნებოდა!..

— კმარა! — უეცრად საშინელი კივილი აღმოხდა მონტანელს და ორივე ხელი თავზე იტაცა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ხელები უღონოდ დაუშვა, მივიდა ფანჯარასთან, ჩამოჯდა რაფაზე და შუბლით მიეყრდნო რკინებს.

Scanned by CamScanner

კრაზანა, რომელსაც მთელი ტანი უცახცახებდა, თვალს ადევნებდა მის მოძრობას.

გავიდა რამდენიმე წუთი. მონტანელი მოტრიალდა და მივიდა კრაზანასთან. ტუჩები მთლად გალურჯებოდა.

— ბოდიშს ვითხოვ, — ძლივს წარმოთქვა მონტანელიმ. ეტყობოდა, ძლიერ ებრძოდა თავის თავს, რომ ჩვეულებრივი თავისი სიდინჯე შეენარჩუნებინა. — იძულებული ვარ, დაგტოვოთ. ცუდად ვგრძნობ თავს.

ის მთელი ტანით ციებიანივით კანკალებდა.

კრაზანას გაბრაზება უეცრად გაჰქრა.

— პადრე, ნუთუ ვერ...

მონტანელი უკან მიაწყდა.

— მხოლოდ არა ეს, — წაიბუტბუტა მან. — უფალო, რაც გინდოდეს, ყველაფერი, მხოლოდ არა ეს! ნუთუ მე ვკარგავ გონებას...

კრაზანა ნიდაყვს დაეყრდნო, წამოდგა და ხელი მოჰკიდა მოხუცის აკანკალებულ ხელს.

— პადრე, ნუთუ ვერ მიხვდით, რომ მე არ დავმხრჩვალვარ?

კრაზანამ იგრძნო, რომ მოხუცის ხელი, რომელიც თავის ხელში ეჭირა, უეცრად გაცივდა. ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე. შემდეგ მონტანელი დაეშვა მუხლებზე და სახე ჩამალა პატიმრის მკერდში.

* * * * * *

როცა მან თავი ასწია, მზე უკვე ჩასული იყო და უკანასკნელი წითელი სხივები ქრებოდნენ დასავლეთით. მამას და შვილს დავიწყებოდა ყველაფერი, სიკვდილიც, სიცოცხლეც, ისიც, რომ მტრები იყვნენ.

— არტურ, — ჩასჩურჩულა მონტანელიმ, — მართლა შენ ხარ? დამიბრუნდი?.. მკვდრეთით აღსდექი?..

— მკვდრეთით, — გაიმეორა კრაზანამ და შეკრთა.

კრაზანამ მონტანელის ხელებში ჩარგო თავი, როგორც ავადმყოფმა ბავშვმა, რომელიც დედას ჰყავს ჩახუტებული.

Scanned by CamScanner

— შენ დაბრუნდი! დაბრუნდი ძლივს, როგორც იქნა, დაბრუნდი!

კრაზანამ ამოიოხრა.

— დიახ, — თქვა მან, — თქვენ კი ან უნდა იბრძოლოთ ჩემთან ერთად, ან მომკლათ.

— გაჩუმდი, ძვირფასო! რა საჭიროა ახლა მაგაზე ლაპარაკი? მე და შენ თითქოს ორი ბავშვი ვართ, რომლებსაც სიბნელეში გზა აერიათ და შეცდომით ერთმანეთი ლანდებად მოეჩვენათ. ახლა ჩვენ ვიპოვეთ ერთმანეთი და გარშემო განათდა. ჩემო საცოდავო ბავშვო, როგორ გამოცვლილხარ... რა საშინლად გამოცვლილხარ. შენ ისე გამოიყურები, თითქოს ტანჯვის ოკეანე გამოგევლოს. შენ, რომელიც ოდესღაც სიცოცხლით სავსე იყავი! არტურ, ნუთუ ეს მართლა შენ ხარ? მე ხშირად ვხედავდი სიზმარში, თითქოს დამიბრუნდი, მერე უეცრად გამომეღვიძებოდა, მაგრამ გარშემო ისევ ბნელოდა და სიცარიელე იყო. განა შემიძლია დარწმუნებული ვიყო, რომ ისევ არ გამეღვიძება, და ყველაფერი ეს სიზმარი არ გამოდგება? მომეცი საშუალება დავრწმუნდე, რომ ეს სინამდვილეა და არა სიზმარი... მიამბე სუყველაფერი, რა დაგემართა მაშინ.

— ყველაფერი ეგ სულ უბრალოდ მოხდა. მე დავიმალე სავაჭრო გემზე, რომელიც იტვირთებოდა ნავსადგურში და წავედი სამხრეთ ამერიკაში.

— იქ რას აკეთებდი?

— ვცხოვრობდი, თუკი შეიძლება ცხოვრება ვუწოდო, იმ დროამდე, სანამ... ეჰ, რა საჭიროა გახსენება! თქვენ მითხარით, რომ სიზმრად მხედავდით... მეც მესიზმრებოდით...

კრაზანა შეკრთა და ხმა ჩაუწყდა.

— ეს მოხდა, — ისევ დაიწყო მან აკანკალებული ხმით, — ეკვადორის მაღაროებში მუშაობის დროს.

— მაღაროს შავ მუშად?

— არა, მაღაროს შავი მუშის მსახურად. ვაკეთებდი ჩინელ მსახურთან ერთად ყველაფერს, რასაც შემთხვევით მომიგდებდნენ გასაკეთებლად. ჩვენ გვეძინა ბარაკებში, მაღაროების შესავალთან. ძალიან ვიტანჯებოდი მაშინ იმავე საშინელი ავადმყოფობით, რომლითაც ვიტანჯები აქ, და მიუხედავად ამისა, მთელი დღეები მცხუნ-

Scanned by CamScanner

ვარე მზის ქვეშ ქვებს ვეზიდებოდი. ერთხელ ღამით ალბათ ბოდვამ შემიპყრო, რადგან ცხადად დავინახე, რომ თქვენ კარი შემოაღეთ. ხელში გეჭირათ ჯვარცმა, აი, ამისთანა, კედელზე რომ ჰკიდია. თქვენ ლოცულობდით, გაიარეთ ჩემს ახლოს, მაგრამ არ შემომხედეთ. მე დავიყვირე, გთხოვეთ, გეშველათ და მოგეცათ საწამლავი ან დანა, მოგეცათ რამე, რითაც შესაძლებლობა მექნებოდა ბოლო მომეღო ტანჯვისათვის. თქვენ კი... ოჰ!

ცალი ხელი მან თვალებზე აიფარა. მეორეთი ისევ მონტანელის ხელი ეჭირა.

— მე მივხვდი თქვენი სახის გამომეტყველებაზე, რომ გაიგონეთ, მაგრამ არც გამოიხედეთ ჩემკენ და ლოცვა განაგრძეთ. ბოლოს დაამთავრეთ, ჯვარცმას ემთხვიეთ, შემომხედეთ და წამჩურჩულეთ: „მებრალები, არტურ, მაგრამ ვერ გავბედავ ჩემი გრძნობების გამომჟღავნებას, ის განრისხდება...“ მე შევხედე ქრისტეს და დავინახე, რომ ის იცინოდა.. როცა გონს მოვედი, ისევ დავინახე ბარაკი, ჩინელი მსახური და კეთრით დაავადებულნი, ყველაფერს მივხვდი. ჩემთვის ნათელი გახდა, რომ თქვენთვის უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, დაგემსახურებინათ ამ თქვენი ღმერთიკოს კეთილი განწყობილება, ვიდრე დაგეხსნათ ჩემი თავი იმ საშინელი ჯოჯოხეთიდან. მე მუდამ მიხსოვდა ეს. დამავიწყდა მხოლოდ ახლა, როცა თქვენი ხელის შეხება ვიგრძენი... მე ხომ ავადა ვარ. ოდესღაც ძალიან მიყვარდით... მაგრამ ახლა ჩვენს შორის არ შეიძლება სხვა რაიმე, გარდა ომისა. დიახ. მხოლოდ ომი და ომი. რისთვის გიჭირავთ ჩემი ხელი? განა არ იცით, რომ სანამ თქვენ თქვენი იესო გწამთ, ჩვენ მხოლოდ მტრები ვიქნებით?

მონტანელიმ დახარა თავი და აკოცა კრაზანას ჭრილობისაგან დამახინჯებულ ხელზე.

— არტურ, როგორ შემიძლია არ ვიყო მორწმუნე? თუკი შევინარჩუნე რწმენა ამ საშინელი წლების განმავლობაში, ნუთუ შემიძლია დავკარგო ის ახლა, როდესაც ღმერთმა შენი თავი დამიბრუნა? გაიხსენე: მე ხომ დარწმუნებული ვიყავი, რომ მოგკალი.

— მაგას ახლო მომავლში იზამთ.

— არტურ! — გამწარებით დაიყვირა მონტანელიმ, მაგრამ კრაზანამ განაგრძო, თითქოს არ გაუგონიაო:

Scanned by CamScanner

— ვიყოთ ყველაფერში პატიოსანი. ნურაფერს დავფარავთ. დიდი უფსკრული გვაშორებს ჩვენ ერთმანეთისაგან, სხვადასხვა ნაპირებზე ვდგევართ და უიმედოა ცდა ერთმანეთს ხელი გავუწოდოთ. თუ თქვენ გადაწყვიტეთ, რომ არ შეგიძლიათ, ან არ გსურთ უარი თქვათ ყველაფერ ამაზე, — კრაზანამ ახედა კედელზე დაკიდებულ ჯვარცმას, — იმ შემთხვევაში იძულებული გახდებით დაეთანხმოთ პოლკოვნიკის წინადადებას.

— დავეთანხმო! ღმერთო ჩემო... დავეთანხმო... არტურ, მე ხომ შენ მიყვარხარ.

კრაზანას ტანჯვამ სახე შეუცვალა.

— ვინ უფრო გიყვართ? მე თუ, აი, ეს?

მონტანელი ძლივს ადგა. საშინელებამ მოიცვა მისი სული და მთელ ტანს ითქოს უდიდესი სიმძიმე დააწვა. მან იგრძნო თავისი თავი სუსტ არსებად, მოხუცად, მოკუმშულ ფოთლად, რომელიც დააზრო პირველმა ყინვამ. ზმანება კვლავ გათავდა და ირგვლივ მხოლოდ სიცარიელე და სიბნელე იყო.

— არტურ, ოდნავ მაინც შემიცოდე...

— თქვენ კი გქონდათ შეცოდების გრძნობა, როცა სიცრუით და მოტყუებით მომიყვანეთ იმ ზომამდე, რომ შაქრის პლანტაციებზე ძონად ვიქეც? თქვენ ცახცახებთ... ეჰ, გულკეთილო ფარისევლებო, აი, რით გინდათ ასიამოვნოთ მამა-ღმერთი — მის წინაშე ცოდვები მოინანიოთ და სიცოცხლე შეინარჩუნოთ, შვილი კი დე, მოკვდეს! თქვენ ამბობთ, რომ გიყვარვართ... ძვირად დამიჯდა მე თქვენი სიყვარული! ნუთუ გგონიათ, რომ შეძლებთ განვლილი სიმწარე დავიწყებინოთ და მოფერებით ძველ არტურად გადამაქციოთ? მე, რომელიც ბინძურ თავშესაფრებში ჭუჭყელს ვრეცხდი და ვასუფთავებდი ფერმერების თავლას. მე, რომელიც ვიყავი მოხეტიალე ციოკში ჯამბაზად, მატადორების[55] მსახურად? მე, რომელიც ვემორჩილებოდი ყველა პირუტყვს, რომელსაც არ დაეზარებოდა ებრძანებინა ჩემთვის, რაც მოეპრიანებოდა? მე, რომელსაც სული მძვრებოდა შიმშილით, რომელსაც ფეხებით მთელავდნენ, მაფურთხებდნენ? მე, რომელიც ხელგაწვდილი ვითხოვდი ობმოკიდებულ პურის ნატეხს, სადილის მონარჩენს და უარს მეუბნებოდნენ, რადგან ამისი პირველი უფლება ძაღლებს ჰქონდათ? ეჰ, რა საჭიროა, რომ

Scanned by CamScanner

ყველაფერ ამას გეუბნებით! განა შევძლებ, გიამბოთ ყველა უბედურება, რაზედაც თქვენმა ხელმა მიბიძგა? ახლა კი მეუბნებით, მიყვარხარო! რამდენად დიდია ეს სიყვარული? არის თუ არა საკმაოდ ძლიერი, რომ მისი გულისათვის უარი თქვათ თქვენს სარწმუნოებაზე? რა გააკეთა თქვენთვის იესომ? რა ტანჯვა გამოიარა მან თქვენი გულისათვის, რომ ის ჩემზე უფრო გიყვარდეთ? მისი დალურსმული ხელებისათვის? მაშ ჩემს ხელებსაც შეხედეთ! ამასაც უყურეთ, ამასაც, ამასაც...

კრაზანამ მოიგლიჯა პერანგი და გამოაჩინა საშინელი ჭრილობები ტანზე.

— პადრე, თქვენი ღმერთი მატყუარაა! ნუ დაუჯერებთ მის ჭრილობებს, ნუ უჯერებთ, რომ ის იტანჯა, — ეგ ყველაფერი სიცრუეა. სამართლიანობა მოითხოვს, თქვენი გული მე მეკუთვნოდეს! პადრე, არ არსებობს ისეთი სატანჯველი, რომელიც მე თქვენს გამო არ გამომევლოს! და მაინც არ მინდოდა სიკვდილი! მე ყველაფერი გადავიტანე და მოთმინებით გავიკაჟე სული იმიტომ, რომ მინდოდა ცხოვრებას დავბრუნებოდი და ისევ გამომეცხადებინა ომი თქვენი ღმერთისათვის. ეს მიზანი ჩემი ფარი იყო და ამით ვიცავდი ჩემს გულს, როცა სიგიჟე და სიკვდილი მემუქრებოდა. და აი, ახლა, როცა სიცოცხლეს დავუბრუნდი, მე ისევ ვხედავ ჩემს ადგილას ცრუმოწამეს, ვინც სულ რაღაც ექვსი საათის განმავლობაში ჯვარზე იყო გაკრული და შემდეგ კი მკვდრეთით აღსდგა. მე კი მაწამებდნენ ხუთი წლის განმავლობაში და მეც აღვსდექი, რას მიზამთ თქვენ ამის შემდეგ? რას მიზამთ?..

მას ხმა უეცრად ჩაუწყდა. მონტანელი უძრავად იჯდა, თითქოს საფლავის ქანდაკება ყოფილიყო, ანდა მიცვალებული, რომელიც კუბოდან წამოაყენეს. კრაზანას სასოწარკვეთილებამ თავდაპირველად შეაშფოთა და კუნთები უთრთოდა, თითქოს შოლტით ეცემოთ. რამდენიმე წუთის შემდეგ კი სრულიად წყნარად იჯდა.

ხანგრძლივი, გულშემზარავი სიჩუმე ჩამოვარდა. ბოლოს მონტანელიმ დაილაპარაკა. მისი ხმა უსიცოცხლო იყო, და მასში უსაზღვრო სევდა ისმოდა.

— არტურ, უფრო ნათლად ამიხსენი, რა გსურს. მე მეშინია შენი, აზრი მებნევა და ვერ გამიგია, რას მოითხოვ ჩემგან?

Scanned by CamScanner

კრაზანამ მიუბრუნა თავისი გაცრეცილი მოჩვენების მსგავსი სახე.

— ალიფეს არ მოვითხოვ. როგორ შეიძლება სიყვარულის ფასითაც ვალით? თქვენ სრული თავისუფლება გაქვთ, ამოირჩიოთ ჩვენს შორის ის, ვინც უფრო ძვირფასია თქვენთვის. თუკი ის უფრო გიყვართ, დარჩით მასთან.

— ეს კი გამიგია. — დაქანცული ხმით თქვა მონტანელიმ. — რა ენ ენაჩვენზე შელაპარაკები? წარსული. ეაბრუნება ხომ წარეძლებელია.

— თქვენ უნდა ამოირჩიოთ ერთ-ერთი ჩვენს შორის. თუ მე გიყვარ, ჩამოიხსენით ეს ჭვარი და წამოგყეთ ახლა ქვეყანაში. ჭეშმარიტ მეგობრები მოაწყობენ ჩემს გაქცევას. თქვენის დახმარებით ეს საქმე ადვილად გაკეთდება. და როდესაც სახლეულიდან ვიქნებით, სადაც საშიშროება ალარ იქნება, ყველას გასაგონად გამოაცხადეთ, რომ თქვენი შვილი ვარ. ხოლო თუ თქვენ საკმაოდ არ გიყვარვართ და ეს ხის ჯვარი უფრო ძვირფასია თქვენთვის ვიდრე მე, იქ შეთხოვეთში, წადით პოლკოვნიკთან და უთხარით, რომ თანხმდებით. მაგრამ ძაშინ წადით ახლავე, დაეყოვნებლივ და გადამარჩინეთ ამ წამებას, რომელსაც მაყენებს თქვენი ნახვა! მე ისევაც ძლიერ ვიტანჯები.

მონტანელიმ თავი ასწია. ახლა მიხვდა, თუ რას ეუბნებოდა ირენი.

— მე, რასაკვირველია, ვინახულებ შენს მეგობრებს. მაგრამ შენთან წამოსვლა ჩემთვის შეუძლებელია... მე ხომ მღვდელი ვარ!

— მღვდელისაგან კი ეს არ მიველოდ დახმარებას. ბატონ, ყმაწვილ ოფიციერებო! მრავალი წამება მაქვს მათგან მოლებული. თქვენ ერთ-ერთ ეახლებოთ თავი ან მღვდელობას ან მე.

— როგორ შეგიძლია დაგვიოხ ირენ, როგორ დაგვიოხ?

— მაშინ მიატოვეთ თქვენი ღმერთი! ან მე. ან ის! არ შეგიძლია სიყვარულის გაყოფა ჩვენს შორის. ეს ჯვარი შენ, ნახევარი ღმერთისაა. არ მიველოდ ნაძალადევს ეს სუფრიდან. თუ მასთან ხარ, მაშინ ჩემთან ალარ.

— ირენ, ირენ ნეთუ გინდა, ცელი დაიფლითო? ნეთუ ჩემს სიკვდილამდე მიმიყვანო?

Scanned by CamScanner

კრაზანამ ხელი მიარტყა კედელს.

— ამოირჩიეთ ან მე, ან ის, — გაიმეორა მან.

მონტანელიმ ჯიბიდან პატარა პორტფელი ამოიღო და ქაღალდებს შორის მონახა დაჭმუჭვნილი, გაყვითლებული ქაღალდის ნახევი.

— შეხედე, — თქვა მან.

— „მე მწამდა თქვენი, როგორც ღმერთის, მაგრამ ღმერთი თიხის კერპი ყოფილა, რომელიც ჩაქუჩითაც ადვილად იმსხვრევა, თქვენ კი მთელი სიცოცხლე მატყუებდით“.

კრაზანამ გაიცინა და ქაღალდი დაუბრუნა.

— რა საკვირველად ახალგაზრდა ხარ ადამიანი ცხრამეტი წლის ასაკში! რა ადვილ საქმედ გეჩვენება ჩაქუჩის ხელში აღება და მით კერპის დამსხვრევა. ეს ისევე ადვილია ახლაც, მხოლოდ განსხვავება ისაა, რომ ჩაქუჩის ქვეშ თვით მოვექეცი. თქვენ კი მრავალ ისეთ ადამიანს ნახავთ, რომელსაც გაასულელებთ და ისინი ამას ვერასოდეს ვერ მიხვდებიან.

— როგორც გსურდეს, ისე მოიქეცი, — თქვა მონტანელიმ. — ვინ იცის, შეიძლება შენს ადგილზე მეც ასეთი შეუბრალებელი ვყოფილიყავი. არ შემიძლია იმის შესრულება, რასაც შენ მოითხოვ, არტურ, მაგრამ ვიზამ იმას, რისი გაკეთებაც შეიძლება. მე მოგიწყობ გაქცევას, და როდესაც უკვე სამშვიდობოს იქნები, მე შემემთხვევა რაიმე უბედურება მთებში. ანდა დასაძინებელი წამლის მაგიერ შეცდომით სხვა რამეს მივიღებ. აირჩიე, რომელიც გსურს. აი, ყველაფერი, რისი გაკეთებაც შემიძლია. ეს დიდი ცოდვაა, მაგრამ იმედი მაქვს, ღმერთი მაპატიებს. ის მოწყალეა...

კრაზანამ სასოწარკვეთით დაიყვირა:

— ეს მეტისმეტია! ეს აუტანელია! რა ჩავიდინე ისეთი, რომ თქვენ ასე ფიქრობთ ჩემზე? რა უფლება გაქვთ?... განა მე შურს ვიძიებ! ნუთუ არ გესმით, რომ მინდა თქვენი ამოთრევა ამ ჭაობიდან, ნუთუ ვერასოდეს ვერ გაიგებთ, რომ თქვენი გადარჩენა მინდა? ნუთუ ვერ ხედავთ, რომ მხოლოდ სიყვარული მალაპარაკებს?

მან მონტანელის ხელი ჩაავლო ორივე ხელში და აცრემლებულმა მხურვალედ დაუკოცნა.

— პადრე, წამომკევით, რა გაქვთ საერთო ამ კერპების მკვდარ

Scanned by CamScanner

ქვეყანასთან? ესენი ხომ გარდასულ საუკუნეთა ფერფლნი არიან, გახრწნილან და ლეშის სუნი სდით. მოსცილდით მაგ ჭირიან ეკლესიას. მე თქვენ ნათელ ქვეყანაში წაგიყვანთ. პადრე, ჩვენ ვართ სიცოცხლე და ახალგაზრდობა, ჩვენ ვართ სამუდამო ზაფხული, ჩვენ ვართ მომავალი კაცობრიობისა. პადრე, განთიადი უკვე ახლოა; ნუთუ არ გსურთ, რომ თქვენც დაგნათოდეთ მზე. გაიღვიძეთ და დავიწყოთ საშინელი სიზმრები! გაიღვიძეთ და დავიწყოთ ახალი ცხოვრება! პადრე, მე ყოველთვის მიყვარდით თქვენ, ყოველთვის, მაშინაც კი, როცა სასიკვდილო მახვილი დამკარით. ნუთუ კიდევ გამიმეტებთ სასიკვდილოდ?

მონტანელიმ ხელები გამოგლიჯა არტურს.

— უფალო, შემიბრალე! — შესძახა მან. — არტურ, შენ სულ დედაშენის თვალები გაქვს!

შემდეგ უეცრად ჩამოვარდა ხანგრძლივი, სამარისებური სიჩუმე. დღის სინათლე თანდათან ქრებოდა. ისინი შესცქეროდნენ ერთმანეთს ხმაამოუღებლად. ორივეს გული ეთოშებოდა საშინელებისაგან.

— კიდევ მითხარი რამე, — ჩასჩურჩულა მონტანელიმ. — მცირე იმედი მაინც მომეცი.

— მეტი სათქმელი არაფერი მაქვს. სიცოცხლე მჭირდება მხოლოდ იმად, რომ ვებრძოლო ეკლესიას. მე ადამიანი კი არა, დანა ვარ. ჩემთვის სიცოცხლის შენარჩუნება ნიშნავს იმას, რომ თქვენ კურთხევას აძლევთ დანას.

მონტანელი ჯვარცმას მიუბრუნდა:

— უფალო, გესმის თუ არა?..

მისი ხმა ჩაკვდა ღრმა სიჩუმეში. პასუხი არ ისმოდა. კრაზანაში უეცრად ბოროტმა დემონმა გაიღვიძა:

— უფრო ხმა-მ-მაღლა დაუძახეთ! ვინ იცის, იქნებ სძინავს!

მონტანელი წამოვარდა ისე, თითქოს ვიღაცამ სილა გააწნაო. ერთ წუთს გაუნძრევლად იდგა, შემდეგ ჩამოჯდა ლოგინზე, სახე ხელებით დაიფარა და აქვითინდა. კრაზანა მთელი ტანით აცახცახდა და შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა. ის მიხვდა, რას ნიშნავდა ეს ცრემლი.

კრაზანამ თავზე ვადაიფარა საბანი, რათა ქვითინი არ გაეგონა.

Scanned by CamScanner

მისთვის ისიც საკმარისი იყო, რომ სიკვდილი ელოდა ამ დროს, როცა სიცოცხლის ძლიერ ფეთქვას გრძნობდა თავის არსებაში!

მაგრამ ქვითინი მკაფიოდ ესმოდა. ხმები ისმოდა მის ყურში ჩაქუჩივით ურტყამდა ტვინს, უვლიდა მთელ ტანს.

მონტანელი კი ქვითინებდა და ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა.

ბოლოს ქვითინი შეწყდა და მონტანელიმ ცხვირსახოცით მოიწმინდა თვალები; როგორც ბავშვმა, რომელმაც ტირილი დაასრულა. ცხვირსახოცი იატაკზე დავარდა.

— მეტი ლაპარაკი უსარგებლოა, — თქვა მან. — ხომ მიმიხვდი ყველაფერს?

— დიახ, მივხვდი, — უპასუხა კრაზანამ, — ეგ თქვენი ბრალი არ არის. თქვენი ღმერთი მშიერია და ულუფა სჭირდება.

მონტანელი მისკენ მიტრიალდა. უეცრად დამყარდა სიჩუმე რომელიც უფრო საშინელი იყო, ვიდრე იმ სამარის სიჩუმე, რომელიც მალე უნდა გაეთხარათ ერთ-ერთი მათგანისათვის.

ხმაამოუღებლად შეჰყურებდნენ ისინი ერთმანეთს თვალებში, როგორც ძალით დაშორებული შეყვარებულნი უცქერიან ერთმანეთს ზღუდიდან, რომლის გადალახვა ვერ შეძლეს.

კრაზანამ პირველმა ვერ შეიკავა თავი და თვალები დახარა. ჰან გაიწია, დამალა სახე, და მონტანელიმ იგრძნო, რომ ამით უთხრა: „წადი“, ის მოტრიალდა და გავიდა საკნიდან.

მაგრამ გავიდა კიდევ ერთი წუთი, კრაზანა უეცრად წამოვარდა:

— ოჰ, მე ამას ვერ გადავიტან! დაბრუნდით, პადრე, დაბრუნდით!

კარი დაკეტეს.

დიდხანს უცქირა კრაზანამ თავის საკნის კედლებს, ჭერს და მიხვდა, რომ ყველაფერი გათავებული იყო. გალილეველმა გაიმარჯვა.[86]

გარეთ ეზოში მთელი ღამე შრიალებდა ბალახი — ბალახი, რომელიც მალე უნდა დამჭკნარიყო, რადგან ფესვებს ბარი დასჭრიდა და მთელი ღამე განუწყვეტლივ ქვითინებდა თავის ბნელ საკანში მარტოდ მყოფი კრაზანა.

Scanned by CamScanner

თავი მეშვიდე

სამშაბათს, დილით, სამხედრო სასამართლოს სხდომა გაიმართა.

ის გრძელდებოდა მცირე ხანს და ძალიან უბრალოდ ჩატარდა. ეს იყო მხოლოდ ფორმალობა, რომელმაც გასტანა სულ ოც წუთს. არც იყო საჭირო მეტი დროს დაკარგვა. დამცველი არ დაუშვიათ. მოწმეებად გამოიყვანეს მხოლოდ დაჭრილი ჯაშუშები, ოფიცერი და რამდენიმე ჯარისკაცი. განაჩენი წინასწარ იყო შედგენილი. მონტანელიმ მისცა არაოფიციალური თანხმობა, რომელსაც მისგან მოითხოვდნენ. მოსამართლეებს — პოლკოვნიკ ფერარის, ადგილობრივ დრაგუნთა მაიორს და პაპის გვარდიის ორ ოფიცერს მხოლოდ ისღა ჰქონდათ გასაკეთებელი, რომ წაიკითხეს საბრალმდებელო ოქმი. მოწმეებს ჩვენება ჩამოართვეს, ხელი მოაწერეს განაჩენს და წაუკითხეს ბრალდებულს შესაფერი ზეიმით. კრაზანამ ხმაამოუღებლივ მოისმინა განაჩენი, ხოლო როცა ჰკითხეს, წესის თანახმად, უნდა თუ არა საბოლოოდ რაიმეს თქმა, მან მხოლოდ მოუთმენლად ჩაიქნია ხელი. გულთან, პერანგის ქვეშ მას შენახული ჰქონდა ცხვირსახოცი, რომელიც მონტანელის დაუვარდა. მან ბევრი კოცნა ეს ცხვირსახოცი და მთელ ღამეს დასტიროდა მას, როგორც ცოცხალ არსებას.

სახე ახლა მკრთალი და უსიცოცხლო ჰქონდა და თვალების ირგვლივ კიდევ აჩნდა ცრემლების კვალი. სიტყვებმა „მიესაჯოს დახვრეტა“, როგორც ჩანს, უმნიშვნელო შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. ეს რომ გაიგონა, მხოლოდ თვალის კაკლები გაუფართოვდა. სხვა მხრივ არაფერი შეუმჩნევია.

— წაიყვანეთ საკანში, — ბრძანა პოლკოვნიკმა, როცა ყოველნაირი ფორმალობა უკვე შესრულდა.

სერჟანტი, რომელიც, როგორც ჩანდა, ძლივს იკავებდა თავს ამ სცენის დროს, ხელით შეეხო უძრავად მდგარ სიკვდილმისჯილის მხრებს. კრაზანა ოდნავ შეკრთა და მოიხედა.

— ჰო, მართლა! — წარმოთქვა მან, — დამავიწყდა კიდეც.

პოლკოვნიკს სახეზე ერთი წუთით აღებეჭდა რაღაც მსგავსი

Scanned by CamScanner

სიბრალულის გრძნობისა. ბუნებით ის არ იყო სასტიკი და სულის სილრმეში ცოტათი კიდეც რცხვენოდა. იმ როლის, რომელიც წილად ხვდა ამ ბოლო თვეში. ახლა დადგა სასურველი დასასრული და მზად იყო, სიკვდილმისჯილისათვის ცოტა შეღავათი მაინც მიეცა.

— ბორკილებს ნუ დაადებთ! — ბრძანა მან და გადახედა პატიმრის ჭრილობებით დაფარულ და გასიებულ ხელებს. — მას შეუძლია ძველ საკანში დარჩენა, — შემდეგ თავის ძმისშვილს მიუბრუნდა და თქვა: — ბინა სიკვდილმისჯილებისათვის ძალიან ნესტიანი და ბნელია. იქ მოთავსება ზედმეტი ფორმალობაა, სხვა არაფერი!

მან ჩაახველა, ჩანდა, რომ ცოტათი შეშფოთებული იყო. შემდეგ უეცრად დააბრუნა სერჟანტი, რომელსაც სასამართლოს დარბაზიდან გაჰყავდა პატიმარი:

— დაიცადეთ, სერჟანტო! რაღაც უნდა ვუთხრა.

კრაზანა უძრავად იდგა. პოლკოვნიკის ხმა თითქოს არც აღწევდა კრაზანამდე.

— ხომ არ გინდათ, გადავცე რამე თქვენს მეგობრებს, ან ნათესავებს? ალბათ, გყავთ ნათესავები!

კრაზანამ არაფერი უპასუხა.

— მაშ მოიფიქრეთ და მითხარით მე, ან მღვდელს. თქვენი დავალება უეჭველად შესრულებული იქნება. თუმცა უმჯობესია, მღვდელს გადასცეთ. ის ახლავე მოვა და მთელ ღამეს დარჩება თქვენთან. თუ რაიმე გსურთ...

კრაზანამ ასწია თავი:

— უთხარით მღვდელს, რომ მარტო ყოფნა მინდა. მეგობრები მე არა მყავს და დასაბარებელიც არაფერი მაქვს.

— აღსარება ხომ გჭირდებათ?

— მე ათეისტი ვარ. ჩემი სურვილია მხოლოდ ის, რომ მარტო დამტოვოთ.

მან ეს სიტყვები სევდიანად და დამშვიდებით წარმოთქვა. ხმაში არ ისმოდა არც გამოწვევა, არც გაბრაზება. თქვა თუ არა, აუჩქარებლად მიტრიალდა. მაგრამ კარებში უეცრად შეჩერდა:

Scanned by CamScanner

— დამავიწყდა, პოლკოვნიკო. მინდა მხოლოდ ერთი საქმის შესრულება გთხოვოთ. ბრძანება გაეცით, რომ ხვალ არ შემკრან და არც თვალები ამიხვიონ. სრულიად დამშვიდებული ვიდგები.

* * * * * *

ოთხშაბათ დილით, მზის ამოსვლისას გაიყვანეს ის ეზოში. კოჭლობა ჩვეულებრივზე უფრო ემჩნეოდა, საშინელ ტკივილებს გრძნობდა და სერჟანტის ხელზე დაყრდნობილი, ძლივს ადგამდა ნაბიჯებს.

სახეზე მოქანცული მორჩილების გამომეტყველება აღარ ჰქონდა. საშინელება, რომელიც სულს უხუთავდა მთელი ღამის განმავლობაში, გულმშვიდი მოჩვენებები და ფიქრები საიქიოს შესახებ, გაქრნენ ღამესთან ერთად. როგორც კი გამოანათა მზემ და კრაზანა თავისი მტრების პირისპირ დადგა, მასში გაიღვიძა ბრძოლის სულმა და უკვე აღარაფრის ეშინოდა.

სუროთი დაფარული კედლის პირდაპირ მწკრივში იდგა ექვსი კარაბინერი, რომლებიც დანიშნეს განაჩენის სისრულეში მოსაყვანად. ეს იყო სწორედ ის გახეთქილი, ნახევრად ჩამონგრეული კედელი, რომელზედაც ჩამოეშვა იმ ღამეს, როცა გაქცევა დააპირა. ჯარისკაცები, რომლებსაც ხელში თოფები ეჭირათ, ძლივს იკავებდნენ თავს ცრემლებისაგან. მათ სტანჯავდათ იმის ფიქრი, რომ კრაზანა უნდა მოეკლათ. კრაზანა თავისი ბასრი ენით, მოსწრებული პასუხებით, დაუსრულებელი სიცილით და მაგალითის მიმცემი ვაჟკაცობით შეიპრა მათ უფერულ, ნაღვლიან ცხოვრებაში, როგორც მზის შუქი, და გრძნობა, რომ ახლა ის მათი ხელით უნდა მომკვდარიყო, მათთვის იგივე იყო, რაც ნათელი მზის ჩაქრობა.

ეზოში, დიდი ლელვის ხის ქვეშ, კრაზანას სამარე ელოდა. ის ღამით გაათხრევინეს ტუსაღებს. როცა გვერდით გაუარა, ღიმილით ჩაიხედა ბნელ ორმოში, შეხედა იქვე დაგდებულ დამჭკნარ ბალახს და ღრმად შეისუნთქა ახლადმოთხრილი მიწის სუნი.

სერჟანტი ხის ახლოს შეჩერდა. კრაზანამ თავისი მხიარული ღიმილით მიმოიხედა გარშემო:

— აქ დავდგე, სერჟანტო?

Scanned by CamScanner

სერჟანტმა უხმოდ დაუქნია თავი პასუხის მაგიერ, მას ყელში აწვებოდა რაღაც; არ შეეძლო ერთი სიტყვის წარმოთქმაც, თუ-გინდ ამისგან დამოკიდებული ყოფილიყო მისი სიცოცხლე. ეზოში უკვე იდგნენ პოლკოვნიკი ფერარი, მისი ძმისწული — კაპიტანი, კარაბანერების უფროსი, რომელსაც სროლა უნდა ებრძანებინა, ექიმი და მღვდელი. ისინი წინ წამოიწიეს და ცდილობდნენ, არ დაბნეულიყვნენ და შეენარჩუნებინათ ღირსეული შესახედაობა კრაზანას მოცინარე თამამი თვალების დანახვაზე.

— გამარჯობათ, ბატონებო! დახეთ, მღვდელიც კი ამდგარა ასე ადრე! როგორ ბრძანდებით, კაპიტანო? ჩვენი დღევანდელი შეხვედრა უფრო სასიამოვნოა თქვენთვის, ვიდრე უკანასკნელი, ხომ ასეა? ვხედავ, ხელი კიდევ შეხვეული გაქვთ. ეს იმიტომ, რომ მაშინ ავაცდინე. აი, ეს მარჯვე ბიჭები უკეთ შეასრულებენ თავიანთ საქმეს. ხომ ასეა, ძმებო? — მან გადახედა ჯარისკაცების მოღუშულ სახეებს.—ამ შემთხვევაში სახვევები საჭირო არ იქნება. ნუ მიყურებთ ეგერე სევდიანად. სწორდით! აბა, დაანახვეთ ყველას, რომ კარგად იცით სროლა. მალე იმდენი სამუშაო გექნებათ, რომ ვერც კი აუხვალთ. წინასწარ ვარჯიშობაა საჭირო.

— შვილო ჩემო! — შეაწყვეტინა მღვდელმა და მიიწია მისკენ. დანარჩენებმა უკან დაიხიეს და მარტო დატოვეს ისინი. — რამდენიმე წუთის შემდეგ თქვენ წარსდგებით უფლის წინაშე, ნუთუ არ ისარგებლებთ დარჩენილი დროით და უარს იტყვით აღსარებაზე? გთხოვთ, დაფიქრდეთ, თუ რა დიდი უბედურებაა ისე სიკვდილი, ოომ არ მიგეტეოთ ცოდვები! როცა თქვენ დადგებით თქვენი მსაჯულის წინაშე, მაშინ გვიანღა იქნება ფიქრი შენდობაზე. ნუთუ უფალს ხუმრობით და ღიმილით მიუახლოვდებით?

— ხუმრობით? მე მგონია, მაგ ქრისტიანულ მოძღვრებას თქვენ და თქვენი მსგავსნი საჭიროებენ. როცა ჩვენი რიგი მოაღწევს, ზარბაზნებს ავამოქმედებთ ჟანგმოკიდებული ექვსი კარაბინის მაგივრად, აი, მაშინ დაინახავთ, როგორი ხუმრობა გვცოდნია.

— ზარბაზნებს აამოქმედებთ? ოჰ, უბედურო! ნუთუ არ გესმით, რომ უფსკრულის წინაშე დგეხართ?

კრაზანამ გადახედა პირდაღებულ სამარეს:

— მაშ, ბატონო მოძღვარო, თქვენა გგონიათ, როდესაც იქ გა-

Scanned by CamScanner

დამიშვებთ, ამით საბოლოოდ გაასწორებთ ჩემთან ანგარიშს? შეიძლება ჩემს საფლავს დიდი ლოდიც დაადოთ იმისათვის, რომ „სამი დღის შემდეგ“ არ აღვსდგე. ნუ გეშინიათ, ბატონო მოძღვარო, მე განზრახული არა მაქვს, შეგეცილოთ თქვენს მონოპოლიაში იაფფასიან სასწაულებზე. ვიწვები წყანარად, როგორც თაგვი, იქ, სადაც თქვენ დამდებთ... მაგრამ ზარბაზნებს მაინც ავამოქმედებთ.

— მოწყალეო ღმერთო! — წამოიძახა მღვდელმა, — შეუნდე ამ უბედურს.

— ამინ! — ბოხი ხმით წარმოთქვა კარაბინერების ოფიცერმა.

პოლკოვნიკმა და მისმა ძმისწულმა პირჯვარი გადაისახეს.

რადგან ცხადი იყო, რომ მღვდლის დარიგება სასურველ შედეგს ვერ მოიტანდა, მან უარი განაცხადა გაემეორებინა ცდა, დადგა განზე, დაიწყო თავის ქნევა და ლოცვების ბუტბუტი. ამის შემდეგ აღარ შეფერხებულან.

კრაზანა სამარის პირას დადგა, როგორც წესი მოითხოვდა. მხოლოდ ერთი წუთით მოიხედა და შეხედა ამომავალი მზის წითელ სხივებს. მან გაიმეორა თავისი თხოვნა, თვალებს ნუ ამიხვევთო. მისმა გამომწვევმა გამოხედვამ ვერ გააბედვინა პოლკოვნიკს უარის თქმა. ის დათანხმდა. ორივემ დაივიწყა, თუ რა მძიმე ტვირთს აკისრებდნენ ამითი ჯარისკაცებს.

კრაზანა იდგა და ღიმილით შეჰყურებდა მათ თვალებში. ჯარისკაცებს ხელები უკანკალებდათ.

— მზად ვარ! — თქვა კრაზანამ.

კარაბინერების უფროსმა ნაბიჯი გადადგა წინ. ის თრთოდა მღელვარებისაგან. მას არ ჰქონია შემთხვევა, უფროსად ყოფილიყო განაჩენის სისრულეში მოყვანის დროს.

— მოემზადეთ! სმენა! გაისროლეთ!

კრაზანა ოდნავ შეინძრა, მაგრამ არ წაქცეულა. ერთმა ტყვიამ ცოტათი აუკაწრა ლოყა. სისხლი წანწკარით ჩამოეღვარა პერანგზე. მეორე ტყვია ფეხში მოხვდა მუხლის ქვევით. როცა კვამლი გაიფანტა, ჯარისკაცებმა დაინახეს, რომ ის წინანდებურად იღიმებოდა, იდგა მათ წინ და დასახიჩრებული ხელით სისხლს იწმენდდა ლოყაზე.

— ვერა გცოდნიათ კარგი სროლა, ძმებო, — თქვა მან. მისმა

Scanned by CamScanner

მკაფიო, წმინდა ხმამ სამართებელივით დასერა შიშისაგან გაქვავებული ჯარისკაცების გული, — აბა, კიდევ სცადეთ!

მწკრივში ბუტბუტი გაისმა. ყოველი მათგანი ისროდა გახ'ხე იმ იმედით, რომ სასიკვდილო ტყვია გასროლილი იქნებოდა მეზობლის ხელით და არა მის მიერ. და აი, სიკვდილისათვის გამზადებული, ახლა ისევ დგას და ღიმილით შეჰყურებს მათ. საჭირო ხდებოდა ყველაფრის განმეორება. ჯარისკაცები საშინელებამ შეიპყრო. ჩამოუშვეს კარაბინები და რეტდასხმულებივით ისმენდნენ ოფიცრების გინებას და შიშით უცქერდნენ კაცს, რომელიც მოკლეს, მაგრამ რომელიც მაინც ცოცხალი იყო.

პოლკოვნიკი მუშტებით ემუქრებოდა მათ, ყვირილით ბრძანებას აძლევდა, სასროლად მოემარჯვათ თოფები და მალე გაეთავებინათ საქმე. ისიც დაიბნა და ვერ გაებედსა ამ გულშემზარავი მოჩვენების შეხედვა, რომელიც იდგა, იდგა და წაქცევას არც აპირებდა. როცა კრაზანამ პოლკოვნიკს მიმართა, მას თითქმის შეეშინდა. მთელი მისი სხეული ბეკოთა, როგორც კი გაისმა დამცინავი ხმა:

— რა გაუწრთვნელი რაზმი გამოგიყვანიათ დღეს, პოლკოვნიკო! ვნახოთ, იქნებ ძე შევძლო გავუწიო ხელმძღვანელობა! აბა, ძმებო! ეი, თქვენ მაოცხნით ბოლოში მდგარხო, უფრო მაღლა ასწიეთ თოფები! რა დაგემართათ, ტაფები გიჭირავთ ხელში, თუ თოფები? აბა, ახლა მზად იყავით... ყველამ დამიმიზნეთ.

— ისროლეთ! — შეაყვირა პოლკოვნიკმა და წინ გავიდა, ხომ არ შეიძლებოდა ამ კაცს თვითონ ეხელმძღვანელა თავისი დახვრეტისათვის. მეორედ გაისმა სროლა, ისიც არა მწყობრი და ჯარისკაცების მწკრივი გადაიქცა აცახცახებულ ადამიანების ჯგუფად. ისინი გიჟებივით გამოიყურებოდნენ. ერთს არც უსვრია. მან გადააგდო თოფი და მიწაზე დავარდა ქვითინით:

— არ შემიძლია! არ შემიძლია!

დილის ნათელ მზის სხივებზე კვამლი გამოჩნდა და ნელ-ნელა გაიბნა ჰაერში. ჯარისკაცებმა დაინახეს, რომ კრაზანა წაიქცა; დაიხახეს ისიც, რომ ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ჯარისკაცები და ოფიცრები გაქვავებულივით იდგნენ და რამდენიმე წუთის განმავლობაში შეჰყურებდნენ საშინელ არსებას, რომელიც სიკვდილიხ წინ ფართხალებდა მიწაზე.

Scanned by CamScanner

შემდეგ ექიმი და პოლკოვნიკი ყვირილით მიიჭრნენ მასთან, რადგან ის წამოდგა ცალ მუხლზე და ისევ უყურებდა ჯარისკაცებს სახეში და ისევ იცინოდა.

— კიდევ ამაცდინეთ! სცადეთ... კიდევ ერთხელ... ძმებო, იქნებ ახლა...

უცებ ის შეირხა და ბალახზე დაემხო.

— მოკვდა? — ჩუმად იკითხა პოლკოვნიკმა.

ექიმმა, რომელიც მუხლებზე იყო დაჩოქილი და ხელი დაედო გასისხლიანებულ პერანგზე, უპასუხა:

— მგონია მოკვდა... მადლობა ღმერთს!

— მადლობა ღმერთს! — გაიმეორა პოლკოვნიკმა, — როგორც იქნა!

ძმისწულმა უეცრად მოჰკიდა ხელი.

— ძია, კარებთან კარდინალი დგას და შემოსვლა უნდა.

— რაო? ეი, არ შეიძლება... მე არ დავუშვებ ამას! რას უყურებენ გუშაგები? თქვენო უწმინდესობავ...

ციხის კარი გაიღო და ისევ მიიხურა. მონტანელი უკვე ეზოში იდგა. საშინელებით სავსე მისი თვალები არ იძროდნენ.

— თქვენო უწმინდესობავ! უნდა გთხოვოთ... ეს თქვენთვის შეუფერებელი სანახაობაა... განაჩენი ეს-ეს არის მოვიყვანეთ სისრულეში.

— მოვედი, რომ დავხედო მას, — თქვა მონტანელიმ.

თუმცა პოლკოვნიკი ძლიერ აღელვებული იყო, მაგრამ მაინც გააკვირვა კარდინალის ხმამ და სიარულმა: ის მთვარეულს ჰგავდა.

— ო, ღმერთო! — უეცრად დაიყვირა ერთმა ჯარისკაცმა.

პოლკოვნიკი საჩქაროდ მიტრიალდა.

სწორედ ასეც ფიქრობდა.

სისხლში შელებილი სხეული ისევ აფართხალდა მიწაზე. ექიმი დაიხარა და მომაკვდავის თავი მუხლებზე დაისვენა

— მალე! — სასოწარკვეთით ყვიროდა ის. — მალე ჰქენით, ბარ-ბაროსებო, მოჰკალით! ღვთის გულისათვის! მეტის ატანა შეუძლებელია!

სისხლი იღვრებოდა მის ხელებზე, მთელი ტანი უკანკალებდა და საშინელებისაგან თითქმის გაგიჟებულმა მიმოიხედა გარშემო, რომ

Scanned by CamScanner

შველა ეთხოვა. მღვდელი დაიხარა და ჯვარი მიადო მომაკვდავს ტუჩებზე:

— სახელითა მამისა და ძისაჲთა...

კრაზანა წამოდგა, ექიმის მუხლებზე დაყრდნობილმა ფართოდ გახელილი თვალებით შეხედა ჯვარცმას. შემდეგ ნელა ასწია დაჭრილი მარჯვენა ხელი და გაჰკრა. ქრისტეს სახეზე სისხლის კვალი დააჩნდა.

— პადრე... თქვენი ღმერთი... დაკმაყოფილებულია?

და თავი ექიმის ხელზე დაუვარდა.

* * * * * *

— თქვენო უწმინდესობავ!

კარდინალი უძრავად იდგა. პოლკოვნიკმა ფერარიმ ხმამაღლა გაიმეორა:

— თქვენო უწმინდესობავ!

მონტანელიმ ახედა მას:

— იგი მკვდარია.

— დიახ, თქვენო უწმინდესობავ. წავიდეთ აქედან, მძიმე სანახაობაა...

— იგი მკვდარია, — გაიმეორა მონტანელიმ და შეხედა კრაზანას სახეს, — ხელი შევახე და ის კი მკვდარია...

— საკვირველია, რას მოელის იმ კაცისაგან, რომელიც ტყვეებისგან სულ დაცხრილულია? — გაბრაზებით წაიბუტბუტა რაზმის უფროსმა.

ექიმმა ჩურჩულით უპასუხა:

— კარდინალი ალბათ სისხლის დანახვამ ააღელვა.

პოლკოვნიკმა ხელი მოჰკიდა მონტანელის:

— თქვენო უწმინდესობავ, უმჯობესია, არ უყუროთ. ნება მიეცით კაპელანს,[87] შინ მიგაცილოთ.

— ჰო, კარგი... წავალ.

ის ნელა მოშორდა გასისხლიანებულ გვამს და წავიდა. მას გაჰ-

Scanned by CamScanner

ყვნენ მღვდელი და სერჟანტი. კართან შეჩერდა და ლანდიევით მოიხედა უკან ისევ იმ არეული, გაშტერებული თვალებით.

— იგი მკვდარია...

* * * * * *

რამდენიმე საათის შემდეგ მარკონე მიუახლოვდა სახლს, რომელიც ფერდობზე იდგა. მას უნდა ეთქვა მარტინისათვის, რომ საჭირო აღარაა სიცოცხლის გაწირვა.

უკვე დაემთავრებინათ სამზადისი კრაზანას განთავისუფლების მეორე ცდისათვის. მეორე გეგმა გაცილებით უფრო მარტივი იყო, ვიდრე პირველი. გადაწყდა: მეორე დილას, როდესაც ეკლესიიდან გამოსული პროცესია ქრისტეს ცხედრით ციხის სანგრებთან გაივლიდა, მარტინი გამოვიდოდა ბრბოდან და პოლკოვნიკს სახეში ესროდა. საერთო არევ-დარევის დროს ოცი შეიარაღებული კაცი უეცრად მივარდებოდა სატუსაღოს კარს, შეიჭრებოდა კოშკში, დაეპატრონებოდნენ გასაღებს, შევიდოდნენ პატიმრის საკანში და წაიყვანდნენ მას. ხოლო ვინც ხელს შეუშლიდა, არ დაინდობდნენ და მოკლავდნენ. ჭიშკრიდან გამოსვლის შემდეგ კი ბრძოლით უნდა დაეხიათ უკან, სროლით დაეფარათ შეირაღებულ კონტრაბანდისტების ცხენოსანი რაზმი, რომელიც პატიმარს წაიყვანდა ბოლებში და საიმედო ადგილას დამალავდა. შეთქმულების პატარა ჯგუფში მხოლოდ ჯემამ არაფერი იცოდა ამ გეგმის შესახებ. ეს მარტინის სურვილი იყო.

— ჯემა ვერ აიტანს ყველაფერ ამას, — ამბობდა მარტინი

როგორც კი კონტრაბანდისტი ეზოში შევიდა, მარტინიმ გააღო შუშაბანდის კარი და გამოვიდა მის შესაგებებლად.

— რა იცი, ახალი, მარკონე?

პასუხის მაგიერ კონტრაბანდისტმა კეფაზე მოიქცია თავისი განიერი ჭილოფის ქუდი.

ისინი კიბეზე ჩამოსხდნენ.

არც პირველს და არც მეორეს სიტყვა არ უთქვამს. მარტინიმ შეხედა მარკონეს და ყველაფერს მიხვდა.

Scanned by CamScanner

— როდის მოხდა ეგ ამბავი? — იკითხა მან დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ

თავისი ხმა მას ისეთივე უფერული და სევდიანი ეჩვენა ახლა, როგორც მთელი ქვეყანა:

— დღეს გათენებისას. სერჟანტმა მიამბო. ის იქ იყო და ყველაფერი ნახა.

მარტინიმ დაიხედა ტანსაცმელზე და წკიპურტით გადააგდო სახელოზე შემთხვევით დავარდნილი ძაფი. ამაოება ამაოებათა. და მთელი ცხოვრება სავსეა ამაოებით. ის ხვალ უნდა მომკვდარიყო. ახლა კი სასურველი მიზანი გამქრალიყო ისე, როგორც ფანტასტიკური კოშკები იმსხვრევა მზის სხივის ჩასვლისას, როცა ბნელი ჩამოეშვება ხოლმე.

ის ისევ დაუბრუნდება თავის უფერულ ცხოვრებას. გალისა და გრასინის სამყაროს. ისევ დაუბრუნდება იმ ყოველდღიურობას, როცა იშიფრებოდა საიდუმლო მიმოწერა, როცა სწერდნენ პამფლეტებს, ამხანაგებს მორის პარტიულ კინკლაობას, ავსტრიის ჯაშუშების საზიზღარ ინტრიგებს, მოკლედ, ყოველდღიური გულისგამწყალებელი ამბები... საღღაც სულის სიღრმეში კი უსაზღვრო სიცარიელე იგრძნო, რომლის ამოვსება არაფერს შეეძლო, ვინაიდან კრაზანა აღარ იყო.

ვილაცამ რაღაცა ჰკითხა. მან გაკვირვებით ასწია თავი, რადგან ვერ წარმოედგინა, რაზე შეიძლებოდა ახლა კიდევ ლაპარაკი.

— რა თქვით?

— მე ვთქვი, რომ თქვენ, ალბათ, იკისრებთ უთხრათ ჯემას ეს ამბავი?

სიცოცხლის ნიავმა მთელი თავისი საშინელებით კვლავ დაჰბერა მარტინის სახეზე.

— როგორ შემიძლია ამის თქმა? — წამოიძახა მან. — უმჯობესია, მთხოვოთ, რომ მივიდე და მოვკლა. ო, როგორ ვუთხრა, როგორ?

მან ხელები მიიფარა სახეზე. უეცრად იგრძნო, როგორ შეკრთა კონტრაბანდისტი. მარტინიმ გამოიხედა. ჯემა კარებში იდგა.

— გაიგეთ, ჩეზარე? — თქვა მან, — ყველაფერი გათავებულია. ის დახვრიტეს.

Scanned by CamScanner

თავი მერვე

„Introibo ad altare Dei*...“

მონატნელი იდგა მთავარი ტრაპეზის წინ, გარშემორტყმული მღვდლებითა და კრებულით, და მაღალი, მკაფიო ხმით კითხულობდა ლოცვას. ტაძარი, გაჩირაღდნებული მზის შუქით და წარმტაცი ფერებით, ბრწყინავდა. ყველაფერი, დაწყებული მლოცველთა სადღესასწაულო ტანსაცმელით და გათავებული სვეტებით, რომელიც ფერადი ქსოვილებით და ყვავილების გვირგვინებით შეემკოთ, სავსე იყო სიცოცხლით . ბრწყინვალებით. ფართოდ გაღებულ კარებზე ჩამოფარებული იყო მუქი წითელი ფერის მძიმე ფარდები და ივნისის მზის მხურვალე სხივები გამოკრთოდა მასში სწორედ ისე, როგორც გამოკრთიან მინდვრის წითელი ყაყაჩოს ფურცლები ჩვეულებრივ დღეებში სანახევროდ ბნელი კუთხის სამლოცველოები ახლა განათებული იყო სანთლებით და ჩირაღდნებით, რომლებიც ხელში ეჭირათ იქ მდგარ ბერ-მონაზონთა ორდენის წარმომადგენლებს. იქვე ამართული იყო სხვადასხვა მრეველის ჯვრები და ბაიროღები. კუთხის კარიბჭეებთან დაედგათ ლიტანიაზე წასაღები დროშები, რომელთა აბრეშუმის ნაოჭები მიწამდე დაშვებულიყო, ხოლო მოოქრული ფოჩები და ხის ტარი ლაპლაპებდნენ ბნელ კამარაში. ფანჯრების ფერადი მინებიდან გადმოღვრილი მზის შუქი ცისარტყელას ნაირფერებით ღებავდა მგალობლების თეთრ სამოსელს და განფენილი იყო იატაკზე მეწამულ, ნარინჯისფერ და მწვანე ლაქებად. ტრაპეზის უკან მზის შუქისაგან ბრწყინავდა და ელვარებდა ვერცხლისფერი სტავრის ფარდა. ამ ფარდის ფონზე, მოთეთულობისა და სინათლის შუა, მოჩანდა უძრავად მდგარი კარდინალი გრძელ თეთრ სამოსში. ის ჰგავდა მარმარილოს ქანდაკებას, რომელშიაც ცოცხალი სული ჩაებერათ.

ჩვეულების თანახმად, პროცესიის დღეებში მას მხოლოდ პირველი ლოცვა უნდა წარმოეთქვა, მაგრამ არ უნდა განეგრძო წირვა. როცა მან დაასრულა „Indulgentiam“,* გაშორდა საკურთხეველს

---

* ლოცვა „Introit-ის შესავალი სიტყვები
* ლოცვა ცოდვების მოხანიების შესახებ.

Scanned by CamScanner

და ნელი ნაბიჯით წავიდა ეპისკოპოსისათვის განკუთვნილი ტახტისკენ. მღვდლები და კრებულის წევრები, რომლებსაც მან გვერდი ჩაუარა, თავს ხრიდნენ მის წინაშე.

— ვშიშობ, რომ მათი უწმინდესობა ვერ არის ჯანზე, — წასჩურჩულა ერთმა კანონიკმა მეორეს. — რაღაც უცნაური მეჩვენება დღეს.

მონტანელიმ დახარა თავი, რომ დაედგათ მისთვის ძვირფასი თვლებით მორთული მიტრა. მღვდელმა, რომელიც მიტრას ადგამდა, წასჩურჩულა:

— თქვენო უწმინდესობავ, ავად ხომ არ ბრძანდებით?

მონტნელიმ ოდნავ მიაბრუნა მისკენ თავი, თითქოს პირველად ხედავსო.

— მომიტევეთ, თქვენო უწმინდესობავ, — ჩურჩულით თქვა მღვდელმა, მუხლი მოიყარა და მერე ისევ თავის ადგილზე დაბრუნდა. ის გუნებაში ჰკიცხავდა თავის თავს, რომ კარდინალს ლოცვა შეუშალა.

წირვა გრძელდებოდა ჩვეულებრივი წესით. მონტანელი იჯდა გამართული, უძრავად. მზის შუქი დასთამაშებდა ძვირფასი თვლებით აელვარებულ მის მიტრას და ოქრომკედით ნაკერ სამოსელს. სადღესასწაულო თეთრი მანტიის მძიმე ნაოჭები ალისფერ ნოხზე ეფინებოდა. მრავალი ასეული სანთლის შუქი გამოკრთოდა მონტანელის გულმკერდზე დაკიდებული საფირონებიდან. კარდინალს ჩაღრმავებული და უმოძრაო თვალები ჩამქრალი ჰქონდა და მზის შუქი საპასუხო ბრჭყვიალს ვერ პოვებდა მასში. როცა გაისმა სიტყვები „Benedicite pater eminentissime,"* საპასუხოდ მონტანელი დაიხარა საცეცხლურის საკურთხებლად და მზემ შუქი სტყორცნა მის მიტრას, ამ სურათის დანახვაზე კაცს ეგონებოდა, ყინულოვანი მწვერვალების ცისარტყელათი გაბრწყინებულმა და თოვლის საბურველით შემოსილმა რაღაც ავმა სულმა თავისი ხელები გაიშვირა და გარშემო უხვად გასცა კურთხევა და, შესაძლოა, წყევლაც.

როცა წმინდა ზიარება გამოიტანეს, ის ადგა ტახტიდან და მუხ-

---

* გვაკურთხე, წმიდაო მამაო (ლათ.)

Scanned by CamScanner

ლი მოიყარა ტრაპეზის წინაშე, შემდეგ წამოდგა და თავის ადგილისკენ გაბრუნდა. ყველა მისი მოძრაობა რაღაც უცნაურად ერთნაირი იყო. საპარადო მუნდირში გამოწყობილი დრაგუნის მაიორი, რომელიც პოლკოვნიკის უკან იჯდა, მიბრუნდა დაჭრილი კაპიტნისკენ და წასჩურჩულა:

— მოტყდა ჩვენი მოხუცი კარდინალი, ცხადია, მოტყდა! შეხედეთ: გეგონებათ, ცოცხალი ადამიანი კი არა, მანქანა იყოს.

— მით უკეთესი, — ჩურჩულითვე უპასუხა კაპიტანმა, — ის მუდამ ეკალივით გვესობოდა თვალში იმ წყეული ამნისტიის დროიდან.

— მაგრამ სამხედრო სასამართლოს საქმეში კი მაინც დათმობაზე წავიდა.

— დიახ, დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ... ღმერთო ჩემო, რა ცხელა! სანამ ეს პროცესია დამთავრდება, ყველას დამბლა მოგვივა. ბწყინს, რომ ჩვენც კარდინალები არა ვართ, თორემ მთელი გზა ბალდახინის ქვეშ ვივლიდით. ს-ს-სუ! ბიძაჩემი გვიყურებს!

პოლკოვნიკმა ფერარიმ მკაცრად გადახედა ახალგაზრდა ოფიცრებს. გუშინდელმა ამბებმა სერიოზულობა და ღვთისმოშიშობა ჩაუნერგა მას და ახლა მზად იყო, გაეკიცხა ახალგაზრდები მათი შეუფერებელი საქციელის გამო.

გამრიგებლებმა თავ-თავის ადგილზე დააყენეს ისინი, ვისაც პროცესიაში მონაწილეობა უნდა მიეღო. პოლკოვნიკი ფერარი წამოდგა და უბრძანა ოფიცრებს, თან გაჰყოლოდნენ.

როცა მესა[58] დამთავრდა და წმინდა ზიარება კიდობანში დადგეს, სამღვდელოება სამოსსაცავში გაემართა სამოსელის გამოსაცვლელად.

ტაძარში აქა-იქ ჩუმი ლაპარაკი ისმოდა. მონტანელი ისევ ტახტზე იჯდა. მისი თვალები ერთ წერტილს მისჩერებოდნენ, თითქოს ველარ გრძნობდა ცხოვრებას, რომელიც ბობოქრობდა მისი ტახტის გარშემო და მერე ქრებოდა იმის ფერხთა წინაშე. მიუტანეს საცეცხლური და ავტომატური მოძრაობით ისე, რომ არ მიუხედავს არც მარჯვნივ, არც მარცხნივ, მან საკმეველი ჩადო სასაკმევლეში.

სამღვდელოება დაბრუნდა სამოსსაცავიდან და საკურთხეველში ელოდებოდა კარდინალს, მაგრამ ის, თითქოს გაქვავებულიყო, ად-

Scanned by CamScanner

გილიდან არ იძვროდა. მღვდელი, რომელსაც მისგან მიტრა უნდა მიელო, დაისარა და გაუბედავად მიმართა:

— თქვენო უწმინდესობავ!

კარდინალმა მოიხედა.

— რაო, რა თქვით?

— დარწმუნებული ბრძანდებით, რომ შეძლებთ პროცესიაში სიარულს? მეტად ცხელი მზეა გარეთ.

— მე რა საქმე მაქვს მზესთან?

მონტანელი ლაპარაკობდა ცივი ხმით და მღვდელმა კვლავ იფიქრა, რომ აწყენინა მას.

— მაპატიეთ, თქვენო უწმინდესობავ. მაგრამ მომეჩვენა, რომ შეუძლოდ ბრძანდებით.

მონტანელიმ არ უპასუხა, ადგა და იმავე განზომილი ხმით იკითხა:

— ეს რა არის?

ბისი გრძელი, თეთრი სამოსელის ნაწიბურები საფეხურებზე მოფენილიყო და მან თითით ანიშნა ცეცხლისფერ ლაქაზე, რომელიც თეთრ ატლასზე ჩანდა.

— თქვენო უწმინდესობავ ეს არის მზის შუქი, რომელიც ფერადი შუშებიდან ანათებს.

— მზის შუქი? მერე ასეთი წითელი?

მონტანელიმ ჩამოათავა საფეხურები, მუხლი მოიყარა ტრაპეზის წინ და თან ნელა აიხედა საცეცხლურს. შემდეგ ის დიაკვანს გადასცა. მზის შუქი ფერად ლაქებად მოეფინა მის შიშველ თავს, ცისკენ ამართულ თვალებში გაბრწყინდა და წითლად აციმციმდა თეთრ მანტიაზე, რომლის საოჭებს გარშემო მდგარი მღვდლები ასწორებდნენ.

დიაკვანმა ოქროს კიდობანი მიაწოდა და ის წამოდგა ორღანის და შგალობელთა საზეიმო მელოდიების ხმაზე.

დინჯად მივიდნენ მსახურნი და მონტანელის თავს ზემოთ ამართეს აბრეშუმის ბალდახინი. დიაკვნები კარდინალის მარცხნივ და მარჯვნივ ჩამწკრივდნენ, უკან გადააგდეს მისი მანტიის გრძელი ნაოჭები, როცა მსახურებმა ასწიეს მისი ბოლო, პროცესიის სათა-

Scanned by CamScanner

ვეში მდგარი სხვადასხვა თემის წარმომადგენელნი შუა ტაძარში ამოვიდნენ და გასასვლელისაკენ გაემართნენ.

თეთრი ბალდახინის ქვეშ ტრაპეზთან უძრავად იდგა მონტანელი, ხელში ეჭირა წმინდა ზიარება და ტაძრიდან მიმავალ პროცესიას გაჰყურებდა. პროცესიის მონაწილენი მწყობრად მიდიოდნენ და მიჰქონდათ ანთებული სანთლები, ჩირაღდნები, ბაირაღები, დროშები და ალმები. მათ გაიარეს ყვავილებით შემკულ სვეტებს შუა, განვლეს მთავარი შესასვლელის წითელი ფარდების ქვეშ, და მზით განათებულ ქუჩაში გავიდნენ. წინ მიმავალთა გალობის ხმა თანდათან მიყუჩდა და გაურკვეველი გუგუნიღა ისმოდა, უკნიდან კი სულ ახალი და ახალი ხმები მოდიოდა. დაუსრულებელ ლენტად გაიშალა პროცესია და ტაძრის კამარის ქვეშ კიდევ დიდხანს არ შეწყვეტილა ადამიანთა ფეხის ხმა.

გაიარეს მრევლის წევრებმა, რომლებსაც სახე დაფარული ჰქონდათ; თავიდან ფეხებამდე შავებში ჩაცმულმა მოწყალების ორდენის ძმებმა, რომელთაც ნიღბებიდან მოელვარე თვალებიღა მოუჩანდათ. დიდი ამბით მიდიოდნენ ბერები; დაგლახაკავებული ძმები, მზისგან გაშავებულნი, ფეხშიშველნი მოაბიჯებდნენ, შუქი ფერის კაპიშონებით თავდახურულნი; შემდეგ მოყვებოდნენ თეთრ ანაფორებში ჩაცმული კუშტი დომინიკანელები. მათ უკან მიდიოდნენ სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების წარმომადგენლები: დრაგუნები, კარაბინერები, ადგილობრივი პოლიციის მოხელენი, საპარადო ტანსაცმელში გამოწყობილი პოლკოვნიკი და მისი ოფიცრები. პროცესიის ბოლოში დიდი ჯვრით ხელში მიაბიჯებდა დიაკვანი, ოომელსაც ახლდა ორი მსახური ანთებული სანთლებით. როდესაც მთავარ კარზე ჩამოკიდებული ფარდა უფრო მაღლა ასწიეს, ბალდახინის ქვეშ მდგარმა მონტანელიმ თავისი ადგილიდან დაინახა მზით განათებული და ნოხებით მოფენილი ქუჩა, სახლებზე ჩამოკიდებული ალმები და თეთრებში ჩაცმული ბავშვები, რომლებიც ქვაფენილზე ვარდებს ჰყრიდნენ. ვარდები! ო, როგორი წითელი ვარდებია!

ნელა, მწყობრად მიიწევდა წინ პროცესია. ჩაცმულობა და ფერები ყოველ წუთს ცვლიდა ერთიმეორეს. გრძელი თეთრი სუდარები ადგილს უთმობდა ბდიდრულ, ოქრომკედით ნაქარგ სამოსელს.

Scanned by CamScanner

აი, მაღლა სანთლების ალის ზემოთ, თითქოს გასცურა სიფრიფანა ოქროს ჯვარმა. შემდეგ გამოჩნდნენ სულ ერთიანად თეთრებში გამოწყობილი საკათედრო ტაძრის კანონიკები. კაპელანს მიჰქონდა ეპისკოპოსის კვერთხი, ბიჭუნები საცეცხლურს აქნევდნენ გალობის ტაქტზე. მსახურებმა, რომლებიც ჩუმი ხმით ითვლიდნენ ნაბიჯებს: „ერთი-ორი, ერთი-ორი", უფრო მაღლა ასწიეს ბალდახინი და მონტანელიმ გახსნა ლიტანია.

მონტანელი ჩამოვიდა ტაძრის შუა ადგილას, ჩაიარა ქანდარის ძირში, საიდანაც ორღანოს საზეიმო გუგუნი ისმოდა, შემდეგ გაიარა შემოსასვლელ კარზე ჩამოკიდებულ ფარდის ქვეშ — რა აუტანელი წითელი ფერის იყო ის! — და მზით გაბრწყინებულ ქუჩაში გავიდა. მის ფეხებქვეშ წითელ ნოხზე ეყარა გათელილი, სისხლივით წითელი ვარდები.

პროცესია წუთით შეჩერდა კართან — სამოქალაქო ხელისუფლების წარმომადგენლებმა შეცვალეს ბალდახინის გამომტანი მსახურები — და შემდეგ ისევ განაგრძეს გზა. მონტანელიც წინ მიდის და ხელში მაგრად უჭირავს კიდობანი წმინდა ზიარებით. მის გარშემო მგალობელთა ხმა ხან გუგუნებს, ხან ჩაკვდება და ამ გალობის ტაქტზე შეთანხმებით ირხევიან საცეცხლურები და მიაბიჯებს ხალხი.

სისხლი, ყველგან სისხლი! ნოხი—თითქოს წითელი მდინარეა, ქვებზე დაყრილი ვარდები — თითქოს მოშხეფებული წვეთებია სისხლისა!... ღმერთო, მოწყალეო! ნუთუ შენს მიერ გაჩენილი ეს შენი ცა და დედამიწა სისხლით არის მორწყული? მაგრამ შენ რა საქმე გაქვს ამასთან, შენ, ვისი ბაგენიც თვით სისხლისაგან წითლად შეღებილია!

მონტანელიმ თვალი მიაპყრო ზიარებას, რომელიც კიდობნის ბროლის კედლებიდან მოჩანდა. ეს რა მოჟონავს კიდობნის ოქროს სხივების შუა მდებარე ობლატიდან და რა ეწვეთება მის თეთრ სამოსელს? რა იყო ის, ამის მსგავსი რომ მოწვეთავდა... აწეული ხელიდან რომ მოწვეთავდა? ბალახი ციხის ეზოში გადათელილი და წითელი იყო... სრულიად წითელი... ბევრი სისხლის გამო. ის მოწვეთავდა ლოყაზე, მოწვეთავდა ტყვიით გახვრეტილი მარჯვენა ხელიდან და ცხელ წითელ ნაკადად მოთქრიალებდა გვერდის ჭრილო-

Scanned by CamScanner

ბიდან. თმის ბღუჯაც სველი იყო სისხლისაგან... დიახ, შუბლზე ჩამოშლოდა სველი თმა... სიკვდილისწინა ოფლით დანამული შუბლზე... მოენამა იმიტომ, რომ საშინლად იტანჯებოდა...

საზეიმო გალობის ხმა ტალღასავით მიედინებოდა.

ოჰ, ამის გაძლება კი შეუძლებელია! ღმერთო, შენ ტახტზე ზიხარ ცაში და სისხლში მოსვრილი ტუჩებით ღიმილით უცქერი, როგორ იტანჯებიან ქვევით, დედამიწაზე. ნუთუ ეს არა კმარა? ნუთუ კიდევ საჭიროა ხოტბა და ქება-დიდება? სხეული ქრისტესი, გარღატეხილი ადამიანთა გამოხსნისათვის! სისხლი ქრისტესი, დაღვრილი მათი ცოდვების მოსანანიებლად... განა ესეც ცოტაა?

უფრო ხმამაღლა დაუძახეთ! ვინ იცის, იქნებ სძინავს!

შენ გძინავს, ჩემო საყვარელო შვილო, და ვერასოდეს ვერ გაიღვიძებ. განა საფლავი ასე თავგამოდებით იცავს თავის ნადავლს? ნუთუ შავი ორმო არასოდეს არ გაიხსნება, რომ თუნდაც მცირე ხნით ამოგიშვას, ჩემო სიხარულო, ჩემო ბიჭუნა?

ამ დროს ბიოლის კიდობნიდან მოისმა ხმა, და სანამ ის ლაპარაკობდა, სისხლი განუწყვეტლივ წვეთავდა...

„არჩევანი უკვე მოხდა. ინანიებ თუ არა ამას? განა არ ასრულდა შენი სურვილი? შეხედე, აბრეშუმითა და ფარჩით მორთულ ამ ხალხს, — მათი გულისათვის ვწევარ მე ბნელ სამარეში. შეხედე ბავშვებს, რომლებიც ვარდებს ფანტავენ, ყური მიაპყარ მათ ტკბილ ხმებს — მათი გულისათვის ამოივსო ჩემი პირი მიწით. ხოლო ეს ვარდები იმის გამოა წითელი, რომ ჩემი გულიდან გამონაყონი სისხლი შეისრუტეს. ხომ ხედავ? ხალხი მუხლს იყრის, რომ შესვას შენი სამოსელის ნაოჭებიდან წურწურით ჩამონადენი სისხლი! ეს სისხლი ამ ხალხისათვის დაიღვარა და დაე, წყურვილიც მოიკლან. რამეთუ ნათქვამია: „ყველაზე ძლიერი სიყვარული ის არის, როცა შენს სულს შესწირავ მოყვასსა შენსას“.

არტურ! არტურ! თუკი ადამიანმა თავისი სიცოცხლე გასწირა თავისი საყვარელი შვილისათვის? ამგვარი სიყვარული განა უფრო დიდი არ არის?

და ისევ მოისმა ხმა კიდობნიდან:

„ვინ არის ის, საყვარელი შვილი შენი? ჭეშმარიტად, მე არა ვარ!“

Scanned by CamScanner

მონტანელის უნდოდა პასუხი გაეცა, მაგრამ სიტყვები ტუჩებზე შეეყინა, ოადგან ამ დროს მგალობელთა ხმამ გადაიქროლ მის თავზე, როგორც ჩრდილოეთის ქარმა წყლის ზედაპირზე.

მაშ შესვით! ყველამ მიიღეთ ზიარება! განა ეს სისხლი თქვენი უოვნილება არ არის? თქვენი გულისათვის მორწყო ბალახი ამ წითელმა ნაკადმა, თქვენი გულისათვის დასახიჩრდა და ნაჭერ-ნაჭერ დაიფლითა ცოცხალი სხეული! იგემეთ, კაციჭამიებო, იგემეთ ყველამ! დღეს თქვენი ნადიმია, დღეს თქვენი დღესასწაულია! იჩქარეთ ამ ზეიმზე, შეუერთდით საერთო პროცესიას. ქალებო და ბავშვებო, ჭაბუკებო და მოხუცნო, ყველამ მიიღეთ თქვენ თქვენი წილი ცოცხალი ხორცისა. მიუახლოვდით ნაკადულად მიმავალ სისხლიან ღვინოს და შესვით, სანამ კიდევ წითელია! მიიღეთ და იგემეთ სხეული, რამეთუ...

ღმერთო! აი ციხეც პირქუში, ბნელი, ნახევრად დანგრეული კედლებითა და კოშკებით. ის შავად ამართულა ტიტველ მთებს შორის და კუშტად დასცქერის პროცესიას, რომელიც ქვემოთ, მტვრიანი გზით მიიმართება. მის ალაყაფის კარებს რკინის გისოსის კბილები გამოუშვერია. როგორც ნადირი, გართხმული მიწაზე, თავის მსხვერპლს უდარაჯებს ის. მაგრამ რაც არ უნდა მაგარი იყოს ეს რკინის კბილები, მათ გახსნიან და დაამტვრევენ, და ციხის ეზოში ამოთხრილი სამარე გაიმეტებს თავის უსულო გვამს. რამეთუ ხროვა ხალხისა მიედინება სისხლის საღვთო ნადიმზე, როგორც ურდო შშიერი ვირთხებისა, რომლებიც ჩქარობენ, შეესიონ მკის შემდეგ დარჩენილ პურის თავთავებს. ყველა გაიძახის: „მოგვეცი, მოგვეცი!“ არც ერთი მათგანი არ იტყვის: „კმარა, გვეყოფა!“

„შენთვის ესეც ცოტაა? მე მიმიტანეს მსხვერპლად ამ ადამიანებისათვის. შენ თვითონ დამლუპე, რომ მათ ეცოცხლათ. ხომ ხედავ, როგორ მჭიდრო რიგებად მოდიან.

ეგ შენი ღმერთის ლაშქარია — უთვალავი. ძლიერი. ცეცხლი ბობოქრობს მის გზაზე და კვალდაკვალ მიჰყვება თან. მიწა ამ გზაზე ედემის ბალსა ჰგავს, მაგრამ გაივლის ლაშქარი და უდაბნოს დასტოვებს. ალარაფერი გაიხარებს მათს უხეშ ნაქუსლარზე“.

და მაინც გიხმობ შენ, ჩემო საყვარელო შვილო! დაბრუნდი ჩემთან, რამეთუ მე ვინანიებ ჩემს არჩევანს. დაბრუნდი! მე და შენ

Scanned by CamScanner

წავალთ და ერთად ჩავწვებით ბნელ, მდუმარე სამარეში, სადაც ეს სისხლის მწყურვალი ურდო ვერ მოგვაგნებს. ჩავეხუტებით ერთმანეთს და დავიძინებთ — სამუდამოდ დავიძინებთ. მშიერი ჯარი გაივლის ჩვენს სამარეზე და როცა ის ღმუილს მორთავს და სისხლს მოითხოვს წყურვილის მოსაკლავად, ხორცს კი გასაძღომად, მისი ხმა ოდნავ ჩაგვესმის ყურში და ვერ შეგვაშფოთებს.

მაშინ ხმამ კიდობნიდან ისევ უპასუხა მონტანელის:

„სად შევაფარო თავი, სად დავიმალო? განა ნათქვამი არ არის: „ისინი შემოირბენენ მთელ ქალაქს, შეღოღდებიან კედლებზე, შეესევიან სახლებს, ქურდებივით გადაძვრებიან ფანჯრებში?“ თუ ამოვიშენე ტაგრუცი მთის ფერდობზე, განა ქვებს არ მიყრი-მოყრიან? თუ ამოვითხარე საფლავი მდინარის ფსკერზე, ან მას არ ამოთხრიან? ჭეშმარიტად, ჭეშმრიტად გეუბნები შენ: ისინი, როგორც ქოფაკები, დაძრწიან საშოვარზე, ჩემი ჭრილობებიდან კი მოწვეთავს სისხლი, რომ მათ წყურვილი მოუკლას. განა არ გესმის მათი საგალობლები?

პროცესია დამთავრდა; ყველა ვარდი მიმოფანტული იქნა ქვაფენილზე და ტაძრის კარებზე ჩამოკიდებულ ფარდის ქვეშ გავლისას ხალხი ისევ გალობდა.

როცა გალობის ხმა ჩაჩუმდა, კარდინალი ტაძარში შემოვიდა. ჩაუარა მუხლმოყრილ და ანთებული სანთლებით ხელში ორ მხრივად ჩამწკრივებულ ბერ-მონაზვნებს და მღვდლებს. მონტანელიმ დაინახა, რომ თვალები ხარბად მიეპყროთ კიდობნისთვის, რომელიც მას ხელში ეჭირა და მიხვდა, რატომ ხრიდნენ თავს და ვერ ბედავდნენ კვალდაკვალ თვალი გაეყოლებინათ: მისი თეთრი მოსასხამის ნაოჭებიდან მოედინებოდა წითელი კამარა და ტაძრის ქვის ფილაზე მისი ფეხები სისხლიან კვალს ტოვებდა.

მონტანელი მიუახლოვდა საკურთხეველს, გამოვიდა ბალდახინიდან და საფეხურებით მაღლა ავიდა. საკურთხევლის მარჯვნივ და მარცხნივ იდგნენ მუხლმოდრეკილი ბიჭუნები საცეცხლურებით ხელში და კაპელანები ანთებული ჩირაღდნებით. მათ ქრისტეს სხეულისკენ მიპყრობილი თვალები ხარბად უელავდათ.

და როცა მონტანელი საკურთხევლის წინ დადგა და აღაპყრო

Scanned by CamScanner

გაწამებული შვილის სისხლით გასვრილი ხელები, ისევ მოისმა სააღდგომო ლხინზე მოწვეული სტუმრების საერთო გალობა.

ახლა კი სულ მალე სხეულს წაიღებენ... წადი, საყვარელო, შეასრულე, რაც წინასწარ დაგვალა შენ და ფართოდ გააღე სამოთხის ბჭენი ამ გაუმაძღართა წინაშე. ჩემთვის კი ჯოჯოხეთის ბჭენი გაიხსნება...

დიაკვანმა საკურთხეველზე დადო წმინდა ჭურჭელი, კარდინალმა კი მუხლი მოიყარა და ქუდმოხდილ თავზე საკურთხევლიდან წვეთ-წვეთად დაეპკურა სისხლი. მგალობელთა ხმა სულ უფრო და უფრო ძლიერად ისმოდა და გამოძახილს იწვევდა ტაძრის მაღალი კამარის ქვეშ.

„Sine termino... Sine termino!"* ეჰა, ქრისტეო, ბედნიერი იყავ შენ, როცა ველარ გაუძელ ჯვრის სიმძიმეს და წამოიჩოქე! ბედნიერი იყავ, როცა შეიძელ გეთქვა: აღსრულდაო"! ჩემი გზა კი დაუსრულებელია, როგორც ცაში ვარსკვლავების გზა. და იქ, ჯოჯოხეთში, მომელის ჭია, რომელიც არასდროს არ მოკვდება და ცეცხლი, რომელიც აროდეს ჩაქრება. „Sine termino... Sine termino!"

მონტანელი ცდილობდა, უკანასკნელი მოთმინება და ძალ-ღონე მოეკრიფა და როგორმე დაემთავრებინა საზეიმო წირვის ცერემონიალი. ანგარიშმიუცემლად ასრულებდა მისთვის ჩვეულ რიტუალს. შემდეგ, როცა კურთხევას მორჩა, ისევ მოიყარა მუხლი საკურთხევლის წინაშე და სახე ხელებით დაიფარა. მღვდლის ხმა, რომელიც ამ დროს ცოდვათა ლოცვას კითხულობდა, ისე აღწევდა მის ყურამდე, თითქოს იმ შორეული ქვეყნის გამოძახილი ყოფილიყოს, რომელსაც ის უკვე აღარ ეკუთვნოდა. კარდინალი წამოდგა, ხელი გაიშვირა და სიჩუმისაკენ მოუწოდა ყველას. მლოცველები, რომლებიც კარებისაკენ გზას მიიკვლევდნენ, უკანვე დაბრუნდნენ.

ტაძარში ჩურჩული გაისმა: „მისი უწმინდესობა ილაპარაკებს".

მღვდლებმა გაოცებით გადახედეს ერთმანეთს და მიუახლოვდნენ, ხოლო ერთმა ხმადაბლა ჰკითხა:

— თქვენი უწმინდესობა აპირებს ხალხს ელაპარაკოს?

მონტანელიმ არ უპასუხა და ხელით ანიშნა, მომცილდი.

---

* სიტყვები კათოლიკური გალობიდან, რაც ნიშნავს: „უსასრულო, მარადი".

Scanned by CamScanner

მღვდლებმა უკან დაიხიეს ჩურჩულით. ამ დღეს ქადაგება წესით აკრძალული იყო, მაგრამ კარდინალს უფლება ჰქონდა თავისი სურვილის მიხედვით ემოქმედნა. ის ალბათ აპირებს გამოუცხადოს ხალხს რაღაც დიდად საყურადღებო ამბავი: რომის მიერ შემოღებული ახალი რეფორმა, ანდა წმინდა პაპის დიდად მნიშვნელოვანი ეპისტოლე.

საკურთხევლის საფეხურზე მდგარმა მონტანელიმ გადმოხედა ზღვა ხალხს, ხარბი ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდა ხალხი, ის კი იდგა უძრავად, გაქვავებული ერთ ადგილზე და, თეთრად შემოსილი, მოჩვენებას ჰგავდა.

— ჩუმად, ჩუმად! — თავდაჭერილად იმეორებდნენ პროცესიის გამრიგებლები.

მლოცველების გუგუნი თანდათან ჩაკვდა, როგორც ჩაკვდება ხოლმე ქარის ქროლვა ახმაურებულ ხეების კენწეროებში.

ყველამ პირი მიიბრუნა საკურთხევლის საფეხურზე შემდგარი მონტანელისაკენ. და, აი, ჩამოვარდნილ სიჩუმეში გაისმა კარდინალის მკაფიო ხმა:

— სახარებაში წმინდა იოანესაგან ნათქვამია: „რამეთუ ისე შეიყვარა უფალმა ქვეყანა, რომ გასწირა ერთადერთი ძე თვისი, რათა არავინ მორწმუნე არ დაიღუპოს და მარადი ცხოვრება მიენიჭოს“. დღეს თქვენ შეიკრიბენით თქვენთვის წამებული ჩვენი მაცხოვრის სისხლისა და ხორცის დღესასწაულზე. ის იყო ტარიგი უფლისა, ქვეყნის ცოდვების თავის თავზე მიმღები; ის იყო ძე უფლისა, ვინც თქვენი ცოდვებისა გამო მოკვდა. მოსულხართ თქვენ ამ დღესასწაულზე, რათა იგემოთ ნაყოფი თქვენთვის განწირული მსხვერპლისაგან და ამისათვის მადლობა შესწიროთ უფალს. მე ვიცი, რომ ამ დილით, როცა თქვენ დღესასწაულზე მოეშურებოდით, თქვენი გულები აღსავსე იყო სიხარულით, და რომ გახსენდებოდათ ის ვნებები, რომელნიც განიცდიდა თქვენი ხსნისათვის გარდაცვლილმა მაცხოვარმა.

მაგრამ რომელმა თქვენგანმა, იფიქრა იმაზე, თუ რა წამება გადაიტანა მამა-ღმერთმა, რომელმაც ჯვარსაცმელად გასწირა შვილი თვისი? რომელს თქვენგანს მოაგონდა მამის ტანჯვა, როცა ის თავისი ზეციური ტახტის სიმაღლიდან გოლგოთას დასცქეროდა?

Scanned by CamScanner

მე გიყურებდით დღეს, როცა მიაბიჯებდით სადღესასწაულო პროცესიაში, და ვხედავდი, როგორ ილხენდა თქვენი გულები, რომ გეპატიათ შეცოდებანი და ხსნა მიიღეთ. და, აი, მე გთხოვთ: დაფიქრდით, რის ფასად იყო ნაყიდი ეს ხსნა. ძალიან დიდ ფასად! ის აჭარბებს ლალის ღირებულებას, რამეთუ ის არის სისხლის საფასური...

მსმენელები თრთოლვით შესცქეროდნენ კარდინალს. საკურთხეველში მდგარმა მღვდლებმა გაკვირვებით გადახედეს ერთმანთს და ჩურჩული იწყეს.

მაგრამ კარდინალმა სიტყვა განაგრძო და ისინი გაჩუმდნენ.

— ამიტომ დღეს გეუბნებით: მე გიყურებდით თქვენ, თქვენს უსუსურობასა და ვუყურებდი აგრეთვე ბავშვებს, რომლებიც თქვენს გვერდით თამაშობდნენ. და გული ჩემი აღივსო მათდამი სიბრალულით, ვინაიდან ისინი უნდა მოკვდნენ. შემდეგ თვალებში ჩავხედე ჩემს საყვარელ შვილს და დავინახე, რომ მან თავისი სისხლით მოიპოვა თქვენთვის ცოდვათა პატიება. მე წავედი ჩემი გზით, ხოლო ის დავტოვე, რომ წაეღო თავისი ჯვარი.

აი, ის, რასაც ეწოდება ცოდვათა პატიება. ის მოკვდა თქვენთვის და წყვდიადმა შთანთქა. მოკვდა და ვეღარ აღსდგება. მოკვდა და აღარ მყავს შვილი, ოჰ, ჩემო ბიჭუნა, ჩემო ბიჭუნა!

მონტანელის გულიდან აღმოხდა გულსაკლავი ხმა, და თითქოს მისი გამოძახილიაო, გაისმა დამფრთხალი ხალხის გუგუნი. მთელი სამღვდელოება წამოდგა თავისი ადგილებიდან, დიაკვნები მქადაგებელთან მივიდნენ, ხელი მოჰკიდეს მას. მაგრამ მონტანელიმ გაითავისუფლა თავი და გააფთრებული ნადირის თვალებით შეხედა მათ.

— რა არის ეს? განა კიდევ საჭიროა სისხლი? ტურებო, თქვენს რიგს დაუცადეთ! თქვენც გაძღებით!

მღვდლებმა უკან დაიხიეს და შეჯგუფდნენ. ისინი გაფითრებული, აცახცახებული იდგნენ. მონტანელი ისევ მიუბრუნდა ხალხს, ხალხის ზღვა შეირხა, როგორც ყანა, რომელსაც გრიგალმა გადაურა.

— თქვენ მოკალით, თქვენ მოკალით ის! და მე იმიტომ დავთანხმდი ამაზე, რომ თქვენი სიკვდილი არ მინდოდა. ახლა კი

Scanned by CamScanner

როცა მოდიხართ ჩემთან ცრუ ქება-დიდებით და ბიწიერი ლოცვებით, მე ვნანობ, რომ ეს ჩავიდინე. უკეთესი იყო, შეწყვეტილიყო თქვენი ბიწიერი გულების ფეთქვა და მარადი შეჩვენება დაგემსახურებინათ. ის კი ცოცხალი ყოფილიყო. განა ღირს თქვენი ჭირიანი სულები იმად, რომ მათი ხსნისათვის გადახდილი ყოფილიყო ასეთი დიდი საფასური?

მაგრამ გვიანღაა, ძალზე გვიანღაა! ხმამაღლა ვეძახი, მას კი არ ესმის, ხმამაღლა ვუკაკუნებ მისი საფლავის კარებს, მაგრამ ეღარ გაიღვიძებს. მარტოდმარტო ვდგევარ უდაბნოში და სისხლით გაჟღენთილი მიწიდან, სადაც დამარხულია ჩემი თვალების სინათლე გადამაქვს მზერა საშინელი ცარიელი ცისკენ. სასოწარკვეთა მიპყრობს. მე უარვყავ იგი, უარვყავ, თქვენი გულისათვის!

და, აი, თქვენი მხსნელი! წაიღეთ! გადმოგიგდებთ იმგვარადვე, როგორც გადაუგდებდნენ ხოლმე ძვალს აღრენილი ძაღლების ხროვას. თქვენი ლხინის ხარჯი გადახდილია ჩემ მიერ! მაშ მოდით და სჭამეთ, გაუმაძღარნო, სისხლისმსმელებო, კაციჭამიებო, მძორზე დახარბებულნო სვავებო! უყურეთ, საკურთხევლის საფეხურებზე მოედინება ცხელი, აორთქლებული სისხლი, ის მოედინება ჩემი შვილის გულიდან და დაღვრილია თქვენთვის! ათქვიფეთ და მით შეისვარეთ სახე თქვენი! დაიტაცეთ მისი ხორცი, დაერიეთ, წაართვით ერთმანეთს და შესანსლეთ... მე კი ნულარ შემაწუხებთ. აი, აგერ, სხეული შეწირული თქვენთვის. შეხედეთ, როგორ აქვს დასერილი ჭრილობები და როგორ სდის სისხლი, და მაინც კიდევ როგორ თრთის მასში გაწამებული სიცოცხლე, როგორ ფეთქავს უმძიმეს სულთა ბრძოლის ჟამს! მაშ წაიღეთ ის, ქრისტიანებო და ჭამეთ!

მან ხელი დაავლო კიდობანს, რომელშიაც წმინდა ზიარება იყო, მაღლა ასწია, მოიქნია და იატაკზე დაანარცხა. როგორც კი აწკრიალდა ქვაზე დავარდნილი ლითონი, მთელი სამღვდელოება წინ გაიჭრა და ოცმა კაცმა ერთად ხელი სტაცა შეშლილს.

მხოლოდ ამის შემდეგ დაირღვა ხალხის დაძაბული სიჩუმე და გაისმა თავშეკავებული, ისტერიული ქვითინი.

აზვირთებული ნაკადის მსგავსად ხალხი მოწყდა ადგილიდან. აყირავებდა სკამებს, ამტვრევდა დაკეტილ კარებს, სჭყლეტდა ერთმანეთს, გლეჯდა ფარდებს და აღრიალებული ქუჩაში გარბოდა.

Scanned by CamScanner

ეპილოგი

— ჯემა, ვიღაც კაცს უნდა თქვენი ნახვა. დაბ-

ით.

ლა გიცდ[illegible] წარმოთქვა ეს სიტყვები თავშეკავებული ტონით, რო-

მარტინის [illegible]ომ ანგარიშმიუცემლად შეითვისეს უკანასკნელი ათი

მელიც ორთავ[illegible] აში. ეს ტონი, ამასთანავე, დამშვიდებული ლაპა-

დღის განმავლობ[illegible] იყო მათი მწუხარების ერთდაერთი გამომხატ-

რაკი და მოძრაობა[illegible]

ველი.

ჯემა წინსაფრით და [illegible] დაკაპიწებული ხელებით იდგა მაგიდასთან

[illegible]ავსე პატარა ყუთებს. ის დილას აქეთია

და ალაგებდა ვაზნებით [illegible]

[illegible]უადღემ მოაღწია, სახეზე ძლიერი დაღ-

მუშაობდა და ახლა, როცა [illegible]

ლილობა ემჩნეოდა.

— ვინ არის, ჩეზარე? რა [illegible]ნდა?

— არ ვიცი, ძვირფასო, არ მ[illegible]ხრა. მთხოვა მხოლოდ გადმო-

მეცა, რომ მარტო თქვენ უნდა [illegible]ელაპარაკოთ.

— კარგი, — მან მოიხსნა წინსაფა[illegible]ი და ჩამოუშვა სახელოე-

ბი, — მეტი რა გზაა, უნდა ჩავიდე. ალბ[illegible]ით ჯაშუშია.

— ყოველი შემთხვევისათვის, მე მეზ[illegible]ბელ ოთახში ვიქნები,

რათა საშუალება გექნეთ, დამიძახოთ. როგო[illegible]ც კი მოიშორებთ, და-

წექით და ცოტა მოისვენეთ. მთელი დღე მუ[illegible]ედ არ მოგიკეცია თ.

— არა, არა! მირჩევნია, ვიმუშაო.

ჯემა ნელა დაეშვა კიბეზე. მარტინი უკან გაჰყ[illegible]

ამ რამდენიმე დღის განმავლობაში ჯემა ათი წლ[illegible]ით მოხუცდ[illegible]

ჭალარა შესამჩნევად შეერია თმაში. ახლა უფრო [illegible]ნშ[illegible]ად თავდახ-

Scanned by CamScanner

რილი დადიოდა. და როცა შემთხვევით ასწევდა თავს, მისი თვალების საოცარი გამომეტყველება შიშს ჰგვრიდა მარტინის.

პატარა სასტუმრო ოთახში ჯემას დახვდა ვიღაც ტლანქი მამაკაცი, რომელიც გაშეშებული იდგა. მისი გარეგნობის და ოდნავ შეშინებული თვალების გამომეტყველების დანახვაზე ჯემამ მაშინვე იფიქრა, რომ შვეიცარიული გვარდიის რიგითი ჯარისკაცი იყო. მას ეცვა გლეხური ხალათი და ეტყობოდა, რომ სხვისთვის გამოერთმია. უცნობი გარშემო იხედებოდა, თითქოს ეშინოდა, აი, აგერ დამიჭერენო.

— თქვენ იცით გერმანული? — იკითხა მან.

— ცოტათი. მითხრეს, რომ ჩემი ნახვა გსურთ.

— თქვენ ბრძანდებით სინიორა ბოლა? წერილი მოგიტანეთ.

— წერილი? — ჯემა აკანკალდა და მაგიდას დაეყრდნო.

— მე უბრალო ჯარისკაცი ვარ, აი, იმ გარნიზონიდან. — მან გაიშვირა ხელი გორაკისაკენ, სადაც ციხე-სიმაგრე მოჩანდა. — ეს ბარათი გამოგიგზავნათ წარსულ კვირას დახვრეტილმა. მან ის დაწერა სიკვდილით დასჯის წინა ღამეს. მე დავპირდი, რომ პირადად თქვენ გადმოგცემდით.

ჯემამ თავი დახარა. ბოლოს მან მაინც დაწერა...

— ამ მიზეზის გამო ვერ მოვიტანე აქამდე. — განაგრძო ჯარისკაცმა, — მან მთხოვა, მხოლოდ თქვენთვის მომეცა. აქამდე ვერ მოვახერხე მოსვლა, რადგან თვალყურს მადევნებდნენ. ბოლოს, აი, სხვის ტანსაცმელში გამოვეწყვე.

მან ხელი ჩაიყო უბეში და რაღაცას დაუწყო ძებნა. ცხელი ამინდი იყო და დაკეცილი ქაღალდის ფურცელი, რომელიც მან ამოიღო, არა მარტო ჭუჭყიანი და დაჭმუჭნილი იყო, არამედ ოფლისაგან სველიც. რამდენიმე ხანს ჯარისკაცი უხერხულად, ჩუმად იდგა. შემდეგ ქუდი მოიფხანა.

— ხომ არავის ეტყვით? — გაუბედავად თქვა მან, და უნდობლად შეხედა ქალს. — აქ მოსვლა შეიძლება სიცოცხლის ფასად დამიჯდეს.

— რა თქმა უნდა, არავის, დაიცადეთ ერთ წუთს...

ჯემამ შეაჩერა წასასვლელად გამზადებული ჯარისკაცი და საფულე გახსნა. შეურაცხყოფილმა ჯარისკაცმა უკან დაიწია.

Scanned by CamScanner

— რად მინდა თქვენი ფული, — მკვახედ თქვა მან, — მე ეს იმისათვის გავაკეთე, რომ მან მთხოვა. მისთვის უფრო მეტსაც გავაკეთებდი. ის მუდამ კეთილი ადამიანი იყო...

ჯემამ შენიშნა, რომ ჯარისკაცს ხმა აუკანკალდა და შეხედა. ის ნელა იწმენდდა ცრემლებს ჭუჭყიანი სახელოთი.

— ჩვენ დავხვრიტეთ... — ჩუმი ხმით განაგრძო მან. — ჩემმა ამხანაგებმა და მე... ჯარისკაცი იძულებულია შეასრულოს უფროსის ბრძანება. პირველად ავაცდინეთ... საჭირო გახდა ხელმეორედ სროლა... ის კი დაგვცინოდა... გამოუცდელ ჯარისკაცებს გვეძახდა... ძალზე კეთილი იყო.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ჯარისკაცი გასწორდა, მხედრული სალამი მისცა ჯემას და ოთახიდან გავიდა.

რამდენიმე წუთის განმავლობაში ჯემა უძრავად იდგა. ხელში ბარათი ეჭირა. შემდეგ ჩამოჯდა გაღებულ ფანჯარასთან და კითხვა დაიწყო.

ბარათი დაწერილი იყო წვრილი ხელით და ალაგ-ალაგ ძნელად იკითხებოდა. მაგრამ პირველი ორი სიტყვა ადვილი გასარკვევი იყო:

„ძვირფასო ჯიმ“!

სტრიქონები უეცრად გაიფანტნენ და ნისლში ჩაინთქნენ. ჯემამ ხელმეორედ დაკარგა ის! დაკარგა ისევ! თავისი ბავშვობის სახელის წაკითხვაზე ჯემამ კვლავ მწვავედ იგრძნო ეს დანაკარგი და ისეთი სასოწარკვეთით დაუშვა ხელები, თითქოს მიწა, რომელიც მკვდარს ეფარა, მთელი თავისი სიმძიმით ახლა თვითონ ჯემას დასწოლოდა.

ცოტა ხნის შემდეგ ჯემამ განაგრძო კითხვა:

„ხვალ გათენებისას დამხვრეტენ და თუ მინდა შეასრულო დაპირება და გითხრათ ყველაფერი, მხოლოდ ახლა უნდა გავაკეთო ეს. მგონია, არ ღირს გრძელი განმარტების დაწყება ჩვენს შორის. ჯერ კიდევ ბავშვებსაც კი ყოველთვის ზედმეტი სიტყვის გარეშე გვესმოდა ერთიმეორის.

ამრიგად, თქვენ ხედავთ, ჩემო ძვირფასო, რომ სრულიად ტყუილად იტანჯებოდით იმის გამო, რომ ოდესღაც სახეში გამარტყით. ეს ძნელი გადასატანი იყო ჩემთვის, მაგრამ შემდეგში მრავალი ასეთი გარტყმა მივიღე და გადავიტანე. რამდენიმეს სამაგიერო

Scanned by CamScanner

გადავუხადე კიდეც. და ახლა, აჭ. ციხეში, როგორც თევზი ჩვენი საბავშვო წიგნიდან (დამავიწყდა როგორ ერქვა), „ცოცხალი ვარ და და კუდს ვაქნევ“ — კუდს ვაქნევ უკანასკნელად... ხვალ დილით კი finita la comedia* ჩემთვის და თქვენთვის ეს ნიშნავს: ცირკის წარმოდგენა დამთავრებულია. მადლობა შევწიროთ ღმერთს ამ მოწყალებისათვის მაინც. მართალია, ძალიან მცირეა, მაგრამ მოწყალებაა. ჩვენ ამის მადლობელიც უნდა ვიყოთ.

რაც შეეხება ხვალინდელ დილას, მე მინდა, თქვენ და მარტინიმ იცოდეთ, რომ სავსებით ბედნიერი და კმაყოფილი ვარ და მეტს არაფერს მოვითხოვ ბედისაგან. გადაეცით ეს მარტინის, როგორც ჩემი უკანასკნელი გამოსათხოვარი სიტყვა. ის საყვარელი და კარგი მეგობარია... გაიგებს. მე ვიცი, ძვირფასო, რომ ჩვენი მტრები, რომელნიც ფეხქვეშ სთელავენ ხალხის საარსებო ინტერესებს და მიმართავენ წამებას და სიკვდილით დასჯას, ამით ჩვენს საქმეს ხელს უწყობენ, ხოლო თავისთვის კი სამარეს ითხრიან. მე ვიცი, რომ თუ თქვენ, ცოცხლები, ხელიხელჩაკიდებული იქნებით და გადამწყვეტ იერიშს მიიტანთ მტერზე, უდიდესი ამბების მოწმენი გახდებით. ხვალ დილით კი მე გავალ ეზოში ისევე მხიარულად, როგორც არდადეგებზე შინ მიმავალი ბავშვი. მე შევასრულე ჩემი წილი საქმე, და რომ კეთილსინდისიერად შევასრულე, ამას ამტკიცებს ჩემი სასიკვდილო განაჩენი. ისინი მკლავენ იმიტომ, რომ ჩემი ეშინიათ. ამაზე მეტი რაღა უნდა ინატროს კაცმა?

თუმცა კიდევ მაქვს სხვა სურვილები. კაცს, რომელსაც სიკვდილი ელის, უფლება აქვს რამე უნდოდეს. ჩემი სურვილია აგიხსნათ, თუ რატომ ვიყავი თქვენთან მკვახე და ვერ დავიწყე ძველი წყენა.

თქვენ, ალბათ, თვითონაც კარგად იცით, რატომ მოხდა ასე და თუ ამას ვწერ, მხოლოდ იმიტომ, რომ მსიამოვნებს ამის წერა. მე მიყვარდით, ჯემა, როცა ჯერ კიდევ პატარა გოგონა იყავით, ჩითის კაბა გეცვათ და ატარებდით ნაწნავს, რომელიც ვირთხის კუდს ჰგავდა. მე ახლაც მიყვარხართ თქვენ. გახსოვთ, ხელზე რომ გაკოცეთ, როგორ საცოდავად მემუდარებოდით, აღარასოდეს გაიმეოროთ ესო. მე ვიცი, რომ მაშინ ცუდად მოვიქეცი, მაგრამ უნდა მაპატიოთ, ახ-

---

* წარმოდგენა დამთავრებულია (იტალ).

Scanned by CamScanner

ლა კი ვეამბორები ქალალდს, რომელზედაც თქვენი სახელი სწერია. გამოდის, რომ მე თქვენ გაკოცეთ ორჯერ. ორჯერვე თქვენი თანხმობის გარეშე. მორჩა და გათავდა. მშვიდობით, ჩემო ძვირფასო!"

ბარათის ქვეშ სახელი არ ეწერა. იყო მხოლოდ ლექსი, რომელსაც ისინი ერთად სწავლობდნენ ბავშვობისას:

„ველზე დაფრინავს პეპელა მარდი
და სულ არა აქვს სიკვდილის დარდი".

ნახევარი საათის შემდეგ ოთახში შემოვიდა მარტინი. ნახევარი სიცოცხლის განმავლობაში ფარავდა თავის გრძნობებს ჯემასადმი. ახლა კი, როცა დაინახა მისი მწუხარება, ვერ შეიკავა თავი, დააგდო განცხადება, რომელიც ხელში ეკავა და ქალს მოეხვია.

— ჯემა, რა მოხდა? მითხარით! ასე რად ქვითინებთ, ხომ არასოდეს გიტირიათ! ჯემა, ძვირფასო!

— არაფერია, ჩეზარე, შემდეგ გიამბობთ... ახლა ლაპარაკი არ შემიძლია.

მან საჩქაროდ ჩაიდო ჯიბეში ცრემლებით დანამული წერილი. წამოდგა და გადაიხედა ფანჯარაში, რათა დაემალა სახე. მარტინიმ ტუჩზე იკბინა. პირველად თავის სიცოცხლეში ვერ დაფარა გრძნობა და ჯემას არც კი შეუმჩნევია ეს.

— ეს რა არის? საკრებულოს ტაძრის ზარს რეკავენ, — თქვა ჯემამ მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ და მარტინის შეხედა. თავის შეკავების უნარი დაბრუნებოდა მას — ალბათ, მოკვდა ვინმე.

— მეც ამის გამო მოვედი, რომ ეს მეთქვა, — მშვიდად უპასუხა მარტინიმ.

მან იატაკიდან აიღო სამგლოვიარო განცხადება და ჯემას გადასცა. განცხადება დაბეჭდილი იყო სასწრაფოდ, მსხვილი ასოებით და გარშემო შავი არშია ჰქონდა შემოვლებული.

„ჩვენი საყვარელი ეპისკოპოსი, მისი უწმინდესობა კარდინალი მონსინიორი ლორენცო მონტანელი უეცრად გარდაიცვალა რავენაში. მას გული გაუსკდა".

ჯემამ სწრაფად შეხედა მარტინის. მარტინიმ მხრები ასწია და უპასუხა ჯემას, რომელსაც ვერ გაებედნა თავისი აზრის გამოთქმა.

— რას იზამთ, მადონა. გულის გასკდომა — განა ეს ცუდად მოგონილი ახსნა-განმარტებაა? არა, ის სხვაზე უარესი არაა.

Scanned by CamScanner

შენიშვნები

ნაწილი პირველი

1 **პიზა** — ქალაქი იტალიაში, ტოსკანის პროვინციაში. ცნობილია თავისი შესანიშნავი ტაძრებით, დახრილი კოშკით, ძველი უნივერსიტეტით და სამხატვრო გალერეით. იტალიური კულტურის ერთ-ერთი დიდი ცენტრი.

2 **კანონიკი** — საკათედრო ტაძრის მღვდელი.

3 **პადრე** — (იტალ.) მამა. იტალიელები ჩვეულებრივად ასე მიმართავენ მღვდელს.

4 **„კეთროვანის განკურნება"** — სახარებაში მოთავსებული მოთხრობა, თუ როგორ განკურნა ქრისტემ კეთრით ავადმყოფი.

5 **დომინიკანელები** — ბერების ორდენი, რომელიც დაარსდა მე-13 საუკუნეში ესპანელი მქადაგებლის დომინიკეს თაოსნობით „ერეტიკოსთა" და თავისუფალ მოაზროვნეთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

6 **კორნუელი** — საგრაფო სამხრეთ-დასავლეთ ინგლისში.

7 **ლივორნო** — იტალიის დიდი ნავსადგურიანი ქალაქი ლიგურიის ზღვის ნაპირას.

8 **პროტესტანტები** — კათოლიკურ ეკლესიას ჩამოშორებული ქრისტიანები. კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის წარსულში სისხლისმღვრელი ომები იმართებოდა. მე-19 საუკუნეშიაც მათ შორის მტრული დამოკიდებულება არსებობდა.

9 **არეცო** — ძველი ქალაქი ტოსკანაში, პეტრარკას სამშობლო.

10 **კატეხიზმო** — ქრისტიანული სარწმუნოების სახელმძღვანელო, კითხვა-პასუხის სახით შედგენილი.

11 **„ხიცოცხლე გავწირო იტალიისათვის"** — იმ ეპოქაში, რომელშიც ვოინიჩის რომანის მოქმედება მიმდინარეობს, ე. ი. მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში, იტალია გაყოფილი იყო რამდენიმე პატარა სახელმწიფოდ (სარდინიის სამეფო, ორივე სიცილიის სამეფო, პაპის სამფლობელი, ტოსკანა, პარმა და სხვა) ხოლო ორ უდიდეს და უმდიდრეს პროვინციას, ლომბარდიას და ვენეციას, ავსტრია ფლობდა. მთელ იტალიაში გამეფებული იყო მკაცრი რეაქცია, რომელსაც ტონს ავსტრია აძლევდა.

12 **რუსოს კუნძული** — კუნძული მდინარე რონაზე, სადაც დადგმულია ჟენევაში დაბადებული დიდი ფრანგი მწერლის ჟან-ჟაკ რუსოს (1712-1778) ძეგლი.

13 **შალე** (ფრანგ.) შეეიცარული სოფლური სახლი მთებში.

14 **მათოდისტები** — პროტესტანტური რელიგიური სექტა, რომელიც ინგლისში მეთვრამეტე საუკუნეში გაჩნდა. ეს სექტა თავის მიმდევრებს მკაცრი ცხოვრებისაკენ მოუწოდებდა.

15 **„აღთქმა უბიწოების შესახებ"** — კათოლიკე მღვდლები ვალდებული არიან უარი თქვან ცოლ-შვილზე და დასდონ აღთქმა უბიწოების შესახებ.

Scanned by CamScanner

16 ლუცერნის ტბა — ანუ ფირვალტეტის ტბა, ერთი ულამაზესთაგანი ტბაა შვეიცარიაში, რომლის ნაპირებზე მეცამეტე საუკუნის დასასრულს დაიწყო შვეიცარიელების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის.

17 სენ-გოტარდი — სენ-გოტარდის უღელტეხილი აერთებს შვეიცარიას და იტალიას. 1882 წელს აქ გათხარეს 15 კილომეტრის სიგრძის სარკინიგზო გვირაბი.

18 „ახალგაზრდა იტალია“ — რევოლუციონური ორგანიზაცია, რომელიც მე-19 საუკუნის ოცდაათიან წლებში არსებობდა და რომელსაც მაძინი მეთაურობდა. ორგანიზაციის მიზანი იყო იტალიის პოლიტიკური გაერთიანება რესპუბლიკურ საფუძველზე. ბრძოლის ერთ უმთავრეს საშუალებად მაძინის შეთქმულება მიაჩნდა. მაძინის უკიდურესი მემარცხენე ფრთა ეჭირა იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში

19 „De Manarchia“ („მონარქიის შესახებ“) -- დიდი იტალიელი პოეტის დანტე ალიგიერის (1265-1321) ნაწარმოები, "პოლიტიკური ტრაქტატი, რომელშიაც მან გამოთქვა აზრი, რომ გაერთიანებული იტალიის სახელმწიფოს სათავეში უნდა ჩაუდგეს არა პაპი, არამედ საერო ხელისუფლება.

20 ვატიკანი — პაპის სასახლე რომში. გადატანითი მნიშვნელობით: პაპის ძალაუფლება, კათოლიკური ეკლესიის მმართველი წრეები.

21 სანტაკატარინა — წმინდა ეკატერინეს ეკლესია პიზაში.

22 კალაბრია — მთიანი ოლქი ნეაპოლიტანიის სამეფოში.

23 ფლორენცია — იმ დროს ტოსკანის დედაქალაქი იყო. რომანის მოქმედების ეპოქაში ფლორენცია წარმოადგენდა ავსტრიის გავლენის ქვეშ მოქცეულ ქალაქს, სადაც მკაცრი ცენზურა იყო გამეფებული.

24 მარსელიდან ლივორნოში იმ დროს „ახალგაზრდა იტალიის“ საზოგადოება ფარულად გზავნიდა ბროშურებს, წიგნებს და გაზეთს „ახალგაზრდა იტალიას“, რომლებსაც მაძინი მარსელში ბეჭდავდა.

25 „სახელითა ღვთისა და ხალხისაჲთა აწ და მარადის“... — იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლოზუნგი.

26 ფილისტერი — გონებით შეზღუდული ადამიანი, მლიქვნელი.

27 „ქურდების თავშესაფრად გადააქციეს ის“..., — სახარება შოგვითხრობს, რომ ქრისტემ იერუსალიმის ტაძრიდან განდევნა მოვაჭრენი, ფულის გადამხურდავებელნი და მტრედების გამყიდველნი.

28 სინიორინო — (იტალ.) ახალგაზრდა სინიორი.

29 პაოლი — იტალიური ვერცხლის ფული.

30 მედიჩი — ფლორენციის მთავართა ძველი გვარეულობა.

31 ოთხი მავრის ძეგლი — ლივორნოში დადგმული ტოსკანის ჰერცოგის ფერდინანდ პირველის მედიჩის ძეგლი, რომლის კვარცხლბეკზე მიჯაჭვულია ოთხი ბრინჯაოს მავრი.

Scanned by CamScanner

57 **მეფე ნიკოლოზი** — იგულისხმება რუსეთის მეფე ნიკოლოზ I (1779-1855).

58 ლაპარაკია პიი IX რეფორმებზე.

59 **ლეველერები** — (გათანაბრების, გათანასწორების მომხრენი) რადიკალური პოლიტიკური პარტია ინგლისის რევოლუციის (მე-17 საუკ.) დროს.

60 **მონსინიორი** — ასე უწოდებენ კათოლიკურ უმაღლეს სამღვდელოების წარმომადგენლებს.

61 **სიენა და პისტოია** — ქალაქები ტოსკანაში.

62 **რომანია** — იტალიის პროვინცია, რომელიც 1859 წლამდე პაპის სამფლობელოში შედიოდა. ამ პროვინციაში მოთავსებულია ქალაქები ბოლონია, რავენა და ფერარა.

63 **კარდინალი ფერეტი** — პაპი პიი IX ერთ-ერთი თანამოღვაწე.

64 **შ ე ლ ი** — პერსი ბიში შელი (1792-1822), გამოჩენილი ინგლისელი პოეტი.

65 **სავონაროლა** — (1452-1498) იტალიელი ბერი, განთქმული მქადაგებელი და ორატორი. თავის ქადაგებაში მკაცრად ილაშქრებდა თანამედროვეების ზნეობრივი გახრწნილების და ფუფუნების წინააღმდეგ. გამოცხადებულ იქნა ერეტიკოსად, ჯერ ჩამოახრჩვეს და შემდეგ მისი გვამი დაწვეს.

66 **პასკვილი** — (იტალ.) შეურაცხმყოფელი, ცილისმწამებლური ნაწარმოები.

67 **პანეგირიკი** — (ბერძნ.) მეტისმეტი, თავშეუკავებელი ხოტბა.

68 **პაპის ოლქი** — 756 წელს დაარსებული სამეფო, რომელიც პაპებს ეკუთვნოდა, როგორც შეუზღუდველ მონარქებს. შეიცავდა რომს, რომანიას და სხვ. საბოლოოდ იტალიას შეუერთდა 1870 წ.

69 **არკადია** — ქვეყანა ძველ საბერძნეთში, რომელსაც უმღეროდნენ ანტიკური პოეტები, როგორც მშვიდობიანი მწყემსების იდილიურ მხარეს. მოგვიანო ხანის ლიტერატურაში არკადიას უწოდებდნენ ბედნიერ, ზღაპრულ ქვეყანას, თავისუფალს ყოველგვარი მღელვარებისა და საზრუნავისაგან.

70 **ლეონარდო და ვინჩი** — (1452-1519) უდიდესი იტალიელი მხატვარი, მოქანდაკე და მეცნიერი. იტალიის რენესანსის უდიდესი წარმომადგენელი.

71 **არლეკინი და კოლომბინა** — იტალიური სახალხო თეატრის მოქმედი პირები.

72 **ხოლდო** — სპილენძის ფული.

73 **პოლენტა** — იაფფასიანი იტალიური კერძი.

74 **რიო** — რიო-დე-ჟანეირო: ბრაზილიის დედაქალაქი.

75 **აგნოსტიკოსი** — მომხრე იმ ფილოსოფიური მოძღვრებისა, რომელიც უარყოფს ობიექტური სამყაროს შეცნობის შესაძლებლობას.

76 **ჩივიტა-ვეკია** — ქალაქი პაპის ოლქში, გაშენებული ტირენის ზღვის ნაპირზე.

Scanned by CamScanner

77 სკუდო — ვერცხლის მონეტა იტალიაში.

78 მოხაჩოს ველი — ადგილია უნგრეთში, სადაც 1526 წელს უნგრეთის არმიამ დამარცხება განიცადა თურქეთის სულთანთან ბრძოლაში.

ნაწილი მესამე

79 სცილა და ქარიბდა — ციცაბო კლდე და ზღვის მორევი სიცილიის სრუტეში კალაბრიის ნაპირთან. საშიშარ ადგილად ითვლებოდა მეზღვაურთათვის. ბერძნული ძითოლოგიით ისინი აე სულებს წარმოადგენდნენ, რომელნიც ღუპავდნენ გემებს. სცილასა და ქარიბდის შუა ყოფნა ორ ცეცხლს შუა მოქცევის ნიშნავს.

80 დონ კარლოსი და მარკიზი პოზა — ფ. შილერის ისტორიული ტრაგედიის „დონ კარლოსის" გმირები.

81 მინერვა — ძველი რომაელების სიბრძნის ღვთაება, ხელოვნების, მეცნიერებისა და ხელოსნების მფარველი.

82 „მელანქოლია" — დიდი გერმანელი მხატვრის, ალბერტ დიურერის (1471-1528) გრავიურა.

83 რავენა — ძველი ქალაქი, განთქმული თავისი ტაძრებით. აქ დამარხულია უდიდესი იტალიელი პოეტი დანტე.

84 ლეგატი — საგანგებო დავალებით აღჭურვილი პაპის რწმუნებული.

85 მატადორი — (ესპ.) მთავარი მებრძოლი, ვისაც დავალებული აქვს ხარების ბრძოლაში ხარს სასიკვდილო ჭრილობა მიაყენოს.

86 გალილეველი — აქ ავტორს მხედველობაში აქვს სიტყვები: „შენ გაიმარჯვე, გალილეველო", ანუ „შენ გაიმარჯვე, იესო". ამ სიტყვებს მიაწერენ რომის იმპერატორს იულიანოსს (331-363), ქრისტიანობის მდევნელს, თითქოს მან წარმოთქვა ისინი სიკვდილის წინ.

87 კაპელანი — კათოლიკე მღვდლის თანაშემწე.

88 მესა — კათოლიკური წირვა.

89 გოლგოთა — მთა-ადგილი იერუსალიმის ახლოს, სადაც ვითომდა ჯვარს აცვეს ქრისტე.

90 შვეიცარიელთა გვარდია — დაქირავებული შვეიცარიელებისაგან შემდგარი მცველების რაზმები, რომელნიც სხვადასხვა მფლობელების კარზე მსახურობდნენ ევროპაში და ერთგულებით გამოირჩეოდნენ.

Scanned by CamScanner

შინაარსი

ნაწილი პირველი 3

ნაწილი მეოთხე 84

ნაწილი მესამე 228

ეპილოგი . 336

შენიშვნები 341

Scanned by CamScanner